

114  
1951 / 6

114/50



# მეტეოროლოგია

76

11

საქართველოს



1951

114  
1951

16.

# ენათობი



ბ  
ქ  
ა  
ე

სოციალური ლიტერატურა - მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუახალი

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

~~11~~

წელიწადი ოცდამეცხე

# 11

★

ნომერი

19

საბჭოთა  
თბილისი

51





# პირისპირ რომანი\*

ნაწილი მეოთხე



## კირიკი

„1920 წლის ზაფხულს კიროვი მენშევიერ საქართველოში რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო. აქ ის იყო საბჭოთა ქვეყნის, ლენინისა და სტალინის ნამდვილი წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა“.

ლ. ბერია.

### I.

ბაქოს სადგურის პერონზე მუშები, მითულარმიელები, მეთაურები და მოქალაქენი ირეოდნენ. ყველას რაღაც უჩვეულო გამოცოცხლება და მღელვარება დასტუობოდა. რკინიგზის სადგურის უფროსი და მოსამსახურენი დილიდანვე დიდ შზაღებში იყვნენ, აქეთ-იქით დარბოდნენ და ფუსფუსებდნენ.

დღეს ბაქოში საგანგებო მატარებლით უნდა ჩამოსულიყო რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მენშევიერ საქართველოში — სერგეი შირონის ძე კიროვი.

მალე სადგურში სერგო ორჯონიკიძე, ანასტასი მიქოიანი, საბჭოთა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენელი, ლაერენტი ბერია, ბაგიროვი, თანამდებობის პირნი, კიროვის შესახებ დრად საქართველოდან ბაქოში ჩამოსული ამხანაგები სერგო ჭავეჭავაძე, ვანო მახათაძე და ნიკო გოცირიძე მოვიდნენ.

მოსკოვის მატარებელი სადგურის წინ ჩამოდგა. ორჯონიკიძემ ფანჯრებში თავგამოყოფილ მგზავრთა შორის მაშინვე კიროვის მოლიმარი სახე დაინახა.

კიროვი ვაგონიდან ჩამოვიდა და პერონზე მდგარი ორჯონიკიძე, მიქოიანი,

ბერია, ბაგიროვი და სხვანი გადაკოცნა, ხალხს მიესალმა და მოკლე სიტყვით მიმპარა.

ბაქოს მუშები და თანამდებობის პირნი კიროვს, ორჯონიკიძეს და მიქოიანს გარშემოერტყნენ და მოლიმარი სახით და აღტაცებით შესცქეროდნენ მათ. ყველამ იცოდა, კიროვი და ორჯონიკიძე რომ იყვნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილო კავკასიაში მოქმედი კონტრრევოლუციის გასანადგურებლად ამას წინათ დანიშნული ხელმძღვანელები, რომელთაც ზემოთაღნიშნული მხარეები დენიკინისა და

სხვა გენერლების თეთრი ბანდებისაგან სულმთლად გასწმინდეს. ახლა ბრძოლაგადახდილი ვაეკაცისათვის — კიროვისათვის პარტიას დიპლომატის როლი დაეკისრებინა. კიროვს სამხედრო ტანისამოსი გაეხადა, ნაცრისფერი კოსტუმში ჩაეცვა და თავზე კები დაეხურა. იგი თავისი დიპლომატიური კორპუსით თბილისში მიემგზავრებოდა. მას და მის ხალხს სამი ვაგონი ექირა.

ორჯონიკიძე, ბაქოელი და თბილისელი ამხანაგები კიროვს საქართველოში აცილებდნენ.

კიროვისა და ორჯონიკიძის მეგობრობა, მათი რეკოლუციური მოღვაწეობა, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული თავდადებული მუშაობა,

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

პატიმრობა, ტანჯვა და სამოქალაქო ომის ფრონტზე ბრძოლა, მართლაც საზავალითა იყო.

სერგეი კიროვი და სერგო ორჯონიკიძე პირველად 1919 წლის ივნისში ქალაქ ასტრახანში შეხვდნენ ერთმანეთს და იქ განასკეული მკვიდრო კავშირი და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში და მის შემდეგაც კიდევ უფრო გაღრმავებული მათი მეგობრობა, მათი დიდებული ცხოვრების დასრულებამდე გრძელდებოდა.

1919 წლის ივნისს ბაქოდან, სადაც მაშინ ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ინგლისელები ბატონობდნენ, ორჯონიკიძე მეთევზეთა უბრალო ნავით გავიდა, კასპიის ზღვა გასცურა და, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, თავისი ამხანაგებით ასტრახანში ჩავიდა. თეთრგვარდიელ ბანდებისაგან ერთთავად გარემოცულ ასტრახანის დაცვა კიროვი ხელმძღვანელობდა. აი, სწორედ იქ შეხვდნენ ერთმანეთს პირველად ორჯონიკიძე და კიროვი. კიროვის მიერ ხელმოწერილი მანდატით სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი—ორჯონიკიძე ასტრახანიდან მოსკოვს გაემშურა, თავდაცვის საბჭოსა და სახალხო კომისარათა საბჭოს წინაშე ჩრდილო კავკასიისა და ასტრახანის რაიონში შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია რომ გაეცათებინა. მთელი სამხრეთ რუსეთი თითქმის მდინარე ვოლგამდე მაშინ დენიკინს, თეთრგვარდიელ ბანდებს ეკავათ და ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მხოლოდ კასპიის ზღვით და მდინარე ვოლგით შეეწლოთ მოსკოვთან კავშირის დაკერა.

1919 წლის შემოდგომაზე მდგომარეობა სამხრეთის ფრონტზე გაუარესდა. დენიკინის ურდოები ჩრდილოეთისაკენ შეუჩერებლივ მიიწევენ. ლენინმა და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დენიკინის განადგურების ორგანიზაცია ამხანაგ სტალინს მიანდო. სტალინის მიერ შემუშავებული გენიალური გეგმის მიხედვით და მისივე უშუალო ხელმძღვანელობით 1919 წლის ოქტომბრის ბოლოს წითელმა არმიამ ორიოლთან და ვორონეჟთან დენიკინის ურდოები სასტიკად დაამარცხა. წითელი არმია ანადგურებდა დენიკინის ჯარის ნაწილებს, კვალდა-

კვალ მისდევდა მას და სამხრეთისაკენ მიერეკებოდა. მეთერთმეტე არმია, კიროვის მეთაურობით დენიკინს განადგურების გეგმის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას ეტეულობდა. 1919 წლის ნოემბრის მეთერთმეტე არმია შეტევაზე გადავიდა. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მოსპობა გენერალ ტოლსტოის მეთაურობით მოქმედ ასტრახანის კაზაკების თეთრი ბანდისა, რომელიც ასტრახანს და კასპიის ზღვაში ელოდის მისართავს გამუდმებით ემუქრებოდა. მდინარე ვოლგის შესართავის და ასტრახანის დეკარავით სამხრეთ რუსეთსა და ამიერკავკასიას ეკარგებოდა შემოთღონიშნული ერთადერთი გზა, რომლითაც ისინი ცენტრალურ რუსეთს, მოსკოვს უკავშირდებოდნენ. ამ გზით ეტეულობდა მაშინ რუსეთი ბაქოს ნავთსა და ბენზინს. კიროვისა და კუბიშევის ხელმძღვანელობით მეთერთმეტე არმიის მიერ ტოლსტოის ბანდის წინააღმდეგ ათი დღის განმავლობაში წარმოებულ შეტევა ნოემბრის ბოლოს ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

დენიკინის საბოლოო განადგურება და ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების ბატონობისაგან შშრომლათა გაათვისუფლება მკვიდროდ არის დაჯამებული კიროვისა და ორჯონიკიძის სახელთან. კიროვისა და ორჯონიკიძის მითითების თანახმად დამუშავებული გეგმით მეთერთმეტე არმია ჩრდილო კავკასიისაკენ მიიწევედა. 1920 წლის 29 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა სტავროპოლი აიღეს. ამის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში ორჯონიკიძისა და კიროვის ხელმძღვანელობით გაგრძელებული შეტევა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მარტის ბოლო რიცხვებში წითელი არმიის ნაწილები კავკავში შევიდნენ. ორჯონიკიძე თერგის ოლქის რეკომის თაემჯდომარედ დანიშნა, კიროვი კი მის მოადგილედ. ამავე 1920 წლის 28 აპრილს მუსავატიელების და ინგლისელ ინტერვენტების წინააღმდეგ აჯანყებულ ბაქოს მუშების დასახმარებლად ორჯონიკიძემ და კიროვმა ჯავშნიანი მატარებელი და ჯარი გაგზავნეს და ბაქოში მოღვაწიობის დროს უახუცი სტალინის მიერ რე-

ვოლუციურ ბრძოლებში გამობრძმე-  
დილმა მუშათა კლასმა აზერბაიჯანის  
დედაქალაქში საბჭოთა ხელისუფლება  
დაამყარა.

5 მაისს ბაქოს კონფერენციაზე  
კიროვმა აზერბაიჯანის კომუნისტების  
წინაშე მთელი რიგი ამოცანა დასახა:  
„დეკრეტის მშრომელ ხალხზე ყველა  
მწიწის უსასყიდლოდ გადაცემის შესა-  
ხებ, ეს პირველი დარტყმაა ბეგებისა  
და ხანების წყობილებაზე. შემდეგი  
დარტყმა უნდა მოხდეს მსხვილ კაპიტა-  
ლზე... ყველაფერზე, რითაც მდიდარია  
დღეს აზერბაიჯანში, ყველაფერზე  
რაც დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყა-  
ნას იზიდავს, — ყველაფერ ამაზე მე-  
ტერ-გლეხური, საბჭოური, კომუნის-  
ტური ნიშანი უნდა დაისვას.“—ამბობ-  
და ჩვეულებრივი თავისი რევოლუცი-  
ური კატაციებით და მკვერმეტყველე-  
ბით კიროვი.

მის მიერ დასახული ამოცანები აზერ-  
ბაიჯანის კომუნისტურმა პარტიამ ღი-  
რსეულად შეასრულა.

სულ მალე 1920 წლის 29 მაისს  
კიროვმა ახალი, უაღრესად მნიშვნე-  
ლოვანი დავალება მიიღო. იგი, როგორც  
ყვეე ითქვა, რსფსრ-ის სრულუფლე-  
ბიან წარმომადგენლად დაინიშნა მენ-  
შევიტურ საქართველოში.

მოსკოვიდან საქართველოში მომავა-  
ლი კიროვი და დიპლომატიურ კორ-  
პესში მომუშავე ზოგი მისი ამხანაგი  
ორჯონიკიძემ, მიქოიანმა, აზერბაიჯა-  
ნის კომუნისტური პარტიის და ხელი-  
სუფლების წარმომადგენლებმა სადგუ-  
რის დარბაზში მიიწვიეს.

2.

აზერბაიჯანთან და ბაქოს პროლეტა-  
რიატთან ორჯონიკიძე მკვიდროდ იყო  
დაკავშირებული. ჯერ კიდევ 1908  
წელს, ამხანაგი სტალინის ხელმძღვანე-  
ლობით, იგი ბაქოს პროლეტარიატისა-  
გან სწავლობდა რევოლუციურ ბრძო-  
ლას. მას შემდეგ არ შეუწყვიტებია მას  
ეს პატივია, იგი დღითიდღე იზრდებო-  
და და ბოლოს ლენინისა და სტალინის  
ღირსეული თანამოსაგრე გახდა.

ორჯონიკიძე განცვიფრებით შესცქი-  
როდა ნაციონალურ კოსტუმში გამო-  
წყობილ, თავის რუს მეგობარს, რეო-  
ლუციის ჯარისკაცს და მგზნებარე  
ტრიბუნს — კიროვს. კიროვი მაშინ  
34 წლის კაცი იყო, თეორიუ-

ლად განსწავლული, გამოცდილი, დიდი  
ორგანიზატორი და რევოლუციურ  
ბრძოლებში გამობრძმედილი ბრძოლ-  
ეული მუშაკი. ორჯონიკიძეს სამხედრო  
ტანისამოსი და რუსული ჩიქმები ეცვა,  
ტყავის ფართო ქამარი ერტყა, თავზე  
კი ძაბრისებური სახაფხელი ჰქონდა —  
„ბულიონოვკა“ ეხურა, ისეთი როგო-  
რისაც რუსი „მოგატრები“ ატარებ-  
დნენ. ჰქონდა წინა მხარეს ხუთქიმიანი  
წითელი ვარსკვლავი ეკრა. მიქოიანსაც  
ასეთივე სამხედრო ტანისამოსი ეცვა.  
ისინი წითელი არმიის სამხედრო-რეო-  
ლუციური შტაბის წიგრიები იყვნენ.  
ფართოსაზიან, შავგვრემან გრძელუ-  
ღვანიან და არწივისავით ცხვირმოლულ  
ბრგე ვაეკაცს — ორჯონიკიძეს ძაბრი-  
სებრი ის სამხედრო ჰქონდა ქართულ  
მუზარადივით შეენოდა. თავისი სახით,  
აღნაგობით და იერით ორჯონიკიძე კავ-  
კასიის ტომების საერთო ტიპად ესახე-  
ბოდა ყველას და ამიტომ ქართველი,  
სომეხი, აზერბაიჯანელი, ლეკი, ოსი  
თუ სხვა მთიელი მასში თავის ღვიძლსა  
და მახლობელ კაცს ხედავდა. კიროვი  
კი თავისი სახით, მაღალი ყვრიმალთ,  
სქელი ბაგეებით, ოღნავ მოჭუტულ  
მოცისფრო თვალებითა და პატარა მოკ-  
ლესაძირკვლიანი, ფართონესტოებიანი  
ცხვირით და მთელი თავისი იერით  
ორჯონიკიძისაგან და კავკასიელ ტიპი-  
საგან დიდად განსხვავდებოდა. მაგრამ  
ცივი ციმიბრის შორეულ და უეცარიელ  
ტაივანში, ვიარკის გუბერნიის ერთ პა-  
ტარა, მივარდნილ ქალაქ ურჯუმში,  
უღარიბეს ოჯახში დაბადებულ, ობლო-  
ბაში და სილატაკეში აღზრდილ კაცს  
ის ფიზიკური სხვაობა სრულიადაც  
ხელს არ უშლიდა მთიელი, აზერბაიჯა-  
ნელი, სომეხი და ქართველი ამხანაგე-  
ბის ნამდვილი სულიერი მეგობარი გამ-  
ხდარიყო და პირიქითაც — ჩრდილო  
კავკასიის და ამიერკავკასიის ტომთა  
წარმომადგენელი მამა და მეგობრად  
გახდომოდნენ მას.

კიროვის რუსი მშრომელი ხალხი და  
არა რუსი ხალხი ერთნაირად უყვარდა.  
იგი რუსი მშრომელი ხალხის ქმშარი-  
ტი შვილი იყო და მის უშესანიშნავეს  
თვისებებს — ინტერნაციონალურ და  
კოლექტიურ ღრმა გრძნობას, სოცია-  
ლური უსამართლობის და თვითმპყრო-  
ბელობის წინააღმდეგ შეუირიებელ  
ზიზლსა და ბრძოლის წყურვილს ატა-  
რებდა. იმთვისებათა წყალობით რუს-

მა შრომიელმა ხალხმა ყველა ხალხზე იდრე გადაიგდო კაპიტალისტური მონობის უღელი, მთელ კაცობრიობას თავისუფლების ჩირაღდანი აღუხთო და სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების დამყარებისათვის საფუძველი ჩაჰყარა. ისე როგორც ყველა ხალხისადმი, აგრეთვე ქართველი შრომელი ხალხისადმიც კიროვის სიყვარულით აღაიხსე გული მიჰქონდა ახლა. მისი სურვილი იყო, ქართველ ხალხსაც გადაეგდო ბურჟუაზიული და კაპიტალისტური მონობის უღელი და თავისუფალ რუს ხალხთან ერთად ისიც სოციალიზმის და კომუნისმის შშენებლობის ფერხულში ჩაბმულიყო. ამიტომ უყვარდათ იგი უსახლგროდ შრომელი ხალხის წარმომადგენელთ, როგორც რუსეთში, აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში თუ შუა აზიაში.

კიროვი, ორჯონიკიძე და მათი ამხანაგები დარბაზში მაგდას შემოუსხდნენ: ვანო მახათაძე კიროვის პირისპირ იჯდა და მას სასოებით მისჩერებოდა. იგი, ისე როგორც ქვეყარაძე და გოცირიძე, თერგის ოლქში, კავკასიაში კიროვთან ნამუშევარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კიროვი იმჟამად ოცდაათოთხმეტი წლის კაცი იყო, იგი იატაქქვეშ გამუდმებით მოშაობის, მრავალჯერ პატიმრობის, სამოქალაქო ომში ბრძოლისა და გაჭირვების გამო, მეტი ხნისა ჩანდა. რადგან იგი საქართველოში დიბლომატიურ მოშაობისათვის მიემგზავრებოდა, ამიტომ ორჯონიკიძეს, ბერიას და საქართველოდან მის შესახებ ვედრად ჩამოსულ ამხანაგებს ქვეყარაძეს, მახათაძეს, და გოცირიძეს საქართველოს შესახებ მრავალ კითხვებს აძლევდა.

იმდროინდელ საერთაშორისო რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მენშევიკურ საქართველოში მოშაობას დიდი ტაქტი, პოლიტიკური გამოცდილება და შორსმჭვრეტელობა ეჭირებოდა. საქართველოში სამოშაოდ კითხოზე უკეთეს დიპლომატს სამჭოთა რუსეთი ვერ შერჩევდა. მით უმეტეს, რომ კიროვი ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში ნამუშევარი იყო და ამიერკავკასიას, ყერძოდ საქართველოს, მის პოლიტიკურ ვითარებას და მონშევიკების, მოსავატელებისა და დამნაიების გამყიდველ ბუნებას კარგად იცნობდა.

საკვირველი ის იყო, რომ კიროვის მამა ციმბირიდან კავკასიაში დადმოხროლა ცხოვრების ჩარხის ტრიალში, იგი აქ ლუქმა-პურის საშოვნელად გადმოიხვეწა და უკვლად დაიკარგა, ხოლო მისი მეილი კი რევოლუციურ ბრძოლისათვის გამოექცა ეანდარმებს კავკასიაში და იქ უკვლად კი არ დაკარგულა, არამედ თავი ისახელა, თავი გამოიჩინა, კავკასიიდან კვლავ შეებრძოლა თვითმპყრობელობას და საჩუყნოდ ცნობილი და ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ადამიანთაგანი შეიქნა.

კიროვმა დიდი გაჭირვება, ბრძოლა და ჭიდილით საიგი გზა გაიარა, სანამ ასეთ დიდ სახელს მიაღწევდა.

ობლობა, სიღატაკე და გაჭირვება მას ბავშვობიდანვე კვალდაკვალ სდევდა. ჩრდილოეთ რუსეთის ყველაზე უფრო განაპირა, ცივი ციმბირის შორეულ, მივარდნილ და პატარა ქალაქის — ურუგუმის სამოქალაქო სასწავლებლის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ ლაიბი და ობოლი ჭაბუკი ყაზანის ტექნიკურ სასწავლებელში შევიდა. ყაზანში ყოფნის დროს მან პირველად მიიღო აქტიური მონაწილეობა სტუდენტობისა და მოწაფეების მიერ გრუზინისკის (ქართულ) ქუჩაზე გამართულ დემონსტრაციაში, რომლის შემდეგ მკიდრო კავშირი დაიჭირა ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მოწინავე მუშებთან და ყაზანში გადასახლებულ პოლიტიკურ პატიმრებთან. ვინ იცის, იქნებ ქალაქ ყაზანში გრუზინისკის ქუჩამ პირველად აღუძრა მას ინტერესი საქართველოს და კავკასიის შესახებ.

კიროვი რევოლუციურ მოძრაობაში მთელის თავის არსებით ჩაება და მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებს ხარბად დაეწაფა. იგი მეტად ნიჭიერი ჭაბუკი იყო. ტექნიკური სასწავლებლის მეგობრი სწავლასთან ერთად სხვადასხვა ადგილის მსახირობდა და სამუშაოს იღებდა, რათა არსებობისათვის საჭირო წყარო გაეჩინა.

ყაზანის რიჩნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კიროვი ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შესასვლელად გაემგზავრა ტომსკში. იგი მოწინავე მუშებს დაუტოვებოდა, განსაკუთრებით კი მშებს კონონოვებს, და 1904 წელს ტომსკის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის ბოლშევიკური ჯგუფის

წევრი გახდა. რევოლუციის აღმავლობის დროს, 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში მეფის მთავრობის მიერ მუშების მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვედრის შემდეგ, ცხრამეტი წლის ჰაბუკი კიროვი 18 იანვარს ტომსკში პოლმეიკურად განწყობილ მუშების სპორტეტსტო შეიარაღებულ დემონსტრაციის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელთაგანი იყო. იგი მუშათა შეიარაღებულ ჯგუფს მეთაურობდა და დემონსტრაციას პოლიციელთა და კაზაკთა თავდასხმისაგან იცავდა. მუშებს ელდი და უვარგისი რევოლუციები ჰქონდათ, მაგრამ შეტაკების დროს, რამდენიმე კაზაკს ცხენიდან ჩამოგდების შემდეგ, მათ მაინც გააქციეს მათზე გაცილებით უფრო კარგად შეიარაღებული თავდასხმელები. კაზაკებმა ისეა შეამოიდროვის თაიისი რივები და შეუტოეს დემონსტრანტებს და სასტრკად გაოსწორდნენ მათ: რამდენიმე ათეული მუშა მიძიმდ დასჭრეს და ას კაცზე მეტს მსუბუქი ჰრილობები ჰაყენეს. გახელებული კაზაკები და პოლიციელები მათრახს და ხმალს სციმუნენ არა მარტო დემონსტრაციის მონაწილეთ, არამედ შემთხვევით ქუჩაში მყოფთ. არ ზოგავდნენ და ასახინჩრებდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებსაც.

კაზაკებთან და პოლიციელებთან მუშების შეიარაღებული შეტაკების დროს თვითმპყრობელობის მცველმა ნაგაზებმა დემონსტრაციის მხენ და მამაცი ქედროშე — კონონოვი მოჰკლეს... იმავე დამეს, გამხეცებულ ეანდარმების ხელში ჩაეარდნის საშიშროების მიუხედავად, კიროვმა პოლიციელ ყარულთა რიგები გაიარა და სარდაფში კონონოვის გუამი მოსძებნა. კონონოვს მკერდზე დროშა შეენახა. კიროვმა დაღუპული მებრძოლის სისხლით შეღებულ, ტომსკის მუშების ის რევოლუციური წმინდა დროშა პოლიციელებს გამოსტაცა.

კონონოვის დაკრძალვა უდიდეს დემონსტრაციად იქცა, რომელსაც ორი თთაი კაცი დაესწრო.

პოლიციელები და კაზაკები ვეღარ ბედვდნენ მრისხანებით აღსავსე მუშებზე თავდასხმას და მხოლოდ მახლობელ ქუჩების გზაჯვარედინებიდან უღრენდნენ მათ.

კონონოვის კუბოს უკან მიმავალი მუშები კიროვისა და მისი ამხანაგების მიერ დაწერილ ფურცელს კითხულობდნენ, სადაც ეწერა: „ცხენ და სახრჩობელა ვერ დააფრთხობს მუშათა კლასს. ხიმტი და ტყვია ვერ შეაჩერებს პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას“. ფურცელი საზღვარგარეთ გადაგზავნეს. ლენინმა იგი ბოლშევიკების გაზეთში „ვებერიოდში“ მოათავსა და სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასვა. ამავე გაზეთში იყო მოთავსებული კორესპონდენტია ტომსკის შეიარაღებული დემონსტრაციის შესახებ.

ტომსკის დემონსტრაციამ კიროვზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, როდესაც მუშებმა ცუდი და უვარგისი რევოლუციები დაუშინეს კაზაკებს და დასაწყისში გააქციეს ისინი, კიროვის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იგი ამბობდა: „თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად ჩანს, სწორი გზა არის არჩეული. საჭიროა მხოლოდ მასების უკეთ დარაზმვა და შეიარაღება“.

კონონოვის დაკრძალვის შემდეგ კიროვი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების საშაადის მთლიანად მიეცა. მაგრამ მალე ტომსკში, არალეგალურ პარტიულ კრების დროს, პოლიციამ იგი და მისი ამხანაგები დააპატიმრა. კიროვის ეს პირველი დაპატიმრება მხოლოდ ორ თვეს გაგრძელდა. პატიმარმა ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ კვლავ რევოლუციური ბრძოლა განაგრძო. ცხრამეტი წლის ჰაბუკი რსდმპ-ის ტომსკის კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს. აქ იგი ბოლშევიკურ ჯგუფს მეთაურობდა და თვითმპყრობელობასთან შეიარაღებულ ბრძოლისათვის პროლეტარიატის დარაზმვის შესახებ რსდმპ-ის მესამე ყრილობის გადაწყვეტილებას ცხოვერებაში ატარებდა. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე ტაივის საკვანძო სადღურზე რკინიგზელების გაფიცვას. მისი მებრძოლი რაზმი იარაღით ხელში ებრძოდა რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხებულ მეფის გენერლებს და შვერანშველ ბანდიტებს, რომლებიც სამხედრო მარცხის გამო ახლა ჯავრს მუშებზე იყრიდნენ, ხერტდნენ და აპატიმრებდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთ.

1905 წლის შეიარაღებულ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რეაქციამ გაიმარჯვა. 1906 წლის 30 იანვარს კიროვი კვლავ დაპატიმრეს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, ტომსკის კომიტეტის დახმარებით, იგი გათავისუფლებულ იქნა. ამავე კომიტეტის დავალებით მან ძლიერ მალე არაღვალურად იღი სტამბა მოაწყო. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ჟანდარმებმა სტამბას მიაგნეს და სტამბის მომწყოები კიროვი და მისი ამხანაგები ისევ დააპატიმრეს. დაპატიმრების დროს „ბოროტმოქმედ მოღვაწეობის“ შესახებ ვერავითარი საბუთი ვერ იპოვეს. კიროვის ამხანაგები გაათავისუფლეს, ის კი შვიდი თვის პატიმრობის შემდეგ ძველი „საქმისათვის“ გაასამართლეს და ერთი წლითა და ოთხი თვით ციხეში ჩასვეს. ტომსკის ციხიდან გამოსვლის შემდეგ კიროვი ნოვონიკოლაევსკში (ახლანდელ ნოვოსიბირსკში) წავიდა, 1908 წლის შემოდგომაზე კი ირკუტსკში გადავიდა და თავისი რევოლუციური მოღვაწეობა ახლა იქ გადაიტანა, მაგრამ 1909 წლის 7 აპრილს ტომსკში მის მიერ შეორედი მოწყობილი არაღვალური სტამბის ჩაგარდნის შემდეგ ირკუტსკში მისი დარჩენა საშიში იყო. ჟანდარმებმა გაფაცვიცებით შეძლნენ სტამბის მოწყობა.

1909 წლის მაისს კიროვი ჩრდილო კავკასიაში გაეშურა და კავკავში ჩავიდა.

ახლა კიროვმა თერგის ოლქის მშრომელ მოსახლეობაში გადაიტანა თავისი რევოლუციური მოღვაწეობა, თვითმპყრობელობასთან ბრძოლა და მენშევიკების გამყიდველი პოლიტიკის მხილება. მაგრამ ორი წლის ძიების შემდეგ ჟანდარმებმა იქაც მიაკვლიეს და „ტომსკის სტამბის საქმის“ გამო ჯერ კავკავის საპატიმროში ჩასვეს, მერმე კი ერთი თვის რუსეთში წაიყვანეს და 1911 წლის 4 ნოემბერს ტომსკის საპყრობილეში მოათავსეს და იქ გაასამართლეს. გასამართლების დროს უცნაური ამბავი მოხდა. კარგ კონტრში გამოწყობილი კიროვი 1906 წლიდან იმრიგად გადასხვაფერებული და დავაფაცვიცებული იყო, რომ ბრალდების მთავარმა მოწმემ, პოლიციის ბოქალმა კიროვიც ვერ ამოიცნო ხუთი წლის წინათ მის მიერ დაპატიმრებული ღარიბი და ჩამოხეულ ტანისამოსში გამოწყობილი. ქაბუჯა მუსა.

კიროვი ისევ კავკავში დაბრუნდა. პარტიული მუშაობის გარდა, ის იქაურ გაზეთებში მთელ რიგ მახვილ და ხიქიერ წერილებს ბეჭდავდა. მსოფლიო ომის დროს მთელი მუშებსა და გლეხებს შორის განუწყვეტელ მუშაობას ეწეოდა, კვამობდა ნაციონალურ ბურჟუაზიასთან მენშევიკებისა და ესერების მეთაურობებსა და მათ შიგნით იმპერიალისტური ომის მხარის დაქირას. იგი ჩრდილო კავკასიის მშრომელი მოსახლეობისათვის პოპულარულ და საყვარელ კაცად იქცა.

თებერლის რევოლუციის შემდეგ კიროვი ისევ ბოლშევიკურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა და კავკავის საბჭოს ჩამოყალიბების საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. იგი ყოველდღე გამოდიოდა ახლა შიტინგებზე, კრებებზე და მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს თვალს უხვლდა, პოლიტიკურ საკითხებში არკვევდა, ათვითცნობიერებდა და თანაც კამიტალისტების, მემამულეების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის და ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციამდე გადასვლის აუცილებლობაში რწმუნებდა. კიროვი მშრომელი მასების მასწავლებელი, აღმზრდელი და რევოლუციის მართლაც ნამდვილი ტრიბუნი იყო. მისი გამოსვლები, მისი ღრმა შინაარსის მქონე, ნათელი და ფორმით გასაგები სიტყვები აღუვებდა ათასებს, ხალხი მას ადივლად იხსოვებდა. სხვადასხვა ეროვნებათა მუშები, რომელთაც უკლად იცოდნენ რუსული, კიროვის სიტყვების შემდეგ ამბობდნენ, რომ თარჯიმანი ჩვენ არ გვჭირდება, ჩვენთვის ჩვენი კიროვი ისედაც გასაგები არისო.

1917 წლის აგვისტოს კიროვი კავკავიდან პეტროგრადს გაემგზავრა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით იგი იქ მუშათა შორის რევოლუციური მოღვაწეობას ეწეოდა და ოქტომბრის რევოლუციის ბრძოლებში მონაწილეობდა. როდესაც ძალაუფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდა, კიროვი სრულიადრუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე დელეგატად აირჩიეს... მერმე იგი ისევ ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდა.

ამ ხანიდან იწყება მისი ყველაზე უფრო დაძაბული, მღელვარე, ბრძოლებით სავსე რევოლუციური მოღვაწეობა



და კომუნისტური მშენებლობის სამაგალითო საქმიანობა: თერგის ოლქში დენიკინის ბანდებთან ბრძოლა, ასტრახანის და ცუვა და ცარიცინის ალბანში მონაწილეობა, ორჯონიძისთან ერთად თეთრკარდიელთა ჯარებისაგან სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილო კავკასიის გაწმენდა. მუსკავატელების წინააღმდეგ აჯანყებულ ბაქოს მუშებისათვის ორჯონიძისთან, მიქოიანთან და სხვებთან ერთად დახმარების გაწევა და აზერბაიჯანის დედაქალაქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მენშევიკურ საქართველოში სრულყოფილებიან წარმომადგენლად ყოფნა და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ნიადაგის შეშადება, თანაც საზავო ხელშეკრულების დადებისათვის პოლონეთთან გაპართული მოლაპარაკების დროს საბჭოთა დილეგაციის ხელმძღვანელობა, საქართველოში მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებულ მშრომელთა დასახმარებლად მაპისონის უღელტეხილზე წითელი ჯარით გადასვლა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში მონაწილეობის მიღება, აზერბაიჯანის კოკუნისტური პარტიის ც. კ.-ის მდივნობა, აზერბაიჯანის ეკონომიური და კულტურული აჯანყების მებაიარატრობა. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეში, ორჯონიძისთან ერთად, თავდადებული მუშაობა, და ბოლოს ლენინგრადის ბოლშევიკების სათავეში ყოფნის დროს პარტიის და კოლტორის დარგში სახალხო და სანიმუშო მუშაობა, სოციალიზმის და კომუნისმის გეგანტორი მშენებლობის შესანიშნავი ხელმძღვანელობა და დიდი ბელადის სტალინის მითითებითა ცხოვრებაში გატარება, — აი ის საფეხურები, რომლებიც გაიარა კიროვმა თავისი დიდებული ცხოვრების გზაზე. სწორედ ამ საფეხურებით ავიდა იგი სახალმწიფო მოღვაწის უდიდეს სიმაღლემდე და ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი, ნათელი ადამიანთაგანი და დიდი სტალინის თანამოსაგრე და მეგობარი გახდა.

აი, ასეთი კაცი მოემგზავრებოდა ახლა 1920 წლის ივნისში რსფსრ-ის სრულყოფილებიან წარმომადგენლად მენშევიკურ საქართველოში.

მოსკვიდან კომისიის წინ კიროვი ლენინს და სტალინს ეთათბირა და მენ-

შევიკურ საქართველოში მუშაობის შესახებ მათგან მთელი რიგი დირექტივა მიიღო. ბაქოში მომუშავე ორჯონიძე, მიქოიანი, ბერია, ბაგირიანი და თბილისიდან ჩამოსული ამხანაგები ქავეარაძე, მახათაძე, გოცირიძე და სხვები გარინდებული უგდებდნენ ყურს ლენინზე და სტალინზე კიროვის საუბარს. ლენინისა და სტალინის ყოველი მოსაზრება, დავალება და სიტყვა ღრმად ეჭრებოდათ გულში და სახეზე ნეატრებით საველი დიმილი ეფინებოდათ... კიროვი იყო ახლა ლენინის, სტალინის და ბაქოში დამხდურ ამხანაგთა შორის სასურველი მუშაველი. მას ყორდანიას მთავრობასთან ახლანად დადებული ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება ევალებოდა. იგი მნიშვნელოვანი მისიით მიდიოდა საქართველოში. როდესაც ბაქოს სადგურიდან მატარებლის გასვლის დრო მოახლოვდა, ორჯონიძემ კიროვი გადაკოცნა, გზა დაულოცა მეგობარს და თავის სამშობლოში — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში გამარჯვება უსურვა...

4.

მატარებელი გავიდა... კიროვი ვაკონის ფანჯარასთან იდგა და ღრმა ფიქრის წასული აზერბაიჯანის დედაქალაქს გასცქეროდა. იქვე ხნოვანებით მისი ტოლი და მასზე გაცილებით უმცროსი ამხანაგები: მუხინი, კაროვი, ქავეარაძე, მახათაძე და გოცირიძე იდგნენ. ისინი ღიმილით უყურებდნენ ცქერადწასულ კიროვს, სდუმდნენ და მასთან საუბარს ვაურბოდნენ, რადგან არა სურდათ დიდი ადამიანის ფიქრის დარღვევა.

— აგერ, ნავთის საბადოებში ჩადგმული ჰაბურლილების კოშკების ტყეც გამოჩნდა. დედამიწის ყოველ კუთხიდან მიმავალი გზების უდიდესი გზავკარინი, აღმოსავლეთის კარები—ბაქო ამიერიდან ჩვენი ხელში, კომუნისტების ხელშია,—უთხრა კიროვმა ფანჯარასთან მდგარ ამხანაგებს, — ამიერიდან აღმოსავლეთში და დასავლეთშიც ისე ღრმად და სამუდამოდ შეიჭრებიან საბჭოთა ქვეყნის იდეები როგორც ბაქოს მუშების ბურღები ერპობან ხოლმე დედამიწაში... ბაქოს ნავთის მრეწველობაში ჩვენ მოვახდენთ ნამდვილ სამრეწველო რევოლუციას და მალე ბაქოს ნავთის სარეწავები საბჭოთა ჭეყანას მისცემენ უძვირფასეს „შავ ოქროს“, რომელიც

რკინიგზებით, ისე როგორც სისხლი ადამიანის ძარღვებში, ქარხნებში, ფაბრიკებში იწყებს დენას და აალორძინებს და ხოპარულად გაზრდის ჩვენ მრეწველობას და ტრანსპორტს.

მატარებელი აზერბაიჯანის მზით გატრულულ თვალწევრად და უდაბნოს-მაგვარ ვილებზე გაივინდა... ქარმა დაუბერა. ვილზე რუხი მტვერის და ქვიშის სვეტები დადგნენ და, როგორც ცხელ უდაბნოში, ციბრუტიკით დატრიალდნენ, ქართა ქალაქისაკენ გაემართნენ და ბაქო ბუღელში გადავიდნენ. ბოლოს მტვერი და ქვიშა გადვიდა და შორს ზანტის აქლემების ქარავანი გამოჩნდა... ნელა და რაღაც გულსაკლავად მიდიოდა უდაბნოში დაკარგული აქლემების მღუმარე ქარავანი. მულანის უდაბნოს გაგრძელება — აზერბაიჯანის უკაცრიელი, უწყლო, გამოფიტული, მომიშვებულელი და ერთფეროვანი ველები არ თვინდებოდნენ. უდაბნოს სიტყვი ჩამოწვა. კიროვმა მცხუნვარე მზით შეწუხებული თვალები მოჰუტა. სუნთქვა უქირდა. „ოხ, როგორ დაცხა“, — დაიძახა და კუბეში შევიდა, პიჯაკი გაიხადა, დაჯდა, ფანჯარაში გაიხედდა.

— ხედავთ, აზერბაიჯანის ამ ვეება ტრამალებს? შალი აქ არხები გაივლიან, მიწა წყლით გაძობა და მზით დამწვარი ეს უვარგისი ტრამალები განოყიერდებიან, ძვირფასი კულტურებისათვის გამოსადეგი გახდებიან და ბამბის პლანტაციებით დაიფარებიან...

კიროვი ყველგან საბჭოთა ქვეყნის გიგანტური მშენებლობის დიად მომავალს ქვრეტდა. პიჯაკი გახდილი ჰქონდა, ოღნავ მოჰუტებული თვალებით ისევ ფანჯარაში იქვირებოდა.

ფანჯარის წინ მიწურ-სახლებიანმა და მიორეც-მოლარევილი ქუჩებიანმა, ღარიბმა სოფლებმა ჩაიარეს... მიწურების წინ წულებით, შალის წინდებში ჩატანებული დაკონკილი შარვლებით, მაღალი ბუხრის ქუდებით, მზით გატრუსული, გამზღარი, ლატაკი და ბეჩავი გლეხები დამდგარიყენენ და მატარებელს უხალისოდ გასცქეროდნენ. წითელ და ყვითელ კაბებიანმა, თხზშიშეგლმა ქალებმა გლოვით დამწუხრებულ სახეზე შავი და გაქვალტყავებული ხელით ჩიქილის ტრუტი, ჩადრი აიფარეს და ვაგონების ფანჯარებიდან მაცქერალ მგზავრებს ზორავი შეაქციეს. დიდებს ჩონჩხად-ქცეული, ტიტლიკანა და მტირალი ბალ-

ლები ჩაჭყრენდონენ კაბებში, ქალები და ბავშვები ისე გამოიქცნებოდნენ, თითქოს ისინი შავი ჭირისაგან გამაგებულყენენ და გაძვალტყავებულყენენ. მათმა ხილიამ კიროვს გული ატკინა:

— შეხედეთ ბეგებიაა და ხანების მონბაში საუკუნეების მანძილზე მყოფ ამ საყოლად და ლატაკ ხალხს, — ისევ მიჰმართა მან ამხანაგებს, — ამიერლანდ ბეგებისა და ხანების მიწები აზერბაიჯანის გლეხებს ეკუთვნით. ისინი მალე ადამიანურ ცხოვრებას დაიწყებენ... შეხედეთ ამ დამონებულ, დაბეჩავებულ და ჩადრწმომოსმებულ საყოლად ქალებს. განა მართო აზერბაიჯანის ქალები ატარებენ ჩადრს — ბნელეთის სიმბოლოს! უნდა პირდაპირ ითქვას, რომ როგორც აზერბაიჯანის, აგრეთვე ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა დღემდე ცრუმორწმუნეობის, ჩამორჩენილობის, უწინგნობის, უმეცრების და უკულტურობის ბრკყალეებში — სიბნელის ჩადრში იმყოფება... ყოველი საშუალებით, ღონით და ხერხით, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იმ ბნელეთის „ჩადრს“ შეიმდეგვი ადამიანები აღარ ატარებდნენ...

ასეთი დიდი სიყვარულით ლაბარაკობდა კიროვი აზერბაიჯანის მუშების, გლეხებისა და საუკუნეების მანძილზე ეკონომიურ და ოჯახურ მონობის უღელში შებმულ ქალების, აზერბაიჯანის მთელი მშრომელი მოსახლეობის შესახებ. აზერბაიჯანის მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობაზე და მშრომელ მოსახლეობაზე ის ნათქვამი და ნათქვამი კიროვმა სულ მალე საჭმელ აქცია, მაშინ როდესაც იგი აზერბაიჯანის მშრომელების ხელმძღვანელი გახდა. ბაქოდან თბილისში მიმავალ მატარებლის ვაგონში ამხანაგების ვიწრო წრეში ის ნათქვამი მერმე მან თათბირებზე, კრებებზე და ყრილობებზე, უამრავ თავის გამოხატებებში გაიქცოდა.

## 5

მატარებელმა განჯა გაიარა და შამქორს მიუახლოვდა.

კარპოვს და მახათაძეს კავკასიის ფრონტიდან 1918 წელს მომავალ ჯარისკაცების განიარაღება, მენშევიკების, მუსაიატელოების და დამნაჯების ბრბოების მიერ შამქორში დატრიალებული სისხლიანი დღეები მოაგონდათ. კარპოვი მაშინ ფრონტიდან მომავალ

რევოლუციურ ჯარისკაცთა კომიტეტის წევრი იყო და მენშევიკების, მუსავატელების და დამნაქების ჯარებს და ბრძოლებს მახათაძესთან ერთად ებრძოდა. ყოფილი ზენკალი კარპოვი იატაკ-ქვეშ მომუშავე, შეგნებული და გამოცდილი კაცი, სამოქალაქო ომში ნატარი, მაკაი მებრძოლი, ჩინებული მუშაკი ახლა კიროვის დიპლომატიული კორპუსის თანამშრომელი იყო. მას და მახათაძეს შამქორის ბრძოლაში დაღუპული მეგობრები ბელაგორსკი, ნატროშვილი და სხვა მრავალი ამხანაგი სოაგონდათ და კიროვის შამქორის შესახებ ჩამოუგდეს საუბარი. კიროვი მღუშაჩვლ და გულისყურით უსმენდა მათ, სქელი და მსუქანი ბაგე შეპყვროდა და სახეზე დროდადრო კუნთი უტოკავდა და უთამაშებდა.

შამქორის ამბები, ეს ყველაზე დიდი და უმსგავსო ეპიზოდი იყო სამოქალაქო ომისა ამიერკავკასიაში. მაშინ კავკასიის ფრონტზე ნახევარმილიონიანი ჯარი იდგა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვერუანზე, თბილისზე და ბაქოზე გაუღიოთ ფრონტული ჯარისკაცები ჩრდილო კავკასიისაკენ მიედინებოდნენ. ისინი მზად იყვნენ ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში მიშველებოდნენ. ამ რევოლუციურ უდიდეს ძალის შიშით ქართველმა მენშევიკებმა, აზერბაიჯანელმა მუსაჯარელებმა და სომეხებმა დაშნაკებმა ჩრდილო კავკასიის კონტრარევოლუციონერებთან კავშირი შეპყრეს და კავკასიის ფრონტიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი სამხედრო ეშვლონების განიარაღება დააღვინეს, რათა ფრონტული ჯარისკაცების იარაღი ბოლშევიკებთან საბრძოლველად ნაციონალური ჯარის ნაწილებისათვის გადაეცათ. ჟორდანის და რამბილიოს ბრძანებით ბაქოს რკინიგზის ხაზზე შტაბს-კაპიტნის აფხაზავას ჯავშნიანი მატარებელი და პოლკოვნიკ მალალაშვილის ცხენოსანი ლეგიონი გაიგზავნა და მუსავატელი რაფიბეგოვის და დამნაქების ბრძოლების დახმარებით თბილისსა და განჯას შორის, შამქორის სადგურის მახლობლად კონტრარევოლუციასთან საბრძოლველად ჩრდილოეთისაკენ მიმავალი, ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცების საშინელი ძლევა მოეწყო. ამ მოკლულ იქნა ორი ათასი ჯარისკაცი.

კიროვმა შამქორის ამბებისა და ალექსანდრეს ბალში ბოლშევიკური მატონგის დახვერტის შემდეგ მენშევიკების შესახებ სტალინის მიერ „პრავედიშნიკის“ სტამბულ გენიალური ანალიზის შემკველი და მამხილებელი წერილი: „ამიერკავკასიის კონტრარევოლუციონერები სოციალიზმის ნილაბქვეშ“ გაიხსენა და იქიდან მთელი ადგილები ზებირად მოიყვანა.

სტალინის ხსენებისას კიროვის თვალები უცნაური ცეცხლით აღენთნენ. იგი კუპეში მსხდომ მუხნის, კარპოვის, ქავეარაძეს, მახათაძეს და გოცირიძეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ლენინისა და სტალინის გარეშე ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა. რევოლუციის ხსნა, საბჭოთა რუსეთის გადარჩენა დენიკინის ლაშქრის შემოტევისაგან და დენიკინის ლაშქრის განადგურება სტალინის გენიალური გეგმის და მისივე ხელმძღვანელობით განხორციელდა... კერძოთ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ 1907 წლიდან 1912 წლამდე ბაქოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლენინის ყველაზე უფრო დიდი მოწაფე სტალინი, რომელიც ბაქოს პროლეტარიატში თეორიულ, ორგანიზაციულ და აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა. სტალინის ხელმძღვანელობით მომხდარ ბაქოს პროლეტარიატის საგაფიცო ბრძოლამ სრულად რუსეთის მნიშვნელობა ენიჭებოდა. აზერბაიჯანელი, სომეხი, ირანელი, ქართველი, რუსი და სხვა მუშების მრავალაციონალური მასა სტალინმა ერთ პროლეტარულ არმიად შეაკავშირა და შექტა. მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, სტალინის მეთაურობით, საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. ამიერკავკასიაში ბაქო ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრედ იქცა. ამიტომ გამარჯვება ბაქოში და მთელ აზერბაიჯანში ასე ადვილად პროლეტარულმა რევოლუციამ. ახლაც ინდუსტრიული ბაქო ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრედ უნდა იქცეს, საიდანაც საბჭოთა ხელისუფლება მთელ ამიერკავკასიაში გავრცელდება. მართალია, თებერვლის რევოლუციამდე სტალინის მრავალჯერ დაბატონებისა, ციმბირში გაგზავნისა და მისი

რუსეთში მოღვაწეობის გამო, მენშევიკებს 1912 წლიდან ხელ-ფეხი გაეხსნათ და მათ საქართველოში და ამიერკავკასიაშიც გავლენის მოპოვება და კარგად ორგანიზება მოახერხეს, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ მდგომარეობა ძირბულიანად შეცვალა. მენშევიკების ციხესიმაგრე-საქართველოში უკვე გაიშარა, და გაირღვა, რომელშიც კომუნისტური იდეა ახლა ადვილად და თავისუფლად შედის და იცვლევს გზას.

ამის შემდეგ კიროვიმ დაწერილებით ილაპარაკა: საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა შორის ჰომოშევიკური ორგანიზაციების ფართო ქსელის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე, მათი სტალინური მუშაობისა, მენშევიკური კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ მშრომელთა შეიარაღებული ბრძოლისა და სამჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ. დიდი ვატაციებით ლაპარაკობდა კიროვი მოსკოვში ლენინთან და სტალინთან შეხვედრებზე, ლენინის და სტალინის მითითებათა შესახებ, რომლებიც იძლეოდნენ გზას სწორი ნაციონალური პოლიტიკის წარმოებისათვის, ნაციონალიზმის აღმოფხვრისა და ამიერკავკასიის და სამჭოთა ყველა ხალხების შორის მეგობრული, ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებისათვის.

— ამხანაგებო, — განაგრძობდა საბჭოთა ქვეყნის დიდი მომავლის ჰერეტიკით აღტაცებული კიროვი, — ვერაერთარი ძალა ვეღარ გათიშავს მშობას საბჭოთა ხალხებისა, რომლებიც ერთიან შეთანხმებულ ოჯახად იცხოვრებენ ამიერიდან. მსოფლიო ისტორიაში პირველად იქმნება ერების ურყევი თანამეგობრობა, რომელშიც აყვავდებიან დიდი და პატარა, თავისუფალი, თანასწორუფლებიანი ხალხები... დაე, დღეს დასავლეთ-ევროპის მუშებისათვის ბნელოდეს. ხვალ ისინი დაინახავენ სოციალიზმის ზვიად მზეს, რომელიც სამჭოთა ქვეყანას ანათებს, იმ მზეს ვეღარ დარდილავს ვერაერთარი რეპუტირები, შემთანხმებული პოლიტიკა... — ისევ აღტაცებით განაგრძობდა კიროვი, — მრავალი საუკუნის წინათ დიდი მთავმართველი ოცნებობდა ეპოვნა დასაყრდენი წერტილი, მასზე დაყრდნობით რომ მოებრუნებინა მთელი დედამიწა. გავიდნენ საუკუნენი და ის დასაყრდენი არამც

თუ ნაპოვნია, ის შექმნილია ახლა ჩვენი ხელებით. არ გაივლის ბიკრის წელი, როდესაც ჩვენ, მთელ ხალხთან ერთად, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის მონაპოვარზე დაყრდნობით, დედამიწის ორივე ნახევარსფეროს კომუნისმის ვზისაყენ მოვაბრუნებთ. — ასე მიმართავდა ბაქოდან თბილისში მომავალი, დიდი ოპტიმისტი, ენთუზიასტი და რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი თავის ამხანაგებს. მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა და კომუნისმის გამარჯვების შესახებ ის ურყევი რწმენა მან რამდენიმე წლის შემდეგ ბაქოში და ლენინგრადში მოღვაწეობის დროს, თავის გამოსვლებში ისევე გაიმეორა. საუბედუროდ, ხალხის მტრებმა არ აცალეს მას, რომ დედამიწის ორივე ნახევარსფეროს კომუნისმის ვზისაყენ შემობრუნებას მოაწერებოდა.

კიროვი ისეთი დიდი რწმენით, ვატაციებით და ლამაზად ლაპარაკობდა, რომ მისი სიტყვები წარმატებულ მუსიკად და პიმნად ევლინებოდნენ მსმენელთა და მათ სულს თავისებური ცეცხლით აღანთებდნენ, ასეთი ცეცხლით აღანთებდა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი ციმბირის, სამხრეთ რუსეთის, ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, შუა აზიის, მოსკოვის, ლენინგრადის და ლენინგრადის ოლქის მშრომელ მოსახლეობას. ახლა ის ცეცხლი და მგზნებარე გული თბილისში, საქართველოში მიჰქონდა კიროვს, მონობის დამამზობელი დიდი ადამიანების — ლენინისა და სტალინის საღამო რომ გადაეცა ქართველ მშრომელ მოსახლეობისათვის და თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში დახმარებოდა მას. არ გასულა ამის შემდეგ შვიდი თუ რვა თვეც და მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი მუშების და გლეხების დაახმარებულად კიროვმა, წითელი ჯარებით, საარაკო გზა გაიარა, მაღალი, დაბუქული მამისონის უღელტეხილი გადალახა, საქართველოში მიორედ ჩამოვიდა და მენშევიკებისა და ინტერვენტების უღელქვეშ მგზინავ ქართველ ხალხს სამჭოთა ხელისუფლების დამყარებაში მიეშველა. კიროვი ლენინისა და სტალინისაგან იღებდა მაგალითს, თუ როგორ გემართებდა სოციალიზმის და კომუნისმის დასამყარებლად თავდადებული ბრძოლა და

შრომა, რომ ყველგან მოგვესპო ხალხ-  
თა ჩაგვრა და სულ მალე მსოფლიო  
პროლეტარული რევოლუცია გვეზივნა.  
ასეთი დიდი ადამიანი მოემგზავრებო-  
და ახლა მენშევიკურ საქართველოში

და გასაკვირი არ იყო, ლენინისა და  
სტალინის იმ ნამდვილ წარმომადგე-  
ნელს აქ ბოლშევიკური ორგანიზაციე-  
ბისათვის ფაქტიური ხელმძღვანელობა  
რომ გაეწია.

## პირველი შეხვედრა

„20 ივნისს საღამოს 6 საათზე თბილისში ჩავედი. ქალაქში ჩასვლი-  
სას დამიხედნენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე,  
სახალხო გეარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე გულელი და  
სხვა თანამდებობის პირნი. მისიის შენობასთან ქართველ ხელის-  
უფალთა მიერ დაყენებული იყო ყარაული“.

ს. კიროვი.

### 1

ზერბაიჯანი უკან დარჩა. მატარე-  
ბელი საქართველოს მიწა-წყალზე მოჰქ-  
როდა. შორს მთები გამოჩნდნენ. მთები  
სულ უფრო მაღალი ხდებოდაინ.  
კიროვმა ისევ მოჰტოვა თვალი და მთის  
მწვერვალებს გაჰხედა. სახეზე ღიმილმა  
გადაურბინა და იგი ცისფერთვალუბიან,  
გონიერ, სპეტაკ და გულლია ბავშვს და-  
ემგვანა. მთები ბავშვობიდანვე ოცნე-  
ბად ჰქონდა გადაქცეული მას. მთების  
ხილვა ყოველთვის აოცებდა, აჯადოებ-  
და და გამოუთქმელ სინარულს ჰგვრი-  
და. პირველად მთების სიდიადე კავკა-  
ში განიცადა. ქანდაკების ღვევისაგან  
ციმბირიდან კავკასიაში მატარებლით  
მომავალი ჰაბუკი მინერალურ წყლებს  
მიუახლოვდა. მორუბლული დღე იყო  
და მთები არა ჩანდნენ. ბესლანი-  
დან კავკაში საღამო ეკამს ჩავიდა.  
მთები კვლავ არა ჩანდნენ. ბინა ჰა-  
ლაქის განაპირას, რუსის ერთ პატარა  
სახლში დაიჭირა. ნაშუალამევს დაუვა  
და მგზავრობით დაღლილ ჰაბუკს მალე  
მკედარსავით ჩაეძინა. დილით გვიან გა-  
მოეღვიძა. მზე უკვე მაღლა იდგა.  
კიროვმა ფანჯარა გამოაღო, გარეთ გაი-  
ხედა და გაშტერდა, სულ ახლოს, კავკა-  
ვის ბაღებისა და ტყის იქით, უღრუბ-  
ლო, მოწმენდილ და მუქ-ლურჯ ცაზე  
აბჯნული მაღალი მთები იდგნენ... მათ  
უკან კი მარადი თოვლით დაბუქული,  
ბუმბერაზი მყინვარი აზლუდულიყო.  
მოჯადოებული მიაშტერდა მას დადუ-  
მებული და განცვიფრებული ჰაბუკი.  
მის მეხსიერებაში მაშინვე კავკასიაზე  
და საქართველოზე დაწერილმა პუშკი-  
ნისა და ლერმონტოვის ლექსების  
სტრიქონებმა გაიფლევს:

„И над вершинами Кавказа  
Изгнанник рая пролетал.“

Под ним Казбек, как грань  
алмаза,  
Снегами вечными сиял“.

იდიღხანს იდგა ფანჯარასთან მაღალი  
მთებია და ბუმბერაზი ყაზბეგის ჰერო-  
ტი მოხიბლული ჰაბუკი და მერმე ისე  
მოეჩვენა, თითქოს ამ ჰოზიდან კარში  
თუ გავიდოდა, უთუოდ გულკეთილ და  
გულმოკლულ მოხუცს — მაქსიმ მაქსი-  
მის და კავკავიდან ეტლით მიმავალ ჰა-  
ბუკ ოფიცერს — ცხოვრებაზე აღრე-  
ნილ, თავის თავში ჩაყვითილ, კუმტსა  
და მოწყენილ, მარტოხელა პეჩორინს  
დაინახავდა. „ვინ იცის, იქნებ პეჩორი-  
ნისადმი მამობრივი მზრუნველობით აღ-  
სავსე, გულუბრყვილო, გულკეთილი და  
პეჩორინის უმადურობით გულმოკლე-  
ლი მოხუცი ოფიცერი — მაქსიმ მაქსი-  
მიჩივ ამ ოთახში ცხოვრობდა“, — ფიქ-  
რობდა კიროვი... იგი კარში გავიდა. მო-  
ხუცი და ჰაბუკი ოფიცრები — მაქსიმ  
მაქსიმიჩი და პეჩორინი არსად სჩანდნენ,  
მათ ნაცვლად მეფის რუსეთის სულ  
სხვა ოფიცრებს მიჰყავდათ ახლა ჯარი  
დარიალისაკენ... მალე კიროვთან ჰა-  
ბუკი მუშა გამოცხადდა. კიროვმა მას-  
თან ერთად დაიწყო კავკავის მუშებს  
შორის მუშაობა. თვითმპყრობელობის  
ერთგული მცველები — ქანდაკები  
ზვერავენდნენ და უთვალთვალდნენ  
ციმბირიდან კავკავში ჩასულ ახალ  
კაცს. მტარველებს ღვევისაგან ციმბი-  
რიდან გამოქცეულ და თერგის ოლქში  
სამუშაოდ ჩამოსულ ჰაბუკს მუდამ ბუმ-  
ბერაზი ყაზბეგი, მისი სპეტაკი თოვ-  
ლი და მთებიდან აფრენილი არწივის

ლოლი ნაერდი ხიბლადა. ყაზბეგი, დარიალის ხეობა და საქართველოს მთები, თითქოს თაიისკენ იზიდავდნენ და უხმობდნენ მას: „შენც საქართველოში უნდა მიხვიდე, საღ უცხოვრია მხეკაბუქს — კობას, მგზნებარე კოლხიდელს“. ბოლოს ასრულდა ჭიბუქის ნატვრა. იგი დარიალის აკრეფელ კლდითა ქარაფებში შევიდა და აქაფებული და მარად მშფოთარე თერგის ცივი წყალი დალია. კასპიის ზღვამდე მიმავალი თერგის ბოლაზები, ჩრდილო კავკასიის თვალუწყადენი ველოდა და კავკასიის პირქვეშა მთებში მიიზიდნენ მას და მან ბრძოლაში გაიყოლია მამაცი კახაკები და მთიელები. ახლა არა ჩრდილოეთიდან, არამედ აღმოსავლეთიდან შედიოდა იგი საქართველოში.

## 2.

თბილისიც გამოჩნდა. განცვიფრებულ გასცქეროდა კიროვი მზიანი საქართველოს დედაქალაქს და მის ირვლივ აზლულულ მთებს.

„აი, ქვეყანა, რომელიც კავკასიის ყველა ერებზე ადრე ჩაება რუსეთის რევოლუციურ მოძრაობის ფერხულში და 1905 წელს ცარიზმთან ბრძოლით ყველა განაცვიფრა. — ფიქრობდა კიროვი, — აქ დაიბადა სტალინი, რომელმაც ლენინის დიადი იდეები საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში განავრცო და საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს... ახლა ამ ბორცუოზის ლაქიის და მეორე ინტერნაციონალის ბელადის — კაუცკის მოწაფემ, ცნობილმა მენშევიკმა ეორდანიამ, ბოლშევიკების და პროლეტარიატის დიქტატურის ამ დაუძინებელმა მტერმა, თავისი „დემოკრატიული სამოთხე“ აღამენა საქართველოში და საბჭოთა რუსეთს მოსწყვიტა იგი. მაგრამ მის დემოკრატიულ სიცრუეს ფარდა ეხდება, და ეორდანიას ქართველ მშრომელ მასებზე დღითიდღე ჰკარგავს გავლენას. ბურჟუაზიის, მემამულეებისა და ამათთან შეთანხმებულ მენშევიკური პარტიისადმი სიძულვილი და ზიზღი უკვე შექრილია როგორც საქართველოს ქალაქის, აგრეთვე სოფლის მშრომელთა ფართო ფენებში. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ საქართველოს მშრომელ მოსახლეობას აღვიღობრივი ბურჟუაზიისა და უცხოურ იმპერიალისტების ბატონობისა-

გან გათავისუფლების საქმეში. ჩვენ უნდა გავაძვეოთ ანტანტა საქართველოდანაც, რადგან რევოლუციის განვითარებაში უსაქართველოდ ვერ გაიმარჯვებს. კავკასია კი გასაღებია შავი ზღვისა და გზა მდებარე ევროპა-აზიის შორის, გზა მიმავალი საქართველო-ამიერკავკასიის აღმოსავლეთისაკენ. სწორედ ამ მნიშვნელოვანი გზისა და ბაქოს ნავთის გამო ეტანებიან ევროპის იმპერიალისტური ჰეგემები, უპირველეს ყოვლისა, ინგლისი კავკასიას. რევოლუციის ინტერესები მოთხოვენ, რომ ანტანტის კავკასიაში უკანასკნელი მისი პლაცდარმი — მენშევიკური საქართველო ხელიდან გამოეცალოს. ასეთი დიდი ამოცანა დგას ახლა ჩვენს წინაშე. ამიტომ მენშევიკურ საქართველოში მუშაობა ადვილი საქმე როდია. აქ პოლიტიკურად გაწვრთნილი, გამოცდილი და გაჩქილი მენშევიკები ეორდანიას, რამიშვილი, გეგეჭორი, ჩხენკელი და ყველასათვის ცნობილი ჩხიძე და წერეთელი მართავენ ჩვეყანას“.

კიროვი აღილეობული უახლოვდებოდა საქართველოს დედაქალაქს.

მატარებელი საღამოს 6 საათზე ჩავიდა თბილისში. წითელი არმიის მიერ დენიკინის ლაშქრის დარბევით და სამხრეთ რუსეთში და საქართველოს მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ფრიად შემწინებულ და საგონებელში ჩაყარდნილ მენშევიკურ მთავრობას ვერ გადაეწყვიტება, რომელ ძალისავეს გადახრილიყო იგი: საბჭოთა რუსეთისაკენ თუ ანტანტისაკენ. მენშევიკებს მერის მერად ემონოდათ, რომ სამოქალაქო ომებში გამარჯვებული, უზარმაზარი საბჭოთა რუსეთი წვრილ-ბურჟუაზიულ პატარა საქართველოს საზღვრებს მიადგა მაშინ, როდესაც ეორდანიას მიერ შექმნილ „დემოკრატიულ სამოთხეში“ უდიდესი ეკონომიური კრიზისი და მშრომელი მასების უემაციოფილება მძინინარვდა. „დემოკრატიული რესპუბლიკა“ მართლაც ვულკანზე იჯდა... ამიტომ ეორდანიას მთავრობამ საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს — კიროვს პირფერული და მლიქვნელური მებეჭდრა მოუწყო.

20 ივნისი იყო. ქალაქში ცხელოდა, თეორ ტანისაფოსში გამოწყობილი საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი

ქარცივაძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვალეო ჯუღელი და სხვა თანამდებობის პირნი თბილისის სადგურზე მივიდნენ. მათ არ მოეწონათ, როდესაც სადგურის მოედანზე და პერონზე კიროვის შესახვედრად მოსული მთავარ-სახელოსნოების და სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების უამრავი მუშები დაუხვდათ და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის უფროსს — კედის მათი გარეკა უბრძანეს. მალე სადგურზე საგანგებო რაზმის თანამშრომლები და მილიციელები მოზღვადნენ და მუშები სადგურიდან გარეკეს.

მატარებელი ჩამოვდა. ქარცივაძე და ჯუღელი ვაგონიდან ჩამოსულ კიროვის მიეგებნენ, მაგრად ჩამოართვეს ხელი და ცბიერად და პირფერულად გაუღიმეს, მაგრამ როდესაც პერონი სამი ვაგონიდან ჩამოსული საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლებით — მალაი, ქერა და მწითურ გაეკაცებით აოცესო, დიმილი უმაღლე გაქრა მათ სახეზე.

— კიროვი მთელი დღიზია წამოუყვანია მოსკოვიდან, — უჩურჩულა შემფოთებულმა ქარცივაძემ ჯუღელს.

— ესენი უთუოდ ყველანი საგანგებო კომისიის თანამშრომლები არიან, — ჩურჩულითვე მიუგო ჯუღელმა. მათი შემფოთება, შიში და ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც კიროვის ვაგონიდან სერგო ქავეჯარაძე, ვანო მანათაძე და ნიკო გოციარიძე ჩამოვიდნენ: ჯუღელი გაფითრდა და ისევ წასჩურჩულა ქარცივაძეს:

— მე ეპვიც არ მეპარება იმაში, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის სახით თბილისში საქართველოს რევკომი ჩამოვიდა.

„ინგლისი და საფრანგეთი თუ ახლანვე არ მოგვეშველნენ, ან კიდევ პოლონეთმა და ვრანგელმა საბჭოთა რუსეთზე არ გაილაშქრეს და გაიმარჯვეს, ბოლშევიკების თვდასხმისაგან სხვა ვერავეითარი ძალა ვერ გვიპატიებს. უთუოდ დავილუპებით“ — გაიფიქრა სამხრეთ ოსეთიდან ამ დილით ჩამოსულმა შეშინებულმა ჯუღელმა და აღრე გაქალაჩავებული ჯუღელმა და გაფითრდა. ჯუღელის შიში, შემფოთება და მღელვარება ქარცივაძეს და სხვა თანამდებობის პირთაც გადაედოთ. ის ეჭვი და შიში, რომ საბჭოთა

რუსეთის წარმომადგენლობის სახით თბილისში საქართველოს რევკომი ჩამოვიდა, ელვის სისწრაფით გავრცელდა მენშევიკებს შორის. მთხუნელადად იმისა, რომ ასეთი ეჭვისა და შიშისათვის საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა არავითარ საბჭოთს არ იძლეოდა, ჟორდანის მთავრობა კიროვის ჩამოსვლის დღიდანვე ეჭვის თვალით, შიშით და უნდობლობით ეკიდებოდა მას. უსაფუძვლო პანიკა დღეღღეზე ძლიერდებოდა, რაც მიზეზი გახდა ჟორდანის მთავრობის მიერ ბოლშევიკების წინააღმდეგ განახლებული სასტიკი რეპრესიებისა და ინგლისის უშამავლობით ვრანგელთან სამხედრო კავშირის დაღებისა.

საგანგებო რაზმის გადაცმული თანამშრომელი გარსემოორჩაყენ კიროვსა და მის წარმომადგენლობის მუშაკებს და ამ წუთიდან ზვერაყდნენ და ნაბიჯის თავისუფალ გადაადგმის უფლებასაც არ აძლევდნენ მათ.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე მთავრობის სახელით მიესალმა კიროვს. მან რუსი და ქართველი ხალხების ძმობაზე და მეგობრობაზე ილაპარაკა: საბჭოთა რუსეთის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიზანი სოციალიზმი. განსხვავება მხოლოდ სოციალიზმის მოპოებისათვის ბრძოლის მეთოდში არისო და დასძინა, საბჭოთა რუსეთსა და ანტანტას შორის ბრძოლაში ჩვენ ნეიტრალიტეტს ვიცავთ, მაგრამ მთელი ჩვენი სიმპატიები, რა თქმა უნდა, მთლიანად, რევოლუციისა და საბჭოთა რუსეთის მხარეზე არისო. ჯუღელმა, დაახლოებით იგივე ილაპარაკა.

— ნება მიბოძეთ, — დაიწყო მან, — მუშურ-გლეხური, წითელი, სახალხო გვარდიის სახელით მხურვალედ მოგესალმეთ თქვენ მუშურ-გლეხურ საბჭოთა ქვეყნის სრულფელციან წარმომადგენელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თქვენცა და ჩვენც პროლეტარიატის ინტერესებს ვემსახურებით. თქვენც და ჩვენც რუსეთის რევოლუციონერების ტრადიციებზე აღზრდილი სოციალ-დემოკრატები ერთ წერტილში ვცემთ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სოციალიზმისაკენ თქვენ კლასთა ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურის გზით მიემართებით, ჩვენ კი — კლასთა თანამშრომ-

ლობის, რეფორმების გზით. სულ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკა ყველა სოციალისტურ რეფორმებს ჩაატარებს და მაშინ სადავო ჩვენ შორის არაფერი იქნება. თქვენ დიდი და ძლიერი ქვეყანა ხართ, ჩვენ კი პატარა, კეთილი იყო რევოლუციის დიდ ქვეყნიდან დემოკრატიულ პატარა ქვეყანაში თქვენი ჩამობრძანება, — დაამთავრა ჯუღელმა თავისი პირფერული სიტყვა, კიროვის გაუღიმა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

„აი, ნამდვილი მენშევიკები, თვალთმაქცები და მატყუარები“, — გაიფიქრა კიროვმა და მაშინვე ლენინის სიტყვებზე მოაგონდა: „რანი არიან მენშევიკები? ეს ის ადამიანებია, რომლებიც ცხვირით სინჯავენ, თუ საითკენ უბერავს ქარი. როდესაც საერთაშორისო მდგომარეობის მხრივ ჩვენ სუსტნი ვიყავით, ისინი გაიტახოდნენ: „ძირს ბოლშევიკები“. როდესაც ჩვენ ბოლშევიკება ვიწყეთ, ისინი გაიძახოდნენ: „ჩვენ — ნეიტრალიტეტს ვიცავთ“. როდესაც ჩვენ მტრები მოვიგურიეთ, ისინი ამბობდნენ: „დიახ, აქ ორი ძალა არის“.

კიროვმა თავის საპასუხო მოკლე სიტყვაში ქარცივაქის და ჯუღელს უთხრა, რომ ჩემი დიდი სურვილია, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრული კავშირი და ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა დამყარდეს, რომ ქართველმა შრომელმა ხალხმა კაპიტალიზმს და იმპერიალისტურ ქვეყნების უღელს, რაც შეიძლება, მაღალ დაღწიოს თავი, სრული თავისუფლება მოიპოვოს და ისეთი სახელმწიფოებრივი მართველობის ფორმა აირჩიოს, როგორც მას თვითონ სურსო.

## 3

— ადვ. ბიჭო, ტანთ ჩაიცვი. ამდენი ძილი ვის გაუგონია, კიროვის შესახებ დიდ სადღურისაკენ უამრავი ხალხი მიედინება, — აღტაცებით უთხრა თავის ოთახში ტახტზე წამოწოლილ გამხდარ და გაფითრებულ კორნელის ახვანმა და მისიგან გატრუსულმა ვაჟკაცმა მიტო მისკაიძემ, რომელსაც საპატიმროში ჩამტვრეული ნივნები გამრთელეზობდა, ნაგანის კონდახით გახეთქილ ყბაზე დაჩნეული იარა შეხორცებოდა და ნახმლევივით აჯდა.

კორნელის ბეჭი რამე ჰქონდა ვაგონილი კიროვის შესახებ, განსაკუთრე-

ბით კი ვანო მახათაძისაგან. მთხედავად იმისა, რომ კორნელი საპატიმროს შემდეგ ძალზე დასუსტებული იყო და ძილს თავს ვერ ართმევდა, გეგუცნობის მოყვარეობამ წაიღო, საქაროდ ჩაიკვა და მიტოს სადღურისაკენ გაჰყვა.

ბაქოდან კიროვის გამოგზავრება ქვეყრაძემ მაშინვე აცნობა თბილისელ ამხანაგებს. ქალაქის შრომელმა მოსახლეობამ კიროვის შესახებ დიდ სადღურისაკენ ნაშუადღევს 2 საათიდანვე იწყო დენა...

როდესაც სავანებო რაზმის აგენტებმა და მილიციელებმა პერონზე, სადღურში და სადღურის მოედანზე თავმოყრილი ხალხი გარეკეს და თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები და მოქალაქენი საბჭოთა მისიის და სავარეო ვაჭრობის წარმომადგენლობისათვის ქალაქში მიჩინილ სახლისაკენ გაემუშვნენ, მიტო და კორნელიც მათთან ერთად იქეთკენ წავიდნენ.

სამსართულიანი, დიდი და ახალი სახლი წინა ფასადით, რტიშევის (ახლანდელ ჯაფარიძის) ქუჩაზე გადიოდა, უკანა მხრით კი — ბაღში. სახლის წინა ქუჩა ხალხით იყო გაქვედილი.

საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7-მაისს დადებული ხელშეკრულების თანახმად საქართველოს მენშევიკური მთავრობა ვალდებული იყო კომუნისტური პარტიის ლეგალიზება მოეხდინა, საპატიმროებიდან პოლიტიკური დამნაშავენი გაეთავისუფლებინა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ თეთრი არმიებისათვის არავითარი დახმარება არ გაეწია. მაგრამ კიროვის ჩამოსვლის წინა დღეებში სამხრეთ ოსეთში ბოლშევიკებმა აჯანყებამ იფეთქა. ამ აჯანყების ჩასაქრობად მენშევიკებმა მთავრობამ დიდი სამხედრო ძალები: ქვეითი, ცხენოსანი ჯარი და არტილერია გამოიყვანა, იგი სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულთ და მთელ სამხრეთ ოსეთს ციციბლითა და მახვილით სწევდა და იმორჩილებდა.

სამხრეთ ოსეთის წითელი პარტიზანები იძულებული გახდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილთან ერთად, ქალებით და ბავშვებით, საბჭოთა თერვის ოლქში გადასულიყვნენ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი სამხრეთ ოსეთის ტყიან მთებში გაიხიზნა. ვვარდიელები და ჯარები, ჯუღელის მეთა-



ურობით, დევნიდნენ და ქლელდნენ მათ, ხოლო იმ სოფლებს, რომლებშიც საბოთა ხელისუფლება გამოცხადდა, ჯუღელმა ზარბაზნები დაუშინა, დაანგრია, ცეცხლს მისცა, სულ თლავ გადსწვა და აღმართობით ხანძრის სანახაობით ნერონივით სტეკებოდა და თავის უმსგავსო და სამარცხინო დღიურს — „მძიმე ჯვარს“ სწერდა, რომელშიაც მანიაკი ურცხვად ამბობდა: „ახლა ლაშქა და ყველგან მოსხანს ცეცხლი. იწყის აჯანყებულთა სახლები. მე ამას უკვე შევეჩვიე და ვუყურებ დამშვიდებით“. უორდანიას მთავრობის ჯარები მცხოვრებლებს ძარცვდნენ და აწიოკებდნენ. ტყვედ ხა ვარდნილთ კი ხვრეტდნენ. სამხრეთ ოსეთის აწიოკება ჯერ კიდევ არ იყო აღმთავრებული, როცა ჯუღელი კიროვის შესახებ დრად თბილისში ჩამოვიდა. კიროვის ჩამოსვლის შემდეგ სამხრეთ ოსეთის აჯანყებულმა გლეხებმა საბჭოთა ქვეყნის სრულუფლებიან წარმომადგენელს მიპმართეს და შევლა თხოვეს. კიროვმა შემდეგ მკაცრ დიპლომატიურ ნოტებში მენშევიკებს „დემოკრატიზმის“ ნიღაბი ჩამოხადა და უცხოური ბურჟუაზიის ამ ნამდვილ ლაქიების პირფერობა, ვერაგობა და უმსგავსობა მთელი ქვეყნის წინაშე ამხილა. ოსეთის აჯანყებას მენშევიკური მთავრობა ქართველ ბოლშევიკებს და საბჭოთა რუსეთს აბრალებდა. იგი საგანებელში ჩავარდა და ბოლშევიკებს აპატირებდა.

მთხედავად ბოლშევიკების დაპატირებისა და დევნისა, კორნელიმ საბჭოთა მისიის შენობის წინ თავმოყრილ ხალხში ცნობილი ბოლშევიკები საღარაძე, დალაქიშვილი, გურგენიძე, ილავიძე და სხვანი დაინახა. აქვე დაინახა მან მუშები — ვანო მახათაძის და შიტო ჩიკვაიძის მამები, დანგაძე, ჩაბლიგინი, კარო იარალავი...

თბილისის ფაბრიკისა და ქარხნების მუშები მოუთმენლად ელოდნენ კიროვის მოსვლას, მაგრამ საგანგებო რაზმის აგენტებმა და მილიციელებმა არც აქ დააყენეს ისინი და მახლობელ ქუჩებისაკენ ვარევეს...

კორნელიმ ხალხისაგან გათავისუფლებულ ქუჩის თავში ჯარისკაცთა

რაზმს მოჰყრა თვალი. რაზმს ცნობილი კაპელმეიტერის მიზანდარის, მეთაურობით სასულე ორკესტრი მოუძღვოდა. ოფიცერმა რაზმი საბჭოთა მისიის შენობის წინ დააყენა. კორნელიმ მაშინვე შეხიზნა, ახოვანი ჯარისკაცები რსფსრის სრულუფლებიანი წარმომადგენლის შესახებ დრად რომ იყენენ საგანგებოდ შერჩეულნი და საზეიმოდ ჩაცმულნი.

კორნელიმ მანქანათა გუგუნის შემოესმა, ხალხმა იხუელა, მილიციელებმა და კედლის რაზმის აგენტებმა მუშები ვერ დააკავეს და ისინი მისიის შენობისაკენ გაქვიდნენ.

წინა მანქანაში კორნელიმ კიროვი და მენშევიკურ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აშხანაჯი ქარცივაძე დაინახა, მეორეში — გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ჯუღელი და მისი მოადგილე და სხვანი.

„ჯალათი“, — შემოესმა კორნელის ზურგს უკან ჯუღელის მისამართით. უცხოობის წამომახილი ტაშმა დაღარა. მოშობმა კიროვი დაინახეს. მიესალმნენ და შესძახეს: „გაუმარჯოს კიროვს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს!“.


კიროვი, ქარცივაძე, ჯუღელი და საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი მანქანებიდან ჩამოვიდნენ და საელჩოს შენობისაკენ გაეშორნენ.

ოფიცირმა ბრძანება ვაცა. საყარაულო რაზმის ჯარისკაცები გასწორდნენ, თოთბი ბელთ აიღეს და ორკესტრმა მენშევიკური საქართველოს ჰიმნი დაუქრა.

ამ ცერემონიული და პირფერული შეხვედრის შემდეგ მენშევიკების რწმუნებულებმა კიროვი და მისი აშხანაჯები საელჩოში შეიყვანეს, ბინამდე მიაცილეს და იქ დაემშვიდობნენ.

საბჭოთა მისიის სახლის წინ შეგროვილი მუშები არ იშლებოდნენ და აღელვებული მოელოდნენ აივანზე კიროვის გამოსვლას და სახელდახელოდ მოწყობილ მიტინგზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის მიერ სიტყვის თქმას.

უცბად კარები გაიღო და მუხინის კარპოვის, ქავეთაძის, მახათაძის და



სხვათა თანხლებით აივანზე კიროვი გამოვიდა. მოზღვავებული ხალხი შეიხრა და ცქერად იქცა.

## 4.

თბილისის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშეები სიხარულით და ღიმილით გასცქეროდნენ თეთრხალათიან, მათებრ შოლიძარ და უბრალო, ფართოსახიან, ტანმოჩრილ და ბრგე ვაჟკაცს, რომელსაც თბილისის მშენებელ, მოციხფრო, პატარა თვალეზზე კეპი ჩამოეფხატა. ჯერ სიტყვაც არ ამოელო კიროვის და მაინც ყველა მუშა გრძობდა, რომ იგი მათი ღვიძლი — ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი იყო.

კიროვის გვერდით შეეგვრემანი, ლამაზი, გონიერი, უშიშარი ვაჟკაცი ქავეჩარაძე, მუშათა კლასისათვის თავგამოდებული მებრძოლი, სუსტი, ყელმოღერებული და თვალანთებული ქაბუჯი მახათაძე, არწივივით მხრებაჩეჩილი, ჭრობათვალეზიანი, მღუმარე და მტერთათვის რისხვის დამცემი ქერა კაცი კარაბოვი, იატაკქვეშ უებარი მომწევე, ახოვანი ნიკიტინი და დედამიწაში ღრმად ფესვგადგმულ, კორძიან, დაბალ მუხასავით მაგარი და ურყევი, ჯან-ღონით სავსე მწითური კაცი მუნინი იღვანე — რევოლუციის მოწინავე ჯარისკაცები. მაინც მოწინავე მათ შორის კიროვი იყო, ჰემპარიტი კომუნისტი, ჩვენი ეპოქის უშესანიშნავესი ახალი ადამიანთაგანი, ლენინისა და სტალინის მიერ საქართველოში წარმოგზავნილი მშვიდობის მოციქული, მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლი გმირი და რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი.

კიროვი ოდნავ მოჭუტული, მოლიმარი თვალეზით დასცქეროდა აივნიდან მზიან საქართველოს ჭაღარა დედამიწაში თავშეყრილ უამრავ მშრომელ ხალხს, მაგრამ მენშევიკებისა და უცხოელ ინტერვენტების მიერ წლობით ნაწამები, გაძალტყავებული, გაჩანაგებული და ჩამოკონილი მუშეები რომ დაინახა, ღიმილი უმაღლე გაქრა მის სახეზე, შუბლი შეიკოჭხნა, ბაგი მრისხანებით მოკუმა, ქოჩაში შეკრებილი ყველა მუშა შეებრაღა და განკლილი ტანჯვის გამო მათი ნუჯისცხმა და ამბორი მოუნდა, რომ შესძლებოდა, გოლში ჩაიკრავდა თვითველ მათგანს.

დიდი ტრიბუნი პირველად დელავდა ამრიგად.

კიროვმა კეპი მოიხადა, მწიფე მერისფერ და აბრეშუმისფერ ნაზ თმაზე ხელი გადაისვა და ძერმე გულში ჩამწვდენი, მქექარი ხმით დაიწყა სიტყვა და საქართველოს მუშათა კლასს რუსეთის პროლეტარების გულთათლი სალაში გადასცა.

დიდის ცოდნით, სიყვარულით და მგზნებარედ ილაპარაკა კიროვმა საქართველოს ხალხს ბრწყინვალე წარსულზე, მის დიდ და ძველ კულტურაზე, გენიოს შოთა რუსთაველზე, თავისუფლების შენარჩუნებისათვის მუსულმანურ, ძლიერ სახელმწიფოებთან ქართველი ხალხის დაუსრულებელ ბრძოლებზე. ასე მოვიდა იგი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნემდე. მარაგზადედიტ შემოსა მან საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელების წრიდან ათასობით გამოსული ის მებრძოლები, რომლებიც ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ, დევრილებით ილაპარაკა რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ საქართველოს დაპყრობის, გლეხთა აჯანყების და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის და მეოცე საუკუნის დასაწყისის შესახებ, როდესაც ლენინის დიდი იდეები რუსეთის პროლეტარიატს ეუფლებოდნენ და საქართველოს მუშათა კლასის უკეთესი წარმომადგენლები ლენინის დროშის ქვეშ დადგნენ, როდესაც რუსეთის მუშათა კლასიდან და ლენინიდან მომდინარე ხელმძღვანელობის ძაფები გაიბა საქართველოს ნორშ პროლეტარიატთან, ამიერკავკასიის პირველ ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, რომელთა სათავეში სტალინი იყო. დიდის გზებით და გატაცებით ილაპარაკა ამის შემდეგ კიროვმა ლენინის მოწაფის და თანამებრძოლის, საქართველოს სასიქადლო შეილის სტალინის შესახებ. მძაფრად გამოძიერა და ხათლად დაანახა მსმეხელებს ლენინისა და სტალინის გენიალური პიროვნებები და ხელსახობი გახდა მათი ფასდაუფებელი ღვაწლი მუშათა კლასის წინაშე.

ხალხი მოჯადოებული უსმენდა კიროვს. მისი ხარბით ნმა ჰაერს ჰკვეთდა, ქალაქის ხალხების თავზე გადადიოდა, მთაწმინდის კალთებს იჯახებოდა, მწვერვალს წვდებოდა და შორს მიჰქროდა. კიროვი მთელის ტანით ირხებოდა

აივანზე, წინ იწევდა და ხელს იშვერდა, თითქოს მთელი ძისი არსება დიად მომავლისაკენ გასაფრენად ემზადებოდა და მსმენელთაც იმ დიად მომავლისაკენ ეზიდებოდა.

მსმენელი სულგანბული უსმენდნენ ახლა კიროვის, რომელიც ისევ გატაცებით მოუთხრობდა მათ, თუ რა მშვენიერად აღმოცენდნენ სტალინისა და მისი თანამებრძოლების მიერ საქართველოში და ამიერკავკასიაში დათესილი ლენინიზმის მარცვლები.

კიროვის სიტყვა მართლაც მჭევრმეტყველების საუცხოო ნიმუში იყო.

— მეოცე საუკუნის რევოლუციურ ქარიშხლების დროს, — ვანაგრძობდა კიროვი, — საქართველოს მშრომელი მასები მჭიდროდ დაუკავშირდნენ რუსეთის პროლეტარიატს და მის მოწინავე რაზმს — პეტერბურგის მუშებს. ის კავშირი განუზრეული დარჩა. ის კავშირი შედუღებულია, როგორც რუსი პროლეტარიატის და გლეხობის, აგრეთვე ქართველი მშრომელი მასების მიერ ცარიზმთან ათეული წლების ბრძოლისა, სამოქალაქო ომში, ინტერვენტებისა და კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლებში დაღვრილი სისხლით.

ბოლოს კიროვმა სავსებით გაძვანტა და გაეცამტყერა ის პროვოკაციული, უმგავსო ჭორი და ცილისწამება, რომელსაც რამდენიმე წლის მანძილზე ავტოკლებდნენ მუშევიკები და სხვა კონტრრევოლუციური პარტიები საბჭოთა რუსეთის შესახებ. და ბოლომდე ამხილა რეაქციული ბურჟუაზიის და მენშევიკების ოინები კაცთმფლვარებისა და ომის იდეების შესახებ და მუშებს საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკა გააცნო და თავისი სიტყვა ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის მოწოდებით დაამთავრა.

ხალხით გაქედლიმა ქუჩამ განუწყვეტელი ტამით იგრილა.

კორნელისა და მიტოს არასოდეს მანამდე არ მოესმინათ ასეთ ენაზე ადამიანისათვის. ისინი აღტაცებით უცქირდნენ ერთმანეთს და ჯერ კიდევ მოესმოდათ კიროვის სიტყვები და იმ სიტყვებით მოჯავობებულობს ეპიკო არ ეპარობოდათ იმაში, რომ კიროვის მზეებერ მგზნობარე სიტყვას მარადიამ შეინახაიდა თბილისი და მისი ქუჩა. კიროვის

სიტყვა ღრმა, ნათელი, ყველასათვის გასაგები და გულში ჩამწვდენი იყო. მუშები რევოლუციურ ღონისძიებებს გაიძახოდნენ:

„გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!“

„გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლუციას კავკასიაში!“

„გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!“

„გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

კორნელის გააფრთხილა და აივანზე მდგომ ორატორისადმი — კიროვისადმი ღრმა სიყვარული იგრძნო. ამასვე გრძნობდა შიტიხზე მოსული თითოეული მუშა და მოქალაქე, მაგრამ ასეთ გრძნობას როდი გახიციდნენ ხალხში შერეული მენშევიკები და მათი აგენტები.

კიროვის ჩამოსვლის შემდეგ ქორდანის მთავრობამ გახსაკუთრებით ნათლად იგრძნო თავისი ბატონობის სისუსტე და საბჭოთა რუსეთის ძლიერება.

## 5.

კორნელი კიროვის პიროვნებით და სიტყვით მოხიბლული დაბრუნდა შინ. მას მანამდეც მოუსმენია პოლიტიკური მოღვაწეებისათვის — ქორდანია, ჩხეიძე, წერეთლისათვის. ქორდანისა ენა ებმობდა, ჩხეიძეც მჭევრმეტყველებით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა, წერეთელს კი მენშევიკები ოქროპირს უწოდებდნენ. იგი მართლაც მჭევრმეტყველი კაცი იყო, ცნობილი თავისი მენშევიკებით და პოლემიკური ნიჭით. მაგრამ მასებს მოწყვეტილი და მშვიდ კამბინეტადან მოსული ის პოლიტიკური მოღვაწე რაღაც დუნედ, ყრუ, დახშული ხმითა და უჩინოდ ლაპარაკობდა. თითქოს გაზეიბებულ გაკვეთილს მესადე ამბობსო. იგი რუსულის ცოდნით იკვეხნიდა, მაგრამ რუსი ხალხის ცოცხალი ენის სტიქიაში შესული არ იყო და ლიტერატურულ ტრადიციებით იკვებებოდა. მის სიტყვას პათოსი, გატაცება და გაბარაზება მხოლოდ მაშინ დაეჩაობოდა, როდესაც იგი საბჭოთა ქვეყნის, სამოქალაქო ომის, რუს პროლეტარულ ბელადების, კლასთა ბრძოლის, „როსული ცდის“ და „ბოლშევიკური ტერო-

6.



რის წინააღმდეგ იწყებდა ლაპარაკს და იმის მტკიცებას, რომ პროლეტარიატს ძალდატანების გარეშეც შეუძლია მოიპოვოს ძალაუფლება. ყოფილი თავადი წერეთელი — წერილობრივუბიული დემოკრატიის ღვიძლი შვილი, კაუცკის, პლენხანოვისა და ეორდანიას მიმდევარი იყო. ახალი იმპერიალისტური ომის შემზადების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან იმპერიალიზმის ბრძოლის, სავრთაშორისო პროლეტარული რევოლუციის განვითარების, კოლონიებში გამათავისუფლებელი უდიდესი მოძრაობისა და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ყველა წინააღმდეგობათა გამათავისუფლებელ წინააღმდეგობათა და ეორდანიასთან ერთად გააფთრებით ექსპონდა თავს კომუნისტურ პარტიას, ბურჟუაზიულ დემოკრატიას უჭერდა მხარს და კლასთა ბრძოლის აზრს ამახინჯებდა. საბჭოთა რუსეთიდან გამოძევებულ და მენშევიკურ საქართველოში ჩამოსულ და მოკალათებულ „რევოლუციონერს“ მხოლოდ ვიწრო წრეში და დამფუძნებელ კრებაში თუ შეეძლო თავისი მშვიდი კაბინეტიდან გამოძვრომა და მენშევიკური მშვენიებით სავსე სიტყვის თქმა. ფაბრიკაქარხნებში და მუშათა აუდიტორიაში კი იგი რუსეთში და საქართველოშიც იმეფითად გამოდიოდა, რადგან იქ მის სიტყვას გასაველი არა ჰქონდა.

კიროვი სულ სხვა ტიპის ტრიბუნა იყო. უღარიბეს ოჯახიდან გამოსულ ამ ქეშმარიტ რევოლუციონერში მუშეები ყოველთვის თავის კაცს ხელადენენ. კიროვის სიტყვაში აზრთან ერთად დიდი გზნება იგრძნობოდა. მისი სიტყვა მსმეხელს გონებას უხსნიდა და უკეთეს მომავლისათვის, სოციალიზმისა და კომუნისმის დამყარებისათვის სამომხედოდ და საბრძოლველად აღაგზნებდა. და აი კიროვის სიტყვის ჯადოსნურმა ძალამ კორნელიც სამუდამოდ მოხბოლა. კიროვმა თავისი სიტყვით თითქოს ფარდა ასწია და კორნელის მისთვის უცნობი და სრულიად ახალი სამყარო დაანახვა. ის სამყარო ხიბლავდა და იზიდავდა ახლა კორხელის და მასაც კიროვთან შეხვედრა, მასთან საუბარი და საბჭოთა ქვეყნის ნახვა სწყურებოდა. ეს სურვილი აღარ ასვენებდა კორნელის, ბოლოს ასრულდა მისი ნატვრაც.

კიროვმა საქართველოში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები მოიწვია, თათბირი კიროვის დიპლომატიური კორპუსისათვის მიზნული სახლის დარბაზში გაიმართა. ეს მეორე თათბირი იყო. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის მხრით კარპოვი, მუხინი, ნიკიტინი და კიროვის პირადი მდივანი — ტომსკის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის ყოფილი სტუდენტი, შერა და გამხდარი კაცი დიმიტრი (მიტია) იაროსლავსკი დაესწრნენ, ქართველი კომუნისტების მხრით კი — სალარაძე, დალაქიშვილი, ჭავჭავაძე, გურგენიძე, მახათაძე და სხვანი.

შუა დარბაზში კიროვი იდგა და ქართველ ამხანაგებს ესაუბრებოდა. მას უკრაინელი თეთრი ხალატი, შავი შარვალი, ჩექმა ეტეა და წელზე ფართო, ყვითელი სამხედრო ქაშარი ერტყა. „რევოლუციის ქეშმარიტი ჯარისკაცია“, — გაიფიქრა დარბაზში ახლად შესულმა ვანო მახათაძემ. კიროვთან მივიდა, ხელი ჩამოართვა. ჭავჭავაძის გვერდით დადგა და სმენად იქცა, კიროვი მენშევიკების მიერ კლასთა ბრძოლის აზრის დამახინჯების გამო ელადებოდა ფარნაოზ სალარაძეს, რომელსაც მარქსიზმის ერთ-ერთ ცნობილ თეორეტიკოსად თვლიდნენ საქართველოში:

— ეორდანიამ კარგახანია უყე, რაც მარქსიზმის პოზიციები დასთმო. ის წერილობრივუბიულ მყივანად იქცა, ეს არის და ეს. იგი იმიტომ ესხმის თავს ასეთი ვაკოფებებით კომუნისტურ პარტიას, რომ უკანასკნელის ხელში გადავიდა მარქსის ნამდვილი მემკვიდრეობა, უფრო საიმედო ხელში, ვიდრე ფაფუკი ხელისგულეები წერილობრივუბიულ ფარისეველთა, რომელთაც შემთანხმებულ მათ ცოდვათა მიტეეებას ახლამოადელმთავარი კაუცკი ანიჭებს. — ამბობდა კიროვი თავისი ცოცხალი, ხატოვანი და დამცინავი ენით. მერმე ისევ კაუცკის და ეორდანიას მიადგა:

— ჩვენ კარვად ვიცით ეორდანიას „დემოკრატიული რესპუბლიკის“ და მისი „ნეიტრალიტეტის“ ფასი. იგი ისე როგორც მისი მასწავლებელი მოხუცი კაუცკი არა ნაკლებ ვიდრე პილსუდსკი და ჩერჩილი აქეზებს ყველას საბჭოთა

კავშირის წინააღმდეგ ომისათვის, პილსუდსკი და ჩერჩილი ხმლით გვებრძვიან ჩვენ, კაუცი და ჟორდანია კი კალმით და მეორე ინტერნაციონალის საზოგადოებრივი აზრით.

ეს ის დრო იყო, როდესაც პილსუდსკის პოლიტიკით ჩერჩილის დახმარებით და კაუციის ლოკა-კურთხევით საბჭოთა რუსეთთან ომს აწარმოებდა და ბელარუსიისა და უკრაინის დაპყრობას ლაშობდა.

კიროვმა შუბლი შეიჭმუნა.

7.

კიროვი თავის საწერ მაგიდასთან მივიდა და თათბირზე მოწვეულ ამხანაგებს სახოვა დამსხდარიყვნენ. ვანო მახათაძე წითელ მაუღით დაფენილ გრძელი მაგიდის თავში დაჯდა და კიროვს მიაქერდა. კიროვს შუბლი კვლავ შეჭმუნებოდა, იგი დაჯდა, თავი ასწია და დამსწრეთ თვალი გადააგლო. მისი ოდნავ მოკუტუღი მოცისფრო თვალები ალარ ციმციმებდნენ ალერსიანი დიმილით და შიგ რისხვა შეპარულიყო. კიროვს ხშირად დღითა და ღამითაც უხდებოდა მუშაობა. დაღლა დასტყობოდა და მთელი ლოყის გასწვრივ ღარა ნახმლევივით დასჩენდა, ერთი თვეც არ იქნებოდა გასულა მას შემდეგ, რაც კიროვი საქართველოში ჩამოსულიყო და ამ ხნის განმავლობაში ინტრიგებით, დეჰავაიკითა და პრაოკაციით ცნობილმა ქართველი მენშევიკების ლიდერებმა: ჟორდანია, რამიშვილმა, გეგეჭკორმა, ჩხეიძემ და წერეთელმა მას საქმე გაუჭირეს.

საქართველოში კიროვის ჩამოსვლა და კომუნისტების იდეების ზრდა ძილს უფრთხობდა და მოსვენებას არ აძლევდა ჟორდანიას მთავრობას. მენშევიკებმა კიროვს, მისი მისიის და საბჭოთა საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობის წევრებს აგენტების, ჯაშუშების ფართო წრე შემოართყეს და ნაბიჯის გადადგმასაც კი უკრძალავდნენ. არამც თუ მისიის და საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობის წევრებში, არამედ თვითონ ულ დიპლომატიურ კურიერში, რომელიც კი საქართველოს მიწა-წყალზე ფეხს შემოსდგამდა, მენშევიკური მთავრობა მზად იყო ახალი კომუნისტური აჯანყების ბელოდ დაიხანა. აპატივებდა მას და ჩხრეკდა მის ბარჯს. საბჭოთა მისიის წევრებს „მოსკოვის

აგენტებს“ უწოდებდა და კიროვსა და მის ამხანაგებს კი, როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულ „საქართველოს რევკომად“ წათლავდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მენშევიკებმა რაფსრა-ის. სავაჭრო წარმომადგენლობიდან საბჭოთა დროშის ჩამოღებაც კი სცადეს. ჟორდანიას მთავრობა არღვევდა საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას და კვლავ გახაგრძობდა ყირიმში ვრანგელისათვის რუს თეთრგვარდიელ ოფიცრების გადაგზავნას და ბენზინისა და ნავთის გადაზიდვას. ამავე დროს მენშევიკები ყოველდღე აპატივებდნენ ქართველ კომუნისტებს, ხურაენენ მათ გაზეთებს და სულს ხდიდნენ ქართველ მუშებსა და გლეხებს. კიროვი დაუსრულებელ ხორცებს უგზავნიდა ჟორდანიას მთავრობას ხელშეკრულების დარღვევის გამო, მაგრამ პოლიტიკურ მაქინაციებში გაქეპილი მენშევიკების ბელადები იმპერიალისტური ქვეყნების გულის მოსაგებად კვლავ განაგრძობდნენ აჩეჩებულ გზით სიარულს, ავრცელებდნენ ათასგვარ ჭორებს ბოლშევიკების შესახებ, მიმართავდნენ პრაოკაციას, ხრიკებს, ცილს სწამებდნენ კიროვს ოსეთში შეიარაღებული აჯანყების გამო და მის დიპლომატიურ მუშაობისათვის ისეთ ურთულეს პირობებს ქმნიდნენ, რომ იგი იძულებული გახდა ლენინისათვის მიეწერა: „ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძვე! თქვენი წინახედვა ჩემი აქ მუშაობის შესახებ ბრწყინვალე და ყოველ ნაბიჯზე დასტურდება“. მიუხედავად ამისა, თავის დიპლომატიურ მისიას საქართველოში იგი ჩინებულად ასრულებდა, საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სულ მალე ქართველ მუშებსა და გლეხებს თავის ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ.

8.

—ამხანაგებო, — დაიწყო კიროვმა, — დღევანდელი თათბირის მიზანია საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, ლეგალიზაციის ახალ პირობებში საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ ერთი გარკვეული შეხედულების მიღება და

ერთსულოვნების მიღწევა. რამდენადაც მე ვიცი, მენშევიკურ საქართველოსთან ხელშეკრულების დადებამ მეტად უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ ამხანაგებზე. ბევრს დღესაც არ ესმის ამ მხრივ ჩვენი პოლიტიკის მიზანშეწონილობა... ბევრს კიდევ ისე ჰგონია, თითქო საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლით პარტიას განუსაზღვრელი საშუალება ეძლევა კომუნისტურ მუშაობისათვის. ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც კომუნისტური პარტიის ლეგალური არსებობის აუცილებლობას ჰკულისხმობს, მენშევიკებს ისედაც ვერ მოუხელეობიათ ჩვენს პრესაში მენშევიკურ საქართველოს მთავრობის მიმართ აღებული საბრძოლო ტონი, ეს მენშევიკებმა საბაბად გამოიყენეს და კომუნისტური პარტიისა და პრესის წინააღმდეგ რეპრესიები განაპირობეს.

ამის შემდეგ კიროვმა მოკლედ ილაპარაკა დასმულ საკითხებზე და თხოვა ამხანაგებს თავისი აზრი გამოეთქვათ და პარტიის უხუცეს წევრებს ქალაქ-შერთულ წვერ-ულვაშიან სალარაძეს და დალაქიშვილს გადახედა. მათ არ დაყოფხეს თავისი ოპოზიციური სულისკვეთება გამოემტკიცებინათ.

— საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკის მიზანშეწონილობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკურ საქართველოსთან, ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტია ერთგვარ ჩიხში მოექცა. — განაცხადა სალარაძემ და განაგრძო: — ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება თვით ქართველი მუშების და გლეხების საქმეა, მაგრამ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზაობას ნიადაგი გამოეცალა. ჩვენ საბჭოთა ქვეყნისაგან გათიშული აღმოვჩნდით და გარედან დახმარების იმედიც მოგვესპო. მართალია, ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ საპარტიოებიდან გაგვათავისუფლეს და ლეგალური მუშაობა დაიწყო, მაგრამ ამით საშუალება მიეცა მენშევიკურ მთავრობას გაცნობოდა ჩვენ ძალებს და მერმე გაენადგურებინა იგი. ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებთან და რედაქციებთან საქართველოს ყველა ქალაქში და სოფელში რამიშვილის და

კედის აგენტები და ჯამუშები იღვწენ და ჩვენი ამხანაგების აღრიცხვას აწარმოებდნენ. მერმე რაც მოხდა, მომართა სალარაძემ კიროვს, — თქვენც კარგად მოგეხსენებათ. აღმინისტრირებულ თვითნებობას, მიუხედავად თქვენი ენერგიული პროტესტებისა და ნოტებისა, სახლგარი არა აქვს. იხურება ჩვენი ბიუროები, პარტიის პასუხისმგებელ მუშაკებს და ჩვეულებრივ წევრებს აქობით აპატიმრებენ, ციხეში ამწყვდევენ ან კიდევ საქართველოდან ასახლებენ. ასე თუ გაგრძელდა, კომუნისტური პარტია საქართველოში სულ მალე მოისპობა.

სალარაძის უიმედო სიტყვამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

— ასე გამოდის, — შესძახა სალარაძეს ვანო მახათაძემ, — რომ თქვენ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ნაბიჯს უარყოფითად უცქერით და იწუნებთ.

დალაქიშვილის გარდა ყველანი თავს დაესხნენ სალარაძეს.

კიროვმა კანათის გამწვავება არ მოისურვა და განაცხადა:

— ამხანაგებო, აქ აშკარა გაუგებრობაა. მენშევიკებს კომუნისტური პარტიის მოსპობა რეპრესიებით არ ძალუძთ, რადგან საქართველოს შრომებ მასებზე ბოლშევიზმის გავლენა მეტად დიდია. პირაქით: მენშევიკური მთავრობის დღეები დათვლილია. მენშევიკური მთავრობა დაბნეულია. იგი მერყეობს და ვერ გადაუწყვეტია ვის მიეკედლოს საბოლოოდ: ანტანტას თუ საბჭოთა რუსეთს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მენშევიკური საქართველოს ის მერყეობა, ქვეყნად გამეფებული კატასტროფული ეკონომიური მდგომარეობა და სახელმწიფოს შინაგანი რღვევა. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ შიგნიდან და არა გარედან უნდა ააფეთქოს მენშევიკური სახელმწიფო, რომ მენშევიკების ბელადებს და იმპერიალისტურ ქვეყნებს პროვოკაციისა და ცილისწამების საშუალება მოუსპოს, მოგეხსენებათ, რომ მათი მიზანია საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მომართონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. აი, რისთვის დავედვიტ ჩვენ მენშევიკებთან სამშვიდობო ხელშეკრულება. რა არის საჭირო იმისათვის რომ ჩვენ მიზანს მივალწიოთ? უპირველეს ყოვლისა ზოგიერთ პარტიულ ამ-

ხანაგების გულიდან ამოფხვრილი უნდა იქნას მენშევიელების რეპრესიებით გამოწვეული უიმედობა, პანიკა და კიდევ უფრო მეტად გავაცხოველოთ პარტიული მუშაობა. ვერავითარი საპარტიოები და გადასახლებანი ვერ შეაჩერებენ კომუნისმის ძლევამოსილ მსვლელობას. ჩვენმა პარტიამ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და დაძაბოს ყველა ძალები ჩვენი რიგების დასარაზმავად, რომ გადამწყვეტ მომენტში მომზადებულნი და ღირსეულნი აღმოვჩნდეთ იმ დიდი ამოცანებისათვის, რომლებიც ისტორიამ პროლეტარიატს დააყენა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა ჩაატაროს ყველა რაიონში სამაზრო პარტიული კონფერენციები და ცხოვრებაში გაატაროს პარტიის დირექტივები მუშაობის ახალი ტაქტიკის შესახებ. ეს ახალი ტაქტიკა ბიპარტიული უნდა იყოს იქითკენ, რომ ლეგალურ პირობებში მუშაობა შეთანხმებული იქნას არალეგალურ მუშაობასთან. მენშევიეები ვერ ურიგდებიან იმ აზრს, რომ წერილობითრეკლამულ საქართველოში უნდა იარსებოს და იმუშაოს კომუნისტურმა პარტიამ, რომლის ოფიციალური არსებობაც კი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მათი წყობილებისათვის. ამით არის გამოწვეული მენშევიეური მთავრობის რეპრესიები. ლეგალური მუშაობით ვატა-

ცება საქირო არ არის. საქიროა დატოვებულ იქნას პარტიის არალეგალური აპარატი, იარაღი, არალეგალური ორგანიზაციები და სხვა. მუშაობის ლეგალური ფორმის პარტიის არსებულ არალეგალურ აპარატთან მოხერხებულად შეთანხმება უთუოდ უზრუნველყოფს ბოლშევიეური პარტიის შემდეგ გამაგრებას და შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოში პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებას.

ამის შემდეგ კიროვმა ამომწურავად ილაპარაკა პარტიულ მუშაობის შესახებ ადგილებზე, ახალი რეგისტრაციის და პარტიის ახალი წევრების, მათ შორის ინტელიგენციის წრიდან მიღების, უჯრედების და პარტიული მუშაობის შესახებ. საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ საუბრის დროს კიროვმა ისეთი ღრმა ცოდნა გამოიჩინა, იმდენი დეტალები აღნიშნა და იმდენი ნაკლი ჩამოთვალა, რომ ყველანი დარწმუნდნენ, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან მას მოკლენის განმავლობაში მეტად მჭიდრო კავშირი რომ დაექირა.

ყველანი ალტაცებით შესცქეროდნენ კიროვს და ახლა არავის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მათ წინაშე საბჭოთა ქვეყნის, ლენინისა და სტალინის ნამდვილი წარმომადგენელი და საქართველოს ბოლშევიეური ორგანიზაციების ფაქტიური ხელმძღვანელი იდგა.

## აბასთუმანი

„სულმთლად აესილა აბასთუმანი  
საშემოდგომო სევდის ჰუმანთ...“

გრ. ცაგურაშვილი.

### 1.

დღედა ელენე და მისი დის ტერეზას შვილობილი მარო სასადილო ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ. მარო კორნელის საწახავად მისულიყო, მაგრამ სასადილევს დაძინებული კორნელი გაღვიძებას არ აპირებდა.

— რა დაემართა იმ ბიჭს, ვერ გაიძვია. — უთხრა ელენემ მაროს, — ძილს თავს ვერ ართმევს, რომ დაწევა, მერმე თორმეტი და თექვსმეტი საათი უნდა იძინოს, დასუსტდა და სულ მთლად დაილია კაცი. ყველაფერი ციხის ბრალია.

— მე ვფიქრობ, რომ დასჭრეს და უამრავი სისხლი დაჰკარგა, იმის ბრალი უნდა იყოს, — შენიშნა მარომ ელენეს.

— არა, გენაცვალე, ციხიდან იგი სრულიად ავადმყოფი დაბრუნდა. ძალზე გამბდარია და თანაც საიჭიროდ ახველებს. რა გაეწყობა, თქვენ, ბოლშევიკებს, აყვავთ და, თავის თავს დააბრალოს, ახლა მას ქართველი ხალხის მტერს ეძახიან. აღბათ ესეც სტანჯავს. — არ დაეთანხმა ელენე მაროს.

— ვინ ეძახის მტერს? — დამცინავი ღიმილით ეკითხა მარომ.

— ვინ და ყველა ნაცნობი და მეგობარი, ცა და ქვეყანა, — ბრაზით მიუგო ელენემ და შენევიკების მიერ საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკებზე გავრცელებული უმსგავსო ცილისწამება და ქორი გაიმეორა. მართლაც კორნეილის ბევრი ნაცნობი და მეგობარი „ბოლშევიკს“ ეძახდა და გაურბოდა. ამ ბოლოდროს ძველი მეგობრები და სკოლის ამხანაგები გიგო თავაძე, შინა შარაბიძე, სანდრო ზოტივაძე, პეტრე ცხომელიძე და აუკურო ზარანდიაც კი ჩამოშორდნენ.

— თქვენ არა ხართ მართალი, — შეედავა მარო ელენეს, — სულ მალე დარწმუნდებით, ბოლშევიკები რომ ქართული ხალხის ყველაზე დიდი მეგობრები არიან.

მეორე კამათის შემდეგ მარო კორნეილის ოთახში შევიდა. საღამო ეკამს ჩაბნელებულ თავის პატარა ოთახში კორნეილს გაუხდელად დაწოლილიყო ტახტზე, დაძინებულ, გამხდარ და ფერმართალ ჭაბუკს მკერდზე დაეწყო ხელები და მკვდარსა ჰგავდა. მარო შეერთა. „როგორ გამხდარა, საცოდავი“, — გაიფიქრა მან. ამ დროს ოთახში ელენეს შევიდა.

— ხსადილევს ასე რომ ჩაიძინებს, მერმე დილაძე აღარ გაიღვიძება. — უთხრა მან მაროს.

— რა მოუვიდა ნეტავი! საღამოს ძილი არ შეეყაროს! — შეწუხდა კორნეილის დღის შვილობილი.

— რა ვიცი, ჯანი გაუტყდა, ერთთავად დასუსტდა და ხერვები სულ მთლად მოეშალა. ბრაზობს, ყველას დასციხის და ეჩხუბება. ორივე მდგმური გამოქცია... რა ჰქნას მარტოკა დამა? ახლანდელი ჯამაგირი ვის ეყოფა? — მოჰყვა წუწუნს ელენე.

მართლაც კორნეილის სიფიცხე, სისუსტე, თავბრუდახვევა და უცნაური და გაუთავებელი ძილი დასჩემდა ამ ბოლო დროს. მისი ძილი არ იყო ჯანსაღი, კორნეილის ნახევრად ეძინა, მისი ცნობიერება მუშაობას განაგრძობდა და ამიტომ იგი ძილში ნახევრად გრძნობდა ყველაფერს, რაც კი მის ირგვლივ ხდებოდა. აი, ახლაც ოთახში ელენეს და მაროს შემოსვლა გაიგო და მათი საუბარი გაიგონა და ადგომა სცადა. მაგრამ მკერდზე თითქმის მაჯლაჯუნა აწვიბოდა და ვეღარ დგებოდა. ეს ხშირად ემართებოდა მას.

მკერდზე დაწყობილი ხელები ასე ფუთი გახდომოდნენ და ადგილიდან ვერაძრავდა. თვალტრემლანი მარო გაშტერებით დატეოდა გამხდარ და ფერმართალ, გულხელდაკრეფილ კორნეილის. ნელა შეაზო ხელი ძმას და შუბლზე გამოეოხილი ცივი ოფლი მოსწიხდა. კორნეილმ თვალები გაახილა, უღონოდ გაუღიმა და საწოლზე დაჯდა. გვერდით მარო მიუჯდა. ექიმს ეჩვევნო, უჩნია. ექიმთან მისვლა ქირის დღესავეთ ეჯავრებოდა კორნეილის. მაგრამ მეორე დღეს, როდესაც კორნეილი გეიან ადგა, სააბაზანე ოთახში შევიდა, პირის ბანა დაიწყო, კბილები გამოიხეხა, ჩაახველა, ბაქანში ჩაადფურთხა, და ნახველში სისხლი შენიშნა, — მაშინ კი შეშინდა. იქნებ კბილის ღრძილიდან, ცხვირის ან ხახის ღრუდან წამომვიდა სისხლიო, გაიფიქრა, მაგრამ მეორეჯერ, მესამეჯერ და მეათეჯერაც დაინახა ნახველში ობობას ქსელივით წითლად გაბმული სისხლის ძაფები. თავხარი დაეცა და ექიმთან მისვლა გადასწყვიტა. ნელა შევიდა ოთახში, ტახტზე წამოწვა, თავქვეშ ხელები შემოიწყო, ქერს ფართოდ ვალებულ, შეშინებულ თვალებით მიაშტერდა და მწარე ფიქრს მიეცა:

„სიღად განჩნდა ნახველში სისხლი? ნუთუ ქლექი შემეყარა? ქლექი. ქლექი, — ფიქრობდა კორნეილი და საშინელ შიშსა გრძნობდა, ისე როგორც ხანგამში და სარეკში მომწყვედებული ნადირი გემით გრძნობს ხოლმე გამოუვალ ხიფათს და საფრთხეს. თანაც რცხვენოდა, ასეთი მშინშარა რომ აღმოჩნდა. როდესაც შიშის ზარმა ოდნავ გაუარა, მან უფრო დაწყინარებით განაგრძო ფიქრი: — „ქლექი რომ აღმომაჩნდეს, ამას ხომ აგარავი, კარგი კება და მკაცრი რეჟიმი ეჭირვება. ჩემთანა ღარიბ კაცს ქლექი რომ შეეყარება, მისი საშველი განა იქნება?! მაინც ქლექს ჩემთან რა უნდა? მე რომ სპორტსმენი ვარ, მერმე რა? განა სახელგანთქმულ ვაეკაცს, სპორტსმენს და მძლეოსანს ირავილი დიდიძეს ქლექი არ შეეყარა!“ — ასე განაგრძობდა კორნეილი დაბნეულ ფიქრს. ხან იმედის ნაპერქვანი იეღვებდა მის გულში და ხან კიდევ სასოწარკვეთილება დაიფლავებოდა მის სულს! — „იქნებ, კლუბში რომ დამქ-



რეს, ბევრი სისხლი დაეკარგე და მერმე საპატიმროში რომ გოჯექი, იმის ბრალა, იქნებ მემკვიდრეობით მომდევს ქლეკი—გაიფიქრა კორნელი და მაშინვე მოაგონდა თავისი ძმა, რევოლუციონერი სტუდენტი შალვა, რომელიც 1906 წელს ქლეკით გარდაიცვალა, — „მაგრამ მემკვიდრეობა აქ რა შეაშა! შალვა 1905 წელს კახაკებთან ბრძოლის დროს გაცივდა, ანთება მოექრა და ქლეკი იმიტომ შეეყვარა...“

2.

კორნელი თავისი ძმის შალვას შესახებ განაგრძობდა ფიქრს. მას ნათლად მოაგონდა, ერთხელ კარისმერეთში ბავშვებთან ერთად ისიც ეზოში რომ თამაშობდა. მაშინ იგი ექვსი წლისა თუ იქნებოდა. გარეთ ციოდა და დედა, შინ შემოდო ეძახდა, იგი კი კვლავ განაგრძობდა ტოლ-მეგობრებთან ეზოში ბურთის თამაშს. უცებ ორღობეში თვალი მოჰკრა ძმას, რომელიც დიდხანია რაც არ ენახა. მალალი და გამხდარი ქაბუკი ხელა და მღუმარედ უახლოვდებოდა ქიშკარს. კორნელი სიხარულმა აიტანა და დედას გასძახა, შალვა მოვიდაო. შალვას ეწყინა კორნელის მიერ ატეხილი აურ-ზაური, ყვირილი და დატუქსა, რადგან 1905 წელს კახაკებთან ხაომაში, ბრძოლაგადახდელი, გალახულს, დაჟლეტებული ქაბუკი საზეიმო შეხვედრისათვის კი არ ბრუნდებოდა შინ, არამედ სამუდამო განასაკეხებლად. ეზოში დედა შეეგება და მოეხვია, მაგრამ დადუმებულ და ზეზეულად გაათაებულ ქაბუკის სახეს ღიმილიც არ გაჰკარებია. იგი ისევ მღუმარედ, გლოვით და ნელას ნაბიჯით ავიდა კიბეზე, თითქოს გამხდარ მხრებზე მძიმე ტვირთი აწევებოდა. ძლივს მიღწია საწოლს, დაწვა და მერმე იმ საწოლიდან არ ამდგარა. კორნელი და მის დედასაც წარმოდგენა არ ჰქონდათ მაშინ, თუ რისთვის დაბრუნდა შინ ასე მღუმარე და გულმოკლული შალვა, რა ბრძოლა გადაეტანა, რა ხიფათი და სენი შეჰყროდა და რა უბედურება ღირნიდა მის გულს: რევოლუცია დამარცხებულიყო და ქვეყნად შავი რეჟიცია გამეფებულიყო; კორნელის კარგად ახსოვდა თავისი ბავშვობა, 1905 წელს, როდესაც მისი ძმები, სტუდენტები—ევგენი, სტეფანი, შალვა და ამათი მეგობრები და ამხანაგები კარისმერეთში ტერეზას ბინაზე იყრი-

ბებონდნენ, კრებებს მართავდნენ და დიდის ალტაცებით იმღეროდნენ მარსელიეზას. შალვას სწორტუპოვარი სმენა, მომხიბვლელი, სააო და ზავერღოვანი ბარიტონი ჰქონდა, გეგონებოდათ ოპერის თეატრის სახელგანთქმული მსახიობი მღერისო. დიდი რევოლუციონერის საშა წულუკიძის ქუთაისიდან ხონში გადასვენებისა და დაკრძალვის დროს, რომელსაც ათი ათასამდე კაცი დაესწრო, მომღერალთა გუნდში სწორედ შალვას მომთაბოდობელი და ჭაფვაციური ხმა გამოირჩეოდა და ყველას ხიბლავდა. შალვა მართლაც ნამდვილი რევოლუციონერი იყო. კორნელის კარგად ახსოვდა ვაზნებით საესე ფალასკებით შემორტყმული მისი მკერდი, მოკლე კარაბინი, ხელყუმბარები და ხალათის შიგნით შემოსვეული წითელი დრაჟა, რომლითაც იგი დასაყლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში და სოფლებში გამართულ მიტინგებზე დაიარებოდა. მაშინ მას ღოხე ერჩოდა, სამავეაკაცი ვერ გალახავდა. შალვას 1905 წელს თავისი შეიარაღებული წითელი რაზმი ჰყავდა. იგი თავგამოდებით ებრძოდა გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ გენერალ ალიხანოვის კახაკებს. კარგად ახსოვდა კორნელის ხალხის მიერ შეგრაზმული მრეწველის და ბოქალის მოკვლა კარისმერეთში და ბავშვტყუილი ჩამოსული კახაკები — პლასტუნები, რომლებიც ტერეზას მეზობლის სახლში და ეზოში დაბანაკდნენ. დიდი სამუშაო გაუჩნდათ იმ დამით იულო-დურგალს. შალვას და მის მეგობრებს. ისინი ტერეზას სახლის სარდაფში დაფლულ, შევიცარულ კარაბინებით სავსე ყუთებს იღებდნენ. შალვამ ის ყუთები იმავე დამეს სოფელ ქონგურაში აატახინა გლეხებს ურპით. მეორე დღეს ტერეზას ეზოს ქიშკარს კახაკები მოადგნენ. ყველანი შემინდნენ, ალბათ ვილაცამ გაგვიცა და დაგვაბეზლო. შალვა მამას შეეხვეწა: „გაიკეთე, მამაჩემო, შენი ჩინ-მედლევი და ისე შეხვედი კახაკებს“. მამამ მიუხუთა: „რევოლუციონერი და ეპიკაციები ვართო, რომ იძახით შენ და შენი მეგობრები, მიდით ახლა და თქვენ გაიციოთ პასუხი“. ექიმმა გიორგიმ მხეიქიმ მაინც ჩაიკვა მუნდრიო, ორდენები და მედლებიანი, რუსულად კარგად მოლაპარაკე მოხუცი რომ დანიახეს კახაკებ-

მა, ბოდიში მოიხადეს, ჩხრეკას და დაკოხვას თავი მიანებეს და უკანვე გაბრუნდნენ. კორნელიმ მერმე შეიტყო, რომ ამ ამბავის შემდეგ შალვა თავისი რაზმით ისევ ებრძოდა კახელებს. იგი გურიაში დააპატიმრეს და შეპოღვომის ბოლოს ქუთაისში ჩამოიყვანეს. სადგურადან საპატიმროში გადაყვანის დროს შალვა გაზაკებს გაეცქია, დაღმართი ჩაირბინა და ბალახეხის ქუჩაზე გავიდა. უკან მდევრები გამოუდგნენ და თოფს ესროდნენ. შალვამ ქუჩის ნაპირას თხრილზე დაფენილ ტროტუარს თლილი ქვა აპხადა, თხრილში შეძვრა, მუცელზე ხოხვით კარგა დიდი მანძილი გაიარა და დაობებულ და ბაყაყების სამყოფელ წყალში რამდენიმე საათს დაპყო, მერმე თხრილიდან ამოვიდა და მეგობრისაკენ გაეშურა. მეგობარმა თვრამეტი დღე საიდუმლოდ შეინახა იგი თავის ბინაზე. სუსხიანი ღამით თხრილის წყალში წოლის გამო შალვა გაცივდა, ფილტვების ანთება მიეჭრა, მერმე ქვები შეეყარა და მალე გარდაიცვალა. კორნელის მოაგონდა, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნინო მაყაშვილს რომ უამბო მან შალვას ცოხვებზე და თავგადასავალი და ბოლოს უთხრა: „შალვას საფლავი უჭირსუფლოდ არის ახლა ქუთაისში, მაშინ როდესაც ვარდყავილებით უნდა იყოს მორთული, რადგან ჩემი ძმა სისხლიანი ხელების ქაშაყი თავისუფლებას ეტრფოდა, მას გამსახვრებოდა და უმღეროდა“. ნინომ კავშირით შენიშნა: „აღბოთ იმიტომაც იყო ისე ღირსსახსოვარი და ისე ტკბილი მისი ხმა“. იმ შენიშვნამ კორნელი გააოცა და იმ წუთიდან ნინოს და მის შორის თანაგრძნობისა და ურთიერთგაგების ძაფები გაიბა, რაც შემდეგ მოჯნურობის საბაზად იქცა. ასე მოაგონდა კორნელის ჭლებით დაღუპული ძმა, ნინო, დამსხვრეული სიყვარული და აი, ისევე გაეხსნა ძველი და შეხორცებული იარა.

## 3.

ელენემ ცნობილი ექიმი — მედიცინის დოქტორი ჩუღნოვსკი მოიწვია. პატარა ტანის, მოკლე და ქალარა წვერულვაშიანი მოხუცი კაცი წინათ სამხედრო ექიმი იყო და პოლკოვნიკის ხარისხს მიიღწია. ახლა სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა. იგი კეთილი და გულისხმიერი კაცი იყო. ელენე კარგად

იცნობდა მას, იგი იმ გიმნაზიაში მსახურობდა, რომლის დირექტორად ელენეს ქმარი იყო. ჩუღნოვსკი დედბასს სიხჯავდა კორნელის. მერმე ელენემ ხელი დააბანინა. ექიმი კორნელის პატარა მაგიდას მიუჯდა და რეცეპტების წერა დაიწყო. რეცეპტების გალთავებულ წერის დროს კორნელი ძალზე დელავდა, თითქოს ექიმი მის სასიკვდილო განაჩენზე აწერდა ხელს. „დეიდა სასტუმროში შეიყვანს ექიმს, იქ თათბირს გამართავენ. ექიმი არაფერს არ დაუშალავს დეიდას. მე კი სულელივით უნდა ვიწვი ამ და არ უნდა ვიცოდე რა მჭირს“, — გაიფიქრა კორნელიმ დეიდას აღელვებული, ყრუ და დახშული ხმით ჰკითხა:

— ექიმი, 1906 წელს ძმა ქვებით გარდაამტევალა. მინდა ვიცოდე... ექიმმა სიტყვის დამთავრება არ აცალა, სწრაფად შემობრუნდა, გაუღიმა და უთხრა:

— არავითარი ქვები, ძვირფასო... თქვენი ბრონქები გაქვთ ნახველით დაფარული. პაპიროსის წვევა უნდა უთუოდ მიატოვოთ... მე თქვენი პაბიტუსი არ მომწონს. კარგად უნდა იკვებოთ და გასუქდეთ... თქვენ ძალზე სისხლნაკლები ხართ. თქვენი თავბრუდახვევა და სისუსტეც აქედან წამოიღებოდა... არავითარი ქვები.

— მაშ სისხლი საიდან გაჩნდა ნახველში? — ჰკითხა კორნელიმ.

— ბრონქების გაღიზიანებისაგან, კაპილარებისაგან... ამა დაახველეთ და ნახველი ტაშტში გადააფურთხეთ...

კორნელიმ ჩახველა და ნახველი ტაშტში გადააფურთხა. ნახველში სისხლი არ იყო. ექიმმა გამარჯვებული კაცივით ასწია თავი და ელენეს უთხრა:

— ნახველის ანალიზის გაკეთება საჭირო არ არის, ქალბატონო... თუ გნებავთ გაეკეთოთ, ეს არასოდეს საქმეს არ ენებს. — მერმე კორნელის მიუბრუნდა და უთხრა: — რაც შეეხება თქვენ ძმას, მას ქვები მემკვიდრეობით არა ჰქონია.

ძმის ხსენებაზე კორნელი მიხედა. ექიმი დედის მიერ რომ იყო ინფორმირებული. ექიმმა კორნელის ისევ პაერის გამოცვლა, აგარაკზე წასვლა, დასვენება და კარგი კვება ურჩია.

ივლისის დამლევს კორნელი კარისმერეთში ჩავიდა. დედის სიხარულს

საზღვარი არა ჰქონდა და კარგადაც ჰკვებავდა, მაგრამ შშრალმა ხველებამ კორნელის არ გაუარა და საღამო ეამს სიცხე ოცდაჩვიდმეტ გრადუსსა და სამ ხაზამდე აღიზდა. კიდევ უფრო დასუსტდა, სამინილი სევდა შემოაწვა და ძამისეულ კაბინეტში კარჩაკეტლი იწვა და არავის არ იკარებდა. ბოლოს თავზარდაცემულმა დედამ, რომელსაც ერთი შეილი შალვა ჭლექმა წაართვა, აიძულა, კორნელი დღისით ეზოში გამოსულიყო და სუფთა ჰაერი ესუნთქა. კორნელი იულო დურგალის მიერ გაცემებულ და ლურჯად შეღებილ, ზურგიან გრძელ სკამზე წამოწვებოდა და ერთადერთი მისი გასართობი ის იყო, რომ იულოს ვაეს რუსულში გამოცდაგამოყოლებულ ბუქას და აგოის ამცადინებდა. თანაც იონას და მერხობლის ლუკა მენჯავიძის ლამაზ გოგოს ქეთუს მწერლობაზე ესაუბრებოდა. ასე გავიდა ორი კვირა და კორნელის უკეთესობა მაინც არ დაეტყო და როცა ყრუ და გაუთავებელ ხველებას მოჰყვებოდა, დედას და იონას გული უკვდებოდა.

— აღუჭი, კაცო, სულ ასე უმოძრაოდ წოლა მთლად დაგასუსტებს, ფილტვები და ორგანოები აქტიუობას დაჰკარგავენ და ავადმყოფობა გაჯობებს. წამოდი, მდინარის პირას გავისეირნოთ. მერმე მთაშებანზე ავიდეთ, ზეკარის ჰაერი ჩაყლაპე და აბა ნახე, თუ არ მოიკეთო, გამოჯანსაღდე, ისევ შეცადინებობა, ვარჯიშობა და ქეიფი არ დაიწყო. ვინ იცის მერმე ვერც დაგაბათ და კარისმერეთის გოგოებს დაერიო.

ასეთი წინადადებისა და ხვეწნისათვის არა ერთხელ მიუპართავს იონას, მაგრამ კორნელი შინ წილას და მარტო ყოფნას განაგრძობდა. იგი შეშინებული, გაოგნებული, ნებაშართმეული იყო და არც კითხვისა და არც წერის თავი არა ჰქონდა. ბოლოს ტერეზას შეილობილი მარო ჩამოვიდა თბილისიდან და მან, ტერეზამ და იონამ კორნელის მდგომარეობის გამო თათბარი გამართეს, ადგილობრივი ექიმი პოლიკარპე ვაწაძე მოიწვიეს... ექიმმა ჰაერის გამოცლა ურჩია კორნელის. მალე სტეფანეც ჩამოვიდა კარისმერეთში. მას თავისი ცოლი კატო, ცოლისძმა და დაი აბასთუმანში გაესტუმრებინა.

— შე კაცო, ლეილი ძმა ამ დღეშია და ცოლისძმას აგზავნი აბასთუმანში? — უსაყვედურა იონამ.

— კორნელის ავადმყოფობა შე რომ არ ვიცოდი... — დარცხვენით მიუგო სტეფანემ, რომელსაც ცოლმა ამ ბოლო დღის ნათესავეები დაასია.

ბოლოს სტეფანემ აბასთუმანში კორნელის გამგზავრებისათვის საჭირო თანხა გადასცა დედას, მაგრამ კორნელი იმრიგად იყო დასუსტებული, რომ აბასთუმანმდე მარტო ვერ იმგზავრებდა. აბასთუმანში კორნელის ჩაყვანა მარომ იყინა.

მარო და კორნელი დომენტი ხვედელიძემ ჩაიყვანა ურმით სადგურში, ურმით მგზავრობამ კორნელი დაჰქანცა, გულის ფრიალი აუტყდა და ფეხზე დგომა უჭირდა. იგი პერონზე კედელთან დალაგებულ ბარჯზე დაჯდა, მარო შეშინებული თვალებით მიმტვრებოდა, გული არ შეულონდესო და ბილეთის საყიდლად წავიდა. ონი დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ უთენია ჩავიდნენ სამურში და მერმე ბორჯომისაკენ მიმავალ მარჯებელში გადასხდნენ. მარო რომ არ ყოფილიყო, ქანც-გამოლეულ კორნელის მართლაც დიდად გაუჭირდებოდა მარტო მგზავრობა. მარო დამოუკიდებელი, გაბედული, საქმიანი და ნავალ ქალი იყო. მატარებელი დილით ადრე ჩავიდა ბორჯომში. მარო ქალაქში ეტლის დასაქერად წავიდა. კორნელი კი ბარჯზე დაჯდა, მტკვარს და ნაძვითა და ფიქვით დაფარულ მთებს გაჰხედა. შვიანი და გრილი დილა იდგა. კორნელი 1918 წელს ჩავიდა პირველად ბორჯომში თავისი ბატარეთი და ახლა ნაცნობი ადგილების ნახვა ძალიან სიამოვნებდა. მაგრამ მგზავრობით დაღლილს და მთელი ღამე უძილოს თავბრუ ეხვევოდა. კარგა ხანი გავიდა და მერმე მარო ეტლით მოვიდა სადგურში. ეტლში ზარვითა და ეივრებით გაწყობილი ოთხი ცხენი იყო შებმული. ბორჯომელი შეეტლევ იოსებ ქასიტაშვილი შეუღლავიანი, შავკვრემანი და გრუზა ვაყკაცი იყო. მაროს გარდა ეტლში ერთი პატარა, ცისფერთვალეა, ქერა და კონტა რუსი და ფერა და მისი შვილი — გამხზარაი და ფერმართალი სტეფანე იხდნენ. შეეტლემ კორნელის ჩემოდანი და საწოლი უკან მიაკრა ეტლს. ქალებმა რბილი სკამი დაუთმეს

აეადმყოფებს. თვითონ კი წინ მაგარ სკამზე დასხდნენ. მეეტლემ დასტერინა, კლდგამოსკენილი, გვაჩასუქებული, ახალციხელი იორლები დასძრა და მტკვრის პირას მიმავალ გზას დაადგა. მერძე ბორჯომ-ბალი და ლიკანის სასახლე გაიარა და ერთმანეთზე მიჯრილ ტყიან მთებს შუა შევიდა. კორნელის მოაგონდა 1918 წელს სანდრო ხოტივართან ერთად ბატარეის ცხენებით აქ გასეირნება და ძმასთან — ევგენისთან შეხვედრა, დაუეწიყარ მგვობრის გრივოლ ცაგურისშვილის ჩამოყვანა ჯავახეთიდან ბორჯომში. მოეწივნა... კაეშნიანი თვალებით შეხედა მის წინ მჯდომარ ტანმრთელ, ლოყაწითელა, ხალისით საესე გაიცისკროვნებულ და მოტიკტიკე დას — მაროს, რომელსაც ულაქიანი სტელეზის დედასთან, კეთილ და გულისხმიერ ქალთან დამეგობრება მოესწრო. კორნელი სევედიანი თვალებით აკვირდებოდა ბორჯომის ლამაზი ხეობით და დილის გრილ და საამო ჰაერით გამოცოცხლებულ დას. მის გამოხედვამ საყვედროც ამოიკითხა მარომ, თითქოს კორნელი ჰყვედრიდა, მე ქლექი შემეყარა, შენ კი სიხარულით ცას წვდები. კორნელის ეკვიც არ ეპარებოდა ახლა, რომ მას ქლექი სჭირდა.

მარო მაშინვე შეწყვეტდა სიცილს, კორნელის მუხლებზე პალტოს კალთებს ამოუყეცავდა, საყვლო აწიე. ცივი ქარი ჰქრის და არ გაცივდოვ ეტყოდა. სოფელი დვირი უკან დარჩა. ეტლი ქვაბისზეში შევიდა. მალალი კლდეები საყოთარიოთ აყოდებოლიყენენ. ბოლოს ერთმანეთზე მიჯრილი მთობი მიიწ-მოიწიენინ და ეტლი ერთბაშად გავიდა ტაფობზე.

კორნელიმ ფართო პორიზონტი დაინახა და ხალვათობა იგრძნო. დაღლილი ცხენები მქენით შეუდგნენ აღმართს და აბეზარი ზარებისა და ეცენების ხმაი აზარ ამხნეიბდათ ახლა. ეტლმა მწვერვალს მიადწია და მალე აწყურიც გამოჩნდა. მგზავრები დუქნების წინ გაჩერებულ ეტლიდან ჩამოვიდნენ. კორნელი გაცივდრებით გადასცქეროდა მტკვრის პირას კლდეზე აგებულ ციხეს. იგი თითქო მთლიანად იყო მალალ კლდეზე რკინასავით მტკიცედ ჩამოსხმული. მზე მისდგომოდა და ბრძოლაგადახდილ ქართლის გუშავს ეამისაგან და ეანგისაგან სის-

ხლისფერი დასჩენოდა. კორნელი მთლად წარიტაცა აწყურის ციხის მძებეობამ. დაღძართიხნაიყედა ახლოს მივიდა საკურეტად. უკან რომ დაბრუნდა, მოშიედა კიდეც, მაროს გაულომა, პატარა რესტორანში შევიდა, მწვადები შეუყევათა და რუსის ქალი და მისი შვილიც დაჰპატია. მადიანად შექამა მწვადები, ხედ ცოტა ლენოც დააყოლა. მერმე კარში გამოვიდა და დუქანთან თავშეყრილ ადგილობრივ მაჰმადიანებს გაესაუბრა. იგი კარგ გუნებზე დიდდა და უყეთესობაც დარტყო. ეტლში მჯდარი ახალციხემდე ესაუბრებოდა მგზავრებს. ახალციხეში ქასიტაშვილმა ეტლი შეაკეთა, ცხენები დაარწყულა, საკმელი მისცა და დიდხანს დაასვენა, რომ ახალციხიდან აბასთუმნისაკენ მიმავალ კიდ აღმართებზე არ გალახულიყენენ. კორნელი და მარო ნელი ნაბიჯით წავიდნენ ციხისაკენ.

ახალციხემაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა კორნელიზე. აქაც ციხე მალალ კლდეზე იყო გაშენებული. ძველ ქალაქს გარს უვლიდა ქვათკირის სამი ზღუდე... ახალციხის გარემო წალკოტი ბალები, ბოსტნები და ეენახები გადაშლილიყო. აქ იყდა ოდესღაც ფაშა, რომელსაც ქართველები ათაბაგს უწოდებდნენ. ციხის ქვეშ კლდეებს მდინარე ფოცხოვი და მტკვარი აწყდებდა. მათი ტალღების ლალი დინება თითქოს „სისხლის წვეთების დღეებს“, განვლილ ბრძოლებს იგონებენ... კორნელი და მარო ისეე ქალაქში ჩაიხიდნენ.

სიხინ ქუჩებში სამხედრო პირებისა და ჯარისკაცების სიმრავლემ განაცვიფრა. კორნელიმ ერთი ნაცნობი ოფიცრისაგან — კიკნაძისაგან შეიტყო, რომ ახალციხის გარნიზონის უფროსად პოლკოვნიკი ჯიბო მაყაშვილი ყოფილიყო.

— ალექსიდის ბატარეაც აქ არის, — უთხრა კიკნაძემ კორნელს, — იგი გუშინ აღიგენის რაიონის აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ წავიდა.

ივლისში, როცა ბათუმი ინგლისელ ოკუპანტებმა მიატოვეს, ქალაქში მენშევიკების ჯარები შევიდნენ. მენშევიკები ხატავდნენ ამ ამბავს, როგორც საყოველთაო ნაციონალურ დღესასწაულს, როგორც შვილების შეხვედრას მშობლებთან. მაგრამ შვილები მშობლებს — მენშევიკებს და მათ

ჯარს ხელგამოლილი როლი შეხედნენ. გენერალმა კენიტიტემ თავისი მთავრობის სახელით მოწოდებით მიმართა ბათუმის ოლქის მოსახლეობას: ვინც იარაღით ხელში შეეჭინაღმდეგება ბათუმის ოლქში მოსულ ჩვენ ჯარებს, მას მოვეპყრობით ისე, როგორც შეამბოხეს, ის დაიხვრიტება, ხოლო მისი და აგრეთვე მისი მშობლების და ძმების ბინა და ქონება ჩამორთმეული იქნება და გადაეცემა ხაზინას. თუახი კი გაძევებული ბათუმის ოლქის საზღვრებიდან. სოფელი, რომლიდანაც თოფს გაისეროან, სასტიკად დაისჯებათ. ამის შემდეგ ოცხოვრებისა და მანე ელემენტების მოპირიზებით ბათუმის ოლქიდან გაძევება დაიწყო ყველა იმ პირისა, რომლებიც არ მოსწონდათ მენშევიკურ მართვლობას. დაიწყო მიწების ჩამორთმევა, ამოშავდა მათრახები და დამსჯელი რაზმები სხადასხვა კოთხეებს შეისივნენ. გლეხობა წინააღმდეგობას უწევდა მათ. ასე, მაგალითად, როდესაც მენშევიკებმა სცადეს გოღერძის უოეჩიხილზე გადასვლა და ხელოს რაიონის დაკეება. აჭარელმა გლეხებმა მენშევიკურ რაზმს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, რამდენიმე ოფიცერი და ჯარისკაცი მოკლეს, დანარჩენი რაზმი კი — განაიარაღეს. მენშევიკური ჯარები კვლავ გაემუდონ აჯანყებულ გლეხების დასასჯელად, მაგრამ ჯარისკაცთა ერთმა ჯგუფმა უარი განაცხადა აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ წასვლაზე და ფრონტი მიატოვა. ყველა ისინი მენშევიკებმა ბოლშევიკებად გამოაცხადეს, დაპატიმრეს და მერმე გვარდიელებმა ახალციხის მახლობლად დახვრიტეს... იმ ჯარისკაცთა დახვრეტის ამბავი დაწერილებით და გულისტკივილით უამბო კორნელის და მაროს რეგულარული ჯარის ოფიცერმა კიკნაძემ, რამაც თავზარი დასცა მათ. როდესაც კიკნაძე წავიდა, მარომ კორნელის უთხრა:

— მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებისა, მენშევიკები მაინც განაგრძობენ ბოლშევიკების ხვრეტას, გადასახლებას, რედაქციების დარბევას.

— ბიო რა გითხრა, მარო. მენშევიკურ „სამოთხეში“ ცხოვრება ისე შემზარდა, რომ ნეტავი სხვა პატიმრებთან ერთად მეც რუსეთში გადავესახლებინე რამდენიმეს. თუ არა საბრალო მო-

ხუცი დედა, ზოგი ჩემი გულითადი მეგობარი და, რაც მთავარია, ჩვენს ქვეყნის წარმატაც ბუნება და დიდებული სული, სხვა არაფერზე გული არ დამწყვდებოდა, — ჩაიქნია ხელი კორნელიმ.

— სულით არ დაეცე, ბიო, — შესძახა მარომ, — რამდენი და მენშევიკები რომ ბოროტნი და უმსგავსონი იყვნენ, ქართული ხალხი აქ არაფერ შეაშია, სად უნდა გაიქცე საქართველოდან? ბოლშევიკური ორგანიზაციები ჩვენში არასოდეს ისე შეკავშირებული. გამოცოცხლებული და მოქმედი არ ყოფილა, როგორც ახლა კიროვის დროს. მენშევიკების დღეები დათვლილია. ნეტავი რისი იმედი აქვთ მათ?

— ანტანტის, პილსუდსკისა და ვრანგელის, — მიუგო კორნელიმ.

— იცი, კორნელო. პილსუდსკის ჯარები დამარცხდნენ, უკან იხევნ და წითელი არმია დოისა თუ ხელ ვარშავაში შევა. „даешь Варшаву!“ — გაიძახიან წითელარმიელები.

მეეტლე ჯერ კიდევ აგვიანებდა აბასთუმანში წასვლას. ქალაქში ხეტიალით დაღლილი კორნელი დუქნის გრძელ სკამზე დაჯდა. მარო თავზე დაადგა და უთხრა:

— კორნელი, იცი, შენ ფერი მოგივიდა...

— მე გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, — მიუგო მზემოკიდებულმა კორნელიმ.

ბოლოს მგზავრები ეტლში ჩასხდნენ. მზე უკვე დასავლეთით დახრილიყო. მეეტლემ სამხედრო ფურგონებით სავსე ხიდზე გაიყვანა ეტლი. ციხეს და კლდეებს ჩაუარა და მალე ზარებისა და ექვნების შეთანხმებული წყარუნითა და ქლარუნით ახალციხის ქალებზე გავიდა. ირგვლივ ბაღები, ბოსტნები, ყანები და მწვანე მთის კალთებზე წარმატაცი პატარა სოფლები გამოჩნდნენ... მგზავრებმა კიდევ ერთი აღმართი აიარეს და როცა სოფელი ეარხანა უკან ჩამოიტოვეს. თითქოს სასწაული მოხდაო. კორნელიმ ზედიზედ მაგრა დაახველა, მკერდი ერთთავად ახრიალდა და ნახველი ისე უხვად ამოიღო, რომ შვემა იგრძნო. რუსის ქალი, მისი შვილი და მარო გაოცებით

მისჩერებოდნენ მას. კორნელიმ მაროს გაუღიძა და უთხრა:

— ამდენი ხახველი სად იყო?! იცი, თითქმის ფილტვები დამეწმინდა. მთელი მკეოდით თავისუფლად ვსუნთქავ.

მეეტლე შემობრუნდა და კორნელის მიულოცა:

— მორჩა თქვენი ავადმყოფობა. თქვენი საქმე კარგად არის. ასე იცის აბასთუმანის ჰავამ: — მერმე მათრახი წინ გაიშვირა და დასძინა: — აგერ ერთი აღმართი და მივედით კიდევ.

ყველამ — წინ გაიხედა და წიწვიანი ტყით დაფარული შავნაბადა მთები — აბასთუმანის ხეობა დაინახა. ამ დროს მზე ჩავიდა კიდევ.

როდესაც ეტლი აბასთუმანის ხეობაში შევიდა, უკვე ღამე იყო. კორნელიმ ჩუმად უთხრა მაროს:

— რაღაც უხერხულობას ვგრძნობ. გაეხარებდა თუ არა ჩემს რძალს კატოს ჩემი მისვლა?!

— ცივი წყალი დალიოს, თუ არ გაეხარებდა, — ბრაზით მიუგო მარომ. — ძმა მძისთვისაო, ხომ გაუგონია...

უკვე დაიწყო აბასთუმანი. პატარა მდინარის მარჯვნივ და მარცხნივ, ქუჩის პირას პატარა ეზოიანი კოხტა სახლიბი ჩარაზმულიყვნენ. აივნებიდან და ფანჯრებიდან ნათის ღამებში ბეჭტავდნენ და ქუჩაში ბნელოდა და სრული სიჩუმე და მყუდროება სუფევდა. მხოლოდ პატარა და ჩქარი მდინარე ავსებდა ხეობას თავისი ხმაურით და ახალციხიდან მომავალ ეტლში შებმული ცხენების ზარებისა და ეყვნების წყარუნითა და ეღარუნით. აბასთუმანისაკენ მიმავალ ხილთან რამდენიმე კაცი იდგა და ხმამაღლა ლაპარაკობდა. მეეტლეს ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ახლა ცხენები. აღარ თავდებოდა ხეობაში, პატარა მდინარის გასწვრივ გაჭიმული დაბა. ხილთან მდგარ გუნდს კარგად ჩასკენილი ახალგაზრდა ოფიცერი გამოეყო, მეეტლე გააჩერა და ეტლში შეიხედა. მარო მოეწონა, გაუღიძა და უთხრა:

— აეთილი იყოს, ქალბატონო თქვენი მოზრძანება აბასთუმანში. — იგი ნასივამი იყო. კორნელიმ მაშინვე იცნო სახეზე და ხმაზე კარისმერტული მეფურნის, ახოვანი, მსუქანი და ელაში ჩოხოსანი კაცის პართენ მენჯავიძის შვილი — დავითი, დათიკო, როგორც ეძა-

ხდნენ ბავშობაში და მერმეც მეგობრები და ნაცნობები.

— გამარჯობა, დათიკო, საიდან სადაო....

— კორნელი? — შესძახა შეზარხოშებულმა ოფიცერმა.

— იცნობდენ. ეს ჩემი დაა, — გააცნო კორნელიმ მარო. დათიკომ დიდის ამბით, თავაზით და მორიდებით ჩამოართვა ხელი მაროს.

— შენ დიდი ხანია აქა ხარ? — ჰკითხა კორნელიმ.

— ორი თვე იქნება, — მიუგო დათიკომ.

— შენ დევ-კაცი და აბასთუმანი?!

— აქ ჩვენი რაზმი დგას.

— შემთხვევით, ჩემი რძალი, ჩემი ძმის სტეფანეს ცოლი კატო ხომ არ შეგხვედრია?

— როგორ არა. სულ ერთად ვართ.

— სად ცხოვრობს, არ იცი?

— როგორ არ ვიცი. — მიუგო დათიკომ. მეგობრებს დაემშვიდობა, ეტლის საფეხურზე დადგა და მეეტლეს შესძახა: — მიდი, პირდაპირ იარე.

კორნელისა და მაროს ჩასვლა კატოს ეწყინა. კატო გაკოტრებული, მეტად ძუნწი და ხელმოჭერილი ვაჭრის შვილი იყო, ერთი დაბალი, ჩაკურაატებული ფართო სახიანი, თითქმის უწიგნო ქალი. რად შერთო იგი ღამაზმა, ნიჭიერმა და განათლებულმა სტუდენტმა სტეფანე მზეიძემ, ყველას უყვირდა. საქმე ის არის, რომ ექიმს გიორგი მზეიძეს 1905-სა და 1906 წელს ორი შვილის — სტუდენტების — ევგენის და სტეფანეს რუსეთში შენახვა გაუჭირდა და აი, ერთ ზაფხულს რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულმა სტეფანემ მაჭანკლებს დაუჯერა, ხელსახებმა მზითვებმა შეაციდინეს, მან გაჭირებულ ცხოვრებას მდიდრული ცხოვრება არჩია და კატო შეირთო. მაგრამ მზითვებში აღებული ფული ქეიფისა და ლხინის მოყვარულმა ქაბუკმა მალე შეჭამა და ხელში შერჩა ის ულაშაზო და უწიგნო ქალი. მართალია კატო კარგად გრძნობდა, რომ სტეფანეს სახით მას ცა გაეხსნა და იგი დიდ ბედს ეწია, ამიტომ განუზომლად უყვარდა და პატივს ცემდა ქმარს, სურდა მისი ღირსი გამხდარიყო, რეპეტიტორები აიყვანა რუსეთში, მეცადინეობდა და რუსულს

სწავლობდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა მით უფრო ცნაურდებოდა მასში გაქარი მამისაგან შემკვიდრებით გადმოსული ჯიუტობა, უხიაკობა, წერალმანობა და სიძუნწე. კატოს არ უყვარდა ქმრის ნათესაეები, მაგრამ თავის უმცროსი ძმები და დები კი ქმარს დაასია და აღაზრდევინა. ახლაც თან წაბოყვანა 1916 წელს მოსკოვში კერძო დამთავრებული და უნიათო ძმა ილიკო და გაუთხოვარი შინაბერა დაიქვინა. ახლა კორნელიც დააწეა კისერზე და ეწყინა, მაგრამ ტერეზას და განსაკუთრებით კი სტეფანეს ტრაგიკული წერილი რომ წაიკითხა, საყვარელი და სასიყიდლო თავისი ქმარი შეეცოდა და გუნება გამოუკეთდა. კატოს და მის მამიდაშვილს — სენატორს ვალიკო კუტალაძეს, ეკლესიის წინ კარგ ავარაკში სამი ოთახი დაეკირათ. უმაღლესი სასამართლოს სენატორს ვალიკო კუტალაძეს თმახუჭუჭა, დაბალო, მკვირვალ, აგზნებულ, შშიშარა და ტრაბახა კაცს, და მის ცოლს — ერთ გამხდარ, წოწოლიკა ინტელიგენტ ქალს — ნელის, ბაშეებითურთ ორი ოთახი დაეკავებიათ, ხოლო ერთიც — კატოს. მეოთხე და მეხუთე ოთახში ვალიკო კუტალაძის მეგობრები — სენატორები გიორგი ხელთუფლიშვილი და მუხრან კაქარავა ცხოვრობდნენ. ამ ავარაკში მეტი ოთახი არ იყო. იმის შიშით, რომ „პლეჩიანი“ კორნელი კატოს ოთახში არ ჩასახლებულიყო, როგორც კატო, აგრეთვე მისი უნათო ძმა და შინაბერა დაც დატრიალდნენ და კორნელისათვის მეზობლის ავარაკში, მთისაკენ დანჯარავაჭირილი პატარა და ბნელი ოთახი აღმოაჩინეს.

კორნელიმ და მარომ იქ გაათენეს ღამე.  
 მეორე დღეს კატოსა და მაროს თანხლებით კორნელი აბასთუმანის ცნობილ ექიმთან პოლკოვნიკ კოპაძესთან მივიდა. მოხუცი ექიმი ზამთარ-ზაფხულ აბასთუმანში ცხოვრობდა, იგი ფილტვების სნეულთა სახელგანთქმულ მკურნალად ითვლებოდა თავის დრო-

ზე დიდმთავარს გიორგი რომანოვს მკურნალობდა, რომელმაც აბასთუმანში თავისი სასახლე გაიშენა. დაბალი, თეთრწყერა და ლამაზი მოხუცი ღიმილით შეეგება კორნელის. დასვა და დიდხანს ესაუბრა. გულისყურით გასინჯა. ხელების საწინააღმდეგო, ნერვების დასამშვიდებელი და გულის გასამაგრებელი წამლები გამოუწერა. მერმე უთხრა, თუ როგორ უნდა ეკვებინა თავი და რა რეჟიმი დაეცვა, როდის და რამდენჯერ გაეზომა სიცხე.

სამი დღის შემდეგ მარო თბილისში წავიდა.  
 პირველი ათი დღის განმავლობაში კორნელი ზუსტად ასრულებდა ექიმის კოპაძის დარიგებას, თავის დროზე სვამდა წამლებს, სიცხეს იზომავდა და კარგადაც იკვებებოდა. უმთავრესად კარაკსა და კვირცხს ეძალებოდა. ოთხი თუ ხუთი დღის განმავლობაში ხველა შეუწყდა კორნელის. მერმე სიცხეც ნორმალურზე დაუვიდა. კორნელი დღედღე შესამჩნევად ჯანსაღდებოდა. ორი კვირის განმავლობაში რვა კილო მოიმატა და ბოლოს როდესაც კოპაძემ გასინჯა, მაგარ კუნთებით შემოკვართულ მკერდზე და ბეჭზე შემოპკრა ხელი და უთხრა:

— ჩიოკობი, თქვენ ახლა საეხებით ჯანსაღი ხართ. ჩემთან სიარული საჭირო აღარ არის. — მერმე გაიციინა, ეშმაკურად მოჭურტა თვალი მოხუცმა და პკითხა: — თქვენ მანაც დამიძალეთ, რამ გამოიწვია თქვენი ისეთი დასუსტება, რომ უბრალო ბრონქიტს ვერ აჯობეთ? გახსოვდეთ, ვენერა, ბახუსი და თუთუნისადმი ჭარბი მიძალევა ყველაზე უფრო დიდი ზიანის მომტანი ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ით უფრო თქვენისთანა სპორტსმენისათვის... მაშ, ასე ჩემი კარგო. გახსოვდეთ, რეჟიმი დაიცავით...

კორნელი ხელახლა დაბადებულივით გამოვიდა კოპაძის კაბინეტიდან. სახეზე ღიმილი არ შორდებოდა. მას ისევ თავდავიწყებული მუშაობა და მეცადინეობა სწყუროდა.

(გაგრძელება იქნება)

## სიმღერა მკის ღროს



### სიმღერა მირნახულს

ეს მოუცია შენთვის სახელად  
ბედთან, შავ-ბედთან მებრძოლ ქართველსა,  
ვინც ათასწლობით მკვიდრად დაგთესა,  
მაგრამ ვერ შესძლო თვალის გახელა.

ეს ოხვრიანი და გულდამწველი  
ძეურქმეგია შენთვის სახელი  
გლეხის მადლიან სიტყვას ხალხურსა,  
სიტყვას ნაღვლიანს და კირ ნახულსა

ის იქნებ მაშინ არის შექმნილი,  
როცა გათელვას მოჰყვა გათელვა,  
როცა ათასჯერ გნახა ქართველმა  
მტრის ურდოს ფლოქვით გადაჯეკნილი.

ქირნახულიო! თ, ეს სახელი  
თვითონ შენს მთესველს უნდა რქმეოდა,  
შენ მისი ცრემლი თავს გეფრქვეოდა,  
მისი ვარაამის შენ ხარ მნახველი.

იგი მებრძოლი, დიდ ქირნახული  
ხმალამოწედილი გადგა მფარველად,  
ასე წავიდა გაუხარულად  
მისი ათასი ზამთარ-ზაფხული.

მაგრამ გათავდა, შენმა მთესველმა  
იმ შავბედობის წიგნი დახურა;  
ნულარ ითვლები შენც ქირნახულად,  
ოქრო დაისხეს შენმა ფესვებმა.

ნულარ ითვლები შენც ქირნახულად,  
გადაივიწყე ძველი სახელი,  
გადაივიწყე ძველი ნაღველი,  
რაც გარდასულა, რაც დამარხულა.

ყველა გრიგალებს, ყველა ქარაშოტს  
ასცდო, აშორდი შავბედითობას;  
ლაღად ეხარე! დღეს შენს მშვიდობას  
დიდი სტალინის თვალი დარაჯობს!



★  
 კომბაინი ბახტრიონთან

თვალს უფრო ხიბლავს მკა აქაური,  
 თავთავის რხევა ზღაპრულ ქედებთან;  
 გულს უფრო ატკობს შენი ხმაური  
 აქ, გოლიათის პირქუშ კედლებთან.

აქ, სადაც ჰქუხდა დღე ავღრიანი  
 და გმირთან გმირი წევს სულდარაში;  
 აქ, სადაც კუშტად დგას ბახტრიონა,  
 მტკიცე მშვიდობის ძველი დარაჯი.

ორი სიმაგრე ედგა მშვიდობას,  
 არა ხატი და არა გულანი;  
 ორი ბჭე ჰქონდა ჩვენს გუშინდლობას  
 ბასრი ხმალი და მქრელი გუთახი.

იყებენ მამულის კართან დამდგარნი  
 ხან შავდლიანნი, ხან ბედნიერნი  
 და არვიხ იცის, რომელ მათგანის  
 იყო ფოლადი უფრო ძლიერი.

მშვიდი გუთანიც, მშვიდი სახნისიც  
 მამულს უწყადა ხმლობას, მშვიდობას  
 და წოდანწლამდე მშობელ ხალხისთვის  
 იყო ხენაცა და იყო მშვიდობაც.

ადგა ნათელი ჩემთა წინაპართ  
 შენა წინაპრის: — სახნის-ნაჯალის,  
 ის ბახტრიონთა გვერდით ბრწყინავდა  
 იყო მშვიდობის კართან დამდგარი.

შენც, ბუმბერაზო! დაუსყინარო,  
 შენ გოლიათო! მარცელისმკრეფელო,  
 შინ გოლმართალო, შინ უწყინარო,  
 მინდერის ბარაქის დამსახლებელო, —

გადააწვინე თავთავს თავთავი,  
 ხმა გააგონე ქვეყნიერებას,  
 რომ ემატება ჩვენს ძლიერებას  
 ოქროს მარცვალი დაუფანტავი.

რომ უძლიერელი, გაუტეხელი,  
 ჩიონი სამშობლო თიცილ მკაშია,  
 რომ ხვალ მშვიდობა ჰქონდეს ქვეყანას,  
 დღეს მისი ფიჭვი ამ თავთავშია.

რომ შენც ნაოდი და მართლაც ხალასი  
 მოგაქვს ძირითასი შენი ხარაჯა,  
 რომ ბახტრიონთან სადღაც ქალაში  
 დგებარ მშვიდობის ერთგულ დარაჯად.

★

### ბრემი მკაში

ნანგრევთა შორის, უხსოვარ ქაობში  
 მე მიყვარს ცქერა ახალ ივენის;  
 მე მიყვარს, როცა უძველეს გრემში  
 ყანიდან მესმის ხმა კომბაინის.

და როცა ვუცქერ დროთასვლის ნამგლით  
 მოცელილ სვეტებს, ქეებსა და ძელებს,  
 სიმღერა შეისა — სიცოცხლის ჰანგი  
 ჩაეძახო მინდა საფლავში ძველებს.

ჩაეძახო: გმირნო, ვინც გრემთან დაწყდით,  
 ქულზე რომ ერთი არ დაგრჩათ კაციც,  
 თქვენ, პურისმკელნო, სესვე და ხეთისავ,  
 მოგწყურდათ განა სიმღერა შეისა?

ნეტავი მართლა გესმოდეთ ენა,  
 საფლავშიც გქონდით წინაპრებს სმენა,  
 ბუნების ნიჟის ჯერ უცნობ ძალით  
 ჰხედავდეს თქვენი ჩამქრალი თვალი;

ჰხედავდეს ყანას, არნაღს და თიწალს,  
 ჰხედავდეს, როგორ განათდა მიწა,  
 როგორ შეის ტალღებს მინდვრების გემი...  
 — თავდადებულნო, ცოცხალ არს გრემი.

გრემს დასდგომია მკათათვის დარი,  
 დგას ახალ ნამჯის ტკბილი სურნელი;  
 გახსნეს უძველეს წიაღის კარი, —  
 საგანძურს სცილიან კოლმეურნენი.

ამოდის ოქრო ბეგრი და ბეგრი,  
 დღემდე რომ სიზმრად არ ახსოვთ ქვეყნებს,  
 ერთბაშად ნახეს ათასი ქვეერი  
 და ოქროს მარცვლით ავსებენ ბელღებს.

საუნჯის დათვლას ვერ ასწრებს კაცი,  
 საგანძურს ხსნიან ახალს და ახალს  
 და დატვირთული ძვირფასი განძით  
 აღალი მისდევს ყვარლისკენ ადალს.

— . —

ღია წერილი მისკინ კოლდუელს

★

კვლავ ალაზანი.  
 ლურჯ ტალღების ჩემი დუღენი.  
 თიბათვე ცხელი.  
 საქართველოს ტკბილი ზაფხული.



მკიან, პურს მკიან.

ხიდან ხეზე დაჰქრის გუგული-  
მოდის მინდვრების მოსავალი  
ჯერ არნახელი.

მზე შუბს აჯახებს

კომბაინის ფარფლიან ბორბალს,  
თითქოს რაინდი ლამანჩელი  
ომობს ჰაერში;

გომბორის სიო

დასთამაშებს ხვერიელ ხორბალს,  
სიო იმგვარი

როგორც მაშინ —  
ორმოცდაერთში.

გახსოვს გომბორი?

ალაზანი მუქ სიმწვანეში,  
მთებს იქით მთები,  
თეთრი, როგორც თავსასთუმალი;

ჩვენ მივეცურავდით

აზვირთებულ პურის ყანებში,  
მე მასპინძელი,

შენ ამ მიწის უცხო სტუმარი.

დამწვარ სახეზე

ათას ქვეყნის მნახველს, მოგზაურს  
ხან გაოცების

ხან სიამის გეგრა ღიმილი —

მწიფდა ხეხილი,

ედებოდა ცაცხლი ბროწეულს,  
მჭახედ ისმოდა ჩალიანში

ხოხბის ყივილი.

ბაღჩა-ბაღებში

ალისფერი იღვა აღმური,  
ქვეყანა მთელი

უხვად იყო წითლად მორთული;

მე მიგიძღვოდი.

მე გვერდს მეღვა მთელი მამული,  
ვიყავ ამაყი,

მკერდგაშლილი, წელგამართული.

შუადღის მზეში

ხედ ეყარათ ოქროს ზოდები  
თელავს და ყვარელს,

გარინდებულ გრემს და წინანდალს;

შენ აღტაცებით

მეგობრობის ხელს მიწოდებდი  
ამ აყვავებულ,

ამ დიდებულ ქვეყნის ბინადარს.

ეს იყო მაშინ,

სწორედ მკაში, — ორმოცდაერთში,  
გლებს ეღვა კალო,

ჯერ თავთავი ცისქვეშ ეყარა,

მრისხანე თვალით  
შემობრუნდა ჩვენსკენ არესი  
და ომის ცეცხლში  
გაეხვია ჩემი ქვეყანა.

ერკონულნი  
ზიხლნი მთქნა

ჭირი და საფრთხე  
იყო დიდი განუზომელად,  
დაღეწილ საზღვრებს  
აწვებოდა ძტერი ცბიერი;  
მშვიდობით გითხარ,  
თვითმფრინავში ჩაგსვი მზრუნველად  
და სამშობლოსკენ  
გაგისტუმრე სვებედნიერი.

მე მიხაროდა, —  
ამერიკას ჩახველ მშვიდობით,  
აქ რომ პირისპირ  
ჯოჯოხეთის ცეცხლთან ვდგებოდი;  
ომის ქარცეცხლში გამოხვეულს,  
მტერს შეჭიდებულს,  
უცხო შორეთში  
შენ მეგობრად მეგულებოდი.

მაგრამ როდესაც  
გამარჯვება დგას ჩვენს მხარეზე,  
ქვეყანა ჩემი  
როცა ახალ ჩირაღდნებს ანთებს,  
ქვეყანამ შენმა  
დღეს დალოცა ღმერთად არესი  
და ურცხვად ჰყოცნის  
კალიბანის სისხლიან თათებს.

შენ კი, შენ ჩემთან  
აქ მშვიდობის მზეს იფიცავდი,  
მეც ვიფიცავდი,  
ჩემს საფიცარს არ გიმალავდი.  
და არ მეგონა,  
რომ მშვიდობას არ დაიცავდი,  
მშვიდობისადმი  
არ მჯეროდა შენგან ლალატი.

მე ამგვარ დროში  
შენს შორეულ ხმას დავეძებდი,  
ნუთუ გაცუდდა,  
ნუთუ წახდა ჩემი ლოდინი;  
მე გატარებდი  
გახარებდი, გაალერსებდი,  
ნუთუ შენ  
სამტროდ გამიმეტე გულდაკოდილი?

ნუთუ სტყუოდი!  
მე მჯეროდა შენი კაცობის,  
თორემ თქვენებურ ორპირობას  
არ ვიცნობ განა?



მე მსურდა წმინდა ყოფილიყავ,  
 ჩემი ნაცნობი,  
 როგორც ეს მიწა,  
 ეს ნიაფი, პური და ყანა.

თორემ ვაეკაცურ სიმტკიცეში,  
 კაცურ გრძნობაში  
 განა ვერ ვარჩევ  
 ორგულობას, მზღლობას, ფლიდობას?  
 მე სხვა რამ მსურდა: —  
 მე ვეძებდი შენს კაცობაში  
 ალაღმართლობას.  
 გამტანობას და სულდიდობას.

სხვა უკეთესი  
 რა სჭირდება ვაეკაცს ქონება,  
 რა უნდა ჰქონდეს  
 უკეთესი სხვა საგანძური;  
 ნუთუ ის შენი  
 ალტაცებაც და შთაგონებაც  
 იყო ნილაბი  
 თქვენებური, მდაბალკაცური!

თუ ცოცხალნი ვართ,  
 მეც ჩამოვალ შენს ქვეყანაში,  
 იქნებ მეც მერგოს  
 მანდ სიამეც, მერგოს ალერსიც,  
 და მსურს იქ განახო,  
 სადაც დგანან ძმობის დარაჯნი:  
 ჩვენი ნერტუდა,  
 ჩვენი ფასტი  
 და გონსაღესი.

### ივანე მახნიაშვილი



ვეფხებრ იბრძოდა ომის ქარცეცხლში  
 გლეხი ივანე მახნიაშვილი,  
 დედა-სამშობლოს შავ განსაცდელში  
 სისხლი მიურწყო თვისი არჩივი.

მტრებს დასწყვიოდა, მოძმის შეელიდა,  
 ჰქონდა ცხრა თვალი, ჰქონდა ცხრა ხელი,  
 მაგრამ, არ იქნა, ბრძოლის ველიდან  
 ვერ წამოიღო გმირის სახელი.

ასჯერ ჩაჰხედა სიკვდილს თვალებში  
 თვალით მხედროლით და ჩვენიბურით...  
 ვერ ჩამოვიდა მშობელ მხარეში  
 ოქროს ვარსკვლავით დამშვენებული.



მაგრამ არ არის გმირის სახელი  
მართო ომში და ხმლის გაძლოლაში,  
ჩადგა ვაეკაცი ომგადახდილი  
უხვი მოსავლის გმირულ ბრძოლაში.

ისევ წარუძღვა თავის კოლოჩიკის,  
მიწის გულ-მკერდი აღლზე აშალა,  
ყამირს ეკვეთა დაუბრკოლებლივ,  
რკინის ყვევართ გადააშავა.

სთესდა. ჩარხივით ველზე ბრუნავდ  
ომში, ბრძოლებში მკლავეაწაფული,  
მაგრამ არ იქნა, არ გაუმართლა,  
ყანას დაუდგა ვოლვის ზაფხული.

არ დაუგდია მებრძოლს სანგარი —  
მიწა ნასეტყვი, მიწა გამხმარი;  
ისევ გამართა სახნის-ნამგალი,  
ისევ ჩააგდო თესლი ახალი.

ისევ გაიჭრა ჩამკედარ ჭალაში,  
ველზე მიუშვა არხი მაშველი;  
არ დაცემულა ორთაბრძოლაში  
გლები ივანე მახნიაშვილი.

და შერათა თითქოს ზიცა ნათელი,  
თითქოს დანებდა გლებიყვის ბუნება;  
წელს მადლიანი და სანარჩელი  
იყო ზაფხულის შემობრუნება.

თითქოს მოჰქონდათ გმირის სახელი —  
ბარაქობდნენ ზეაით ტრამალნიც;  
მკლდა გლეხკაცი ომათახდილი,  
სიტყვაძვირი და საქმემრავალი.

ჰქონდა მიწასთან მხნე შერკინება,  
ჰქონდა ცხრა თვალი. ჰქონდა ცხრა ხელი...  
ხვალ მთელ ქიყანას მოაფინება  
ჩვენი ახალი გმირის სახელი.

## გიორ

მოხუცდა ჩვენი ნინია,  
გაუცვდა მკლავი გმირისა.  
სოსელი. 1896 წ.

★

დაეტყო გიო მრელაშვილს  
სიბერე — ასწლოვანება,  
თვალს ფრთა შეაქლდა ფრენაში,  
გულს — ძგერა. ხმას — ხმოვანება.



მკერდს ვერ შლის ძველის ეშხითა,  
თოვლმა დაჰფარა თმა-წვერი;  
შედგა, შეუერთა, შეშინდა  
მგლის მუხლი დაუქანცველი.

მთისებრ ნაგები, ჩასხმული  
კვლავ მთისებრ ველარ მალღღება  
მძიმედ დააწვა წარსული: —  
ციმბირი, გადასახლება.

ნადილეგარის, ნამშვეის  
ხმამ ფხა დაჰკარგა რიხისა,  
სახეს ატყვია ნაჭდევი  
სამოცდაათი ციხისა.

მოტყდა სინათლის მძებნელი,  
თვალთაგან ცეცხლის მთოველი,  
ხელმწიფის შემჭიდებელი  
გლებქაცი იყალთოელი.

ირგელივ კი ჰხედავს ჭაბუკებს,  
როგორ სჭრის მათი მხარ-მკლავი,  
ზოგს ბრძოლის დროშა აშუქებს,  
ზოგს შრომის გმირის ვარსკვლავი.

სახე აქეთ მზეში დამწვარი,  
ყანა აქეთ ოქროსთმიანი,  
ცერისოდენა მარცვალი,  
შრომადღე ცხრაფუთიანი.

ყველა მათგანი მალღღება,  
არ ენახვება აუ-თვალსა,  
ოთხელს გადაახტება,  
არ მოსდებს ჩოხის კალთასა.

გიოც მათთან დგას სამკალში,  
ნალიც იქ უდევს ნამჯისა...  
მაგრამ სადღაა კაშკაში  
მრელაშვილ გიოს მაჯისა.

მოტყდა სინათლის მძებნელი,  
თვალთაგან ცეცხლის მთოველი,  
ხელმწიფის შემჭიდებელი,  
გლებქაცი იყალთოელი.

მაგრამ არ იმჩნევს სიბერეს, —  
დაასხამს, დაილოცება,  
საკინძს შაიხსნის, იმღერებს,  
ასრულდა მისი ოცნება:

სოფელი ახალ მზეშია,  
ჭაბუკობს მხარე ახალი;  
ვაჰმე, როგორ დროს ეწვია  
სიბერე გადულახავი.

მზემ მიწას სხივი მოჰფინა  
 ნათელი, დამათობელი...  
 მაინც პატარა ყოფილა  
 ასი წლის წუთისოფელი.

ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

## ორი ალაზანი



ორი ძმა, ორი ძველი ქართველი,  
 მათ შორის ცამდე ტინის კედელი...  
 მთის იქით მიჰქრის „პირიქითელი“,  
 მთის აქეთ მოჰქუნს პირაქეთელი.

ორი ვაჟაკი ბედის მორჩილი, —  
 ორი მდინარე ერთ-ერთს გაყრილი:  
 ერთი ალვანის ქეებში მოშხლის,  
 ერთი დაღისტნის ქედებს გაპყვირის.

თან მისძახიან ქვის ნაპირები  
 მგზავრებს გაყრილებს, მთებთან მეომრებს,  
 თითქოს ერთს მისდევს ფური ირემი  
 და ხარირემი მოსდევს მეორეს.

ორი მდინარე, — ორი ქუხილი,  
 გზაზე მათ შორის ტინის კედელი...  
 დასაბამიდან თვისკენ უყვივის  
 გაღმელ ალაზანს პირაქეთელი.

დასაბამიდან ტალღა გაღმელის  
 ძმასთან ჩახვევის არის მთხოველი,  
 ძველი წყურვილით, ძველი ნალველით  
 ძმა ძმას ეძახის, ძმა ძმას მოელის.

და ეჩვენებათ დონის ჭალები  
 ახლად ნახატი, ახლად მორგული.  
 ვოლაის მორევეში დონის ჭალები,  
 დონში შესული ტალღა ვოლგური.

და ეჩვენებათ ველი სამგორის —  
 ახლად გადაშული ტევრის თისიკები,  
 დამწვარ ტრამაღვი ივრის ამბორი,  
 ბევრი ჭალები, ბევრი ჰესები.

და ეჩვენებათ ის დღეც, როდესაც  
 ერთ-ერთს ნახაიენ მათი არხებიც, —  
 ზვირთი გაღმელის ქართულ ოდებთან,  
 მშერი ამბორი მჩქეფარ ტალღების.

თითქოს ჰხედავენ ახლად გაპოხილ  
 დამსკდარ ყამირებს, ნახაგამშრალებს,



ჯეჯილს, ტრამლაზე ახლად ამოყრილს,  
 ახალ სავუბრებს, ახალ კაშხალებს.

და ეჩვენებათ მათი დამხსნელიც,  
 დაუღვრომელი და მადლიერი, —  
 ყოელისმხილველი და გარდამქმნელი  
 მოდის სტალინის კაცი ძლიერი.

შირაქისაკენ, ალაზნის წყალო



შირაქისაკენ, ალაზნის წყალო!  
 გეძახის ხორბლის დედა ქართული,  
 გეძახის ყანა, გეძახის კალო,  
 გეძახის მიწა ფერდაკარგული.

ყველა ღრუბელი მზემ გადამალა,  
 ყველა ღრუბელი მზემ დაიტაცა,  
 წელიწადია ზეცის მანანა  
 არ დასცემია წვეთი მიწასა.

შირაქისაკენ, ალაზნის წყალო!  
 ხარ ამაგდარი, ხარ დაქანცული,  
 მაგრამ გეძახის არხილოსკალო,  
 გეძახის ველი გადახანძრული.

ქედში დაჰყარა მზემ ნაღვირდალი,  
 მირზანს დასცდა ზურგი მიწისა,  
 ხორშაკით გაშრა დიდი ელდარი,  
 დულაბის ხვატით ამოიფისა.

ფისემა ნაყურით ვერ გაიხარა,  
 წახდა სიმარჯვე გლეხის მაჯისა.  
 პურმა თავთავი ვერ დაიყარა,  
 ჯეჯილს დაედო ფერი ნამჯისა.

ველს მზი დააცხრა რკინის მგრეხელი,  
 ყველა ღრუბელი შორს გადამალა:  
 წელს საქართველოს დიდი ბეღელი  
 ზეცის სიმუხთლემ გაატრამალა.

შირაქისაკენ, ალაზნის წყალო!  
 ყანის გოდებამ მიწა დაჰფარა;  
 გეძახის ველი, გეძახის კალო,  
 ნუ მივბტოვებთ ცის ანაბარა.

დღეს სხვა ღრუბლების გვესმის გრიალი,  
 კაცმა ბუნებას ხელი დარი: —  
 სამგორს მიადგა ფიცხი იორი,  
 უყვე ყარა-ყუმს — ამუ-დარია.

მიწა მშობელი, ყანა და კალო  
 კაცმა ალაღბედს არ დაანება...  
 შირაქისაყენ, ალაზნის წყალო!  
 დიდი სტალინის არის ბრძანება.

თარგმანი  
 გიორგი მთავარი

### დღის სამგორისკბე



დღეს სამგორისკენ თავშემართული  
 დაეშვებიან ივრის ტალღები;  
 დღეს გაიბმება საზერე მავთული,  
 მოედებიან თბილისს ბაღები.

დღეს იქუხებენ მლაშე ტბებისკენ  
 ივრის ზვირთები ხელჩართულები,  
 ჯერ საცხენისზე, ძველ საცხენისზე,  
 ლამეს იფრენენ ელსადგურებით.

მერე დაჰკრავენ სამგორს ხმლის პირებს,  
 აულერდებიან ველზე აბჯრულად.  
 ახალ ბაღნარებს, ახალ ხისძირებს  
 ჩაუდგებიან ფესვი ნაეურად.

მერე გასწევენ არხში თარეშით,  
 გამხნევებულნი თითქოს ორწილად  
 და დიდ-ლილოსთან გახსნილ კარებში  
 შეიჭრებიან ძლევამოსილად.

ძველ მახათასთან ზღვა აოცლდება,  
 გლდანთან ატყდება აურ-ზაური,  
 ზღვა ამოერდება, ზღვა ამოერდება,  
 თბილისს, აეკალას დაჰკრავს ზღვაური.

ზღვაზე დადგება ღრუბლის სვირები,  
 დასიჰს, იაღვიბს და გაწვიმდება,  
 ზირიბში მკაიანზე წვიმის წაითები  
 ელექტროს შუქით აციმციმდება.

დასიხიბს, აოცვავს მისაშვილიბლად  
 მივა სამგორშიც, მოვა თბილისშიც  
 და ფერად-თერად რისარკაილებად  
 შიგ იელვარებს შუქი ილიჩის.

# პაპის ყვავილობა

რომანი პროლოგითა და  
ეპილოგით  
ბერძნულად



პროლოგი

დიდი ალაზანი სამხრეთისაკენ მძაფრად უხვევს სწორედ იმ ადგილას, სადაც სოფელი ბერძენთა მდებარეობს თავისი ძველთაძველი ნაციხარებით, ნასაყდრალეებითა და ნაპარტახალებით.

ბერძენთაში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. ეს კოლმეურნეობა თავდაპირველად მეცხვარეობას, სეკტორად — მეცხოველეობას ეწეოდა. სავსებით მარტივად, „გლეხურად“ მოვილილი ვაზი ჰქონდათ კოლმეურნეებს თავთავიანთ საკარმიდამოში, მაგრამ სახელმწიფო მასშტაბი ჯერ არსად ხანდა.

სავსებით უმატრონო და გაპარტახებული იყო ბერძენთა და ალაზნის ქალებს შორის მდებარე, მეჩხერი ტყით შემოსილი ზეგანი, რომელიც უამრავი ბორცვებითა და კორღებით ნელნელა ვაკებოდა სამხრეთისაკენ.

ამ ეწერში თავისთავად გაზრდილი პანტისა და მათალო მსხლის ხეები შემოგრაგნილი იყვნენ ხანდაზმული გერმანიის ვაზებით, რომელნიც უკვე იმ კრიზისის იძლეოდნენ ხოლმე.

იმ ბნელ დროებში, როცა შაჰ-აბაზმა აყარა დიდი ნაწილი კახეთის მოსახლეობისა და ვენახები ამოაძირკვინა, ბერძენებიდან მათში დაიხიზნა ასობდე სული. უკან მობრუნებისას მათ ეს ნაყოფიერი ზეგანი მიატოვეს და ჩრდილოეთისაკენ მდებარე მთების უბეში შეიყუჩა სოფელი. რომელსაც მტრების შემოსევისაგან, სამხრეთიდან საშაოდ მაგარი ციხე იცავდა, ხოლო დანარჩენი კიდეებიდან — გორაკების მომიჯნე ქარაფები.

ერვც ვაზის გასაგისი მოსპევს ყიზილბაშებმა. გაჩეხილი ვენახების ნაფესვარებმა კვლავ იფეთქეს და მათმა გავე-

ლურებულმა ნაშეიერებმა ჩვენ ეპოქამდის მოაღწიეს.

ჯერ კიდევ ლაფრენტი ბერძენს ჰქონდა განზრახული ამ ზეგანზე ვაზნარების კვლავ გაშენება, მაგრამ პარველ რიგში სირსის ზერები უნდა მოეწყოთ, ბერძენელები მაინც და მაინც არ სწყუბუნდნენ ამ საქმის გადადებას, მათ მეცხოველეობაზე ჰქონდათ ხელი გაჩვეული და ძოხუცების კონსერვატიზმი თავის ძალას არა ჰკარგავდა.

ამ სოფელს ცხრამეხა რქმევი ილესლა. რვა მუხა ქამთა სიაცეს გაენადგურებინა, ზოგი სიბერეს მოჟსრავეს, ზოგი მეხთატეხას უმსხვერვლნია, სხვანი ყიზილბაშებს გადაურყუჯათ, ჩვენი ტყეების უდიდეს მტრებს. შემდგომსა და შემდგომ თაობებს გადავიწყინათ ცხრა მუხის არსებობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რვაინი უკვე აღარ იყვნენ, ამიტომაც ბერძენთა დაურქმევიანთ სოფლისათვის.

ეს იყო ოღონდ, რა მუხის ფესვები ჯერაც არ იყვნენ მიწის პირიდან წარხოცილნი იმ წლებში, როცა აქ მოთხრობილი ამბები ურთიერთს გადაესკვნენ.

როგორც, სოთილი ბერძენთა, ისე მთელი ზეგანი ცხრა მუხისა, თავადის, ვაჩნაძის საბატონო ყოფილა ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე.

ვანაძიანთ სასახლეში, რომელიც სოფლისაგან ოდნავ მოშორებით მდებარეობდა, საბჭოთა ხელისუფლებას დაუმართავს სკოლა, თემსაბჭო, სასტუმრო და კლუბი.

სასახლის საკმაოდ ვრცელ ეზოში აღენადრებენ და მანოლიები ოაორავს ოღესლა, რომანოვების არმიის გენერალ-მაიორს ედიშერ ვაჩნაძეს,

რომელსაც შამილის წინააღმდეგ გამართულ ომებში გაუთქვამს სახელი. სიბერის ვაჟს, ცეზარისადმი მიბაძვით, მეურნეობისათვის მოუცილნია ხელი ამ გენერალს. მასვე ჩაიფუტანია ამ მხარეში ფრანგული ჯიშის ვახუბი, ინგლისური პარკი მოუწყვია თავის კარმიდამოში და ეს აძლევდა საბაბს ბერძენელ დროულ კაცებს ეთქვათ: გენერალი დიდად განათლებული კაცი იყო.

გენერალ ვანნაძესვე უცდია ცხრა მუხის ზეგანზე ვენახების გამართვა, მაგრამ ოთხმა მამაცი, სამეურნეო საქმეებში ბალღივით გამოუცდელი აღმოჩნდა, დიდძალი ფული დასტყუეს მას მოურავეებმა და აგრონომებმა, ორიოდ კეტარზე კიდევაც გამართეს ვახუბები, მაგრამ ეს საქმიანობა თავისთავად შესწყდა, რადგანაც სიყვდილმა გზა გადაუჭრა მათ პატაროს.

ადრე დაიღუპა მისი ერთადერთი საკმაოდ უნიჭო ვაჟი და მან ასეთივე თავქარიანი შემკვიდრე დასტოვა — ნიკო.

ამ თავიღმა თავდაპირველად ასეთი სისულელით ისახელა თავი: როცა ნიკოლოზ მეორე ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრე, საქართველოში მგზავრობდა, ნიკო ვანნაძემ დიდძალი მამულები გაჰყიდა ალაზანს გადაღმა, ამ ფულით ნოხები შეიძინა და რამდენიმე კილომეტრის მანძილზე დააგო თემშარაზე; მომავალი იმპერატორი „ქარისტეს ანალოგიით“ ვირზე შეჟღა და იწვია თავადს.

ამ მლიქვნელობისათვის ნიკო ვანნაძემ „მისი უდიდებულესობის კონჯოის ოფიცის“ წოდება მიიღო. მეორე მისი „საგმბრო საქმე“ ის იყო, რომ იგი ჩაეწერა გვიი ამილახვარის ცნობილ რაზმში, რომელიც ცეცხლითა და მახვილით უსწორებოდა ქართლ-კახეთის გლეხობას 1905 წლის მომდევნო რეაქციის დროს.

ბოლოს მოეწყინა თავადს ბერძენულში, ამ „ბნელ სოფელში“ როგორც მისი ძეგლზე იტყოდა ბოლშე. ვაზის მოყვასა და მის მოშენებას მისი ნაყოფით დატკობა არჩია. თბილისს გადასახლდა და თავისი მამულები ხელში შეატარა საკმაოდ გაძვირდა მოურაის და ორთაჰალის ბაღებში განაგრძო ბახუსის კულტის სამსახური.

ბერძენის მამულები გაპარაზდა, მოურაი საილალო ხარკს ახლოვინებდა თუშ მერხვარეებს, ამ სანახებში გზად გამოვლილთ.

მალე თბილისშიაც მოსწყინდათ თავადს და მის „ეხენიას“. ცხრა მუხის ზეგანი ერთ სოფელ ვაჭარს მამულებს, ნიკო ვანნაძე აძევა თავისს თავქარიანი ცოლის ხელმძღვრებს და პარიზს წავიდა, სადაც მისი დაი — ეფემია ცოლად ჰყავდა ერთ ბანკირს, ვინმე დე მასპეროს.

ამგვარად ამ ჩოხიანმა „ჩაილდ პაროლმა“ ცივილიზაციასაც გადაუხადა ერთგვარი ხარკი.

ამასობაში საესებით გადახმნენ გენერალ ვანნაძის მიერ მოშენებული ვენახები ცხრა მუხის შემოგარეხით, ზაძთრობით აქ მგლის ხროვები დათარეშობდნენ, ხანაც კავასიონიდან ჩამოხეტებული დათვები თავს ესხმოდნენ ამ ზეგანზე გამოლალულ ნახირებს.

უფრო მეტი, ხანდახან, ნათესებსაც უბედავდნენ ხელყოფას და უჩიარალო გლეხობას უჭირდა მათთან გამკლავება. სოფელსა და ალაზანს შორის დიდ მანძილზე თანდათანობით ვაკეებობდა ძეძვითა და კატაბარდებით შემოაილი მჭირი ზეგანი. სწორედ ამ ზეგანზე იყო გაფანტული იმ რვა მუხის ნათესეარები, ურთიერთისაგან საკმაოდ დიდ მანძილზე დაშორებულნი.

მეჩხერ, ძეძვიან ტყეში მოსჩანდნენ ძველთაძველი ნაციხარები და ნასაყდრაობი, როგორც ის ს.წ.ს.ა.ობილი ხანგრძელები ისე ტყეში დარჩენილი ველური ვახუბი მოწმობდნენ, რომ აქ რამდენიმე სოფელი ყოფილა ოდესღაც. ბერძენულესს ამაოდ უცდიათ ამ რვა მუხის ნათესეარები მიწის პირიონ აღმოიფხვრათ. ჯერ უჩეხიათ, მერმე კონებიც გაუჩაღებიათ, იმ ადგილებზე, სადაც მოხერ მღვარან, მაგრამ მაინც ვერ შეუმხვრათ მათი ფესვები, რომელიც ზოპარულ უჩრხულეობივით და რაგინილი მოსდებოდნენ კორდებს და არამც და არამც არ აპირებდნენ თავიანთ არსებობის დათმობას.

დახავსებულ, შავ ქერქიან ფესვებს გახაფხულზე გამოქონდათ ჰაწია, უდლეურად ნაბარტყევი კლერტოები, ასე რომ ეს უმწეო არსებანი უთყოოდ მოაგონებდა კარს სახელოვანი მამის უნიათო შვილობს, რომელთაც მხოლოდ გვარი შერჩინათ მამისეული, ქველი სახილც და სხვა არათერი.

ამგვარად, ალაზანს გადაღმა ამ რვა ნამოხარს შორის იდგა ერთადერთი ბერძენი, ლილი და ამაჟი, როგორც ომგადახდილი ძველი რაინდი, ხენმოდე-

ბული, დაგრაგნილი შტოები გაეშვირა ზეის ოთხივე კიდისაკენ. იდგა თვალსაჩინოდ და შეუდრეკელად, თითქოს ამყოფბო კიდევაც იმით, საქართველოს აუციხელ შტოების შემოსევას რომ ვადაურჩა, ამდენსავე შეხატატებასა და გრივალებს.

თუცა მისი მერქანი ფულურით იყო, ხოლო ზოგ-ზოგი ტოტი, ვეშაპის ქერე-ქივით უხები, დახეთქილი და დაკოყე-ბული, უკვე აღარ ისხამდა შტოება და ფოთოლს და ეს ყოველივე მაცქერალს აგონებდა მიხრწნილებას, სიკვდილის უახლოეს მეზობელს, მიუხედავად ამისა, ბერკმუხის მაცქერალი მაინც იტყო-და: რამდენსავე საუკუნეს კიდევ გაუძ-ლებსო ბერკმუხა.

იდგა ეს ბერკმუხა, მის ფესვებს წია-დავი შემოცლოდა, ალაგალაგ მიწა ჩა-ქვეულიყო ნაღვრებისაგან შეძრული, ასე რომ ბერკმუხის ვაგლახად დაღრეკი-ლი და დამრეკალი ფესვები თვალსა-ჩინოდ გამხდარიყვნენ. ზოგი მათგანი გველვეშაპს ჰგავდნენ შიორაკილ-მოღრეცილად მიწის პირზე გართხმულ-ნი. ზოგი აქლიშის კუხაყით უხეში და ამორცყილი. ზოგიც აორღილის ზურ-გით მოღრეცილი, მასავით ლეგა, ზო-გიც ბებერი, ხანგრძლივად ნაუღლარი ხარის ქედს მიაგავდა.

აქ მოთხრობილი ამბავი დაიწყო, ისეთ დროს როცა ჯერ არავინ იცოდა, თუ გაზაფხული — ეს კელუცი, მწვანე მანდილოსანი, რომელიც ხან ქარების ფრთებზე მიმოჰქრის, ხანაც წვიმების სადავეთა ტლამუნით მოგვევლინება, საიღონ აპირებდა ამ მხარეში მოსვლას? ყინვის ბექთარებში ჩაშინდარ კარკა-სიონიდან ალაზანზე ფეხშიშველად ჩა-მოძრანებას, თუ შინა ქართლის ნა-ყოფიერ ზეგანიდან მამკოდას ზიობრით კახეთში შემოჰრას. ან განჯის მხარის ველებთან ყიზილბაშურად შემოჰარ-ვას, ალუბლის კარვების დადგმას ალა-ზნის ველზე, რომელსაც არამც თუ სა-ქართველოში, ვაგონებ მთელ მსოფლი-ოში არა აქვს ბაოალი.

სილორჯე შიშპატეობდა კავკასიონის ვალთებს. იდუმალი სილორჯე ღიმოა-მიბოა არა მარტო ცხრა მოხის ზეგანზე, არამედ მათ ქვემო გადაშლილ ალაზნის პალეებში, სადაც ველური შვინდისა და

პანტის ხეებს დასახრობად მიხვევიან გაუვალი კატაბარდები.

ყველგან ჰქონდა შედგმული ტოტე-სა და რტოებს სილორჯე, ოდნავ, სულ ოდნავ შეწითლებულიყო ნეკერი, ასე რომ მშველები წარამარა ამოჰყოფდნენ თავს ამ მოღურჯო ძეძვებში, წაკენიტ-დნენ ნეკერს და გარბოდნენ.

გაზაფხული მაინც არსად სჩანდა, თუცა ყველგან მოელოდნენ მას. იგი იგვიანებდა თითქოს განკვებ, ისე რო-გორც ეს სჩვევით უზომოდ თავმო-წონე სტუმრებს, რომელნიც წვევას აძალღიან ხოლმე მასპინძლებს.

ამ ველურ ვეგეტაციაში დამყარებულ მყუდროებას მხოლოდ გარეული ტახე-ბის ბორკვა და შლიგინი არღვევდა მი-უდგომელ ლიქიანში, რომელსაც ეკა-ლი ცხხედ შემოსდგომოდა გარს.

სწორედ ამ ბერკმუხის ქვეშ იჯდა თიბერჯლის თბილ დოის ახლათიო-რებული გოგონა. წარამარა გასცქერო-და ალაზნის ველს, ხანაც აღმოსავლე-თისაკენ მიმავალ ურმის გზას უთვალ-თვალბოდა.

თაფლიანფერი, წვრილი წარბები ამ-შეინებდა მას, ვაზის ბწრობილით ბო-ლოებში წამახლენი. ოდნავ ზეაწეული ცხვირის კვინტი ჰქონდა ამ გოგონას, საკმაოდ ენერჯულ ნიკაპზე ჰაწია ორ-მო. მარცხენა ლოყაზე კალმით დაწე-რილ წერტილის ოდენა ხალი ეტყო-ბოდა.

მის შუბლსა, ლოყებსა და ლაწის თაყებს ოდნავ, სულ ოდნავ ემჩნეოდა ახალ გაზაფხულზე მსუბუქი ჰორფლი.

შინდივით წითელი მისი ტუჩები ისე ამობურცვილნი იყვნენ, როგორც ეს ახასიათებთ ზედმეტად მგრძნობიარე ქალწულებს.

მის ლოყებზე შეფარებულად შერწყ-მულყვენ ბროწეულის ყვავილისა და ძველთაძველი სპილენძის ფერები. ყი-ღაზე მეტად უცნაური იყო მისი დიდ-რონი მუქლორჯი თვალები, რომელ-ნიც ქუთუთოების ზეაწევის უმაღლე გაოცებულად მოეჩვენებოდათ მათ და-ძნახველს.

ამ ქალწულის ზემო ტუჩზე დაკვირვებული თვალი უთუოდ გააჩნევდა სავსებით მსუბუქე ქინქვლს, როგორც შეუდგება ხოლმე ატასს, როცა იგი აოც მთლად ეტხება და არც საკმაოდ შემწიფებული.

დაიღალა ლოდინისაგან ეს გოგონა, თვალი აღუწყალა მზის მუქზე მოელვარე ალაზნის მზერამ. ორივე მკლავი შემოსკიდა მუხლის თავებს და ზედ დასდო თავისი კეკიანი თავი, წაბლისფერი, ორმაგი ნაწნავებით შემოგრაგნილი.

და ვიდრე ეს გოგონა ასე გარინდებულ იჯდა, ბერძენს მოუახლოვდა საკმაოდ ტანშალი, ბრვე ყმაწვილი, რომელსაც წაბლისფერ კულულებს ფოხზე მერცხლის ბუდესავით წამოეკოსებინა ნაბდის შავი ქული.

ამ კბამუს მხნაყისფერი ბლუზა ეცვა, ლილილოებით კობხად შეკრული, წელზე ქართული ქაშარი ერტყა, ამ ქაშარზე მხარამარცხნით შავი სატევარი ეკიდა, მისი მალაყელიანი ჩექმები არ მალავდნენ მისი გრძელი წვივების შნოსა და სისწორეს.

იგი ტანსრული იყო. მხარარძიო და ბეჭბრტყელი და ისე მსუბუქად მიდიოდა ბერძენისაკენ, თითქოს ცეკვის რიტმს აყოლიაო. შრიალეზდნენ მის ფეხებს ქვეშ ნაზამორალი ფოთლები და ეგეც ცხადჰყოფდა გაზაფხულის მოახლოებას.

როცა ეს შარიშური შემოესმა ქალს, თავი აიღრ და ახაზდად გაწითლდა. უსაყვედურა თავის თავს: რად გაეუშვი წელან ბერძენსათან მოსული ნათია წისქვილშიო.

შეკრთა კიდევაც ოდნავ, ხანჯლიან ვაჭკობს დანახვისას ამ ჯერად, თუშცა იგი სხვა დროს, როგორც კოლმეურხეობის მერგოლორბი, ყოფილ დღიას ზედებოდა ამ ყმაწვილს, იმავე კოლმეურხეობის ბრიგადირს.

შერცხვა, რადგანაც, მისი აზრით, ის ონებური შიხაიდრა საგანგებოდ დათქმულ პაემანს წააგავდა.

წამოდგა, ჯერ — გაიმარჯოსო, მიამახა გამარჯობის საპასუხოდ ახლად-მოსულს და მერმე უნებლიე მზერა ისროლა ალაზნის ველს, საითყენაც ამას წინათ მისი ამხანავი ნათია თარალაშვილი წავიდა.

აოარსად სჩანოა ნათია, მაგრამ ბერძენი გოგონები არც ისე შორს იყნახ. ღორ-ხმოს მიელალებოდნენ ალაზნის ქალებისაკენ.

გოგონამ აგრე ივარაუდა: ალბათ დავინახეს მარტოხელანი ბერძენის ქვეშ და პაემანზე მოსულნი ვუგარხნებითო.

ვაქმა ხმადამლა იკითხა: „თავჯდომარეც არ მოსულა, ნუხუ?“

— არა — მიუგო ქალმა — „დანარჩენი მერგოლორები სადღა არიან, ნეტა?“

„ნათია აქ იყო, მანაც ბევრი იცადა და წისქვილში წავიდა, ძამას უნდა მივაკითხოო“

მე გზაში შეეხვდი დათუნას, ვანოსა და გაბოს, ბერძენისაკენ მიედევართო, ეგრე თქვეს.

„მე და ნათია აქ ვისხედით დილიდან“.

მიუგო ნუნემ. ქალმა თვალი შეასწრო: ნათიას ხსენებაზე რატომღაც შეიმშქუნა ვაჟი.

„აი ამბობდი, გოდერძი, პაპა მიქელას მოვიყვანო, ხალხი აგრე ამბობს, პაპა მიქელად ჩვენ აგრონომებზე ნაკლებად როდი იცის ვაზის საქმეო“.

„პაპაჩემი ბაბლიას უნდა წამოეყვანა, მე დილაადრიან რკინიგზის სადგურზე გავექეცი ცუკას კომისიის დასახვედრად. მანდ მითხრეს მანქანით ჩამოსულნო, მერმე ვირბინე და ის იყო აქ მოვედი“.

„შესაძლოა, ჩვენი თავმჯდომარეც მათთან იყოს წასული“. — თქვა ნუნემ.

„არა, მე გამოვეუარე უთინია მას, ცოლმა გადმომამახა: სიცხე ჰქონდაო წუხელ. თუ აღგომა მოახერხა, შესაძლოა გვიან მოვიდესო“.

„დაგვიბერდა თედო“, სთქვა ნადვლიანად ნუნემ.

„დაგვიბერდა და დაგვისნეულდა, აბარა მოუვა ნაციმბირალ პარტიზანს“.

გოდერძიმ ჯერ პაპიროსს მოუკიდა და შემდეგ სოფლისაკენ მიმავალ თემშარას გახიდა, მერმე მზვარეში მოელვარე ალაზნისაკენ მიბრუნდა და ნუნესგან საკმაოდ მოშორებით ჩამოჯდა ბერძენის ფესვზე, რომელიც დაცუქქულ კურდღლის ზურგივით მოდრეკილი იყო.

იჯდა გოდერძი, ამოლებდა პაპიროსს და გასცქეროდა მოელვარე ალაზანს. ნუნემ ეს გაიფიქრა ამ წუთში: ალბათ ნათიას უთვალთვალეზსო გოდერძიო.

ვისაც არ უნდა დაენახა ნუნე და გოდერძი ამ წუთში, უთუოდ იტყოდა: და-ძამაო.



ორივენი ერთი და იმავე სიმაღლისა-  
ნი იყვნენ. გოდერძისაც წაბლისფერი  
თმა აქონდა, მის ლოყებზედაც შეოწყ-  
ბულის იყვნენ ბროწეულის ყვავილისა  
და ძველთაძველი სპილენძის ფერებზე.  
მე არა მგონია, ვისო და რამისი, ან  
აბესალომი და ეთერი აგრე ზედმიწევ-  
ნით გვანებოდნენ ურთიერთს.

შუაში გააბობილ ნიგვზის ლებანივით  
მიგაედნენ ერთთახეთს ნუნუ და ვო-  
დერძი, თუმცა არც ერთ მათგანს ეს არ  
შეუძმჩნევიათ არასდროს.

არც თუ სხვებს შეუწინავეთ ეგ, რად-  
გან იმ წლებში ისე ჩამორჩენილი იყო  
ბერძენის კოლმეურნეობა, იძღვის ამუ-  
შეებდა მისი თავმჯდომარე, თედო  
თარალაშვილი კოლმეურნეებს არავის  
ეცალა იმის გამოსარქვევად, თუ ვინ ვი-  
სა ჰვავდა ამ სოფელში.

ახალგაზრდებმა ყურმოკვრით იცოდ-  
ნენ, ნათია მოსწონსო კოლმეურნეობის  
ბრივადირს გოდერძი ელანძის.

თუმის ქალზე, ნუნუ უჯირაულზე  
ბევრ ვეჯაცს ეჭირა თვალი. მაგრამ ნუ-  
ნუ ისეთი მორცხვი და თავშეკავებული  
ქალი იყო, არავინ იცოდა, ვისი იღუ-  
ბალი გულისმიჯნური იყო იგი და არც  
ნუნუ იძღვოდა არასდროს ჭორებისა  
და მიუქმამოთქმის საბაბს.

ისიც შესაძლოა, სიყვარული მოცილი-  
ლთა და გალაღებულთა გულებს უფრო  
იოლად ეკიდებოდეს, ნუნუს ისეთი მძი-  
მე და გაუზარებელი ცხოვრება ჰქონ-  
და, აღრიან სიყრმიდან, ან საღ ეცალა  
მას სამიახეროდ.

დღემისი, ნუნუს ამ ქვეყნად გაჩე-  
ნას გადაჰყვა, მამა დარდისაგან გალოთ-  
და, ჯერ იყო და კოლმეურნეობაში შე-  
სვლას ვაგრიდა, თუმცა ვინაძიანთ ნა-  
მოჯამაგირალი და უღარიბესი მწყემსი  
იყო.

ბოლოს ვილაც სპეკულანტმა, „ღვი-  
ნის ვაჰარმა“ თბილისში გაიტყუა, რა-  
როს მთებს დაჰჩირდა, მაგრამ ხელმო-  
ცარული კაცი ისევე სოფელში გამობ-  
რუნდა და თან ჩამოიყვანა (როგორც  
უჯირაულთა ქალაქაძლანი იტყოდნენ  
ხოლმი: „ჩამოათრია“) ყოველად უქნა-  
რი, აშარი დედაკაცი—ქეთუა. იგი ყო-  
ლას აფონებდა ქართულ ზოპარებში  
მრავალზნის შაგბოლო თრინიაცვლებს,  
რომელთაც იხსენიებენ როგორც „დე-  
დისიაცვლი — თვალში ნაკარი“.

სოფელშიაც ვახარძო ნუნუს მამამ  
ლოთობა. არც თქმსაბჰოს თავმჯდომე-  
რის, არც კოლმეურნეობის თავმჯდომე-

რის — თედო თარალაშვილის მამაშვი-  
ლურ შეგონებას ათხოვა ყური: ეუბნე-  
ბოდიეს, სირცხვილიაო. სულაოთურ  
ეპოქის კოლმეურნე უქნარობას და  
ლოთობას ეყუოდესო. იგი დალოცვილო  
ღვინოს ჩვენ ყველანი ვსვამთ, მაგრამ  
ლოთობა რა საკადრისია, ყველაფერს  
რომ თავი დავაივით, ლოთიიას და-  
ლუპვის კარებაძლის მიყავს კაციო.

ბოლოს დაისაჯა იგი ამ სირისაგან  
კიდევაც. რომელიღაც ქორწილში დამ-  
თვრალიყო ალაზანს გადაღმა, ბერმუხა-  
ში მობრუნებისას წყილში დაიხრჩო  
და ქვეყანას დაუტოვა ქეთუსთან შე-  
ულღების ნაყოფი, ბნედიანი ვაჟი, რო-  
შელსაც მასრასავით წვრილი და მოკლე  
ხელფეხი ესხა და ცამეტი წლის ბიჭი  
ისევე საწყალობლად ჩლიფინებდა, ენას  
უკიდებდა, ასო „გ“ ს ნაცვლად „დ“ ს  
ამბობდა და ამ საცოდავს უზარმაზარი,  
თითქმის სამკუთხედი თავი ზედ გღდა  
ობობის მარტლასავით წაწვრილებულ  
კისერზე.

ამ გარემოებისაგან გაცოფებული  
ღიაცი, საფლავში მდებარისაც ამაგებ-  
და თავის მეუოლეს. ლანძიოადა მას,  
„ქალაქის ბედნიერ ცხოვრებას, მომა-  
შორა და ამ „ბნელ სოფელში“ ჩამო-  
მართიაო.

რაკი მიჯვალებოლს ვერათერი დააკ-  
ლო, ნუნუზე იყრიდა ჯავრს, ყოველ  
დღე უპირებდა სახლიდან გაგდებას იმ  
იმიდით, ნუნუ თუ მოვიშორე თავიდან.  
საკარმიდამოს და სახლკარს ვაეყიდი  
და თბილისის დაებრუნდებო.

„გათხოვდი, გათხოვდის“ ჩხაილი  
დაუწყო ჯერ კიდევ ცამეტი წლის გო-  
გონას, ორგზის გააგლო მამისეყოლო  
ოჯახიდან ობოლი ქალი, მაგრამ კომ-  
კავშირის რაიკომის ენერგიულმა ჩარე-  
ვამ მას ორგზისვე ჩაუშალა ეს განზ-  
რახება.

რაკი სიყრმიოანვე შეიციო ნუნუმ,  
მხოლოდ და მხოლოდ პარტია და ხე-  
ლოსუფლება იყო მისი ერთადერთი ჭი-  
რისუფალი ამ ქვეყნად, კოლმეურნეო-  
ბაში თავიამიჯებული შრომით აპირებ-  
და თოის მხრით მადლობის გრძნობის  
დამოწმებას.

არც თუ გოდერძი ყოფილა მინც და  
მინერ ბითისაგან განხებირბოლო. პა-  
პა მისი მიქილა ათ წლის მუხერედ ემ-  
სახორა გენერალო ვინაძის, როცა ამ  
ოჯახს ჩელის ნაშიერებმა მიუენახეო-  
ბას აპირდეს თავი, ბარე ოც წელს შე-  
თონედ იყო ნათსავე ოჯახში.

ამ მძიმე ხელობამ, რომელიც გახუ-  
რებულ თონეში თავპირის ჩაკიდებას-  
თანაა დაკავშირებული, თვალის სინათ-  
ლე წაართვა პაპა მიქელს.

ბევრი ატარა გოდერძიმ თავისი საყ-  
ვარელი პაპა, ექიმებთან თბილისში,  
ბოლოს როკორც იქნა, სანახევროდ  
მანაც დაუბრუნეს თვალის სინათლე.

პაპა მიქელს ერთადერთი ვაჟი, გო-  
დერძის მამა, ზაქარა კოლმეურნეობის  
მენახირე იყო, იშვიათად ჯანმგაირი  
კაცი, რომელიც შიშველი ხელით,  
ფინხივით ამსხურებდა ჯორის ნალეებს.

ერთ უხიავ საღამოს, კოლმეურნეო-  
ბის ნახირს მგლის ხროვა დაესხა თავის,  
უიარაღო ზაქარა შინდის კომპლით  
გაუშვალა მხეცებს. ორ მგელს თავი  
გაუტეხა, მაგრამ კომპალი ყინვის ლო-  
ულსავით გადაუტყდა ბედშავს და წა-  
მოესივნე გაცოფებული მგლები.

ეს ამბავი მოხდა იანერის დამოღეს,  
როცა მგლები ამტყუნებას იწყებენ.

როცა მამის დაგლეჯილი სხეულის  
ნაკეწები ნაბადში შებუტვილი შინ მო-  
იტანა გოდერძიმ, პაპა მიქელა ადგა,  
ხელები დაიშინა თავში და ისევ დაბრ-  
მავდა ბედშავი.

გოდერძისაც ადრე დაელუბა დედა,  
ასე რომ იგი მამიდა მისმა, თეკლამ გა-  
მოზარდა და სწორედ იმ დამეს, როცა  
პაპა მიქელამ სამუდამოდ დაქარაბა  
თვალის სინათლე, ამ ორმავი უბედურ-  
რების საკუთარი თვალით მხილველი,  
ქუეზე შეირყა თეკლა, რომელსაც  
მთვარის ყოველ მოქცევაზე, ისე წაშო-  
უელიდა, ამზარზენი კვილით შესძარე-  
და მთელ სოფელს.

ყური არ ათხოვა გოდერძიმ დროუ-  
ლი კაცებისა და ნათესავთა თათბარს.  
სულით ავადმყოფთა კლინიკაში წაიყ-  
ვანა მამიდა თეკლა თბილისში, საამი-  
სოდ ვერ შეეღია მამიდას, ასე რომ  
გოდერძიმ კოლმეურნეობის ბრიგადო-  
რის საქმეოდ საპასუხისმგებლო მოიკ-  
ლობას იწყოდა, თანაც უსინათლო  
პაპასა და შემოილ მამიდას უვლიდა.

ერთადერთი ადამიანი შევლოდა  
მას — მისი მცირეწლოვანი დაი — ბა-  
ბლია, რომელიც ხელით დაატარებდა  
თავის უსინათლო პაპას. შ-შლიდ მა-  
მიდასაც თვალყურს ადევნებდა და ამი-  
ტომაც სკოლის გარეთ დარჩა.

ამ უბედურებისაგან შიძრული გო-  
დერძი ელანიძე ოყოყმანოდ დაადგა  
თავგამჯობელი შრომის ზმას. რადგან  
უბუნურნი ღვინოს მიმართავდნენ ხო-

ლმე გულის ჭირის შესამსუბუქებლად,  
ხოლო გულდინჯნი შრომანი მოუტლი-  
დნენ თავდაიწყებდას.

შემოდანუსხელსა და მოთხრობი-  
ლის მეოხებით, როგორც გოდერძი  
ელანიძეს, ისე ნუნუ უჯირაულს უდ-  
როვოდ გაუჩნდათ ნაოჭები შუბლზე  
იმ ადგილას, სადაც წარბები შეყრას  
აპირებენ. ოდნავ თვალსაჩინო წვრილი  
ხაზები დაეტყობ ტუჩპირის კუთხეებ-  
ში ორივეს, რაღაც განუზომელი სიმ-  
წარისა და დარღის განმცხადებელი.

არა მარტო ყოველივე ამით, ხასია-  
თის ზოგიერთი გამოვლანებითაც ჰგან-  
დნენ გოდერძი და ნუნუ ერთიერთს.  
ორივენი უხალისოდ ლაპარაკობდნენ,  
იშვიათად იცინოდნენ, ორთავეს უყუ-  
რდათ განმარტოება ბუნებაში.

თუმცა ხელუ მხოლოდ მეოცე გაზაფ-  
ხულს ითვლიდა, ხოლო გოდერძის ოც-  
დამეხუთე უსრულდებოდა, ორივენი  
ისე გულმეცხიერნი იყვნენ, ისე მუყა-  
ითი და დაკვირვებულნი, როგორიც  
ხდება ხოლმე ნორმალურად განვითარ-  
ებული ადამიანი, რომელსაც უკვე  
გათაულახავს მეორმოცი წელი, ახალ-  
გაზრდობისა და სიჭარბაგის ეს უტყუ-  
არი მიჯნა.

რამდენადაც ამ სტრიქონების ავტო-  
რი კაცთა ვნებების შემატახანდსთვლის  
თავის თავს, ამ უბრალო ადამიანთა  
ცხოვრების შესასწავლად არაერთხელ  
ჩასულა იგი ბერძენხაში, რომელიც თა-  
ვისთაგან ისეთი მიჯარდნილი სოფე-  
ლია, რომ მისი სახელი საქართველოს  
რესპუბლიკის რეკაზუნდაც არაა აღნიშ-  
ნული.

იგიც ცნობილია, რომ მნათობთა მე-  
უფე მზე არა მარტო ოკეანის მოსარ-  
კულ პირზე ვარჯერებს, არამედ დილის  
ცერმავაც გამობრწყინდება ხოლმე.

ბერძენხაში მომხდარი დრამატული  
ამბავის გამო, რომელიც ბარე შეიღ-  
წლის განმავლობაში მზაობდებოდა, კან-  
ტიუნრად მომზადდა ცნობები.

მითქმამოქმას იშვიათად ვიკარდნო-  
ბი საერთოდ და მხოლოდ იმას ვენ-  
დობი ხოლმე, რასაც საკუთარი თვა-  
ლით ვნახავ, ეს მაძულებდა ხშირად  
ჩემი ლიტერატურული საქმიობი გან-  
ზე გადამედო და ბერძენხას ვწვევოდი.



მე თანაბარის გულმოდგინებით ვადევნებ თვალს, როგორც ჩვენი სულიერი კულტურის განვითარებას, ისე ჩვენი ხალხის კეთილდღეობის პროგრესსა და მის მამოძრავებელი ძალებს: ჩვენს ფაბრიკებს, ქარხნებს, კომუნისების დიად მშენებლობათა გვიანტებს და კოლმეურნეობებს, რაც უმთავრესია: ამ დიდ საქმეთა აღმასრულებელ ადამიანებს, ამიტომაც არ გამოჰპარვია ბერძუნის ამბები.



თავიდანვე ვიცი, რომ საქართველოს მთავრობას 1937 წლიდან განზრახული ჰქონდა ცხრაშუხის ზეგანზე ნაციზარების, ნასაყდრალების და ნაპარტახალების შემოგარეში ზაზის სანიმუშო კოლმეურნეობები უნდა მოეწყო. ერთი სიტყვით ჩვენი ქვეყნის უმშვიდ-

ვარესი მტრების მიერ განანაგებულ ზეგანზე მოეძინებინათ ვაზირებო. თვალ-ყურის ვადევნებდი თავიდანვე ამ საქმეს, თანაც მაისტერებსა და თურითი დასრულდებოდა ის დრამა, რომლის გმირები იყვნენ ბერძუნის კოლმეურნეობის მერგოლური—ნუნუ უჯირაული, ბრიგადირი გოდერძი ელანიძე და ჩემი ძველი მეგობარი, პროფესორი, აგრონომიულ მეცნიერების დოქტორი ვახტან კორიხთელი, რომელიც სიყრშიდანვე ცნობილი იყო როგორც უნებრო პატრიოტი, უსებტაკესი კაცი და გულმოდგინე მეცნიერი.

ამ მცირე პროლოგის შემდეგ ჩვენ კვლავ მივუბრუნდეთ ბერძუნის ქვეშ მსხდარ ჩვენს ორ გმირს — ნუნუ უჯირაულსა და გოდერძი ელანიძეს, რომელნიც უკვე თავმოყრილ მერგოლურებთან და ბრიგადირებთან ერთად, მოუთმენლად უცდიდნენ ცენტრალური კომიტეტის კომისიას.

უთხმელის ნათქვამი

„რისთვის დაგვიბარეს თუ იცი, გოდერძი?“ — გაუბედავად იციოხა ნუნუმ, დანარჩენმა მერგოლურებმაც ყური სცქვიტეს ამის გაგონებაზე.

„მე ჯერ არავინ მინახავს, როგორც გითხარით, ცეკას კომისია მანქანით ჩამოსულა. არ ვიცი რამდენად მართალია, და... სადგურზე აგრე თქვეს: ბერიას შემოუთვლია თურმე, ალაზნის პირად უნაყოფო იწერს და დიქიანს რა უნდა. ზერები გააშენეთ“.

როცა მერგოლურებმა დაიწყეს ამ საქმის გამო საუბარი. თავი აიღო გოდერძიმ და თითქმის ჩურჩულით გადაულაპარაკა მათ:

„ჯერ ნუ ვაგზმინებთ ამ ამბავს, ენახოთ, რას ვეუბნები ცეკას კომისია“.

ესა თქვა გოდერძიმ და ბერძუნსას მიადგნენ ნათია თარალაშვილი, თანდილა გრძელი გიგოს ვაჟი, მათ უკან ყავარჯენს დაბჯენილი ტაბით მოდიოდა პაპა მიქელა, რომელსაც პატარა ბაბლია ამოსდგომოდა ილიის ქვეშ.

მოვიდნენ და ბერძუნის ქვეშ დასდნენ აბრია უჯირაული და მისი შვიდი შვილიშვილი, სწორედ ის აბრია, რომელიც „ნათობი“, № 11.

მელსაც მეტსახელად „ავსიტყვა“ ვერქვა.

რადგან ბერძუნსაში თითქმის ყოველ კაცს შერქმეული სახელი ჰქონდა, იგიც უნდა ითქვას, ამ მეტსახელეს არქმეოდნენ არა მარტო ვასაქირდავად, არამედ ზნორად საალერსოდ და სალოლობოდ.

ზეგანი მოათავის და უკვე უახლოვდებოდნენ ბერძუნსას იჭირაულები, ტარკოშაძეხი, ჩივლაძეები — ძველი მონადირენი, თორღვაძეები და უჯირაულები — ცნობილი მეცხვარეები.

ქალაქელი შოფერი ანკრე უჯირაულიც გვარისა, მენთუშაშვილი „ვაჭა“, თენიშვილი „ხრუკია“ და სიფრიშვილი „ლალბაწა“, ხელაშვილი გიორგი, იგივე „გაგრია“, გიგოიანთ ბიძი „კეყერა“, კოლმეურნეობის მონაგარიშე „რიკელა“, მეწისქვილე — „ნიორთავა“, რომელიც შაირებს სწერდა, მწონავი — ჩიჩქანი, ბუხპალტერი „კოტალე“, მეველე — „კუპელა“, მერუე „ბულაჩა“ მენახირე — „ფუთლუხი“, სხვანი და სხვანი.

ყველაზე ბოლოს მოაღწია პაპა ბიქელამ, ერთი ამოისუნთქა ღრმად, და ეს ამოისუნთქია ამოიხვრას უთრო მიჯადდა! და გამარჯულებო მიამახა ბერძუნის ქვეშ მსხდართ.

ქალი და კაცი ფეხზე წამოდგა, წამოდგა აბრია უჯირაულიცა, მას პატარა ბაბლიას გაითარათვა მიქელას გრძელი მკლავი შვილიშვილის ხსარზე გადაკიდული და მიიყვანა მიქელა ბერძუნის იმ ფესვზე, რომელიც აქლემის ორძაგ კუხს მიაგავდა, ამიტომაც „აქლემის კუხს“ უწოდებდნენ ბერძუნელები.

მე არ დაინტერესებულვარ ბერძუნის შორეული ისტორიებით, შესაძლოა ოდესღაც, ბხელით მოცულ დოკუმენტში საკულტე ზეც ყოფილიყოს იგი და თემისძთავარი ან ხეთა თავყანისცემის ქურუშებიც მსხდარიყვნენ ამ „აქლემის კუხზე“.

— დაბრძანდით, — უთნრა აბრიამ მიქელას, უსინათლომ ჯერ ხელი მოუფათურა ფესვს, მერმე ცხენურად შეაჯდა ზედ.

„ღლეს ნუ დამსვამთ აქლემის კუხზე, შვილოსან, თორემ ძველი თავადი ვეგონები თბილისელებს“.

პაპა მიქელამ სივრცეს მიაშტერა თავისი დავსილი თვალები და დასძინა: „რა გაციანებთ, ბიჭებო, აბა ერთი შემომხედეთ, თუ მართლაც არა ვგავარ ძველ კნიაზს“, გაიხუმრა პაპა მიქელამ.

მართლაც და პაპა მიქელას ფრიალ, თვალსაჩინო ანაგობა ჰქონდა. მის მაღალ შუბლს პაყია ღარებად აჩნდა ნაოკები, ისე სიმეტრიულად დაწყვილებულნი, თითქოს გრავიურის დიდისტატს შეუსრულებია ისინი, ასეთივე ნაოკები დახვეოდნენ მის ღაწვის თავებს.

სწორ შუბლსა და დიდრონ თვალებს მიჯხავდნენ მთლად გათეთრებელია დაფახვილი წარბები. ღაწვის თავებზე ფავაქრავდა ის საამური სიწითლე, რომელიც ღვინისმოყვარულებს შეუდგება ხოლმე სახეზე.

გრძელი და შნოიანი ხელფეხი ჰქონდა საერთოდ ტანსრულსა და ახლავან გაყვაცს:

„აქლემის კუხის“ ხსენებაზე გაეცინა მუდამ მოღუშულ აბრია უჯირაულსაც.

„თავადებს ახლა აღარა სვამენ ამ ადგლას, ჩემო მიქელა, მათ ვირის ზურგი მიუჩინეს ბოლშევიკებმა საჯლომად“.

თქვა აბრია უჯირაულმა.

„ეკ, რა ხანია აქ არ ამოესულვარ, ვინ იცის რამდენი რა მინახავს ამ ბერ-

ძუნის ქვეშ, შვილოსან, აქ როზგავდა თავის ყძებს ედიშერ ვანხაძის მამა, აქ აგროვებდა ლენარაო გულენკაცებს, როცა ლეკის ჯარი კახეთს შემოესეოდა; იმ წელს, როცა შამილმა უწია წიხანდალს... გუშინდელი სადილივით მახსოვს ამ აქლემის კუხზე იჯდა ოენერალი და ხირიმის თოფებს გვირბებგდა. შენც აქ იყავი, ბიჭო აბრია, ია დღეს“.

ხალხს გაეცინა, პაპა მიქელა „ბიჭოს“ რომ ეძახდა ასი წლის ბერიკაცს, აესიტყვა — აბრიას.

„ეკ, რამდენხა წყალმა ჩაიარა ალაზანში მას შემდეგ, ჩვენ გრძლად გვეჩვენა, მაგრამ კურდღლის კუდივით მოკლე ყოფილა ეს ცხოვრება, ბიჭო აბრია. მაინც კარგია ეს ცხოვრება, შვილოსან, ცოცხალი ვირი მკვდარ ლომს მაინც სჯობია, თუნდაც იმითაც, რომ იგი შხეს უშვრის“.

„შვის ყურება რა ბედენაა, მარტოოდენ შვის ყურება არა კმარა, ჩემო მიქელა“.

ბუზღუნებდა აბრია უჯირაული. „ნუ სცოდავ, აესიტყავ, ღმერთს, ნუც მოეწყენია შვის შხერა, შვილოსან. თქვენ არც კი იცით, რა ბედნიერები ხართ. შვილოსან, ალაზანს რომ უოქერით მზუზე მოილოარეს, თქვენ არც კი იცით, რა ბედნიერი ხართ, ჩემებო რომ არ ზიხართ ბნელში.“

მე ოც წელს ვუშხირე აღზნებულ თინეს და ახლა უკუნეთში ვიმყოფები, შვილოსან. შვილიშვილები მიაშობენ: დიდი ამბები ხდებოა ქვეყანაზე და, მე საკუთარი თვალებით ვერ შემომოწყებია ეს ყველაფერი. აგრე მგონია, ზღაპრებს მიაშობენ მეთქი.

მადლი მიაგეთ, შვილოსან შემოქმედს, ჯანიანი ხელფეხი რომ გასხიათ, თვლის სინათლე რომ არ გაყლიათ; გულის სიმრთელე, მუხლი და მკლავი რომ გიჭრით და გარჯის უნარი რომა გაქეთ, შვილოსან.

ვაზის ყვავილობას საკუთარი თვლით რომ ხედავთ, მე არა მგონია, თუ რომელიმე ყვავილის, ან ხის აყვავება იქნება ენერე ლამაზი, მე არა მგონია უფრო საამური სუნი თუ უდის რომელიმე ვარდს, ვერცხლის ბოზმენტებსაით რომ შემოესევა ისრიმს ყვავილი.

მემრე მოდგება შემოდგომა, ოქროს მტევნები დადრეკვი ვაზის რქებს.

ბოლოს, თუთის ქვეშ გამართულ მარანში ლალის ბეჭედივით აკრიალდება ჭერის თავი.

მე არ ვიცი, თუ რამე ჯობია ამ ამბების დახატვას, შეილოსან. მე დაბარებული მიქეს შეილიშვილებსათვის: როცა მოვევლები ჩემივე ხელით დარგულ ვენახში დამშარხონ, ყოველ გაზაფხულს, ვაზის ტირილის თვეში, ჩემმა ვაზებმა დამიტრიონ. სხვა ვინ გაიმეტებს ტრამპლებს ჩემთვის, შეიძლება გოდერძიძე და ბაბლიძე მიგლოვონ ცოტა ხანს, მე ალბათ მათაც მოვებებურე უსიხათლომ თავი. ჩემი ვაზები მიტრიებენ ყოველ გაზაფხულზე, შეილოსან.

ამის თქმა მოასწრო პაპა მიქელამ და მანქანის საყვირის ხმა მოისმა ალაზნის პირიდან. ხმა გაქვიდა, დადუმდნენ ბერმუხის ქვეშ მოგროვილი კოლმურნენიც.

ყველა წამოდგა, პაპა მიქელასა და აბრა უჯირაულს გარდა, ყმაწვილები ბერმუხაზე აძვრნენ, თვალზე ხელს იბრლიავენ. ისინი უკვე ხედავდნენ მანქანის ფარებზე ამდგარი შუქის ვარვარს.

მანქანა ხენშით ამოდოდა დამრეცილ საურზე გზაზე, გოგო-ბიჭებს ნახარი მიუტოვებინათ, უკან მოსდევდნენ მანქანას, რომლის მონიკილებულ კიდურების პრაილი სიხარულით აფსებად მათ გულებს.

თუმცა აბრა ნაწვიმარზე ბეჭერი იქუსქოლა, ბეჭერი იბუბუნა და იბუქსავა მანქანამ, მაგრამ ამ გორაკამდე მაინც ვერ მიალწია, სადაც თავისი ბატონკაცურ მარტოობაში იდგა ბერმუხა ამაყად.

კომკავშირლებმა ბილიკები ჩაირბინეს და წინ შეეგებნენ სტუმრებს. ბერძონის ქვეშ მოაროველმა ხალხმაც შენიშნა: რაიკომის მდივანს, ციხისთავსა და რაიგარონომს, მელითაურს, ორი უცხო სტომარი თან მოჰყავდათ, როცა ეს უკანასკნელი სრულიად მიუახლნენ ბერძონას, მოხუცებმა სტუმართა შორის შეიცვინეს პროფესორი გაბატანე კორინთელი, ხოლო ახალგაზრდობმა ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი-ახალკაცი.

ზოგ კომკავშირელს წაყითხული ჰქონდა პროფესორ კორინთელის შრომები მეკონსტრუქციის შესახებ მაგრამ პირადად არ იცნობდნენ მას.

უკანასკნელ წლებში, პროფესორი კორინთელი ხშირად უწევდა დახმარებას ქალაქში მასთან ჩასულ ბერმუხალებს, ზოგს შაბიბანს გამოატანდა ხოლმე, ან აპარატს, ზოგსაც საჭირო ლიტერატურას.

დროული კაცები აგრე ვარაუდობდნენ, თითქოს ამ მზრუნველობას იმიტომ იჩენდა მათ მიმართ ეს მეცნიერი, რომ იგი ვაჩნაძიანთ სიძე იყო.

სტუმრების მისალმებაზე ქუდი მოიხადეს კოლმურნენებმა, პაპა მიქელასა და აბრა უჯირაულის გარდა. ამ უკანასკნელმა უხალისოდ უპასუხა მისალმებაზე სტუმრებს, აესიტყვას ხანჯლისშვილი ეჭირა ხელში და, ისე როგორც ეს დროულ კაცებს სჩვევიათ, ჯოხსა სთლიდა.

„ვინ არიან შეილო?“  
შეეკითხა პაპა მიქელა ბატარა ბაბლიას. ბაბლიამ შეათვალა სტუმრებში, ვერაფერი მიუგო მას. იქვე მდგარი, გოდერძი წამოეშველა თავის დას. გოდერძის მიერ დასახელებული სტუმართა შორის კორინთელის გვარს ყური მოჰყრა თუ არა პაპა მიქელამ, წაშობდა.

„ვაჩნაძიანთ სიძე, განა?“  
აბრიამ და დანარჩენმა მოხუცებმა ძლივს იცნეს კორინთელი, რადგან მას ამ წლების მანძილზე საკმაოდ შეეცვალა ლეობადა არა მარტო საფეთქლები, არამედ კეფაცა...

პროფესორმა კორინთელმა საერთო სალაში მისცა ბერმუხალებს, შემდგომ ამისა, პაპა მიქელას წამოადგა თავზე. გოდერძი მიეჭრა პაპამისს და ეუბნება:

„პროფესორი გესალმება, პაპა.“  
„აჰ, ჩვენი სიძე, ვაჩნაძიანთ სიძე?“  
წაიღუდუნა მიქელამ და თავისი გრძელი, დაკოყრილი, დამქნარი მარჯვენა მოუთათუნა მის წინაშე მდგარ სტუმარს.

„როგორა ბრძანდები, პაპა მიქელა?“ — შეეკითხა კორინთელი მოხუცს.

„ქარგად ვარ მეთქი, ვერ გეტყვი, შეილო, რადგან ქარგად ყოფნა იმას ეთქმის, ვინც ამ ქვეყნის სიკეთეს საკეთარი თვალეებითა ხედავს. ცუდად ვარო რო ვითხრა, არც ეგ მინდა, რადგან ცუდი კაცი უნდა იყოს აგრე.“

„სწორია, პაპა მიქელა—მიუგო კორინთელმა, ჩვენს ეპოქაში, სტალინის

ეპოქაში, კაი კაცს არ ეთქმის ცუდად ვარო“.

რაიკომის მდივანიც მიუახლოვდა პაპა მიქელას და პროფესორს ეუბნება:

„პაპა მიქელა კაცთა შორის უხუცესია ჩიქნს რაიონში, ხოლო ბერძენსა ხეთა შორის.“

რაიგარანომმა მელითაურმა ისე დაკვირვებით ახედა ბერძენსა თითქოს პირველად ხედაისო, პროფესორ კორინთელს მიუბრუნდა და ჰკითხა:

„თქვენ რას იტყვით, ამხანაგო პროფესორო, რამდენი წლისა იქნება ეგ მუხა?“

„ჯერ ამ უხუცესსა ვკითხოთ ეს ამბავი“.

პაპა მიქელამ მცირე ხნის დუმისის შემდეგ ჩაიღუღა:

„პაპიჩემისაგან ავრე მსმენია, ხუთასი წლისააო ეს ბერძენსა.“

„შენ რამდენი წლისა. ბრძანდები, პაპა მიქელავ, თავით?“

„თუ ჩემი მომნათულებელი ხუცესი არა სტყუის, ას ოცისა გავხდი წრეულს იანვარში.“

ახლა პროფესორმა კორინთელმა ახედახედა მუხას და ეუბნება მელითაურს:

„ამ მოხის ასაკს შესწავლა უნდა, მისი მერქანი უნდა გაისინჯოს. სამხრეთ ალპებსა და პირინეებში მინახავს ამოდენა მუხები, რომელთა ასაკი დადგენილი აქვს მეცნიერების, ათას ორასი წელი, მცირეოდენის ბეტნაკლებობით.“

სამი მეტრის სიგრძე გაბარტა, საშოცი მეტრის სიმაღლე. ეს მუხა, ვგონებ, ათას ხუთასი წლისა იქნება.

როცა ბერძენის გამო საუბარი მოთავდა, პაპა მიქელა ეკითხება პროფესორს:

„რისთვის ვარჯილხართ, სტალინმა ხომ არ გამოგავზავნათ?“

კორინთელს თაბაზიანმა დიმილმა გადატრბინა ტუჩებზე და მიუწო:

„ჩვენ ყოველთვის სტალინის გამოგზავნილად ვითვლებით. პაპა მიქელა, როცა კაი საქმისათვის გვაგზავნის ჩვენი მთავრობა სადმე.“

„რაო, რა შემოგვითვალა სტალინმა?“

იკითხა პაპა მიქელამ.

„ამხანაგმა სტალინმა ეს შემოთვალა: იბრძოლეთ ბედნიერი და საამორი ცხოვრებისათვისო. გეყოფათ ურმით სიარული და აჩაჩით ჩორკნა მიწისა.“

ეს შემოთვალა ჩვენმა დედმა ბეგლადმა პაპა მიქელავ.“

პაპა მიქელას გვერდით მჯდარმა აბრია-ავსიტყვამ მიატოვა ჯოხის თლა და ეუბნება პროფესორს:

„ეკითხო და პატროსანი, მაგრამ ვინ მოგუტანს ამ ბედნიერსა და საამურ ცხოვრებას?“

თავი ჩაღუნა აბრია უჯირაულმა და ისევე განაგრძო ხანჯლის შევლით ჯოხის თლა. აბრია-ავსიტყვა თავის დროზე გამოჩენილი სარქალი იყო გენერალ ვანხაძის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ცხვრისა.

აბრია არ იყო ისეთი მიაშიტი და რომანტიული მეცხვარე, როგორსაც ბუკოლიკურ პოეზიაში აქებდნენ ხოლმე. პირიქით, ფრიალ გამოქეჩილი მთიელი, რომელსაც კვართან ერთად ჰქონდა მოვლილი კავასიის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი, ამიტომაც იოლად ატყუებდა მოხუცებულ გენერალს.

მისწვილების დროს აბრიას არა ერთი ათასი ცხვარი ჰყავდა, დაქირავებული შრომით სარგებლობდა, ბოგანო გლეხებს ამწყვდინებდა თავის ფარებს, ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ ეს აღუკვეთა მას და ამიტომაც მუდამ ბუზღუნებდა აბრია-ავსიტყვა.

აბრია იმ დავთაგანი იყო, რომელიც მუდამ უწყალოდ იმობდა არიან სხვათა მიმართ, თავისთავზე უზომოდ შეყვარებულნი, ვინც თვით მშისთვალშიაც აღმოაჩინენ ხოლმე ხიწის, ხოლო საკუთარში დაირცხვარა ვერ ხედაიან.

ადგილობრივი ხელისუფლება უთმუნდა მას, როგორც ღრმად მოხუცებულსა და საუკეთესო მარნოს. აბრია ათას ბატკანს ისე მოუსვამდა თავთავიანთ დიდებს, ამ ამბის მაკეჩრალი განკვიდრებული დარჩებოდა უთუოდ.

პროფესორმა კორინთელმა თვალის შეკრული ამ ოხნაიად მოღუწყო მცხვარეს. მის ოხარმაზარ ფთობს, რომლის ბეწვის წილამურები ზედა ლაწვის

1 მცნობი — ეწოდება გამოცდილ მეცხვარეს; როცა ცხვრის ფარას ბატკნებს მიჰყვრან, ამ უნასკენლთ ხშირად ეშლებათ თავიანთი დედები, მცნობი ალღოთი გამოარჩევს, ყურში წააღებს ხელს ასეთ ბატკანს და სწორედ ამ ნეზს მისუვამს, რომელიც მისი დედა ნამდვილად.



თავამდე სწვდებოდა მოხუცს, აბრიას დეკაცურ მხარბეკს მომეტებულ ახო-ვაიებას აძლევდა ყვეისფერი ტყაბუქი.

ცხერის სული ეცა ანახდად პროფესორს, კიდევ და კიდევ შეხედა აბრია-ავსიტყვას, ძერმე შეათვლიერა აბრია-ს უკან მსხდარი მოხუცებული თუშები უჯირაულეები, ტარკომიძეები და მელითაურები, და თქვა:

„თქვენ იქმზე უკეთ იცნობთ კახეთის მაღლიან ხიადაგს და კარგად იცით, აქ კაცმა უკუღმა რომ გადაისროლოს თესლი, ოქრო ამოდუღდება მცწოდან, მე ხშირად ვმოგზაურობ კახეთში, ეს მხარე სიყრმიდანვე მიყვარდა განსაკუთრებით.

დღენიადავ ვხედავ თქვენს ზერებს, თქვენს ჯეჯილებს, ბალ-ბოსტნებს, თქვენს ღობეებს, ბოსლებსა და თქვენს გზებს, უნდა გამოგიტყდეთ, ძმებო, მაინცდამაინც ვერა ვარ აღტაცებული მათგან. უნდა ითქვას, რომ ჯეროვნად ვერ ვუვლით ჩვენს მიწას.“

ისევ მიატოვა აბრია-ავსიტყვამ ჯოხის თლა, თავი ასწია და გაცხარებული ეკითხება პროფესორს:

„ჩვენ თუ არ ვუვლით, მამ ვინღა უვლის, პაა?“

„მოვლით უვლით, ჩემო აბრია, მაგრამ არა ჯეროვნად, დიდი ბელადი ამხანაგი სტალინიც ამას გვასწავლის, არასოდეს არ უნდა მივეცეთ თვითმყოფილებს, მუდამ იმას უნდა ვეცადოთ, უკეთესზე უკეთესი შევქმნათ. თქვენის თვალთაც ხედავ, ამ ცხრა მუხის ზეგანი გვიმრითა და ღიქიანით დაფარულია, ნაცვლად იმისა, რომ აქ საუკეთესოდ მოვლილი ევენახები ბიბინ-ბლდნენ და მათ ნაყოფს მოიმკიდნენ თქვენი შვილები და შვილიაშვილები, პანტასა და კუნელს, ლოლოსა და ღანძილს დახარბებიხართ, განა ეს საქმეა, პაა მიქელა?“

„პაი, პაი, ეგ აგრეა, მაგრამ ჩვენ სადღა გვაქვს შვილო, საამისო წელი. ჩვენ კოლექტივი ღარიბია, ჩვენ ცოტაწი ვართ და გაჭირვებულნი.“

სიტქვა პაა მიქელამ.

„ღარიბი და გაჭირვებული არავინ უნდა დარჩეს ჩვენს ქვეყანაში, პაა მიქელა, თუ კი გარჯის უნარი გვექნება და ხერხი. აბა, ხახეთ თქვენს მუზობლად სხვა კოლმურხეობები, როაორ გავსილა მათი ბედლები და მარნები დოვლათით.“

თქვა პროფესორმა კორინთელმა.

„რა გვარი ხერხი, ეგებ შეც მასწავლოთ ამ სიბერეში ეგ ხერხი? — წა-მოიძახა გესლიანად აბრია-ავსიტყვამ.

„მართლაც და მეცნიერება სხვა არაფერია თუ არა და ხერხი. ამ ხერხით უნდა დავამუშაოთ ეგ ცხრა მუხის ზეგანი და ზერები მოვაშენოთ.“

თქვა ახალკაცმა.

„ვინ დაგაბაოათ ეგ... სტალინმა?“

„შეეკითხა პაა მიქელა ამის მოქმელს. ახალკაცი სდუმდა მცირე ხანს.

„ბერიაში?“

იკითხა აბრია უჯირაულმა.

„მთელმა ჩვენმა მთავრობამ.“

ძიუგო ახალკაცმა.

„თბილისში თუ ყოფილხარ?“

ეკითხება პროფესორი კორინთელი პაა მიქელას.

ასგზისაო. მიიღო პასუხი.

„რამდენ დღეს მიდიოდით ურმით?“

„სამ დღე და ღამე, თუ მეტს არა.“

„ახლა ჩვენ ურმით როდი დავდივართ, უსწრაფესი მანქანით სამ საათსაც არ მოვუხდებთ თბილისიდან აქ ჩამოსვლას, თუ დაგვჭირდა, ოც წუთში ჩამოვფრინდებით: თქვენ აქამდის ბლაგვი სახნისებით ჩორკნილით მიწას, ახლა ჩვენ ისეთი ძლიერი ტრაქტორები და მიწის საფხველი მანქანები გვაქვს, თუნდაც ერთ კვირაში აეყრით ამ ღიქიანს.“

„როგორ?“ თქვენ ერთ კვირაში ამოძირკვავთ რვა მუხის ფესვებს?“

იკითხა გაოცებულმა პაა მიქელამ და შემდეგ განაგრძო:

„ღენერალმა ვაჩნაძემ და მისმა მოურავმა ასი კაცი და შვიდი გუთნეული მიაყენეს ერთ პატარა უბანს, კოცონებიც დაანთეს ნამუხარებზე, ჩეხეს და კეპეს, ჩეხეს და კეპეს ნაფესვარები, სამი თვე იმუშავეს და ორიოდე ქცევა ძლივს მოაციოდვილეს. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, ბერმუხელებმაც ბევრი ვჩეხეთ და კეპეთ, მაგრამ რვა მუხის ნაფესვარები დღესაც მანდ არიან.“

„განა მარტო რვა მუხის ნაფესვარები, თქვენ წულან გაგივლიათ იმ ზეგანზე, სიტქვა აბრია უჯირაულმა. მურყა-

ნების, თელებისა და წაფლების ნაფეს-  
ვარებასაც ბევრს შეხვედებოდათ, ახლა  
მათი ამოძირკვა იკითხეთ“.

ბუზღუნებდა აბრია-ავსიტყვა.  
აბრია უჯირაულს მისი ძმა ლეო  
წამოეშველა „ახალი საბუთებით“.

„არც მარტოდენ ნაფესვარშია აქ  
საქმე, ამბობდა უჯირაული ლეო, მეტ-  
სახელად „ყვავია“. ამ ზეგანზე ქვიანი,  
ლორლიანი და გამოფიტული, ნაღვარე-  
ბისაგან სავსებით გადარეცხილი ნია-  
დაგია.

იმ მთებს ხომ უყურებთ, განაგრძო  
ლეომ და თითო მიაშვირა ჩრდილოეთი-  
საკენ მდებარე გორაკებზე. იმ მთები-  
დან დაძრული ნაღვარევეები წამოვლენ  
გაზაფხულზე ზათქითა და ბუბუნით,  
მერმე ენახოთ, რა ზერებს გამართავეთ  
თქვენ მანდა“.

პროფესორ კორინთელს გაეღიმა და  
მხოლოდ ლეო უჯირაულს:

„ჩვენ დავათვალიერეთ და შეეისწავ-  
ლეთ ეს ნიადაგი, იმიტომაც დაგვიყოფ-  
ნდა აქ მოსვლა. მართალია, ეს ნიადაგი  
ქვიანია და ლორლიანი, მაგრამ არც თუ  
გამოფიტული. სწორედ ასეთი უყვარს  
ვას. ისეთ ქვეყნებში, სადაც სავენაზე  
ხიდავს ქვა ახლავს თან, საჯანგებოდ  
მოაქეთ და ყრიან ვაზნარებში. რაც  
შეეხება ამომშრალ ხეებიდან დაძრულ  
ნაღვარევეებს, ჩვენ მათაც მოუვლით,  
როგორმე“.

ახალკაცმა გადახედა ხალხს და თქვა:  
„კიდევ ვისა აქვს, ამხანაგებო, სათქ-  
მელი?“

ყვავიამ ხელახლა აიღო სიტყვა:  
„მართალს ბრძანებენ ამხანაგები, შე-  
საძლოა რვა მუხის ნაფესვარებიც ამოფ-  
ძირკვოთ, ნაღვარევეებს წყალსაც სა-  
დენი მიოცეთ, მაგრამ ამ მუხების ნა-  
ფესვარებს იმტოლა მახრა და ღრაქა  
თან დაყვება, ეს მწერები არ გაახარე-  
ბენ ვაზს“.

აბრია ავისიტყვა გაამხნევა თავის უმ-  
ცროსი ძმის გამოსვლამ, ახლა იმანაც  
აიღო ხელახლა სიტყვა:

„ვაზი ცხვარსა ჰვამს ერთ რამეში.  
ათასგვარი მტერი და მანე თან დაყვე-  
ბა მას. ცხვრის მტრებს ჩვენ ადვილად  
ეუქვალადებით თოფით, სატყვარითა  
და კომპლითა: მგლებს, მაჩვენებს, ტუ-  
რებსა და ძელიებს. ვაზის მტერია თვით  
ზღარბიცა, რომელიც ვერავისა მტრობს  
გარდა გველისა.“

მთავარი ისაა, რომ ვაზს მტრები  
თვალშეუსწრებია, მიწის ქვეშ უჩინმა-  
ჩინად ძავალნი.

ერთი შეეკითხეთ პაპა მიქელას, ვაჩ-  
ხაძიანთ მეზერეს, ღენერალმაც გამარ-  
თა ცხრა მუხის ზეგანზე ზერები, მაგ-  
რამ იმ წყეულმა ღრაქამ შეუქამა ვა-  
ზი“.

მცირე ხნის დუმისის შემდეგ, პაპა  
მიქელამ თავისი ჩამქრალი თვალები  
შიამტერა იმ ადგილს, სადაც პროფე-  
სორი კორინთელი, რაიკოპის მდივანი  
ციხისთავი და ცენტრალური კომიტე-  
ტის ინსტრუქტორი ახალკაცი ეგულე-  
ბოდა და თქვა:

„გუშინდელ დღესავით მახსომს,  
სწორედ ამ აქლემის კუზზე...“

პაპა მიქელა მცირე ხანს შეღდა და  
განაგრძო:

„აქლემის კუზს ვეტყვით ბერმუხე-  
ლები ამ ფესვს, რომელზედაც მე ვზი-  
ვარ ახლა, სწორედ აქ იჯდა ღენერალი  
ვანხაძე და მოგვიწოდებდა: მომეშვე-  
ლეთ იმ წყეული ღრაქას წინააღმდეგ  
ბრძოლაშიო. მისი მოურავი და აგრო-  
ხომები აქვე ისხდნენ, სადაც თქვენ ახ-  
ლა ბრძანდებით და სიტყვა ვერ დაეძ-  
ნათ.“

იგიც მახსომს. მამაშვილობას, მე გა-  
მგზავნა ღენერალმა სფთელსოფელ.  
ორასი კაცი მოვაქუნე, მერმე წინ წავ-  
გიძღანე ღენერლის მოურავი და მისი  
აგრონომები, ვმარეთ და ვთხარეთ ღე-  
ნერლის ზერები. ვჩხრიკეთ და ვეძიეთ  
ი წყეული ღრაქა, ათასზე მეტ ვაზს  
გამოვუთხარეთ ძირი, მაგრამ ვერსად  
მიაჯალიეთ მაგ ვერანა ღრაქასა.

მერმე ის იყო, თითქოს ვაგლოისდა  
ი ტიალი. ისე დაერია ამ ზოგანზე ჩაყ-  
რილ ვაზს, სინსილა გაუწყვიტა“.

პაპა მიქელამ მოათავა სათქმელი.  
აბუბუნდნენ უჯირაულებიც, იჭირაუ-  
ლები, თორღვაიძეები და ტარკოშაი-  
ძეები, შოფერი კანკრე. დაღბაწა და  
გაგროა, რომელითაც ზარბაცებს შორის  
პრველობა ჰქონდათ მოპოვებული,  
სავსებით დარწმუნებულნი, რომ ამ  
უკანასკნელ საბუთს ვერავინ დაარ-  
ღევდა. ცენტრალური კომიტეტის კომი-  
სია საბოლოოდ დათმობდა ამ საქმეს.  
სამოვრად რა სანადიროდ დარჩებოდა  
მათ ცხრა მუხის ზეგანი.

ხამორიდან წამოლოდა პროფესორი კო-  
რინთელი, იგი ისე სადად და მარტივად  
ესაუბრებოდა კოლმეურნეებს. როგორც

კარგი მასწავლებელი თავის მოწაფეებს:

„აქ მართალი თქვეს, რომ ვაზს უმარავე მტერი ჰყავს, თვით ზღარბიც კი, რომელიც გველის მეტს ვერავისა მტრობს, ზღარბიც ვაზის მტერია“.

აქ შედგა პროფესორი კორინთელი და აბრია-ავსიტყვას ფრთები შეესხა სიხარულისაგან, ალბათ იგიც ჩვენ გვეხმარებაო.

„ვაზი მართლაც ცხვარსა ჰგავს თავის უშუქობაში. განა მარტო ხილული არსებანი მტრობენ ვაზს, არამედ თვალთ უჩინარიცა, ჭრაქი, ნაცარა, ათასგვარი ბაც-ლები და თვალთ ოდნავ შესამჩნევი სოკოები, რომელთა ჩამოთვლას მე აქ არ შეუდგები. ვიმეორებ ზოგი თვალთ უჩინარია, ზოგიც ნიადგას ქვეშ განაბული.“

პაპა შიქელამ გაგვაფრთხილა, კარგი ქნა რომ გაგვაფრთხილა, არა მარტო მეთმარი უნდა იყოს ფრთხილი, მეურხეც ფრთხილი უნდა იყოს, გინერალ განინაძეს ვაზები ღრუბამ გადაუქაშაო.

ჩვენ შესწავლილი გვყავს ეს შხეცი (იორნიულად სიტყვა პროფესორმა), მეცნიერებაში მარამარლოს ზოქოს ვეცხვით ამ ღრუბას, დამეთანხმებით, ამხანავებო, ჩვენ, სტალინური ეპოქის მეცნიერებმა, ცოტა უფრო მეტი ვიცით ვიდრე ძველ გენერლებს და შედეგებს შეეძლოთ წარმოედგინათ.

აქი მოვახსენეთ, მეცნიერება ხერხია შეთქი, ამ ხერხით მივაგნო კაცმა ელექტროობას და ჰაერის ტალღების შეშეკობით იმ ხმების დაჭერას, რომელიც ათი ათასი კილომეტრის მანძილიდან მოდიან.

დღეს ჩვენს ხელშია ყოველგვარი ხერხი ვაზის მტართა წინააღმდეგ ბრძოლისა. ასე რომ ნურც ეს მარამარლოს ზოქო, ახ როგორც თქვენ ეძახით: ღრუბა, დაგვამინებთ ამიერიდან“.

„ქიდეგ ვისა სურს აზრის გამოთქმა?“ — თქვა ახალკაცმა.

(ცნობილია, თავგასულებს სიტყვა ძვირად არ უღირს არასდროს, ამიტომაც პირველი სიტყვა აიღო კანკრე უჯირაულმა.

მე გამოვიდილი ვარ ტრაქტორის საქმეშიო, ამბობდა კანკრე, ცხრა მუხის ზეგანზე ვერავითარი ტრაქტორი ვერ იმუშავებს. ეს აზრი ბარე სამჯერ გაიმეორა, ბლუტუხებდა, ენას უყიდებდა,

ჭერე რაიკომის მდივანს — ციხისთავს შეხედა და თქვა:

„ჩვენ ამ ბერძუნის ქვეშ ვისხედით და ვუყურებდით, როცა თქვენი მანქანა ამ ცხრა მუხის ზეგანზე ამოდიოდა, იგიც დავინახეთ, თუ როგორ უჭირდა მსუბუქ მანქანას ნაურმალ შარებზე ამოსვლა, თუ ეგ აგრეა, რა დღეში უნდა ამობლდეს იგი ნაღვარევებით და ლარულ ბრეკებზე“.

კანკრეს ძმა-ბიჭები: ლალბაწა, ჭაქა და გაგრია სიტყვის აღებას ვერა ბედავდნენ, მოხუცების ზურგს უკან დაიქუცქულნი, მართალია, მართალიაო, წამოიძახებდნენ ხოლმე.

კანკრეს გამოსვლამ გაამხნევა მეწისქვილე ნიორთაყა, უებარი მოტრაფაილე ნადირობისა და ასეთი რამ თქვა:

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ზეგანზე იმდენი ტურა იცის, ყურძნის სინსილას არ შეგვარჩენს“.

„ქიდეგ ვისა სურს სიტყვა?“ იკითხა რაიკომის მდივანმა ციხისთავმა და კომკავშირლებს გადახედა.

ამ უკანასკნელთა შორის პირველი სიტყვა კომკავშირელმა გოდერძი ელანიძემ მოითხოვა:

„ჩვენი ბელადებისაგან აგრე გესმენია: ჯერ ციხე არ აგებულა ისეთი, რომლის აღება ჩვენ ბოლშევიკებს არ შეგვძლებოდა, ჩვენ დაეამარხეთ მსოფლიო რეაქციის უდიდესი ეშმაკები: დენიკინი, კოლჩაკი და გრანგელი, არა მარტო ესენი, ის თითხმეტი სახელმწიფოც, რომელნიც ზურგს უმაგრებდნენ მათ.“

და ნოთუ ვერ მოვირევიტ ციროდენსა მწერს, ტრაქას. ან როგორც პროფესორმა კორინთელმა ახსენა იგი, მარამარლოს ზოქოს. დაე, იგი არამც თუ მარამარლოს, გინდ კაიხსაი იყოს... რაე შეიხიბა კანკრის საბუთიბს, თითქოს რა-მარტი ცხრა მოხის ზეგანზე. ვერ იმუშავებსო, ეს ისევე სასაცილოა, როგორც მეწისქვილე ნიორთაყას ზომრობა ტურების საშიშროების გამო, ჩვენ. ეს და გეაქლია, ახლა. ლომების შიმშოსყრელობს ტურების შიში დაგეჩემდეს“. კანკრემ და მისმა ამოლებმა: ლობაწამ. გატრიაამ და მეწისქვილე ნიორთაყამ ასტუხეს-ჩოჩქოლი.

შვიდმა კომკავშირელმა თითქმის იგივე სიტყვას, რაც გოდერძიმ, თარალა-

„შეიღმა, ვანო მჭედლიშვილმა და სამმა უჯირაულმა, აბრიას შვილიშვილებმა. გახელდა აბრია-ავსიტყვა, მაგრამ კრინტი ვერ დაძრა, ამ ამბებისაგან გაბოროტებულს ხელში შემოელია ის ჯობიც, რომელსაც თლიდა წელან.“

რაიკომის მდივანმა ციხისთავმა შენიშნა, კოლმეურნე ქალები ცალკე ისხდნენ, ბეჯითად სდუმდნენ მთელი თათბირის განმავლობაში. ამიტომაც გადახედა მათ და თქვა:

„ჩვენ გვაინტერესებს, რას გვეტყვიან ჩვენი კოლმეურნე ქალები? ან რი გამოსთქვით, ამხანაგებო!“

პროფესორმა კორინთელმა თვალი შეასწრო: მორცხვად წამოდგა კორფლიანი გოგონა. რომელსაც პაწია ხალი ჰქონდა მარცხენა ლოყაზე და შემდეგი თქვა:

„მართალი ბრძანა პროფესორმა კორინთელმა, მეცხიერება ხერხიაო. საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარი იარაღი ხელთა აქვს, ყოველგვარი ხერხი: როგორც უჩინო, ისე საჩინო მტრების წინააღმდეგ საბრძოლველი. აქ თქვეს, ლენერლის ვაზები ურაცამ გადასჭამო, მგრამ რა? თუ ვაჩანაქთა ბატონობის დროს ვაზის მოვლა ჩვენი გლეხკაცის ალლოსა და მიგნებაზე იყო დამყარებული-

ლი, ცნობილია, მეფის ხელისუფლება არც თუ შეელოდა, ხელსუფლება კი-დედაც, გლეხკაცს.“

როგორც უკვე ითქვა, მახრა და ღრქა უჩინარია და საშიშარი მხოლოდ იმათთვის, ვინც ეგ ხერხი არ იცის. აქ ამბობდნენ, ცოტახი ვართო, მარტონი ვართო. ვინ თქვა, თითქოს ჩვენ ცოტახი ვიყვეთ და მარტონი, ჩვენთანაა საბჭოთა ხელისუფლება, მთელი ჩვენი ხალხი, ამიტომაც უძლეველნი ვართ ჩვენი, როგორც უჩინარი, ისე საჩინო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.“

„ვიანა ეს გოგონა? — იკითხა პროფესორმა კორინთელმა.“

„უჯირაულის ქალია, ნუნუ, ჩვენი კოლმეურნეობის მერგოლური.“

უბასუხა გოდერძი ელახიძემ პროფესორს.

ამ მორცხვი და „უთქმელი“ გოგონას გამოსვლამ გააფულისა ხანშიშესული ქალები. „მეტიჩარა, მეტიჩარა“ ჩურჩულდნენ უჯირაულის, თორღეაძეების, ბულაჩაურების ქალ-რძაღონი.

განსაკუთრებით გაბრაზდნენ აბრია-ავსიტყვა და ყველა — ლუო უჯირაულები, რადგან ნუნუ ალალი შვილიშვილი იყო მათი უმცროსი ძმისა. თითებს იმტვრევდა უჯირაული კანკრე, ნუნუს გამოსვლასგან გაცოფებული.

## ორბის ნაღავლი

კოლმეურნეებთან გამართული, სახელდახელო თათბირი რა მოთავდა, კორინთელმა დაარწმუნა კომისიის დანარჩენი წევრები, ცენტრალური კომიტეტისათვის გასაჯგონი მოხსენებითი ბარათის შედგენამდის საფუძვლანად შეესწავლათ ცხრაშუბის ზეგანი.

თედო თარალაშვილმა ახედა ცას და თქვა:

„გვონებ წვიმა მოვა, ხომ არ აჯობებდა სახვალიოდ გადაგველო.“

„არა, ჩემო თედო, მე არ მიყვარს საჰმის გადაღება, გარდა ამისა, ღღეს საშუაბათია, გვონებ შესაძლოა უახლოეს პარასკევს ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გაიტანონ ეს საკითხი.“

კორინთელი და ახალკაციც დაემოწმნენ პროფესორს.

სულ მცირე მანძილზე მოახერხეს მანქანით სვლა, ბოლოს დაკვირვებულნი და შეუდგნენ დამრეცილ აღმართებს,

ბილიკებს, თედო თარალაშვილი და ბრიგადირი გოდერძი წინ გაუძღვენენ სტუმრებს.

თედომ შენიშნა, აღმართში სელა უქირაო კორინთელს, რომელიც სისხლის მალად წვევას უჩივოდა ბოლო ხანს, თავისი წვეტწამახული შინდის ყავარჯენი შესთავაზა სტუმარს.

ეხერგიული ნაბიჯით მიჰყვებოდა კორინთელი ბილიკებს, მისი სქელღანჩიანი ფეხსაცმელი წარამარა ცურდებოდა ნაწვიმარი ნიადაგზე. დაბარბაცდებოდა თუ არა იგი, გოდერძი წამოეწეოდა, მოკრძალებულად ხელს წაეღებდა მკლავზე.

კორინთელი წარამარა შესდგებოდა, წვერწამახული ყავარჯენით მოსჩიჩქხიდა ნიადაგს, ხელის გულზე დაიყრია-და-მიწის ნათხვენს, მოიხმობდა რაიკომის მდივანს და ინსტრუქტორს, და უხსხიდა, მათ თუ რა და რა კოლორიებს



შეიცავდა ეს მიწა, გახარებული აქებდა მოძაველ სავენახეს, ბოლოს აგრონომ მელითაურს გადასძახა: ამ უბნის ნიადაგი ძლიერ ხირხატიანიო. გოდერძი მოკრძალებულად, შეეკითხა პროფესორს:

— რას ნიშნავს ხირხატიანი?

„ხირხატიანი ნიადაგი ისეთს ეწოდება, რომელიც ქვისა, ხრეშისა და სილის დიდ რაოდენობას შეიცავს. ეს არის ფრიად უმეირფასესი ნიადაგი ვენახისათვის“.

ისევ და ისევ მიისწრაფოდა წინ, კვლავ შესდგებოდა, ისევ მოსჩიჩქნიდა მიწას და გახარებული სორთავდა ბუტბულს.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო უსიერი ხდებოდა ღიქიანი ბილიკები, ძეძვიანი იკოავებოდნენ და ასეთ დროს გოდერძი ძეუღლებოდა ახალი გზის ძებნას.

ახმანის გეძვივით აზვირთულნი იდგნენ უხარმხარი მურყანები, ღიქის ბაგირებით დაქაჩულნი. გამოჩნდებოდა საღმე ცხვრის ჩლიქებისაგან დახზვლული შარები, გოდერძი უხმობდა უკან მოძაველ თანამგზავრებს.

წარამარა იხლართებოდა ღიქიანში სიარულს გადაწვეული პროფესორი, დაადგებოდა ცხვრის მიერ გატყეპნილ ბილიკს, უცებ წააწყდებოდა გარდი-გარდმო გადახლართულ ნარის ბავრებს, მაშინ გოდერძი წალდით კაფავდა ღიქიანს, კორინთელი კვლავ მოეკრეფდა ძალას და გამალებული მიიწევდა წინ.

ადამიანის ფეხის ჩქამზე ფრთხებოდნენ ხობებები, ძაძუები ჯერ ფეხდაფეხ გარბოდნენ, გაქანების ძალას იკრეფდნენ, სწორედ ისე, როგორც აეროდრომზე თვითმფრინავი და მერმე გაისმოდა მათი ფრთების ტლამუნი, გორიზად ახორხოვდებოდნენ და თავზე გადაეღებოდნენ ეწერს.

პროფესორი შესდგებოდა, ბუნებაზე შეყვარებულის მზერას გააყოლებდა მშოწნიერ ფრინველებს.

სტკბებოდა ამ სანახაობის მჭერეტელი, თანაც თავის მეგზურს ეუბნებოდა:

„რა გულქვა უხდა იყოს ამ ფრინველის მიკლელი! სულ მალე შიმშილიან ამ ეწერში დევკაცური ბუბუნით ჩვენი ტრაქტორები და გრეიდერები, ეს ლომა კამეჩები ჩვენი სოციალისტური კოვილიზაციისა და ბუდეებს დაუფუშა-

ვენ ხობებებს, ძილს დაუფრთხობენ ირძებს, შველებსა და ტახებს.“

რას იხამ, ჩემო გოდერძი, თუ ბუნება არ ვარდაქმენი, იგი ხალხისათვის უხმარი დარჩება. ბოლოს და ბოლოს ძთელი ჩვენი ცივილიზაცია ბუნებაზე ძალდატანებაა ამ ძალდატანების გარეშე ჯერ არაფერი შექმნილა ამ ქვეყანაზე“.

ისევ ეძალებოდა მოვალეობის გრძნობა, ისევ მოსჩიჩქნიდა ნიადაგს, ხელისგულზე დაყრილ მიწას სინჯავდა და გახარებული უზიარებდა თავის თანამგზავრებს ამ მიწის სიმდიდრის მაჩვენებლებს.

წარამარა გულზე იკიდებდა მარჯვენას, მაგრამ გაკაყებული იკრეფდა ღონეს და გაუვალი ღიქით დაბარდნილ ბილიკებს მიყვებოდა.

ბლოკოტში იწერდა ამ ზეგანის ტოპოგრაფიულ ნიშანებს და მის წარმოდგენაში უკვე წარმოსახული იყო მომავალი ზეგები ამ უკაცრელ ეწერში გამეხებული.

ერთბაშად შედგა კორინთელი, ჯიბის დანა ამოიღო, ხელი წაავლო მურყანიდან ძირს დაშვებულ ნარს, გაჭრა დაუპირა, მაგრამ ვერას ვახდა, გოდერძის გადასძახა: გასჭერო.

გოდერძიმ სატეხარი გააშიშვლა, ერთი წყრთის სიგრძე მოსჭრა ნარს და პროფესორს მისცა.

პროფესორმა ცალი ხელი მკლავში წაავლო ცხისთავს:

„ეს მცენარე მხოლოდ ხელს უშლის ამ მიწის მკვიდრთა და ეს უნაყოფიერი მიწა, რომელიც მოწოდებულია ხეთა შორის უკეთილშობილესი—ვახი ასახრდოვოს, ამ უხეირო ეკალს კვიბაჟდა დღემდის.“

ჩვენი აგროტექნიკის ამოცანა ეგაა: მანვე, უმაქნისი და უჯიშო მცენარენი აღგავოს მიწის პირიდან და ნაყოფიერი, ჯიშმისარულეული მცენარეებით შესცვალოს ისინი.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო ძნელდებოდა ამ გავერანებულ კატაბარდებში გზის გაკვლევა უკვე გოდერძისაც დაუსისხლიანდა მარჯვენა.

რაიკომის მდივანი შედგა, მოხედა ყვილაზე უკან მომავალ კორინთელს, რომელსაც წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე ოფლი.

„ამ უბანში ნიადაგის გარეცხვის სა-  
შეშროებას ხომ ვერ ამჩნევ, ამხანაგო  
პროფესორო?“

ეს უთხრა და ჩრდილოეთისაკენ გა-  
იხედა, ნაღვარევისაგან დაღადრულ  
ხევს მიაჩერდა.

პროფესორი შედგა, თვალი შეავლო  
დიდ მანძილზე გაშლილ ხევის სადენს,  
მერე მზერა ზედა შუაგულზე მოწინა-  
კარე ხევის წყალზე გადაიტანა. იგი სა-  
ამური ლიკლიკით მიყვებოდა თავდაღ-  
მართს, ძლივს მიიკაფავდა გზას ირგე-  
ლივ დახერგილ ლოდებს შორის.

„ამ ხევს ხომ ხედავთ, ასე უსუსურ-  
სა და ვითომდაც უწყინარს, ლედმა  
დაიწყება თუ არა, ე იმ გორაკებზე და-  
რჩენილი თოვლი დადნება და ეს ხევი  
ისე აბუზუნდება, აზვავდება და ისე-  
თის ძალით დაიძვრება, მთელს ამ გავა-  
ცებას დაფარავს წყლით“.

კორინთელი დიდხანს უქვრეტდა ხე-  
ვის წყალს, მერმე ესა სთქვა:

„აქედან ნუხამდის. ესე იგი ძველი  
კახეთ-ქერეთის აღმოსავლეთ საზღე-  
რამდის, მთელი ეს ტერიტორია ამგვარ  
ხევებითაა დაღადრული, კავკასიონის  
განამტოვები მთები და გორაკები“.

ესა თქვა, ჯერ მოხედა თვალსაწიერ-  
ზე გაწოლილ კავკასიონს, თეთრად გა-  
დაამხტილს. მათი განამტოვები ყვარ-  
ლის მთები სამი მხრით შემოსდგომოდ-  
ხენ ცხრა მუხის ზეგანს და ალაზანს  
გადმომღელ სოფლებს, ვენახებსა და  
ბაღებს.

საამური რილა-ქრელი ისეთ სილა-  
მაზეს ჰფენდა მათ, აგრე იტყოდით,  
ისინი ფერწერის დიდოსტატს დაუ-  
ხატავსო.

„ამ მხარის ბედნიერება ეგაა, თქვა  
კორინთელმა, რომ მისი მთები და გო-  
რამხები ჯერ ისე გადატრუსულნი არ  
არიან ხეატისაგან, როგორც ქართლი-  
სა. ამ მთების უბებში უამრავი ვეგე-  
ტაცია იზრუნება, ფოთლები და შტოე-  
ბი ლებებიან ხანგრძლივი ნალექებისა-  
გან. სხვა პირობებში ჩვენ სავანებოდ  
ვაკროვებთ ქვეშის, ვალაობთ ვაკეთებთ  
კომპოსტს და შემდგომ ამისა, საუკე-  
თესო ორგანიულ სასუქს ვაძლევთ  
ხოლმე ვაზს.“

აქ კი თავათ ბუნება აკეთებს ჩვენს  
საქმეს.

მოვა თუ არა გაზაფხული, აჩქამდე-  
ბიან ნაღვარევეები და ამ ვეგეტაციისა

და მინერალების ნაეტრს ძირს ჩამოე-  
ტანს ველებსა და ზეგნებს.

პრიმიტიული მეურნეობის პირობებ-  
ში ასეთი ხევები დიდ ზიანს აყენებენ  
ხათესებსა და ნარგავებს, მაგრამ ჩვენი  
თახამედროვე ტექნიკის პირობებში მა-  
თი ალაგმევა არ არის ძნელი.

ნუ გვუიწყდება რომ ამ ხევებს მოპ-  
ქონდათ საუეტუნეთა განმავლობაში კავ-  
კასიონის ქედებიდან უნოყიერესი შლა-  
მი. ისევე რაიბგარანოს მელითაურს მიუ-  
ბრუხდა:

„აი ეს უბანი ხამდეილი ოქროს ფონ-  
დია. აქ მდიდრადაა მოცემული ნაღვა-  
რეიების ალოვიალური და პრთლუვი-  
ალური ელემენტები. მერწილოდ თინა-  
რებით და ხირხატინი სიღნარები, ჩე-  
მის გარედიდით ოქდაათ პროცენტამდის  
ნიაღწეეს კალიუმის კარბონატები, კა-  
ლიუმისა და თოსფორის დიდი რაოდე-  
ნობასთან გვაქვს ამ ნიადაგში საქმე.“

ჰმ, კავკასიონი, ჯერ სათანადოდ არ  
შეუქიათ ჩვენს პოეტებს კავკასიონი,  
იგი ჩვენი მდინარეების, ჩვენი ვენახე-  
ბის, ჩვენი აგევილების ადგილის დე-  
დაა, კალთა მადლიანი ადგილის დედა“.

ერთბაშად ხარების ბლავილი და მე-  
ნახირეთა მუახე შეძახილი გაისმა.

ხეე-ხეე მდილიდა ბერმუხისაკენ მო-  
მაილი ნახირი, პროფესორი კორინთე-  
ლი შედგა და ციხისთავს ეუბნება:

„ჩვენ უნდა ვიკადოთ უახლოეს  
ხეთწლედებში უჯიმო საქონელი ჯი-  
შინით შეეცვალოთ. აბა რასა ჰვაეს  
ეს ცურდალეული ძროხები და წვრილ-  
ქედა ხარები? ბერმუხის შემოგარინში  
ისეთი მდიდარი საძოვრებია, სირცხვი-  
ლიცა ასეთი უნიათო საქონელის  
ყოლა“.

ციხისთავიაც შეათვალეირა ნახამთ-  
რალი საქონელი:

„ჩვენ უკვე მოგვიეიდა მითითება ამ  
საქმის გამო. სათანადო ზომებიც შრე-  
ბულაა ხეესურული ძროხების მოსა-  
შენებლად. ყვარელის სამ კოლმეურ-  
ნობას გადაეუფზავნეთ ამას წინად,  
ხუთი ბულა და ასიოდე ხეესურული  
ძროხა“.

ეწერში წაქეეულ მურყანთან დაი-  
მუნლეს, პაპიროსს მოუკიდეს. მათი  
საუბარი ისევ და ისევ მეურნეობის  
საკითხებს დასტრიალებდა თავს.

გოდერძი პროფესორ კორინთელის  
ფერხთით დაცუქდა, ყოველ მის ნა-

თქვამს გულხმვირად ისმენდა. წარამა-  
რა აძლევდა შეკითხვას.

კორინთელმა შეინდის ბუჩქი შენიშ-  
ნა შორიახლოს. გოდერძის უთხრა:

„გაიქე გეთაყვა, შეინდის ყვარაჯენი  
გამომირჩიე შენდა სახსოვრად. მე ყი-  
დვე მომიხდება ზეტიალი ამ ვენახებში.  
ოღონდ ეცადე სწორი იყოს და ორჯა-  
პიანი თავი ქონდეს. მაშინ თედოს და-  
ვუბრუნებ თავის ყვარაჯენს“.

თედომ თქვა:

„მეც მოგეშველები, გოდერძი“.

როცა ის უკანასკნელნი შეინდის ბუ-  
ჩქთან მივიდნენ, კორინთელი ციხის-  
თავს მიუბრუნდა:

„ეს ყმაწვილი ნიჭიერი სჩანს, გზა-  
დაგზა ისეთ შეკითხვებს მძღლევდა, მა-  
რთალი გითხრა, გამაოცა. მოგახსენე-  
ბათ, აღამიანი შეკითხვებშია ცხად  
ამუღავენებს თავის რაობას, როგორც  
პასუხებში“

ციხისთავმა მიუგო:

„გოდერძი ჩვენი გამომზრდილია. მძი-  
მე ოჯახური მდგომარეობა აქვს ამ  
ყმაწვილს. ობლობაში გამოიზარდა,  
თქვენ რომ უსინათლო ბერიკაცი გაი-  
ცანით, მიქელა, იმის შეილიშვილია.  
ამ უბედურ კაცს უვლის გოდერძი. ეს  
არაფერი, სულით ავადმყოფი მამიდაც  
შინა ჰყავს.“

„ჩვენ მას დაწინაურებას ვუპირებთ.  
თედო დაგვიბერდა და დაგვისხეულდა.  
გვეზვეწება: გამანთავისუფლეთო. გო-  
დერძი უნდა ავირჩიოთ ბერძეთხის კოლ-  
მეურნეობის თავმჯდომარეო“.

„თუ თქვენი ნებაც იქნება. მე მას  
ქალაქში წაიყვან. რეაწლელი ხომ და-  
მთავრებული აქვს?“

დამთავრებული აქვსო, მიიღო პასუ-  
ხი.

„კოლმეურნეობის თავმჯდომარე გა-  
ნათლებული კაცი უნდა იქნეს. განსა-  
კუთრებით აგრონომიული განათლება  
უნდა ჰქონდეს მას“. დასძინა ციხის-  
თავმა.

ისევ აჩქამდა ეწერი. ბილიკებზე  
კომპლიანი მეცხვარეები გამოჩნდნენ.  
ცხვრის ძაღლები გამოვიდნენ ძეძვები-  
დან, მათ უკან მოყვებოდნენ ნახამ-  
თრალ ნაკელში ამოგანგლული ცხვრე-  
ბი. ისინი მარდად დაშლივინებდნენ  
ლიქიანში, გამალებულნი ეძებდნენ  
მყუდროში ამოსულ ბალახ-ბულახს.  
ძლივს დაბარბაცებდნენ ბატკნები  
ჩირვებში.

კორინთელმა თქვა:

„მე არა ვარ მონოლოლური ცხვრის მა-  
ტრიოტი, ჩვენ ხალხს აღმათის ჯგუფში  
უშენებია, რომელსაც კუდმაან ცხვარს  
ეტყვიან“.

„მონოლოლურ ცხვარს ცხიმი აქვს  
მეტე, შენიშნა ინსტრუქტორმა ახალ-  
კაცმა. ჩვენ ამჟამად ნახმატყლიანი მე-  
ტისები გამოგვყავს. მე ზოოტექნიკოსი  
არ ვახსოვართ, მაგრამ აგრე მგონია, პი-  
რუტყვის მეტიზაცია მორიგ ამოცანად  
უნდა გავიხადოთ. ამ მეთოდს დიდი  
წარსული აქვს მთელს მსოფლიოში.  
ინგლისელებმა თავიანთი ცხენი ბედუ-  
ინურთან შეაჯვარეს და ჩინებული  
ეკვამპლარებიც მიიღეს. მეტიზაციის  
მეოხებით შეიქმნა როგორც ხოლმო-  
გორულე, ისე ჰოლანდური ჰრელი და  
გერმანული წითელი ძროხა.“

ქართულ კუდიან ცხვარსაც გადახა-  
ლისება ესაჭიროება, ასეთივე შეჯვა-  
რება უნდა მოეუწყოთ თუშურ ცხენს.  
ხეუსურეთში მიმგზავრია იმ თუშურ  
ცხენზე, მე არა მგონია თუშურ ცხენს  
რომელიმე სხვა შეიღაროს იმ ციყა-  
ბოებზე სიარულში.

თუშურ ცხენს კისერი უნდა დავე-  
გრძელოთ. შეჯვარებას მოითხოვს მე-  
გრული ზთის ცხენი და მეგრული თხაც“.

პროფესორმა კორინთელმა თვლი  
დააღვა ძეძვებში მოჩალიჩე ბომბორა  
ცხვრის ძაღლს, რომელსაც სამი ლეკ-  
ვი მოსდევდა უკან.

„გულახდილად უნდა მოგახსენოთ,  
მთელს მსოფლიოში საცხებით უბად-  
ლოა ქართული ცხვრის ძაღლი. თქვა  
კორინთელმა. ნახეთ როგორ მკრივი  
ნაგებობა აქვს. მრგვალი და ჰკვიანი  
თავი დაკავშირებულია მკერდგანიერ  
და ძვალმსხვილა ტორზოსთან. კისერ-  
მოკლეა, ქედმაღალი და თათებდათან-  
ჩული. უცნაური სიამაყე გამოსჭვივის  
მის დარბაისლურ მიხვრა-მოხვრაში“.

მურყანზე მსხდარნი დაკვირვებუ-  
ლად უთვალთვალდნენ ამ ძაღლებს.  
როგორც ძუს, ისე მის ლეკვებს მოშა-  
ვო დრუნჩები ჰქონდათ, თითქოს მუ-  
რში ჩაუყვიათო ცხვირ-პირი. მთლად  
ლეგანი იყვნენ, მთლად ნაცრისფერნი  
და თეთრ თათიანები.

როცა საყვარაჯენ მოუტანეს პროფე-  
სორს, გოდერძი ისევ ფერხითი მიუჯ-  
და მას და გახარებული უსმენდა ქარ-  
თული ცხვრის-ძაღლის ქებას, თანაც

თავის საყვარელ ძალს იგონებდა „მგელას“.

ციხისთავმა თქვა:

„შირაქში გვყავს ერთი ცხვრის ძალი, საკავშირო ჩემბიონია, ოთხი მგელი დაახლო შარშან ზამთარში, საერთოდ მას ორმოცზე მეტი მგლის ცოდვა ადევს. ალბათ მოგვხსენებთ, ეს ძალები მგლისა და ძაღლის მეტყუბია“.

„ხომ ფრიად ჰკვიანია გერმანული ცხვრის ძალი? მგელთან ბრძოლაში იგი ვერ შეედრება ქართულს. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ქედმაგარია და მკერდმაგარი, მთელი ნაგებობაც მისი სხეულისა უფრო მეტად მკვრივია, ვიდრე გერმანული.“

ცნობილია, მგელს მწვერის გარდა, ვერც ერთი ძალი ვერ დაეწევა. არც თუ იმდენად საჭიროა მგელს გამოუდგეს ცხვრის ძალი მათი ერთმანეთთან შეტაკება ხდება ფერმებისა და ფარეხების შემოგარენში. გაქცეულ ნადირს ტყვია მიაწიოს მეცხვარემ“.

„ქართული ცხვრის ძალი კისერმოკლეა“, თქვა რაიაგრონომმა მელითაურმა.

„ეს დიხაც კარგია, მიუგო კორინთელმა, გერმანული გრძელკისეაა. თავდასხმისას იგი უფრო მეტად ელასტიურია, სამაგიეროდ ნადირთან გულდაგულ შებმისას მუხლი დალატობს მას“.

თედო თარალაშვილმა ცას ახედა. ყვარლის მთებს მოსდებოდა მსუბუქი ჯანყი, გრძლივ ამოწვერილი წვეროკინები ნაძვისა, უზარმაზარ საჩეჩელას მოგაგონებდათ, ხოლო მათ ზემოთ კაკვასიონზე დაჯორგვილიყვნენ შველვა ღრუბლებში, უცნაურ ქიმერებს მიაგავდნენ ისინი, ხანადახნილ ურჩხულებს, თათებგაწვილ ფრთიან ლომებს, ურთიერთზე ზედახორად შემდგარ სირაქლეებს.

„ცოტა ვიჩქაროთ, თორემ წვიმას აპირებს“.

ამის თქმა მოასწრო თედომ და წვიმის წვეთები გაფართუნდნენ ტყეში.

„უცნაურია, როგორ იწინასწარმეტყველე წვიმის მოსვლა თედო?“ — უთხრა კორინთელმა თავმჯდომარეს.

„ჩემი ძველი ჭრილობებია ჩემი ბარომეტრი“.

ლიქიანი მოთავდა, ახლა ლულიანი ქაობები დაიწყო. გამხმარი ლაქაშები

ზედაპირზე მიფრთხილებდნენ თელის ფოთლებივით წაწვეტებული ყურები. შველი, შველი, წამოძახა გოდერიძემ.

ისევ ტყეში შევიდნენ, დაბნელდა ირგვლივ, მოხშირდა წვიმის შხაპუნი. კორინთელი ცას უთვალთვალებდა, გადამხმარ ვერხვებიდან დგებოდნენ ორბები, მძიმედ მთარღვევდნენ ეთერს.

წვიმა შესწყდა, ამ უბანში მოხშირდნენ მურყანების, ვერხვებისა და თელების ნაფესვარები.

კორინთელმა მიმოიხედა.

„ამ უბანში მაგარი შეტაკება მოუხდებოდა ამ ნაფესვარებთან ჩვენს რიპერებსა და ტრაქტორებს.“

უცნაური ბუხუნი გაისმა ძეძვებში.

„რა იყო თუ იცი?“. ჰკითხა კორინთელმა გოდერიძის.

„გარეული ტახი დაფრთხა ლიქიანში საღდაც“.

ისევ მოისმა ბორგვა და ღრუტუნი, ამას მოჰყვა ისეთი შეწუხებული ჰყვიტინი, როგორც შინაურ ბურვავს სჩვევია ხოლმე. წინ წასული ახალკაცი და ციხისთავი, რომელიღაც ღელეს გადალმა დარჩენილიყვნენ, ველარ უერთდებოდნენ თავისიანებს.

გზა დაეკარგათ ნახევრად ბნელში.

ისევ იძალა წვიმამ, დამუქდნენ გაცრცვნილი ხეების შტოები, გოდერიძე მთარღვევდა ლიქიანს, სატყვიროთ კაფავდა ბილიკებზე გადმოკიდულ ნარებს, რომელნიც ციდან დაკიდებულ ტროსებსა და ბაგირებს მიაგავდნენ ამ წუთში, კორინთელმა უცნაური დაქანცულობა შეიცნო, ეაკეტის ბორტებიდან ჩამოსული მთელ სხეულზე გადასდიოდა წვიმის წყალი, მიზობლადა ქოქში, ძლივს მიათრევდა სინესტით გაქლენთილ ფეხებს.

არაეინ იცოდა, როგორ გამოსულიყვნენ თემშიარზე, სადაც მანქანა ეგულეობოდა, აქეთ წამოდიოთ, მოსახიოდა მათ ციხისთავი, მაგრამ ღელის საღენი ამ ადგილას ისეთი განიერი იყო, ვერც კორინთელი და ვერც თედო გალმა ვერ გადახტებოდნენ.

კორინთელმა შენიშნა რომელიღაც ბობლია ცხოველები გამოძვრნენ ლიქიანიდან, შეკრთა, რადგან მგლები ეგონა ისინი, მერამე მიხვდა: მეცხვარეებს ვერ მოესწროთ ტყიდან გამოლაღვა ცხვრისა.

ასე იბორიალეს მცირე ხანს. კორინთელი შესდგა, მან თვალნათლივ დაინახა მეჩხერი ტყის პირას რალაცამ მძლავრად შეატოკა შინდის ბუჩქი, მერმე ბილიკზე გადასულა გაიქცა ახაზდად, ეს ბობლია არსება მიაგავდა მოკლე ნაბლიახ, თავშიშველა ჯუჯაკაცს.

ეს უცნაური ჩვენება ლანდის უსწრაფესად მოსწყდა მიწას და მისმა მკვერეტელმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, მხარზე ჯოხგადაგდებული, შავნაბალიანი კაცი აფრინდათ ჰაერში.

კორინთელმა თვალი შეასწრო, თუ როგორ გაისვა ხელი ჯიბეზე მის გვერდით მიმავალმა გოღერძიმ და რევოლვერმა დაიხრიალა.

სამი სეკუნდიც არ გასულა და სულ ახლოს გაეარდა თოფი.

როცა სამივენი რბენით მივიდნენ იმ ადგილას ტყეში, სადაც ნაბადწამოსხმული არსება დაეცა, ნახეს ცხვარიჭამია ორბი სულთმობრძაც ფრთებს აბარტყუნებდა.

გოღერძი პირველი მიეჭრა მსხვერპლს, ჯანგები გაუხსნა ძალით და დამხრჩვალნი ბატკნები გამოაცალა.

„აგრე ეკადრება“.

წამოიძახა გახარებულმა კორინთელმა.

რამდენიმე წუთიც არ იყო გასული და ტყიდან სამი ლანდი გამოძვრა, ერთ მათგანს შემართული თოფი ეჭირა ხელში.

როცა მთლად ახლოს მივიდნენ ისინი, თედომ და გოღერძიმ შეიცვენეს: კანკრე, ლალბაწა და გაგრია.

კორინთელმა საეჭვოდ შეათვალიერა ისინი.

დაწინაურდა კანკრე, ბატკანის ლეშს წაეპოტინა.

„რას შერები, ბიჭო?“ შესძახა თედომ.

„ბატკანი ჩემია და მე მიმაქვს“.

„როგორ თუ შენია?“

„ორბი მე მოვკალი და მისი ნადავლიც ჩემია“. თქვა უჯჯათად კანკრემ.

„ერთი, რომ ეს ორბი ჩვენ თვალწინ მოკვლა გოღერძიმ, ეგეც რომ არ იყოს, ბატკანი მოტაცებულია კოლმეურნეობის ფარიდან და ჩვენ მას წავიღებთ და ჩვენს ცხვრის ძაღლებს ვაჭმევთ“.

როცა ახლად მოსულნი დადუმდნენ, თედო მიუბრუნდა სამივეს.

„ახლა ეს მიბრძანეთ, თქვენ რას აკეთებდით აქ?“

„მეწიქვილი ნიორთბაქსთან მივდიოდით სათევზაოდ“.

„თოფიასად თევზაობა ვის გაუგონია?“ — სიტყვა ჩაურთო გოღერძიმ.

კანკრემ თვალი დაუბრიალა გოღერძის და ლიჭიანში გაბრუნდნენ სამივენი. ორიოდვე წუთისაც არ გაუვლია და კანკრეს ხმა მოისმა ტყიდან.

„დაიცა, ამ თავხედობას განანებ, გოღერძი“.

„ვინ არიან ეს ყმაწვილები?“

„ის ერთი, თოფიანი, ქალაქელი შოფერიცა, უჯჯარული, მეტსახელად კანკრე. მანქანების ჯირითისა და ხულაგნობისათვის ტარების უფლება წაართვეს. ახლა ჩვენს კოლმეურნეობას შემოეხიზნა. დიდი უქნარა ვინმეა, ლოთობის შატს არაფერს აკეთებს“.

ის ორი ბიჭი აიყოლია, ლალბაწა და გაგრია, სამუშაოდან გამოიპარებიან, ღამდამობით ტყე-ტყე დაწოწილდებიან, ბრაკონიერობენ, განუკითხავად ხოცავენ ირემს, შველსა და ხოხობს.

ეს ყმაწვილები მიტრომაც გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას ცხრა მუხის ზეგანზე ზვრების გამართვის გამო, რადგან მათ კარვად იციან შველი, ლორი და ხოხობი უკან დაიხვევენ მთებისაკენ და მათ შორს მოუხდებათ სანადიროდ წაწალი“.

„ახლა აკრძალულია ხოხობზე ნადირობა, ისინი უსაფრდებიან ლიჭიანებში ახლადდაბადებულ ხოხობს და ქლეტენ“.

„რაიმე აღმზრდელობითი მუშაობა თუ სკადეთ?“

„შეეკითხა პროფესორი თედოს“.

„მაგ კანკრეს ტრაქტორისტობა შევთავაზეთ. მოიზოდიშა, რევმატოზში მჭირსო, თვითონ კი დღეღამე კობებში ნადირობს“.

„ბრაკონიერებს არა სჯივთ მერმე? ბრაკონიერებია ჩვენი ფაუნის უდიდესი მტრები“.

„დასჯივთ როგორ არ უსჯივთ, მაგრამ ასეთ დროს უნდა შეისწოროს ბრაკონიერი კაცმა, ისე კანონი ხელს არ ჰკიდებს“.

ღამე დაეუფლა ტყესა და გწერს, მიდიოდნენ ბნელში და ესმოდათ გარეული ტახების ბორგვა და ბუხუნნი...  
(გაგრძელება იქნება)

## სიხილან გამოსვლის შედეგ

★

დილა

ასე სთქვი:

— სად ვარ?

როცა დილით გამოიღვიძე.

გადაგაჩნია ციხემ ძილსაც საკუთარ სახლში.  
ბნელს ჯურღმულებში როცა ქვაზე მშვიერი იწექ,  
ცამეტმა წელმა

გაიარა თანდათან მაშინ.

შენს გვერდით ახლა ნეტავ ვინ წევს?  
მარტოობაა?

არა, ცოლი წევს

და სიწყნარე მეუფობს ირგვლივ.

სძინავს ბავშვივით. მის სახეზე ნაზი გრძნობაა.  
შემკობილია ფეხმძიმობის მშვენებით იგი!

ნეტავ რა დროა?

— უკვე ექვსის ნახევარია.

ნუ გეშინია — ჯამუშები აქ არ არიან.

ახლა დილაა, მიწას შუქი ხედება ციური.

არსებობს ერთი ძველი წესი პოლიციური —

ვინმეს დაჭირას ვერ გაბედავენ

დაბინდებამდე.

ბასეპირნება საღამო შამს

★

აი, დასტოვე საპყრობილე გულშესაზარი.

ერთმანეთს შეხვდით...

შენი ცოლი ფეხმძიმედ არი.

გამოგიწოდა ნაზი ხელი

და გულმართალი

შენს გვერდით მოდის,

უკან დარჩა ბნელი კვარტალი...

მტკიცედ აბიჯებს,

თითქოს იგი არც კი დაღლილა

და უწმინდესი ტვირთი მოაქვს მხნედ და ადვილად.

შენ ამაყი ხარ

და ცოლითაც ამაყობ მუდამ.

საღამო დადგა

და ქალაქი ხედება ციე ნიავს

და, ალბათ, ქალაქს საღამოს ემს  
 კვლავ სითბო უნდა,  
 ვით პაწაწინა ბავშვის თითებს,  
 მას შესცივნიან.

და იბადება ასეთი გრძნობა:  
 სიგრილეს უნდა ხელში გათბობა.

აქ, ზორციის დუქნის ჩაშავებულ ვიწრო კარებთან,  
 ვით პაემანზე, მოიყარეს თავი კატებმა,  
 ავერ, შალლიდან გადმოწვედილა სახლის სართული —  
 ქალის გულმკერდი დაყრდნობილა ფანჯრის რაფაზე,  
 ყასაბის ცოლი

პეიჯებით არის გართული,  
 თითქოს ბუნების დარდი ჰკლავდეს  
 და სილამაზე.

სუფთაა ზეცა.

და მის თაღზე ერთი ვარსკვლავი  
 ბრწყინავს,

ელვარებს,  
 ვით ჭიქაში ჩასხმული წყალი.

წელს შემოდგომა შემოვიდა თბილი დღეებით.  
 ჩაყვითლებულა დაშფიფებულ ჰერმის ხეები,  
 ლელეს კი ჯერ კიდევ მოსაწყვეტად ვერ შეეხებით.  
 საღამო არს.

ასოთამწყობ ახმედთან ერთად  
 მოხუცი მერძევის ქალიშვილი ჩრდილში სეირნობს,  
 მათი ხელები

სიყვარულმა წამს შეაერთა  
 და ყველაფერი შენმა თვალმა ნახა, შეიგრძნო.

ახლა სურენის საბაყლოში  
 სინათლეს ხედავ...

არ ავიწყდება მას სომეხთა  
 ზოცვა და ელეტა.

მამის მცლელებმა  
 მიიყვანეს შტაკიცი ფიტამდე —

არ აპატიებს სისხლის მღვრელებს  
 კუბუს ფიცრამდე.

იცოდე, სურენს შენ უყვარხარ სულთ და გულით,  
 რადგან ჯალათებს არაფერში შენ არ დაუთმე,  
 არ აპატიე მათ, ვინც ხალხის შეხუთა სული  
 და მწვავე დაღი ამოჰკვეთა თურქეთის შუბლზე.

ამ დიდ უბანში სასომიხდილ ყველა ჭლექიანს  
 არ შეუძლია წამოდგომა

და ამის გამო  
 ფანჯრის მინიდან შეჰყურებენ მოსულ საღამოს  
 და ცივ მიხაზე მხოლოდ ჭუჭყის დანალექია.  
 ყავახანაში — სეამენ.

აქვე საბრალოდ მდგარი —  
 მრეცხავი ფატმას ვაჟი არი, უმუშევარი.

ალაპარაკდა ოსმან ბეის მღვრე რადიო,  
 ესმის საღამოს საშინელი გადაცემები...  
 და ცოლთან ერთად ათრთოლებულ გულით გწადია  
 კორეელ დედას მოაშორე მწარე ცრემლები.



აზრით შენ იქ ხარ,  
 სადაც ხალხი ყვეთელი სახის  
 ებრძვის გველუშაპს, თეთრ გველუშაპს  
 გულა უბობს ვერაგს —  
 შევმა კახონმა იქ ახმედი ოთხი ათასი  
 გადაისროლა თავის ძმათა სისხლის საღვრელად.  
 რადიოს ისმენ,  
 უძლური ხარ, გწვავს რისხვის თქეში —  
 ვერ დააბრუნებ შენ ახმედებს  
 უკან, თურქეთში.  
 ჩამოწვა სევდა საკუთარი, მწვანე და კრული,  
 ბობოქრობს სევდა —  
 ხელები აქვს თოკით შეკრული.  
 ბობოქრობს სევდა...  
 და გგონია რომ ვითომ უცებ  
 ვილაყა მძლავრად და ბოროტად უბიძგებს ცოლს ხელს —  
 თითქოს მუდღვე უკვე ქვაზე დაეცა მუცლით  
 და უკვე ბავშვი ველარ ნახავს ქვეყხად სიცოცხლეს.  
 თითქოს შენ ისევ სასამართლოს წინაშე წარსდექ  
 და საპრობილის გისოსს იქით  
 ძლივს ადგამ ფეხებს.  
 თითქოს  
 გლეხები ეანდარებდნენ ქურთუყით ტანზე  
 შენს თვალწინ სცემენ  
 დღედაღამე  
 უბრალო გლეხებს.  
 მალე შენ წახვალ.  
 ქალაქს უკვე ესტუმრა ღამე.  
 კუთხიდან მოჰქრია პოლიციის ავტომობილი,  
 მოჰქრის, არ სძინავს, ეძებს, იჭერს,  
 შემდეგ აწამებს.  
 სულშემხუთავი სუნი ასდის მას საპრობილის.  
 ქუჩის ქვებზეა მისი შუქი, გადმოფრქვეული.  
 ცოლი ჩურჩულებს:  
 — ჩვენ დაგვეძებს, ალბათ, წყეული!

## დავის პირველი საათი



დგანან წიგნები მამაცურად,  
 ღია პირსახით,  
 ლურჯ, შინ მოქსოვილ დიდ სუფრაზე დგანან ჯარებად;  
 ამოირჩიეს საცხოვრებლად ეს ჩვენი სახლი, —  
 ბილწი ლაჩრობა და სიცრუე მათ ეგავრებათ.  
 ო, დედაჩემო!  
 ახლა შეილი შენ დაგიბრუნდა.  
 შავი კედელი  
 საპრობილის  
 შორს დარჩა გზაზე,





მტრებმა ააგეს ის კედელი ჩვენს დასათრგუნად,  
საშობლოს გული ციხის კედლით გადაგვიხაზეს.

ლამის პირველი საათია.

შუქი ანთია.

აქვე, ჩემს გვერდით, წევს მეუღლე.

ფეხმძიმედ არი.

მას ფეხმძიმობა ამკობს უკვე მეხუთე თვეა—

ორივემ ვიცით ეს ამბავი ჩვენთვის ხეტარი.

მაგრამ არ მჯერა,

შემაქვს ეჭვი მე ამ ამბავში

და, აი, ახლა მის სხეულზე ჩემი ხელია.

მე თვითონ ვისმენ როგორ იძვრის, ირხევა ბავშვი.

ო, როგორ იძვრის!

თითქოს თვალიც აუხელია.

აი, მოქსოვა დედაჩემმა გრძნობით, ამაგიტ

ჩემი ბავშვისთვის ვარდისფერი ნაზი პერანგი.

ვშიშობ შეეხებო პერანგს სათუთს და პაწაწინას,

სახელოებმა მთელი გულთ დიდხანს მაიცინა—

რა ლამაზია ეს პერანგი, რა პატარაა,

ჩემს ხელის გულზე დიდი არაა!

თუ ქალიშვილი დაიბადა — მხოლოდ ის მინდა,

რომ დედას ჰგავდეს, როგორც წვეთი წვეთსა ჰგავს წმინდას!

თუ ვაჟიშვილი დაიბადა — მე ჩამისწორდეს,

ჯანმრთელი იყოს, ტანი ჩემებრ მაღალი ჰქონდეს.

ო, ჩემი ბავშვი!

თუ ქალიშვილი დაიბადა — ლამაზი იყოს

და თაფლისფერი, მოციმციმე ჰქონდეს თვალები.

თუ ვაჟიშვილი დაიბადა — ეშხით შეიმკოს,

მას ცქერა ჰქონდეს ცისფერ, მზიურ აელვარების.

ო, ჩემი ბავშვი!

მე არ მსურს, როცა ჩემი შვილი ოცის გახდება,

გამოასალმოს წუთისოფელს ოჟრს ქარცეცხლმა, —

თუ ვაჟიშვილი ჩვენ გვეყოლება.

მე არ მსურს, როცა ყუმბარები გასკდება ღამით,

სარდაფში ენახო ჩამარხული მე შვილის გვამი, —

თუ ქალიშვილი ჩვენ გვეყოლება.

ო, ჩემი ბავშვი!

ვაჟი იქნება თუ გოგონა — სულ ერთი არის,

სულ ერთი არის რამდენ წელთა გაივლის რიგი.

მე არ მსურს, ციხემ დაუფაროს შუქი ცისკარის,

რადგან

მშვიდობის

და სიმაართლის

მომხრეა იგი!

ვიცი და მჯერა, თუ მას მოსვლა დააგვიანდა,

რასაც უწოდებს სიხარულით ხალხი ვარიკრავს.

უნდა იბრძოლო, საშობლოსთვის მშვიდობა გინდა,

შენთვის სიკვდილაც ამ ბრძოლაში სიკაცბლეს ნიშნავს.

ამჟამად ძნელი, ძალზე ძნელი, როგორც ეტყობა,

ყოფილა მამის თანამდებობა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ლამის პირველი საათია.

შუქი ანთია.

და, იქნებ, მხოლოდ წუთი დარჩა,

სმენად გაღვიქვც.

ან, იქნებ, დილით, პოლიცია გზას გადამიკეტს,

შემოცვივდება ჩემს ბინაში,

წამიყვანს იმ წამს

და მხნე წიგნების მგვობრობა ველარ დამიცავს.

პოლიციელთა წრემ თუ ხელში ჩამიგდო ძალით,

შემოვბრუნდები გზიდან მაინც და დავინახავ,

როგორ დგას ზღურბლზე ჩემი ცოლი — ფეხშიძიე ქალი,

როგორ შრიალებს მისი კაბა

და მის პირსახეს

რაროვ სპეტაკი და ბრწყინვალე შუქი ანათებს!

დედის წიაღში

ბავშვი ისევ შეითამაშებს —

ვიცი და ვხარობ, გულში სათუთ გრძნობას ვინახავ.

## დაბადება

★

ბიჭუნა გაჩნდა, ცოლმა ჩემთვის დაბადა ბავშვი,

სამი კილოა მისი წონა. ვუვლით სათუთად.

კაშკაშა ბირთვი აელვარდა ცისფერ საბანში —

ქერა აქვს თმები, უწარბოა და თბილად სუნთქავს.

როს ჩემი შვილის პირველი ხმა შემომეგება,

მაშინ მრავალი გაჩნდა ბავშვი

იქ-კორეაში,

ვით მზესუმზირა, ბავშვიც დიდი ვახდება სწრაფად,

მაგრამ ჯალათმა მაკარტურმა

ყველა აკაფა,

თუმცა დედის რძე

ბავშვებს კარგად არც კი ეგემათ.

როს ჩემი ბიჭი დაიბადა,

მაშინ ბავშვები

იქ-საბერძნეთის დაიბადნენ საჯანჯაოში.

მათი მამები ჯალათებმა დაჩეხეს ხმლებით.

საპყრობილეში მხოლოდ ვისოსს გაეცნო ბავშვი,

ბავშვს უფლება აქვს იჯდეს მხოლოდ რკინის ვისოსთან

და ყოველ დილით შავ რკინასთან ბავშვი ითბობს ტანს.

როს ჩემი ბიჭი დაიბადა,

ვიცი, რომ მაშინ

ანატოლიის მრავალ დედას ეყოლა ბავშვი.

ბავშვებს ცისფერი,

ან და გიშრის ჰქონდათ თიალოები,

მაგრამ ურაცხვი დაეხვიათ მათ მკბენარები

და უნდა მოხდეს სასწაული,

რალაც ახალი,



რომ რამდენიმე ბავშვი მაინც დარჩეს ცოცხალი.  
როს ჩემი ბიჭი დაიბადა,

ო, ვიცი მაშინ  
ბავშვები გაჩნდნენ მზესხივოსან დიდ ქვეყანაში—  
ბედნიერება ისე დიდი ზედათ იმ პატარებს,  
რომ მას ყოველი ქვეყნის ბავშვი უმალ ინატრებს.  
როცა გახდება ჩემი შვილი იმდენი წლისა,  
რამდენიც ქვეყნად შე ქარცეცხლში გამოვიარე, —  
მოვევლები მაშინ,

მაგრამ უკვე ეს დედამიწა  
ყველა ბავშვისთვის  
ზოპარულ აკენად გადაქცევა,

ყველა ერთმანეთს  
დიდ სიხარულს გაუზიარებს,  
იტყვიან ნანას და აკვანი მყის დაირწყევა.

თარგმანი მასილ ლაფინაშვილისა

# ასი მზე

მოთხრობა



თენდებოდა. უნაგირაზე გადმომდგარ მზის სხივებს ოქროსფერად დაეფარათ ზღვის ერთი ნაწილი, მეორე კი მუქლურჯად ლიელებდა ბინდში. ოქროსფერი ზოლი სწრაფად მიიწყვდა წინ, გარკვევით ჩანდა, თუ როგორ მცირდებოდა და ბინდული მხარე და ცეცხლი ეღებოდა მთელ ზღვას.

წყნარი იყო ზღვა. მხოლოდ ნაპირებთან მოქანავე გადმოგდებული თეთრი რკალი ამელაენებდა მის მოძრაობას.

ნაფიქვნარის ჩაის პლანტაციები ტერაპედად ასდევდა მაღალ, დაფერდებულ მთას და ისე შორს იჭრებოდა სივრცეში, რომ დასასრული არ უჩანდა. მზეს აქაც პლანტაციების მხოლოდ აღმოსავლეთი მხარე დაექსელა ოქროსფერი სხივებით. თვალისმომჭრელად ბრწყინავდა მოლურჯო ნაძი მწყენეზე. პლანტაციის დასავლეთი ნაწილი კი ისე როგორც ზღვა, ჩაბინდული იყო.

მზე სწრაფად იწყვდა მაღლა.

ქალები ჩაის ფოთლოს კრეფდნენ. ნაძით დასველებული კაბა წვივებზე ეკვროდათ, სველი ჰქონდათ მკლავები, გულ-მკერდი, თმა. მზემოკიდებული სახე ნაძით დაბანაილივით უბრწყინავდათ.

ირგვლივ მყუდროება გამეფებულიყო. მყუდროება იღვა ხეობაში ჩადგმულ ჰიდროელექტროსადგურისა და ჩაის ფაბრიკის თეთრი შენობების თავზე, პლანტაციებში, მთებზე, ყანებში და გზებზე.

ეს გათენების ის მომაჯადოებელი და საზღიგო მყუდროება იყო, რომელსაც ვერც ფრინველთა, ვერც პირუტყვთა და ვერც ადამიანთა ხმა ვერ არღვევს, სანამ ის არ გატყდება და არ დაკარგავს თავის ბატონობას ბუნებაზე.

ამ დილით ნაფიქვნარში ეს სიწყნარე ვერ დაარღვია ვერც სახერხი ქარხნის მკვეთრმა მზულმა, ვერც მოსკოვთბილიის მატარებლის ბორბალთა გრილობა და ვერც სათევზაოდ გასული მორთრიახი ნავები დგაფ-დგაფმა. აგრ არ დარღვეულა მაშინაც, როცა პლანტაციების ქვევით, ზღვის ნაპირთან, აღმართზე ამოჭრილი ავტომანქანის საყვირის ხმა გაისმა.

კოლმეურნეებმა საყვირის ხმაზე იცნეს რაიკომის მდივნის მანქანა.

— ასე დილაადრიან რამ მოიყვანა ჩვენი მდივანი?! — თქვა და თავი ასწია შუა ხნის, სახედაყვავილარმა ქალმა, რომელმაც ის იყო წელზე დაკიდებული ორი კალათი აავსო ფოთლით და დასაცლელად თხრილში ჩადგმული გოდრებისაკენ წავიდა.

— დილაადრიან თქვი შენ, ციციხო! მაშლის ყივილზე დგება, ჩვენი მდივანი, თურმე, — უთხრა ციციხოს ქერა, ტანმორჩილმა გოგონამ და ისიც კალათების დასაცლელად გოდრებისაკენ გაემართა.

— ასე მონდომებული რომ არის, იმიტომ მიჰყავს კარგად საქმე. აბა, წინაოილი მდივნის ხელში კულში მივიჩანჩალებდით სხვა რაიონებს, — თქვა ყველას გასაგონად მერგოლურმა ნათია ქანთარია და ბრიგადირისაკენ მობრუნდა, — მდივანი მოდის ჩვენთან მარიაში! — გასძახა მარიაში.

მარიაში გოდრებთან იღვა და ჩაის ფოთლის მიმღები წერტის მწონავს პლატონ ჰილაძეს ელაპარაკებოდა.

შუახანს გადაცილებული კაცი იყო პლატონი. ჩქარი და ხმაშალაი ლაპარაკი იცოდა. დღე ისე არ გავიდოდა, ბრიგადის რომელიმე წევრს არ წაპყიდებოდა.

მარიამის ბრიგადაში ყველა პირველი ხარისხის ფოთოლს კრეფდა. ეს წესად ჰქონდათ შემოდებული. პლატონმა კარგად იცოდა, რომ მარიამი ამ წესს არაეის დაარღვევინებდა, მაგრამ ფოთლის ყოველი მიღებისას სიცოცხლეს უმწარებდა ქალებს. იმ ფოთოლსაც კი, რომელსაც კაცი ერთი შეხვედითაც შეატყობდა, რომ ის პირველი ხარისხისა იყო, პლატონი უსათუოდ საეჭვოდ გახდიდა. დამეჭრებოდა მკრეფავს, თუ მეორედ ასეთ ფოთოლს მოიტან, პირველ ხარისხად კი არა, მეორე ხარისხადაც არ მივიღებო.

განსაკუთრებით ერთი „სიბრძნე“ ეკერა პირზე: ვის უნახავს ბავშვი წვერულვაშიანი დაბადებულიყოს. ბუნჩუზე მეორე ხარისხის დუყი არ ამოდის, და აგვიანებ ერთ დღეს მის მოკრეფას და ინებე მეორე ხარისხი — წვერულვაშიანი და გაჭალარავებულიყო.

ასე იმიტომ იქცეოდა, რომ უნდოდა მარიამის ბრიგადა პირველი ყოფილიყო კოლმეურნეობაში. თავს მოიკლავდა და წინ არაეის გაუშვებდა. არ იცოდა, რა იყო დალდა. გაზაფხულიდან შემოდგომამდე პლანტაციებში ალაშვებდა და ათენებდა. მუღამ წუწუნებდა, დავიგვიანეთ, ჩამოვრჩით, გაგვიტყდა ტაბიკო.

მარიამის ბრიგადას ყოველთვის პირველს შეჰქონდა ნაკვეთში სასაუქი, პირველი ბარავდა, თონხიდა და წამლავდა პლანტაციას. პირველი იწყებდა კრეფას და პირველი აბარებდა ფოთოლს ფაბრიკას. მაგრამ პლატონი მაინც უმბაყოფილო იყო: შეგვეძლო მეტი სასაუქი შეგვეტანა, მეტჯერ გაგვეთონხა, უფრო ღირე დავეწყო კრეფაო.

სხვის გასაგონად ბუზბუნებდა ასე: თორემ ბრიგადის მუშაობით არასოდეს არ ყოფილა უმბაყოფილო, პირიქით, ნათელი ედგა გულში. მაინც ცდილობდა არაეინ შეჩერებულიყო მიღწეულზე, არაეინ მისცემოდა თვითდამშვიდებას, რომ ბრიგადის წვერებს მისი შიში ჰქონოდათ და უფრო მონდომებით ემუშავნათ.

დღეს მეტი და უკეთესი ხარისხის ფოთოლი უნდა მოკრიფო, ვიდრე გუშინ. ხეალ კიდევ უფრო მეტი და უმჯობესი. ვიდრე დღესო, — იმორებდა წამბატწომ. და ყველას მობეზრებული ჰქონდა მისგან თავი, განსაკუთრებით ქალებს. ჩვენს ჰიარა დაჩენილა, ეს ეშ-

მაკის ფეხიო, — ამბობდნენ ისინი. მაგრამ მაინც უყვარდათ, ყველას თვევისიდან და ახლობლად მიიხიდა: თუ არა ბუზბუნებდნენ, მისი ბუზბუნე არ ესმოდათ, ასე ეგონათ, რაღაც გვაკლიათ.

ჩაის ფოთლის ხარისხის გამოსარკვევად, დუყის ორი ფოთლის ქვევით, დერზე, ცერის ფრჩხილს დააქერენ. თუ დერი იოლად გადატყდა, ფოთოლი პირველი ხარისხისაა, თუ არა და—გაუხეშებულია.

მთელ გოდორ ფოთოლში ერთი გაუხეშებული დუყი რომ გარეოდა, პლატონი ხელის ერთი ამორვეით სწორედ იმ ერთს ამოიღებდა.

სიჭაბუკეში ცერზე საფანტი მოხვდა, ჰრილობა დაუჩირქდა და ფრჩხილი ძირიხხად წასძვრა. ოცდახუთ წელიწადს ამოდიოდა ახალი ფრჩხილი და ნახევარზე ძლიერს ამოაღწია. ასეთი ფრჩხილით გაუხეშებულს კი არა, უნორჩეს დუყს ვერ გადასჭრიდა კაცი. პლატონი ცერს ისეთი ჯამბაზური სისწრაფით გაჭკრავდა დუყს, რომ თვალს ვერ შეასწრებდი მის მახინჯ ფრჩხილს.

— ხომ ხედავ? შეუტევდა მკრეფავს. — მაშასადამე, ამას ფრჩხილი ვადაქრის? სამართებელი უნდა, სამართებელი.

ჩაის ფაბრიკაში პლატონი ყველას ცაცია ეგონა. აქ იგი მარჯვენა ხელს დამბლადაცემულივით დაიკიდებდა, თითქოს ამ ხელთ ფინხსაც ვერ გატებდა. ანას იმიტომ სჩადიოდა, რომ ფოთლის ჩაბარებისას მარჯვენა ხელი არ ეხმარა. მარცხენა ცერის ფრჩხილი კოდალას ნისკარტივით ჰქონდა წაგრძელებული და სამართებელივით წალესილი. დუყის ღერს კი არა, რეინას გადაკვეთდა ამ ფრჩხილით.

პლატონისაგან ფაბრიკაში ჩაის ფოთოლს თითქმის შეუმოწმებლად იღებდნენ. ყველა ენდობოდა მას. მაგრამ, თუ ვინმე დაეჭვებოდა ფოთლის ხარისხში, პლატონი ისეთი სიმარლით გაჭკრავდა მარცხენა ფრჩხილს, რომ გადაკვეთილი დუყი მყისვე განზე გადავარდებოდა.

რომ გვეითხათ, რისთვის სჭირდებოდა მას ეს ფანდი, ვერ გიპასუხებდათ. ფაბრიკას ხომ არაეინ არ აბარებდა ისეთი ხარისხის ფოთოლს, რომ ვორც პლატონი.

მასთან მარიამის ბრიგადის ვარდა კიდევ სამ ბრიგადას მოჰქონდა ფოთო-

ლი. მაგრამ პლატონი მათ ისე მკაცრად არ ექცეოდა, როგორც თავის ბრიგადის ქალების. კოლმეურნეობაში კინკული კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი და მასთან მეორე ხარისხის ფოთლის პირველ ხარისხად მიტანას ვინ გაბედავდა.

ამიტომ ხშირად უსაყვედურებდნენ თავისი ბრიგადის ქალები: სხვისთვის მამა ხარ, ჩვენთვის მამინაცვალი, სხვისი ბაბუის ჩხრიალიც გესმის და ჩვენთან რა ღმერთი გაწყრებაო.

სხვა ბრიგადის ქალებთან ლობობიერი იმიტომ იყო, რომ მათი ბედი მაინცდამაინც არ აღელვებდა. მისთვის მთავარი იყო ის ბრიგადა, რომელშიც თვითონ მუშაობდა, მთავარი იყო თავისი ბრიგადისა და ბრიგადის ქალების სახელი.

ამიტომ, თუ სხვაგან მეორე ხარისხის ფოთოლს კრებდნენ, პლატონს ეს მათ პირად საქმედ ძიახნდა და სხვის ამბავში არ ერეოდა. მე ჩემი საქმე და ჩემი აღგილი ვიცი, მეტიჩრობა და არამითხებოაძებობა რა მოსაწონიაო, — იტყოდა ხოლმე.

— არა, პლატონ, არ არის შენი საქციელი მოსაწონი, — ბეკრჯერ დაურიგებია მარიამს პლატონი, — აქ ჩვენი და სხვისი საქმე არ არსებობს. შენ კოლმეურნეობის ყველა წევრისაგან ერთნაირად უნდა მოითხოვდე. სხვა ბრიგადების სირცხვილი ჩვენი სირცხვილიცაა, მათი ჩამორჩენა ჩვენი ჩამორჩენაა. შიში ნუ გაქვს, ჩვენ ისე რა დაგვბორკავს, რომ თუ სხვას დაეხმარეთ, გამოცდილება გაუუზიარეთ. — ამით მან წინ გაგვისწოროს, გვაჯობოს კედზე ფეხი დაგვაღვას.

პლატონს თავისი აზრი ჰქონდა. ჩემო მარიამ, მჯობნის მჯობნი არ დაილევიაო, — უპასუხებდა ბრიგადირს. მამასადამე, დღეს ჩვენ ვართ მოწინავე, ვახიბდავ და აგერ გუშინ ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რომ იყო, ის გაიჭრება წინ. ისე მოულოდნელად წამოყოფს თავს და აგადექენის პირველობას, რომ ვერც კი ვაიგებ.

პლატონი ახლა სწორედ თავის ბრიგადის ერთ-ერთ ჩამორჩენილ რგოლზე ელაპარაკებოდა მარიამს.

— ხომ ხედავ, ნათია ქანთარიას რგოლი ისეთ ფოთოლს კრეთს, რომ მტერს თვალებს დაუვსებს. მამასადამე, პირველი ხარისხის ფოთოლს კი არა, „თავგულის“ მასალას კრებს, გუშინ რა იყო ეს რგოლი? ჩვენი ძვალის

გამტეხი, ბრიგადის თავისმომკრელი. დღეს კი, მამასადამე, ჩვენი სახელი და სიამაყეა.

პლატონს მეტ სახელად „მამასადამეს“ ეძახდნენ. საჭირო იყო, თუ არა, იგი თითქმის ყოველ წინადადებაში დიდი რიხით ჩაურთავდა, „მამასადამეს“.

— პო, მოდი ახლა და სხვას მოეხმარე. გაუზიარე შენი გამოცდილება. მამასადამე, გაუისწრებს კი არა, თავზე ვადაგახტება. ემშაკი ვერ დაუწევია. არა, ჩემო დაია, თუ პირველობა გინდა, შენს კანში დაეტეი. შენს საქმეს გაუძეხ. ვერ ხედავ, ისე გაიწაფა ხალხი, რომ ყველას ყოფნის თავისი ცოდნა და ნიჭი სამათხოვროდ ხელს არავენ იშვევოს!

პლატონი სხვის გასაგონად ამბობდა ასე, თორემ გული სხვას ეძახდა, სულს არავის შეაკლებდა. თუ ვინმეს გაუჭირდებოდა, თავზე გადაეგებოდა, სხვისთვის პერანგს გაიხდიდა.

— მე როგორც ფოთლის მიმღები წევრის მწონავს და გამგობის წევრს, — განაგრძობდა პლატონი, — უფლება მაქვს პირველ რიგში ჩემი ბრიგადისათვის ვიზრუნო. შემდეგ კი... თუ ვინმეს გაუჭირდება, პლატონ კილაქვს ხელი ჯერ არავისთვის უკრავს.

ის იყო პლატონმა სიტყვა დაამთავრა, რომ ქვევიდან მანქანის ხმა შემოესმა.

— პირველი მდივნის მანქანაა! — შესძახა მარიამს და ზღვისაკენ მოტრიალდა, თვალი მოიჩრდილა, — ისაა, ლევანია...

მანქანა პლანტაციებშუა გაკლავნილ გზაზე ამოზბოდა.

ნავეთების ვარშემო ქარსაცავ ზოლად შემოვლულთ კრიპტომერიისა და ევკალიპტების ტოტებზე, ბუჩქებსა და ღობეებზე მიმოფანტულ ნიალის ბოლქვებში ხან მანქანის ბრჭყვილა რადიატორი გაიეღებოდა და ხან მისი შინდისფერი სახურავი.

რაიკომის მდივანი მანქანით არასოდეს არ მოდიოდა პლანტაციაში, არც თავმჯდომარეს გამოუკლიდა, მანქანას სადმე გზაზე დატოვებდა და ბრიგადაში ფეხით ამოვიდოდა.

— რაოაქ სასწრაფო საქმე აქვს, ალბათ, და მამასადამე, ეს საქმე ჩვენ გვეხება. — სულმოუთქმელად წარმოსთქ-

ვა პლატონმა და აჩქარდა: — რას უდგება, მივეგებოთ ლევანს.

მარიამმა მხრებზე ჩამოშლილი ქალთა თმა თავსაფარში შეიკეცა და ფერღობზე დაეშვა.

პლატონი გვერდით გაჰყვა ბრიგადირს.

მარიამს შავეები ეცვა. ეს ხანში შესული, მაღალი და გამხდარი ქალი, ისეთი წარმოსადგეი იყო, რომ არ შეძლებოდა ყურადღება არ მიგვექციათ. მას მერტად მიმზიდველი, კეთილი და მშობლიური სახე ჰქონდა.

მრავალი წლის შრომა-ჯაფას თავისი კვალი დაესვა მარიამისათვის, მაგრამ ეს უფრო მაღლიან იერს აძლევდა მის ეშხიან სახეს.

მარიამი თბლობაში გაიზარდა. თოთხბერი წლისა იყო, დედა რომ მოუყვდა და მუშობელ სოფელში ერთი ვაჭრის ქვრივს დაუდგა ხელზე მოსამსახურედ.

მას უნდა მოეტანა შეშა და წყალი. წასულიყო წისქვილში, დაეგავა სახლკარი და ვინ მოსთელის კიდევ რა არ უნდა გაეკეთებია მის გამხდარსა და პატარა ხელებს.

ქვრივი ხელმოკერილი ქალი იყო. ასანთსაც კი დაკეტილში ინახავდა. მარიამს ღამით ნაკვერჩხალი უნდა შეეხვია და, ვაი მის დღეს, თუ ჩაუქრებოდა. მთელ დღეს ლუკმას აღარ აღირსებდა. შიმშილი მას არც ისე აწუხებდა, მაგრამ ისეთი თავმოყვარი იყო, რომ ერთ ავ სიტყვას სიკვდილი ერჩივნა.

ქვრივი თითქოს განგებ, ყოველთვის მოჯამაგირე ბივის, გაიოზის წინ წყევლიდა და ღანძღავდა მას. გაფითრებოდა მარიამი, სუნთქვა შეეკრებოდა. ერთხელ ასეთ უბედურ წუთში თრია შეჰკიდა ბრაზითა და ბოღმით ანთებულ გაიოზის სახეს და სიხარულით თავბრუ დაესხა. მიხვდა, გული რომ შევარდნოდა ბივის მასზე.

მაღე მიატოვეს ქვრივის თჯახი. ზღვის პირას ფაცა დაიდგეს. გაიოზი განთქმულ მეთევზე ჯღორონია დგებოდას შეიკვლდა. მაღე ისე გაიწაფა ამ საქმეში, რომ ზღვაზე ბაღალი არ ჰყავდა. მეთევზეები ზღვის არწივს ეძახდნენ. უმეტეს დროს ზღვაზე ატარებდა, მაგრამ სულითა და გულით ყოველთვის მარიამთან იყო. წელგაუმართავ შრომაში ასწორებდნენ დღე-ღამეს. უყ-

ვარდათ ერთმანეთი და ადვილად იტანდნენ გაჭირვებას.

ხანმოკლე იყო მარიამის ბედნიერება. 1920 წელს ნაფიქვნარში ტყით დაფარულ ზეგანზე, სადაც ახლა კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებია გადაძლილი, ოცდაათ ბოლშევიკ-რანსელს შეწვევიების გვარდიამ ალყა შემოარტყა. სამი დღე-ღამე უშკალედებოდნენ ისინი თავით-ფეხებამდე იარაღში ჩამუდარ ბანდიტთა ხროვას. ალყა გაიოზმა გაარღვია და სასიკვდილო დაპრობილი მანამდე ებრძოდა მტერს, სანამ ყველა რაზმელი არ გავიდა სამშვიდობოს.

იმ დღიდან შავეები არ გაუხდია მარიამს. ხელში სამი ისეთი ბავშვი შერჩა, ერთმანეთს ვერ წამოაყენებდნენ. თავს ევლებოდა. რა გაჭირვებას არ იტანდა. რომ ბავშვებს არ მოშვიბოდდა, უშამობა არ დატყობოდდა. თბლობაში გაზრდილს, არ უნდოდა ბაკშეებსაც ეგემნათ თბლობის სიმწარე. შვილებს შეაღია ახალგაზრდობა.

პირველმა საკოლმეურნეო გაზაფხულმა ახალი ცხოვრება მოუტანა. აქ გამოჩნდა მისი ნიჭი და უნარი. თერთონვე აოცებდა თავისი საქმე. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამასი საოცარი არაფერი იყო. სხვისთვის არ მუშაობდა, თავისი იყო ყველაფერი, რასაც იწყებდა. რასაც აკეთებდა. თვითონ იყო იმ საქმის ბატონ-პატრონი, რაშიც იგი მთელ თავის სულსა და გულს დებდა. წლითიწლობით იზრდებოდა მისი ძალა და ცოდნა.

კოლმეურნეობა შეიქმნა მისთვის თჯახი, მშობელი. აქ შეიყარა თავის ბედს. თავს ქვრივ-თხრად აღარ გრძნობდა. პირველი ქალი იყო სოფელში, არაფერი აკლდა, არც სიმდიდრე არც სახელი.

საქართველოში მას ერთ პირველთაგანს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. პლატონს სულ ის ჰქონდა სატრამპზოდ, მისმა ბრიგადირმა რომ კრემლში მიიღო ოქროს მედალი. თვითონ კალინინმა გადასცა თავისი ხელით. პლატონმა მარიამს წაართვა და თავის სასტუმრო ოთახში დაჰკიდა კრემლში გადაღებული მარიამის სურათი.

შვილები ყველა ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული გამოადგა მარიამს. ყველას ასწავლა, ყველა გზაზე დაა-

ყენა. ერთი ვაჟი წყალქვეშა ნავის მეთაურია შორეულ აღმოსავლეთში, მეორე ინჟინერია, კოლხიდის ქაობებს ამრობს, ქალიშვილი ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლობს.

როგორ წარმოიდგენდა ერთ დროს სხვისი ლუკმის შემყურე, შიშველი, მწყურვალი, რომ მთელი რაიონის საიახელო ქალი გახდებოდა. ყველა პატივსაცემდა: უყვარდათ, რჩევასა და ჭკუას ეკითხებოდნენ.

რაიკომის მდივანი ხშირად იწვევდა რაიკომის ბიუროზე. სხვა კოლმეურნეობებიდან მოდიოდნენ მისი მუშაობისა და გამოცდილების გასაცნობად.

მანქანა პლანტაციის ჰიშვართან შეჩერდა. ჰიშვარს დღეუ ჩაუდიოდა. დღეზე განიერი ბოგირი იყო ვადებულ. ჰიშვარი და ბოგირი ყავრით გადაეხურათ. ბოგირის თავებში გრძელი მერხები გაეშართათ.

აქ ყოველთვის წყლისა და სიგრილის სუნი იდგა. შესვენებისას ამ ბოგირზე ეკრიბებოდნენ ბრიგადის წევრები. ეს კოლმეურნეობის საყვარელი ადგილი იყო. ჰიშვარის შვიგითა და გარეთ, ღელის პირზე ოთხი უზარმაზარი ფიჭვის ხე იდგა ტრატებით ერთმანეთში გადახლართული.

აქ, ამ ჩრდილში სხვა ბრიგადებიდანაც მოდიოდნენ. ხელისგულივით მოჩახნდა აქედან ლურჯად მოკამკამე ზღვა. ზღვიდან ყოველთვის გრილი ნიავი ჰქროდა.

რაიკომის მდივანს ბოგირთან დაუხედნენ მარიამი და პლატონი. მარიამს მუდამ ახარებდა ლევანის მოსვლა, იგი მარიამის თვალწინ გაიხარდა, მის ბავშვებთან ერთად სწავლობდა სკოლაში.

სკოლა ხშირად ეხმარებოდა კოლმეურნეობას ჩაის ფოთლის კრეფაში. ბიჭები უკადრისობდნენ: ფოთლის კრეფა რა ვაჭყაის საქმეა, მაჰაყაის საქმეაო მოვლევით.

ლევანი კი დიდ ინტერესს იჩენდა ამ საქმისადმი. ათასჯვარ შეკითხვას აღლევდა მარიამს. შენ რანაირად კრეფ დღეში ორმოც კილოგრამ ფოთოლს, როცა სხვები ოცსაც ძლივს კრეფენო.

როცა მიხვდა, მარიამი ორმოც კილოგრამ ფოთოლს იმიტომ კრეფდა, რომ მისი პლანტაცია სხვა ნაკვეთებზე

უკეთ იყო მოვლილი, გადაწყვიტა გაეგო ამის საიდუმლოება.

მე აგრონომი გაეხდები და სხვებსაც ვასწავლი პლანტაციის ისე მოვლას, როგორც შენ უკვლი. ეუბნებოდა მარიამს. მაგრამ ცხრა კლასი, რომ დაამთავრა, საარტილერიო სკოლაში შევიდა. იქიდან ომში ისე წავიდა, რომ სოფელში არ ჩამოსულა. მრავალ ბრძოლაში ისახელა თავი. პოლკოვნიკ ლევან საჯაიას სახელი ხშირად ისმოდა საინფორმაციო ბიუროს ცნობებში.

1945 წელს მძიმედ დაჭრილი ჩამოიყვანეს თბილისში. სამი წელიწადი მკურნალობდნენ. იძულებული გახდა სამხედრო სამსახური მიეტოვებინა. 1948 წელს რაიკომის მდივნად აირჩიეს.

მარიამის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, ერთ საღამოს ლევანი რომ მიადგა მოულოდნელად მის სახლს. ერთ დროს სუსტი და ფერმკრთალი ყმაწვილი, ახლა ბრგე და დავაჯაცებული იდგა მის წინ. იგი იღიმებოდა იმ ბავშვური ღიმილით და შეკუპრებდა იმ ცნობისმოყვარე თვალებით, რაც ასე ნათლად ახსოვდა მარიამს.

— მაპატიე, დედა მარიამ, პირობა გავტეხე. არ ვისწავლე შენი ხელობა, მაგრამ პლანტაციის მოვლას მაინც ისე მოეუბნე ყველას, როგორც შენ უკვლი. მარიამმა როგორც კი შეხვდა ლევანს დარწმუნდა, რომ ამ კაცის ხელში წალბა შებრუნდებოდა რაიონის საქმე.

ძველი მდივანი ერთხელაც არ მოსულა მარიამთან, არ ჩაუხედავს მის მუშაობაში, არც კოლმეურნეობებში მიდიოდა, ტელეფონით იკითხავდა მათ აეკარგს, ან თავმჯდომარეს იბარებდა რაიკომში. თესვა იყო თუ მოსავლის აღება, თავმჯდომარეს კოლმეურნეობა უნდა მიეტოვებია და დღე დაეკარგანა.

მთელი დღე კაბინეტში იჯდა. კრებებს კრებებზე იწვევდა, ინსტრუქციებს ზედიზედ აგზავნიდა. თუ ოდესმე გამგეობის კანტორაში მოვიდოდა, მანქანიდან არ გამოდიოდა, შეაფუცხუნებდა, დემეტრებოდა თავმჯდომარეს და მყისვე სხვა კოლმეურნეობისაკენ გასწევდა.

ლევანი კი ჯერ არც შესდგომია თავისი მოვალეობის ასრულებას და ბრიგადირს ეახლა თავისი ფეხით. მაგრამ იქნებ. მარიამს ესტუმრა და არა ბრიგადირს. იქნებ თავისი ბავშვობის ამხა-



ნაგების დედასთან მოვიდა. ასეა, ალბათ, თორემ ბრიგადირთან სახლში კი არ მოვიდოდა, პლანტაციის იხსებულბდა დღისით, მზისით.

მართლაც სტუმრად მოსულს ჰგავდა ლევანი. დილაშდუ დარჩა მარიამისას. შეიღებინა ამბავს ეკითხებოდა, იგონებდა ფრონტზე გატარებულ დღეებს. მარიამი, თავის მხრივ, სოფლისა და კოლმეურნეობის ამბავს უყვებოდა.

იმ ღამეს ლევანმა იმდენი რამ გაიგო კოლმეურნეობისა და მარიამის მუშაობის შესახებ, რამდენიც წინააღიღ მდივანს ამ რაიონში მთელი თავისი მუშაობის განმავლობაში არ შეუტყვია.

ლევანს იშვიათად თუ ნახავდით თავის კაბინეტში. იგი ან კოლმეურნეობაში იყო, ან შშენებლობაზე, ესწრებოდა პოლიტწრეების მეცადინეობას, დღე ისე არ გავიდოდა, ჩაის ფაბრიკაში არ შევიყო, სანერგეები არ ენახა.

სხვაგვარად ამუშავდა მის ხელში მთელი რაიონი.

ლევანი მანქანიდან გადმოვიდა. კარი არ მიუხურავს. ეტყობოდა ახლავე ახირებდა გაბრუნებას. გამოუძინებელი იყო. მოქანცული სახე გაფითრებოდა. რაიონი ისეთ მღვამარეობაში ჩაიბარა, რომ დღე-ღამის გასწორება იყო საჭირო მისი ფეხზე დაყენებისათვის და ამიტომ ხშირად მთელ ღამეებს რაიონში ათენებდა.

მარიამმა შეატყო, რომ არც წუხელ სძინებია რაიონის მდივანს. ლევანის ყოველ დანახვაზე მას სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით ევსებოდა გული.

— გამარჯობათ! — მიესალმა ლევანი მარიამს და პლატონს და გაუღიმა. არ ეგონა, პლატონი თუ აქ დახვდებოდა. პლატონს პატივს სცემდა, როგორც ჰქუამახვილ, შრომისმოყვარე და მართალ ადამიანს. მასთან ლაპარაკის დროს ხშირად იმეორებდა პლატონის ამოჩემებულ სიტყვას — „მამასადამეს“.

— როგორაა საქმე, მარიამ? — ჰკითხა ლევანმა და მერხზე ჩამოჯდა. — რა ცვარია ამ დღით, თითქოს უწვიმიაო. სული ჩაუღვა სიმინდს. ფოროთის პლანტაციის ჩამოქუარე ივანეს ბრიგადას. კარვად ასხია წელს ხეებს.

— უკეთეს ვერ ინატრებს კაცი, ამხანაგო ლევან, — დაუძმწემა პლატონმა. — არც მეჩაიებს გვაქვს საქმე ცუ-

დად. ოღონდ კრიფე და ფოროთი ზღუდასავით მოდის. გასული კვირის გეგმა...  
განმარტყენა

— გასული კვირისა ვიცი. გუშინდელი, მარიამ? — მიუბრუნდა ლევანი მარიამს.

— ას ოთხი პროცენტით გვაქვს შესრულებული, ამხანაგო ლევან. — როგორც ყოველთვის, ახლაც პლატონმა უპასუხა მარიამის მაგიერად. მას ჰქეყანას ერჩინა თავისი ბრიგადის მიღწევების მოხსენება უფროსებისათვის. ამიტომ ეს საქმე მარიამს პლატონისათვის ჰქონდა მინდობილი.

— ას ოთხი პროცენტი... კარგია... — დაიწყო რაიონის მდივანმა, მაგრამ პლატონმა არ აცალა:

— ოცდახუთი მაისისათვის ჩვენს ბრიგადას, მამასადამე, წლიური გეგმა ოცდაათერამეტი და ორი მეათედი პროცენტით აქვს შესრულებული.

— მაინც ცოტაა, ჩემო პლატონ. პლატონი შეებუნდა, მარიამს შეხედა.

მარიამი ლევანის პირდაპირ იჯდა მერხზე და გაკვირვებით შესცქეროდა. მის ბრიგადას ყველა სხვა ბრიგადაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა რაიონში. ზოგ ორ ბრიგადაშიც კი ვერ კრეფდნენ იმდენ ფოროთს, რამდენსაც მარიამის ბრიგადა კრეფდა. რაიონის მდივანი მაინც არ არის კმაყოფილი? გული ეტყინა ბრიგადირს, გადაწყვიტა — არაფერი ეთქვა, მაგრამ პლატონის შეწუხებულ სახეს რომ შეხედა, ვერ მოითმინა.

— ასეთი პროცენტი არასოდეს არ გექონია, ლევან. ფოროთის კრეფა მარშანდელთან შედარებით გაცილებით უფრო სწრაფად მიდის.

— მართალია, მარიამ, — დინჯად მიუგო ლევანმა. — მაგრამ მარშან ჩვენი რაიონი უკანასკნელ ადგილზე იყო. ასეა არა, პლატონ?

— ჰა... ასეა, ამხანაგო ლევან. პლატონს მაშინ უყვარდა ლაპარაკი და თავის გამოჩენა, როცა მის ბრიგადას, მის კოლმეურნეობას აქებდნენ, როცა რაიმე თავმოსაწონი ჰქონდა. სხვა დროს, თუ აუცილებელი არ იყო, პირში წყალს ჩაივებოდა. ახლაც გაჩემება დააპირა. ვანზე იყურებოდა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს რასაც აქ ლაპარაკობდნენ, მას არ ეხებოდა.

— აი, მეზობელ რაიონის კოლმეურნეობა „იმედში“ ბრიგადირ მიაი ქოჩაყიძეს წლიური გეგმა ორმოცდაშვიდი პროცენტით აქვს შესრულებული. — შეხედა პლატონს და თვალის ოდნავი მოქუთრი გაულომა. — მაშასადამე, პლატონ, რამდენით წინ არის ჩვენზე მისი ბრიგადა. თუ ბრიგადები კარგად მუშაობენ, მთელი კოლმეურნეობა კარგად მუშაობს, ასეა, არა?

— დიახ, ასეა, ამხანაგო ლევან. თუ კოლმეურნეობა კარგად მუშაობს, მაშასადამე რაიონიც წინ არის.

— ჩვენი რაიონის წლევეანდელი წარმატება დიდი, — მაგრამ უნდა გვიხსოვდეს, რომ სამშობლოს წელს შარშანდელზე ბევრად მეტი ჩაის ფოთოლი უნდა მივცეთ.

— მივცემთ კიდეცაც, ამხანაგო ლევან. — გამოყოფხლდა კვლავ პლატონი, წელში გასწორდა. — ჩვენ ხომ გეგმის გადაჭარბებით ცხრაას ტონას ვაბარებთ სახელმწიფოს!

— ჰო, მაგრამ „იმედს“, თურმე თავის გეგმაში შესწორება შეუტანია: ათას ტონას კი არა, ათას სამას ტონას ჩავაბარებთო გეგმის გადაჭარბებით.

— კარგი შესწორებაა, — დიმილით გაეშალა სახე მარიამს, — კარგი რაიონია. დამახებრებულად წაიღეს მათ ჩვენგან გარდამავალი დროშა.

— მე ჩემი ჩამოსვლის დღიდან ამ დროშაზე ვფიქრობ, მარიამ, — შეხედა ჩაფიქრებულმა რაიკომის მდივანმა ბრიგადირს, — უნდა დავიბრუნოთ იგი უკან.

— დრო გვინდა, ამხანაგო ლევან.

— დრო არ იცდის, პლატონ. დიდი ხანია იგი მათ აქვთ. სხვები დროს უსწრებენ, ჩვენ კი დროს ვთხოულობთ. მაშასადამე, ჯერ კიდევ ვერ ვმუშაობთ კარგად.

— დიახ, ჯერჯერობით, ალბათ, ასეა, — წაიღულღულა პლატონმა საქციელწამხდარი კაცივით.

— ჩვენ ერთხელაც არ დავინტერესებულვართ ამ რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობით, — გახაზვრძობდა მდივანი, — არ გვინახავს, რა აქვთ ახალი. ამ საქმეზე მოვედი შენთან მარიამ. უნდა წახვიდე „იმედში“ და ნახო მიაი ქოჩაყიძის ბრიგადა. ენა და პირი გერ ასწერს თურმე, მისი მუშაობის ამბავს. ქალი კი არა, ამოღებულის ხმალიაო. მე იქაურ რაიკომის მდივანს ველაპარაკე, იქ მიგელიან.

მარიამისა და პლატონისათვის ისეთი მოულოდნელი იყო ლევანის ეს წინადადება, რომ სახტად დარჩენილი შემყურებდნენ ერთმანეთს.

— შენ გააკეცი, მარიამს, პლატონ. — უთხრა რაიკომის მდივანმა პლატონს და წამოდგა. — წავედი.

შაქანისაკენ გაემართა. ბევრგან უცდიდნენ მას: ლაბორატორიაში, მანქანატრაქტორთა სადგურში, სასაფლო საბუქოში, ყანებში. სარწყავი არხისა და თევზის საკონსერვო ქარხნის მშენებლობაზე.

მანქანასთან შედგა:

— კარგი იქნება, თუ ხვალვე გაიმგზავრები, მარიამ. დიდხანს ნუ დარჩებით, საემარისია ორი-სამი დღე.

— კარგი, ლევან, — გამხარული ხმა აღმოხდა მარიამს.

რაიკომის მდივანს არ შეუნიშნა, როგორ შეუთრთოლდა მარიამს ხმა. იგი მანქანაში ჩაჯდა.

— ნახვამდის. — დაუწია ხელი მარიამს და გაუღიმა მოქანცული ღიმილით, მერე კარი მიხურა. — გასწი, ელიზბარ, — უთხრა მემანქანეს.

მანქანა სწრაფად შეტრიალდა. რადიატორზე აბრკვევილებული შხის სხივების ნაკადი თაღებში შეეფრქვა მარიამს, არ უგრძენია, გაოგნებული იდგა. ეს რა უთხრა ლევანმა? მიაი ქოჩაყიძესთან წად და იმის მუშაობა გაეცანიო, ისწავლე მასგანაო. ისეთ დამამცირებლად და შეუსაბამოდ ეჩვენა ეს, არ შეეძლო მისი დაჯერება.

მიაი მარიამის გამოზრდილი იყო. თორმეტი წლისას დააწყებინა პლანტაციის მუშაობა და თავისი ხელით შეასწავლა ჩაის ფოთლის მოწვევის საქმე. მალე ისე გაიწაფა მიაი, რომ ყველას სჯობნიდა ბრიგადაში. თექვსმეტი წლისა მერგოლურად აირჩიეს.

ერთადერთი მკრფავი, რომელსაც პლატონი ფოთისად არ უწუნებდა, არ ებუზღუნებოდა და ყოველთვის კმაყოფილი იყო მისი ნამუშევრით, მიაი იყო. ეს გოგო დღითიღო სულ უფრო განიერად მიზიბებდა. მაშასადამე მას ეშმაკი გერ შიარჩობდა. აი, ის უნდა გაუსწოროთ მხარი. — ეუბნებოდა პლატონი მიაის ამხანაგებს.

მიაი ერთი წლის გათხოვილი იყო, ლევანი რომ ჩამოვიდა, ლევანმა არ იცოდა. მარიამის მოწადე თუ იყო იგი.

— მაშასადამე. — სულშეგობებით წამოიძახა სახეწამოჭარბლებულმა პლა-

ტონმა, და საყულო შეიხსნა. — შენს გუძისდელ მოყუცეს უხდა ვეახლოთ და ქუეა ვკითხოთ. რას იტყვის ხალხი; იქნებ არ იციან ჩვენმა მდივასა, ვის არის მათა. ვის ხელში გაიზარდა ის ბალახა, ვის დააყუბა გაზზე. — შუხლზე დაიკრა ხელი. — მაიტ, არ იციან ნაიდ-ვილოა.

— რატომ გგონია, რომ არ იციან, პლატონ? — ჰკითხა მარიამმა რაღაც იხედით. უნდოდა დაჩუქუნებულყო, იცოდა, თუ არა ლევანმა მათს ამბავი.

— აბა, ორმ ცოდიოდა, ამას გვაკადრებდა?!

— რას პლატონ? რა არის ამბავი რე-თი, ასე რომ შეიცხადე? — მოჩვენე-ბითი სიმშვიდით ჰკითხა მარიამმა.

— ის არის, რომ ამ ამბავს, მაშასა-დამე, პირდაპირი კავშირი აქვს არა მარტო შეხსა და ჩემს თავმოყვარეო-ბასთან, არამედ ჩვენს ბრიგადასთან, მთელი კოლმეურნეობის სახელთან. შენ როგორც გეხეობს და მე არსად წამსვ-ლეული არა ვარ.

— ნუ ანთე და დანთე შენებუ-რად, პლატონ, — უთხრა მარიამმა, რო-გორც თავის ისე მის დასამშვიდებ-ლად. — შენ გგონია, ჩვენი მდივანი თავის რაიონის კოლმეურნეობის სახე-ლიათვის შენზე ნაკლებ ზრუნავს? ჩვენი სახელი არ იქნება, რომ ჩვენმა ბრიგადამ მათს ბრიგადასავით იმუ-შაოს?..

— არა, ვერ დავიჯერებ, რომ მათს ბრიგადა ჩვენზე უკეთ მუშაობდეს, — უქმყოფილო კილოთი განაცხადა პლა-ტონმა. — შენი გუშინდელი მოწაფე, გუშინდელი ბალახა, მაშასადამე, დღეს როგორ გახდა ჩვენი ქუესი დამრიგე-ბელი!

— ციფრი, პლატონ, ორმოცდაშვი-დი პროცენტი?

— ციფრი? — ჩაფერფლილ ჩალასა-ვით ჩაქრა პლატონი. — ჰო, ციფრი... მაშასადამე, ორმოცდაშვიდი პროცენ-ტი!..

— ორმოცდაშვიდი პროცენტი, პლა-ტონ, — გაიმეორა მარიამმა.

„ჰო, ასეთი ციფრი ჩვენ ჯერ არ გვეონია. მთავი მიიღწია აბა“. — ფიქ-რობდა მარიამი. — თუ მან მიიღწია ასეთ წარმატებას, მაშ იგი შესაძლებე-ლიც ყოფილა. წლოური გეგმის ორმოც-დაშვიდი პროცენტი ორ თვეში, — ეს ჯერ არ მომხდარა! მე გგონია, კარგად ვმუშაობდით, მაგრამ მთავი გამოსწო-

ჩემმა პატარა მთავრად, ჩემმა, ალიკუდამ“. გაიღმა მარიამმა თავისი ალერსიანი, გულთბილი ღიმილით და თვალწინ და-უდგა მთავი, მისი ცოცხალი, დაუდგრო-მელი თვალები, ზამთარ-ზაფხულ მზე-მოკიდებულ სახეზე დაუშრეტელი ენე-რჯიისა და სიცოცხლის მუქს რომ აფ-რქვევდნენ. ურჩი, გაწეწილი თმა ყო-ველთვის მხრებზე ეყარა და ეს მას რა-ღაც ველური სილამაზის იერსა ჰვენ-და. ტანზე პატარა იყო, მოწინილი და მოსხლეტილი. ვერასოდეს ვერ ნახავ-დით გაჩერებულს, რას არ ეძახდნენ სოფელში: „ჭინკას“, „ალიკუდას“... და ამ სიტყვებს ყველა სიყვარულითა და ღიმილით ამბობდა.

მის გათხოვებას არაინ მოელოდა. თერამეტი წლისა იყო, მაგრამ თუქსმე-ტისას ჰგავდა. ერთხანად ამხანაგობ-და ბიჭებთან და გოგობთან. იქ, სადაც ქალიშვილები ვაჭებთან რაიმე თამაშს დაირცხვენდნენ, მთავი არასოდეს არ და-იხვედა უკან. თამაშობდა ქვასროლის, ბურთს, ლახტს (ერთთავად წვივბაჭ-რელებულად დადიოდა), დანაობაში ტო-ლი არ ჰყავდა. მის მიერ ჩარჭობილ პა-ლოს ამოღებაზე ცხვირით მიწას თხრი-დნენ ბიჭები.

ბიჭებთან ერთად ხტებოდა ზღვაში ფრიალი კლდიდან. რაგინდ აღიღვებუ-ლი ყოფილიყო ზღვა, არ დაერიდებო-და. მძვინვარე ზვირთების თაფარზე მოჩეული ზვირთიდან ზვირთზე გადა-ჭქროდა მასავით თავზეხელაღებულ ბიჭებთან.

როგორ შეენოდა მის გამხდარ მხრე-ბსა და პატარა, მაგრამ მალალ მყერს, სველი თმები რომ გაეკეროდა, ნეს-ტობდაბერილი და თვალებანთებული, მაშინ იგი ზღაპრულ აღს ჰგავდა.

რამდენ წყალს ჰყლავდნენ ამის შემყურე აღტაცებული ბიჭები. მათ ყელათფერი ავიწყდებოდათ ამ ჩეყ-ნად. ისიც კი, რომ ზღვაში იყვნენ და მისი სილამაზით რეტდასხმულნი ტყვი-საკვით იძირებოდნენ.

მათს თვალს ხომ ვერაფერს გამოა-პარებდით, ბიჭებს წყალქვეშაც ესმო-დათ მისი დამტენავი კისკისი, თავი არ ამოყოფოდათ, სხვებიც ხომ დააყრი-დნენ სიცილს და ამიტომ მთელი ასი საყენი უნდა გაიჯერნათ ყვინთვით და იქ ამოსულიყვნენ.

ცა ჰქოდა არ მიაჩნია და დიდამიწა ქალამნდო რომ იტყვიან ეს სწორედ მა-თზე იყო ნათქვამი. ზღვაში თუ ზვირ-

თიდან ზვირთზე გადაქროდა, ხეებზე ციყვად იქცეოდა. აენწროზე მოქცეოდა ბალსა, თუ მსხალს. ტოტებზე თვალდახუტული ხტებოდა, ერთთავად დაქაწრული იყო. კაბასა და თმას ხაი ხეზე მიოფლეთდა, ხან ბარღზე, ხან ღობეზე.

მაია ტოლებთან და მამაკაცებთან ერთნაირ სილაღეს გრძნობდა. ყველას იმორჩილებდა. მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყო. არავინ იტყოდა საწინააღმდეგოს, რაც არ უნდა ეთქვა, ყველა ერთმად ეთანხმებოდა.

ყველგან და ყველაფერში სიციცხლე და მხიარულება შეჰქონდა. ის რომ გამოჩნდებოდა, ასე ეგონათ, მზემ გაამანათო. სადაც მაია იდგა, იქ იყრიდა თავს დიდი და პატარა, იქ ისმოდა სიცილი, იქ იმართებოდა თამაში, იქ ყვებოდნენ საინტერესო ამბებს. იცოდა თავისი ფასი. ვანსაყლოებით მკაცრად ეჭირა თავი ახალგაზრდებთან. ეშინოდათ მისი, ბევრს უცემდა გული მისთვის, მაგრამ ვერაირს უმსებლა. ასე ეგონათ, მასთან ამაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. მაიამ იცოდა ეს და გულში დასციხოდა „წყალიყლაპია“ ბიჭებს.

1949 წელს თბილისში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე ახალგაზრდა აგრონომი გაიცინო და სამი თვის შემდეგ გაჰყვა მას.

დიდი და პატარა ულოცავდა გაბოდნიერებას, მაგრამ თან გული ტკიოდათ. არავის უნდოდა მისი სხვა სოფელში გათხოვება. ბიჭებმა ხომ ერთი სიკვდილი გაათავეს.

თითქოს სოფელმაც მოიწყინა. აღარ ისმოდა შეუკება და პლანტაციებში მაიას სიმღერა. აღარ გადაქროდა ზვირთიდან ზვირთზე, არ ჰყვეთდა ჰაერს მისი წკრიალა ხმა.

ყველაზე მეტად მარიამს ეტყინა გული. გაუთხოვდა და სხვა რაიონში წაუვიდა არა მარტო მოწაფე, არამედ პირველი მერგოლური, ბრიგადის თვალისჩინი, მისი გაზრდილი, შვილივით საყვარელი მაია. ეს გულისტკივილი არ უჩვენებია მაიასათვის. პირიქით, დედასავით ტრიალებდა ქორწილში. თავის მხრივ მარიამმა ბრიგადის სახელით, პატარა მზითვეიც კი გამოუწყო.

— ერთი სათხოვარი მაქვს, მაია, — უთხრა გამგზავრებისას მაიას, — არ შეატოვო შენი საქმე, ოჯახს არ გადაყვე. შენ არა მარტო შვილების აღზრ-

დელი დედა უნდა იყო. არ დაივიწყო შენი პირობა, ჩვენი ქვეყნის უხელმძღვანელს რომ მიეცი თბილისში.

მარშან იყო ეს. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი მიმდინარეობდა. თათბირს ესწრებოდნენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავე ადამიანები. პარტიის რაიონული კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების მდივნები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მერგოლურები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

გაჩირაღდებულ სცენაზე პრეზიდენტში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ისხდნენ. აქ იყვნენ მინისტრები, ვენერალები, პარტიის რაიკომების მდივნები, მწერლები, მეცნიერები, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ხოვატორები.

თათბირის მეორე დღე მთავრდებოდა. მაია ტრიბუნაზე იდგა. თავისი რგოლის მუშაობის გამოყვლილებას უზიარებდა თათბირის მონაწილეთ. იგი არასოდეს არ ლეწავდა, როცა კრებაზე სიტყვით გამოდიოდა. რა გინდ ბევრი ხალხი ყოფილიყო, შეეძლო ცალკეული სახეების გარჩევა, ეგრძნო, როგორ უსვენდნენ და რა შთაბეჭდილებას ახდენდა მისი სიტყვა კრებაზე. ახლა კი ყველა სახე ერთმანეთში ერერდა, ყურები უწიოდა.

მაინც დალაგებით ლაპარაკობდა. არ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ მის პირდაპირ პარტიის პირველ რიგში მარიამი იჯდა. ისე, როგორც მასწავლებლის სიახლოვე ჰკვრის ხოლომე მოწაფეს სიმშვედეს, მაიაც გრძნობდა მარიამის სიახლოვეს, მის გამამხნეველ დიმილს და ამიტომ გაბედულად და თავისუფლად ლაპარაკობდა.

თავის ხმაში ერთგვარი სიამაყის კილოც კი ესმოდა. არ ეუხერხებებოდა ეს. იგი საკუთარი თავის შესახებ ხომ არ ლაპარაკობდა. ჰყვებოდა თავისი მასწავლებლის, მის მიერ აღზრდილი მეჩაიე ქალების ამბავს და არ შეეძლო არ ეამაყნა მათი საქმით.

— მარშან ჩემმა რგოლმა, ჩვენმა მთელმა ბრიგადამ, მთელ თავის ფართობზე უხვი მოსავალი აიღო, — ლაპარაკობდა მაია, — მაგრამ ამან ჩვენი

რაიონის მეჩაიეთა საქმე წინ ვერ წასწია. მოგეხსენებათ, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ჩვენი რაიონი კვლავ ჩამორჩება.

დარბაზი ყურადღებით უსმენდა. გაჩინარდებული ელნათურა აშუქებდა მაიას გავარჯიერებულ ლოყებს, კრიალა ღიღ თვალებსა და მხრებზე ჩამოშლილ შავ, მბზინავ თმას.

— ჩვენი ბრიგადის პლანტაცია წვეთია ზღვაში ჩვენი რაიონის ფართობებთან. ცალკეული რგოლებისა და ბრიგადების უხვმოსავლიანი ნაკვეთებში მხოლოდ უმნიშვნელო მიღწევებია.

მაია პრეზიდენტისაკენ მობრუნდა და დაინახა, რომ მას გამამხნეველები ღიმილით შეჰყურებდნენ. აი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი თავსაც კი უქნევს დასტურის ნიშნად. მაია შეკრთა მოულოდნელი სიხარულისაგან, გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა და უფრო ხმაშალდა განაგრძო:

— ჩვენ დღეს აქ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ ყველა რგოლი, ყველა ბრიგადა, ყველა კოლმეურნეობა და რაიონი გვაძლევდეს უხვ მოსავალს. ჩვენ იმე უნდა ვიმუშაოთ, რომ არ იყოს ჩამორჩენილი რგოლი და ბრიგადა, ჩამორჩენილი კოლმეურნეობა და რაიონი.

— კარგად ლაპარაკობ, ქოჩაიძე! — ველარ შეიკავა თვი და ზესძახა ახალ კოსტუმში გამოწყობილმა. მზისა და ქარისაგან გარუჯულმა ჰაბუქმა შუაღარბაშიღან. ყველანი მისკენ მიბრუნდნენ, მაგრამ მას არაგისთვის არ მიუქცევია ყურადღება, წინ წახრილი და კისერწაგრძელებული ალტაცებით შეჰყურებდა თვალანთებულ გოგონას, რომელიც ძლივს მოჩანდა მაღალ ტრიბუნაზე. შესვენების დროს ის ყმაწვილი პირდაპირ მივიდა მაიასთან და გაეცხო. მაიას მოეწონა მისი სიტამამე, მაგრამ მას ეს არ აგრძნობინა. თავისი მგრძანებლური თვალები პირდაპირ შეანათა და მოურიდებლად შენიშნა, რომ მისა შეძახილი სრულიად უადგილო იყო, რომ მას საამისო არაფერი უთქვამს (ეს ყმაწვილი ის აგრონომი გახლდათ, რომელსაც მაია მისთხოვდა).

— თუ ჩემი რგოლის თითოეულმა წევრმა ნახევარ ჰექტარზე ხუთი და ექვსი ათასი კილოგრამი ფოთოლი მო-

იწია, — განაგრძობდა მაია, — რატომ არ უნდა მიიღოს ასეთი მოსავალი უველა მეჩაიემ?

დარბაზში სიჩუმე იდგა.

— უხვი მოსავალი ეს სისტემატური და დამატული შემოქმედებითი შრომას შედეგია და არა შემთხვევითი წარმატება. ჩვენი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობა იმის ნიხეღვით იზარდება, თუ რას მოითხოვს ჩვენგან სამშობლო. შარშან ბრიგადირი მარიამ თვალთვაძე დღეში ორმოცი მკრეფავი ქალის ნორმას აარულებდა. მან ოცჯერ გადააჭარბა მის მიერ აღებულ ვალდებულებას. თუ მარიამ თვალთვაძემ გამოიმუშაა ორმოცი შრომადღე, რატომ არ შემოიღია მეც გამოვიმუშაო ამდენი, ან მეტი, ვიფიქრე მაშინ და გადავწყვიტე. მომავალ წელს მეც მივალწიო ასეთ წარმატებას. — მე ახლა ვიცი, რომ შემოიღია გავაკეთო იმაზე მეტი, რასაც აქამდე ვაკეთებდი... — შეისვენა, სული მოითქვა, — მე სიტყვას გაძლევთ. რომ მომავალ წელს ჩემს რგოლში საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე ხუთი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ნაცვლად შეიღი ტონა მოვიწიო.

იგრილა ტაშმა. მაია არ შეჩერებულა. ხმას აუწია, ცდილობდა დაეფარა ტაშის ვრაილი.

— მე კი პირადად ჩემთვის მიწობილ ნახევარ ჰექტარ ფართობზე მოვიწიე ათ ტონა ხარისხოვან ფოთლოს. — დარბაზისაკენ მობრუნდა. ტაში შეწყდა და მაიამ მშვიდად და უფრო დალაგებით განაგრძო: — რაც უფრო მეტს ეცდება ადამიანი, მით უფრო მეტს მიაღწევს. ჩვენს სოფელში ზოგი კოლმეურნე დღიურ ნორმას არ ასრულებდა: მათ რომ დაინახეს, მარიამ თვალთვაძე დღეში ორმოცი ქალის საქმეს აკეთებდა, უკეთ დაიწყეს მუშაობა. დიდია მაგალითის ძალა. ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება. ერთმანეთს ვუამბოთ ყველაფერი, რითაც ვცხოვრობთ, ვუნთქავთ და ვხარობთ. ჩვენ უფრო ხშირად უნდა შევიკრიბოთ აქ. უნდა ვეწვიოთ ერთმანეთს სახლში, პლანტაციაში, კოლმეურნეობაში. ნუ დავუცდით ერთმანეთის მიპატიებებს. დრო არ იცდის. — განუშლდა, შეხედა ხალხს, გაი-

ღიმა, თითქოს ელვამ გაანათაო და შეს-  
ძახა: — შემდგომ შეხვედრამდე, ამხა-  
ხაგებო!

კვლავ იგრიალა ტაშმა. ტაშს უკრავ-  
და პრეზიდენტმა, დარბაზი.

— თქვენი ეს ტაში ბევრს გავალებო,  
ამხანაგო მათა, — უთხრა მათას ცენტრ-  
რალური კომიტეტის მდივანმა, როცა  
ტაშის ხმა მიწყდა. — კარგად თქვით,  
უფრო ხშირად უნდა შევიკრიბოთ  
ჩვენ, — შეხედა მათას და გაუღიმა. —  
ცოცხე კი შემდეგ შეკრებაზე ახალი  
წარმატებებით და უხვი მოსავლის მო-  
წვევის ახალი მეთოდებით უნდა მოხვი-  
დეთ.

მათა აღფრთოვანებით შეკყურებდა  
ცენტრალური კომიტეტის მდივანს.  
თითქოს არ სჯეროდა, რომ მას ელაპა-  
რაკებოდა იგი, მას შესცქეროდა. „ღმე-  
რთო ჩემო, მე მეუბნება, მე მიყუ-  
რებს“. ფიქრობდა ალტაცებით. ლოყე-  
ბი ეწვოდა მღელვარებით. უცებ შეამ-  
ჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტის  
მდივანი მის პასუხს ელოდა.

თითქოს გაღმოფრინდაო ტრიბუნე-  
დან, პრეზიდენტის მაგიდის წინ შედგა.  
ელნათურების უამრავი შუქით გახათე-  
ბული, ბავშვებით აღელვებული და გა-  
ხარებული იდგა იგი წამით, გეგონებო-  
დათ ყოყმანობსო, მაგრამ აი, ასწია თა-  
ვი, უკან გადაიყარა მხრებზე ჩამოშლი-  
ლი ურჩი თმა.

— მე ვეცდები, — თქვა ხმამაღლა  
და მაშინვე მიხვდა, რომ ის, რაც მას  
უთხრეს, იყო დავალება, ბრძანება და  
მტკიცედ წარმოსთქვა: — არა, მე პი-  
რობას ვაძლევთ... ახალი წარმატებებით  
ძვრავლ..

„არ გაუტეხია მათას პირობა, — ფიქ-  
რობდა ახლა მარიამი, — რა შორს წა-  
სულა ზემო ალიკუდა გოგო“. იცოდა,  
მათა რომ თავის სიტყვას შეასრულებდა.  
უხაროდა ეს, მაგრამ მაინც უშმაქდა  
მასთან წასვლა. რალაც ელოებოდა  
წინ“. ნუთუ თავმოყვარეობის გრძნო-  
ბა? ხალხი რას იტყვისო, თქვა პლა-  
ტონმა. მართლაც რას იტყვიან. ქვეყნის  
ყბადასაღები გავხდები. ასე ჩამორჩა  
მარიამი, რომ თავის მოწაფესთან გაგ-  
ზავნესო... წავალ, ისე შევხვდები, რო-  
გორც ჩემს გაზრდილს, ჩემს შვილს.  
ვითომ მხოლოდ მის სანახავად ჩამო-  
ვედი. დავხედავ პლანტაციას და თე-  
რთონ მივხვდები, რა აქვს ახალი, რას

აკეთებს ისეთს, რაც მე არ ვიცი. უნ-  
და ენახო, ვაივო. არა, უნდა წავიდე,  
უნდა წავიდე“.

შეხედა პლატონს.

— ხვალ მივემგზავრებით, პლატონ.

— მაშასადამე, მოვემზადო?

— მოვემზადო.

•  
•

მატარებელი პლანტაციებს შუა,  
ზღვის პირას მიქროდა. მარიამი და  
პლატონი დერეფანში, ღია ფანჯარას-  
თან იდგნენ. პლანტაციები ზედ რკინი-  
გზის ყრილთან იწყებოდა და მარჯვნივ  
ზღვასთან თაღებოდა, მარცხნივ კი,  
შორს, ძლიერ შორს იჭრებოდა ველზე,  
ფერდობს ასდევდა და გორაკიდან გო-  
რაკზე გადადიოდა.

მუქ მწვანედ ლივლივებდა ველი და  
მთები. პლანტაციებში ყველგან ჩაის  
ფოთოლს კრეფდნენ. შუადღის მცხუნ-  
ვარე მზეზე კრელი კაბები და ფერად-  
ფერადი თავსაფრები სიმწვანეში ისე  
კითხობდნენ, გეგონებოდათ ჩაის ბუჩ-  
ქებში ხოხბების გუნდები ჩაფრენი-  
ლანო.

გზებზე ჩაის ფოთლით, მინერალუ-  
რი სასუქით დატვირთული და კოლქ-  
ურეებითა და მუშებით საცხე სატვირ-  
თო მანქანები მიმოქროდნენ. მამაკაცე-  
ბი და ქალები ხელისფლამოკლებულ-  
ნი იდგნენ ძარაში. როცა მანქანები  
ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, სიცი-  
ხარხართა და თავსაფრებ-ქულების  
ქნეით ესაღებოდნენ ისინი ერთმა-  
ნეთს.

ზოგ მანქანაში მღეროდნენ. სიციხით  
გახურებულ ჰაერში მკვეთრად გაისმო-  
და მხიარული ხმები.

სატვირთო მანქანებს ნაირფერად  
მოლაპლაპე „პობედები“ და „მოსკვი-  
ჩები“ უსწრებდნენ.

ველი და მთები სიგრძე-სიგანეზე გა-  
დასერილი იყო მალაღი ძაბვის ლითო-  
ნის ანქებით. მათ შორს გაეშალათ  
ძლიერი და განიერი მხრები. მწყობრად  
მოქპროდნენ ვაგონის ფანჯრებისაყენ  
ტელეგრაფის ბოძები. მავთულებზე  
შეხუნძლულ ფრინველთა ყივივი, წი-  
წვივი და თრთობის თაროქალი არ ისმო-  
და, მაგრამ მას გრძნობდი, ხედავდი.  
თვალისმოპკრელად ელვარე სიმწვანე-

ში და ლურჯი, კრიალა ცის ფონზე ეს ცოცხალ შიშველებს დამსგავსებული ჰავთულები ნელა და მდორედ შორდებოდნენ ერთმანეთს და ისევ ერთდებოდნენ.

მატარებელი მთელი სისწრაფით მიქროდა. ყრულ, ერთნაირად რახრახებდნენ ლიანდაგის პირპირებზე ბორბლები.

თვალწარმტაცად მოჩანდა თეთრი და ფერადი მკვით ნაგები მრავალსართულიანი შენობები: ჩაის ფაბრიკები უამრავი ფანჯრებით, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი, ქარხნები, სკოლები, სასპორტო მოედნები, ფარდულები და რკინის ხიდები.

ლიანდაგის ვასწვრივ ჩამწკრივებულ იყვნენ კრამიტით გადახურული აივნისი ხის სახლები. ეზოებს ალვის, ან კრიბტომერიის ხეები ეკრათ. ყოველი ეზო ოთხკუთხად იყო მოჭრილი. ყოველი სახლის წინ კონდრით მოკამკამე ეზოში ზოგან წიფლის, ზოგან კაკლის და ზოგან ქადრის ხე იდგა საირდილობლად. ქიშკარი ყველგან შედებილი იყო და ალაგ-ალაგ გადახურული. სახლის უკან ბოსტანი, ბაღი და ვენახი მოჩანდა.

სახლები და ეზოები მთელი გზის გასწვრივ იყო გაქიმული და თუ სადმე წყდებოდა, იქ აღმართული იყო ლიანდაგზე მომდგარი თუჯისფერი კლდეები. მაგრამ ისინი სწრაფად იწვედნენ განზე, უკან, და კვლავ თვალწინ ჩაის, მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის პლანტაციები იშლებოდა. ერთმანეთის მიყოლებით დგებოდნენ მწვანე გორაკები და მათ უკან ამაყად აზიდული აფხაზეთის მთებინ ხასხასა თოვლით დაფარული მწვერვალები ბრწყინავდნენ და კამკამებდნენ.

გათენდა თუ არა, პლატონი და მარიამი დერეფანში გამოვიდნენ და მას აქეთ ერთი წამით არ მოშორებიან სარკმელს.

— შეხედე, გვანცა, აქაც მაიას წესით სხლავენ, თურმე, ხედავ რა ვრცელი თალი აქვს ბუჩქებს! — უთხრა მეზობელ ფანჯარასთან მდგარმა ჰაბუქმა ქალიშვილს და პლანტაციებისაკენ გაიშვირა ხელი.

ისინი მხრებით ეხებოდნენ ეჭთამანეთს. სიცოცხლის ჭარბი ძალით იყო ანთებული მათი მხემოკიდებული სახე, მათი ჯანსაღი, ჯერ კიდევ სიმწიფე

დაუმთავრებელი ღონიერი ტანი. ყურადღებას არ აქცევდნენ არავის; თავისი ფიქრითა და ოცნებებში იყვნენ გაერთულნი. თვალს ვერ ამორებდნენ ერთმანეთს.

ვაეი ჩაის ფაბრიკის მექანიკოსი იყო, ქალიშვილი მეჩაიე კოლმეურნე.

— არ იცოდი, რომ ახლა აქეთ ყველგან მაიასებურად სხლავენ?! — უთხრა ქალიშვილმა ჰაბუქს და თავისი შექიანი თვალები გაკვირვებით შეანათა.

მაიას სახელი გაიგონა თუ არა პლატონმა, კისერი წაიგრძელა, ასი ყური გამოიბა. მიხედა, ვინე ლაპარაკობდნენ ისინი, „ჩვენს მაიასზე“, — გაივლო გულში.

— ვისებურად, ბიძი? — ვერ მოითმინა და მკითხა ქალიშვილს.

— მაიასებურად, — ამაყად უპასუხა ქალიშვილმა და შეხედა პლატონს, შეატყო, რომ მეჩაიე იყო. — არ გაგიგონიათ ასეთი სახელი?

— მე? — დაიბნა უცებ პლატონი, — „მე, პლატონს არ გაუგონია მაიას სახელი!“ — არა, არ გამოგონია, — იცრუა, უხერხულად ჩაახველა, — საიდან გაევიგოხებდი, თუ, მაშასადამე, მე აქაური არა ვარ.

— როგორ თუ საიდან გაიგონებდით?! — ეწყინა ქალიშვილს ასეთი პასუხი. — მაია ჩოჩაყიძის სახელს განა მართო აქაურები იცნობენ, თქვენ ხომ ცხრა მთას იქით არ ცხოვრობთ, ხომ მეჩაიე ხართ?

— მეჩაიე კი ვარ, მაგრამ ჩაი სად არ მოყავთ ახლა ჩვენს ქვეყანაში!

— მალე ყველგან გაიგონებენ მაიას სახელს, — მოუჭრა ქალიშვილმა.

— გვანცა, აი მე კურსებიდან დაებრუნდები და უსათუოდ ისეთ რაღაცას გავაკეთებ, რომ ჩემს შესახებაც გავარდეს ხმა ისე, როგორც იმ თქვენს მაიასზე...

— ვარლამ, ნუთუ მართლა მიდიხარ კურსებზე? — ფარული ნაღველით ჰკითხა გვანცამ ჰაბუქს. მას ვარლამის ხელი ხელში ეჭირა და ვერ ამჩნევდა.

— მე მალე დაებრუნდები, გვანცა... ექვსი თვე ისე გაივლის, რომ ვერც კი გაიგებ. მეტი მეცოდინება. აი, შენ ნახავ, უსათუოდ გავაკეთებ რაღაც ისეთს...

— რას გააკეთებ ისეთს, ვარლამ?

— რას?! ახლა ვერ გეტყვი, გვანცა. არ ვიცი, მაგრამ მე რაღაც ახალს მოვიტან, რაღაც ახალს გავაკეთებ ალბათ, უკეთ გავაკეთებ, მეტს გავაკეთებ. შენ არ გგზავნიხს სასწაულებლად, გვანცა? — რატომ, მოვა დრო და მეც გაგზავნიან.

— მოვა დრო... არა, ნუ დაუცდი, გვანცა, სანამ დრო თავისით მოვა, — შეხედა ქალიშვილს და შეამჩნია, თუ რა ყურადღებით შეპყურებდა იგი, უსმენდა ისე, როგორც უფროსს, ძლიერს და დარბაზა ქაბუცი სინათლისაგან, ბედნიერებისაგან. — მე ორი წლის გეგმა რვა თვეში შევასრულე, გვანცა, და დავაჩქარე დრო.

პლატონმა და მარიამმა ერთმანეთს გადახედეს.

— ეს ყველას არ შეუძლია, ვარლამ, — ეშმაკური ღიმილით თქვა ქალიშვილმა.

— არა, ყველას შეუძლია, ყველას, გვანცა. ვინც მოინდომებს, ვინც იცის, რას აკეთებს და რისთვის აკეთებს.

ნიშანვევტმა გაიღევა, მატარებელმა სვლას უკლო, ბორბლების რიტმი შეიცვალა.

ქალ-ვაჟი გასასვლელისაკენ ისე გაემართა რომ ერთმანეთისათვის ხელი არ გაუშვიათ.

— „ვინც იცის, რას აკეთებს და რისთვისაც აკეთებს“, — გაიმეორა მარიამმა ჰაბუკის სიტყვები.

— იგი მართლაც გააკეთებს რაღაცას... — თქვა ღიმილით პლატონმა, — მაშასადამე, ასეთები ყველფერს მიაღწევენ.

მატარებელი შედგა.

— მოვედით, მარიამ, — უთხრა პლატონმა მარიამს.

მატარებელიდან იმდენი ხალხი გადამოვიდა, რომ მთელი ბაქანი გაივსო.

ის იყო მარიამი და პლატონი ვაგონიდან ჩამოვიდნენ, რომ მათკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალი ლურჯი კოსტუმში გამოწყობილი მამაკაცი შენიშნეს. „ჩვენ გვხვდება, ალბათ“, ერთდროულად გაიფიქრა ორივემ.

კოლმეურნეობა „იმედის“ პარტორგანიზაციის მდივანი იასონ მიქაძე ჯერ კიდევ მანქანიდან არ იყო გადმოსული, რომ ვაგონის კიბოზე ჩამომავალი მარიამი და პლატონი დაინახა. არ იცნობდა მათ, მაგრამ იმდენი ჰქონდა მაიასაგან გაგონილი მათზე, რომ არ შეიძლე-

ბოდა არ ეცნო. ისე გაეხარა მათი დანახვა, თითქოს ახლობელი ადამიანები ყოფილიყვნენ. სწრაფად გადმოინტა მანქანიდან და ბაქნისაკენ გაემართა.

ქული ხელში ეჭიაო. შეთხლებული თმა ოფლისაგან უბრწყინავდა. „შავი, ბრღვენილა თვალები, მალაღ შეუბღ და გასხილი სახე — ყველაფერი ეს იმას მოწმობდა, რომ იგი დაუცხრომელი ენერჯის ადამიანი უნდა ყოფილიყო. მეკრძრე სამ რიგად ორდენების ნიშანი ჰქონდა. შუბლის მარცხენა მხარეს, საფეთქელთან კრილობის დაღი აჩნდა.

— მე კოლმეურნეობა „იმედიდან“ ვახლავართ, — შეჩერდა იგი მარიამის წინ და მიესალმა, მერე პლატონს მიუბრუნდა, — გამარჯობათ, პლატონი! „ა, როგორაო, პლატონიო?! ბიჭოს საიდან იცის ამ უცხო კაცმა ჩემი სახელი?!“ გაიფიქრა პლატონმა, მაგრამ გაკვირვება არ შეიშინა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს გასაკვირველი არაფერი იყო იმაში, რომ მას სრულიად უცხო ადამიანები იცნობენ.

— მაშასადამე, მი თქვენ მიცნობთ? — მაინც ვერ მოუთმინა გულმა და ჰკითხა იასონს.

— ჩვენ ბევრს ვიცნობთ თქვენს კოლმეურნეობაში, — უთხრა ღიმილით იასონმა, — რასაკვირველია, ჯერჯერობით შორიდან.

— ჩვენც ვიცნობთ თქვენს ხალხს შორიდან და აი. მაშასადამე, ჩამოვიდით, რომ ახლოს გავიცნოთ, როგორც იტყვიან, ხელის ჩამოროთქვევით.

— წამობრძანდით, — გაუძღვა იასონი სტუმრებს მანქანისაკენ.

ბაქანი ისევე სწრაფად დაცარიელდა, როგორც გაივსო. სადგურის უკან უამრავი მსუბუქი და სატვირთო მანქანები, ეტლები და ორთველები იდგნენ.

ყველა იქით გაემართა. ჩამოსულებში უმრავლესობა კოლმეურნეები იყვნენ. მაგრამ მათ ვერაფრით გააჩივრდით ქალქელისაგან. ვერც ჩაცმა-დახურვით, ვერც ლაპარაკით, ქცევითა და შეხედულებით.

ისინი ზოგი თბილისიდან ბრუნდებოდა, ზოგი მეზობელი რაიონიდან და ზოგიც ჩვენი ქვეყნის შორეული ქალაქებიდან: მოსკოვიდან, ხარკოვიდან, სტალინგრადიდან, როსტოვიდან. ბაქობან... თითქმის ყველანი სამსახურის საქმეზე იყვნენ წასულნი.



ვის არ ნახავდი აქ: კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ბუღალტერს, აგრონომს, ინჟინერს, ჩაის ფაბრიკის მუშებ-სა და მოსამსახურეებს, მასწავლებ-ლებს, საბჭოთა მეურნეობის თანამშრო-მლებს, ექიმს, მსახიობს. აქ იყო სა-კოლმეურნეო სოფლის ინტელიგენცია.

ერთი პატარავლის ნამგზავრ ადამიანთა ერთმა ნაწილმა მხოლოდ ახლა ნახა ბაქანზე ერთმანეთი, ისმოდა გაკვირვებული შეძახილები, მხიარული ლაპარაკი, შეეითხებები, მისალმებანი: „შენც ამ პატარებლით, კალისტრატე?“ „სამინცხროში ვიყავი“, „მოლოტოვი-დან მოდივარ. პეტრე, თქვენთან რა ამბავია?“ „მამ ერთად გვიმგზავრია“, „როგორ მიდის ჩაის ფოთლის კრეფა?“ „ევაგონი მივიღე“.

სხდებოდნენ მანქანებში, ეტლებში. ერთმანეთს ეპატრიებოდნენ, ადგილი მაქვს, დაეკვირო. ჩქარობდნენ, ყველას საქმე უტდიდა.

ის იყო მარიამი და პლატონი იასონის მანქანაში ჩასხდნენ, რომ გვანცა და ვარლამი დაინახეს. გვანცა ხალხით სასუე სატყირთო მანქანის ძარაში იდგა და ვარლამს ემშვიდობებოდა. ისეთი ნაღილიანი სახე ჰქონდა, ისეთი დარ-დიანი და უმანკო იყო მისი პატარა, ვარდის კოკორივით ნახევრად გახსნი-ლი ტუჩები, თითქოს იგი სამუდამოდ ემშვიდობებოდა საყვარელ ადამიანს.

— რა დაგემართა, გვანცა... მე ხომ დღეს არ მივდივარ... და საერთოდ... მე ისე მალე დავბრუნდები, ისე უცებ გა-ივლის დრო...

— არაფერიც არ დამემართა... — ყრუ ხმა აღმოხდა გვანცას, ვერ დაამ-თერა სიტყვა. სახე მიბარუნა, რომ თვალებზე მომდგარი ცრემლი დაე-შალა.

— გვანცა! — ხელი მოჰკიდა ვარ-ლამმა ძარას კედელს...

დაიძრა მანქანა.

— ვარლამ, ხვალ ხომ უსათუოდ ამოხვალ ჩვენთან? — მობრუნდა უცა გვანცა და შესძახა ვარლამს, შეაკრთო, თაისმა ხმამ. შერცხვა. შემფოთებარ მიმოიხედა, მარიამი და პლატონი დაი-ნახა. ისინი თანაგრძნობითა და აღერ-სიანი ღიმილით შეჰყურებდნენ მას და ამან უფრო შეამფოთა და აუჩუყა გუ-ლი. ზურგი შეაქცია ვარლამს.

ვარლამს ძარას კედლისათვის ხელი არ გაუშვია, გვერდზე მიყვებოდა მან-

ქანას, რალაცას ეუბნებოდა გვანცას, მაგრამ მოტორის დგაფ-დგაფში არც გვანცას ესმოდა მისი ხმა და არც მა-რიამს და პლატონს.

მანქანამ სვლას უმატა. ჩამორჩა ვარ-ლამი. ხელაწეული იდგა იგი შუა გზა-ზე ნისლად ამდგარ მტვერში, თვალ-მოუშორებლივ გაჰყურებდა მანქანას და, როცა იგი მოსახვევს უნდა მოფა-რებოდა, ელვასავით გაანათა მტვერში გვანცას შემკრთალმა სახემ, ცრემლია-ნმა თვალებმა.

— ვარლამ, უსათუოდ ამოდი ხვალ, გიცდი!

ვარლამი ისეთი გაბრწყინებული შე-მობრუნდა, თითქოს კი არ დამორდოთ გვანცას, წინ ედგა იგი და სიყვარულით და სინაზით საესე თვალებით შეჰყუ-რობოა. ამიტომ ვერ შეაძინია იასონის მანქანა. მან სულ ახლოს ჩაუარა.

— ვარლამ, შენ ისევე აქა ხარ? — თავი გამოყო მანქანიდან იასონმა.

— ზეგ მოვდივარ, — უპასუხა ვარ-ლამმა. მას არც ახლა დაუნახავს იასო-ნის მანქანა. არც ის გაუგია, ვინ დაუ-ძახა, ვის გასცა პასუხი. თავისი ფიქრე-ბით იყო მოცული.

— ა? რას ნიშნავს, მაშასადამე, სიყ-ვარული, — უთხრა მარიამს კმაყოფი-ლებით პლატონმა და იასონს შეხე-და: — ვინ იყო, თუ გიყვარდე, იასონ, ის ყმაწვილი?

— ვარლამ როგავა, ჩაის ფაბრიკის მექანიკოსი. კურსებზე მიდის თბილის-ში. ყველას სწავლა უნდა — დიდსა და პატარას. ნეტა ვიცოდე, მარტო ჩვენს რაიონში არიან ასე დახარბებული სწავ-ლას?

— ყველგან ასეა, — უთხრა მარიამ-მა იასონს, — ეგ დასაძრახისი სიხარბე როდია.

— აი, მე მესამოცე წელში გადაე-დექი, — ჩამოართვა სიტყვა პლატონმა მარიამს, — და ჩემი ბებერი რომ გამა-შვებდეს, არც კლასებს დაეტოვებდი და არც კურსებს. მაშასადამე, დროა ასეთი ახლა კიდევ არაფერი, მაგრამ, რამდენიმე წლის შემდეგ უსწავლილ კაცს მხოლოდ ხეტი შეარჩება ბულ-ში, — არც ცისა იქნება და არც მიწისა.

მანქანა ფართო მოასფალტებულ გზაზე მიქროდა. გზის ორივე მხარეს პლანტაციები იყო გაშლილი. მოჭრო-ნენ მანქანისაკენ ფორთოხლის, მანდა-

რინის ხეები და ჩაის ბუჩქების ლარი-  
ვით სწორი მწკრივები.

წამოეწიენ გვანცას მანქანას.

— ჩამოდი, გვანცა? — დაუქნია ხე-  
ლი იასონმა.

გვანცამ სევდიანი თვალები შეანათა.  
ჩაიქროლა „პობედამ“.

— ჩვენი მერგოლურია, გვანცა ლო-  
მაია. ესეც ინსტიტუტში მიიწვეს.

— მერე რა აჩერებს? — ჰკითხა  
პლატონმა.

— რა გააჩერებს, ოქროს მეუღლს  
უცდის, „ნამვალსა და უროს“. ჩვენი  
კოლმეურნეობიდან მხოლოდ გმირები  
მიდიან ინსტიტუტში. ეს უკვე წესად  
იქცა.

— კარგი წესია, შეილო, — თქვა  
ქმყოფილებით მარიამმა, — გმირი არც  
სწავლაში ნახავს სირცხვილს.

— თავზე ევლება პლანტაციას. ახა-  
ლი ნაკეთი აქვს, მის ხელში საათობით  
იზრდება ბუჩქი.

პლატონმა მარიამს გადახედა. გაახ-  
სენდა ვარლამის ნათქვამი:

— მაშასადამე, დროს აჩქარებს.

— დროს აჩქარებს, — გაიმეორა ია-  
სონმა და დაუმატა: — ასეთები ცხოვ-  
რებას წინ უსწრებენ. რამდენი მამაკა-  
ცი და ქალი აიყოლია ამ ერთმა ციდა  
გოგომ: ასეთებისთვის ნორმები არ  
არსებობს. თვითონ ქმნიან ნორმებს,  
ყოველდღე ახალს.

— მაშასადამე, ასე კარნახობს ცხოვ-  
რება.

— ჰო, ჩვენი საბჭოთა ცხოვრება.



ჯერ კიდევ გზაში მოიღრუბლა და  
ცა საწვიმრად მოემზადა. შეიკრა ჰე-  
რი, გაიჩინა ფოთოლი. იასონს ეშინ-  
ნოდა, წვიმას არ მოესწრო და სტუპირე-  
ბი არ დაესველებია. მთელი სისწრა-  
ფით მიყავდა მანქანა.

შუაღლე გადასული იყო, სოფელში  
რომ შევიდნენ.

სოფელი გორაკებზე, ტყესა და პლა-  
ნტაციებში იყო გაფანტული. ოღები  
იმდენად დაშორებული იყო ერთმანე-  
თიანგან, რომ მეზობელი მეზობელს  
ზმას ვერ მიაწვდებდა. ეს იყო ძველი  
სოფელი, ძველი ოღებით.

ახალი სოფელი ახლა შენდებოდა.  
სახლებს აგებდნენ გზის პირას. ახალი

სახლები არ ჰგავდა ძველ ოღებს. ეს  
იყო სამოთახიანი შენობები სამხარეუ-  
ლოთი. გამოყავდათ წყალსადენი, ელე-  
ქტროქსელი. გაჰყავდათ განიერი და  
სწორი ქუჩები.

ყველგან გაცხოველებული მუშაობა  
დღლდა. საღაჯ ახლოს გაბმით წიოდა  
სახერხი ქარხანა, შხუოდა, ხერხი.  
ყველგან ქვის სატეხი ჩაქურების გამაყ-  
რუბელი კაქუნი ისმოდა. მკვებედ  
ჰახუნობდნენ ცულები, შრიალი გაჰ-  
ქონდათ და გამოჰქონდათ შალაშინებს,  
ცირდნენ ქვიშას. ხრიალებდნენ ბეტონ-  
ნის ასახელი მანქანები. ცილდნენ  
ფიცრებით, აფურით, ტუფით, კრამი-  
ტით, ლურსმნითა და სხვა მრავალი სა-  
შენი მასალით დატვირთულ მანქანებსა  
და ურმებს.

ყველა შენობისაგან გამოიჩნეოდა  
მღღღებზე მდგარი ორსართილიანი  
სკოლის შენობა. მისი მშენებლობა უკ-  
ვე მოეთავებინათ და ხარაჩოებს ხსნი-  
დნენ. ყურადღებას იქცევდა სასტუმ-  
როს შენობა. მისი კედლები ამოყვანი-  
ლი იყო და კრამიტით ხურავდნენ. ახ-  
ლადაგებული კინოთეატრის წიხა ხედ-  
ზე დიდი რეკლამა იყო გაკეთლი:  
„დღეს „მოსკოვიდან დაშორებით“.

— დიდი მშენებლობა გავიშლიათ, —  
უთხრა პლატონმა იასონს. — საიდან  
მოგივიდათ ამდენი მოსახლე?

— არსაიიან. ჩვენებია ყველა, არ  
უნდათ ტყეში ცხოვრება. გზის პირას  
სახლებიან, ერთმანეთის გვერდით,  
თავიანთ პლანტაციებთან, თავიანთ საქ-  
მესთან ახლოს. წინათ ყველა თავის-  
თვის ცხოვრობდა, ყველას თავისი საქ-  
მე და გაქირებდა, ჰქონდა: არავის აწუ-  
ხებდა ერთიმეორის ამბავი. — ახლა ია-  
სონს მანქანა განგებ ნელა მიჰყავდა,  
რომ მარიამსა და პლატონს კარგად და-  
ენახათ ყველაფერი, — ეს არაფერია,  
თქვენ პიდროველქტროსადგურის მშე-  
ნებლობა უნდა ნახოთ. ისეთ ელექტ-  
როსადგურს ვაშენებთ, რომ მთელს  
რაიონს ეყოფა.

— სხვასაც მისცემთ დენს? — ჰკით-  
ხა პლატონმა.

— მშენებლობაში სხვა კოლმეურნე-  
ობებიც მონაწილეობენ. მალე ჩვენთან  
ჩვენს მაგივრად ენერჯია იმუშავებს.

— თქვენს მაგივრად ენერჯია იმუ-  
შავებს? — შეხედა პლატონმა იასონს.

— ჰო, მანქანა გააკეთებს სამუშაო-  
თა უმეტეს ნაწილს.

„ზობედა“ შუა სოფელში მიქროდა.  
რადიო „ბორის გოდუნოვის“ გადმოს-  
ცემდა.

სახლებსა და ეზოებში ადამიანის ქა-  
ქანება არ იყო. მთელი სოფელი პლან-  
ტაციებზე და ყანებში იყო გასული.  
ეზოებში, მუხისა და კაკლის ჩრდილში  
ბავშვებს და ღრმა მოხუცებს თუ მოპ-  
კრავდი თვალს.

იასონს უნდოდა სტუმრები გამგეო-  
ბის კანტორაში მიეყვანა, მაგრამ გზის  
პირას პლატონმა ჩაის ფოთლის მიმ-  
ღებ პუნქტს მოპკრა თვალი. როგორც  
კი გაიგო, რომ ეს შაიას ბრიგადის პუნ-  
ქტი იყო, იასონს სთხოვა ცოტა ხნით  
შეჩერებინა მანქანა.

გადმოვიდნენ და ფარდულისაკენ გა-  
ემართნენ.

ფარდულთან ჩაის ფოთლით საცხე  
მანქანები იდგნენ. ფოთოლი მოქონდათ  
ურმებით, გოდუნოვით, მაგრამ ახლა  
ყველა და ყველაფერი გაჩერებული  
იყო და სიწყინარეში მხოლოდ მაშაქა-  
ცის ბოხი და მალალი ხმა ისმოდა.

— ერიპა, ნესტორი თათხავს ვილა-  
ცას. — ჩაილაპარაკა იასონმა. — მიძლები  
პუნქტის მშონავია, — უთხრა მარიამს  
და პლატონს.

მალალი ტანის სამოცი წლის მამაკაცი  
მარცხენა ხელით სასწორის თავს დაყ-  
რდნობოდა, მარჯვენაში დუყი ეჭირა  
და აუჩქარებლად და დინჯად ვლაპა-  
რაკებოდა მის წინ მდგომ დაკაპიწე-  
ბულ და კალთააკეცილ ქალიშვილს.  
მათ გარშემო მდგომი ოცამდე ქალი და  
კაცი, მემანქანეები და მეურბეები ამ  
მამაკაცს შეჰყურებდნენ და მოუთმენ-  
ლად მოელოდნენ, როდის გაათავებდა  
ლაპარაკს.

— უკანასკნელად გაფრთხილებ, ბი-  
ძი, არ მივიღებ შენგან ასეთ ფოთოლს  
პირველ ხარისხად. სხვებისაგან იქნებ  
მივიღო, მაგრამ შენგან არ მივიღებ.  
დიხ, შენგან არა. ნუ დაეასხა წარმა-  
ტებამ თაებრუ. ჰო, ვიცით, კარგად მუ-  
შაობ, მაგრამ გახა ეს კმარა? ვერა  
გრძნობ რომ შენ უკეთ უნდა იმუშაო,  
რომ დღევანდელი მოკრიფილი გუშინ-  
დელს უნდა ჯობდეს?

არავის დაუნახავს იასონის მანქანა,  
არ შეუნიშნათ, როგორ გადმოვიდნენ  
ქვიდან მარიამი და პლატონი. არ დაუ-

ნახათ, როგორ შეუერთდნენ ისინი  
მათ და ნესტორის უკან დადგნენ.

პლატონი უსმენდა ნესტორის და თა-  
ვის ყურს არ უჯერებდა. აქედან შეხე-  
და ნესტორს, იქიდან შემოხედა. „ნუ-  
თუ ის ლაპარაკობს ამ სიტყვებს, ჩემ  
სიტყვებს. მე დამინახა ალბათ, სამას-  
ხაროდ მიგდებს, — გული მოუვიდა,  
მაგრამ უმალვე უქუთავლო ეგ ფიქრი. —  
კი მაგრამ საიდან უნდა იცოდეს მან  
ჩემი სიტყვები, რომ მე ვლაპარაკობ,  
ან საიდან დამინახავდა, როცა ჩემსკენ  
არც კი მობრუნებულა“.

— უნდა დაევიწყოთ ყველამ, რომ  
არსებობა მეორე ხარისხის ფოთო-  
ლი, — განაგრძობდა ნესტორი. ხედავ-  
და, რომ მოთმინება ეკარგებოდა ყვე-  
ლას, მაგრამ არ აწუხებდა ეს, იცოდა,  
რომ მის იქით გზა არ ჰქონდათ. მისთვის  
უნდა ჩაებარებინათ ფოთოლი. ხოლო,  
იმაში, რასაც იგი მოითხოვდა, ვერაფერ  
შეუღავებოდა. სიტყვა-პასუხში ვინ მო-  
უგებდა. სოფელში ყველამ იცოდა მისი  
ლაპარაკობა ენის ამბავი და ვინ შეჰ-  
ბედავდა შეკამათებას. — ახლა არავის  
უნდა, ბიძი, მეორე ხარისხი, — ნესტო-  
რი უმცროსს, თუ უფროსს ყველას  
„ბიძის“ ეძახდა. — გაიზარდა ჩვენი შა-  
და, შეიცვალა ჩვენი გემო. ყველას  
გვინდა უკეთ ვიცვამდეთ, უკეთ ვიხე-  
რავდეთ, უკეთ ვკამოთ და ესვამდეთ.  
ცხოვრებულ ბაბუაშენს, ბიძი, მთელ თა-  
ვის სიცოცხლეში ღირის ტყავის ქალა-  
მნების გარდა სხვა არაფერი სცმა  
და ისე მოკვდა, წუღისათვის ხელის შე-  
ხებაც კი არ ღირსებია. შენ, ბიძი, ლაკის  
ტუფლებსაც არ სჯერდები. აბრეშუ-  
მის წინდებიც არ მინდაო, შუშის წინ-  
დებს დაეძებ, მალე ამასაც დაიწყებ  
და ბროლისას მოითხოვ. მაშ, რა უფ-  
ლება გაქვს მეორე ხარისხი მოკრიფი?  
არ უნდა ხალხს მეორე ხარისხი და-  
ლიოს.

— ხო, მაგრამ, ბიძია ნესტორ, ვინ  
იტყვის ამ ფოთოლზე მეორე ხარისხი-  
სათვის? — ვერ მოითმინა და შეუწყრა  
ხესტორს ქალიშვილი.

— არავინ, ბიძი, — დინჯად მიუგო  
ნესტორმა, — ჩემს მეტი არავინ. და  
მე მაქვს უფლება ასე ვთქვა. დადო თუ  
არა მთელმა ჩვენმა ბრიგადამ პირობა  
ვკრიფოთ ისე, როგორც, ნაფიქნარში,  
მარიამ თვალთვამის ბრიგადაში კრე-  
ფენ? დადო.

პლატონმა მარიამს გადახედა: იგი იდგა მშვიდი და დაფიქრებული. ღიმილი ეფინა სახეზე. რაიკომის მდივანთან საუბრის შემდეგ მან პირველად ახლა დაინახა ბრიგადირის სახეზე ღიმილი, რომელიც არ ჰგავდა არც ერთი ქალის ღიმილს. ეს ღიმილი საოცრად მომხიბლავს ხდიდა და ქალიშვილისებურ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს.

— ამ პირობას მეც მოვაწერე ხელი, თუ არა? მოვაწერე. პოდა, არავის მივცემ ნესტორ ფარცვანის შერცხვენი უფლებას. არ გავხდი ჩემ სახელს კბილ ქვეშ მოსატანად.

— უცებ დაიხარა და ამ დინჯმა აუჩქარებელმა კაცმა ისეთი სიმარდით ამოავლო ხელი ფოთლით საესე ვოდორში და ამოიღო დუყი, რომ თვით პლატონსაც კი შემურდა ის სისწრაფე.

— ესაა ჩვენი პირობა? — უთხრა ქალიშვილს ნიშნისმოგებით და დუყი ყველას დასანახად მალა ასწია. — ასეთი ფოთლით გინდათ თავი მოვაწონოთ ნაფიქვნარელებს, ეს უფრენო მარიამ თვალთვაძეს და პლატონ ქილაძეს?

პლატონმა ვოდორს დახედა და თვალი ვერ მოაშორა ფოთოლს. „არა, ეს მეტიმეტია, ამ ფოთოლს წუნს ვერ დასდებ. პირველი ხარისხისა კი არა „თავიულის“ მასალაა, — მას არ ახსოვდა, როგორ მოწყდა ადგილს და ვოდორთან გაჩნდა. ამოავლო ხელი ვოდორში, ერთხელ, ორჯერ, მაგრამ ვერ ნახა თუნდაც ერთადერთი ისეთი ვაჟხეშებული დუყიც კი, როგორსაც თავისი ბრიგადის ყველაზე კარგ მეჩაიეს ვოდორშიც კი პოულობდა, და სწრაფად მობრუნდა ნესტორისაკენ.

ისინი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ერთი კაფანდარა, დაბადრია და ჩახმახით შემართული, მეორე ზორზოხა, აუჩქარებელი და გაოცების დროსაც კი დინჯი. არაფრით არ ჰგვანდნენ ერთმანეთს, მაგრამ მინც რაღაც მსგავსება იყო მათ შორის.

ნესტორმა გუმანით იგრძნო რაღაც, თითქოს ეცნაურა ეს კაცი. აი, ახლა იგი ყველას თვალწინ ამხელს მას, ქვეყანას დაანახებებს, რომ ამ ფოთოლზე უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. მერე რა ფასი ექნება ნესტორის სიტყვას თავის ბრიგადის წევრებისათვის, ვის გაუბედავს რაიმეს თქმას, ვინ დაუჯერებს.

ეს მთასავეთ მამაკაცი ისე წახდა და ისე მოეშვა უცებ, რომ პლატონს ეგონა, აი ახლა წამომეტყვევას თავზე. უხარბულ მდგომარეობაში ჩავარდა და აღარ იცოდა რა ექნა.

ყველა პლატონსა და ნესტორს შეპყურებდა. არავენ იცოდა, ვინ იყო ეს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი კაცი, როგორ გაჩნდა ასე მოულოდნელად აქ და რა უნდოდა ნესტორისაგან.

დაინახა პლატონმა მისკენ გაოცებით მოპყრობილი სახეები. ემზილებინა ნესტორი, ეჩვენებინა დამსწრეთათვის, რომ ის დუყიც კი, რომელიც მას ეჭირა ხელში, წუნდაუდებელი იყო? უცებ თავისი თავი წარმოიდგინა მის მდგომარეობაში. „ეს რა ვიფიქრე, რას ვეცი ამ კაცს გადარეულით? იმი ხომ იმასვე აკეთებს, რასაც მე ჩემს ბრიგადაში“.

— უკაცრავად, სიტყვა მაქვს თქვენთან. თუ შეიძლება განზე გავიდეთ.

შეესმა პლატონს ნესტორის ჩურჩული.

ორივე სწრაფად გავიდა წრიდან და ხალხმა ახლა-ღა შენიშნა მარიამი და იასონი. ყველა მიხვდა, რომ ჩოხაში გამოწყობილი უცნობი და იასონის გვერდით მდგომი ქალი, ის სტუმრები იყვნენ, რომლებსაც ნაფიქვნარიდან ელოდნენ.

— მარიამ თვალთვაძე გახლავთ, ამხანაგებო, — მიმართა იასონმა თავი-ისიანებს.

ყველა მარიამს შემოეხვია, სათითაოდ ართმევდნენ ხელს. ყველა სიხარულმა მოიცვა. ისე შეხვდნენ, ისე გაუციხეს. და გამოულაპარაკნენ, როგორც ახლობელს. დიდი ხნის ნაცნობს, ერთი წუთით ყველას დაავიწყდა ნესტორი და პლატონი.

ისინი კი ამ დროს ხალხისაგან მოშორებით ეკლავ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

— შესაძლოა, მთლად კარგად ვერ ვიქცევი, — ეუბნებოდა ნესტორი პლატონს, — მაგრამ ამას ჩემი პირადი ინტერესებისათვის ხომ არ აკეთებ, ამას ვაკეთებ საზოგადო საქმისათვის. სახელმწიფოს ინტერესებისათვის: ამ წელიწადნახევრის წინათ ჩვენთან ხან პირველ ხარისხს კრეფდნენ, ხან მეორეს, კრეფდა ქალი პირველ ხარისხს ერთ კვირას, მეორე კვირას და შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, გაიხედავი და მეორე

ხარისხს დაგიდგამდა სასწორზე. ახლა, რაც მათ ჩვენთანაა, თვალით არ მინახავს მეორე ხარისხი. მაგრამ მაინც ხანდახან თუ არ შეუფუცხუნე აღამიანს, შეჩერდება მიღწეულზე და ინებე კვლავ მეორე ხარისხი.

შეკუთრებდა პლატონს და ხედავდა, როგორ ინადირებდა მის გულს. გათამამდა, მისმა ხმამ კულისდამრიგებელი კილო მიიღო, სახეზე სიფითრემ გადაურა.

— ჩვენ ყველა ისე უნდა ვმუშაობდეთ, რომ დღეს მეტი და უკეთესად ვაეკეთათ, ვინემ გუშინ, ხვალ კიდევ უფრო მეტი და უმჯობესი, ვიდრე დღეს.

ეს სიტყვები ისე წარბოსთქვა, თითქოს მისი იყო, მას ეთქვას პირველად და ბოლოს ამყად და, ცოტა არ იყოს, მედიდურად დაუშვებდა:

— ასე ვეუბნები მე მათ ყოველდღე და ამ ინებეთ შედეგი: — თითქმის ცხვირთან მიუტანა დუყი, — ორმოცათას ფოთოლში ეს იყო ყველაზე უარესი, ხომ ასეა, ბიძი?

— ასეა.

— და ამ ყველაზე უარესსაც მე პირველ ხარისხად კი არა „თაიგულის“ მასალად ვაეუშვებდი.

— გაუშვებდი რას მიქვია? — მამასადამე, „თაიგულის“ მასალა ნამდვილად, — თქვა მტკიცედ პლატონმა. იგი კვლავ იმაზე ფიქრობდა, თუ რანაირად იმეორებდა ეს კაცი ასე ზუსტად მის სიტყვებს. როგორ თუ რანაირად? მათა ურეცია აქ ყველაფერში. აკი თქვა, რაც მათა ჩვენთანაა, თვალით არ მინახავს მეორე ხარისხი. სახე გაუნათლდა, თავმომწონედ გადაიგრიბა უღვაწობი, გაიჯგინა და ისე გაუწოდა ნესტორს ზელი, რომ ყოველი მისი მოძრაობა, სახისა და თვალების გამომეტყველება, მხოლოდ ერთს ამბობდა: აი, მე ვარ ის კაცი, ვის სიტყვებსაც შენ ასეთი სიამაყით იმეორებო.

— მიცნობდეთ, მე პლატონ კილამე გაბლავართ, ნაფიქვნარიდან.

— პლატონი?! — წამოიძახა ნესტორმა მისი სიღინჯისათვის უჩვეულო აჩქარებითა და გაოცებით, — მოხარული ვარ, ბიძი, მოხარული, — ამბობდა და მაგრად ანჯღრეუდა მის ფართო ხელში მოქცეულ პლატონის პატარა ბელს და როცა შეატყო, რომ პლატონს

მაინცდამაინც არ სიამოვნებდა ეს და ტკივილისაგან იგი სახეზე წამოწითლდა, შეჩერდა, თვალებში ჩახედა და უკვე სხვა ხმით, ისე როგორც მოწაფე მასწავლებელს კითხავს ხოლმე, დაიწყო ენის ბორძიკით: — ეს ყველაფერი კარგი, ბიძი, მაგრამ ხომ არ არის ჩვენი მოქმედება ცოტა სხვანაირი?

— როგორ სხვანაირი?!

— უპატონო.

— უპატონო სო კი არა, სასახელო საქმეა, — უთხრა პლატონმა რიხით, — ვინ მოთვლის, რამდენი ათასი კილოგრამით მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაი მისცა ამ საქციელმა ქვეყანას...

— ეს კია, მაგრამ რა გზით, ბიძი?

— ბიჭოს! — აფეთქდა თოფისწამალივით პლატონი, — რავე, რა გზით?! მაშასადამე, მეტი მონდომების გზით, უკეთესი შრომის გზით. რას ვეუბნებით ჩვენ ხალხს? არ დაკმაყოფილდე დღევანდელი წარმატებით, ხვალ მეტი და უკეთესი გააქეთე.

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ, — ამოიხენეშა თავისუფლად ნესტორმა და ახლა გაახსენდა, რომ თავი არ გააქყო პლატონს. — მე ნესტორ ფარცვანია ვარ, ბიძი. მათა ქოჩაკის ბრიგადის ჩაის ფოთლის მიმღები მწონავი. — გაუწოდა ხელი, მაგრამ პლატონმა თავისი გაწითლებული ხელი უკან წაიღო შიშით და ქუდი მოუხადა.

დააბერა ქარმა. ზღვიდან მოქროდნენ ძონძებივით დაფლეთილი წვიმით სავსე ღრუბლები. იელვა, გაისმა გრავინვა და საღდაც შორს ქახანი გააღინა შეხმა.

აწყაბუნდა ჩაის ფოთლებზე წვეთები. საოკარი სისწრაფით და მზულით მოქროდნენ წვიმის ტალღები. წინ ცხელი მტერისა და მიწის გამხმარი ქერქის სუნე მოუშლოდა. მზული თანდათან ძლიერდებოდა. მან გამაყრუებელი ძალა შეიმატა გზის გადაღმა მანდარინის პლანტაციამში, უკრებ ვაღმოვიდა გზაზე. ახმაურდა მიმღები პუნქტის ფარდულის თუნუქის სახურავზე, მოედო მთელ პლანტაციას.

ნესტორი და პლატონი ფარდულში შევიდნენ.

დაუშვა კოკისპირულმა წვიმამ, ავარდა სველი მიწისა და ჩაის ფოთლის ძლიერი სუნი. წვიმას დგაფუნი ვაქრონდა ერთბაშად შეგუბებულ ცაზე. ელვა ზედიზედ იელაქნებოდა ცაზე, ქე-

ქა-ქუხილით სკდებოდნენ ღრუბლები და აქა-იქ პირს იხსნიდა ლურჯად მოკრიალ ცა.

— მალე გადაიღებს, — უთხრა ნესტორმა პლატონს და წინ აეფარა. წვიმა ფარდულში ასხამდა.

— შეხედეთ მაიას რგოლი გარეთთა! — ისე უცებ და მოულოდნელად წამოიძახა ვილიამ ფარდულში, რომ უნებლიეთ ყველა მისკენ მიბრუნდა.

იგი გვანცა იყო. არავის დაუნახავს, როდის მოვიდა. თავით-ფეხებამდე სველი, სირბილით გულამომჯდარი, ძლავს იბრუნებდა სულს.

— წყალს აგდებენ საგუბარში, — ჩურჩულებდა სახეანთებული და აღტაცებული თვალებით გაჰყურებდა გორაკს. — უჰ, ყოჩად მაია! რას უღვეხბათ, გოგონებო? — შესძახა მან თავის რგოლის წვერებს. — მოესწრებით ფოთლის ჩაბარებას. ჰაიდა, საგუბარებისაკენ. — გაიძრო ფეხსაცემი, წინდები და გავარდა ფარდულიდან.

გაჰყენენ ამხანაგები.

— უიძე, კრებადემინის ახალ კაბაში?!

— გადარეულია ნამდვილად!

— შეხედეთ, როგორ მიფრინავს აღმართზე!

— მეორე მაია გვეზრდება!

— ქაჯია სწორედ!

ისმოდა წამოძახილები.

მარიამმა იასონს შეხედა.

— შეხედეთ, ყველა რგოლი გამოვიდა წყლის დასაქერად. — წამოიძახა ამ დროს იასონმა და. მისკენ მობრუნებულ მარიამს რომ შეხედა, დაუჰკატა: — ეს ჩვენი ქალების ყველაზე საყვარელი გასართობია — წყალზე ნადირობენ.

— წყალზე ნადირობენ?!

— დიან, ჩვენთან პლანტაციები ფერდობებზეა გაშენებული და ამიტომ გვალვა დიდი უბედურებაა მათთვის. მაიას თაოსნობით ტერასების თავში ყველგან ღრმა ორმოები ამოუთხარეთ და წვიმის წყლით ვავსებთ. გვალვა ჩვენთვის უშიშარი ვახდა.

ახლო მივიდა პლატონი იასონთან.

— მაშასადამე, პლანტაციას რწყაეთ?!

— თითქმის ყველგან.

— და ეს გააკეთა მაიამ? — მისი სახის გამომეტყველება კი ამბობდა: ჩვენმა მაიამ გააკეთათ.

დინახა ეს მარიამმა. მიხვდა რომ ყველა ამჩნევდა ამას. თვალი გადაუბრიალა. პლატონმა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა, თუ რა უნდოდა მისგან მარიამს და ის იყო კიდევ რალაცის თქმა დააპირა, რომ ამ დროს მთელი სისწრაფით მომავალი მანქანა ერთბაშად შედგა ფარდულის წინ.

გაიღო კარი და გადმოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სარდიონ ჩიხლაძე. საშუალო ტანის, მოქნილი და მარდი, იგი სწრაფად წამოვიდა მარიამისაკენ. სამხედრო ყაიღით შეკერილ შარვალ-ხალათზე ლაბადა ეცვა. მოძრაობაში, სიარულში, თითქმის მკაცრ სახეზე ერთბაშად დინახავდით, რომ ეს კაცი თავის გრძნობებში, გულისთქმის გამომჟღავნებაში თავდაქერილი და ძუნწი იყო, მაგრამ ახლა ვერ ახერხებდა ამას.

ეტყობოდა მშენებლობიდან მოდიოდა. როცა იქიდან ბრუნდებოდა ყოველთვის აღტაცებული და მხიარული იყო. არაფერი ისე არ იტაცებდა ახლა თავმჯდომარეს, არაფერი ისე არ ახარებდა, როგორც ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

იმის გამო, რომ სოფელი რამდენიმე კილომეტრზე იყო გაფანტული, კოლმეურნეები ხშირად დროზე ვერ მოდიოდნენ ნაკვეთში. ხუთი-ექვსი კილომეტრი ფეხით უნდა გამოეგლოთ, რომ პლანტაციაში მისულიყვნენ. კოლმეურნეობას მანქანები საკმაოდ ბევრი ყავდა იმისათვის რომ კოლმეურნეები დილათ სამუშაოზე მიეყვანა და საღამოს შინ წაეყვანა, მაგრამ ისეთ მიუვალ ადგილებში იყო მიმოფანტული მათი ოდები, რომ მანქანა კი არა, ურემსაც უჭირდა იქ მისვლა.

პლანტაციიდან შინ დაბრუნებულ დალილ-დაქანტულ ქალსა თუ მამაკაცს ეზარებოდა დიდი მანძილის გავლა თავისი სახლიდან სოფლის ცენტრამდე და, ამის გამო, რაც უნდა საინტერესო საღამო, ლექცია ან კინოსურათი ყოფილიყო კლუბში, იგი უფრო ხშირად ცარიელი იყო. განსაკუთრებით ქალებს უჭირდათ ღამე ტყეში და ეკალ-ბარდით მოცულ გორაკებზე გაჭრილი ვიწრო ბილიკების გამოვლა. ამ მიზეზით ზოგიერთი კოლმეურნი ხშირად კრებასაც კი ვერ ესწრებოდა.

ახალი სოფელი კი ისე იყო დაგეგმილი, რომ ათ წუთში მთელი კოლმეურნეობა სოფლის შუაგულში შეიკრიბებოდა. აქ შენდებოდა ყველა საზოგადოებრივი ნაგებობა: კოლმეურნეობის გამგეობის კანტორა, სასოფლო საბჭოს შენობა, კლუბი, საავადმყოფო, მაღაზიები.

შუდამ კობტად და სუფთად ჩაცმულ თავმჯდომარეს, რომლის ტანსაცმელზეც ერთ ფიორ მტვერსაც ვერ ნახავდით ვერასოდეს, პიდროელსადგურის მშენებლობიდან დაბრუნებულს ყოველთვის ან ხალათი ჰქონდა აჩეჩილი, ან გაჯიით იყო დასვრილი, ხან ნახერხი ეყარა მხრებსა და თავზე და იგი იმდენად აღტაცებული და აღზუნებული იყო, რომ ვერ ამჩნევდა ამას სანამ არ დაშვიდდებოდა, სანამ არ დაეიწყებოდა მშენებლობა და სხვა საქმეს არ მოჰკიდებდა ხელს.

ახლაც წვიმისაგან დასველებული ქოჩორი კირით შეთეთრებოდა, ლაბადა და ხელები აგურით ჰქონდა დასვრილი.

— თქვენს შესახებ რად მოვდრო-რეს, მაგრამ მშენებლობაზე შემაჩერეს, — შორიდანვე მიამაზა მან სტუმრებს. მივიდა, ის იყო ხელი გაუწოდა მარიამს ჩამოსართმევად, რომ შენიშნა — ხელები დასვრილი ჰქონდა, მაგრამ არ დაირცხვინა, სწრაფად შეიწმინდა ლაბადის კალთით და გაიღმა თავისი ვაეკატური ღიმილით. — ნახეთ ჩვენ ახალი სოფელი? — ჰკითხა ფარული სიამაყით და ხელა ჩამოართვა. — არ ვფიქრობდით, ასეთი დიდი მშენებლობა თუ გაგვეშლებოდა ასე უცებ. ჯერ ელსადგურის მშენებლობის დამთავრება გვინდოდა. ისაა ახლა ჩვენთვის მთავარი, მაგრამ არ იცდის ხალხი. — მის ხმაში, თითქოს საყვედურიც იყო და კმაყოფილებაც. — არ უნდოდით ტყე-ღორში ცხოვრობა. ფართო არეზე, სინათლისაგან ისწრაფვიან და, მოდი და შეაჩერე. რა დაუდგება წინ, შეძლება აკლიათ თუ? — თვითონ ამე-ნებს ყველა თავის ფულით, თავის ქონებით, — უცებ გაჩუმდა, თითქოს ეს არის ახლა შენიშნაო თავსხმის გაპო ფარულში თავშეფარებული სტუმრები. — ეს რასა ჰგავს, იასონ? თავს რათა მჭრი, სად მოგიყვანია სტუმრები? — სად მივიდოდნენ უკეთეს ადგი-

ლას, ბიძი? — შეურაცხყოფილი ადამიანივით მოიღუშა ნესტორი. — ჩაის ფოთლის მიძლები პუნქტი, მოველი ჩვენი მუშაობის სარკვე.

— დაიცა, დაიცა, ხუ აჭარბებ, ნესტორ, — გაუღიმა თავმჯდომარემ.

— რატომ? — გამოეჭომაგა ნესტორს პლატონი, — სარკვე არის და სახეც. აქ სჩანს ხარისხიცა და რაოდენობაც. მაშასადამე, როგორ მუშაობს ხალხი. ვადაავლე თვალი გოდრებს და თითქოს სარკეში ჩაგებდოს.

— მართალი ხართ, ამხანაგო პლატონ, თითქოს ეს მართლაც ასეა, — შეხედა თავმჯდომარემ პლატონს, — აბა, წამობრძანდით, მოისვენეთ. — მიბრუნდა მანქანისაკენ.

— არა, ჯერ, მათა გვინდა ენახოთ, — უთხრა მარიამმა. მას ესმოდა გორაკიდან მაიას ხმა. მის ხმას ათასი ქალის ხმაში გამოიყნობდა. მარიამი იღიმებოდა იმ დედის ღიმილით, რომელიც უახლოვდება შვილს, ესმის მისი ხმა, ხედავს მას გონების თვალთ და არ ყოფნის მოთმინება, სანამ გულში ჩაიკრავდეს. მარიამს წამით დააჯწყყდა, რისთვის იყო აქ მოსული. მან ახლა მხოლოდ მათა ახსოვდა, ის ედგა თვალწინ. — აი, ჩემი ალიკულა გოგო. — თქვა ღიმილით და იქით მიბრუნდა, საითაც მაიას და მისი ამხანაგების წივილ-ყიყინი ისმოდა.

შენელებულიყო თქეში. ფარდულს გაშორებული წვიმის შავი კედელი სწრაფად მიიწედა წინ, მთებისაკენ. თან გაყენენ შავი, მუცელდაბერილი ორუბლები და პლანტაციის თავზე, ზღვის მხარეს ცა უცებ გაისარკვა. ამარწყინდა მზე ჩაის ბურქების დაბანილ, კრიალა მუქ-მწვანე ფოთლებზე, ბალახზე, გზებზე. ალივლივდა თბრიალებში ჩამდგარ წყალში, ფერდობებიდან დამეებულ ნიაღვარზე.

— გადაიღო, — თქვა თავმჯდომარემ. — კარგი, ჯერ მათა ენახოთ. იქ ჩვენს საფუძვარსაც გიჩვენებთ.

ნესტორმა სასწორი სხეას ჩააბარა და თვითონ მარიამს და პლატონს გაჰყვა. წინ სარდიონი, იასონი და მარიამი მიდიოდნენ, უკან პლატონი და ნესტორი. ფეხი უხსლტებოდათ სველ ბალახზე. ბუჩქნარზე წვიმის წვეთები მივიდვიდვიდებოდა.

მარიამი აკვირდებოდა გაფხვიერებულ მწყრივებს. ნიადაგი ხარბად იყო-

ვდა წყალს, არ იკარგებოდა არც ერთი წვეთი. ბუჩქები ისე გაესხლათ, რომ ყველასათვის ერთნაირი ნახევრად ოვალური ფორმა მიეცათ. ბუჩქის ზედაპირი ამას საგრძნობლად გაეთართოვინა.

„რა უქნია გვერდის ტოტების გასხვლას, — ფიქრობდა მარიამი, — როგორ გაუზრდია ზედაპირის არე. მართლაც რატომ არ უნდა მიეცა გვერდის ტოტებს დუყი. აჰა, რამდენით მეტ ფოთოლს იძლევა ახლა ბუჩქი, რამდენით გაზრდილა მოსავალი. მაია მიხვდა ამას, ჩემი მაია“.

სარდიონი სახეზე კითხულობდა მარიამის ფიქრსა და აზრს. ერთხანს ჩუმად მიყვებოდა გვერდით. არ უნდოდა ხელი შეეშალა, დაერღვია მისი ფიქრი. როცა მარიამი აღტაცებით და გაოცებით ერთ-ერთ ბუჩქთან შედგა, თავმჯდომარემ ველარ მოითმინა.

— ყველა ეწინააღმდეგებოდა გვერდის ტოტების შესხვლას, — უთხრა მარიამს, — ჩვენი აგრონომიცი, რაიონის აგრონომიცი, მაგრამ მაიამ მანც თავისი გაიტანა. არ დაერიდა არაფრს, არც უმცროსს, არც უფროსს. ქმარს რაიკომის ბიუროზე თავებელი აწყველინა. კამეჩის რქაში ზიხარო — უთხრა, ისეთი ვატაცებით, ისეთი დაჯერებით ამტკიცებდა თავის აზრს: გვერდის ტოტები ისევ ამოიყრიან დუყს, როგორც ზევითა ტოტებით, რომ რაიკომის მდივანხი ერთხანად აიყოლია. მდივანმა იქვე ანგარიშა, თუ რამდენად გაზრდიდა ერთ ჰექტარზე მოსავალს გვერდის ტოტების გასხვლა და, იცით, რა ფანტასტიკური ციფრი მიიღო? ყველანი გაოცდნენ, მაია კი ირწმუნებოდა, რომ საოცარი არ არის არაფერი ჩვენს მუშაობაში, ჩვენს პირობებში, ჩვენს მდგომარეობაში სასწაულებს უნდა ვაზღვრდეთო.

— ასეთი იყო ყოველთვის...

— მაიას ბრიგადის ნაკვეთია, — ფართოდ გაშალა ხელი თავმჯდომარემ, თითქოს სტუმრებს განიერი ჭიშკარი გაუღო. — შარშან მეზობელი კოლმეურნეობა „ციხკარი“ შემოგვიერთდა. ეს პლანტაცია მის ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადას ეკუთვნებოდა. ორი ათას კილოგრამს ძლივს ჰკარგდნენ ჰექტარზე. ბრიგადირი არ ვარგოდა, საქმრო იყო მისი შეცვლა, მაგრამ არავინ ისურვა, ვერ წავალთ ასეთ

ბრიგადაში ქვეყნის სამარცხვინოდო. რა ვიცოდით რა გვექნა, ვინ დაგვეხიშნა, — დაინახა მარიამს მთელუბნში, რომ იგი მიხვდა, ვინ დაინიშნა იქ ბრიგადირად. — დიახ, მაია. ვადაძიყვანეთ მესამე ბრიგადიდან მეათეშიო. ჯერ არავინ დაიჯერა. გვეგონა ხუმრობსო. რად გიკვირო, მე მუშაობა არ შეზარება. იქ კი, მუშაობაა საქმრო. იმ ბრიგადაში, სადაც ყველაფერი რიგზეა, ყველას შეუძლია საქმეს გაუძღვესო. კოლმეურნეობა სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, მაგრამ ქმარმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მას სჩადიხართ, რატომ ღუპავთ ქალს. მან მთავრობას და პარტიას სიტყვა მისცა ახალი მანქანებლებით და ძილწევებით მოვალ შემდეგ თათბირზეო და თქვენ მას იქ ნიშნავთ, სადაც ოცდაათ ჰექტარ პლანტაციაში, ერთი ბუჩქიც არ არის მოვლილიო. არც აქ დაინახა მაიამ, და ცოლ-ქმარი აქაც ეცნენ ერთმანეთს.

თავმჯდომარემ არ იცოდა, კრებიდან შინშიმავალ მაიასა და გიორგის შორის რა ითქვა იმ დამეს.

განთიადი ახლოვდებოდა. შუკით მიდიოდნენ. სოფელში სიწყნარე იდგა. ხანგამოშვებით საღმე კარი თუ გაიჭრიალებდა, და ეს ხმა ისე ახლოს ისმოდა, თითქოს ყურის ძირში გიკეტავდნენ და გიღებდნენ მას.

მაია და გიორგი ხმას არ იღებდნენ. ისე იყვნენ გართულნი თავიანთი ფიქრებით, რომ სიბნელეს ვერ ამჩნევდნენ. არ გაუფიქრებიათ, როგორ გამოიარეს მთელი სოფელი და თავის ჭიშკართან მივიდნენ. აქ გამოერკვნენ. არ უნდოდათ ჰერკვემ ისე შესულიყვნენ, რომ არ ეთქვათ ერთმანეთისათვის თავისი გულისტკივლი, თავისი აზრი. ეს ჰყოლი უსიამოვნება იყო მათ შორის და ორივე შეშფოთებით ეკითხებოდა თავის თავს: „რატომ, რატომ მოხდა ეს? აღარ უნდა განმეორდეს არასოდეს. ახლავე უნდა ითქვას ყველაფერი, ახლავე უნდა გამოირკვეს“.

მაიამ თავი ასწია, უკან გადაიყარა თავისი ურჩი თმა და გიორგიმ გაიგონა მისი შრიალი. რამდენჯერ შეხებია მას, რამდენჯერ დაუყოვნა, ეს მისი თმაა, მისი, და ახლა კი ისე სხვისად, არა თათისად ეჩვენებოდა, რომ გული შეეკუმშა.

— მაია! — ხელი მოჰკიდა მაიას. მაიას ხელი ყოველთვის თბილი, დამ-



ვოლი და ნაზი იყო, მაგრამ ახლა ცივად, მიუტარებლად და სხვისად ეჩვენა. — ყური დამიგდე, მიაი. იცი რა ჩაიღინე შენ ამოლამ, რაში გაიბი თავი? — სხვა რაღაც უნდა ეთქვა, სხვა რამ, მისი შესახებ, რომ არასოდეს არ უნდა მოხდეს მათ შორის უთანხმოება, მაგრამ თქვა ეს და უკან აღარ დაიხია. — არ მესმის, რატომ მოიქეცი ასე, რამ გაიძულა? რატომ აგდებ შენს თავს საფრთხეში, რატომ ღუპავ შენს მომავალს, შენს სახელს?

— სახელს?! — შეხედა მიაიმ ქმარს, მაგრამ სიბნელეში არ ჩანდა მისი სახე, — სახელს? — გაიმეორა ჩაეარდნილი ხმით, — რა სასაცილოა ეგ სიტყვა და რა უადგილოა იგი ახლა აქ, გიორგი.

— სხვა სიტყვას ვერ მოვიგონებ, მიაი. გახსოვს შენი პირობა, გინდა გაამართლო იგი, არ შერცხვი ქვეყნის წინაშე? — არ დაუცადა მიაის პასუხს. — აი, ეს არის სახელი... მიაი, შენ თავბრულ დაგესხა წარმატებისაგან, აღარ იცი, რა გააკეთო... გონს მოდი, მიაი, მე შენს ბედს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ. რა ვშაქად გინდა ეგ ბრთვადა, უარს ამბობ შენს ბრიგადაზე, ყველაზე მოწინავე და სახელოვან ბრიგადაზე მთელს რაიონში და თხოულობ ბრიგადას... — ენა დაეჭა მფლუვარებისაგან.

— ბრიგადას, რომელსაც შეველა, ფეხზე დაყენება ესაპირობება, — განაგრძო მის მაგივრად მიაიმ, — რომლის ამ სახით არსებობა სირცხვილია არა მარტო ჩვენი კოლმეურნობიანთების, არამედ მთელი რაიონისათვისაც. ნუთუ გაუგებებია შენთვის ჩემი საქციელი, გიორგი?! ნუთუ მხოლოდ ისეთ საქმეს უნდა მოეკიდო კაცი, სადაც საფრთხე არ ელის შენს სახელს, არ გეშინია დაჰკარავო იგი?! ეს არის სახელი, გიორგი?!

— მიაი... რატომ მაინცდამაინც შენ უნდა წახვიდე ასეთ დაქცეულ ბრიგადაში და არა სხვა? ხომ დაინახე, ყველამ უარი თქვა.

— „რატომ მაინცდამაინც შენ უნდა წახვიდე ასეთ დაქცეულ ბრიგადაში და არა სხვა“. — გაიმეორა მიაიმ გულისტკივლით, — რატომ სხვა, გიორგი? — სულს ვერ იბრუნებდა, ლაპარაკობდა სწრაფად, თითქოს დიდი ხნის დაგროვილმა სიტყვებმა გამოსავალი ნახაო, — გიორგი... გიორგი, ნუთუ შე-

ნი სიტყვებია ეს, შენ ლაპარაკობ ამას? გიორგი თავდახრილი იდგა, ასე დგას ხოლმე ბავშვი უფროსის წინ, როცა ტუქსავენ. ასეთ მდგომარეობაში შეორედ გრძნობდა თავს მიაისთან.

— ეს არ უნდა განმეორდეს არასოდეს, გიორგი.

თხოვნა და ვედრება ისმოდა მიაის ხმაში, მაგრამ გიორგის იგი ბრძანებად ეჩვენებოდა.

— არ უნდა განმეორდეს... რატომ შენ და არა სხვა? — მიაის ცრემლი მოადგა თვალებზე.

— მიაი! — შეერთა გიორგი, — მიაი!

— გაჩუმდი, გაჩუმდი, გიორგი! — შესძახა სულმეგუბებით მიაიმ, შეტრიალდა უცებ, შეალო ჭიშკარი და ოდისაცენ გაიქცა.

გიორგი მარტო დარჩა, დიდხანს დადიოდა წინ და უკან შუკაში, მაშინ გამოერკვა, როცა ალიონმა შეანათა თვალებში. თავი ასწია. „მეორედ შევცდი“. — წაიჩურჩულა გამშრალი ტუჩები. გაფიქრებული იყო მისი სახე, ჩაცევივით ჰქონდა თვალები. არ ნანობდა, რომ შეცდა. პირობით, უხაროდა, რომ მიაი მართალი იყო, ისეთი ძლიერი და გულწრფელი იყო ეს სიხარული, რომ უცებ გულმა საოცარი მონდომებით მიაისაკენ გაუწია. გაირბინა ეზო, გაიარა აივნანი, შეალო ოთახის კარი და საწოლის წინ შედგა.

მიაი პირაღმა იწეა. ალიონის მკრთალი შუქი ანათებდა მის სახეს, მთელ ბალიშზე მიმოფანტული თმას. არასოდეს არ უნახავს მიაი ასეთი ბავშვური, ასეთი ნაზი და მომხიბლავი.

უხდოდა შეხებოდა მის ხელს, თმას, დაეკონა, ეთხოვა პატიება, მაგრამ ისე მშვიდად და ტბილად ეძინა მიაის, რომ ვერ ბედავდა განძრევას.

მიაიმ ძილში იგრძნო ქმარის მზერა, ნელა გაახილა თვალი, შეხედა გიორგას და გაუღიმა თავის მომაჯადოებელი და დამატყვევებელი ღიმილით.

— გიორგი! — წაიჩურჩულა ყრულ, გაიშვირა ორივე ხელი...

სარდიონს სტუმრები მოკლე გზით მიყავდა მიაისთან. მძიმე ასასველელი იყო, თითქმის ფრიალო ფერღობი. ფეხებზე გაკრულ თიხას წარამარა იმორებდნენ. შეისევებეს ფარდულთან. აქ კოლმეურნეები დასვენების დროს პურს ჭამდნენ. აქ ინახავდნენ იარაღს, კალათებს, ტანსაცმელს. ახლა ფარდულის

ერთ კუთხეში კულტივატორები იღვა და ბარები ეწყო.

პლატონი დააქვერდა ბარებს, მივიდა და აიღო ერთი.

— იცნობთ? — ჰკითხა თავმჯდომარემ, — ჩვენთან მათ მარიამ თვალთვაძის ბარს ეძახიან.

პლატონმა კმაყოფილებით ჩაახველა. წაიგრაძელა ისედაც გრძელი კისერი და მის სახეზე კვლავ აღიხატა: „ესეც ჩვენგან გადავიღეთ, ესეც ჩვენგან ვისწავლიათ“, ის იყო ამირებდა ამის თქმას, მაგრამ მარიამის შემფოთებულ სახეს შეხედა და თავი შეიკავა.

— ჩვენთან ახლა ასეთ, თორმეტ სანტიმეტრზე გადაჭრილ ბარს ხმარობენ, — განაგრძობდა სარდიონი.

— ეტყობა ბუჩქებს, — თავმოწონედ გაიჯგჷმა პლატონი, — ვინ იტყვის, რაჰელიმეს ფესვი დაზიანებული აქვსო.

— ჩვენი სამჭედლოები წელს მხოლოდ ბარებს ამზადებენ. იმდენ დაკვეთას ვიღებთ სხვა კოლმეურნეობებიდან, რომ ვერ აეუღივართ.

პლატონმა ხელში შეატრიალა ბარი.

— მაშასადამე მარიამის ბარი! — ვერ მოითმინა და წანაძიხა სახეგამოწყინებულმა, მერე ბარი მთელი თავისი ღონით ჩაარქო მიწაში კოხტად.

„მარიამ თვალთვაძის ბარი, — სიხარულით აეცსო მარიამს გული, — მამ მე არც ისე ჩამოვრჩენილვარ, ჩემგან სწავლობენ, ჩემ სახელს იცნობენ სხვა რაიონში... მაია, შენ, შენ მოიტანე ჩემი გამოცდილება აქ“. სწრაფად აქვა აღმართს, რათა ენახა მაია, ენახა ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა.

როგორც კი ფარდულს ვასცდნენ, ხელმარჯვნივ თავმოხილმა კასრებმა მიიქცია მარიამის და პლატონის ყურადღება.

— ნაკელწყლის კასრებია, ბიძი, — განუმარტა ნესტორმა პლატონს და რომ ენათმეცნიერებინა მისთვის, დაუმტა: — ესეც მაიაშე შემოიღო ჩვენთან, წელს მხოლოდ მის ბრიგადაში ხმარობენ ნაკელწყალს, გაისად ყველა ბრიგადა გადაიღებს მას, თქვენც გირჩეეთ.

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ბორცვს გადაღმიდან ქალიების ეფივო-ხივლი შემოესმათ. ყველა ერთად მობრუნდა და მათ წინ ტაფობში ჩაფენილი პლანტაცია გადაიძალა.

ტაფობის ირგვლივ ფერღობებზე ჩა-

ის ბუჩქების მწყრივები ამფოთვატრსავით იყო განლაგებული. ზევიდან ჩამონადენი წყალი ამ ვაქებზე გროვდებოდა და თხრილებით საგუბარში ჩალიდა. წყალი ერთხანიარად ბრწყინავდა ბუჩქებ, თხრილებში და მიწაზე.

ქალიშვილებს წყალზე ნადირობა მოეთავებიათ და ახლა თამაში გაემართათ. წყლის ზედაპირიდან ატყორცნილი მზის სხავეებში გახვეული მაია ფენშიშველი, კალთააქცილი, ხელბის ქნევითა და სველი თმების ფრიალით წყალში დაჯირითობდა სიცილ-ქისქისით. წყალი ზოგან წვივებამდე წვდებოდა და ზოგან მუხლებამდე. კაბა ისე შემოკვროდა, რომ გამოშვლებულს ამსვავსებდა მის ტანს.

მაიას გარშემო შეყრილი ქალიშვილებისა და ქალების შიქხილები და შეკვივება ცას სწვდებოდა. იცნობდნენ, ერთმანეთს ხელს ჰკრაიდნენ, რომ წყალში შეეგდოთ. ფეხშიშველი, თამაშიამოშლილი და ამოწურული იყვნენ. ყველაზე წინ გვანცა იდგა. შურით შეჭყურებდა მაიას. დიდი იყო ცდუნება, უნდადა თვითონაც შეეარდნილიყო წყალში.

უცებ მაია მისკენ მობრუნდა. მთელი საყენის სიმალეზე აჩქეფა წყალი და ქორივით მიიქრა.

— შემოდი გვანცა, რას უტედი?!

— გაგიყდო, მაია, ამ კაბაში?!

— მეძოდი მეტქი! — სტაცა ხელი კაბაში.

— კი მაგრამ... — სული შეეგუბა გვანცას, ვერ შეიკავა თავი, მოწყდა ადგილს და წყალში შეეარდა.

— ხედავთ, — გაიღმა თავმჯდომარემ, — რელიგიური ცეკვა, ანტროპოლოგია...

პლატონს ეგონა თავმჯდომარე რალაც საქმარს ამბობსო მაიაზე. ჩაახველა და უღვაშზე გადაისვა ხელი.

— უამე, თავმჯდომარე! — იკივლა ვილაყამ.

— სარდიონს სტუმრები მოუყვანია! — სტუმრები, სტუმრები, გოგოებო! შემობრუნდა მაია, დაინახა მარიამი და პლატონი. თითქოს არ ელოდაო იგი მათ, ერთხანს გაშტერებული იდგა წყალში.

— დეიდა მარიამი... — შეირბა სიცივისაგან გალურჯებული მისი ტუჩები, — დეიდა მარიამი! — შეკვივლა, ამოიარბინა წყლიდან და მარიამისკენ

გაქცა. არ დაერიდა, სველი რომ იყო, უკოცნილა თვალებს, ლოყებს, ტუჩებს. ეხვეოდა, იკრავდა გულში, იცინოდა, შეხედავდა გაბრწყინებული თვალებით და კვლავ ჩაეხვეოდა, — ჩამოხვედი, დეიდა მარიამ!.. ჩამოხვედი, დეიდა მარიამ! როგორ გელოვები!

მაიას ბრიგადის მეჩაიები ნახევარ წრედ იდგნენ მარიამის წინ, უნდოდათ მისულიყვნენ მასთან და მაიასავით მოხვედოდნენ, დაეკოცნათ, მოეციტხათ. მარიამი მათთვის ისეთივე ახლობელი იყო, როგორც მაიასათვის.

დინახა ეს მარიამმა, გაწითლდა: „მე პრეტენოდა მაიასთან... ამითან მოსულა. ვანა ცოტაა აქ ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით. არ გვაქვს. თუნდაც ეს წყალი, ბუნებებს გასხვლა მაიასებურად...—არ დაასრულა ფიქრი, შეხედა მაიას და მის ამხანაგებს ნათელი და წმინდა თვალებით. მე ვერცევი მათ, გამოუტყულები და აღარ შემრცხვება ჩემი თავის, წმინდა ვიქნები ჩემი სინდისის წინაშე“. გაიფიქრა მარიამმა, მაგრამ დროზე მიხვდა რომ ეს საჭირო არ იყო. უცებ იხსულა მთელმა ბრიგადამ და ყოველი მხრიდან შემოეხვია.

— მოაწონთ ჩვენი პლანტაცია?

— ფეხზე დაგვაყენა თქვენმა მოწაფე!

— გასახლათ მაიამ!

ესმოდა მარიამს შეძახილები. ისე ეხიოდა და ისე შეჰპაროდნენ მარიამს. თითქოს ისიც მათი საქმის მონაწილე იყო.

— თორმეტი წლისა იყო, პლანტაციაში რომ მოვიდა მაია. — დაილაპარაკა მარიამმა. სიწყნარე ჩამოვარდა, მხოლოდ ტოტიდან ტოტზე ჩამოვარდნილი წვეთების წკაპუნი ისმოდა. — რამდენჯერ გავაგდო ბრიგადიდან. ჯერ რა დროს შენი მუშაობაა-მეთქი. კიშკრიდან გავიდოდა და ღობეში შემოიჭრებოდა. ისეთი პატარა იყო, კალთაში ჩაისვამდი. — ხელით უჩვენდა რამოდენა იყო და გაილიმა. — მაინც თავისი გაიტანა. ასწრებდა სწავლას, მუშაობას. ხელში და თვალბეში შემოგვეყურებდა. ხარბი იყო სწავლაში. ცამეტი წლისა ისეთი გაწალღული იყო, რომ ზედმეწვენიტ იცოდა ჩაის საქმე...

— შენ უნდა გიმაღლოდე, დეიდა მარიამ, თუ რამე ვიცი.

— დაიცა, დაიცა, შეილო. ამას იმეტომ როდი ვამბობ, რომ ვინმე გავაყ-

ვირვო. ასეთი ხართ ახალგაზრდები. — შეხედა ყველაზე წინ მდგომ გვანცას. იგი ანთებული თვალებით შეჰყურებდა. სიცივისაგან ბუსუსები აყროდა სახეზე და ეს სახე ისეთი ნაზი, ისეთი ბავშვური იყო, რომ მარიამს უნდოდა ხელი მოეხეხა და მიეკრა მკერდზე. ვაეობო, დაეკოცნა. — აი, გვანცა, მე მას სულ არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ მისთვის ისევე როგორც მაიასათვის, ყველაფერი ცოტაა, არასოდეს არ არის კმაყოფილი თავისი მუშაობით.

შელამებამდე დარჩა პლანტაციაში მარიამი. აქ ისადილა ფარდულში. მუშაობდა მაიასთან ერთად, უზიარებდა მის წიგრებს თავის გამოცდილება და თვითონაც ათასგვარ შეკითხვებს აძლევდა მაიას, გვანცას და სხვებს. ისინი ამ შეკითხვებზე ისეთი სიყვარულითა და გატაცებით აძლეოდნენ პასუხს და მარიამი ისეთი გულისყურითა და მონდომებით ისმენდა და აკვირდებოდა ყველაფერს, რასაც ისინი უჩვენებდნენ და უყვებოდნენ, რომ არაკის არ უგრძენია როგორ შემოაღამდათ.

პლანტონი და ნესტორი მთელი დღის განმავლობაში ერთი წუთითაც არ მოშორებიან ერთმანეთს. თავისი ბრიგადა რომ მოატარა ნესტორმა, მერე სხვა ბრიგადებში წაიყვანა. უჩვენებდა ყველაფერს, რის ჩვენებაც კი შეიძლებოდა რითაც თავის საქმესა და კოლმეურნეობის საქმეს მოაწონებდა, მაგრამ ყველაფერს აზვიადებდა: თუ ვინმეს ერთ ჰექტარზე სამოცი ცენტნერი სიმინდი მოყავდა, ნესტორი ათ ცენტნერს წაუმატებდა. ვინც ნახევარ ჰექტარზე ექვს ტონა ჩაის ფოთოლს იწევდა, აქ შვიდ ტონას იწევსო — ამბობდა. უმატებდა შრომადღეზე განაწილებულ დარაკვლეულსა და ფულს.

მისმა ტრახმა ყოველგვარი ზომას გადაჭარბა, როცა კოლმეურნეობის მიწების საზღვრებს უჩვენებდა. ჯერ შტერით შეფენილი ბორცვებისაკენ გაიშვირა ხელი და ისე უთხრა, ეს ლიმონის პლანტაციებიაო, რომ წარბიც არ შეურხევია, მერე ლაქაშებით დაფენილი მინდვრებისაკენ მიბრუნდა, იქ კი ბრინჯი გვიეთესიაო. ისე გაიტაცა ფანტაზიამ, რომ თვითონაც საჯეროდა თავისი ნათქვამი.

უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდნილმა თავმჯდომარემ განზე გაიხმო:

— თავს რად გვპირი, ნესტორ? ტრამახი ვამიგონია, მაგრამ ასეთი?

— როგორი, ბიძი, რას ვამბობ ისეთს, რომ სიმართლეს არ ჰგავდეს?— ისე გულუბრყვილოდ და გულწრფელად ჰკითხა ნესტორმა, რომ სარდიონმა ვერაფერი უთხრა.

— ახლა თუ არა გვაქვს იმ ბორცვებზე ლიმონის პლანტაცია, დაგვიღიონ ხომ არის, გაიხად ხომ დავიწყებთ გავშენებას. ამ ლაქაშების ადგილზე ბრინჯი თუ არა, ჩაი ხომ გვექნება ამას ჰქვია ტრამახი? დიდ დანახაულს ჩავლივარ? ერთი წლის შემდეგ რომ ჩამოსულიყვნენ ეს ძვირფასი სტუბრები, გვექნებოდა თუ არა იქ ჩაი და ლიმონი? გვექნებოდა. — გული მოუვიდა, წაბრახებდა მინდოდა და თურმე მერ მომიხერხებოდა.

იმ ღამეს მარიამს შეხვედრა მოუწყეს. სთხოვეს თავისი გამოცდილება გაეზიარებინა კოლმეურნეებისათვის.

მარიამმა ვიწრო წრეში ისეთი გულთბილი და ტკბილი საუბარი იყოფა, მთელი დღე რომ ელაპარაკნა არ მოგწყინდებოდა, მაგრამ საქმარისი იყო თუნდაც ოცი კაცისაგან შემდგარი კრებში წინ გამოსულიყო, რომ უშალ დაეკარგებოდა მისთვის დამახასიათებელი სიტბო, უშუალოდ, სიტყვის სისადავე, ეფანტებოდა აზრი, მშრალად და სწრაფად ლაპარაკობდა, ცდილობდა სიტყვა მალე დაემთავრებინა. ამიტომ ხშირად არიღებდა თავს საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლას. ახლა კი ისე მოუხდა ამ ხალხთან გასაუბრება და ისე თავისუფლად და წინაურულად იგრძნო თავი, ასე ეგონა თავისი კოლმეურნეობის წევრების კრებაზე იყო და ბრიჯადის მუშაობის ანგარიშს აბარებდა.

მისმა უბრალო და სიყვარულით გამთბარმა ლაპარაკმა ერთბაშად მოხიბლა ყველა, შეხვედრამ ოფიციალური ხასიათი დაკარგა და კოლმეურნეობის ყოველდაღიურ საწარმოში შეკრებას დაემსგავსა.

მარიამს არ ახსოვდა, რამდენ ხანს ლაპარაკობდა, ვერ გაიგო, როგორ დაუწყო მასპინძლებს შეკითხვების მიქცევა, როგორ გაიბა გულთბილი საუბარი ორივე კოლმეურნეობის მიღწევებზე, ნაკლებანებებსა და მომავალზე.

კვლამ ხალხით იყო გაჭყდილი. ცხელოდა, მაგრამ მარიამს ერთი წუთითაც

არ უგრძნებია დაღლა, გატაცებით ლაპარაკობდა, საუბარს შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ეზოში განაგრძობდა, შუკამიც. მაიას ბრიჯადამ სახლამდე მიაცილა და აქ ჰიშკართან გიორგიმ და მაიამ ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან ამხანაგებს.

მარიამი და მაია მხოლოდ ნაშუალამევს დარჩნენ მართონი. მათი საწოლები ერთმანეთის გვერდით იდგა. ოთახში ბნელოდა, ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, მაგრამ გრძობდნენ ერთმანეთის სახის გამომეტყველებას, ხედებოდნენ ერთმანეთის ფიქრსა და აზრს.

ფანჯარა ღია იყო, ნელი ნიავი არხევიდა ფორთოხლის ტოტებს, ყრულ შრიალეზდა ფოთლები.

მაია უკითხებოდა მარიამს თავისი ამხანაგებს, ნათესავებისა და მეზობლების ამბავს. ვინ დაქორწილდა, ვინ წავიდა სწავლის გასაგრძელებლად თბილისში, ვის შეეძინა შვილი, გოგო თუ ბიჭი, და კიდევ — ვინ მოსთვლის რა არ იკითხა მაიამ და რას არ მოუყვა მარიამი.

შემდეგ ერთხანს ორივე ჩუმად იწვა, უნდოდათ დაძინება, მაგრამ კიდევ იმდენი ჰქონდათ ერთმანეთისათვის გასაზიარებელი და სათქმელი ღამე ღამეს რომ გადაბმოდა, მაინც ვერ მოათავებდნენ.

— ხშირად მესმოდა შენი ქება, მაია, — დაარღვია სიჩუმე მარიამმა. — მაგრამ ამდენ ახალს და კარგს თუ ვნახავდი შენს მუშაობაში, არ მეგონა. რა ფართო გზაზე გასულხარ, შვილო...

— ფართო გზაზე, — გაიციხა მაიამ, — უი, არა, დეიდა მარიამ. შორსა ვართ ჯერ ჩვენ ამ ფართო გზისაგან. განა ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენ? რომ დაფიქრდები, სირცხვილი აგიტანს. რამდენი რამ გამოგვრჩენია, გავვიშვია...

მარიამი გაუნძრევლად იწვა, ყურას უგდებდა მაიას და არ აკვირებდა მისი სიტყვები. — იგი არასოდეს არ იყო კმაყოფილი თავისი მუშაობით.

— დაიძინე, დეიდა მარიამ?

— არა, შვილო, გისმენ.

— იი, ჩვენ ექვს და შეიდ ტონა ფოთოლს ვიწვევთ ჩვენზე მომავრებულ ნახევარ ჰექტარზე. ვის გავაკვირებოდლეს ამით? ჩვენს პირობებში, ჩვენ ახლა მთებს უნდა ვაბრუნებოდეთ, რა გეაკლია? სასუქი გინდა? ინებე როგორ-

ჩი და რამდენიც გვებავს. ახლა ტრამს-ბორტი აიღე, მანქანები, ოღონდ მოინ-ლოთ, გააკეთე და ყველაფერი შენს ხელზე აბრის, — განაყვება ერთი წამით და მერე, თითქოს შორიდან დაილაპარაკაო, ჩუმი ხმით წარმოსთქვა: — იცო, დეიდა, მარიამ, რაზე ვოცნებობ ახლა? — წამოდგა და სანამ მარიამი ჰქოთხებდა რაზეო, ლოგინში შეუბტა მას.

ჯერ კიდევ ბავშვი პლანტაციიდან წმირად შინ წაყვებოდა ზოლზე მარიამს. ეხმარებოდა ძროხის მოწველაში, საკონლის დაბინავებაში, უყვარდა მასთან კერის პირას ჯდომა, მის გაკეთებულ საკმელს არაფერი ერჩივნა. მასთან წოლა ხომ მთელი დღესასწაული იყო მისათვის. პატარა და გამზდარი, მოიკრუნჩხებოდა, თავს მკლავზე დაადებდა და ლოყით ლოყაზე მიეკერებოდა. ეტიტინებოდა, ქვეყნის ამბავს მოაყოლებდა და თვითონაც დიდი ადამიანით თავის ფიქრებსა და ოცნებებს უზიარებდა. მე ისეთი მერჩაიე გავხდები, რომ თვით სტალინმა მითხრას მადლობაო, უთხრა ერთხელ მარიამს.

როგორც ბავშვობისას, ახლაც მკლავზე დაუღო თავი, ახლაც პატარასავით მოიკრუნჩხა და ლოყით მიეკრა მარიამის ლოყას. ერთ ხანს ბარტყივით განაბული იწვა, წამწამებს აფახურებდა. მარიამს გარკვევით ესმოდა მისა გულის ბაგაბუგი და გრძნობდა, რომ მაიამ რალაც დიდი და გაბედული განიზრახა. უცდიდა, სანამ დამშვიდდებოდა.

— რაზე ოცნებობ, შვილო? — ჰკითხა, როცა მაიას გული ბუდეში ჩაუღვა.

— მილიონერი მინდა გავხდე...

— რა თქვი?!

— გახსოვს, დეიდა მარიამ, ჩვენი კოლმეურნეობა რა გენივ გახდა მილიონერი? სხვებზე ნაკლები არც მიწები გვქონდა, არც ხალხი გვყავდა. „ახალი სხივი“ ჩვენს ნახევარს ძლივს უღრიდა და მილიონებს ატრიალებდა. რატომ? კარგად მუშაობდნენ. ასეა, იმუშავევ კარგად, მეტს მიიღებ. ბრიგადის რომ ყველა კარგად მუშაობდეს, ცალკეულ ნაკვეთებზე კი არ მივიღებთ მაშინ უჩვეულობას, ყველა მოკრეფდა ექვს-შვიდ ტონას. მეტი რა უნდა ბრიგადას, რომ მილიონერი გახდეს?

— მილიონერი ბრიგადა!  
შორიხნენ მარიამის ტუჩები და მაიამ დაინახა, როგორ გაანათა მისი სახე ამ

აზრმა, დაინახა, რომ მარიამი მიუხედავ, აენთო, გაიტაცა ამ ოცნებამ. იცოდა, თუ მარიამს რაიმე გაიტაცებდა, წინ ვერაფერი დაუდგებოდა, ცეცხლში გავიდოდა, ნემსის უნწში გაძვრებოდა და თავისას გაიტანდა.

მაია იდაყვებს დაეყრდნო.

— შარშან გვანცამ და მისმა ამხანაგებმა ოთხ-ოთხი ტონა მოკრიფეს. წელს გვანცა ექვსს მოიწვეს. რატომ მისი ამხანაგებიც არ მოკრეფენ ამდენს? იმიტომ, რომ ალბათ ჯერ კიდევ ვერ ვხელმძღვანელობ მე ბრიგადას ისე, როგორც საქირაო.

— ჩემო შვილო! — მოხვია მარიამმა ხელი, — დეიდა შენი ოცნება... — გაჩუმდა და მერე ფიქრში წასულმა ბალიშზე აიწია, ჩუმი ხმით დაილაპარაკა: — მაია, რატომ მე არ ვრწყავ ნაკელწყლით პლანტაციას, რატომ მე არა ვსხლავ ბუჩქს შენებურად?.. ცოტა მიფიქრია მე, ცოტა მომინდომებია. — პირი გაუშრა. — არა, არა მაქვს უფლება ცოლად ვიმუშაო... — მკერდზე მიიკრა მაია დიდხანს დუმდა. — არა მაქვს უფლება, მეც არ ვიფიქრო მილიონებზე.

— არა გაქვს, დეიდა მარიამ.

— არა მაქვს და რომ არ ჩამოვრჩე შენ, ავდგები და შეჯიბრებაში გამოვწვევ.

— დეიდა მარიამ, — მოშორდა მაია მარიამს და სახეში შეხედა, — მე... — სული შეეგუბა, — მე გამომიწვევ?!

— მო, ჩემს ალიულა გოგოს.

— დეიდა მარიამ, — თმა გადაუწია სახიდან მაიამ, კვლავ მიეკრა მკერდზე.

მკლავები მოხვია მარიამმა. ასე იწვნენ დიდხანს, ერთი ფიქრით, ერთი გრძნობითა და ოცნებით მოცულნი.

უზოში მამალმა იყილა. არ გაუგიათ მისი ხმა. მხოლოდ მაშინ გამოიკრინენ, განთიადიმა ფანჯარაში რომ შემოიხედა. შეხედეს ერთმანეთს და გაულომეს.

მეორე დამეს სოციალისტურ შეჯიბრებას საზღვიო ვითარებაში მოაწერეს ხელი და მარიამი თა პლატონი დილით ადრე გაემგზავრნენ.

მატარებელი პლანტაციებშუა მიქროდა.

მზე მალა იწვედა. სწრაფად იცვლებოდა ცის ფერები და პლანტაციის ჩრდილები. აქა-იქ ბუჩქებს თეთრი სიფრიფრანა ჩსოვილივით მჩჩაღლი ნისლი ეფინა, ზოგჯერ ნისლი მანდარინის და

ფორთოხლის ხეების ტოტებზეც ეკი-  
და. ნისლი ეკიდა პაერშიც. დამტვერილ  
გზებზე გარბოდნენ ჩაის ფოთლით და-  
ტვირთული მანქანები, მტვერში ხან აქ  
ხან იქ ხვლიკივით გამოიჭრებოდნენ  
მწვანე, შინდისფერი, ნაცრისფერი და  
მუქი ლურჯი „პოპედები“. ჩაის პლან-  
ტაციაში გასული ქალები, როგორც კი  
დაიხრებოდნენ ფოთლის მოსაკრეფად,  
ბუჩქებს უმაღლ შორდებოდა ნისლის  
თეთრი თავსაფარი.

მარიამი და პლატონი ფანჯარასთან  
იღვხებ.

— რატომ არის ირგვლივ ყველაფე-  
რი ასე ლამაზი, პლატონ? — ჩუმად  
თითქოს პლატონს კი არა, თავისთავს  
ეკითხებაო, წარმოსთქვა მარიამმა.

პლატონი თავისი ფიქრით იყო გარ-  
თული, არ გაუგონია მარიამის ხმა.

მატარებელი მთელი სისწრაფით  
შეპქროდა.

მოქროდნენ და მოცურავდნენ მარი-  
ამისა და პლატონისაკენ ბუჩქები, ხეები,  
ფაიფურის თეთრი და მწვანე იზოლა-  
ტორებით თავაპრელებული ტელეგრა-  
ფის ბოძები, ველი, ნისლი, მთები და  
მდინარეები.

ასევე იღვნენ ისინი ფანჯარასთან.  
აქით რომ მოდიოდნენ, ასევე მოქროდ-  
ნენ და მოცურავდნენ მათკენ ეს ბუჩ-

ქები, ეს ხეები, ბოძები ველები, მთე-  
ბი და მდინარეები. ესმოდათ სიმღერა,  
მანქანათა მოტორების გუგუნნი. ბრწყინ-  
ნავდა მზით დაფერილი მიწა და ცა.  
მაგრამ მარიამისა და პლატონის გულა  
დახურული იყო. დამამცირებელი შე-  
ურაცხყოფის გრძობა, რომლითაც  
ისინი მოდიოდნენ მაიასთან, ბურუსში,  
ხვევდა ყველაფერს ამას და ჩრდილა-  
ვდა. რა შორს იყვნენ ახლა ისინი ამ  
გრძნობისაგან და ყველაფერი: ფორ-  
თოხლისა და მანდარინის პლანტაციებზე,  
ბუმბულივით მსუბუქი ნისლით თეთ-  
რად გადაპენტილი ჩაის ბუჩქები, მრავ-  
ალფერად აპრელებულ ცა, მუქ მწვა-  
ნედ მოლივლივე ქედები, ყანები, მდი-  
ნარეები და ჩანჩქერები, ეს ფანჯარა,  
ეს ღერეფანი, ეს უცნობი მგზავრები  
არაჩვეულებრივად, მშვენივრად და  
მომხიბვლელად ეხატებოდათ. ისეთი  
ბედნიერები იყვნენ, ისეთ სიხარულს  
განიცდიდნენ, რომ ასი მზე ედგათ  
ცაში. „იმიტომ, რომ დიდი საქმე  
გვიდევს წინ, — თვითონ გასცა მა-  
რიამმა თავისთავს პასუხი, — იმი-  
ტომ; რომ თი, ისინიც, — გადახედა  
პლანტაციებში მომუშავე ქალებსა და  
მამაკაცებს, — ამ საქმეზე ფიქრობენ,  
ამ საქმეს აკეთებენ, იმათთვისაც ასი  
მზე ანათებს“.

ნიკოლოზ ჩაჩავა

## ლექსები



ჩემო თვალისჩინო

მახობელა პური გექონდეს,  
ატენური ღვინო.  
ოღონდ შენ არ დამიღონდე,  
ჩემო თვალისჩინო.  
ოღონდ შენი ნაბერწკალი  
ცეცხლად მომიკიდოს.  
მე არ შინდა, ჩემო ქალავ,  
უკეთესი ჯილდო.  
კოლექტივის ყანას ვიმკი,  
თუ ვაფლერებ სიმებს, —

თავს გვეღება ჩემი ფიქრი,  
სულ შენ დაგციმციმებს.  
შენი ერთი გამოჩენა,  
მთელ სიცოცხლედ მიღირს,  
ვერ გამოთქვამს კაცის ენა —  
ჩემი გულის ღიღინს.  
ალარ მყოფნის უკვე ძალა,  
როს ავიღებთ ყაზებს.  
ჩვენ დიდ ქორწილს, ჩემო ქალავ,  
ალარ დავახანებ.

ნუ გადავდებთ გულისთქმას



ირხევიან ხეები,  
ირხევიან რტოები.  
შენ რატომ ხარ, ვოგონავ,  
ასე განმარტოებით.  
თვალუწედნი მთაბარი,  
მოდი, ერთად გავლიოთ:  
ნუ გადავდებთ გულისთქმას,  
გოგოვ, სადღეხალიოდ.  
კოლექტივის ყანები,

ჩვენთვის სათაყვანები.  
ხომ უყურებ, რა ხეავს და  
რა ბარაქას გვიბრდებთ?  
თუ კი ერთად ვიქნებით,  
თუ კი ჩვენი ფიქრები  
მართლაც შეერთდებიან?  
ამ ჩვენ ზღაპრულ მხარეში  
რალა გაგვივირდებთ!

მე კი უნდა დავიცადო



ჩემს ეზოში უკვე ყვავის  
შენ რომ დარგე სერგი ნუშის.  
ჩაფიქლი და მოაწყვეტ ყვავილს  
შევისუნთქავ ჩუმიად გულში.  
ღამით როცა ყველას ძინავს,  
მარტო ვოსმენ ნუშის რტოებს,  
ჩუმიად ვნახავ შენ ძველ ბინას

შენ რომ შარშან მიატოვე.  
შენ ხომ სხვაგან ჩაგაბარეს,  
კოლექტივის მთა და ბარი.  
ეხედავ, ჩემთვის ჯერ ვერ იცლი,  
ხალხზე ფიქრობ, ხალხზე დარდობ.  
ხალხის საქმე ალარ იცდის,  
მე კი უნდა დავიცადო.



## ჩემი სიხარული

მიხარია და მინდა  
შენი ალერსი წმინდა.  
მიხარია, რომ ცაზე  
ვარსკვლავი ასე ბრწყინავს.  
ამ მოწმენდილი ცის ქვეშ  
ორთავეს რომ გვაქვს ბნა.  
აბა დაუგდე ყური,

რას ამბობს სალამური.  
აბა შეხედე ბალახს —  
როგორ თრთისა და ლელავს.  
სულ ჩვეთვის არის, ჩვენთვის  
ლალი ბუნების ლხენა.  
და აი რატომ მინდა  
შენი ალერსი წმინდა.







# ფოლადი\*

რომანი



## VII. პრიშვილი

სახლი, რომელშიაც არიშის საქალაქო კომიტეტი მოეთავსებინათ, ერთსართულიანი სტანდარტული შენობა იყო, მშენებლობის დასაწყისში ნაჩქარევად აგებული, გრძელი, უფერული, მაგრამ როდესაც საქალაქო კომიტეტის მდივნის კაბინეტის კარს შეაღებდით, უმაღლვე მიგიზიდავდათ ფართო და ნათელი ღარბაზი; მერე, როცა გრიგოლ ამირანიძის სამუშაო მაგიდასა და ტელეფონის აპარატებს თვალს მოაუღებდით, მყისვე მიხვდებოდით, რომ მეტად რთული და მრავალმხრივი მშენებლობის, მეტალურგიული ქარხნის უამრავი დარგისა და უდიდესი საამქროების გამაერთიანებელი სიძეები თავს აქ იყრიან, ერთ ჰანგზე ეღერენ, რომელიმე მათგანი რომ ოდნავ დაზიანდეს, აქ ეს წამსვე მტკივნეულად საგრძნობი იქნება, აქედანვე გადაეცემა აღმდგენი, შემაკავშირებელი ძალა.

გრიგოლ ამირანიძემ ტელეფონით ლაპარაკი დაამთავრა, მილი ფიქრმორეულად დადო, მერე შუბლზე ხელი მოისვა და წამოდგა, წელში გაიმართა. ჩვეულებრივი იყო მისთვის ეს დღე; დილიდანვე საქმიდან საქმეზე გადადიოდა, ყველგან და ყველგანში თავის წამყვან, დამრავლავ უნარსა და ნებისყოფას ამჟღავნებდა; როდი იღლებოდა, ყოველი წარმატება ხალისს უღვივებდა. ღრმად გრძნობდა, რომ დიდ მალღობზე იდგა, შრომის, შემოქმედების, მშენებლობის მალღობზე. ბრძენი სტალინის ეპოქის ღვიძლი შვილი იყო გრიგოლი, თავისი მგზნებარე გულის ყველა ძარღვით შეეზარდა იმ მზიურ მწვერვალს, საიდანაც მთელ მსოფლიოს მშვიდობის, წინსვლის, კა-

ცთა სიყვარულის ნათელსა ჰვენს ჩვენი დიდი ბელადი, შეეზარდა და თვითონაც ამ ნათელის ნაწილად იქცა, დაუსრეტელი ძალ-ღონით აღიესო.

დაბალი ფანჯრიდან სივრცეს გახედა. მზე უკვე მთას მიფარებოდა, სახლის მახლობლად დარგული ხეების ნორჩი ფოთლები გაშუქებულიყვნენ.

ხომ არათვრი დარჩა გრიგოლს ამ ჩვეულებრივ დღეს დაუმთავრებელი? რაიმე ხომ არ გამოჩნა?

გაიფიქრა და წამსვე შეაჯამა ყველგანური, რაც იმ დღის ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა. მალე მარტენის ლუმელი მზად იქნება, ფოლადი უნდა გამოუშვან. ეს არის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი. გრიგოლი თვითონ ინიცირებდა, ტექნიკურ-მეცნიერული შრომების ავტორია, ამიტომ მან მშვენიერად იცის, თუ რა რთული საქმეა ეს, რამდენი რამაა საჭირო, რომ არიშისათვის ამ მართლაც ისტორიულ დღეს მომზადებული შეხვდნენ. ვიდრე ფოლადის დნობას შეუდგებოდნენ, მანქანების უამრავი ნაწილები უნდა შემოწმდეს. სადმე ერთი პატარა ხრახნილი რომ გაფუჭდეს, მყისვე საქმე შეფერხდება. მწყობრად უნდა მუშაობდეს უზარმაზარი სამსხმელო ამწე, რომელმაც ასორმოცდაათრონიანი ციციხე, მღვლარე ფოლადით საეცე, უბრალო კალათივით უნდა გააქანოს ჩასასხმელ ყალიბებისაყენ. ახლა კაზმის აკრეფა, როფებში ჩატვირთვა, საამქროში შეზიდვა, მერე ჩამტვირთავი მანქანა, თვით მარტენის ლუმელის მოწყობილობანი, აპარატურა, ლაბორატორია და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ.

მაგრამ გრიგოლს ამაზე უფრო რთული საქმე აქვს დაკისრებული; თვით ადამიანების დარაზმვა, სწორ გზაზე და-

\* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 10.

ყენება, მათი აღზრდა, — აი, ეს არის ყველაზე უდიდესი საქმე, საქმე, რომელიც უაღრესად მგრძობიარე და თანაც უწმინდესი მისწრაფებით ვამსკვალულ გულს მოითხოვს. მარტორდენ ცოდნა როდი კმარა, არც ისა, რომ თავი მაღალი იდეის მსახურად მოვქონდეს. მთავარი ისაა, თუ რამდენად დაკრისტაღდა იგი შენში, მაღლზე თუ არა კაცობრიობის განვითარების უმაღლეს საფეხურს, კომუნისმის მზიურ არეში შეშავალ კარებს.

გრიგოლი შუახნის კაცია, ჯერ ჰალარა თითქმის არ გარეკია; მის ღიმილში ჰაბუკის წრფელი გული გამოსვლვის. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გატაცებული იყო მეცხიერული კვლევებით, გამომგონებლობით, ტექნიკის უახლესი პრობლემებით. მერე ერთობ ნაყოფიერად მუშაობდა საკვლევე-სამეცნიერო ინსტიტუტში. ეს საქმე თავის ბუნებრივ მოწოდებად მიაჩნდა. მაგრამ შემდეგ, როდესაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აქ გამოგზავნა სამუშაოდ, მყისვე ნათლად დაინახა თუ რა მძიმე პასუხისმგებლობა დაეკისრა, რა ბობოქარ ასპარეზზე გამოდიოდა. მაშინ აქ მშენებლობა იმდენად არა სწავნდა, ვაგონებზე გამართული ძალსადგური ჩახჩახებდა, არხის გასწვრივ, ძველი ტყის მახლობლად, ღამით ნათურები აეხებებოდა და გრძელ ბარაკებსა და სტანდარტულ სახლებს გაანათებდა; აქეთ კი, სადაც ახლა ქალაქია და ქარხნის უდიდესი საამქროები, თითქმის ცარიელი მიწდორი იყო, ზაფხულობით მზისაგან რუხად გადამწვარი. ამქამად კი საცაა მარტენის ღუშელი ფოლადს მოგვეცემს, ბლუმინგი ამუშავდება. მაღალი დაზვის კოშკში რაბერატორი კონტროლიორს ჩართავს და გლინვას შეუდგება...

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, აღარ გვიკვირს, როდესაც ქუჩის რომელიმე კუთხეში, სადაც წინათ ქობახივით გამჭურული ძველი სახლი იყო, მრავალსართულიან ღამაზ შენობას ვხედავთ; არც ის ვგოკებთ, როდესაც ვხად მიმავალნი უღაბურ ადგილებში აღმოცენებულ ქალაქებსა და ქარხნებს, ბაღებსა და შადრევნებს თვალს მოვავლებთ; ჩვენი დროის ადამიანისათვის ეს ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ნახამთრალ ანეულზე გაზაფხულის ყამს ჯეჯილის აბიზინება. ჩავექროლებთ

ხოლმე გვერდით ავტოთი თუ მატარებლით უკვე დამთავრებულ ან მიმდინარე მშენებლობას თა გტკმებით შემოვქმედი შრომის დიდი ნაყოფით, რადგან ვიცით, რომ თითოეულ ჩვენთაგანს, ყოველ საბჭოთა ადამიანს უძევს მასში წილი.

ხოლო გრგოლ ამირანიძე ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველდღიურად არა მარტო ხედავდა, არამედ უშუალო მონაწილეობას იღებდა, მთელი გულით განიცდიდა, თუ როგორ ითხრებოდა არხები, როგორ აწყობდნენ შიგ ბეტონისა და ფოლადის მილებს, როგორ ამოდიოდნენ კედლები ბალაერებზე, როგორ იხურებოდა მაღალი ჩონჩხელები და უდიდეს კორპუსებში რიტმულად იწყებდნენ მუშაობას მანქანები; როგორ მოითქვა სული ელექტროცენტრალის ტურბოგენერატორმა და მთელი არიში სინათლის ჩქერში გაეხვია; როგორ მოდიოდა საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან ახალი საამქროების მოწყობილობანი, როგორ გადმოიტვირთებოდა ღია ცის ქვეშ და მერე როგორ მიქქონდათ, როგორ დგამდნენ, როგორ უერთდებოდა ნაწილი ნაწილს.

მაგრამ გრიგოლს სხვა საქმეც ჰქონდა კიდევ. არიში რამდენიმე ათასი ახალგაზრდა კაცი მკვირდებოდა. ესენი საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ მოსული, დონბასში, სტალინგრადში, ურალში დაუფლნენ მეტალურგიის სხვადასხვა სპეციალობას, და აი, სხვეთან ერთად ამათი გულის მესადღებლობა, ამათი აღზრდა იყო ამირანიძის ცოცხალი, მაღლიანი და თანაც მეტად სათუთი საქმე.

აღმზრდელი თვითონ უნდა იყოს წრფელი და კეთილშობილი, რადგან აღსაზრდელის გული ბარომეტრავით მგრძობიარეა; მისთვის სიტყვებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ შიგ გულის სიღრმიდან მომდინარე სწორფობა არა ეღერს; იგი მხოლოდ იმას ითვისებს, რაც მაღალადამიხურ გრძობათა ქურაში წრთობილა და დილის შუქივით ბრწყინავს.

ამირანიძის სწორედ ეს შინაგანი კეთილსინდისიერების მაღლი ამკობდა, ადამიანის სიყვარული ამოქმედებდა.

სივრცეს თვალის მოსწყვეტა გრიგოლმა, ჯერ საათის დახედა, მერე მაგიდაზე დაწყობილ ახლათახალ პარტბილებს. რამდენიმე ჰაბუკის სახე ნათლად

წარმოუდგა; კარგად იცნობდა მათ, იცოდა, ვინ რომელ საამქროში მუშაობდა, რა მიღრეკილება ჰქონდა, მაინც მდივნის თვალთვლით დააკვირდა თითოეულ მათგანს, მოიგონა, თუ ვის რა ნაკლი გააჩნდა, რაზე უნდა მიეთითებინა, რის გამო უნდა წაეხალისებინა. შემდეგ ხარს შეახო ხელი.

მდივანმა შეიხედა.

— მოვიდნენ!

— დიახ.

— სთხოვე.

დარბაზის კარებში ვასო სიამაშეილი შეიმართა, მას გაიოზ დარჯანია და კიდევ ოთხი ჰაბუკი შეჰყვა.

გრძელ მაგიდას მიუახლოვდნენ. არ შეიძლება ითქვას, თავს უხერხულად გრძნობდნენო, მაგრამ თითოეულ იათგანს ემჩნეოდა, რომ საამო მღელვარებას ძლივს იკავებდა, ხოლო მათი სახეების გამომეტყველება ცხადყოფდა, რომ თავიანთი ცხოვრების ისეთ საფეხურზე აღიორდნენ, საიდანაც არა მხოლოდ არიში, ან საქართველო, არამედ მთელი ქვეყნიერება ხელისგულავით მოსჩანს, გზა ყველგან გახსნილი გაქვს, ოღონდ შესქელი, გაბედე, იშრომე და სულ წინ იარე!

გრივალს ეამა, მათ სახეებზე რომ ღრმა ვანცდა ამოიკითხა, რადგან სწორედ ასეთი სიციხოველ შეეფერებოდა იმ საქმეს, რისთვისაც ისინი მასთან მივიდნენ. სათითაოდ შეავლო მათ თვალი, წარბები შეიკუმუნა, რომ სახეზე აულევებული ღიმილი ჩაექრო, და დინჯად თქვა:

— დასხედით, ამხანაგებო!

თვითონაც დაეშვა სკამზე გრივოლი, პარტილეთი აიღო, ისევ დადო მაგიდაზე.

— თქვენ, ამხანაგებო, — დაიწყო მან, — უკვე შეხვედით იმ სიმავრეში, რომელიც ჩვენმა დიდმა ბელადებმა, ლენინმა და სტალინმა შექმნეს. ამ სიმავრის კარები მხოლოდ ღირსეულთათვის, მხოლოდ შემოწმებულთათვის იღება. თქვენ ეს უკვე დაიმსახურეთ. უნდა გახსოვდეთ, რომ...

გრივოლმა წიგნი გადაშალა, თუმცა ზეპირად იცოდა, მაგრამ თვალი მაინც სტრუქტონებს მიავლოა:

— დიახ, უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მსახ-

ლისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგებო! — ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი...“

გრივოლი გრძნობამ აიყოლია, წამოდგა, მის სიტყვებში ის შინაგანი მღელვარება იგრძნობოდა, რომელიც მსმენელს მეტად მამებელ სხივით ეფინება.

— ეს ითქვა 1924 წლის 26 იანვარს, საბჭოების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის სამგლოვიარო სხდომაზე, სადაც ამხანაგმა სტალინმა პარტიის სახელით დიადი ფიცი დასდო. მას შემდეგ ღირსეულად განაგრძობს სტალინი ლენინის საქმეს, ბოლშევიკების დიად პარტიას გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიუძღვება... და იგი, 1929 წელს, მისი დაბადებიდან 50 წლის შესრულების დღეს, ორგანიზაციებისა და ამხანაგების მისალმებებზე საპასუხოდ, განაცხადა: „თქვენს მილოცვებსა და მისალმებებს ვაკუთვნებ მუშათა კლასის დიად პარტიას, რომელმაც მშობა და აღმზარდა თავისი სახეობის მსგავსად... შეგიძლიათ ეცეი არ იქონიოთ, ამხანაგებო, რომ მე მზად ვარ კვლავაც მოვახმარო მუშათა კლასის საქმეს, პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიო კომუნისზმის საქმეს მთელი ჩემი უნარი და, თუ საჭირო იქნება, მთელი ჩემი სისხლი წვეთწვეთად“.

გრივოლმა წიგნი დახურა, ჰაბუკებს გამომეტყველად მიაპყრო თვალი, წაისკვე ის გამოცდილსკველება დაიჭირა, რომელიც ესოღერ ამალლებს დიადი მიზნით გაციისკროვნებულ ადამიანს.

— ამიერიდან, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ ამ ძლევაშოსილი პარტიის წევრები ხართ, სტალინელები ხართ, ბოლშევიკები ხართ, ხოლო ბოლშევიკისათვის, როგორც იცით, არავითარი დაბრკოლება, არავითარი ზღუდე არ არსებობს, არის მხოლოდ თავდადებული შრომა და ბრძოლა ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად...

დაჯდა, პარტილეთი აიღო, გაშალა, ამოიკითხა:

— იოსებ მიხეილის-ძე გიგაშვილი. სწორია?

— დიახ. ეგრეა.

სოსომ შავ ქოჩორზე ხელი გადაიხვია, წამოდგა, მრგვალი, შავგვრემანი სახე შეეფაქა, მიხვდა, რომ მღელვარებამ აიტანა და ხშირი წარბები შეიკრა გულმოსულს დაეშვა. თავის არსებობაში კი სიხარულით ფრთაშესხმული იყო. როცა აქ მოდიოდა, იცოდა, რომ პარტიზონითი უნდა მიეღო, თავის საცხებით მომზადებულად სთვლიდა, განწმენდილად. მოწინავე კომკავშირელი იყო, სწავლისა და შრომის მოყვარული, ამიტომ პარტიაში შესვლა მისთვის საცხებით ბუნებრივი იყო. მაგრამ ახლა ისეთი გრძობა დაეუფლა, თითქოს პირველად შეიგრძნო საცხებით თავისი კაცური კაცობა, თავისი დავაქაცება.

მამა სამამულო ომში დაღუპა სოსოს. ბიძამ წამოიყვანა თბილისში, საშუალო სასწავლებელი დაამთავრებინა, მერე მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში მოაწყო. დედა და დები სოფელში არიან, გორის მახლობლად. რამდენჯერ გაუვლია სოსოს ბავშობისა სტალინის სახლთან, რამდენჯერ დამტკბარა სიხარულით იმის გამო, რომ სტალინიც აქ დაიბადა; აგერ იმ ლოდებიან ფერდობზე, იმ გორზე თამაშობდა, აქ გაშალა პირველად წიგნი. მერე რამდენჯერ უცდია ნათლად წარმოედგინა კაცისინზე უფრო მაღალი მწვერვალი, სადაც სტალინი იმყოფება, მაგრამ თვალი დახისვლია, მზერა, ვერ მიუწვდენია. ამ წამს კი აგერ, გრიგოლ ამირანიძის წინაშე დგას სოსო, ახალი არიშის მკვიდრი, გამოცდილი ტექნიკოსი, სტალინის პარტიის წევრი...

— აჰა, მიიღე, — გაუწოდა ამირანიძემ პარტიზონითი, — ამას თვალისჩანებით უნდა გაუფრთხილდე. ამიერიდან ეს პარტიზონითი შენი არსების განუყოფელი ნაწილია, მას მუდამ შენთან უნდა გრძობდე; როგორც საკუთარი გულის ძეგრას, როგორც შენს პირად კეთილსინდისიერებას...

სოსომ ბილეთი გამოართვა, ხელში შეაჩერა, მერე ფრთხილად ჩაიღო გულისხიბები.

გრიგოლმა სოსოს წამოგზნებულ სახეზე შეაჩერა თვალი, ისეთი გრძობა აღეძრა, თითქოს მამა შვილის ბედზე ჩაფიქრებულიყო. „კარგი ბიჭია, — გაივლო გუნებაში, — ცოტათი ფიცხი

კია, ალტაცებული. მით უფრო დაიტანჯება, ამასაც რომ ტარეელსავით შეცდომა მოუეიდეს. ვიღაც უხასიათო, სრულიად შეუფერებელი ქალის შეართვას აპირებსო. ამხანაგებმა გააფრთხილეს, მაგრამ, მგონი, არა სჯერა...“

თვალი დახარა გრიგოლმა, წიგნი განზე გასწია, შემდეგ დინჯად ახედა სოსოს და თავისი წრფელი, მზრუნველი გულით გაძთხარი ხმით მიმართა:

— ჯერ, ამხანაგო სოსო, შენ ოჯახს არ მოჰკიდებიხარ. ბოლშევიკისათვის დაოჯახებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე ჩვენთვის, არიშელებისათვის. ჩვენ უნდა ჩაეუყაროთ აქ საფუძველი ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას. ოჯახის პირველი ფუძე — სიყვარულია. მაგრამ მას — სიყვარულს — წინ მაღალი აზროვნება უნდა უძღოდეს, იგი ბრმა არ უნდა იყოს, კომუნისტს სიყვარულმა ძალიან შორი პერსპექტივა უნდა გადაუშალოს, ამიტომ მან უნდა იცოდეს, ვის უკავშირდება, არის თუ არა იგი მისი ნამდვილი სულიერი მეგობარი და თანამებრძოლი. კარგად ჩაუკვირდი ამას, შეცდომა არ მოგივიდეს, თორემ შემდეგ იგი ძნელი გამოსასწორებელი იქნება...

სოსომ თავი დახარა, სახეზე ფერმა გადაჰქრა. საკვირველია, გრიგოლსაც სცოდნია ეს ამბავი... არ უწონებს... ჰო, უნდა ჩაუკვირდეს... მაღალი აზროვნება, თქვა გრიგოლმა... არა, სოსო დაბლა არ დაეშვება, უთუოდ შექმნის არიშში ისეთ ოჯახს, როგორც გრიგოლ ამირანიძესაც მოეწონება...

გაიფიქრა ეს სოსომ და თავი ასწია, გრიგოლს თვალი გაუსწორა, უსიტყვოდ აგრძობინა, თუ როგორ ჩაწედა გულში მისი სიტყვები.

გრიგოლმა მეორე წიგნაკი გაშალა. — ილია კონსტანტინეს-ძე გულვარდაშვილი.

— სწორია. — თქვა ილიამ და აღდა. ახოვანი, დინჯი, გულმართალი ქაბუკი იყო ილია გულვარდაშვილი. საოცრად მეტყველი სახე ჰქონდა. უფრო ხშირად ჩაფიქრება სჩვეოდა. ამ დროს მისი სახეც ფიქრმოსილი იყო; თაფლისფერი თვალებს ოდნავ მოჰუტავდა ხოლმე და შორს, ძალიან შორს იმხიარებოდა. ღიმილი რომ მოერეოდა, მთელ სახეზე ღრმა კეთილშობილების ნათელი შეეფინებოდა, მიგიზიდავ-

და, დაგიახლოვებდა; წამსვე იგრძნობდი, რომ ამ ქაბუქს სააუგო არაფერი ჩაუდენია, ამიტომ სამალავიც არა აქვს რა. ილიამ არიშში ბინა სხვებზე უწინ მიიღო, ადრე დაოჯახდა, ერთიშვიორის მომდღევნო ქალ-ვაჟი ჰყავს. დამხმარე სამაქროში მუშაობს ერთობ რთულ დაზგაზე. თითქმის სავსებით ჩაწვდა მანქანის საიდუმლოებას, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა. მაძიებელი გონების პატრონია და მალე აღმოაჩინა, რომ აღზატს მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, აღმოაჩინა და დღითიდღე ამალვებდა შრომის ნაყოფიერებას.

— სტალინი გვასწავლის, — განაგრძობდა ამირანიძე, — რომ ჩვენთვის საჭიროა ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით. და აი, შენ, ამხანაგო ილია, მართლაც ოსტატურად დაეუფლე შენს დაზგას, მოწინავე ხარ. ეს მეტ მოვალეობას გაკისრებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს გარშემო უამრავი აღმოჩენებია, ერთს რომ დაინახავ, მეორე უნდა ეძიო. შენ ამის ნიჭი გაქვს, შენს წინ დაუსრულებელი სარბიელია გაშლილი. ნამდვილი ნოვატორი ისაა, ვინც ერთ საქმეს რომ დააგვირგვინებს, მეორეს უკვე სწვდება თავისი გამჭრიახი გონებით...

ილიამ ჩვეულებისამებრ თვალები მოკუტა, თავის სამაქროში გაჩნდა. ირგვლივ სხვადასხვაგვარად რაწკუნობენ, ზრიალებენ, წყრიალებენ დაზგები. ხიღური ამწე გრიალით მიაქანებს სახარატო დაზგისაკენ რომელიღაც მანქანის ნაწილს. ილიას თითქმის არ ესმის ეს გაბმული ხმაური, რამდენიმე დღეა ერთ პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს უტრიალებს მისი გონება... ჰოდა, ამ წამს. გრიგოლს რომ ესმენს, სავსებით საეგრა, რომ არა მართო იმ პატარა საკითხს, არამედ სხვა მრავალსაც გაარკვევს...

— გიორგი ილარიონის-ძე იოველიძე, — ამოიკითხა შემდეგ ამირანიძემ.

ტანმორჩილი, ჩასკენილი ახალგაზრდა კაცი წამოდგა. სახე ღიმილით დაუმშვენდა, თათლისფერი თვალები მოკრძალებით მიაპყრო მდივანს.

გიორგი კარგა ხნის წინათ გაიყვნო გრიგოლ ამირანიძემ. ზამთარში, თბოვლექტროცენტრალის ამუშავების წინ,

კომკავშირლებმა კვირაობა მოაწყვეს; თბოვლექტროცენტრალის ირგვლივ მომთანტული რკინის ნაჭრები; რუესები, რიყის ქვები უხდა აეკრიბათ, ეზო უხდა გაესუფთავებინათ. სუსხიანი დილა იყო. ახალგაზრდა ვაჟებმა და ქალებმა დროშა ზვინულზე დაასვეს და მუშაობას შეუდგნენ.

იმ დღით ყველაზე ადრე მიიბრინა გიორგიმ, ორთქლამწე მანქანის ლუმელში ქვანახშირი გააჩალა.

აქ ნახა იგი ამირანიძემ, გაესაუბრა:

— სად სწავლობდი?

— დონბასში, მეტალურგიულ ქარხანაში.— უპასუხა გიორგიმ და მკრთალ სახეზე მყისვე ფერი მოუვიდა; ეტყობოდა, ძალიან ეამა, ამირანიძემ რომ ყურადღება მიაქცია.

გრიგოლმა დაკვირვებით ახედ-დახედა იოველიძეს, მის გამომეტყველებაში რალაც აეადობა ამოიკითხა.

— ხომ არ ავადმყოფობ?

— არა, — უპასუხა გიორგიმ და თავი ჩალუნა.

— ჩართალს ამბობ?

— ჰო... საავადმყოფოში ვიწექი. ექიმმა არ გამომწერა. საქმე მომეხატრა, ავდექი და წამოვედი.

ამირანიძემ კვლავ ახედ-დახედა გიორგის, კუშტი გამომეტყველება მიიღო და მკაცრად უთხრა:

— კარგად ვერ მოქცეულხარ. მკურნალობის დროს მკურნალობა უნდა და მუშაობის დროს მუშაობა...

გიორგიმ თავი ჩალუნა, შერცხვა...

მას შემდეგ დღევანდლამდის თვალყურს ადევნებდა გრიგოლი ამ ნაავადმყოფო ქაბუქს, ხშირად ხედავდა მას თბოვლექტროცენტრალის სამანქანო დარბაზში, მოსწონდა მისი გულმოღვივნობა; მხოლოდ ერთი ნაკლი კი შეამჩნია: ხანდახან, მგონი, მედიდურობას, ხელქვეითის მიმართ თავი ქედმაღლად უქირავს...

— არავენ იფიქროს, — ხაზი გაუსვა ამირანიძემ, — რომ პარტიის წევრობა ვინმეს რაიმე უპირატესობას ანიჭებდეს უპარტიო საბჭოთა მოქალაქის მიმართ. პირიქით, პარტიის წევრობა ზრდის ადამიანის მოვალეობას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. კომუნისტური თავის წრეში მუდამ მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს, მოწინავე და ამავე დროს თავდაბალი, უაღრესად კეთილშობილი. ამაშია ჩვენი სიდიადე, ჩვენი ბრწყინვა-

ლე მომავალი. გაეხსენოთ ამხანაგ სტალინის სიტყვები გერმანელი ფაშისტების მიმართ, ეს სიტყვები ახლა ზედგამოჭრილია ამერიკელ იმპერიალისტების მიმართაც, იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც სინიდისი და პატიოსნება დაუკარგავთ, რომელთაც პირუტყვის მორალი აქვთ და კანდიერება ყოფნით მოუწოდონ ატომური ყუმბარებით საბჭოთა ხალხის მოსაპობისაკენ. აი, ამათ ეუპირისპირებთ ჩვენ ჩვენს მაღალ კომუნისტურ მორალს, ჩვენს დაუცხრომელ ბრძოლას მშვიდობისათვის...

იოველიძის გერდით იჯდა მომალე, პირხმელი ჭაბუკი, მექანიკურ სახელოსნოს მოწინავე ხარატი, რომლის პორტრეტი კარგა ხანი იყო გამოფენილი ქარხნის სამმართველოს წინ აღმართულ მოწინავეთა დაფაზე. მეტად სანდომიანი, მეტად მშვიდი და თანაც ნაზი ელფერი მისილი სახე ჰქონდა ამ ჭაბუკს. იგი ცალი მკლავით მაგიდას დაყრდნობოდა. ყურს უგდებდა საუბარს და თვალს არ აშორებდა გრიგოლ ამირანიძის თავს ზემოთ გადმომდგარ სტალინის სურათს.

— დიმიტრის როსტომის-მე ჭიბარი-შვილი.— მოესმა უცებ ფიჭრომარეულს, წამოიმართა, ისეთი გრძობა აჰყვა, თითქოს არა მხოლოდ გრიგოლ ამირანიძის, არამედ თვითონ სტალინის წინაშე წარმდგარიყოს თავისი ცხოვრების ამ დაუვიწყარ დღეს, პირადად სტალინისათვის გაესწორებინოს თვალი და თავის გულში ვერ ეპოვნოს რა ისეთი, რაც რითიმე შებღალავდა სტალინელის წმინდა სახელს.

— მე, ამხანაგო გრიგოლ, — ჩაილაპარაკა დიმიტრამ, — ერთი დიდი წადილი მაქვს და სიტყვას ვიდოვეი, რომ მის აუცილებლად შევასრულებ. საშუალო სასწავლებელი ხუთი წლის წინათ დავამთავრე. ჩემს ხელობას კარგად დავეუფლე, პარტიული განათლების კურსებზედაც არ ჩამოვრჩენილვარ. მაგრამ ეს ჩემთვის საკმაო არაა, უმადლესში უნდა შევიდო. წელს არიშში იხსნება მეტალურგული ინსტიტუტის ფილიალი. საამქროშიაც ვიმუშავებ და ინსტიტუტშიაც ვიმეცადინებ...

გრიგოლი ხედავდა, თუ როგორ წამოეგზნო სახე დიმიტრის, როგორ განათდა მისი სანდომიანი გამომეტყველება. ამ წამს განსაკუთრებით მოეწონა

იგი, იგრძნო, რომ ამ ნიჭიერი ჭაბუკის კეთილი ბუნება და მისწრაფებანი იყო სწორედ ის ნოყიერი მიწა, რომელზედაც აუცილებლად აღმოცენდება და გაიხარებს კომუნისზმის ყვაილი, უამრავი ადამიანის ოცნების შუქით განათებული.

— ეგ ძლიერ კარგია, ამხანაგო დიმიტრი. — თქვა ამირანიძემ. — სწავლა ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, განსაკუთრებული წყობის ადამიანისათვის, ის დაუმრეტელი წყაროა, რომელიც მუდამ გვასაზრდოებს, მუდამ წინ გვატარებს. რითი განვსხვავდებით ჩვენ ყველა ჯურის სკეპტიკოსებისა და პენსიონატებისაგან? იმით, რომ ვიცი, გვწამს: უსაზღვროა სამყარო. ასევე უსაზღვროა ადამიანის განვითარება, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა. ჩვენ ყველანი გულში ვატარებთ სტალინის სახელს, ჩვენი ოცნებაა ვიყოთ ისეთი, როგორიც ელენის და სტალინისა. ეს არის ახალი კაცობრიობის მწვერვალი, მისი მზიური დროშა.

კარგა ხანი გავიდა, რაც აქ წყნარად ისხდნენ გაიზნ დარჯანია და ვასო სიამაშვილი. მაგრამ მათ დროის მდინარება არ უგრძნიათ, რადგან ჯერ კიდევ ვერ დაემთავრებინათ თავიანთი ცხოვრების შეჯამება და იმ გზის გათვალისწინება, რომლითაც მათ უნდა ევლოთ, ეს იმას ჰკავდა, თითქოს სიყრმიდანვე შეუსვენებლად ვიღოდნენ, ზოგ შესახვევში მტკიცეული სიმძლევ განიკადეს, მაღალ ქედზე აღწიეს და აქ უცებ მეტად მდიდარი სანახაობა გადაიშალა, წარმტაცი, კიდევ უფრო ამამალლებელი. სანახაობა.

ამირანიძემ დაჩენილი პარტიული-თები აიღო, ხელში შეატრიალა, ერთ წამს ჩაფიქრდა.

— თქვენ, ამხანაგო ვასო, ამხანაგო გაიზნ, — თქვა მერე — ამჟამად ჩვენი ფრონტის პირველ რიგში დგახართ, ზეგ ქართული ფოლადი უნდა გამოუშვათ. მაგერა, რომ ამის უნარი შეგწევთ, მაგრამ მაინც წინასწარ აწონდაწონეთ ყველაფერი, რაც საჭიროა, წინასწარ მოამზადეთ, შეამოწმეთ ყველა დეტალი. ხომ იცით, მთელი საქართველოს თვალი ჩვენთან იქნება ამ საზეიმო დღეს.

ვასო წამოდგა, ტანადძლიერი, მხრებ-გამლილი; მის მოგრობა სახეს, კეხიან ცხვირსა და ღრვიან ნიკაპს მახვი-

ლი თვალების სხივოსნობა ამშვენებდა. საშუალო ტანის გაიოზი ვასოს მხარში ამოუდგა, ქერა სახე წამოუღვივდა.

— ჩვენ, ამხანაგო გრიგოლ, — მტკიცედ განაცხადა ვასომ: — უკვე გვაქვს საქმით გამოცდილება, სირცხვილს არა გვაქვს. მაგრამ მაინც პირველ დღეებში ჩვენთან იქნება, ხელმძღვანელობას გაგვიწვევს ჩვენი აღმზრდელი, სტალინ-გრადელი ოსტატი ანდრეი კუზმინა.

## VIII. წინა ღმე

ღრუბლიან-ბურუსიანი დილა გათენდა. მზე თითქოს ნაცრისფერ კვამლშია გახვეული. აღიდებული მტკვრის ნაპირებიდან გრილი ნიავი მოჰქროს. არშის ქუჩებში მანქანები ახმიაონდნენ. მშენებლობაზე მიმავალი მუშები გამოჩნდნენ.

ტელიგრაფის მავთულებზე მერცხლები ჰიკვიკობენ. ორსართულიანი სტანდარტული სახლების განაპირას ძალიან ბოძო აქაურობას დიდი ხნიდან შეჩვეული ყორნები სხედან, გიგონებთ, ჩაფიქრებულნი არიანო. გზებზე აქა-იქ მშვიდად დაგოგავენ მწყერჩიტები, ბანქანა, ან ადამიანი რომ ძალიან მიუახლოვდებთ, მხოლოდ მაშინ აფრინდებიან, მერე ისევ გზას მიუბრუნდებიან. ვერ შორდებიან თავიანთ მიდამოს, შეეგუენ განუწყვეტელ ხმაურსა და გრიალს.

დღეებს ჩველი ბავშვები საბავშვო ბაგაში მიჰყავთ; ერთ ვაჟიკაცს თავისი ქალ-ვაჟი მკლავზე დაუსვაძს, მიიჩქარის.

მშენებელთა ქუჩაზე, ლაღად გაფურჩქნეულ ხეივანში მოწაფეები ჩამწყრივდნენ, სკოლისაკენ გაემართნენ. ყავისფერი ხავერდის სამოსი აცვიათ, ზოგი თავშიშველაა, ზოგის ფეხსაცმელი ძალზე შეღახულია; ყველანი ჯანსაღად გამოიყურებიან, სახეზე მზე შოკიდებიან.

მოსახვევში მგზავრები ავტობუსს ელოდებიან, დიასახლისები ბაზრისაკენ მიიჩქარაან.

არიშში ამ გაზაფხულზე ყოველივეს ჩვეულებრივი მოვლენაა; ეს დილაც ისე იწყება, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყო. ნამდვილად კი ქარხნის ყველა საამქროში, თბოელექტროცენტრალში, წყალმიძობებ სადგურ-

— ჩინებულია! — თქვა ამირანიძემ და წამოდგა, ყველას თვალი მოაგლო, მეგობრულად გაუღიმა: — აი, ჩვენ აქ არიშის შეიდი ახალი მკვიდრი ვართ. ჩვენი ვალია, რომ სხვებთან ერთად მუდამ. ყველაფერში აქირ ახალ საზოგადოებას წინ მიუძღოდეთ.

ამის შემდეგ გრიგოლმა ყველას ხელი ჩამოართვა და პარტიის წევრობა მიულოცა.

ში, მშენებლობის სახელოსნოებსა და კომბინატებში, ხელმძღვანელთა კაბინეტებში. — ყველგან ახალი ნაკალი შეიჭრა, მცხუნეარე ნაკალი: მარტენის ლემელში ტეცხლი გუგუნებს! ხვალ დილისათვის ლემელის ფსკერი დადუღებული იქნება, ფოლადის დნობა დაიწყება!

ტარიელ ბარველიძე თავის კაბინეტში დიდხანს არ დარჩენილა, მიმდინარე საქმეებსა და მდივნის მიერ მიტანილ ქაღალდებს სწრაფად გადახედა, ზოგს ხელი მოაწერა, მერე ფიცხლად წამოდგა, ერთ წამს მაგიდასთან შეჩერდა, შინიდან გამოყოლილი მღელვარება განუახლდა. სახეზე თითქმის ჩრდილი დაეფინა.

იმ ღამეს მარინემ კვლავ იგრძნო ტკივილი. თეოლინემ განთიადისას ექიმში მოიყვანა. ტარიელი სამუშაო ოთახში გავიდა. მცირე ხნის შემდეგ ექიმმა ანუგეშა:

— საშიში არაფერია. ისე კი... ჰო, შესაძლოა ორი კვირით ან ათი დღით ვადაზე აღრე მოლოგინდეს. შეიძლება დღესვე დაიწყოს. მაგრამ ეს საშიში არაა, თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ...

ადელი სათქმელია, ჯავრი ნუ გაქვსო. მაგრამ... როგორ გამოაყოლა ამ დილას თვალი მარინემ! მისუსტებული, ფერგამკრთალი იყო. მაინც რა მხნედ უთხრა:

— წადი, არ დაგავიანდეს...

ნელინელ შეეცვალა ტარიელს პირქუში გამომეტყველება, ბაგები ღიმილმა გაუნათა, სახე დაუშშვეხდა. მყისვე მოწყდა ადგილს, ფართოფარფლიანი ქუდი დაიხურა, კაბინეტიდან გავიდა.

სპეცსამოსივით უბრალოდ შეკერილი კოსტუმი ეცვა, მოლისფერი; ორ ადგილას, ზურგსა და მხარზე, მანქანის ზე-

თი დაწვევებოდა. ფართო ლაქები აჩნდა.

საამქროების ზეღმართულ კედლებს გასცილდა და ყველაზე უწინ მარტენის კვამლსადენს გახედა. ძალიან ეამა, იქიდან მოთეთრო ბოლი რომ ამოდიოდა, სამხრეთისაკენ მიიწევდა, ცისიერში იფანტებოდა. მალე შეიცვლის ფერს ეს კვამლი, ისეთი გახდება, თითქოს ამტვერებულ ქანგს ალი შეენთო, ხანაც ღვინისფერად იწყებს იგი ლოვლივს. მაშინ ღუმელში უკვე კახში ჩაყრილი იქნება, ფოლადის დნობა იწარმოებს. რამდენი ჯათა იყო საჭირო, რამდენი რამ უნდა აშენებულყო ამ ნაპარტახე ველზე, რომ იმ მალალი მილიდან კვამლი ამოგრაგნილიყო!

იმ წამს კი არ მოსვლია ეს ფიქრად ტარიელს, მთელი მისი არსება ამ განცდით იყო შეპყრობილი და ძლიერად მიაბიჯებდა ტანადი, მხრებგამლალი, კაბუჯური ენერგიით აღსავსე.

გზის ორივე მხარეს მალალ არხებში უკვე გაყვანილი იყო ოთხკუთხად დაბეტონებული მსხვილი მილები; მიწაყრილები და ზვინულები გაესწორებინათ, ორმწკრივად დაერგოთ დიდრონი, თავწაჭრილი ხეები, რომელთაც ჯერ შეფოთვლა ვერ მოესწროთ.

ტარიელმა საგლინავ საამქროსკენ შეუხვია და, თუმცა მის თვალწინ, მისი უშუალო მონაწილობით გაეცოდა ყოველივე ის, რაც ახლა თვალწინ გადაეშალა, მაგრამ მაინც ისეთი მამებელი გრძნობა აღეძრა, თითქოს პირველად ხედავს. მართლაც, რას ჰგავდა აქაურობა სულ რაღაც ერთი თვის წინათ! რკინის ნაჭრებით, ქანგიანი მავთულეებით, სამშენებლო მასალებით, მანქანების ნაწილებით დაფარული ფართობი, ალაგ-ალაგ ორმოები და თხრილები, ზვინულები. ახლა კი საამქროს სამმართველოს ორსართულიანი, კოხტა შენობის წინ მშვენიერი ტერიტორია გაშლილა. მართალია, თავწაჭრილი ნერგები ჯერ არ დამშენებულან ნორჩი ფოთლებით, მაგრამ ტარიელი შიშველი ხეების ნაცვლად უკვე ლამაზად გაფურჩქვნილ ხეივნებს ხედავს. ეს წიწვიანი დეკორატიული მცენარეები კი უკვე მართლაც ისეთ შობილყოფილებას ქმნიან, ისე შეხამებთან აქაურობას, თითქოს ახალი სკოპრები როდი არიან, იმთავითვე აქ აღმოცენდნენ.

ეს საამქრო რომ ამუშავდებოდა, — გაივლო გუნებაში ტარიელმა, — მაშინ ყველა დაინახავს ჩვენს ქარხნის ძლიერებას, მანქანების სიმწყობრეს, ნაყოფიერებას.

საამქროს სამმართველოში არ შეუვლია, პირდაპირ ბლუმინგისაკენ გაემართა. რკინიგზის ლიანდაგი გადასჭრა.

აქ სამონტაჟო სამუშაო თითქმის დამთავრებული იყო. შემალღებულზე ვეება მასრებივით ჩამწკრივებული ლილვები პრიალებდნენ; კომპივით აღმართულ მთავარ დაზგაში ოპერატორების ხელსაწყობები და კონტროლიორები უკვე აეწყოთ; ბლუმინგის უამრავი ნაწილები ისე მოხდენილად ჩაჰკონებოდა ურთიერთს, თითქოს საცაა სულს მოითქვამს და ამოძრავდებოდა. მზესავით მოვარვარე ფოლადის ზოდების მიმოშინიდავი ხიდური ამწის მქიდეს პირი ნინავივით დაელო; ზოდი ჯერ არ ჩამოსხმულიყო, ხოლო ეს უკვე მოშვივებულივით ელოდა. რკინიგზის ლიანდაგის მიღმა, მდღობზე ზოდების გასახურებელი ქები სავსებით მზად იყო, ახლა მხოლოდ აპარატურის აწყობა მიმდინარეობდა.

მთელი ეს უზარმაზარი საამქრო იმდენად მექანიზებული იყო, რომ მომუშავე ადამიანებს ორიოდე დაზგის კომპურებასა და ხიდური ამწეების დიხურებში თუ დაინახავდით.

ტარიელმა მკარიე ხანი მემონტაჟეებთან დაჰყო, მერე ბლუმინგის სამანქანო დარბაზისაკენ დაეშვა.

საკმაო იყო შეგეხედათ ამ დარბაზში, რომ მყისვე გამსჭვალულიყავით უდესი მელტაცებითა და პატვისისკმით ადამიანის შემოქმედი გონებისადმი. თვალსა სჭრიდა ურთულესი მანქანის უამრავი მექანიზმი, ადამიანის დაუზმარებლად მოქმედი. საჭირო იყო მხოლოდ ელექტრო ენერგიის ჩართვა და შემდეგ მარტოოდენ ორი სპეციალისტის მეთვალყურეობა. რაკი ერთხელვე იწყებენ მოძრაობას, შემდეგ მანქანის ნაწილები თითონვე უწყვენ ურთიერთს კონტროლს. ხოლო თუ სადმე რაიმე საშიშროება შეიქმნება, მყისვე იძლევიან გამაფრთხილებელ ნიშანს.

გუშავმა ტარიელს სალაში მისცა, დარბაზის კარი გაუღო. ტარიელმა ნაცნობი ტექნიკოსის — სოსო გიგაშვილის ხმა გაიგონა, იგი ვილაცას ელაპარაკე-



ზოდა, მგონი მანქანის ნაწილების ურთიერთმოქმედებას უხსნიდა.

სოსომ ტარიელს თვალი მოჰკრა, უმაღლვე საუბარი შესწყვიტა და მას მიაშურა; მერე ისე შეჩერდა, თავი ისე დაუქრა, როგორც ეს ხელშეკრულების შეკვეთის უფროსის წინაშე.

ტარიელს თვალი შერჩა უცნობ ქაბუჯზე, რომელსაც სოსო ელაპარაკებოდა. ეს ახალგაზრდა კაცი თითქოს სადღაც უნახავს ტარიელს, თითქოს...

სოსო წაშვენი მიხვდა, რომ ტარიელს მისი ამხანაგის ვინაობა აინტერესებდა და მოკრძალებით განუმარტა:

— ეს, ამხანაგო ტარიელ, ჩემი ახლო მეგობარია. თბილისში ერთად ვსწავლობდით. მერე შე ტექნიკუმში მოვეწყვე, დავამთავრე და, როგორც მოგეხსენებათ, აქ დავეიწყე მუშაობა. ეგ კი, შეძლებული დედ-მამის შეილი არის, ფუფუნებაში ზრდიდნენ და ერთხანს, სტუდენტობის დროს, ცოტა არ იყოს, სიზარმაცე დასჩემდა, სწავლაში ჩამორჩა. მერე შემთხვევით აქ გამოიარა, მგონი ვიღაც ქალს მოჰყვა, მამის შეგვები და...

სოსომ თავის მეგობარს გახედა, სიტყვა შეუფერხდა, გააოცა მისმა გამომეტყველებამ: თავდახრილი იდგა იგი, დარცხვენილი, ისეთი ფერი დასდებოდა, თითქოს ნატრობს, ძიწა გასკდეს და თან ჩამიტანოსო.

შემდეგ სოსომ ტარიელს მიაპყრო თვალი და მყისვე დაეკვდა: ამათ შორის რაიმე ხომ არ მომხდარაო? მაინც გონებას უხმო და თხრობა განაგრძო:

— დიახ, იმას მოგახსენებდით, აქ შეხვდით და წარმოიდგინეთ, არიშმა ამ ჩემი მეგობრის ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა. აქ მოეწყო პრაქტიკაზე, — თქვენ იმ დროს დონბასში ბრძანდებოდით, — დარჩენილი საგნები ჩაბარა. ახლა სადიპლომო შრომას ამზადებს. ესკეც მომავალი არიშელა... მოიწი, კაცო, აჩეთ, გაეცანი ჩვენი ქარხნის ხელმძღვანელს!

თვალდახრილმა გაბომ ძლივს გადმოდგა ფეხი.

— გთხოვთ, იცნობდეთ, გაბომ ლარიძე გახლავთ.

ტარიელმა იმ ორიოდე წუთში, ვიდრე გაბოს ხელს გაუწვდიდა, ბევრი რამ განიცადა. უპირველეს ყოვლისა, როგორც კი იცნო გაბომ, უმაღლვე ნელი დაუდგა თვალწინ და სამინლად მძა-

ფრი ზიზღი აღეძრა; გარს თითქოს საძაგელი წუმბე შემოადგა, ცხვირების, მუხანათობის, სულიერი არარატობის წუმბე; ამ წუმბეში გველები დასრიალობენ, იშხამებიან; უქნარები მალლა ამოტეხტივებას ლამობენ, რომ სხვის ნაშრომს დაეუფლონ, სხვისი ნაამაგარი გაანაივონ. მერე მოჰყვნენ და იწუწუხონ ამაოებაზე, სიცოცხლის ხანმოკლეობაზე, სიამეთა წარმავლობაზე, იწუწუხონ და სხვებსაც შეაზარონ სიცოცხლე, ბედნიერება დაუზარდილონ, გაზაფხულის ყუავილობა შემოდგომის ქნობად მოაჩვენონ, ღორის ღინგით მიადგნენ კაცთა მიერ შექმნილ და მძულვარებით იმეორონ: „მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილათ“...

ამ ბნელეთიდან რომ ზეახედა და მისკენ დაძრულ გაბოს თვალი გუსწორა, პირველად პირი კინაღამ შეაბრუნა, რადგან ამ ყმაწვილსაც ხომ წილი მიუძღოდა მისი ოჯახის სიწმინდის შებლაღვაში, ესეც ხომ...

აქ უცებ თითქოს თვალი აეხილა ტარიელს, მოახლოვებულ გაბოს დააკვირდა და მასში სულ სხვა ადამიანი აღმოაჩინა. სადღაც ყალბი არისტოკრატული პრანკვა-გრეხით თავმომწონე უქნარა, ქარაფმუტა ლაველასი, რომელიც ისე საზიზღრად აღიბეჭდა ოდესღაც ტარიელის ხსოვნაში! ეს დაკაცებულა, გონიერებისა და შრომის მადლით დამშვევებულა! ეს ზევით ამოდის, შორდება იმ წუმბეს. ამას ტარიელმა ხელი უნდა გაუწოდოს, დაეხმაროს, წინსვლა გაუადვილოს.

ამ ფიქრმა ოდნავ შესამჩნევი ღიმილი მოჰგვარა ტარიელს; ჯერ ამ ღიმილში თითქოს რალაცა მწარე გრძნობა გამოკრთა, მაგრამ მყისვე განათდა იგი და ტარიელს სახე დაუშმევნდა; დარცხვენილ გაბოსაკენ ნაბიჯი გადადგა და მხარზე ხელი დაადო.

— ძალიან მოხარული ვარ, ძალიან, აქ რომ გხვდავთ! — უბრალოდ, ძმურად უთხრა ტარიელმა. მის ხმაში არც მედიდური კილო ელერდა, არც მფარველური, იგი წრფელი გრძნობით სავსე გულიდან იყო დაძრული, უშუალო და უნაგარო, როგორც დილის მზის სხივი.

სწორედ ასე შეიგრძნო ტარიელის მოპყრობა გაბომ, ამაღლდა, გამხნევდა, თანაც ისეთი სითბო შემოეფინა, თით-

ქოს ვინმესთან ასეთი გულითადი ურთიერთობა თავის სიცოცხლეში არასოდეს არ განეცადოს. ეს იმდენად ღრმად განცდა იყო, რომ მისი სიტყვით გამოთქმა ვერ შესძლო, მხოლოდ მკრთომარედ ახედა ტარიელს და მღელვარედ ჩილაპარაკა:

— გამაღობთ.

შემდეგ, როცა საგლინავ საამქროს მაღალ და ფართო კარებში გავიდა ტარიელი, ერთხანს გაოგნებულებით მიდიოდა, მერე თანდათან დაეწმინდა გუნება და მიხვდა, რომ დიდი რამ შეიძინა. თავისთავად ეს შენაძენი საჩინო არ იყო, მას ხელს ვერ შეავლებდი, მაგრამ იგი მეტად დიდი რამ იყო, უფრო ძვირფასი, ვიდრე ყოველგვარი ქონება; სიმდიდრე შეიძლება განაიკედეს, ეს კი, ეს წმინდა ნათელი ოქროს ძეწკვავით რომ ელვარებს და ადამიანთა გულებს აკავშირებს, არასოდეს არ ჩაქრება, ხე-აღმავედ თაობებს შეეჩსოვება.

ნაბიჯს აუჩქარა ტარიელმა, ალტაცებით მიმოიხედა; ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს ყველაფერი, რაც მის გარშემო იყო, — აი, ეს მაღალი ჩონჩხედები, ეს ახალთახალი კორპუსები, კაუბერები და ბრძმედების საფუძვლები, თბოლექტროსადგური და წყალსაწმენდი აუზები, აგერ ღია ვავონებზე დადგმული ყალიბები, რომლებიც ხვალ მღელვარე ფოლადით აივსება, ეს შავნეტური ამწე და მძლავრად ზეადმართული მარტენის საამქრო, და არა მარტო ეს, არამედ აგერ ის ძველი ტყეც. სადაც ოდესღაც თვითონ რუსთაველს უნადირნია, აგერ ის აწმინდებული სერებიც, რომელნიც მრავალჯის მორწყულან სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟაკათა სისხლით, — რომ ყველაფერი ეს მისი ცხოვრების ნაწილი იყო, განუყოფელი, გამაერთიანებელი ნაწილი.

ამ განწყობილებამ ფრთა შეასხა ტარიელს, ჩქარი ნაბიჯით აიარა მაღალი კიბე და მარტენის საამქროს უფროსის კაბინეტის კარი შეაღო.

აქ უკვე ტელეფონთან იჯდა ქარხნის მთავარი ინჟინერი ვასილ კავკასიძე და ვილკას გაცხარებით ელაპარაკებოდა. ფართო, თეთრი სახე წამოგზნებულად ვასილს, დაწვები ვარდივით უღალაქებდა, მოკუმულ ტუჩებსა და ანთებულ თვალბეჭებში კი გონების დაძაბვა ეჩნებოდა.

ტარიელს აღმაცერად გახედა ვასილმა, თავი დაუკრა და განაგრძო:

— არ გრცხვენია? ასე ზრუნავ შენ პირველ ფოლადზე? როგორ თუ ვერ დასძლეე? გადი კაბინეტიდან, საქმეს პირადად უხელმძღვანელე!

თქვა ეს და ტელეფონის მილი გულმოსულად დადო ვასილმა, მერე ტარიელს მიმართა:

— გაგონილა! ხვალ ტოლადი უნდა გამოეუშვათ და ახლა ამბობს, არ ხერხდებაო!..

ამ წინა დღეს, როცა უკანასკნელი წლის დაძაბული მუშაობა უნდა დაგვირგვინებულყო, როცა უამრავი რამ წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ფოლადის გამოშვება არ დაბრკოლებულიყო, — ცოტად თუ ბევრად ყველა ღელავდა.

თვითონ ტარიელიც, მიუხედავად თავისი მტკიცე ნებისყოფისა, მიუხედავად იმ შინაგანი რწმენისა, რომელიც მას ყოველ საქმეში გზას უნათებდა, თვითონ ტარიელიც თავისდაუნებლიეთ აიყვლია მღელვარებაში. მართალია, ყველაფერი თითქმის მზადაა, მექანიზმები შემოწმებულია, მარტენის მოწყობილობანი კარგად მოქმედობენ, კაზმის აკრება და მიწოდება მოწყობილია, ციხვი, ყალიბი, სამსხელო ამწე რამდენჯერამე დაათვალიერა, ყველა მუშაკს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, მაგრამ ფოლადის პირველად გამოშვებასთან იმდენი რამაა დაკავშირებული, რომ შეიძლება რაიმე გამორჩეს და ამ საზეიმო დღეს საქმე სამარცხვინოდ შეფერხდეს. ამიტომ ტარიელისათვის სავსებით ვასაგები და თანაც საამო იყო, მთავარი ინჟინერი რომ ასე მგზნებარედ განიკდიდა ყოველ წერილმანს, საოცარი სისწრაფით გადადიოდა საქმიდან საქმეზე. არა ერთი და ორი ოუმელონი ამუშავებისას ყოფილა ხელმძღვანელად ეს ღვაწლმოსილი მეტალორგი, რომელშიაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ჰაბუტური ტემპერამენტი კვლავ ძაღლმად სჩქედს; მაგრამ აქ, არიშში, ის მეტად რთული მეტალორგიული ჯარხანა თითქოს მისი უმცროსი შვილი იყო და ამიტომ არ გაემტყუნებოდა ესოდენ ქარბი მზრუნველობა და სათუთი სიყვარული. რამდენჯერ უთქვამს ვასილს: ეს ჩემი დიდი ბედნიერობაა, რომ მშობელი ჩიკყინის ამ გავერანებოლა, ქუთხის აღორძინებაში მეც წილი მიმიძღვისო.

იქვე, სამუშაო მაგიდასთან იჯდა მაღალი, ტანადი ინჟინერი, ჰარტენის საამქროს უფროსი სამსონ ვანიძე; იგი დინჯად ფურცლავდა მიმდინარე ქაღალდებს, ხელს აწერდა, მხოლოდ ხანდახან მიაპყრობდა ყურს კავკასიის ცხარე მსჯელობას, საქმეს კი არ მოცდებოდა; არავითარი ფუსფუსი, არც მღელვარება მას არ ემჩნეოდა; ხანდახან ღმილი თუ მოერკოდა და თეთრი კბილები გამოუჩნდებოდა, მაშინ მეტად მიმზიდველი მაღლი დაამშვენებდა მის ფართო შუბლს, გონიერ თვალებს, მაღალ ცხვირსა და ვიწრო ნიკაპს.

აგერ უკვე მთელი თვეა, საწოლი თავის კაბინეტში უდგას სამსონ ვანიძეს, დღეღამე სამპროშია, ყოველ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობს, ხელოვნური დღისათვის სამზადისიც პირველ რიგში მას ეხება, მაგრამ დალილობა, ან მკირეოდენი ნერვიულობა სრულიად არ ემჩნევა. რა პირობებშია არ უნდა ახსოვთ იგი, უშაღვე იგრძნობთ, რომ ძნელად თუ რამე დაარღვევს ამ მთავარი მეფოლადის სულიერ წონასწორობას.

ეს მისი კაბინეტიც, ეს ცისფრად შეღებილი კედლები, აქა-იქ მუქლურჯად შეფოთილი, აღმოსაალეთისაკენ მიპყრობილ ფანჯრებიდან მჩინარე ქარხნის ნაწილები და მშენებლობანი, ხოლო შორს — ბურუსში გახვეული მთები, — ყოველივე ეს რაღაც თავისებური სიმშვიდით ეგებება მიმსვლელს.

— მომეცით მორიგი დისპეტჩერი! — განაგრძობდა ტელეფონით ლაპარაკს მთავარი ინჟინერი: — ჰო, გესმის?... ხელ ფოლადის დაბადების დღეა და თქვენ ასე მოდუნებულად მუშაობთ? რკინიგზის საამქრო არქიბიუროკრატიულად იქცევა...

ამასობაში კაბინეტში შემოდინს სხვადასხვა უბნის ხელმძღვანელი ინჟინრები, მეტალურგები და მექანიკოსები, ტარიელი, ვასილ კავკასიძესა და სამსონ ვანიძეს ცნობებს აწვდიან, ეთათბირებინ, აღმოჩენილ დაბრკოლებათა დასაძლევადაც საქირო ღონისძიებებს ითვალისწინებენ.

ბოლოს, როცა ტარიელი და მთავარი ინჟინერი გრძელ ხილზე გავიდნენ და მარტენის საამქროსაკენ გაემართნენ, ცა უკვე საცხობით მოწმენდილი იყო, გაზაფხულის მზე ზენიტს უახლოვდებოდა, მთელი გარემო, — ქარხნის ნაწილები,

რკინაბეტონის მაღალი კედლები, რკინიგზის ლინდაგები, ორთქლქაველები და ლია ვაგონები, შორს, არხის ნაკირებზე ფართოდ ტრტებდასლონი ვერხვები, მტკვრის გლმა აღმართული მწვანე სერები და თიხისფერი ფლატეები, — მთელი ეს გარემო საამოდ მბზინვარე შექში იყო გახვეული, ყველაფერი ისე თინათინობდა, გეგონებოდათ, გამკვირვალე ლაქვარდიან მოალერსე ნათელი იღვრებოთ, ხელმარცხნივ კი, დაბალი გორების გასწვრივ, თეთრი იასამნისფერი ღრუბლების ქარავანი დაძრულიყო და ტაატით მინარხარობდა სამხრეთისაკენ.

ტარიელი და ვასილ კავკასიძე იმდენად შეპყრობილი იყვნენ საღლეოს საქმეებზე ზრუნვით, რომ გარემოს მხოლოდ გაკვრით მოაელეს თვალი, მაგრამ გაზაფხულის ცხოველი მშენიერება მაინც შეიგრძნეს, ერთის წამით შეჩერდნენ და თვალი მოაელეს, თუ როგორ რთავდნენ პლაკტებით მარტენის წინამოს ზვალისდელი ზეიმისათვის. მაღალ კორპუსის თავზე, სადაც კამარასავით იყო ჩაგრებილი: „მივსცეთ სამშობლოს ქართული ფოლადი“, ახლა გაფენილი იყო ვარჯისფერი ლენტე, რომელზედაც დიდრონი ასოებით ეწერა:

„დიდება დიდ სტალინს“.

ხოლო თვით საამქროში სულ რაღაც ორი კვირის წინათ მემონტაჟენი და ლუმელის მშენებლები მუშაობდნენ, საქაპახო ტრანსპორანტი სრიალებდა, ჩამტვირთავი მანქანის აწყობა მთავრდებოდა, მარტენის ცალკეული ნაწილები ჯერ კიდევ ურთიერთთან დაკავშირებული არ იყვნენ; დღეს კი მიახლოებისთანავე მოესმათ ტარიელსა და ვასილ კავკასიძეს ცეცხლოვანი სიცოცხლის დაბადების მაუწყებელი გაბმული ჩქრაილი. ეს გამაგრილებელი მიღებიდან მომდინარე ჩანჩქერის ხმა იყო, თვით ლუმელში კი ალი გუგუნებდა, ხუთივე კარს ტალღა ტალღაზე აწყდებოდა.

ჯერ ეს მხოლოდ პირველი ლუმელი იყო მზად, მეორეც მალე ამუშავდებოდა, ხოლო მესამესა და მეოთხეს მარტოოდენ სამარკველი და ევება ჩარჩოები ჰქონდათ ამოყვანილი.

ტარიელი რკინის კბით ქვედა საართულში ჩაიღია, საგანგებო ვაგონებზე აღმართული ყალიბები დაათვალიერა, იქ მომუშავე ოსტატებს გაესაუბრა.

აქაც ყველაფერი მზად იყო ზვალინდელი დონისათვის, მაგრამ ტარიელი მაინც ერთხელ კიდევ ამოწმებდა, გულს აჯერებდა. ბოლოს მაღალი სვეტების მახლობლად დაწყობილ ცეცხლგამძლე აგურებთან შეუხვია და მუშათა სასადილოსაკენ გასწია.

ყოველ ახალ საქმეს თან სდევს ხოლმე ენა თუ ის სიძნელე; მეტადრე ეს მოსალოდნელი იყო არიშის დიდი ქარხნისა და მთელი ახალი ქალაქის მშენებლობის დროს. მაგრამ ტარიელი ყველაზე მეტ ნაყლს ზედვდა მშენებლობის, ახალგაზრდა ოსტატებისა და ინჟინერთექნიკოსების სურსათ-სანოვავით მომარაგების საქმეში. არიშს ახლომახლო სრ აკრავდა ხშირი სოფლები, შორეულები კი აქ მოსვლას ჯერ დაჩვეულები არ იყვნენ, ამიტომ აქაურ ბაზარზე წყრილ გადაწყიდველს უფრო ხშირად ნახავდით, ვიდრე თვისი საქონლით მოსულ კოლმეურნეს. არიშის ყოველ კუთხეში შეგზვდებოდათ პატარ-პატარა ფარდული, სადაც ლუღსა ჰყიდნენ. ხოლო კეთილმოწყობილ სასადილოს თითქმის იშვიათად იპოვიდით.

ტარიელმა კარგად იცოდა, რომ დღეს თუ არა, ზვალ ამ ნაყლს უთუოდ გამოასწორებდნენ, მაგრამ მაინც ვერ შერიგებოდა; თვალწინ ედგა დონბასის ქარხნის მუშათა სასადილოები, იქაური სიუხვე, სისუფთავე და აქაურს რომ აღარებდა, ჯავრი მოსდიოდა.

აი, ზვალ საზეიმო დღეა, აბა ვნახო, როგორ ემზადებიან, როგორ უმასპინძლებიან ჩვენს მეფოლადეებსო, უაიფიქრა ტარიელმა და სასადილოს კართან შეჩერდა.

სწორედ სადილობის ეამი იყო.

იქნებ წინასწარ აღებული აზრით მოვიდა ტარიელი და იმიტომ არ მოეწონა, რაც იმ წამს თვალწინ წარმოუდგა?

არა, ეს იმაზე უარესი იყო, რასაც აქ მოსვლამდე გულისხმობდა. მეტად ახლო-ახლო მიდგმულ პატარა მაგიდებთან მსხდარ მეტალურგებს სახეებზე მხოლოდ ერთი გამომეტყველება აღბეჭდოდათ: როგორმე მალე დავნაყრდეთ და აქაურობას გავეშორდეთო.

ტარიელს სახე მოეღრუბლა, ისეთ გუნებაზე დადგა, თითქოს ვიღაცამ პირადად მას მოაყენა მწვავე შეურაცხყოფა. რას ჰგავს ეს, ნუთუ არ შეგვიძლია, გულუხვად, ფაქიზად მივაწოდოთ ჩვენს

ახალგაზრდა ოსტატებს, ჩვენს ინჟინერთექნიკოსებს ყოველივე ის, რაც უკვე საკმაოდ მოგვეპოვება?

გაიფიქრა ეს და სასადილოში შევიდა, ბუფეტის მახლობლად გაჩერდა.

ახალგაზრდებმა, რომლებიც იმ კუთხეში იხსდნენ მაგიდასთან, ტარიელი იცინეს, რამდენიმე კაცი წამოიმართა, რომ უფროსისათვის სალაში მიეცა, მაგრამ ტარიელს მათი მოძრაობა არ შეუნიშნავს, ბუფეტთან შეჯგუფულ ხალხს მისჩერებოდა. ოფიციალტი ქალებიც კი რიგში იდგნენ ურთიერთს მიხუტებულნი.

— რას ყიდულობთ? — შეეკითხა ტარიელი თეთრწინსაფარიან ოფიციალტს.

— პურს.

— სხვებიც პურისთვის დგანან?

— დიას.

— მერე და. ვანა არ შეიძლებოდა, რომ პური წინასწარ დაგემზადებიათ და თქვენ თვითონ მიგეტანათ კერძთან ერთად მომხმარებლისათვის?

— როგორ არა, ჩვენც მაგას ვამბობთ, ასეა ყველგან, მაგრამ რატომღაც სასადილოს გამგემ და მებუფეტემ არ ისურვეს.

— ვინაა სასადილოს გამგე?

— თელო კორფაძე.

— ვინაა? — კვლავ იკითხა ტარიელმა, მოჭატულ თვალთაგან მრისხანების ნაპერწკლები გადმოცვივდა.

— ნუთუ არ იცნობთ თელო კორფაძეს?! — გაუკვირდა ოფიციალტს, — წინათ მშენებლობის რომელღაც კომბინატში მსახურობდა, ახლა მუშათა სასადილოებს განაგებს.

ტარიელი უსიტყვოდ შეტრიალდა, არ მიუხედმოუხედავს, გარეთ ისე გავიდა. გულს ბოლში შემოაწვა. ერთად იფეთქა მის არსებაში დაგროვილმა სიბუღეილმა ყველა ჯურის მენამცეცეებისა და მეთავისებების მიმართ.

მიდიოდა და ყურში ჩასწივოდა ოფიციალტის სიტყვები: ნუთუ არ იცნობთ თელო კორფაძეს?

ჰმ. დროა, დრო. საეცებით უნდა აღიგაოს მაგ მედუნეების, სულით ვაჭრების ჯილაგი! ხედავ, სად მოძვრებანა? ჩვენ რა სიმაღლეზე ავდივართ, ესენი კი მაინც მოცოცავენ; ქაობს რომ ქარი დაუბერავს და კოლოებს ზეაიბატებს, ისე მოგვდევენ, იშხამებიან...

ქარხნის სამმართველოსთან ტარიელს ნიკოლოზ პაპოლოვი შეხვდა, კაბინეტში ერთად ავიდნენ.

უკლები თმა უფრო მეტად შეფერ-  
ფლოდა ნიკოლოზს, საესე სახეზე ოდ-  
ნაე შესამჩნევი ნაოკები გასჩენოდა,  
ღრმად ჩამკლარი ცისფერი თვალები კი  
ისევე ისე ცოცხლად გამოიყურებოდა.  
დალილობას ვერ შეამჩნევდით, ვერც  
მცირეოდენ მოდუნებას, ძალიან ბევრს  
კი მუშაობდა. ფოლადის მავთულიანი  
ბეტონის მილების საქმე უკვე სავსებით  
მოგვარებული იყო. ახალი ქარხნის  
პროექტიც უკვე წარდგენილი ჰქონ-  
დათ სამინისტროში დასამტკიცებლად.

— რალაც უქმყოფილება გეშინე-  
ვით, — მიმართა ნიკოლოზმა ტარი-  
ელს, — მარინა სერგეევნა თავს როგო-  
რა გრძნობს?

ტარიელი თითქოს შეკრთაო, ისე მი-  
ხედა ნიკოლოზს. გაუკვირდა, დილას  
აქეთ საქმემ იმდენად გაიტაცა, რომ მა-  
რინეს ამბავი არ უკითხავს.

— მაპატიეთ, ნიკოლაი პეტროვიჩ, —  
ჩაილაპარაკა ტარიელმა და ტელეფონის  
მილი აიღო.

— დედა, მარინა როგორაა?... აჰ?...  
ჰო, კარგი, კარგი!

ტელეფონის მილი დადო ტარიელმა,  
ნიკოლოზს თვალი გაუსწორა, ეტუობო-  
და, თავს ძალა დაატანა და გაიღიმა.

— ვმადლობთ, ნიკოლაი პეტროვიჩ.  
დედა ამბობს, ჯერ საშინი არაფე-  
რიათ... დაბრძანდით. კარგ ღროს შეგ-  
ხედით. სწორედ თქვენზე ვფიქრობდი.  
გახსოვთ, ერთხელ, კარგა ხნის წინათ,  
თქვენ ლაპარაკობდით ველური გრძნო-  
ბით შეპყრობილ პირებზე, რომელნიც  
იმას ცდილობენ, თუ სად რას გამო-  
რჩინენ, სად რა მიითვისონ. თქვენ მა-  
შინ მხედველობაში თედო კორფაძე  
გყავდათ...

ნიკოლოზმა თმაზე ხელი გადაისვა.  
შუბლი შეიკრა, მერე რალაც მოაგონდა  
და მწარედ გაელიმა.

— იცით რა, — განაგრძობდა ტარიე-  
ლი, — მხოლოდ ის კი არაა მთავარი,  
თუ თეორიულად რას მიწვედა ადამიანი,  
რა მიზანი ღიასახა. მთავარი ამასთან  
ერთად ისაა, თუ რა შეიძისხლბორცა,  
რა ჩაინერგა ისე ცხოვლად, რომ არა  
მარტო თვითონ, არამედ ყველა მისი  
მახლობელიც მასთან ერთად ეწაფებო-  
დეს ახალი ცხოვრების წყაროს... მგო-  
ნი, კარგად ვერ ვთქვი. ე. ი. ჩვენ უკვე  
იმდენი ძალა გავჯანხია, რომ ჩვენს გვე-  
რდით, ჩვენს გზაზე რაიმე უხამსობა  
ვერავინ ვერ უნდა გაბედოს. რაზე ვამ-

ბობ ამას? აგერ მუშათა სასაღილოში  
შევიარე. დასვენების დროს ახალგა-  
ზრდა ოსტატები ბუფეტთან პურის სა-  
ყიდლად რიგში იდგნენ, ელოდნენ, მა-  
მონდა? განა პური ჩვენ საქმეა არა  
გვაქვს? მერე ვინ ჰქმნის ამ რიგს, ვინ  
არ აძლევს ჩვენს მუშაკებს კულტურუ-  
ლად დასვენების შესაძლებლობას? იგი-  
ვე თედო კორფაძე და მისი მსგავსი მე-  
ნამცეცეები. მახსოვს, თქვენ მაშინ კარ-  
გად თქვით, ჩვენ ახლა კომუნისმის დიდ  
გზაზე ვართ გამოძული და ვერავითარ  
სიმახინჯეს ხელს ვერ დავაფარებთო...

ნიკოლოზ პავლოვი აღგა, გაიარ-გა-  
მოიარა, მერე ტარიელს მიეახლა. კეთი-  
ლი დღილით თქვა:

— კარგია, კარგი, ძვირფასო მეგობა-  
რო, რომ ამ საკითხს ასე მტკივნეულად  
განიცდით. მართალია, წერილმანია ეგ.  
მაგრამ კაცის ცხოვრების საგრძნობი  
ნაწილი ასეთი წერილმანებისაგან შედ-  
გება. ჩვენ აქ ბევრი ნაკლი გვაქვს, ქა-  
ლაქის მშენებლობა ჩამორჩა ქარხანას.  
ეს ძალიან აუფერულებს ჩვენი მშენე-  
ბლების, ჩვენი ქარხნის მუშაკების ყო-  
ფაცხოვრებას. თქმა არ უნდა, ამ ჩამო-  
რჩენას ჩვენ მალე გამოვასწორებთ.  
მაგრამ მანამდის გზადაგზა მხედველობა  
უნდა გავამახვილოთ და არავითარი გა-  
საქანი არ უნდა მივცეთ არა მარტო  
კორფაძეს, არამედ ყველა მის მსგავს  
გაიძვერას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ  
ადამიანი ოდესღაც ველური იყო...

ნიკოლოზი ერთ წამს ჩაფიქრდა, თვა-  
ლი სივრცეს მიაპყრო, სახეზე მრისხა-  
ნება აღებუჭდა.

— ჰო, ამ ველურებს, — განაგრძო  
მერე, — ახლაც ჰყავთ თავიანთი ღირსე-  
ული წარმომადგენლები ბურჯუაზიულ  
ქვეყნებში. აბა, წარმოიდგინეთ რომე-  
ლიმე ამერიკელი მილიარდერი, რომე-  
ლიც ატომური ყუმბარებით მილიონობ-  
ნით ადამიანების გაკლერბაზე ოცნებობს,  
რომ მეტი სიმდიდრე მოიხეჭვოს. მარ-  
თალია, იგი ტყეში არ დაძრწის მაიმუ-  
ნივით, ბურჯუაზიული ცივილიზაციის  
მწვერვალზე იმყოფება, მდიდრულად  
მორთულ დარბაზებში განისვენებს, მა-  
გრამ თავისი სულიერი სამყაროთი იგი  
ნამდვილი ზარბაზოსი, კიდევ მეტი, ნა-  
მდვილი კაციჰამია არ არის? აი, ასე გა-  
მძლია ველურობის ინსტინქტი. ამ ინს-  
ტინქტს საბჭოთა ქვეყანაში გამოეცალა  
დასაყრდენი. ხოლო თუ სადმე დაბო-  
რიალობს რომელიმე კორფაძის სახით,

ჩვენ მას ისე მოვსპობთ, როგორც ჰაობის კოლოს...

ტარიელს სახე ღიმილმა დაუშვენია, მეგობარს თვალი შეანათა და მხიარულად თქვა:

— ეგ შედარება წელან მეც მომივიდა თავში. ზომ გახსოვთ, ორიოდ წლის წინათ არიშში როგორ გავრცელებული იყო ციებ-ცხელება? პირველად მშენებლებმა რომ აქ კარები დაიღვეს, ზაფხულობით გველების ემინოდათ, კოლოებისაგან მოსვენება არა ჰქონდათ. წელს კი მალარიის თითქმის ერთი შემთხვევაც არა ყოფილა...

— დიდებულია, ამოშრა ჰაობი და კოლოც მოისპო! — განაგრძო ნიკოლოზმა. — ასე ამოვაშრობთ, მზის სხივებს მოაფენთ ჩვენ იმ ნიადავს, რომელიც კორფაძეებისთანა მენამცეცე-საქმოსნებს ჯერ კვლავ ასაზრდოებს! მერე კიდევ, ჩვენ აქ ბევრნი ვართ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ჩვეი მუდამ გულში უნდა გვიღვივოდეს ჩვენი ბელადის სიტყვები, რომ არ შეიძლება ქვეშაირიტი კომუნისტი ვუწოდოთ ასეთ კაცს, რომელიც თავისი სპეციალობის იქით არ იხედება, მთელი საზოგადოების, მთელი თავისი ქვეყნის ბედ-იღბალს ცხოველი ინტერესით არ ეკადება. აი, ზვალ ქართული ფოლადის პირველი ნაკადი იღლებს. განა საქმე მარტოდენ ისაა, თუ როგორი ხარისხის ექნება ეს ფოლადი? არა, საქმე ისაა, რომ რგი, ეს ახალი ფოლადი, მთელი ჩვენი საქმობლოს ძლევაში ისელებს შემაღვენილი ნაწილია...



ძალიან გამოცდილ მელასაც კი სიმუნაგე წასძლევს და ზაფანგში ფეხი ჩაუვარდება. თედო კორფაძესაც ასე მოუვიდა. იმ დღეს კარგ გუნებაზე იყო, რამდენიმე „საჭირო კაცი“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, მთავარი სასაიდლოს ცალკე კაბინეტში მიიწვია, გულუხვად გაუმასპინძლა. შეზარხოშდნენ. თედო თვითონვე ტკებოდა თავისი მჭევრმეტყველობით...

უცებ, სრულიად მოულოდნელად, მუშათა კონტროლი, რევიზია...

ჰოდა, აგერ, სულ რაღაც ორიოდ დღე გავიდა და კორფაძე საბრალმდებლო სკამზე ზის.

სახალხო სასამართლოს დარბაზში სხედს არიშის მცხოვრებლები, მშენებლები, მეტალურგები, მშენებლები.

სასამართლოს თავმჯდომარეს მჭერ-მრგაელ, შავთვალწარბა, შავთმიან ვაეკაცს, ხელმარგენივ სავსებით ჰალარა ინჟინერი ქალი უზის, ხოლო ხელმარცხნივ — სამაშულო ომის ჭარბეცხლში გამოვლილი, მალალი, ჭერა კედლაგვი.

კორფაძეს თავი ისე უჭირავს, თითქოს მისთვის დაუშვასხურებელი შეურაცხყოფა მიეყენებინოთ და სავსებით შეუფერებელ ადგილზე მოეთავსებინოთ. მოსამართლის შეკითხვებზე უტიფრად პასუხობს, ხანდახან საქმიანი კაცის გამომეტყველებას იღებს, თავი დიდ მცოდნედ მოაქვს, ცდილობს ჩააგონოს მოსამართლეებსა და დამსწრეთ, რომ ზოგ რამეში მას უფრო მეტი დაეჯერება, ვიდრე მუშათა კონტროლის გამოუცდილ მონაწილეებსა და რევზორებს. ხან კი თავს მოისაწყულებს, მიამიტად ჩაფიქრდება, ისე გამოიყურება, თითქოს მსაჯულთ და დამსწრე საზოგადოებას ეკითხება გოცეხული: ნუთუ მე ასეთი რამ შემემთხვაო!

მოსამართლენი სათათბიროდ გავიდნენ.

თედომ დარბაზში მყოფთ თვალი მოაელო. არასოდეს თავის სიცოცხლეში ასეთი მარტოობა არ უგრძენია. მოეჩვენა, თითქოს მოაჯირს მიღმა მყოფ ხალხსა და მას შორის საშინელი უფსკრული გაითხარა. ვერც ერთი ადამიანის სახეზე ვერ ამოკითხა მისდამი გულითაღი თანაგრძნობა.

ასე ყოფილა, მწარედ დაასვენა თედომ, თუ გაგივირდა, კაცი არ მოგხედავს, ვის რად უნდისარ. ცხოვრებაში მხოლოდ ის იმარჯვებს, ვისაც გამომგამობრომა შეუძლია. თუ ფეხი დაგეცდა, მორჩა. ამა სად არიან ახლა ისინი, ვისთანაც დრო უტარებია, ვისთვისაც თავისი გულის ზრანვა გაუზიარებია?... „ცეცხლად შეგერგოთ, ცეცხლად, რაც მე თქვენთვის პატივი მიცია!“ გაივლო გუნებაში თედომ და ყელში ბოლმა მოაწვია, ნერწყვი ძლივს გადაყალბა.

მოსამართლენი შემოვიდნენ. ყველანი აღდგნენ. თავმჯდომარე განაჩენის კითხვას შეუდგა.

კორფაძე სმენად იქცა: გულში იმდამა გაუიღვა. იქნებ პირობითი სასჯელი ზომცენო, მაინც რა დაუმტკიცდა? რაღაც ორიმოციოდ ათასი მანეთი შემოე-

ხარჯა. მარტო მისი ბრალი ხომ არაა, მუშათა სასაღილოში რომ საქმე წესიერად ვერაა დაყენებული...

— ანაზღად, თითქოს ციციხლად აქცა და გარს შემოენთო განაჩენის სიტყვები:

— ...მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა და შრომა-გასწორების ბანაკში მოათესება შეიდი წლით...

### IX. ახალ სამკვიდრებელში

იმ ღამეს ვასო სიამაშეილს ერთხანს არ დაეძინა. გაღურსული იწევა, ფანჯარაში ეხოვან შემომავალ შუქს მისჩერებოდა; ხანდახან თვალს დახუჭავდა, იქნება ჩავსთვლიმოო, მაგრამ ფაქრი მაინც ფიქრს იწვევდა, აავისდაუნებურად მიაპყრობდა მზერას სინათლის ლივლივს, თითქოს იგი მარტენის ღუმელიდან ნაფეთქი ალი ყოფილიყოს.

რა აღელვებს? იქნებ ბედშვიი ნატაშა მოაგონდა და გული ჩვეულმა ნაღველმა აუკვნესა? იქნებ ოქროსკულულენიანი ასია ენატრება, მისი ხმის გავონება სწყურია? ან არა და, იქნებ რუსი-კო უხმობს იღუმლად, რწმენადქცეული სიყვარულის ძალით იზიდავს, თანაც აღერსიანად ეკითხება: წასაყვანად როდის ჩამოხვალო?

არა, არც ერთი და არც მეორე. გათენდება თუ არა, ღუმელში კაშმის ჩატვირთვის უნდა შეუდგნენ, დღის ხუთ საათზე ფოლადი უნდა გამოუშვან. ამ დროისათვის მარტენის საამქროში თავს მოიყრიან ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წარმომადგენელნი, მეცნიერ მუშაკები, მწერლები, მთელი საქართველოს თვალნი იქ იქნება. საქალაქო კომიტეტის მდივანმა ყველანი და მათ შორის ვასოც, როგორც პირველი მეფოლადე, გააფრთხილა, ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინეთ, რომ ამ საზეიმო დღეს სირცხვილი არ ეკამოთო.

ჰოდა, წევს ახლა ვასო, ძალიან უნდა მალე ჩაეძინოს, მაგრამ სინათლეს თვალს ვერ ამორებს, თითქოს გაგანია ღუმელში იმზირება და მდუღარე წიდის მოლურჯო ზვირთებს აკვირდება. მახლობლად, მეორე საწოლზე ანდრეი კუზმინმა თვალნი უკვე მოატყუა, თავი ამწია და ვასოს სუნთქვას ყური მიაპყრო, — სძინავს თუ არაო. იცის

გახვედა თედო, არ შეუმჩნევია, როგორ გავიდნენ მოსამართლენი, დამსწრენი როგორ აიშალნენ, გონს რომ მოეგო, საშინლად მოსწყურდა და დამუქრებოდა ვილაცას, მაგრამ რაკი გულის ჯავრის ამოყრა არ შეეძლო, სახე აარიდა ყველას, თვალები ბოროტად მოკუტა და ფანჯრიდან სივრცეს გახედა.

მოხუცმა, თუ როგორ დილაგს ჰაბუკი ხელინდელი დღის მოლოდინში. ისიც იცის, რომ ვასოს ხეალ ძალღონის დიდი დაძახვა დასჭირდება და საჭიროა კარგად გამოიძინოს. ამიტომ ოდნავ გასაგონი ხმით ეკითხება:

— ვასო, გძინავს?

ვასომ ერთხანს წაიყრუა, მერე მაინც შეიხზა.

— არ მეძინება რატომღაც.

— ვიცი, შეილო, ვიცი, — წყნარი ხმით მიმართა ანდრეი კუზმინმა, — ბევრჯერ გამომიცდილა...

ალარ განაგრძო, არა თქვა, თუ რა გამოუცდია, ალბათ, ისედაც იგულისხმებოდა. ერთხანს იყუნა, რომ რაიმე ამბავი მოეგონებია და ვასოს ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, — ეს ძილის საუკეთესო წამალი იქნებოდა.

— არასოდეს არ დამავიწყდება, — დაიწყო მერე მან, — პირველად რომ მეფოლადე დამნიშნეს. ორი წელიწადი ხელქვეითად ვიმუშავე. უკვე მოწიფული ვაქცა ვიყავი. საწყალი პელაგია დიმიტრევნა პირველ ვაჭზე იყო ფეხშიძემედ. ეჰ, რა მეოჯახე, რა მარჯვე ქალი იყო ჩემი პელაგია! გროშს გროშზე აღდებო, ბავშვი გვეყოლება და როგორმე ძროხა უნდა შევიძინოთო. ჰოდა, დადგა ჩვენი ჯერი, დავდექი ღუმელთან, ოფლში გაიწურე. შენი იცი, როგორი იყო ძველი ღუმელი. სად იყო მაშინ შრომის მექანიზაცია. თითქმის მთელი მუშაობა ხელით სწარმოებდა. ცეცხლში ვიწვევბოდიოთ. მაგრამ მაშინ ეგ კი არ იყო ჩემთვის მთავარი, მთელი გულისყური იმაზე მჭონდა მიქცეული, რომ შეცდომა არ მომსელოდა, არ ჩაეკრილიყავი. პელაგია დიმიტრევნას, რაკი მეფოლადე დამნიშნეს, გუნებამი ძროხის საყიდელი ფული უკვე შეგროვილი ჰქონდა, მე

კი მაშინ, სიმაართლე უნდა ვთქვა, ოჯახის საჭიროება სულ არ მახსოვდა, არც თუ იმდენად თავის გამოჩენა მსურდა, არა, მთელი არსებით ღუმელში მიმდინარე პროცესთან ვიყავი შეზრდილი... ჰო, ნამდვილი მეფოლადის მთავარი თვისიცაა სწორედ-იგი არის, მისთვის, როგორც კარგი ხელოვანისათვის, მთავარია, ცეცხლის ნიაღვარში რომ ფოლადი იბადება, წმინდა, უზადო ფოლადი... საქმე კარგად მიდიოდა, უკვე შენადნობის დაწმენდას შევეუდეთ. ამ დროს მოხდა მარცხი, ღუმელის თალი დამეწყვა... ეჰ, ვერ წარმოიდგენ ახლა შენ, თუ როგორ დავბრუნდი შინ. დანა პირს არ მიღებდა. შემხედა თუ არა, პელაგიას მკედრის ფერი დაედო, მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო, ძალიან ცუდად, ძროხის ყიდვაზე ოცნება ნაადრევად აღმოჩნდა. მაინც, წარმოიდგინე, გონს მაღლ მოვგო, ჯერ მწარედ გაელიმა, შემდეგ კი მთელი გულით მომეფერა. მეტისმეტად კეთილი ქალი იყო განსვენებული...

ანდრეი კუზნიჩმა თხრობა შესწყვიტა, იდაყვზე წამოიმართა, ჩაძინებულ ვასოს გახედა. «კარგია, იძინე, შეილო!» თქვა გუნებაში და აღძრული მოგონებები დაიკვირა, მეორე გვერდზე დაწვა, მალე მშვიდად დაეძინა.

ის იყო, განთიადზე ასადგომად წამოიპართა, რომ კაცუნი მოესმა. ვასოსაც მყისვე გაეღვიძა. ანდრეი კუზნიჩმა შეუქი აანთო და კარი გააღო. ოთახში გაიოზ დაარჯანია შეიჭრა.

— არა გრცხვენიოთ, მე მოგასწარით ადგომა, — ჩაილაპარაკა გაიოზმა და ვასოს მიაშურა, ხელი მხარზე დაჰკრა, მერე ანდრეი კუზნიჩს მოკრძალებით მიესალმა:

— მაპატიეთ, გეთაყვა, ცოტა ავჩქარადი, მაგრამ დედაჩემმა წამომავლო, არიქა, არ დაგავიანდესო...

ჭერა სახე განათებოდა გაიოზს, ცისფერი თვალები სხივანთებულ ცვირებით უბრწყინავდა, ტანზე თუმცა უხეში ტილოს სამოსი ეცვა, მაგრამ აშკარად ემჩნეოდა, თუ როგორ ტოკავდა მთელი მისი ჩასკენილი აღნაგობა.

ანდრეი კუზნიჩმა და ვასომ ხელპირი სწრაფად დაიბანეს, საბუშაო სამოსი ჩაიცვეს.

ამ დროს კარებს ტერეზი მიადგა, მკლავზე ნანი ეჯდა, გაბუტულსა ჰგავ-

და უდროოდ დროს გაღვიძებული გოგონა.

— უკაცრავად, ბატონო, ჩუქნათუღლად მიმართა ტერეზიმ ჯანდრეის მკლავს მისს, — ერთ წამს შემოიარეთ ჩვენსას.

ანდრეიმ ვასოს მიხედა, ვასოს გაელიმა და თავის ოსტატს მკლავში ხელი გამოსდო, გაიყოლია.

სასადილო ოთახში მაგიდა გაეწყო და რეჯანს, ამ დილისათვის ხაჭაპურები უკვე გამოცხვარი ჰქონდათ.

— მობრძანდით, ძვირფასო მასწავლებლო! — მიეგება გაიოზი ანდრეი კუზნიჩს.

არ დამსხდარან, ხაჭაპურს მიატეხეს.

ტერეზიმ, ოჯახის დედაქალმა არყით სავსე პატარა ქიჩა ასწია. მარცხენა მკლავზე კვლავ ნანი ეჯდა. ახლა უკვე ილიმებოდა ბავშვი, კრიალა ქიჩისაკენ ხელს იშვერდა.

— მე ერთი უბრალო ქალი ვარ, — დაიწყო ტერეზიმ, — მაგრამ კარგად ვიცი, თუ რა დიდ საქმეზე მიდინართ. აჰ, ამ ჩვენს ახალ სამკვიდრებელში, დღეს ფოლადი იბადება, ჩვენი სიმტკიცის, ჩვენი ძლიერების გამომსახველი ფოლადი. სიმწარე მოგაშროთ, სიტკბოება მოგანიჭოთ ბუნების ძალამ. თქვენი სიცოცხლე, ძვირფასო ანდრეი კუზნიჩ!

ქიქები დასცალეს.

— აბა, წავიდეთ ახლა! — თქვა ანდრეი კუზნიჩმა, გაიოზს ხელი გამოსდო, ტერეზისა და დარეჯანს მადლობა გადაუხადა. ნანიმ თვალი მოსტაცა, მოვიდა, ხელზე აკოცა ისეთ გუნებაზე დადგა, როცა კაცს ავიწყლება თავისი ხანდაზმულობა, გამოვლილი სიმწარე და მწუხარება, როცა ამომავალი დღე მისთვისაც ისევე მიმზიდვლია და ბრწყინვალე, როგორც ახალფენადგმული ბავშვისათვის.

გარეთ რომ გავიდნენ, აღმოსავლეთის მტრედისფერი ნათელი ეფინიბოდა, ცისკრის ვარსკვლავს რძისფერი ბურთისი ეხვეოდა. გზის პირად ახალგაზრდა ალგისნების ნორჩ ფოთლებს ნიათი ოდნავ ათრთოლებდა. ახალ სახლებში მხოლოდ აჭაიქ ენთო სინათლე; ქუჩებში სიწყნარე იყო.

ქალაქის განაპირას მაღალ თხრილზე გადახტა გაიოზი, ვასოს დაელოდა, ისე მოეხვია, თითქოს უნდა ექვიდასო. მერე უცებ შებრუნდა, ხელი ქარხნისა-



კენ გაიშვირა და სიხარულით ჩაილაპარაკა:

— შეხედე, რანაირი კვამლი ამოდის ჩვენი ლუქების მილიდან! მივალთ ავერ და ნახავ, როგორ იცვლის ფერს...

ტიალ მინდორზე გავედინე. ხელმარცხნივ ქარხნის გალავანი მოსჩანდა, ნაცრისფერი ბეტონით ნაგები, ჯერ დაუშთავრებული, ხოლო მარჯვნივ — დაქობებული ტაფობი ექსკავატორებით ამოთხრილი ქვიშიანი მიწით ავევსოთ.

ბლუმინგის გასწვრივ შეუხვიეს, მარტენიაკენ მიმავალ რკინიგზის ლიანდაგს გაჟყვნენ.

— ვთქვი და ვიმეორებ, — ეუბნებოდა გზადაგზა ახდრეი კუზმინი ვასო-სა და გაიოზს, — ყველაფერს ამ ქვეყანაზე რაიმე თავისებურება ახასიათებს. ერთი დედაპის სვილემი ხშირად ერთნაირად სრულიად არ ჰგვანან, ხასიათითაც საოცრად განსხვავდებიან. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ მარტენა ლუმელს, როგორც თავის წიაღში უმძაფრეს ტემპერატურას იტევს, საესე-ბით თავისებური ქანგვითი უნარიანობა ახასიათებს, ამ მხრივ მეორე ლუმელი-საგან საგრძნობლად განსხვავდება. ამიტომ, როცა ახალ ლუმელში პირველად ფოლადის დნობას ვიწყებთ, ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ რაიმე მოულოდნელობისათვის, რადგან ყველაფერის წინასწარ გათვალისწინება ძალიან ძნელია...

ვასომ და გაიოზმა ყოველივე ეს ზეპირად იცოდნენ. მაგრამ ოსტატს ისე უსმენდნენ, თითქოს მის სიტყვებში ახალი რამ აღმოაჩინოსო. რამდენიმე წელია სწავლობენ, იწრთენებიან, ემზადებიან ამ დღისათვის და ახლა რომ რაიმე ვერ გაითვალისწინონ, ხომ მოეკრათ თავი!

— ჯავრი ნუ გაქვთ, ანირეი კუზმინი! — უფრო თავის გასამხრევლოდ შესძახა გაიოზმა, — ჩვენ ახლა ხამი აღარა ვართ. მერე კიდევ, თქვენ ხომ ჩვენთან ხართ!

საამქროს მაღალ შესასვლელთან სიმღერა მოესმათ. რამდენიმე ახალგაზრდა ძალიან ადრე მოსულიყო, მუშაობის დაწყებამდის გულიანად მღეროდნენ.

მეფოლადენი სწრაფი ნაბიჯით აყვნენ რკინის კიბეს, მეორე სართულზე ავიდნენ და აქ უკვე სულ სხვა სიმღერა

მოესმათ: საამოდ გუგუნებდა ლუმელ-მა ცეცხლი, ჩქრიალედ და გამაგრებელი თილებიდან მოძვინარე წყალი. ლუმელის გასწვრივ ახალთაწალი ჩამტვირთავი მახქანა იდგა, ხოლო რკინიგზის ლინდავზე კახპით სავსე როფებით დატვირთული ვაგონები იყო ჩამწყრივებული.

შემოსასვლელთან გამოჩნდა დინჯალ, აუჩქარებლად მომავალი სამსონ ვანიძე, საროსავით მაღალი, შებლგაშლილი.

ვათ დაწინაურდა, საამქროს უფროსს სალაში მისცა, მუშაობის დაწყების ნება მიიღო.

ამის შემდეგ აღარ დაუყოვნებიათ, არაწყუნდა ჩამტვირთავი მახქანა, ამოძრადა თარის ვეება. ხორთუმი; ენის ამარატთან მდგარ ქალს ხელი ანიშნა, შუა კარი გახსენიო; მაროსავით იფეთქა ლომისფერმა აღმა და მწყობრად შეუდგნენ საგანგებოდ შერჩეული კაზმის ჩატვირთვას.



ალიონი მოახლოვებული იყო, როცა ტარიელს ძილში მარინეს სუსტი ხმა ჩაესმა; უმაღლეს წამოიქრა.

— უკვე დრო არის... წამიყვანე...

ეტყობოდა, მთელი ძალ-ღონე დაკრძმული ჰქონდა მარინეს, რომ წუხილი არ გამოემეტავენებია.

— ახლავ, ჩემო კეთილო, ახლავე, — დაბეჯულად ჩაილაპარაკა ტარიელმა, უნდადა მყისვე წასულყო, მაგრამ მარინეს თვალი ვერ მოსწყვიტა, მისმა გამომეტყველებამ ანდამატავით მიიზიდა. დაიბავა, ამოიღ თმაზე ხელი დაუსვა, მის ოდნავ გაფართოებულ გუგებში საკვირველი სხივი დაიჭირა: მკრქალ სახეს რაღაც ახალი იერი უმკობა, ისეთი იერი, რომელშიაც თითქოს ერთად აკინძვლა წარსული. აწყობდა მოთავალი; ახლა მარინე იმაზე მეტი იყო, რაც აქამდის იყო! იმდენად შეიშავისა ტარიელი მარინეს, ისე გულსავსედ უყვარდა იგი, რომ ვერ წარმოედგინა, თუ მასში კვლავ აღმოაჩენდა რაიმე ახალს, უფრო ძალოვანს, ამამაღლებელს.

იქნებ თვითონ ტარიელმა ააბიჯა საცოცხლის უმაღლეს საფეხურზე და მხოლოდ ახლა შეიგრძნო მარინეს მთელი სიმშვენიერე? იქნება დედა-ბუნე-

ბის წიაღიდან ამომავალი არსების სხავი დაიჭირა და იმან მოაჯადოვა?

— ნულარ აყოვნებ, ტარიელ!

— ამ წუთას, ჩემო სიცოცხლე, ამ წუთას! — თქვა ტარიელმა და სწრაფად შებრუნდა.

კარებში თეოლინე შეეფთა.

— მშვიდად წადი, შეილო, მშვიდად. — გაყოლა ტარიელს ხმა, მერე მარინეს მიაშურა.

მანქანა ეზოში იდგა, შოფერიც იქვე ცხოვრობდა. ამიტონ აღარ დაყოვნებია ტარიელს. მალე მობრუნდა, უკვე ჩაცმულ მარინეს მკლავში ხელი გამოსდო.

ამ წამს ყველაზე მეტად შემფოთებული ნათია იყო. იცოდა გოგონამ, რომ მარინე მოსალოგინებლად მიჰყავდათ, მაგრამ მაინც ცრემლი მოერია, როცა მას სახეზე თვალი შეასწრო. ისე შეეცოდა იგი, თითქოს თვითონაც უცნაური ტკივილებით გამსქვალულოყოს. მთვარეულივით ჩაჰყვა მათ ეზოში. აქ, მარინე რომ მანქანაში მოათავსეს, თეოლინე მიუბრუნდა ნათიას და დამამშვიდებელი ხმით უთხრა:

— შიში არ ჩაიგდო, გენაცვალო, გულში. წადი, კარები ჩაქეტე და დაწეჭი, დაიძინე.

ქარხნისაკენ, ქალაქის განაპირას, სტანოარტული სახლის მეორე სართულში იყო მოთავსებული სამშობიარო. ძალიან ვიწროდ იყვნენ აქ. მაგრამ ახლის მშენებლობის დამთავრებამდის იოლად მითიოდნენ. სამშობიაროს დიდი ღარბანი ჰქონდა დათმობილი, იქვე იყო ნისალები და მოსამზადებელი ოთახი. ამაზე უფრო მოზრდილში მელიოგინენი იწვნენ, ხოლო ექიმების კაბინეტის გვერდით სუფთა, ნათილ სადგომში, პატარაპატარა სიწოლებში მუდამ იყო რამდენიმე ახალბადებულნი; ესენი კოხტად იყვნენ შეხვეული თავიან-ტანიანად, მხოლოდ პაწია, ჯერ ისევ ნაკვიანნი, ზორცისფერი სახე უჩანდათ.

მარინეს მისაღებ ოთახში ორი ექიმი შეეგება; ერთი ტანსრული იყო, პირსავსე, მეორე კი — ალვის ნერვივით ტანმოზრდილი. ფერმკრთალი, ნაზი და სათნო. პირველი ბებიაქალის ძალოვანობას მყისვე იგრძნობდა მშობიარე, იმედი მიეცემოდა, ხოლო მეორე თავისი ფაქიზი გულისხმიერებით ანუგეშებდა. რამდენჯერ დასწრებია ეს სუს-

ტი აგებულების მეანე მშობიაროს გაწამებას, როცა ქალს ტკივილების მეტი აღაზაფერი ახსოვს, მაგრამ არ შეშურთა, რადგან კარგად იცოდა, დამთავრდებოდა თუ არა ძეობა, მისუსტებული დედა უპირველეს ყოვლისა ახალშობილს მოითხოვდა, მიეალერსებოდა.

— წადი, შეილო, შენ. — უთხრა თეოლინემ კარებთან გაჩერებულ ტარიელს. — მე აქ დავჩინები. შენ კი, ჯერ ადრე და შინ შეიარე.

მძიმედ ჩაჰყვა ტარიელი კიბეს, ჰიმ-კართა შეჩერდა, სამშობიაროს თვალი შეავლო.

ჩვეულებრივი, უფერული სტანდარტული სახლი იყო, ვიწრო ფანჯრებზე ქათქათა დოღბანდი ჩამოედინათ.

რა უბრალო, რა მარტივი ყოველივე ეს და რა რთული გრძნობებით არას აღსავეს ტარიელის გული!

აი, ირგვლივაც როგორ უფერულად მოჩანს ყოველივე გახთიადის მკრთალ შექში! რა უღიმღამოდ გამოიყურებიან ეს დაბალი ძარაკები, ფარდლები, პატარა ბაგები, თხარლები და ზეინულები. იქ კი, იმ ძველ სახლში, რა დიდი აშბები ხდება, რა ცეცხლოვანი განცდები, რა ტანჯვა, რა სიხარული; რა უფსკრულები აკრავს ირგვლივ თვალუწყვდებელ მწვერვალს, სადაც ახალი სიცოცხლე იბადება!

გაოგნებულად გადადგა ნაბაჯი ტარიელმა, შინისაკენ გული აღარ მიუწყვდა, არც მანქანაში ჩაჯდომა ისურვა, პირდაპირ ქარხანას მიაშურა.

მიდიოდა და...

იმ ზამთარში ერთხელ სწორედ ასე ადრე გამოვიდა შინდან. თოვდა. რეთი მყუდროება გამეფებულაყო, თუ ყურს მიაპყრობდით, მთვარისფერ ლამპიონების შექში მოფარფატე ფანტალების იღვმალ შრიალს გაიგონებდით. წყლისფერი ცა იმდენად დაბლა დაწეულიყო. რომ ბინათმშენებლობის მადალი ამწე ღრუბლებს შეერთებოდა. ახალჩასახლებულ, უკვე ფანჯრებგაანათებულ სახლების მახლობლად მოჩანდა ჯერ დაუშთვარეველი, ზოგი უკვე გააღებულად შენობები თავიანთი უსინათლო სარკმელებით. თოვდა. გზის პირად დარგული წიწვიანი მცენარეები თოთრად იმოსებოდნენ. ისეთი გრძნობა იბადებოდა, თითქოს საცაა მხიარული ქრამიულით შემოიჭრება ამ სანებიარო სიწყინარეში ამომავალი დღის ელვარე-

ბა და დაუმთავრებელი ბინების ფანჯრებშიაც სინათლე იელვებს, ახალი ცხოვრება დამკვიდრდება.

ახლაც ტარიელი რალაც ამგვარი განცდით იყო შეპყრობილი. მიდიოდა და, ხანდახან გული რომ მწვავედ შეეკუმშებოდა, თვალს ისე მიმოაბრუნებდა, თითქოს ციციკიდურზე ლურჯად ნათეთქ სინათლეის ხორჩი სიცოცხლის სხივი უნდა დაიჭიროსო.

სულს მოითქვამდა, გაკაულებოდა; ცხოვლად იგრძნობდა, რომ ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ამ ახალი ქალაქისა და ქარხნის საფუძველში, დაუცხრობელი შრომის და სასიქადლო საყოფში, რომელიც დღითიდღე ასე თვალაჩინოდ იზრდებოდა.

ხან მაინც ვაპყრავდა ბრქვალს უწყალო ფიქრი, რომ ნაადრევი მშობიარობის გამო მარინეს სიცოცხლე საფრთხეში იყო...

ერთ წამს შეჩერდა, სევდა მოერია, სამინელო ტყვიელებით შემსჭვალული მარინე წარმოიდგინა, მთელ სხეულზე მწველი ტეცხლი შემოენთო, შებრუნდა, სამშობიაროს გახედა. ვინ იცის, რა დღეშია ახლა მარინე, რა მოელის...

ანაზღად ტანში ერთანტელმა დაუბარა. გამთელდა, თავისი განუყრელი მზნობა დაუბრუნდა. ფრონტზე, წინა ხაზზე ყოფნის დროს განიცადა რამდენჯერმე ტარიელმა ასეთი რამ: თითქოს წინ უფსკრულში იყო. ერთი ნაბიჯი და... ამ დროს უცებ სულის სიღრმეში ნათეთქი შოქი განათებდა წინ საიღვლ გზას და პირდაღებულს უფსკრული მყისიე ჰქრებოდა.

მშლაერად შეირბა ტარიელი, თვალი კვლავ აღმოსავლეთმა მოსტაცა, რაერაის მზიური ძალა შეიგრძნო და მარტინისაკენ დაოთა გზას, პირნათელი, ტანადი, მხრებგაშლილი.



ყოველი დიდი განსაცდელის წინ ადამიანი თავისდაუნებურად გახედავს ხოლმე გამოვლილ გზას, რათა მთელი სიყოცხლის მანძილზე დაგროვილი სიბრძნე შემოიკრიბოს. თანაც გულით ინატრებს ყველას, ვინც კი ჰყოლია უსაყვარლესი.

მარინე სამშობიარო შერკეების მოლოდინში თავს უოცე გრძნობდა. მოსამზადებელ ოთახში ფანჯარასთან იყო

კედელზე მიწოლილი, თვალი ხშირად უძტერდებოდა. მშობლების სახეებზეც გამოიწვია შორი მანძილიდან, თუვისი დალუაული ქმარ-შვილიც მხოლოდნა, მალზე მოხუც მამიდასაც გაუღიმა გუნებაში, მერე სახე ოდნავ დაუღიმა და და მამის საფლავზე დაფენილი მქებარი ყვავილები მოეჩვენა.

მეტად დიდ მოლოდინში იყო გარინდული. რომ რამეზე მზერა დიდხანს შეეჩერებია, თანაც გრძნობათა ის ნაკადი, რომელიც მოგონებებს იშველიებდა, მისი არსების მხოლოდ ერთ ნაწილს მოიცავდა, მთავარი კი აქ იყო, ახალ ოჯახს დასტრიალებდა, ახალ სიცოცხლეს შესტრიალებდა.

ფანჯარასკენ შებრუნდა მარინე, თხელი ფარდა გადასწია.

მზე ამოდისოდა. მთელი გარემო გახაფხულის ნათელში ბრწყინავდა. შორს, ცერსიერში, ერთადერთ მოგრძო ღრუბელს ალი შემონთებოდა, ატმის ყვავილებივით ღვივოდა. მახლობელი სახლის სახურავიდან ორი მტრედი აფრინდა, ერთი სახეებით თეთრი, მეორე კი შავფრთებიანი; ლალად განიხვარდეს სიერტეში, რამდენჯერმე პირაღმა შეტრიალდნენ. მერე სულ ახლოს ჩაოქროლეს მარინეს ფანჯარას და სახურავზე ფრთაგაშლილად დაეშვნენ.

მარინემ მტრედებს თვალი გააყოლა და ნათლად წამოუდგა, თუ როგორ შეხაროდა მზის ამოსვლას მთელი ქვეყნიერება. არ მოიპოვება არც ერთი სულდგმული, არც ერთი მცენარე, სულ უზრალა ბუსუსიც კი, რომ ამომავალი მზის სხივებით არა ტკბებოდეს.

ჰოდა, სწორედ ასე, ამ წამს, მარინეს არსებაში ძფეთქავი სასიცოცხლო ენერგია, მთელი მისი სულიერი მისწრაფება ტარიელის სახეს მზესავით იახლოვებს, მისით სულდგმულობს; და ის უჩინარი არსებაც, რომელსაც ასე ეტრფის, ასე ელის ღედის მხურვალე გული, ის ნახატრი არსებაც ტარიელის სიცოცხლის ნაწილია. აგერ მარტინის მალაო მილიდან ამომავალ კვამლს უკვე შეცვლია ფარი, ფერფლად ქცეულ ეანგს ალი მოსდებია, ფოლადის დნობა დაუწყიათ. იქ არის ახლა ტარიელი...



მშინებლობის უფროსის მისაოებ ოთახში ტყეა არ იყო. ზოგი იჯდა, ზოგი მდიენის მაგიდასთან ედგა, ლევან

სალომქსთან შესვლას ელოდა. ერთი ძალიან მოსული სამეურნეო მუშაკი დიხჯად უაბობდა მეორეს, — არც ერთ დარჯძი ჩამორჩენა არა მაქვსო, ლევანი კი მანც არ არის კმაყოფილი, სულ მეტა და მეტს მოითხოვსო.

მღვივანი ხან ერთი ტელეფონით პასუხობდა ლევანთან დალაპარაკების მოსურნეთ, ხან მეორეთი.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა ამ ვიწრო ოთახში, თითქოს პატარა კუნძულს ყოველი მხრიდან ბობოქარი ზღვის ტალღა აწყდებოდა.

ლევანი კი თავის ვრცელ დარბაზში საქმიდან საქმეზე გადადიოდა; გარდა იმისა, რომ მისულთ იღებდა და ისტუმრებდა, საკუროებისდა მიხედვით ამა თუ იმ დარჯის ხელმძღვანელს გამოიძახებდა, თანაც ადგებოდა ხოლმე, გაიღო-გამოივლიდა, მკერივი, მოძრაავი, ყველა, ვინც მის კაბინეტში შედიოდა, ძველი ნაცნობი იყო იგი, თუ პირველად მისული, იმ აზრით იმსკვალებოდა, რომ არა არის რა ისეთი, რასაც ვერ შესძლებს მოქმედი ადამიანი.

შუაღლე მიიწურა. ლევანი ჩვეულებრივად გართული იყო ძიმიდნარე საჭეებში, მაგრამ დილიდანვე არა შორდებოდა ფიქრი ფაზე, რომ მარტენის დღეებში უკვე იმალადის დნობა სწარმოებდა. ამ მოვლენას მთელი დღის განმავლობაში ისე განიცდიდა, თითქოს ახალაშეხებული სასახლია ბუხარში ცეცხლი პირველად აანთეს და იქიდან სააო სითბო მოეფინებოდა.

ბოლოს, როცა მასთან ნიკოლოზ პავლოვი შევიდა, ლევანი მკვირცხლად შეეგება, ხელი ისე ჩამოართვა, თითქოს რაღაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი რამ უნდა მიულოცოსო.

— აბა, წავედეთ ახლა, ვნახოთ ჩვენი ფოლადი!

თქვა ეს და ნიკოლოზს მერე ახედდასხედა, თვალში მოხვდა მისი მორთულობა.

ნიკოლოზს გაელიმა.

— მგონია, გაგიკვირდათ: ასე რატომ გამოიწყობილათ.

— მართლაც, ამ ახალ კოსტუმში ისე გამოიყურებით, კაცს ეგონება, დღეობაზე მიდისო.

— რატომაც არა, განა ფოლადი დღეს არ იბადება? გარდა ამისა, ლევან ასლანოვიც, დონბასიდან სიძე და ქალიშვილი ჩამომივიდა.

— ჰო, ეს მშვენიერია! მიმილოცავს.

— გმადლობთ. ამ დღეებში უნდა შევიკითხო.

— აუცილებლად! — უპასუხა ლევანმა და ქულს მიწვდა, თავის შეკირხლულ, ღომის ფაფარავით უკლებ თმაზე ხელი გადაისვა.

გარეთ, სამმართველოს წინ, ნიკოლოზს მერცხლის ჭიკჭიკი მოესმა. აიხვდა. იქვე შავ მათულზე იჯდა ახალმოფრეხილი მკერდთიერი მერცხალი და მზიარულად კრიმანჭულობდა. სხვა დროს ათასი საფიქრალით შეპყრობილი ნიკოლოზს სად ეცლებოდა, ასე უშუალოდ დამტკბარიყო მერცხლის ჭიკჭიკით, ახლა კი ყმაწვილივით გაუშეკრდა თვალი, სახე იმ შიამიტი სიხარულით დაუშმშენდა, რასაც ადამიანში ბუნების შეილთა სიხალისე იწვევს ხოლმე.

კარგ გუნებაზე იყო იმ დღეს ნიკოლოზი. არ ეგონა, თუ ისე მოეწონებოდა თავისი სიძე ვიქტორ კირჩინჯო, ან თუ ისე უეცრად შეუყვარდებოდა იგი. ახლა ვიქტორი თავის უკაცში არ გამოერჩეოდა. ელენე უკვე ჩეკინერი იყო, ვიქტორთან ერთად მუშაობდა ქარხანაში. ვიქტორი მარტენის საამქროშიც იყო მეთვლადედ და სალამოს უტრახებზედაც სწავლობდა. ნიკოლოზთან საუბარში ვიქტორმა, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, მეტალურგიის საკმაო ცოდნა გამოამჟღავნა. მაგრამ ნიკოლოზისათვის მთავარი ეს როდი იყო, ყველაზე მეტად ამ ობლად აღზრდილი ბიჭის კეტრმა კაცობამ, მისმა წრფილმა გულმა მოხიბლა. მერე კიდევ მეტად თავისი ბური სხივი გამოკრთოდა ელენესა და ვიქტორის სიყვარულში; ნიკოლოზმა და მისმა მეუღლემ ნასტასია ალექსანდროვიცამ ქალ-ვაჟის ურთიერთობაში შეუცდომლად ამოიკითხეს, რომ ელონე ვიქტორისათვის ის ერთადერთი, წმინდა, ურყევი საწყისი იყო, რომლითაც ადამიანი მშობელ ქვეყანას უკავშირდება.

— ახ, მერცხალი მოფრეხილა! — ჩილაპარაკა სამმართველოდან გამოსულმა ლევანმა და ნიკოლოზს მხარზე ხელი შეახო. — მერცხობმა ადრე შიიტყვის, რომ ჩიონ აქ მკაცედ დაემკვიდრდით. არიშში იქ მხოლოდ რამდენიმე სახლი იყო აშენებული, როცა ესენი მოფრინდნენ, გაზაფხული ვაზარეს და ბუდეები გაიკეთეს. აბა, გავყვით.

მანქანაში ჩასხდნენ. ლევანმა საათს დახედა.

— ჯერ კიდევ დრო გვაქვს, ქალაქისაკენ ჩაუხეხვიოთ მომავალ პროსპექტს გაუხედოთ, — თქვა ლევანმა და მოფერს გეზი მისცა.

ქალაქის გახაპირას, რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ, ყველგან ელაგა ახალ-მოზიდული მუქი წაბლისფერი ვულკანური თარი, თეთრი ქვა, ავტური.

ზემო უბანთან შეაჩერებინა ლევანმა მანქანა. აქ ირგვლივ ნარიყალი ხიდაგი სულ დასერილი იყო. ზოგან თხრილები და არხები გააყავდათ, ზოგან საძირკვლები ჩაეყარათ.

მალობზე შედგნენ. ჯერ ზემო უბანს ვახედეს. აქ უკვე ისახებოდა მომავალი ფართო პროსპექტი. ზოგი სამსართულიანი სახლი უკვე დაემთავრებინათ, ზოგი ჯერ კიდევ ხარაჩობებში იყო, ზოგს ახლა ხურავდნენ ქსანში გამოშვებარი კრამიტით. ყუთულ სახურავებს ყანჩასავით გადმოდგომოდა რკინისფერი ამწე.

ამ სამშენებლო მოედანზე ერთი მცენარეც არსად ჩანდა, რადგან, ვინ იცის, რამდენჯერ გადაითხრებოდა იგი მრავალგვარი მიღების გასაყვანად.

მომავალ პროსპექტზე ჯერ მანქანა ვერ გაივლიდა, ამიტომ ლევანი და ნიკოლოზი ფეხით გაყვნენ. ქვემო უბანს მიადგნენ. აქედან უკვე ნათლად ისახებოდა არიშ-ქალაქის მთავარი პროსპექტი თავისი ნაირნაირი სამსართულიანი სახლებით, სვეტებიან-თალიანი აივნებით, კოხტა მოაჯირებით, ფოთლოვანი და ვაზოვანი ჩუქურთმებით, უნივერსალური მაღაზიებით.

ერთ ადგილას, შუა პროსპექტზე, სარკინი მანქანა იდგა. ზედ რამდენიმე მაღევი ასულიყო. სამი თუ ოთხი წლისანი იქნებოდნენ.

ლევანმა ბავშვებს ღიმილით ახედდახედა. მერე დიხჯად ჰკითხა:

— გზას აკეთებთ?

— არა, ეთამაშობთ. — უპასუხა შავგვრემანმა გოგონამ.

— შენ რა გქვია?

— მანანა.

— აი, ესენი, — გადაულაპარაკა ლევანმა ნიკოლოზს, — ნამდვილი არიშელები არიან, ქალაქთან ერთად ესეხიც გაიზრდებიან, დამშვენდებიან...

პროსპექტი პირდაპირ ქარხნისაკენ მიიძარათიოდა. კუთხეებში, ორივე მხარეს, ერთნაირი დიდი სახლები მშენდებოდა.

ახალი ტყის მახლობლად შეჩერდნენ ლევანი და ნიკოლოზი.

ლევანმა თვალი მოჰქუტა, საესე დაწვევებ თითქოს შორი ნათელი მოეფინა.

— სულ რაღაც ათიოდე წელი გააულის, — გაუზიარა მეგობარს თავისი ფიქრი: — და ეს პატარა ნერგები უკვე მაღალ ხეივებდ იქცევა, ეს ფართო და ვრცელი პროსპექტი მტკვრის გაღმა მომავალ ახალ ქალაქს შეუერთდება, ღამაში მცენარეებითა და ყვავილნარებით მოირთვება, გაღმიდან ქარხანაში მომავალი ოსტატები ტროლეიბუსით ჩაუქროლებენ ყოველგვარი საქონლით გამოქვილილ მაღაზიებს, კეთილმოწყობილ ბიზნებს; ის ბავშვები კი, რომლებიც ჩვენ ახლა სატყეპნ მანქანაზე ხეხეთ, ძველ ამბავსავით მოიგონებენ, თუ როგორ იყო გადათხრილი აქაქრობა, რამდენი მტყერი, რამდენი ტალახი...

ნიკოლოზმა სიყვარულით შეაგლო თვალი ლევან სალოძეს, ისეთი გრძნობა აღედგა, თითქოს ამ სალ კოდრსავით მტკიცედ გამოკვთილ მშენებლის მრგვალ სახეს მომავლის შუქი ამკობს; თვითონაც ღიმილი მოერია ნიკოლოზს და ლევანს მეგობრულად უთხრა:

— ბედნიერი ადამიანები ვართ ჩვენ, ლევან ასლანოვიჩი! საიდან სად ამოვადიჯეთ! თქვენ ზომ უბრალო გლეხის შვილი ხართ. განა შეეძლო მამათქვენს, რამდენადაც დიდად მშრომელი არ უნდა ყოფილიყო, თავისი სახლ-კარისა და კარმიდამოს გაფართოებაზე უფრო მეტი რამ ენატრა? ჩვენ კი მთელ ქალაქებსა და უზარმაზარ ქარხნებს ვაშენებთ! მივალთ, ტიალ მინდორზე ბარს დაკრავთ და უკვე ვხედავთ, თუ როგორ ეყრება სათუძველი მაღალ, მშვენიერ ცხოვრებას!..

ლევანმა ტუჩები მოკუმა, მახვილ, ცოცხალ თვალებში კი ღიმილი უკრთოდა.

— მე კიდევ მეტს გეტყვით, — შეესიტყვა ნიკოლოზს: — რა შეედრება ბედნიერებას. როდესაც თავს გრძნობ იმ ქვეყნის მოწინავე შვილად, რომელიც მთელ მოსოფლიოში ერთა შორის მძური ურთიერთობის მშვიდობის, მართალადამიანური სიყვარულის მედროშეა!

— სწორედ ამიტომ გვესაქიროება ჩვენ, — აღტაცებით უახიზხა ნიკოლოზმა. — მეტი ძლიერება, მეტი ფოლადის აგერ, გახედეთ, როგორ გაქალარა-

ვებულა მარტენის მილიდან ამომავალს კვამლი; იქ უკვე შენადნობის დაწმენდა მთავრდება. დროა, წაიდღეს!

## X. დაბადება

მარტენის საამქროს ნაშუადღევს უამრავი ხალხი მიაწყდა. ზოგი მატარებელს მოჰყვა, ზოგი მანქანებით მოვიდა. ცხოში და შესავალ კარებთან ტევა არ იყო. მაღალი კორპუსის წინამო პლაკატებით მოერთათ; გრძელი ტრიბუნა გაემართათ. იქვე, სველ სვეტებთან, ლული და გამაგრილებელი წყლები იყრდებოდა. აგერ მემუსიკენიც მოვიდნენ და ტრიბუნის მახლობლად დააწყეს საკრავი იარაღები.

გამოჩნდნენ არიშელები თავიანთი დროშებით.

თუთი საამქროში კი მძლავრად გუგუნებდა ლუმელში ცეცხლი; კარგა ხანია შენადნობის დახალასებას შეუდგნენ. ჯერ არავითარი შეფერხება არ ყოფილა. მხოლოდ ერთხელ ჩამტვირთავი მანქანის რომელიღაც მექანიზმი გაჯრუტდა და ლუმელთან ცარიელი არიში უკან ვეღარ გამოიტანეს. ყველას ვინც იმ წამს საამქროში იყო, სახეზე შეშფოთება აღებუქდა. ახალგაზრდა მექანიკანი ძალიან აჩქარდა და დაიბნა. ამ დროს ტარიელს გაჩნდა იქ, მარჯვდ ავიდა მანქანაზე, მექანიზმებს თვალს მოავლო, საკე მისწი-მოსწია და მალე დაიძრა ხორთუმი, გაეარეარებულნი როფი, თითქმის გამდნარი, გარეთ გამოვიდა, ვაგონზე დაეშვა.

ანდრეი კუზმიჩმა რამდენიმე დღის წინათ გაიკითხა ტარიელი, მაგრამ ახლა, მანქანიდან ჩამოსული რომ შეათვალღერა, კიდევ უფრო მოეწონა მისი ვაჟკაცური და თანაც მეტად გონიერი გამომეტყველება. დაკვირვებული კაცი იყო ანდრეი კუზმიჩი და კარგად იცოდა, რომ ჰეშმარიტად ძლიერი ადამიანები თავმდაბალნი და კეთილშობილნი არ არიან ხოლმე; დიდად განსწავლული ინჟინერიც თავს ქედმაღლად არ დაიქერს ხუნდაშემული თუ ახალგაზრდა ოსტატის წინაშე. სწორედ ასეთი იყო ანდრეი კუზმიჩის თვალში ტარიელ ბარკელიძე. ამიტომ იმ წამს მისი მოლისთერი სამოსიც მოეწონა წითობრლ მიფოლადეს და პიჯაკზე დამჩნეული ლაქა სამკაულად ჩაუთვალა.

ტარიელმა ანდრეი კუზმიჩს თვალი შეასწრო, მიეახლა, გაუღიმა.

— როგორ მიდის საქმე, ოსტატო?

ეს შეკითხვა ანდრეი კუზმიჩმა ზედმეტად როდი მიიჩნია, იცოდა, თუ რას გულიახმობდა ტარიელი: ფოლადის მდნობელს ყოველი მოვლენისათვის წინასწარ შეძევაებული, მხამხარეული ხერხი არ გააჩნია, ზოგ რამეს, მოვლოდნელად წამოჭრილს, თვითონ უნდა აულოს ალლო, მოვარეარე ლუმელში მიმდინარე პროცესს საკირო მიმართულეება უნდა მისცეს. მერე კიდევ, დღეს ამ ურთულესი საამქროს ყველა მოწყობილობა პირველად ჩაება არა საცდელ, არამედ ნამდვილ მუშაობაში, ამასთანავე ყოველი ახალი ლუმელი რაიმე თავისებურ თვისებას გამოამტკიცებს ხოლმე. ყოელივე ეს უკვე გათვალისწინებული ჰქონდა ანდრეი კუზმიჩს, ლუმელის ინდივიდუალურ თვისებასაც უკვე საკმაოდ ჩაუყვირდა და ამიტომ იმედიანად უპასუხა:

— ჩინებულად, ტარიელ ზურაბოვიჩი! ჯავრი ნუ გაქვთ. ჩვენს ახალგაზრდა მეფოლადეებს საქმე კარგად მიჰყავთ.

თუთონ ანდრეი კუზმიჩს თავი ისე ეჭირა, თითქმის საქმეში ჩარევა მისი მხრივ ზედმეტი იყო, მხოლოდ ხანდახან ჩაუვლიდა ლუმელის კარებს, შენადნობს დააკვირდებოდა, თასს ახედავდა, ხანაც რაიმე საქიროების გამო ორიოდ სიტყვას ისე ეტყოდა ვასო, თითქმის რჩევას კი არ აძლევს, ეთათბირებო.

ტარიელი კარგად იცნობდა ვასო სიამაშელოს, იცოდა, თუ როგორ აშშვენებდა მას შრომით გატაცება, მაგრამ ამ დღეს რამდენჯერმე უნებლრეთ შეჩერდა და აღტაცებით გააყოლა თვალს ახალგაზრდა მეფოლადეს, თითქმის მთელი მისი მოქნილი აღნაგობა საოცრად მჭკროლავი ენერჯის შუქით გარემოსილიყო.

დილიდანვე ერთხელაც არ ჩაუმუხლებია ვასოს, ეტყობოდა, საკუთარი გულის ძგერასავით განიცდიდა ლუმელში მიმდინარე პროცესს; ლუმელის

ხან ერთ თავს მიაშურებდა, ხან მეორეს; კვებუ მიმაგრებულ ლურჯ სათვალეს გაისწორებდა ხოლმე და აღმოდებულ სარკქლებს ჩაუვლიდა, შეხადნობში მომხდარ ცვლილებებს აკვირდებოდა, ინტიტიტურად სსნიდა წიღამოდებულ მოლურჯო ნიაღვარში ჩახვეულ საიდუმლოებს.

ამასთანავე ტარიელმა ვასოში ერთი ახალი თვისება აღმოაჩინა კიდევ; იქნებ ეს იმის ბრალი იყო, რომ ამ დღეს პირველად მოდიოდნენ არიშში ქართული მფეოლადების სანახავად, ამიტომ ვასო თავს თითქოს სცენაზე გრძნობდა და თავის არტისტულ ბუნებას ამეღავენებდა.

უხეში ნაცრისფერი სამოსი ეცვა, მაგრამ ისე მოხდენილად მოძრაობდა, რომ ყველას თვალში ხვდებოდა მისი გამოკვეთილი ტანადობა და აღშფფენილი სახის მიწშიდგილი იერი.

აგერ გრძელი მკლავი ასწია სიამაშვილმა. აპარატთან მდგარ ქალს ანიშნა, მესამე კარი ასწიეთ.

წამსვე გაიოზ დარჯანამ ნიჩაბი აიღო და ლუმელში კირქვის შეყრას შეუდგა. სახეზე აღმტრის ასლიოდა გიონს, ცისფერი თვალები უბრწყინავდა, კირქვას ისე იღებდა, ისე მარღად უახლოვდებოდა ლუმელის კარს, ნიჩაბს ისე მარჯვედ იწნევდა, რომ გარეთ ერთი ნამცეცეპ არა ცვივოდა.

ვასოც მიეშველა ვაიოზს. ორივენი გამალებით მუშაობდნენ, წამსაც არა ჰკარგავდნენ, თანაც ისე აწყობილად მოქმედებდნენ, რომ ურთიერთს ხელს არ უშლიდნენ.

ხოლო ლუმელი სულმოუთქმელად გუგუნებდა, ჩქრიალებდა მილებიდან მომდინარე გამაგრებულელები წყალი. მეთელაყურესავით განზე იდგა ჩამტვირთავი მანქანა. საამქროს გრძელ ერდოზე კახშით საესე როფებით დატვირთული ვაგონები ჩაემწყარიებინათ, ორთქლმავალი კი ესე ნებანებით სუნთქავდა, თითქოს სთვლემსო.

მაღალ თაღზე ხიდური ამწე ახმინადა, თავისი გრძელი ჯაჭვი დაბლა დაუშვა. ძეგლთა ოსტატს ამ დღისათვის საგანგებოდ დამზადებული ყალიბები ქვემო სართულიდან ზემოთ ამოაქვს, შესავალი კარების მახლობლად ალაგებს; ამ ყალიბებში პირველი ქართული ფოლადით ბელადის სახე უნდა ჩამოასხან.

მზე რუხი მთისაკენ გადაიხარა; არიშის არეპარე გაზაფხულის მცხუნვარე ნათელში ბრწყინავს. ძარტენის უვალუწვედნ შემოსასვლელში ძორი ტრამალებიდან საამო ნიავე მოქქრს; აქ თუმცა ვეება ლუმელში ყოვლადლიერი ცეცხლი ბობოქრობს, მაგრამ ირგვლივ, ტაძრის გუმბათივით ზეანდულ კონქს ქვეშ, სიცხე სრულიად არ იგრძნობა.

ვიწრო კიბით ქვემოდან ორი ინჟინერი ამოვიდა, ლუმელიდან მოშორებით შეჩერდნენ. ესენი ამ საამქროს მშენებლობას ხელმძღვანელობენ. ერთი, უფროსი, ნიკოლოზ პავლოვისა ჰავს, ისეთივე შეფერვლილი თმა და ვარცხნილი სახე აქვს; მეორე პირხმელია, შავგვრემანი. ამათ გუშინდელ დღესავით ახსოვთ, ტალ მინდორზე რომ პირველად საფუძვლს ჩასაყრელად ნიადაგის ამოთხრას შეუდგნენ.

— გესმის, როგორ მეტყველებს ჩვენი შრომის ნაყოფი? — ეუბნება უმცროსი ქალაჩი ინჟინერს.

უფროსს უნაოკო სახეზე სიამე დაეტყო, თავის თანამემწეს მიხედა, უსიტყვოდ აგრძნობია, თუ რა დიდი ჯილდო იყო მათთვის ეს ახლადმობილი სიოცხლე; მერე მოგუგუნე ლუმელის გასწერივ გააყოლა მზერა და ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ ჩამწყრივლებოდნენ ახლო მომავალში სხვა ლუმელებიც. აქ მიღებული გამოცდილების მერხებით ტექნიკურად კიდევ უფრო უმჯობესსი.

მუდამ მგზნებარე, დღენიადავ დაუცხრომელი ვასილ კავკასიძე ამ დღეს ქარხნის მთავარი ინჟინერიც იყო და მისი უშუალო კირისუფალიც; ყოველ წერილმანს სწვდებოდა მისი გამჭირიხი თვალი, ყველაფერს თავს დასტრიალებდა. დაელოდა სახე კიდევ უფრო წამოქარხლებოდა ამ ხანდაზმულ მეტალურგს. ჰაბუკივით მწნესა და ძლიერს. აგერ მან ერდოიდან შემომავალი ქარხნის დირექტორი — არჩილ ერეთელი დაინახა, წამსვე მასთან გაჩანდა, მკლავში ხელი გამოსიდა, რაღაცა მხურვალოდ უთხრა და აპარატურისაკენ გაიყოლია.

შემოდინ საამქროში ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წარმომადგენლები, სამხილო პირები, მეცნიერ მუშაები, მწერლები.

ლუმელში შენადნობის დახალასება მთავრდება; ამიტომ ახლა ისე შროალებს იგი, თითქოს ახლდამცხრალი

ზღვის ტალღები ნაპირს ოდნავ ეშხაფუხებოა.

როგორღაც შეუმჩნევლად მიუახლოვდა ლუმელს საქალაქო კომიტეტის მდივანი გრიგოლ ამირანბეი, ახდრეი კუზმინას თავი დაუკრა, საქმეში ვართულ ვაოსს და გაიოზს მიატყვრდა.

ამ დროს დაინახა გრიგოლი ქვემოდან ამოსულმა ტარიელმა, შეჩერდა, წამსვე მიხვდა, თუ რატომ უშხერდა გრიგოლი ასე დაკვირვებით ახალგაზრდა მეფოლადეებს: რამდენიმე წლის წინათ ესენი, ეს ჩინებული ოსტატები, სოფლის უბრალო ბიჭები იყვნენ; აქ კი, სადაც ახლა ეს უზარმაზარი საამქროა აღმართული, გულს ზარავდა ტიალი მიწდერის უდაბურობა.

ჰოდა, ახლა ისე უშხერს გრიგოლ ამირანბეი დიდი შხრუნელობით აღზრდილ მეფოლადეებს, როგორც მოსწრებულ, თანშეზრდილ ძმებს. რამდენი ღამე გაუტეხია გრიგოლს, რამდენი დახლართული კვანი გაუხსნია, რომ ეს ახალგაზრდა არიშელები ასე ღირსეულად შეხვედროდხენ დღევანდელ დღეს.

არაფერი უცხო არაა აქ გრიგოლისათვის, თვითონაც ზომ იჩინებრია. არა ერთი მეტალურგიული ქარხანა უნახავს, იცნობს მარტენის ღუმელებს თეორიულად და პრაქტიკულად, მაგრამ ამ წამს, როცა ამდენმა ხალხმა მოიყარა აქ თავი, მასაც სასიხარულო მოლოდინი იპყრობს.

გარეგნულად გრიგოლს ეერაჟინ შეამჩნევს ამას, მხოლოდ ტარიელმა ამოიკითხა მის გულითად გამოშეტყველებაში ეს მღელვარე მოლოდინი და გუხებაში სიამით გაელიმა.

ამ დროს აღმშეგომის თავმჯდომარე მიამურა ტარიელს, წელზე ხელი მოხვია.

ალტაცებისაგან მრგვალი სახე ვარდისფრად წამოღვივებოდა კალისტრატეს, ღრმად ჩამჯდარი თვალები უციონოდა.

— მოვესწართ, ამხანაგო ტარიელ, ამ დღესაც მოვესწართ! — მიმართა ტარიელს და ჩვეულებისამებრ მყისვე იმ საგანზე გადავიდა, რაც მამინ აწუხებდა: — წარმოიდგინე, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწა ჯერ კიდევ არ გაუფორმებიათ. ბევრი იჩიხუბე. მინისტრმა შვიდასი ათასი მანეთი მოგვეცა, ესენი კი... ჰო, სურავში ვიყავი, შესანიშნავი ადგილი ავარჩიე,

არიშელი ბავშვებისათვის დიდი სახლი უნდა ავაშენოთ. ერთი უნდა ნახო, ამხანაგო ტარიელ, რა ლაიაში ადგრილია, რა მდიდარი ბუნებაა! გაიხარეები, ეხვარდებენ ზაფხულობით ჩვენი ბავშვები...

გაიოზ დარჯანამ სამუშაო მოედანი მოაუფთავა, შერე გრძელტარიანი ჩამოიღო ღუმელიდან თხევადი ფოლადი გამოიღო, იატაკზე დაასხა; ძამხალასავით იფეთქა ოქოსფერმა ნაპერწყლებმა. პატარა ზოდი აიღეს და ღამობრატორიაში გაგზავნეს გასასინჯად.

ღამეებზე გაიოზს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. აპარატურის გვერდით თეთრხალათიან ქალს გაზირებული წყალი გამოართვა და სულმოუთქმელად შესვა. ხელის ზორგით ნიკაპზე ოფლი მოიხოცა და განზე მიიხედა; გაოცდა, თავი ისე აიქნია, თითქოს მოჩვენებას ხედავსო, შერე უცებ მოწყდა ადგილს და მისიენ მიმავალ ვიქტორ კირიჩენკოს მიამურა, მოეხვია.

— ვიქტორ, ძმობილო! როგორ გამახარე! — ჩილიაპარაკა და ზეახედა, — უყურე, კიდევ უფრო ამაღლებულა!

— მოველით, უნდა მოვილოთ. — შეკაეებული სიხარულით უთხრა ვიქტორმა და შორიანლო გაჩერებულ ელენეს მიხედა.

— აჰ, ელენა ნიკოლაევისა! — წარსთქვა გაიოზმა და თავაზიანად მიეხალა, ხელი გაუწვია. — დეიძლი იმა და რძალი რომ მწვეოდა, ამზე მეტად ვერ გამახარებდა...

ვასო სიამაშვილი ღუმელის მარჯვენა მხარეს შეჩერდა, საქე ოხდაე გადააწია, საქვავის მიწოდება შეათანაბრა. ამ დროს თითქოს ნაცნობ სახეებს შეასწრო გოგონის თვალი და ინსტიქტურად უკან მიიხედა. მთელი დღის განმავლობაში იმდენად შეპყრობილი იყო უშუალო საქმით. რომ ახლა პირველად შეიქრა მის ცნობიერებაში ჯერ რაღაც შორეული, შემდეგ კი მრავალგზის ნახატრი სახე; ამ სახეს ჯერ გამჭვირვალე ბურუსით ვარს ეხვია ვანცილი და ნაოცნებარი; ნატამას დაუეწყარი სხონეც იყო აქ და რუსიკოს მომლიმარე ღომილიც; მალე თითქოს სიამო ნიავმა დაუბერა და ბინდი გაფანტა, მისკენ მიმავალ ვიქტორს მიეგება, მოეხვია; ხოლო მონიკა ტანმოორჩილ, ცრიალა ელენეს ხელი ჩამოართვა, უნებლიედ თავი განზე გადასწია და მეგობ-



რული მზერით აგრძობინა, თუ როგორ ტყებოდა მის ბედნიერებით.

ჩვესი შემოქმედ შრომას, მშობელი ქვეყნისათვის თავდადებულ ბრძოლას, ყველაფერს ერთი დიადი საწყისი უღვეს საფუძვლად, — მარადის უკუნობად, ახალ-ახალ ვაზაფხულივით უთვალავი ელფერით მისილი სიყვარული; ხორჩი ფოთლები ზაფხულზე გაუხეშდება, შემოდგომაზე ქცნება და ზამთრის პირად ცვივა; მსუსხავი ქარი აცახცახებს გაძარცვული მცენარის შტოებს; ხოლო ხე ცხოვრებისა არასოდეს არა მიწვლდება, იგი ყველაფერთან სამოსელს იცვლის მხოლოდ, ფერიდან ფერში, სახიდან სახეში გადადის.

ამ დაუსრულებელი შემოქმედების იღუმალ შუქში იყვნენ იმ წამს გახიუხული ვასო და ვაიოთი, ელენე და ვიქტორი; ამიტომ იყო მათი შეხვედრა ესოდენ სასიხარულო.

უცებ ვასოს ღუმელის რაღაც შეცვლილი ხმა ჰოესმა, უმაღლე შეტრიალდა, კარებს ჩაუარა. ვაიოთიც მასთან ერთად გაერთო საქმეში.

ფოლადის გამოშვების დროა უჩვეულოდ დასრულდა მთელი თეატრის ქანდაკებით გაიჭედა სტუმრებით. ბევრი მათგანი პირველად ესწრება მარტინის ღუმელიდან ფოლადის გამოშვებას, ამიტომ ცნობისმოყვარეობით მოედის, თუ საიდან, როგორ მოხდება ეს.

აგერ ღვეჯან სალონი და ნიკოლოზ პაელოვი გამოვიდნენ წინ, ტარიელი მიეგება მათ და რაღაც აცნობა. ლივანსაჲ და ნიკოლოზსაჲც სახეზე უსიამოვნება აოგბეჭდათ.

სამჭროს უფროსი სამსონ განიძეც, მიუხედავად მისთვის ჩვეული შეურყეველი სიღინჯისა, ელოარ მალაეს ძლიერებას, — შენადნობის ღუმელში დაყოვნება აღარ ვარგა, უნდა გამოუშვან, იქ კი...

რა მოხდა? რა ვერ გაითვალისწინეს? ეს კითხვა ახლა გამოუცდელ მეთვალყურესაც კი თავში უტრიალებს.

ქვედა სართულში, იმ ადგილას, სადაც მესამე ღუმელის ბალავარია ამოყვანილი, სადაც იმ წამს სამსხმელო ამწის დიდი ლაკარტი იყო დაშვებული, ვეება ციკვთან სასწრაფოდ ჩაირბინეს ქარხნის ხელმძღვანელებმა.

გამორკვა, რომ ციკვების საჭერი მოწყობილობის ხრახნი სუსტი ყოფილა და გაბტყდარა; ახლა საჭირო იყო მეორე

ადგილას გახვეტა და ახალი ხრახნის გაყვება. ძველი საქმე არ იყო ეს, მაგრამ ფოლადის გამოშვება მძებრებით მიხეც გვიანდებოდა.

იმ მყოფ ინჟინერთა შორის ყველაზე ახოვანი და მაღალი მთავარი მექანიკოსი სიმონ გებაძე იყო, არაფერზე შედგომა არ დასჭირდა, ისე აყვდა იმ ადგილს, სადაც ახალი ხრახნი უნდა მოერგო, იარაღს ხელი ჩაავლო და საქმეს შეუდგა.

ანდრეი კუზმინმა, რაკი ფოლადის გამოშვება ყოველდებოდა, ვასოს ურჩია, ცოტაოდენი თუჯი შემატებია შენადნობში.

კვლავ მძლავრად აგუგუნდა ღუმელი.

გამაფრდა მოლოდინი.

სტუმრებიც გრძობენ, რომ რაღაც შეფერხება მოხდა, მაგრამ მიხეც მოთმინებით დგანან და ელოან.

მის იყო სამსხმელო ამწის ლაკარტი მისდევს ციკვს ყურებზე, რომ ამ დროს საამქროს უფროსის მდივანმა ქალმა ჩაირბინა ტარიელთან და აჩქარებულად უთხრა:

— ტარიელ ზურაბოვიმ, ტელეფონთან გათხოვეს.

ტარიელს ერთ წამს თვალი გაუშტერდა. სამშობიაროდან რომ წამოვიდა, მას შემდეგ რამდენჯერმე იკითხა ტელეფონით: მთელი გულით გრძობდა, რომ მარინე დიდ განსაცდელში იყო, მაგრამ წონასწორობას არა კარგავდა, საქმეში იყო გართული, ერთხელაც არავის აგრძობია თავისი წუხილი. ახლა კი ვინ იცის, რას ეტყვიან, რა დღეშია მარინე...

სახე ოდნავ დაეჩრდილა ტარიელს; დინჯად შემბრუნდა და რკინის კბეკს აყვდა. ასასველელთან თავში გაუელვა: «ვაითუ მშობიარობა გართულდა და...»

ისეთი რამ წარმოესახა, ძარღვებში სისხლი კინალამ გაყვინა, სული ძლივს მოითქვა. იატაკზე მდებარე რელსს ფეხი წაჭკრა, თვალი გაოგნებულად მიმოატარა.

ვასო ღუმელთან მიმოდიოდა. სტუმრები ზეაწეულ ციკვს მისჩერებოდნენ. სახეიბო ეამი დგებოდა.

შუბლი შეიკრა ტარიელმა, თავის თავს შემოჟდა. აპარატურისაკენ გაემართა, ხალხს გვერდით ჩაუარა. ვასასველელთან, ღუმელის გუგუნში რომ მიუყვამდა, ურვა ისე მძაფრად შემოინთო,

რომ გაზაფხულის ნათელში მზზინვარე გარემო სრულიად არ შეუძინებია; ხოლო როცა ერდოდან საამქროს სამმართველოდღის გადებულ ხიდზე ჩაეიდა, უცებ მოწყდა ადგილს და მისაღებოთაში სირბილით შეიჭრა. მაგიდაზე დადებული ტელეფონის მილის შეტი არა დაუხანავეს რა, მყისვე დაწვდა და სულმოუთქმელად იკითხა:

— დედა, შენ ხარ?

— მე ვარ, შეილო! დამშვიდდი, შემოგველე. ვაჟი შეგეძინა, შეილო, სრულიად ჯანსაღი. მარგალიტით მშვენიერი ვაჟი.

— მარინე როგორაა?

— კარგად, გეხაცვალე, კარგად. სიცოცხლესავით ძლიერი ქალია, შეილო, ჩვენი ოჯახის გამაძღვნიებელი მარინე...

— გმადლობ, დედა! — აღმოხდა ტარიელს და სული მოითქვა, ტელეფონის მილი ხელში შეჩაბა.

ქალებს იშვიათად გამოეპარებოთ ოჯახური ამბები, ამიტომ იმ წამს შესულმა მდივანმა მხიარულად მიმართა ტარიელს:

— მოგილოცავთ, ტარიელ ზურაბოვიჩ!

ტარიელმა ქალი მხოლოდ ახლა დინახა, ვაცისკროვებებულ სახე ღიმილით დაუმშვენდა, ტელეფონის მილი დადო და მდივანს კინაღამ მოეხვია, ხელი აღტაცებით ჩამოართვა.

— გმადლობ, დედა, დიდად გმადლობ!

ეტყობოდა, სხეულის ყოველი უჯრედით გახიცილდა ტარიელი ანაზღად მოზღვავებულ ბედნიერებას, იმაზე ვაცილებით უფრო ძლიერად დამატკობებს, როგორც კი ოდესმე წარმოედგინა; მისი ხორბლისფერი, შინაგანი გზნებით განათებული სახე და დიდრონი, მუქი თაფლისფერი თვალებიც აქვს ძეტყველებდა. სიჭაბუკეში, ცეცვის დროს რომ შევერდა, ისე მარად შეტრიალდა ის ხსოვნა იცავი, მდივანმა მზერა მოხიბლულივით გააყოლა, კეთილად გაეღიმა.

ტალანში არავინ იყო და ფრთაშესხმულმა ტარიელმა ყმაწვილივით გაინავარდა, წამსვე ხიდზე გაჩნდა. აქ კი უცებ შედგა, გარემოს თვალს მოავლო; ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქოს ამაზე უფრო დიდებული მშვენიერება სიზმარშიაც არა ზმანებოდეს.

კრიალა ცაზე მოღაჯლად მზე ქვემო ქართლის მთებისაკენ დაშვებულყო; შორს ბურუსმომოხვეულ კოცხით მოსჩანდა მუყერვალზე აღმართული ძველი ეკლესია; მტკვრის გაღმა გაყოფილი მომწვანო სერები და თიხისფერი ფლატეები დეკორატიულ მორთულობას დამსგავსებოდა, ხოლო ახალ ქალაქს ზურმუხტისფერ ქობასავით უმკობდა მხარს ნორჩფოთლებიანი ძველი ვერცხვების მწკრივი; მზზინვარე ნათელი მოპყვნოდა ქარხნის საამქროებს, გრძელ კორპუსებსა და ჩონჩხედებს; თბოელექტროცენტრალის მილიდან ამომავალი კვამლი ნიაცს აღმოსავლეთისაკენ გადაეხარა და დაგრანგილი ჩრდილი თალხი მარამაშვით გარს ეხვეოდა ბრძმედების ბალაურებსა და კაუპერებს. მარტენის გზოში სტუმრების მანქანები იდგა, ტრიბუნაზე ჯერ არავინ იყო, ყველანი საამქროში შესულიყვნენ.

ყოველივე იმაში, რასაც ახლა ტარიელმა თვალს მოავლო, განსაკუთრებული არაფერი იყო. უდაბურ ადგილას მოკლე დროში ქარხანა და ქალაქი აშენდა. ეს საბჭოთა ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ ტარიელმა იმ წამს მძაფრად შეიგრძნო, რომ ახალი საქართველოს ეს აღორძინებული კუთხე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, რომ ამ ახალი სამყოვრების სხივგაფენილ საფუძვლებს თავისი გულის ძარღვით გადაეზარდა. მეტი კიდევ...

ქალაქის განაბირას, იქ, სადაც სამშობიაროა, ცისიერში მოფარფატე მტრედები დაინახა ტარიელმა, მშვიდობისა და ბედნიერების მახარობლებად მიიღო ისინი და საამქროსაკენ გაემართა.

შესასვლელს არ გასცილებია, როცა მალალ ქერში კვამლნარევი ალი ავირდა. ტარიელი ბარიერთან გადამდგარ ხალხს შეუერთდა.

აჰ, კლდეზე თითქოს ჩანჩქერი გადმოსვლიდა, ღარიდან პირფართო ციციხეში ოქროსფერი ნაკადი დაეშვა; შუშუხასავით გაიშალა ირგვლივ მფეთქავი ნაპერწყმები.

საამქროს გრძელ მოაჯირებზე, კიბეებზე, ქვედა სართლის სვეტებსა და შემოსასვლელებთან შეჯგუფულ სტუმრებს, მშენებლებსა და ქარხნის მუშაკებს სახეებზე პირველი ქართული ფოლადის ნათელი შეეფინათ.

ყველანი აღტაცებით უმზერდნენ, ასორძოცდაათხოხიანი ციცხვი რომ პირთამდე აივსო; ახმინადა სამსხმელო აშწე, ციცხვს ლაკარტები ამოსდეს; ატრეტივებისას ოდნავ შეირხა ციცხვი, მოთეთრო წიდა ქაფივით გადმოიღვარა; მერე სწრაფად გააქანეს იგი, ვაგონებზე ჩამწკრივებულ ყალიბების გასწვრივ გააჩერეს, ოთხეულის შუა ყელს გაუსწორეს და იწყეს შიგ თხევადი ფოლადის ჩაშვება. შადრევნის შზეფებივით მიმოიფანტა კვლავ მოციმციმე წინწყლები.

ხოლო შემდეგ, როდესაც ტრიბუნაზე ცენტრალური კომიტეტისა და მთავრო-

ბის, მშენებლობისა და ქარხნის წარმო-მადგეხელნი ავიდნენ, როცა აჩრმელე-ბი თავიანთი დროშების ქვეშ შემოტრ-ბნენ და გრიგოლ ამირხანიძემ მიტყვი გახსნა, როცა ორატორების საზეიმო სიტყვებში ჩვენი ქვეყნის სახელოვანი წარსული, დიდებული აწმყო და წარმ-ტაცი მომავალი მეტყველებდა, — სწორედ ამ დროს მალა, ამიერიდან განუწყვეტლად მოგუგუნე ლუმელის მახლობლად, ძეგლთა ოსტატი ერთი-მეორეზე კვარცხლბეკივით შეწყობილ ყალიბებში ქართველი ხალხის უტეხ სულსავეთ გამძლე ფოლადს ასხამდა და სტალინის უკვდავ სახეს აქანდა-კებდა.

## XI. ია და მარდი...

ორი მაისი. საზეიმოდ მორთული დე-ლა-ქალაქი.

საბურთალოს მხრიდან ორი ცისფე-რი მანქანა სანაპიროზე გავიდა.

პირველი გაიოზს მიჰყავს, გვერდით ბავშვიანი ღარეჯანი უზის, ხოლო მათ ზურგს უკან რუსიკო და ვასო სხედან.

მეორე მანქანაში მოფერთან ტარე-ლი მოთავსებულია; იქვე არიან ვახტანგ სიამაშვილი, რუსიკოს დედა დესპინე და მშა — ავთახილი, თბილისის უნი-ვერსიტეტის სტუდენტი. მესამე მანქა-ნა, ბარჯით დატვირთული, დილით ად-რე გაგზავნეს არაშში.

ისეთი სხივმოუბარი, მაღალციანი, სპეტაკი დღეა, როგორც მაისში სჩე-ვია ხოლმე ჩვენს მშობლიურ ქალაქს.

აღიღებულ მტკვარი, ბეტონია სქელ კედლებში მოწყვდებული, გამბეულად ჩქრიალებს, მძლავრად ვრავნის თიხის-ფერ ზვირთებს, მხოლოდ აქა-იქ გაი-ციმციმებებს მოთეთრო ნანჩქრევი.

ასფალტმოფენილ, უმტკერო გზის ორივე ნაპირას ახალგაზრდა ქადრები ჩამწკრივებულან, ტოტებით ურთიეროს თითქმის ვადაჭლობიან, სამწუხვი ფოთ-ლები წამოზრდიათ, ღია მწვეანდ გა-ბადრულან.

ტარიელი გასცქერის ახალ სანაპი-როს, იმ დროს წამოწყებულს, როცა თვითონ ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავ-ლობდა, გასცქერის და თითქოს თეო-ლინეს მოალერსე ხმა ესმო:

— ია და ვარდი ჰყენია, შვილო, შენს გზას...

ტარიელის ფიქრში ამ სიტყვებს ახ-ლა მეტად ღრმა შინაარსი ენიჭება, ამ სიტყვებით დედის ნაცვლად მთელი ახალი საქართველო მიმართავს აღმა-ვალ თაობებს, მიმართავს არა მხოლოდ ხატვრით, არა ოცნებით, არამედ ცხო-ველმყოფელი საქმით, ყოველივე იმით, რაც უკვე გაშენდა და შენდება.

— ია და ვარდი ჰყენია თქვენს გზას, მომავალი თაობებო, — ამბობს გუნე-ბაში ტარიელი, ამბობს არა მხოლოდ როგორც მოქალაქე, არამედ როგორც მოწინავე მშენებელი; მან ხომ კარგაი იცის, თუ რა შეემატება დედაქალაქს უახლოეს წლებში.

გაჰყურებს ახალ სანაპიროს და თვალ ნათლევ ხედავს მტკვრის პირად. თლი-ლი ქვით ხაგებ გალავნის გასწვრივ, უკ-ვე დამთავრებულ გზატკეცილებს, ახალ ხილს მეტეხთან, ორთაჟალოს, ჰიდრო-ელსადგურს, თავის შეკრულ კალაპო-ტში ამაღლებულ დედამდინარეს, დაწ-მენდილს ყოველგვარი კუჭყისაგან, რადგან კანალიზაციას უკვე სხვა მიმართულება აქვს მიცემული კალიუმისანი სასუქების მისაღებად. იზ-რდება თბილისი, მრავლდება ხალხი. მიმოქრიაან ავტომანქანები, ღრმალე-ლის მხრიდან გაუვლიან დიდუბებს, სა-ბურთალოსა და ვაკეს, მერე მიჰყვებიან მთის კალთებს, კრწანისისაკენ შეუხ-ვევენ, ისნიდან ძველი ნაძალადევისა-კენ გაემართებიან, ყველა უზნის კარს

შეაღებენ. მგზავრები თვალს მიმოავლენ და არსად, ქუჩების პირებსა, დიდებულ სასახლეებისა თუ ქალაქის ირგვლივ აღმართულ მთების კალთებზე, არ იქნება მიწის ისეთი ნაკვეთი, სადაც ბაღნარები, ყვავილნარები, ხეივნები და ნაირნაირი მცენარეები არ მიზინვარებს.

— ია და ვარდი ჰფენია თქვენს გზას, მომავალ თაობებო!

გაიოზმა ბაღის კუთხეში მანქანა ბენზინის მისაღებად დააყენა. ყველანი გადმოვიდნენ, საუცხოოდ ნახელავ ბაღნარში გაისივრნენ.

რუსიკოს ღია ცისფერი საზაფხულო პალტო აცია, თავზეც ამავე ფერის ქუდი ახურავს, მაღალ ყელზე ლაშაფოალებიანი ყელსახვევი აქვს მოხვეული. მისივან დასუვარ სოფროს სახეზე ფერნაკულობა აღარ ემიხნევა, მაღალ შუბლზე გახაზული მცირე ხაოქიც წაშლია, დაწვები ხშირად ეფაკლება. როდი მორცხვობს, ტუჩებმა და თვალბში ღიმილი უკრთის. მაინც თავდაპყვილობა ეჩინევა. ცდილობს, საჯაროდ არ გამოამყდავხოს თავისი უსაზღვრო ბედნიერება. თბილისში წინათაც ყოფილა, აქ მიიღო ლეხინის ორდენი. ამიტომ მისთვის უცხო არაა ეს მშვენიერი სანაპირო, ბაღები და სასახლეები, მწვანით შემოსილი მთის კალთები. მაგრამ ახლა მაინც ყველაფერს მტრად ახალი ელფერი გადაჰკრავს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორი მისი ის დღეს და დღედაქალაქი საზეიმოდ არის მორთული, არამედ თვითონ რუსიკოს გულთანაა თითქოს დაკავშირებული უამრავი სიმებით ეს მშობლიური გარემო და იღუმალი სიმღერის ჰანგი უზნიდან უბანს ეხმატკბილება.

შრომასა და სწავლაში გაზრდილი, შრომით სახელმწიფევილი ქალია რუსიკო; როდენი აღფრთოვანება განუცდიდა, როდესაც მისი შრომა სხვებისთვის მისაბაძი გამხდარა: რამდენჯერ, მთელი ღღის განმავლობაში მსარბობრილი ჯაფის შემდეგ, შეუსვენებია მაღლობზე, მიმოუღლია თვალი მაღალი მთებისა, კონტა გორაკებისა და ზღვის კიდემდის გაშლილ ველისათვის, ისეთ გუნებაზე დამდგარა, თითქოს ყველაფერი, რასაც კი მზერა წვდება, მისი სიკაცხლის დამამშვენიებელი საუნჯე ყოფილიყოს. მაგრამ ახლა ბედნიერებით გულსავეს რუსიკო გრძნობს,

რომ უსაზომოდ გაფართოვდა, (კიდან ცამდის ამაღლდა სიყრმისას თანშეზრდილი ჭეყენიერება, თვითონაც გაიზარდა, გაძლიერდა, ფრთებეშვებსა; და ეს იმიტომ, რომ გვერდით ვასო მიჰყვება, ტანადლოერი, დაევაკეუბული.

აგერ თავი ოდნავ გადასწია რუსიკომ, სხივანთებული თვალი მიაყრო ვასოს და შეუღება, ბუნებრივად ლამაზ ტუჩებში გულიდან ნაფეთქმა ღიმილმა გაუღევა.

ტარიელი და ვახტანგი წინ მიდნენ, ნაირნაირ მცენარეებს, ყვავილნარებს, ხეივნებს, თუთია ყვავილებით დახუნძულ აკაციებსა და გზის პირად ჩამწყრივებულ, ფოთლებგაბარდნილ ცაცხვებს თვალს ავლებენ.

— გახსოვს, ტარიელ, ამ ოციოდე წლის წინათ რა ქაობი იდგა აქ, რა წუმპე იყო? — ამბობს ვახტანგი, რომელსაც ერთხელ, ზაფხულში აქ, ხიდზე მიმავალს, ქარმა თეთრი ქული მოსტაცა, ისეთ საძაგულ საფლობში ჩავარდა, რომ გამორანაზე აღარ უფიქრია, თავშიშველი წავიდა, მაყურებლების სიცილი გაიყოლია.

— მართლა, — მოიგონა ტარიელმა, — როგორ სანთლებივით ამოიზარდნენ ნაქაობარზე ეს მაღალი ალვისხეები, როგორ დამშვენიდნენ ახლა ვისაც არ უნახავს, როგორ წარმოიდგენს, რა იყო აქ წინათ.

„გადაფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებსო“,

წერდა პოეტი. ახლა ამ სტრიქონებს ვერაინ გაიგებს, თუ არ განუმარტე, რომ ეს მიდამო, რომელსაც წინათ მადათოვია კუნძული ერქვა, მთელი თბილისის სანაგვე იყო და ყორნებიც იმატომ ეტახებოდნენ...

მცირე მანძილი გაიარეს და სტალინის ძეგლთან ჩავიდნენ, მერხზე დასხდნენ.

დაფხენილი აგურით შოკირწყულ მოფრანხე ახალფეხადგმული ბავშვი დღესა და მსუბუქ ბურთს დასდევდა; ახალგაზრდა მშობლები უმზერდნენ და იცინოდნენ.

ხელმარცხნივ ზეატყორცნილ ალვისხეებს ნიავი ამრიალებდა, ალისფერი დაჰკრავდა მთროლვარი ფოთლებს; ხოლო ირავლივ ფერადად ხასხასებდნენ წიწვიანი და ყვავილოვანი მცენარეები.

ძეგლის კვარცხლბეკში წყარო გად-  
მოსჩქეფს, როგორც ცხოველი ნაკადი  
მარადი სიცოცხლისა.

ხშიანობს ქალაქი, მიმოჰქრიან მანქა-  
ნები, იმის საყვირების ხმა, ტრამვაის  
ხრიალი; აქ კი სრული სიმშვიდეა და  
გრძნობ, რომ თავს გადგას შორი ნათე-  
ლი ამომავალი საუკუნეებისა.

ძეგლს ზემოთ მერცხლები მიმო-  
ჰქრიაან; ლურჯ ტბასავით კრიალა ცის  
თალზე ქარში გამწლილი ლეჩქავით გა-  
ფეხილა ქათქათა ღრუბლის ქსელი.

და ამ მოკამკამე ლავეარდის ფონზე,  
სპირტაჟი ღრუბლის გასწვრივ ცისიერში  
აღმართულა მშვიდობის დიადი მედ-  
რომის მონუმენტი, აღმართულა ხორც-  
შესხმული ოცება მშობელი ხალხისა.

ვახტანგმა ძეგლს თვალი მოსწყვიტა  
და ტარიელს უთხრა:

— არა, ბევრი სიმწარე გამოვიარე,  
ჩემო ტარიელ, მაგრამ რა შეერღობა  
ამ ბედნიერებას, როდესაც ჩვენი წინა-  
მძღოლი, ჩვენი კობა, ჩვენი სტალინი  
მთელ მშრომელ კაცობრიობას წინ მი-  
უძღვის!

გაიოზმა ძეგლთან ჩასასვლელი საფე-  
ხურები ჩაიბრინა, დარეჯანს მიაშურა,  
ნანი გამოართვა და მალა ასწია, თვა-  
ლებით, მთელი თავისი აღტაცებული  
გამომტყველებით მოეფერა. ნანის  
გულთანად გაეცინა, პაწია კიჭები გამო-  
უჩნდა.

— აბა, წაგიდეთ, ნულა ვაყოფ-  
ნებთ! — მიმართა შემდეგ თანამზაფ-  
რებს გაიოზმა, ბაქშიი მკლავზე დაისცა  
და მანქანისკენ გასწია.

ვიღერ ავტოში ჩასხდებოდნენ, დე-  
დამ რუსიკოს ყელთან პალტოში ჩათე-  
ნილი ყელსახვევი გაუსწორა, აუჩქა-  
რებლად მისწი-მოსწია ნაოჭები თავისი  
ნაჯაფი თითებით, თანაც ისე შეკუ-  
რებდა რუსიკოს სახეში, თითქოს ძა-  
ლიან შორს ისტუმრებს და განშორება  
უმიძისო.

დაიძრნენ მანქანები. ბერიას მოედან-  
ზე მგზავრებმა თვალი მოაღრეს საზე-  
იმოდ მორთულ სახლებს, ბელადების  
პორტრეტებს.

მეტებთან ვახტანგ სიამაშვილმა ზე-  
ახებდა და გუნებაში გაელიმა: სადღაა  
ძველი დილეგო, თავისუფლებისათვის  
მებრძოლნი რომ იყვნენ შიგ ჩაეტყლი  
და გულგაუტეხულად ელოდნენ გან-  
თიადს. ვახტანგიც იჯდა იქ ათას  
ცხრაას ექვს წელს მცირე ხნით. აგერ

ახალგაზრდა ნაძვი რომ დაურგავთ  
კბოდზე, იმის გასწვრივ იყო პატარა  
საკახი. ერთ წამს თვალი მოქუტუტა ვახ-  
ტანგმა და მყისვე აღადგინა შეხსიერე-  
ბაში ჩაბოზებულთა ტალანი და ბო-  
კილების შეინაზავი ჩხარაჩხური...

კრწანისს ჩაუქროლეს მანქანებმა,  
სამხრეთ-აღმოსავლეთის კარი შეაღეს.  
აქედან მოემართებოდა საქართველოს  
გულისაყენ უნაყოფო უდაბნოების თა-  
კარა, გადაშენებითა და გავერანებით  
იმუქრებოდა იგი. ცუარს ხატრულობ-  
დნენ აქლემისფერი ვორები და ვადა-  
მხმარი მინდვრები.

არიშისაკენ გააყოლა მზერა ტარი-  
ელმა, მერე ხელმარცხნივ, სამგორის  
არემარეს ჰქიდა თვალი; ჯერ ბულა-  
ჩაურის წყარომ იწყო დენა ბეტონის  
ვეება მილუმში, აჩქედნენ ბროლივით  
კამკამა მადრევენები, წამოიზარდნენ  
მკენარეები და ყვავილნარები, გაცო-  
ცხლდა, აღორძინდა ძველი ნაქალაქარი  
და მისი შემოგარენი; მერე ივრის წყა-  
ლი გამოემართა მლაშე ტბისაკენ, პირ-  
თამდე აიღსო თბილისისა "ზღვა", მო-  
ირწყო. გაშენდა, აყვავდა ხრიოკი მი-  
დამოვები...

მანქანები მთის კალთას უახლოვდე-  
ბიან. ტარიელი თვალს არიდებს უფე-  
რულ ზეგანსა და ყამირს, ამომბაილ  
დღოს შეჰხარის და კვლავ იმეორებს  
გუნებაში:

— ია და ვარდი ჰქონია თქვენს  
გზას. მომავლო თაობებო!

ანაზად ტარიელს სახე ღიმილმა  
დაიშვენა, ქული მოიხადა და თმაზე  
ხელი გადაისცა; მერე ისე დაჰყურებდა  
წინგადაშლილ, მრავალგზის ხრულ სა-  
ნახაობას, თითქოს პირველად ხედავსო.

ბლუმინგის, თბოელექტროსადგურისა  
და მარტენის კვამლადენები ამოი-  
მართნენ სივრცეში; ნაცრისფერი და  
მოთეთრო კვამლი შორ ლავეარდში  
ინთქებოდა.

მანქანამ არიშისაკენ ჩაუხვია.

აგერ ახალი ხიდი, წყალმიმღები სად-  
გური და უკვე ბეტონის კალაპოტში  
მომწყვდეული მტკვარი; ხოლო გად-  
მა — ახალთახალი ქალაქი, ფართოდ  
გამოლიო, მრავალი ქუჩით დასერილი.  
ზოგი სახლი აგერ ისევე ხარაჩოებშია,  
ზოგის მხოლოდ საძირკველია ჩაყრი-  
ლი, მაინც რა ვრცელია, რა მშვენი-  
ერია ეს სულ რაღაც ექვსიოდე წლის  
წინათ წამოწყებული არიშ-ქალაქი!

აგერ სტადიონთან უამრავი ხალხი შეკრებილა. უძთავრესად ანალგაზრდები არიან, არიძელი ფიზკულტურელები ვარჯიშობენ. მახლობლად, მძალადი ვერხვის ძირას, პატარა ბავშვები თამაშობენ.

— ია და ვარდი ჰყენია თქვენს გზას, მომავლო თაობებო!

თეოლინეს ამ დღისათვის დიდი მზადება ჰქონდა. ნიკოლოზ პავლოვის მეუღლე—ნასტასია აღექსანდროვხა დიდიდანვე ეხმარებოდა. უკვე გაწყობილი იყო გრძელი მაგიდა სასადილო დარბაზში. მოსწრებული ქალივით ტრიალებდა თეთრწინსაფრიალი, სახე-გამბარული ნათია. ელენეც აქ იყო, შინაურავით საქმიანობდა. ნიკოლოზი და ვიქტორიც მოვიდნენ. წიგნებს ათვალეირებდნენ ტარიელისა და მარინეს კაბინეტში.

თეოლინე სამზარეულოდან გამოვიდა, ნიკოლოზს მიაშურა.

— დიდი ბედნიერი ქალი ვარ, ძვირფასო ნიკოლოზ, — გაუხიარა თავისი სიხარული. — მარინემ ოქროსავით მშვენიერი ბიჭი მაჩუქა. ამისრულდა ნატერა, ჩემი მამისთვალა ახლა შინა მყავს, აქედანვე ტყუობა, რომ დიდებული ვაჟკაცი იქნება. მერე კიდევ დღეს ჩემი ძველი მეგობრის, ვახტანგ სიამაშვილის ვაჟი და ახალმოყვანილი რძალი მყავს გადმოპატივებული. საცაა ყველანი მოვლენ, თქვენ არ მოიწყინოთ, გეთაყვა.

უთხრა ეს და მკვირცხლად შეტრიალდა თამაშთოვლილი დედაქალი, საქმეში გაერთო.

მარინე საწოლ ოთახში ოჯახ აკვანთან, ბავშვს ძუძუს აწოვებდა. ძლივარე თვალებით დაჟურებდა უკვე მიღმარეულ ჩვილს და ტყუებოდა: ავი სრამ ბაწია ტუჩებს ოდნავ მაისც აცმატურებდა.

უცებ სმენად იქცა, ქვეით, ეზოში მანქანა შეჩერდა. გულმა ტარიელის მოსვლა უახრა. ბავშვს პირზე დოლბანდი გადააფარა, ადგა, ხალათი გაისწორა.

ნალოგინეობა აღარ ემჩნეოდა, ჯანსაღად გამოიყურებოდა. მხოლოდ სულ ოდნავ გაკრთობოდა ფერი მწყაზარ სახეზე. მაგრამ იმ წამს, კარისკენ რომ ფეხი გადადგა, დაწვებზე თითქოს ცუცხლი ანარეკლი შეეფინა, ცისფერი თვალებიც აუელვარდა. ეს იმიტომ, რომ ახლა და ახლა ტარიელის მისელებს, მის მიახლოვებას ისე განიცდიდა, თითქოს დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის მოლოდინი უსრულდება და გული ბედნიერებას ვეღარ იტევსო.

აგერ ტარიელმა კარი შეაღო. მარინეს ხელი მოხვია. ფეხაკრეფით მივიდნენ აკვანთან. ტარიელმა დოლბანდი ფრთხილად ასწია, ბავშვს სახეზე დაატყერდა.

მერე მარინემ და ტარიელმა ურთობის თვალი გაუსწორეს, ნეტარი დიმილი მოერიათ, ისეთი გრძობით გაიმსჯვალნენ, თითქოს აკვანში რომ ყრმა იწვია, იგი უკვე დავაჟაკებულიყოს, მათი თანაზიარი სიცოცხლე შეესხიე ბონოს და იითა და ვარდით მოფენილ გზაზე გასულიყოს.

1949 — 1951 წ.

დასასრული

## ორი ლექსი



## ავტომობილი

თავზე დავცქერდა კამკამა ზეცა,  
 ლხენით გვიცქედა გული ძლიერი.  
 ავტომანქანამ ჰაერი შესძრა,  
 უკან დასტოვა კონვეიერი.  
 ქარხნის ჰიშკრიდან იხილა მთები,  
 თვალი მოაქვს მღვიძარე ქალაქს,  
 ამოისუნთქა სიამით, შებებით  
 და ტანში იგრძნო რიონის ძალა.  
 ვით საქართველოს პირშეშო, პირველად  
 მიწას შეეხო ხაფხულის დილით,  
 ცისა და ქვეყნის გასაყვრივლად  
 დაიფეხუნა სიმღერა ტბილი.  
 გამოჩნდა წითელ დროშების ტყეში  
 ადამიანის ნებით დამჩრდილი,  
 მას ერხეოდა ბრწყინვალე მკერდში  
 მშვიდობის მტრედი—თეთრი საგზური.  
 ქარხნის მახლობლად გზაზე ელავდა  
 ახლადშობილი ავტომობილი,  
 მთელ ხალხთან ერთად იმას ჰედავდა  
 კუნთებშავარი ჩემი ძმობილიც.  
 ჩემი ძმობილი! საიდან გაჩნდა  
 ბრგე და ქარმაგი ამ ქარხანაში? —  
 ის მოზარდობით თერჯის წყალს სვამდა,  
 ბრძოლით შევიდა მტრის ქვეყანაში.  
 და ბერლინიდან დაბრუნებული,  
 წარბგარუჯული ეწვია დაზგას,  
 ქართველი კაცი დასრულებული.

სახელგანთქმული მკედელი დადგა.  
 თავისი სუბთქვა გადასცა რკინას,  
 თან გააყოლა წრფელი ოცნება:  
 — ჩვენი მანქანა მზესავით ბრწყინავს,  
 მზესავით ივლის და არ მოცდება.  
 მან მინდვრებიდან მოზიდოს უნდა  
 ბელლის კარამდე უხვი ზორბალი,  
 დიად სიცოცხლეს უმღერდეს მუდამ  
 შეუჩერებლად მისი ბორბალი.  
 რუსთავემი გაჩნდეს, ვოლგასთან  
 გაჩნდეს,  
 მშენებლობისთვის ზიდოს აგური,  
 კლდესავით გამძლეს, ხალისით  
 გამარჯეს  
 გული უცემდეს, როგორც ჩანგური.  
 შესვას შაშულის წყარო ანკარა  
 და კომუნისმის ამაგროს წიბო,  
 მშვიდობის გზაზე მტკიცედ დამდგარმა  
 პიში უმღეროს ჩვენ სახელმწიფოს...  
 ამ დროს მანქანა ამერიკული  
 კორეულ ბავშვებს უშენს ყუმბარას  
 და ვარსკვლავები ცაზე მიკრული  
 მიწიდან ამდგარ კვამლს დაუფარავს.  
 ორი მანქანა დაუღეგარი  
 ქვეყნად არის და შაოფლიოს სჯერა:  
 ერთია ხალხთა მზის მომღერალი,  
 მეორე — ხალხთა სიკვდილის კერა.

## თბილისის რკინიგზის ხიდი



მერცხალი მშვიდად ბუდეს აშენებს,  
 შრომობს, დაფრინავს ცაში ფრთავალი,  
 ხედავს, რკინიგზას ხიდი ამშვენებს,  
 როგორც ვეება ვერცხლის ქაპარი,  
 ო, რა ხიდი! ო, რა ხიდი!  
 ვით ცისარტყელა, ცაზე ელვარებს,  
 მატარებლები ხილქვეშ მიჰქრიან  
 და უმღერიან ველებს, მწვინვალებს.  
 ყოველი უბნის აღორძინებას.

გადასმაზიან ქალაქს ქარხნები,  
 ლხენით თვალები გაგიბრწყინდება,  
 ხილით ლაქვარდში როცა მაღლდები.  
 მტეტხისა და ბარათაშვილის  
 ხილები მტკვარზე გადასალტყულა,  
 ლამაზ გორებზე რტოებგაშლილი  
 ნორჩი ტყეები წამომართულან.  
 ხარაზობზე გმირი იზრდება,  
 დაიმორჩილა დრო და მანძილი.

სტალინის მთიდან მზე იმზირება  
 დაუშრეტელი ოქროს განძივით.  
 შემატებია მიწას სილაღე —  
 პური ქართული, მატყლი ქართული,  
 ფოლადის ქლერა სივრცეს მიარღვევს  
 ხალხთა მშვიდობის ხმებად დაძრული.  
 მერცხალიც მშვიდად ბუდეს აშენებს,  
 შრომობს, დაფრინავს ცაში ფრთამალი.  
 რკინიგზის სადგურს ხიდი ამშვენებს,  
 როგორც ვეება ვერცხლის ქამარი.  
 რასაც ვამეხებთ, ვაგებთ ვაკეთებთ,

მტერი ვერ შეძლებს, რომ დაანგრის.  
 რკინიგზის ხიდი ჰყოფს და აერთებს  
 ორი ბელადის ორ დიდ რაიონს.  
 რკინიგზის ხიდი მოჩანს დავერდში  
 ვით მშვიდობიან ხალხთა შარავნა,  
 ლაძიონების ლალი კაშკაშით  
 დედაქალაქი ვალამაზა.  
 ის ამეგობრებს გმირებს გმირებთან,  
 ელმავლის სუნთქვით დაუცხრომელი,  
 წრფელი ფიქრებით უკავშირდება  
 კრემლის ვარსკვლევებს ყველა  
 მშრომელი.





## ქართლს რაღასი

რომანი •



მამისაგან განდგომილი ალექსანდრე ბატონიშვილი დიდ გასაჭირში ჩავარდა. სამასკაციან ამაღლს შენახვა ჰქონდა. თავდაპირველად ბატონიშვილს იმედი ჰქონდა, რომ ერეკლე მას განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობოდა და მფარველობას აღმოუჩენდა; მაგრამ იმედი გაუტყრევდა. მართალია, ერეკლეს ცუდად არ მიუღია ალექსანდრე. მაგრამ ვინაიდან ერეკლეს სოლომონთან არ სურდა მდგომარეობა გაემწევაკებინა, არც თვითონ ბატონიშვილი და არც მისი ამაღა სამსახურში არ მიიღო. ბატონიშვილს, პირიქით, ურჩია მამას შერიგებოდა და შუამავლობა თითონ იკისრა, ამისთვის საგანგებოდ დაელოდა იმერეთში თავის სიძეს, არჩილს, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მამაშვილი მოერიგებინა.

მოლაპარაკება გაჭინურდა, ალექსანდრეს, რაც კი რამ გააჩნდა, ყველაფერი შემოეხარჯა და ერეკლეს ვაჟიშვილები რომ არ მიშველებოდნენ, ხალხი მიშვილით დაუწყებდნენ. მაინც დიდ გაჭირვებას გაბიჯდნენ, რადგან ბატონიშვილების მიერ ხანგამოშვებით და ისიც ძღვნად გამოგზავნილი სურსათი ან საკლავი, ყველას არ წვდებოდა. უბედურება ის იყო კიდევ, რომ ბატონიშვილს თბილისში თავისი ბიძის არჩილს სასახლეში მოუხდა დამინავება და ცხელი ზაფხული და შემოდგომა იძულებული იყო ქალაქში ეცხოვრა. ამ დროს კი მთელი ქალაქი თითქმის დაკარბელებული იყო და მდამიოთა გარდა ყველანაირი სააგარაკოთ იყვნენ გახიზნული.

შემოდგომის მიწურულს თბილისში ლამაზობით უკვე ისე აცივდა. რომ წალოდან თბილი საბნების გადმოღება

შეიქნა საჭირო. სააგარაკოდ გახიზნული თავადები და სოფედაგრები ქალაქში მოეშურებოდნენ და საქართველოს ყოველი კუთხიდან ახალახალი ამბები ჩამოქონდათ. ყოველდღე გამართული იყო ერთი მისელა-მოსელა. უმეტესობა სასახლეში მიეშურებოდა, სადაც დილიდან საღამომდე ფუტკრის სკასავით გაუთავებელი ზუზუნი ისმოდა. მოტანილ ამბავთა შორის ბევრი რამ იყო ქართლის თავადთა შორის რაღაც ფუსფუსი ამტყდარიყო. ვილაცას ხმა დაერხია, რომ მალე ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის-ძე ფათალიხანის ჯარებით მოადგება ქართლს და ერეკლეს კუდით ქვას ასროლებსო. ამას თან დაერთო ბესიკის სპარსეთში გაგზავნის ამბავი, რომელიც პატრმა ფრაზხესკომ სომეხი ვაჭრის გარეგინას პირით აცნობა ქართლ-კახეთის მეფეს. ერეკლე ამ ამბავმა ძალზე შეაშფოთა. ორი რამ იყო საფიქრებელი. სოლომონი ან სპარსეთის ყაენთან აპირებდა საილუმლო შეთანხმებას ან კიდევ ალექსანდრე ბაქარისძესთან სურდა კავშირი დაემყარებინა. იქნებ თავისთანაც იბარებდა უდაო იყო, რაღაც ერეკლემ სოლომონის განდგომილი შვილი შეიფარა და თბილისში ბინა მისცა, იმერეთის მეფეს საცაო საბუთი ჰქონდა ეფიქრა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს, თუ კი დაპირდებოდა, ყოველთვის შეეძლო მამისაგან განდგომილი ბატონიშვილი შეეგულთახებინა იმერეთის ტახტისათვის საბრძოლველად. ერეკლეს ასეთი განზრახვა ეჩვენა კიდევაც ჰქონდა გულში, მაგრამ ახლა მისთვის უმჯობესი იყო სოლომონთან ურთიერთობა არ გაემწევაკებინა. აღმოსავლეთიდან ცუდი ამბები მოდიოდა. გახიზნის ხანი გადუღდა და ხარკის გამოგზავ-

ნაზე უარი განაცხადა. ერევნის ხანმაც ისეთი ბარათი მოწერა, რომ უპველი იყო, ისიც განდგომას აპირებდა. ყუბელს ფათალიხანმა ხომ მოწოდებით მიმართა მეზობელ სახანოებს ერეკლეს წინააღმდეგ ხმალი აღემაართათ და ბოლო მოეღოთ ამ გააურის მძლავრობისათვის.

მთელი ეს ამბები აიძულებდნენ ერეკლეს სასწრაფოდ მოეგვარებინა ურთიერთობა იმერეთის მეფესთან და დასავლეთის მხრიდან თავისი ზურგი მაინც უზრუნველყო. ამიტომ მან დაიბარა სოლომონის ვაჟი და გადაკრით მოთხოვა შერიგებოდა მაშაშის, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ შეპყრობილს ვაგზავნიდა იმერეთში.

აღექსანდრე გულშემოყრილი დაბრუნდა შინ და თავისიანებს ყოველივე გულახდილად უამბო. მთელ სახლში ერთი ტირილ-ზღუნი ატყდა. განსაკუთრებით თავზარი დაეცათ დავით ამაშიძეს და მერაბ ნიეარაძეს. ერთიცა და მეორეც კარგს არას მოელოდა იმერეთის მეფისაგან და არც ერთ მათგანს არ სურდა უკან დაბრუნება.

— დიდუ, რა გავიგონე ეს — წრიალებდა წალმა-უკლმა მერაბ ნიეარაძე და შეზღუბე ხელს იტკაცუნებდა — მიტირეთ, მიტირეთ, ახლავე გამომიტრეთ ბარემ.

— წავიდეთ, ვთხოვთ ერეკლეს, თითონ დავგასაჯოს აქვე და იქ ნუ დავგაბრუნებს — წაიდუღუნა დავით ამაშიძემ — რაზე ვაგწვირა, რა დავუშავეთ ასეთი, იმერეთის მეფემ მთელი ქართლ-კახეთის განდგომილი თავადები და აზნაურები შეიფარა და ეს დალოცვილი იმით გულისჯავრს ჩვენზე იყრის?

— ჩემს თავს რას დავეძებ, ბატონიშვილზე ვდარდობ — თავისქნევით იმეორებდა მერაბი — ამას არაფერი ავხოს, თორემ მე ჰირს წაუღლივარ. რას მიზამს, ეს ერთი გახრეკილი თავი მაქვს და მოკვეთის, მეტს ვერაფერს დამაჯლებს.

— ასე არ გამოგვადგება, უნდა ვილონოთ რამე, — ამოიგმინა როგორც იქნა თამაზა მესხმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და მარტო თვალბნამ ამოძრავებდა ისე თითქოს თვალბნამის მოძრაობით მუსიდიფობდა.

— რა ვქნათ? — კითხა მერაბმა.

— ბატონიშვილი წაბრძანდეს და ეახლოს მაშაშისს, ჩვენ წავიდეთ ახალციხეში ფაშასთან.

— ჰა, რას ამბობ მაგას, — იუარა დავით ამაშიძემ. — ჩვენ თავს ვუძველოთ და ბატონიშვილი პირში მივცეთ? ის კი არა, უნდა ვეახლოთ და ვეცოლოთ დანაშაული ყველამ გავინაწყოლოთ. სასჯელი არ აგვცდება, მაგრამ თუ აქეთიქით გავიქეცით, უარესია. თამაშად მისვლა ჯობია. მივიდეთ და ვუთხრათ, ბატონიშვილმა თქვენს დაუკითხავად ქალი შეირთო და თქვენი რისხვის შეეშინდა, მარტო ვერ გავუშვით. ვეახელით, ახლა იმას ვთხოვთ, მაგას ყოველივე აპატიეთ და ჩვენ დავგსაჯეთ, დამიჯერეთ, ასე ჯობია, — თავისთავს ჩაუყრა თვალი დავითმა — განაგრძო: — ხომ იცი ასე პირდაპირ რომ გუნახავს, ვერაფერს გავვიბედავს, თორემ თუ დავეძალეთ, დედაიანბუღიანად მოგვთხრის.

— ლაპარაკი ადვილია, მაგრამ საქმე თქვი შენ, — მწარედ ამოიგმინა მერაბმა. — სოლომონს თვალბნამი მტერმა შეხვდა... დედას! ახლავე მარტოებს შინით და იქ რა მომივა.

— შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დარღვეულობა. წამოდი, ბატონიშვილთან ვითათბიროთ.

მეორე თთახში აღიქსანდრე ამშვიდებდა თავის მიუღლოს. რომელიც გულამომჯდარი ზოლუქუნებდა. გარშემო მოახლეები შემოხევიოდნენ და ვითომ ისინიც ამშვიდებდნენ, თითონ უფრო წუწუნებდნენ, თუმცა გუნებაში კიდევაც უხაროდათ, რომ შინ ბრუნდებოდნენ. ამ უცხო ქალაქში გაქირავებული ცხოვრებით თავი ჰქონდათ ვაბეზრებული. მარტო გადაიხთკავდა პირს და ბატონიშვილის წინ დამხობილი მოთქმით ეყვდებოდა:

— არ წახვიდე, შეილო, ნუ დამიღუპავ ჩემს ანგელოზს და ნურც შენ იღუპავ თავს.

ოთახში დიდებულები შემოვიდნენ. მერაბ წულუკიძემ მელიასავით სწრაფად მიმოავლო თვალი ოთახში ქალებს და დაუცახანა:

— გულით ახლა გარეთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს. ტირილი და წუწონი რომ საქმის შეილოდეს, მაგამი თქვენ გავჯობებდით!

ქალები ოთახიდან გაიკრიფნენ გარდა ბატონიშვილის მეოლონსა, რომელიც ტირილს განაგრძობდა.

— რა გადაწყვიტე, ბატონიშვილო? — კითხა დავითმა ალექსანდრეს.

— თქვენი რას მიჩივებ?

— ჩივეით რა უნდა გირჩიოთ, როდესაც მეტი გამოსავალი არ არის! ახალციხეს წაიდოლოთ ყველანი და შასთან, მაგრამ მაშინ მამაშენს საბოლოოდ მტრად მოვიცილებთ და არც ეგ ვეინდა. მამაშენის მტრობა გულში არცერთ ჩვენგანს არ ჰქონია და არც ექნება. ერთი გველი შეატურდა გულზე და ის მინდოდა მომეცილებოდა, თორემ სოლომონის გულისთვის, როდესაც არ უნდა მითხრას, ჩემ სამ შვილს დაეკარა ჩემის ხელი. თუ ღმერთმა მოგვხელა, ვენაცვალე მის სახლს, და არ გაგვწირა, შიში ხურაფრის გვექნება. ერთადერთ შვილს, ტახტის მემკვიდრეს არ გაწირავს. მე დავებრალე ყველაფერი.

დავითმა თვალეში შეხედა ბატონიშვილს, რომელსაც ცრემლები მოერიდა და გულაჩუყებული გადაეხვია სახლთუხუცესს.

— მეუღლეს, ჩემს მეუღლეს რა ეყო.

— არა უშავს რა. მაგის მამულში გზით გავივლით. მამასთან დავეტოვოთ. მეფეს ვეახლოთ, თავი შევავედროთ. ეგებ გული მოუღბეს და მერე ესეც ვეახლოთ. ამის შეეხებას რომ ნახეს, ქვის ჯულიც რომ ჰქონდეს, მიანიც მოუღბება.

ბატონიშვილი კიდევ ყოყმანობდა. მან ახლა მერაბს შეხედდა მერაბი თავის ფიქრებს გაეტაცა და თავს ისე აჭიკონებდა, თითქოს, რალაცას გაეკვირვებია.

— შენ რას იტყვი მერაბ?

— მე? — შეერთა მერაბი — წავიდეთ, ბატონო, წავიდეთ. თუ ღვთისაგან გაპირულები არა ვართ არაფერი გვიშავს, და თუ ღმერთმა აგვალო ხელი, სულ ერთია, ცხრა მთას იქით რომ გადავიკარგოთ, მაინც არ იქნება ჩვენი საშველი. ჰო, ჰო, ჰო, ბერი წულუკიძე რომ გაიკრებს ჩვენს აშბაგს, ჰო რა გიხარებს, ჩამივარდა ყველა ხელშიო, წავიოთ. გინდა აქ ამომძრობია სოლი შიმშილით. გინდა იქ წაოკლია ჩემთვის თავი მამაშენს, ოღონდ შენ იყავი კარგაო.

— შინ, თამაზ? შენ რას იტყვი?

— თამაზი ერთხანს უძრავად იოდა გარინდული. მერე ბატონიშვილს შეხედა,

მხრები აიწურა და ასე უსიტყვოდ ანიშნა, მეტი რა გზა გვაქვსო.

თათბირი ამით დაამთავრეს და მაშინვე შეუღდნენ სამზადისს. ფარეშები, ქეშიკები, ბაზიერები და მეთაფურები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. მაშინვე მოდენეს ის თხუთმეტობედი ცხენი, რომელიც შერჩენოდათ, უმრავლესობა საპალნეებისათვის გამოიყენეს, დანარჩენებზე ბატონიშვილი, მისი მეუღლე და სამი დიდებული შესვეს და დილაადრიან გზას გაუდგნენ. ბატონიშვილის გასაცილებლად მარტო ლევანი და დავით ორჯულიანი მოვიდნენ. ლევანმა ერეკლესაგან ორი ბარათი გადასცა ალექსანდრეს, ერთი სოლომონისათვის გადასაცემად და მეორე არჩილისათვის, თანაც ურჩია, რომ მამამისთან თავისი ბიძის არჩილის თანხლებით მისულიყო. გარდა ამისა მან დაახვედრა ქალაქის ბუქსთან ორასი მხედარი, რომელნიც ბატონიშვილს იმერეთის სახლურამდე მიაცილებდნენ.

ალექსანდრე გამოეთხოვა ლეონს და თავისიანებს ხიშანი მთაცა დათრულეყვნენ. ლეონის ცხენოსანი რაზმი გაიხშო მთიერტყა მგზავრებს და ქალაქელები გაოცებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ეს რა ამბავია, ტუსალები ხომ არ მიყავთო. ალექსანდრეს ამაღა მართო წაგავდა ტუსალთა ბრბოს. დაკონკილკაბიანი ფეხშიშველა ღელაკაციები, ზოგს ჩითის ნაჭერში გაკრული ფუთა მოედო ზურგზე, ზოგს ძველი ხურჯინი და ისე ზიანიგებდა შარაზე. მამაკაცებს ჩოხის კალთები აეკეცათ, დაფლეთილი შარვალი მუხლებამდე აეკაწახებიათ, ვისაც ჰქონდათ, თოფი გაეღო მხარზე, ვისაც არა — კომბალი. ბარგით დატვიითული ცხენები ისე იყვნენ დაზურგულნი, რომ კაცი იფიქრებდა, ეს საცოდავი ცხოველები რალაც მანქანებით შეკრული ლევაანების გორაკების ქვეშ შეუძვრენიათ, ამათაც ეს ტვირთი ზურგით ოდნავ ზევით აუწევიათ და გაჭირვებით მიაჩოჩებნენო, ხოლო ერთ ასეთ დატვირთულ ცხენზე მოხუცებულნი გაღლიც კი შეესვათ.

ყველაზე ხალისიანად და უღარდელად ენაგადმოვლებული ძაღლები მიჩბოინენ. მათ ალბათ ეგონათ, რომ სანადიროდ მიჰყავდათ, ჯორძოლაობის მახილს ყურს არ უგდებდნენ და მხიარული ყეფდავლავით მიდამოს აყრუებდნენ.

— ღმერთს ვფიცავ, თუ ეს ძალღებრი უფრო ბედნიერები არ იყვნენ ჩვენზე, — ამოხსერით უთხრა თამაზა მესხს მერაბ ხიჯარაძემ. — რა იქნებოდა, იმ დალოცვილ ღმერთს ძალღებრიმ გაეჭინე. მასმევედნენ, მაჭმევედნენ, სანადიროდ მატარებდნენ და ქე ვიქნებოდი ჩემთვის. თუ დავაშავებდი რამეს, ვრთ ორ წიხლს მითავაზებდნენ და ამით გადავრჩებოდი მთელ უბედურებას. ახლა კაცი მქვია, ჩემ სახლში მივდივარ, უნდა მიხაროდეს, და გული სიმწრით მეუშვება. რას მიზამენ ეს შინაც ვიცოდე. ვაი თუ დასაკლავი ხანოით დამადებინეს თავი ჯირბე. ძალის ბეით რაგორ უნდა მშურდეს და მენატრებოდეს ღვთისაგან გაჩენილ ადამიანს.

თამაზა მესხმა წარბშეკვრით გადახედა მერაბს და თითქოს თავისთვის წაიღუღა:

— გითხარით. ახალციხეს წაგიდეთ-ფიო და არ ქენით. ახლა იყავით მაგრე.

—

პაპუნა წერეთელი დილიდანვე მოუსვენრად წრიალებდა, გზაზე წამდაუწყუმ გზავნიდა გზირებს, მეფე ხომ არ მობრძანდებია უკანასკნელი კვირა იყო ხსნილისა, ორშაბათიდან შობის შარხვა იწყებოდა და ამიტომ შეუძლებელი იყო ქორწინების გადადება. სახლთუხუცესს დავით უფლისწულის დახუ, ქეთევანზე, უნდა დაეწერა ჯვარი და მისი კარმიდამო. სასახლის დარბაზები, მეზობელთა სახლებიც კი სავსე იყო სტუმრებით. ასეთი საქორწილო მზადება არასოდეს არ ახსოვდა საწერეთლოს. არათუ ჩვეულებრივი საკლავი: ძროხა და ცხვარი, რაჭული ზბოები და სავანის ბატყები მზადდებოდა სუფრისათვის, არამედ ნანადირევით. ირმებით, ტახებით, კაცებით და შურთხებით სავსე იყო სამზარეულო.

პაპუნას ვარაუდით მეფე შაბათს უნდა მობრძანებულყო, მაგრამ ის შერეულ ღღესაც კი არ ჩანდა და არც რაიმე ამბავს იტყობინებოდა. ნაშოადღუეს უყო მეტი ცდა შეუძლებელი იყო და პაპუნა დათანხმდა მაყრები გაეგზავნა, რომ საპატარძლო ტაძრამდე მიეცოლებინათ. თითონაც მოემზადა და როგორც კი გაისმა მაყრების ღამ-

ბაჩა-თოფების ბათქაბუთქი, მამხინვე გაემართა ტაძრისაკენ.

ეკლესიის ეზო და გარშემო ნაპურვალეები სავსე იყო ხალხით, ყველანი მოუთმენლად მოულოდნენ მაყრინის გამოცხვას. ხალხში ხმა გაეარდა, ქორწილს სოლომონ მეფე დაესწავრო და, ვისაც კი სიარული შეეძლო, ყველა ტაძარს მოაწყდა. გარდა თითოთროლა გლეხისა, რომელთაც ლაშქრობაში მეფისთვის შორიდან მოეკრათ თვალი, სოლომონი არავის ენახა. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და მხიარულად მასლათობდნენ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ერთი ჯგუფი, სადაც მღვდელივით წვერებცანცარა გლეხი ნარიმანა გულაძე სიცილით ხოცავდა ხალხს. ახლადმოსულები ცდილობდნენ წინა რიგებში გაქრილიყვნენ და სიცილით გადაფრინებულ დამხედურებს გაფაციცებით ეუთხებოდნენ:

— რა თქვა ნარიმანამ, რა?

— ოჰ, ღმერთმა დასწყვიტოს მაგისი თავი. რას არ იტყვის ეგ გაუბედურებული.

— აღარ შემიძლია მეტი, მომკლა სიცილით.

— როგორ იგონებს მაინც ამისთანა ამბებს?

ისმონა აქეთ-იქიდან და ისევ ხან ერთი გადაბეირდებოდა სიცილით ხან მეორე.

ნარიმანა არაფერს ისეთს არ ამბობდა, ჩიულებრივ ამბებს ყვებოდა. მაგრამ ისე ოსტატურად უსამდა მახილს ნაამბობს, ისე მოულოდნელად შეაბრუნებდა სიტყვას, რომ რაც არ უნდა ეთქვა, მაინც სიცილს იწვევდა, თუნდაც გასიყვანებასა და მიცვალებულზე ილაპარაკა. ახლაც სწორედ ასეთ ამბავს ყველობდა.

— წველით სატირალში, განაგრძობდა თავის ამბავს ნარიმანა, — მოდის ეს ჩვენი სილიონი. გუნებაში ვამბობ, ბიჟო, რაფერ უნდა იტროს, ამან ეს გადახურებული ასი წლის ბებერი, ამის თვალზე ცრემლი, საკუთარი მამა რომ მოუვლა, მამინ არ უნახავს იცის-მითქი. მივედით, შემოიკრა შუბლზე ხელი, ვაი ჩემს თავს. ვაი ჩემ თავს, იძახის და მოდის ირემლი მარა რამოყნი. ნეტავი ჩვენი წყარო იყოს ისე ბარაქიანი. ტირის, ტირის, ვერაფრით ეუბარ შიიკვა ცრემლი. ვაეასიყვით მიცვალებული, დაეჯექით საქმეზობლად.

ეს გაუბედურებული ტირის, არ ტირის, მარა მოლის ცრემლი, ვერაფრით ვერ მოწყვიტა. მიშველე ხარიმანო, მეუბნება, სახლიდან რომ მოვლიოთ, ცოლმა ჩოხის ჯიბეში ერთი თავი ხახვი ჩამიგდო, ეს მაინც მოისცი თვალზე, შეუღუთო, იქნება ზრდილობათვის ერთი ცვარი ცრემლი მაინც მოიღინო თვალზე, თორემ რას იტყვის ხალხიო. მოისცი და ხომ ხედავ, გავთავდი კაცი, დავინი ცრემლადო. ბიჭო, სად იშოვე ასეთი ცხარე ხახვი. შე სულელო, მეუბნება, როდის იყო წერეთლის და აბაშიძის ქალები ბოსტანში ხახვს რომ ბუნდიდნო, ჩემი ცოლის დარგული ხახვი აბა რა იქნებოდაო...

შეორე ჯგუფი შემოსეოდა გიყ დედაკაც ვასასის, რომელიც საგანგებოდ მოგროვილ ნეშოში ჩამჯდარიყო, ხმელ ფოთლებს არჩევდა და სათითაოდ უბეში ილაგებდა, თან უაზროდ ბუტბუტებდა. არავინ არ იცოდა; საიდან იყო და ვისი ოჯახის შვილი იყო ეს ვასასი, ან სად ეძინა, ზამთარ-ზაფხულს დედოფალი სოფელ-სოფელ და ლექმა პურს თხოულობდა. უწყობარი გიყი იყო, საოცრად დაკვირვებული და ვაგლახად ვერაფერს გამოაპარებდი.

— ვასასი, რა არის მაგ უბეში რომ იწყობ? — ვითხა ერთმა.

— არა შენი საქმა. — უპასუხა საქმით ვართულმა გიყმა დედაკაცმა.

ტებილიკეერი გონია უბედურა, — დაასვენა ერთმა ტლე ბიჭმა. რომელიც ხახვად ფრენილი უცქეროდა ვასასის საქმიანობას.

ხალხი აიოჩქოლდა. მექორწილენი ცხენებს მოაგლეკებდნენ. ისინი და შეწყობილი მაყრული. გლეხები ვაფაციცებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, სოლომონ მეფე რომელია მათ შორისო, მაგრამ ამდენ დიდებულებში ყველას თვალი აერიო. ცხენოსნები გალავანთან ჩამოქვეითდნენ და ცხენები მესერის გასწვრივ წვეტიან სარებზე დააბეს. მალე მთელი ეკლესიის გალავნის გარშემო თავისუფლო ადგილიც კი აღარ იყო ცხენების დასაბმელად. რა ჯიშის ან ფერის ცხენს არ ნახავდით აქ. კატასავით პატარა ფეხმარდი მეგრული ცხენს გვირდით აქ დაინახავდით ძოლებამო უზულ ოსოვრ ვამხდარ ულაყებს, შველივით ტანწერწერტა ყარაბა-

ლულ ბედაურებს, ყურბდაცქერილ მულამ დამფრთხალ ყაბარდოელ თახარიებს და უფრო ხშირად კი უჯჯიმო ჩიხვირჩაძოდებულ იამაზ ცხენებს. სხარულშიაც და ქაშია დროსაც სულ ძალია გუხებაზე რომ არიან.

სოფლის ბავშვები მაშინვე გაცივდნენ გალავნის გარეთ და ჯგუფ-ჯგუფად შორიდან ათვალიერებდნენ ცხენებს. უფროსები კი გზის გასწვრივ ჩამწყრივდნენ და მოწყობით ესალმებოდნენ დიდებულეს. საყდარში პირველად ქალები შევიდნენ. გლეხები ცხობიათოყვავილებით ათვალიერებდნენ საპატარალოს. პირველად ყველას ანაევანა სახლთუხუცესის საცოლვე, მფეოთაძ როდუააც გაიგეს, რომ ის თხოლოდ მდადე იყო და საპატარალო კი მის გვერდით მომავალი შორცხვად თავდაარილი გარუჯული არაქია, ყველამ ტუჩი აიბზეა ქალებმა თავსაფოებზე შეისწორეს და ერთმანეთს წაიხურხულეს:

— ეს რა ართვალი ყოფილა.

— რა არის ჩაცმა. ჩვენს თათიას რომ აგრე ჩააცვა და დაახურო, არ გაახათება ძხესავით!

— შევევრქმანი ყოფილა. ზოგს შავი ქალი უფროც უყვარს. ეგ უნდა იყოს ახლა ჩვენი ქალბატონი!

— გაჩუმდი, ქალო. მეფის ასულია, უბრალო ხომ არავინ გგონია.

— იმ მეფის ასული! მე მეგონა მზეთუნახავი იქნება შეთქი.

მამაკაცები უფრო თამამად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს. ხუმარა ნარიმანამ წვერზე ხელი დაისვა და ვითომ თავისთვის წაიდუღუნა:

— არა, ძმაო, პაპუნას ხელა კაცი ვიყო, მაგისთანა ქალს მოვიწვენ გვერდში?!

— რას სულელობ — წაულაპარაკა თეთრწვერა გლეხმა, რომელიც იქვე ნარიმანას გვერდით იდლით დაყრდნობოდა თავის შვინდის ჯოხს და ცოცხალი თვალებით ათვალიერებდა მაყრიონთა მარაქას — პაპუნას ქალები აქლია! მაგ ლეთისპირისაგან შერიგნებულმა, ვისაც თვალი დაადგა, ნამუსი ახადა და სოფელი არ არის, რომ მაგის გაკეთებული ბავშვი არ დარბოდეს ხელმწიფის ქალს მითომ ირთავს, წყალობა არ მომადგეს და საბატონო დავიმკვიდროო. მაგის გოლისათვის ქალს კი არა, ეშმაკს ჩაიწვენს ლოგინში.

— გაჩუმიდი, არაეინ გაგიგონოს.

— გამიგონოს, თორემ ხახვი არ და-  
მაქრას კისერზე. ჩვენიანი, ვიცი, არა-  
ვინ მიუტანს ენას და თვითონ რას გა-  
ფიგონებს.

— სამეფო გვარის ქალის შერთვა,  
ვინდა ასე თქვი ვინდა ისე, მაინც სასა-  
ხელოა, — დასძინა ნარიძანამ და მერე  
ხუმრობით იკითხა: — ერთი მაცოდინა,  
ჩვენი გლეხის ქალიც იმისთანაა, რო-  
გორც მეფის ასული...

— უჰ, დაგწყველა ჩემმა გამჩენმა,  
რას არ იტყვი — ჩიიციანა მოხუცმა და  
ნარიძანას ზურგი შეაქცია.

მალე პაპუნამაც ჩაუარა გლეხების  
შეკრევებს და ეჯიბის, მდაღის, მოუ-  
რავისა და რამდენიმე სხვა ნათესაეის  
თანხლებით ტაძარში შევიდა. მას არა-  
ვითარი ყურადღება არ მიუქცევია  
გლეხებისათვის, რომელნიც გზადაგზა  
მისასალმებელი შეძახილებით ეგებე-  
ბოდნენ. წარბშეჭმულხელი შევიდა ტა-  
ძარში და ასევე მოღუშული დაღდა სა-  
კურთხეველს წინ. ვერაფრით ვერ აიხ-  
სნა, თუ რა მიზეზით ვერ ესწრებოდა  
მეფე მის ქორწილს. ათასნაირი ფიქრი  
ჟტრიალებდა თავში. ხან გუნებაში  
გაუტელებდა, თურქები ზომ არ დაგვეს-  
ნენ თავთა, მაგრამ ამ ამბავს ზომ მა-  
შინვე აცნობებდნენ, ხან კიდევ იმის  
შიში კლადა, ვაი თუ მეფე გაახელეს  
და ჩააგონეს, პაპუნამ შენი ბიძაშვილი  
მისთვის შეირთო, რომ ვერაგულად გი-  
პირებს ტახტიდან გადაყენებასო. ეს  
აზრი იმითმე უფრო აწყუხებდა პაპუ-  
ნას, რომ ამის მაგვარი რაღაც მართლა  
ქმონდა გუნებაში. რაკი სოლომონი  
სპარსეთიდან ალექსანდრე ბაქარისძის  
იზარებდა და ერეკლეს წინააღმდეგ აპი-  
რებდა გალაშქრებას, ცხადია, ქართლ-  
ქახეთის მეფეც შეეცდებოდა სოლომო-  
ნის გადაყენებას და ამ აზრით მის ვაჟს  
ბეც ალექსანდრეს აამხედრებდა. ოუ  
სოლომონი ვაიმარჯვებდა, ცხადია, ეს  
თავის შვილს ტახტზე აღარ აიყვანდა  
და მაშინ იმერთა მეფედ ანას ქმარი  
დავით გიორგისძე უნდა გამხდარიყო.  
თუ სოლომონი დამარცხდებოდა, მაშინ-  
ნაც საეპო იყო, რომ ერეკლეს იმერე-  
თის ტახტზე სოლომონის შვილი დაეს-  
ვა, მაგრამ კიდევაც რომ დათანხმებუ-  
ლიყო, იერაც პაპუნა წარეთელი და  
ვერც ბერი წულუქიძე ამას იერ შუი-  
რგადობდნენ. განოგომილი სახლთ-  
უხუცესი დავით აბაშიძე ორთავე ამ

დიდებულს ძირიანად მოთხრიდა. ამე-  
ტომ გადაწყვიტა პაპუნამ ცოლად შე-  
ერთო დავით გიორგისძის დაი და თა-  
ვის მდგომარეობა საშვილძევილად გა-  
ხემატყვიცებია. მეფემაც დაუდასტურა  
სურვილი და ალუთქვა ქორწილში დას-  
წრება, მაგრამ....

...ეკვარისწერა აგერ თითქმის დასას-  
რულს უახლოვდებოდა და ქუთაისი-  
დან არაფერი ამბავი არ იმყოფა.

წარბშეკრული პაპუნა მხოლოდ მა-  
შინ გამოერკვა, როდესაც მღვდელმა  
დაასრულა თავისი საქმე და ნათესა-  
ვებმა მილოცვა დაიწყეს. სწორედ ამ  
დროს გარეთ ჩონქოლი შიქინა და მა-  
ლე ტაძარში მეფის შიკრიცი შემოიჭრა.

პაპუნამ ფეთიანივით შოხებდა და  
იკითხა:

— რა ამბავია?

შიკრიკმა საკურთხეველისაკენ გაიხე-  
და, პირველად გადაისახა და შემდეგ  
პაპუნას გრაგნილი გაუწოდა:

— მეფემ ეს ბარათი გაახლათ.

— რა შოხდა.

— გუშინ ალექსანდრე ბატონიშვი-  
ლი ჩამობრძანდა ქართლიდან ქუთაისს.

— რას ამბობ, ბიჭო! — ისე წამოი-  
ძახა პაპუნამ, რომ მისმა ხმამ ყველანი  
შეაშფოთა, მერე უცბად მიმოიხედა,  
შიკრიკს მაჯაში ხელი სტაცა და ეგე-  
ტურში გაიყვანა. — მოდი აქ. დალაგე-  
ბით მაიამე ყველაფერი.

— გუშინ, შენი ჭირმე, მეფე აქ წა-  
მობრძანებას აპირებდა. გამზადებული  
ვიყავით. ამ დროს გაეჩხედი, მოავდო  
ცხენი ვილაცამ, ბატონიშვილი მობრძან-  
დებოა. გადვირიეთ ყველა. სულ აირია  
მონასტერი, რალას იხამდა მეფე. გამო-  
ველით სუყველა გარეთ. გვიხედეთ.  
მოდიან.

— მარტო იყო?

— სამასი კაცი ახლდა.

— მაგას კი არ გკითხებინ. დიდებუ-  
ლები ვინ იყვნენ მათან.

— დავით აბაშიძე, მერაბ ნიქარაძე,  
თამაზა მესხი...

პაპუნამ ტუჩზე იკბინა. შიკრიკი კი  
განაგრობდა:

— გაეგება მეფე. დაიხოქა ბატონი-  
შვილმა: შენი მორჩილი ვარო.

— ცოლი ახლდა?

— არა.

ისივე იკბინა ტუჩზე პაპუნამ. მერე  
გრაგნილი გაშალა. მეფე უთვლიდა, და-  
უყოვნებლივ წამოდო.

ერთხანს გარინდელი ფედა პაპუნა და ქვის იატაკს ჩაქვეროდა, ძერე სწრაფად მობრუნდა და ტაძარში გავიდა, ახლადგვარდაწერილ შეუღლებს მიუახლოვდა.

— ბოდიშს მოვითხოვ, რომ ქორწინების პირველ დღეს ბედმა არ მარგუფნა საქორწილო სუფრაზე გზღებოდნი, ვითარცა ხეფე. ქუთაისს უნდა გავემგზავრო დაუყოვნებლივ. იმედი მაქვს, რომ სტუმართ მიიღებთ, ვითარცა დედოფალი და ბატონ-პატრონი დიასახლისი სახლისა ჩემისა. ამიერიდან ჩემი ყმა და მამულნი ჩემი სახლი, თქვენი საკუთრებაა და იმედი მაქვს განაგებთ ისე, ვითარცა შეპყვრის ბაგრატიონთა სახლის შვილს.

ძერე ანას და დავითს მიუბრუნდა:

— მომიტევე, დედოფალო, მაპატიე ბატონიშვილო, მაგრამ თქვენი იმედი მაქვს, უჩემობას ნუ დაინგვთ საქორწილო ნადიმს.

ანამ უკვე კარგად იცოდა, რაც მოხდა, ყველაფერს მიხვდა და ახლა გავიდა თუ არა, რომ პაპუნა დაუყოვნებლივ მიემგზავრებოდა ქუთაისს, გახარებულმა თესტუსით უთხრა:

— დამშვიდებული ბრძანდებოდე, სახლთუხუცესო. მართალია, უჩვეულო ნადიმი კი გვექნება და პატარძალი ცოტა მოიწყენს, მაგრამ შეფეითა და ვაზირთა ბედიან ხშირად მიატოვონ სახლი თვისი სახელმწიფო საქმეთა გამო.

— ცხენები! — დაიძახა სახლთუხუცესმა და საყდრიდან გამოვიდა. გზადგზა მოურავს ზოგი რამ დარიგება მისცა, შემდეგ ოციოდე შეიარაღებულნი მცველი იახლა, თავის დაულალავ ბედაურს მოეგლო და ადგილიდან მოსწყვიტა. ჩუბინები სულ ქინებით დიდევინდა და გზაზე მტვერის კორიანტელები დააყენეს. მალე ისინი თვალთაგან მიიფარნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდნენ, შორეული გორაკის ქედზე გადადიოდნენ. პაპუნა ისევ თავგამეტებით მიაგლეგებდა ცხენს და წინ მიუძღოდა თავის ამაღას.



მეფის კარის მასხარა ტაბიკა წიფლარინი და ჯალათი ხოსია უკარაო გააჩრდილი მეგობრები იყვნენ. ტაბიკა ერთი ციდა ტანის კაცი იყო და თავისი მოტყეპილი თავით, ცანცარა გრძელი

წვერით და ზვიადი სიღინჯით აუცილებლად ყოველ მნახველში დიმილს იწვევდა. ხოსია კი, პირიქით, ეგება ტანის, დათვივით უმნო და შთლად ბახჯკვლით დაფარული ბრგე ვეკაცი იყო და მისი შეხედვა შიშისა ზარას ჰგვრიდა ყველას.

ორივენი ხშირად ხედებოდნენ ერთმანეთს. ტაბიკა სასახლის ამბებით არ თობდა თავის მეგობარს. ხოსიას არათუ სასახლეში, სასახლის ეზოშიაც კი არ ჰქონდა შესვლის უფლება და მისთვის უდიდეს ნეტარებას შეადგენდა მოესმინა, თუ რა ხდებოდა სამეფო კარზე, ვინ მოდიოდა, ვინ მიდიოდა, ვინ რას ამბობდა.

— დიდი ბედნიერი კაცი ხარ, დიდი, — ეუბნებოდა ერთხელ ხოსია რაბიკას. — დმერთს რომ ჩემთვის კარგი ნდომებოდა, შენსავით დალეულს გამაჩენდა და შენს ხელობას მასწავლიდა.

— რა ყრია შიგ?

— როგორ თუ რა ყრია. სასმელი შენ არ ვაკლია და საქმელი. ჩაცმა და დახურვა, ქალიც ქე მოგვეკარეს ორი შესისგარძე. საქმემ, ზე შენ გეტყვი, წილი არ მოგწყვიტოს. აცინე მეფე და ეგაა სულ.

— მეფის ვაცინება შენ ხუმრობა საქმე გგონია?

— შე კაცო, რა უნდა მაგას?

— მელი და გააცინე, თუ კარგი ბიჭი ხარ, თუ გუნებაზე არ არის, ვაციინოს კი არა, შეიძლება იმისთანა მიგაყოლოს გვერდებში, რომ გაჩენა გაწყველინოს. ხელობა შენ რომ გაქ, მაგას რა ჯობია. ხარ შენთვის, გიძლივა ულუფა და გინდა დილას მოუღბინე, გინდა სალამოს, შეშა რო შეშა, იმის მიტანაზედაც კი არ იწყებთ თავს. ეგაა, თუ თოსასავლოთ გამოგიგზავნეს ვინმე, ერთი წიკაბიწიგბ და, მე შენ გეტყვი, ან პაგაზე გგზავრება დიდი ჯაფა! ათასწარი ჰხარაკობი გაქ იმისთანა, რომ ტყვილაც თუ მიაკარე ადამიანს, დასაკლვეი ხარივით აღრიალვბ.

— ყოველი კაცი რომ სხვის ბედს შენატრის. მე უბედურს, ჩემი დღეწუთისოფელი სულ მყრალ დილკასა და ნესტიან სარდაფში მიხდება ტრალი, უნდა მოკილო ხელი ზეზედალ აქოთებულ ტუსაღს, თითო მათშითი ტილი რო ასევიო თითოს და... დამანერე ერთი თავი, თუ კაცი ხარ. ეს დადის ამ გაგასკანებულ იატაკზე, თან ზედ

ნოხი რომ უფენია, ფეხი არ გაუცვლეს ან არ ეტკინოსო, შეცქერის ამ აფუებულ ცოძივით ნაბატივებ ქალებს და მე შეუბეება, შენი ბედი ჯობია ჩემ ბედაო, სულელი არა ხარ ახლა შენ?

— ჯოჯია, ბიჭო, ჯობია რა იცი შენ იმ გაქასასებულ იატაკზე და იმ ფეხებულ დედაკაცებში რაძერი ცოდნა რიანხე ტოილებს. აგერ გეხაიხეს-წიხ... ძალია შენთან თავა შეიძლება რაიძეს თქმა.

— ვიცი ახლა, რა მუცლის გერემა გაქვს. ეოთი დოქი ძველთავე ვინდა გამოურუნო. თორემ უთისოდ ყოველი სიტყვა ყელზე დავადებია.

ხოსიამ ერთის ბურღღუნით დაუწყო ხდა ქვეკრს, კარგა მოზრდილი დოქი პირამდე აავსო და ტაბიკა კერძასთან მიიბატიკა.

— მოდი, აქ დაჯექ, ჩემო ტაბიკა, — ხეხეშით უთხრა ხოსიამ, თითონაც იქვე მოიკალათა, ნაყარდაყრილი ჭადი ცეცხლს მიუფიცხა და მერე დიდხანს აფათურა გარემო ხელები. ნაპირებ-მოლოქილ უშნო ყანწს დაიჭებდა. ეს ყანწი ყოველთვის საძებარი ჰქონდა. ის ხან ტახტის ქვეშ იგდო, ხან თაროზე, ხან კერიაზე მიყრილ ფიჩხში ჰქონდა თავი ჩარგული, ხან კიდევ კალან-ჩხაზე ეკიდა.

— რეიქნა ეს რჯულძალი, — ხენეშოდა ხოსია, — მოყვეი ახლა, თუ ყვები რამეს, ეს დოქი არაად გაგვამცევა.

— ასეა, ჩემო ხოსია, — ჭიქიკებდა სმის მადანზე მოსული და გამხიარულებული ტაბიკა. — ეს ქვეყანა ჩემი და შენი ყოფილა. ასე გამოდის. მე ვაცი-ნებ ყველას, შენ ატირებ, ასე უბრძანებია ჩვენ გამჩენ ღმერთს და გაუნაწი-ლებია ჩვენთვის ამ ცხოვრების სიამტკ-ბილობა და სიმწარე.

— ბიჭო, რას ამბობ ხოლმე იმისთანას, რომ ქვეყანას თორმე ჭიჭეზე ხეთ-ქევა სიცილით. ერთხელ ჩემთვის მანც გეთქვა იმისთანა რამე, რომ ერთი მეც გამციტებოდა.

— არაფერს ჩემო ხოსია, არაფერს. მე თვითონ ვარ სასაცილო, ასე პატარა რო ვარ, დაღუული, პირველად რომ მიიხყვანეს სასახლეში, ასე შეგონა, დღე და ღამე მოვლი ხალხს სიცილით-თქო, მარა შენც არ მომიცდვი. თუ მე-ფემ არ გაიციხა, ისე, შენ გგონია. გა-აცილებ ვინმეს თუ? არ მომიცდეს შენი

თავი. სუყვილა იმას უყვირებს უკლებ-ში. თუ გაიღობა, იცოცხლე, გაქრას შე-ნი ტაბიკას ხეშრობამ. აგერ წინაზე ერთი იმისთანა ხეშრობა ეთქვი წიგნებ-ში, იყო ჩასაწერი, შეგხედე ხალხს. იგულება ყველა, ისე უხდათ გაცილება, მარა ყველა ძეგლს უყურებს. რას ბე-ტურობა ეგ სულელი, გააგდეთ გარე-თი. მერეს პანდური და კისრით დაქ-შე-ვეს კიბეზე. სალამოს, ვახშად რომ ის-ხუნენ, კუთხეში ვიდექი ჩეთთვის მოწ-ყენილი. ცხვირი დავაკეშიხე, რა მოხ-და შერე? არაფერი. ცხვირს ვინ არ აკეშიხებს. კაცს რო სურდა შეგეყრ-ბა, რამდენჯერ დააცხიკებ, ვინ იცის. პოდა, ცხვირი დავაკეშიხე, გაზრ-დათქო ვუთხარი ჩემს თავა და გლაბ-რუხდა მეფე, იციხის, იციხის, მარა შენ უნდა გეყურებია ამ დიდებულე-ბისათვის. ოხო, ხო, ხო, რა იცნეს. შეასკდნენ ერთმანეთს. არა, ბატონო, კია ტაბიკა ღირსი. რომ აზნაურობა უწ-ყალობითო, ეუბნება ბერი წულუქიძე მეფეს. აზნაურობა არა. მაგრამ ერთი კია ყალივი კი გადმომიგდო მეფემ და, იცოცხლე, მოვეულებნი იმ საღამოს.

— დღე ეს, — გაუწოდა საცე ყანწი ხოსიამ. — ღვინოს ხო გასმევენ ხოლმე?

— რაეა არა. მწდე რომ ჩამოივლის, შეევაკებებ ჯამს და რაც მე იქ ჩხავერი და ოჯალემი დამილევი, სათუ-ღავი არა აქვს. — ტაბიკამ ყანწი ჩამოართ-ვა. — ხოსია იცოცხლე, შენ საქმეს გა-უმარჯოს. ბევრი გეყვირებოთ ამ ქვე-ყანაზე, ბრუნდი და მართალი, სულ-ერთია მაიხც, ერთი ფასი აქვს ყველას. შენ თითონ არავინ აგაყვიროს, ესაა საქმე, მარა, ნუ გეშინია, ქვეყანა რო დეიქტეს. მაინც არავინ გახლებს ხელს. მეფესთვის შენისთანა საჭირო კაცე ერთი დადის მის საბრძანებელში.

ტაბიკა ერთხანს დიდის გულმოდგი-ნებით იმარჯვებდა ყანწა და მერე წრუბებით ისე გააჭიანურა დაცლა. გე-გონებოდა, რალაც დაუღვეული სასმისი მოუყულებოდა.

— არც შენ ხარ ნაკლებად საჭი-რო, — უთხრა შექებით ნასიამოვნებმა ხოსიამ. — კი, დამოჯერე, ასეა ეს.

— ვინ, მე? პატარა მქადის ნატეხი მომწოდა, ლობიო არ გაქვს?

— რაეა არა, აგერ ქოთანი.

— თუ არაფერი დავაყოლე, ისე გუ-ლი ამიწრიალდება, — თქვა ტაბიკამ.



ქოთანს მიწინა, მჭადის ნარევი ამოუწო და ზაღიანად დაუწყო ჭამა. — ვაიმე? ბიჭო, უჩემოდ ვის შეუძლია გამლება ქვეყანაზე. ამ მეფის დიდ ხალხს რომ უყურო, გაგიყვები, სულ ერთმანეთს ჭამენ. ბრანიახი ძალღებვიეთ უტრიალებენ ერთიმეორეს და ვინ ვის მოასწრებს და გადავალავს, რა ეცი. აგეო გუთისკუში ააუთიისცილი ჩაიზაბრძანდა ქართლიდან. მამა შეილს გეებუტება, რა ვუყოთ მეოე, თეოიგდუბიან, მარა უნდა გენახა რა ამბავი შეიქნა. შაბათ დილას ბატონიშვილი მობრძანდა, იძვე დღეს კაცი აფრინეს საჩხერეში სახლთუხუცესთან. ქალ ირთათავდა, მიუტრევიბა ეკლესიაში და დღეა რა დღეა, ორშაბათი გათენებული არ იყო, რა მოვარდა თავსი ამალით. მთელი დამე ქენებით მოდიოდა თურმე. რაზე ახლა? ბატონიშვილს პირველი სახლთუხუცესი დავით ამბოძე და ვეზირები მერაბ ნიქარაძე და თამაზა მესხი ახლებენ. ესენიც ეახლენ მეფეს. გადირია, ალბათ წერეთელი, იფიქრა — აღვილი შეკარგებათ, აქით ბერი წულუკიძე აფორიაქდა, იქით გოგია აბაშიძე, გარბან და გამორბიან, იმდენი ქნეს, რომ ეს სამივე დიდებულები დღეში ჩააყრევიანა მეფემ და დღეს ასამართლებენ. შენთვის არ დოუძახნიათ ჯერ?

— მე არაფერი ვიცი.

— მოვლიახ, ნუ გეშინია. მე ვიცი, არსა გამთქვამ და უნდა გითხრა, რომ მაგ სამი დიდებულისთანა კარგი კაცი ამ ჩვენ თავალებში ერთი არ დარის, მარა ეს რომ გამიგოს ვინმემ. წიწილივით წამაწყვეტენ თავს. მეფის ორგულები არიან, მაგათ სოლომონის გადაყენება და მისი შვილის რახტზე აყვანა უნდოდათო. მე შენ გეტყვი და დაბრალებას ვერ მოახერხებო.

— აბა მომიხდება მაგათი გაწურვა სამატში.

— იმდენი შენ იცოცხლე და მე. პაი ბეჩასა. რაც მე დავით აბაშიძე და მერაბ ნიქარაძე მიცინებია. თამაზს ხომ ნელა იტყვი ნამეტანი ვუყვარდი სამივეს. რა რამე არ ეჩუქებიათ ჩემთვის, არ შეიძლებოდა. რა ნაკითხი და რა განათლებულია სამივე. ახლა შენთან მოვიდნენ და უნდა აყვირო და აღრილო. ასეა, ჩემო ძმაო, ეს წოთისოფელი მოწყობილი. დალიე და დამილიე. თუ კაცი ხარ, თორემ ეს მადა კი ამიშალე

და მეტი აღარ გინდა მაღირსო? დღეს, ახლა, თავი იძიტომ გავარიდე სისახლეში, არ მინდა სუველას კვლავთე ქვისობოდე თვალში. გლახე ჩათიფიქლე დავდექი და გოგია აბაშიძემ შამინვე ის მითხრა: შე სენტილო შენ, მაგათი დარტუსალება გეწყეხა და იმიტომაა, რომ ხეძირბის მადა მოწილი გაქვსო. წადლე ახლა და სისდიის შოკითხე მაგ ღეთისაირისაგან გადავარდნილს. თითოხ ქე აქვს სასიხაოულო, ბიხია მამულებს დაეატრონება. მაგის გულისთვია, მაგ, ბიხას კი არა და თვილს დაქლავს.

ტახტიკას მალე ეციდებოდა ღვინო და შესაყე ყახწის ძეაღე მისიცი დაკარგა, რიდიც და მოხსხა გუდას თავი.

— მეფეო, არა რა თქვას კაცმა, მეფე არაა ურიგო კაცი. თხედიხი ქეა საყყალი და რა მოუვლის ხოლმე, კვახივით დაახეთქებს ძიოს.

— კაი, კაცო, მართლა? — გაუყვირდა ხოსიას.

— რაეა, არ იცოდი თუ? თუმეა, შეიძლება, არც ქე იცოდე. აო ამსეკის და ხმაძალა რომ წაძოგედეს სადქე, შეიძლება თავიც წაავო. ჰოდა, იმას ვამბობდი. ეგ კარგი კაცია, მარა ეს კარისაკეები, ო, მაგათი სინსილა კი გაწყედეს, ეგენი არიან, რაც არიან. მაგენი ხან ასე გააგოეებენ მეფეს, ხან ისე. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებენ. ოღონ რითიმე აამონ და თვალეში აუხვიონ, არაფერს არ ზოგავენ. როსტომ ერისთავი რო დაიჭირეს გეგუთში, მეფეს ერთგულება დავუმტკიცოთო, ერთად მიესიენ თვალეების ამოსაქუჟავად. რაც ის აცოდვილეს და აწვალეს, ვერაფრით თვალეში ვერ დათხარეს კაცს. მეერ თითონ ასწავლა, თვალის კილოები ჩამაქერიტ და მისით ვაღმოკვივა თვალეშიო. სულწასწრებულები რო არიან, შენ აქ არ იყავი? მოუყვანათ შენთან, ოსტატი კაცი ხარ, ერთი მოუქნევიდი ხელს და გათავდა საქმე. არა რახან მეფე გეცქერის, აბა რომელი მოვასწრებო. თავი მოვაწონოთო. დამისხი თუ მისხამ. მაგ დოქე, გინდა ასე თქვი გინდა ისე, ხო უნდა დავლიოთ.

— ამ დოქის ხელა არც ქე ხარ, — წაიბურღლუნა ხოსიამ და ყახწი აუგუსო. — ბიჭო, ერთი ეს მითხარი, იმ სასახლეში თუ მასხრობ, ჩემთანაც წეიმასხრე რამე, გამაკინე მეც, რომ დაჯლები და კაცი ვერ მოგლის, იმდენს

ლაპარაკობ, გამაცინე ერთხელ მეც რა იქნება.

— მე, ჩემო ხოსია, სასაცილოს იქ არაფერს არ ვამბობ, პატარა ტანის რომ ვარ, იმ სულელებს გონიათ, ჭკუაც პატარა მაქვს. ჩვეულებრივით რომ დავდივარ არ ვლაპარაკობ, ესაა რო კლავს სიცილით ყველას. შემომხედავენ და გადაფიჩინებიათ, ეს რა არისო. რა აცინებთ იმ სულელებს, დევიბადე ამისთანა და რა მოხდა მერე! კაცალი ზოგი მუშტის სისხოა და ფშუტი, ვითომ ახლა ისინი მითი მჯობიან, რომ ჩემზე ორჯერ გრძელები არიან?

ტაბიკა ისევ შეუდგა ყანწის დაცლას წრუბუნწრუბუნით, რომ ამ დროს სახლში მიფის იასაული შევიდა და ხოსიას მიმართა:

— აღე, წამო, გიბარებენ.

— საქმეა რამე? — დათვივით უხერხულად ადგა ხოსია და იასაულს შეაცქერდა.

— მერაბ ნიჭარაძეს თვალები უნდა დათხარო. ამ მასხარას რა უნდა შენთან. ბიჭო, მაგ ყანწის სიგრძე სულ არა ხარ და რადერ ეძებრები ზედ?

ტაბიკამ მოწყვეტით ანება თავი ყანწს და იასაულს მიაცქერდა:

— რა თქვი, ბიჭო, მაგ? მერაბს თვალებს თხრიან?

— რა იყო, გეცოდება? — დამცინავი ღიმილით დააცქერდა ზემოდან იასაული ტაბიკას.

— ვიცი, რა ძაღლიცა ხარ! — გულმოსულად უთხრა ტაბიკამ იასაულს და ფეხზე წამოდგა. — გინდა ახლა დამაცდენინო, მეცოდებაო, და მერე მეფეს ენა მიუტრენიო, შენი ორგული ეცოდებაო. წადი და უთხარი. არც შენი მემინია და არც მეფის.

— ვაი შენს ჭკუას, დაგაბეზლო, თორემ თანამდებობა შემშურს შენი, რო დალულხარ ნანგვალავ პანტასავით, ვის რად უნდა შენი დაბეზობა? — მერე მთებრუნდა ხოსიას, რომელიც ტყავის ქუჩყიან წინსაფარს იკრავდა. — ესეც რო კაცებში ერევა, ეს ჭინკა. მზად ხარ უკვე? წავიდეთ აბა!

ხოსიამ ტაბიკას გადახედა და კითხა:

— დარჩები თუ წამოხვალ?

— წამოვალ თუ წამიყვან თან და მაყურებიებ. იქნება კიდევაც დაგჭირდო რამეში. მოგეხმარები.

როინის პირზე, ქალაქის სულელის ჯიხურთან, სადაც მსჯავრდადებული უნდა დაესაჯათ, შეგროვილიყვნენ მსაჯულები, სარდლები და სასახლის კარის დიდებულები. ყველანი მწკრივად ჩამომსხდარიყვნენ სსლტეზე და რალაც უცნაურ ნაძალადევი მხიარულებით მასლათობდნენ. პაპუნა წერეთელი თავისი ვადის სასაცილო შემთხვევას უამბობდა მსმენელთ და ყველაზე მერს თითონ იცისოდა.

რიყეზე ორი კაცი ანძუხს ამერებდა.

როინის ვალმა ცნობისმოყვარე მოსახლეობა მოგროვილიყო. აქ იყვნენ უმთავრესად ზედა ქუთაისის მცხოვრებნი და ახლომახლოდან მოსული სოფლელები. ისინი ზმირად ყოფილან ასეთი სანახაობის მოწმე და ამიტომ ეს სანახადისი ახლა არავისში არ იწვევდა დიდ გაოცებას. იმ ადგილზე, სადაც ახლა ნიჭარაძე უნდა დაესაჯათ, მუდამ გამოყავდათ ბედით განწირული მსჯავრდებული და ჯალათი ხოსია აქ ასრულებდა თავის მოვალეობას. აქ დაყრევინეს თავები მღვიმევის მონასტრის მონაზონის გამტარებლებს, დაჭრეს ხელები ქალაქში დაჭერილ ქურდებს და აწამის დადიანის მხარეზე გადასული გლეხები.

მალე მდინარის ორივე მხარეზე შეგროვილნი ამოჩქოლდნენ. იასაულებს და ჩიფრებს ხელშეკრული მერაბ ნიჭარაძე მოყავდათ. მათ უკან მოყვებოდა ჯალათი ხოსია, რომელსაც თავისი იარაოები აეთლიავიბინა და სულ ბოლოს ბანაჯლიან ფინიასთვის მოცუნცულობდა ტაბიკა.

ტუსალი სეიტთან მიიყვანეს და ზედ მიიარეს. მერაბი თაღოს არიდებდა დიდებულებს. რაც შეიძლება ისიარი მოიღრიცა და ხარბად უცქეროდა ეას, მთებს და ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, რადგან ყოველივე ამას უკანასკნელათ ხედავდა. მსაჯულმა გრაჯილი გაშალა და განაჩენის კითხვას შეუდგა. დიდებულები ჩუმად იდგნენ და ტუსალს უცქეროდნენ. ყოველ მათგანს ალღევება ეტყობოდა. პაპუნა წერეთელმა მსაჯული შეაჩერა და მერაბს შეყფევით მიახალა:

— მოიხედე აქეთ. შენზეა ლაპარაკი.

მერაბმა ერთი წუთით მოიხედა, ზიზ-  
ლით აღსავსე მზერა მიმოავლო ყველას  
და ისევ მთებს შეაქცერა.

— შენ გეუბნებიან, — გაუმეორა პა-  
პუნამ.

მერაბმა ყურადღება არ მიიქცია. ის  
ახლა სინათლის შეგრძნობით იყო შებ-  
ყრობილი. ცოტახანს თვალები მაგრად  
დახუჭა, რომ განეცადა, თუ როგორი  
იქნებოდა მისთვის სამყარო დაბრძავე-  
ბის შემდეგ. იყო ერთხანს ასე თვალ-  
დახუჭული, მერე უცბად გაახილა და  
თითქოს დიდი ხნა ყვინთვის შემდეგ  
ამოვარდნილიყო წყლიდან, მძიმედ  
მოითქვა სული. უცბად ისე ძლიერად  
გაიღვია მასში თავის დახსნის სურვი-  
ლმა, რომ მთელი ტანით გაბრძოლა.  
მან ახლა მეტი სიძლიერით განიცადა  
ის საშინელება, რომელიც მოელოდა და  
თავდახსნის სურვილმა დენთევით ააფე-  
ქვა. გამწარებული ცდილობდა დე-  
წყვობა ჯაჭვები, გაეთავისუფლებოდა  
ხელები, მაგრამ ტყუილბრალოდ წვა-  
ლობდა და ქანცაწყვეტილმა ამოხვ-  
რით ისევ მძიმედ მოითქვა სული. გიყი-  
ვით მიმოიხედა, იმ იმედით, იქნებ ისეთ  
რამეს მოეკრა თვალი, რაც დამეხმარებ-  
და და თავს დამხსნევიანებო და, რო-  
დესაც დარწმუნდა, რომ სანუგეშო არ-  
სად არა იყო რა, ისევ გაბრძოლა,  
დაკრილი ნადირივით ახმუვლდა და  
თავს ისე გამწარებით იქნევდა, რომ  
მთელი ძალით ახატქუნებდა სვეტზე.  
ამ ჯაჯგურში ტანსაცმელი ალაგალგ  
კიდევაც შემოასკდა ტანზე და გადარ-  
ყული მკლავებიდან სისხლმა დაიწყო  
ცვარვა.

მსაჯულმა განაჩენის კითხვას თავი  
ანება და უხერხულად მიმოიხედა. ყვე-  
ლანი ისე გაითრებულოყვნენ, რომ  
არცერთ მათგანს ადამიანის ფერი არ  
ვლო სახეზე.

— აჰ, ანის ცქერა შე არ შემიძ-  
ლია, — წაიდუღუნა ელიზბარ ერის-  
თავმა და სასახლოსკენ მოუსვა.

მას დანარჩენებიც დაედევნენ და მა-  
ლე ტუსაღთან მეციხოვნეთა გარდა  
მარტო პაპუნა წერეთელი, მსაჯული  
ხელთაფლიშვილი, ჯალათი ხოსია და  
მასხარა ტაბიკა დარჩნენ.

ხალხის წასვლამ მერაბი თითქოს და-  
ამშვიდა, თუმცა ჯაჯგურსა და ჯაჭვ-  
ბის დაწყვეტის ცდას მაინც განაგრ-  
ძობდა.

— კარგია ახლა, რა მოგვივიდა, ვაე-  
კაცი არა ხარ? — უთხრა პაპუნამ. —  
მთლად კი ნუ წახდები.

ამ სიტყვებმა უცნაური გავლენა იქო-  
ნია მერაბზე. ის სრულიად მოწყდა და  
დაკლულივით დაეკიდა სვეტზე.

— რას მერჩოდა მეფე, წერეთე-  
ლი? — თითქოს მიწას ჩასძახოდა, ლულ-  
ლოვობდა მერაბი. — მე თუ მის ვაჟი-  
შვილს ვურჩიე ცოლის შერთვა, თითონ  
ხომ გააგდებია? რაზე მთხრის თვა-  
ლებს? ბერი წულუკიძე მიშვება ამას.  
თავისი ბოზი გოგო უნდა როს შერთოს  
ბატონიშვილს და ხომ გააკეთა საქმე.  
ჯერ თავისი ნაქვერვალად და გაასაღა,  
ახლა ქალიშვილი...

— რა ვქნა, წაიკითხო განაჩენი? —  
კითხა მსაჯულმა პაპუნას.

— არა, შენ მაგის წაკითხვას ერთ  
საათს მოუნდები და ეს კიდევ წაი-  
შავს რამეს. ხოსია, მიხედე შენ საქმეს.

ჯალათი დაღვრემილი იღდა და თავ-  
დახარული სველი წარბების ქვემოთ  
უცქეროდა მერაბს. პაპუნას სიტყვებმა  
გამოარაკვია. ნელა მიუახლოვდა თავის  
მსხვერპლს და სვეტიდან ახსნა დაუწყა.

— ნუ გეშინია, — წაიხურჩულა მან  
მერაბს, — ვერც კი გაიგებ ვერაფერს.  
რა ვქნათ ახლა. თუ ხელს არ შემისული,  
არც კი გატყენ აგრე იყავი. ჩაჯექი,  
აგრე, ახლა კეფა დამაყრდნი მუხლზე,  
ახლავე გავანათავისუფლებ...

— ხოსია, — ამოიგმინა მერაბმა, —  
ერთი კადე შემახდე, ბიჭო, ევს, ერთი  
წუთი, დამანახვე სინათლე...

მესერზე მოსულმა ცნობისმოყვარე  
ქალებმა ერთი კი იცივლეს და ქათმეპი-  
ვით აფორიაქებულხი იქით აქით მიმო-  
იფანტნენ. ლობებთან და წყალგაღმაც  
მარტო მოხუცი მამაკაცები დარჩნენ.  
ისინი ბოლომდე უცქეროდნენ, როგორ  
წამოიმარათა ზეზე ჯალათი, აკრიფა თა-  
ვისი იარაღები და წავიდა მეციხოვნე-  
ებმა მერაბს ხელები შეუხსნეს და იქ-  
მი მიწაზე გაშლართული დაროყეს.  
ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მარტო  
ტაბიკა არ იძროდა ადგილიდან, მერე  
მიუახლოვდა თვალდათხრის, ჩაიჩოქა  
და თმებზე ხელი გადაუსვა.

კარგა მოგვიანებული იყო, როდესაც  
ტაბიკამ ხოსიას ქობში შეიხედა და  
წყნარად იკითხა:

— გძინავს, ხოსია?

— შემოდი, შემოდი. სად იყავი აქამდე?

ხოხია მოწული ჩელტიდან ჩამობოძდა, კეოიასთან დაიკეცა და თან ტაბიკას საქმეზე სკამი გაუწოდა.

— დაჯექი. მომიყევი ახლა ყველაფერი. იმ უბედურს რა უქხეს?

— არაფერი, ეგლო ასე, ჩემს მეტი პირისუფალი არავის არ ყოლია. ხმას კი ვერ იკითხავ. მოკვდებოდა ახყვალს. წყალი დამალევინეო, მითხრა. მერე მომიყევა უბედურება. ბატონიშვილს რომ ქალი შეურთავე, მაგას უნახავს, უქია ბატონიშვილისთვის, პოდა, მაგ თვალებით კიდევ რომ ჩვენთვის არასასურველი არ დაინახოს, დათხარეთ ამას თვალეზიო. უბრძანებია მეფეს.

— იქ არის ისე?

— არა. ჩამოვიდნენ ნათესაეები, დაადგეს ურემზე და წაიყვანეს. ახლა გითხრა სასაცილო ამბავი. სადუნა რომ იყო ერთი, ხომ გახსოვს სახლთუხუცესის ფარეში.

— ვიცი. ისე მაწამებრივს უბედური, მისი ღრიალი ცაჲ წვდებოდა. არ გატყდა.

— რას გატყდებოდა. იმას აბრალებდნენ თურმე იმას, რის გულისთვისაც ეს მერაბი დასაჯეს. კუწუწა აბაშიძეს ჩამოტყანა ამბავი, ეგვენ აბაშიძის ქალი პაპუნა წერეთლის ფარეში სადუნას უქია ბატონიშვილისთვის და იმას უნახებოდა. გადაირია მეფე. მომგვარეთ აქამდე. საიდან მოგვირდნენ, ის გაბაშვილს გააყოლეს სპარსეთში. აფრიანეს კაცა და დიგორში დაწეოდნენ. ჩამოიყვანეს აქ და რაც იმას დღე დაადგა, შენ უკეთ იცი ჩემზე. დღეს, ახლა, მიუგზავნია ციხიდან კაცი სახლთუხუცესისათვის, რასაც მამბრალებდით. ხომ გაემართლდი და გამომიშვით გარეთო. პაპუნამ მეფეს ვკითხავო. ამასობაში ახედავ, კუწუწა თავის ბატონს ეხვეწება, ქალაში გამიშვი, ამბავი ჩამომივიდა, მამა მიკვდებო, რის მამა, უნდა თავს უშველოს. შეჯდა ცხენზე და ახლა სკანდეს იქნება გაცილებული ალბათ. პატარა ხანი გავიდა, ქე არ გამოუშვეს სადუნა. მოვიდა სასახლის ეზოში შეგებდა — შეგეცოდებოდა. რათი ეღო ეს მიწის ფერი. გაჩენია თმა, წვერი, ნამდვილი ქაჯი იყო, იასული არ უშვებდა. ვინ ხარ

შენო. ველარ იცნო. მიეარდა უბედურნი. მოუწარეთ. არიქა ჩქარა ღვინო.

ტაბიკა შედგა და მიმოიხედა.

— ამ გახსენებზე, ეს დოქი რა უყავი.

— აფრია. ყანწი ველარსა ვნახე. დოქით შორეულად ხოლმე. — მიაწოდა ხოსიამ დოქი და შემდეგ კერიაზე ფინი წინ წამოწია. — მერე, მერე?

— მერე და დალია ერთი ჯამი და იკითხა კუწუწა აბაშიძე სადააო? გაუგია ვინც დაკლა. ახლა უყურე შენ მაგ ხაბიკვარს, სადუნას რა უყოს მაგან იმ მელიას. იმიტომ მოუსვა ქუთაისიდან, მაგრამ სად წავა. ეს იმისთანა ჯიბიდან გავარდაილი ვინმეა, მიწაში რომ ჩაძვრეს, იქ არ დააყენებს. ბელი არა აქვს თუ! გამოსული არ იყო ციხიდან. აჯრ პაპუნა მოვიდა თითონ, მოიკითხა და ფარეშებს უბრძანა, ამას საპნით ტანი დაბანეთ, დავარცხნეთ, კენარაი მოაშორეთ და სუფთა ტანისამოსი ჩააცვიეთო. მერე ეზოსმოძღვარი მოვიდა, მეფეს გამოუგზავნია ჩოხა-ახალუხი და თაიისი ნაცვამი მაშიეები ებოძებინა: რახან დანაშაული არ ჰქონია და ჩვენი გულისთვის ამდენი რანაოა განიცადა, ეს მიართვით და ბატონიშვილის პირისფარეშობა ებოძოსო, ხედავ, რა ბელი ეწეია!

ტაბიკამ დოქი შორეულად და კარგახანს აწრუბუნებდა. მერე სული მიმიღე მოითქვა და უღვაშებზე ხელი გადაიხსვა.

— ეს კი უნდა გითხრა, ჩემო ხოსია, რომ რა ხელმობისაც არ უნდა იყო კაცი, შენი საქმე მართლა კარგად უხდა იცოდე. რაზე ვამბობ, იცი? აგხ როა გიყურე დღეს, პირდაპირ გავკვირდი. ასე თვალსა დახამხამებაში რაყვარ დათხარე ორივე თვალი. სულ გიყრკიტებდი, მე ვთქვი, ერთი დავინხაო — რას უზამს მეთქი და, გაგვინია, თვალი ვერ მოგასწარი.

—:—

სოლომონსა და კათალიკოს მაქსიმეს შორი, უთანხმოება ჩამოეარდა. მეფემ მოისურვა თავისი შვილის განქორწინება კანონიერად მოეხდინა და კათალიკოსისაგან ნებართვა ითხოვა. მაქსიმემ უარი შეუთვალა. მამან მეფემ კათალიკოსის საეკლესიო კრება მოაწვევინა და თავისი თხოვნა მათ სამსჯავროზე გაიტყა. სოლომონს იმედი ჰქონდა,

ეპისკოპოსები ჩემი შიშით მხარს დამი-  
ჭერესო, მაგრამ აქაც მოულოდნელ  
წინააღმდეგობას წააწყდა. საეკლესიო  
კრებამ კათალიკოსს დაუჭირა მხარი და  
მეფეს გადაჭრით უარი მოახსენა, ჩვენ,  
საეკლესიო წესს ვერ დავარდევით და  
ღმერთს ვერ განვარისხებთო.

ყველა მოელოდა, რომ მეფე კათალი-  
კოსსაც გადააყენებდა და ეპისკოპოსებ-  
საც იაიოა. თავედა თანახმდებოდა, მაგ-  
რამ ჯოღლი ხასიათის სოლომონმა ვერ  
გაბედა. მკლესიის გადამტერება, რადგან  
ძალზე ღვთისმოსავეი და მორწმუნე  
იყო. მან თავი ანება საეკლესიო კრი-  
ზის, თავიან კარის ხუცესი დობარა და  
უბრძანა, ჩემს შვილს, ბერი წულუკიძის  
ქალზე ჯვარი დაწერო. ხუცესმა უარი  
ვერ გაბედა. მუხლებში ჩაუვარდა და  
შეევედრა, რად მღუპავ, კათალიკოსი  
გამპარსავსო. მაშინ მეფე შეპირდა, შენ  
ოღონ ჯვარი დაწერე ჩემ შვილს და: თუ  
კათალიკოსი გაგპარსავს, სასახლის კა-  
რზე ისეთ თანამდებობას გიბოძებ,  
მღვდლებს სულ შიშის ზარსა ჰგვირი-  
დო.

დევემბრის დამლევს ბატონიშვილს  
ბერი წულუკიძის ქალზე ჯვარი გადა-  
წერეს და მისთვის ახლადმიბოძებულ  
სოფელ გვერთში გაისტუმრეს. აქ რიო-  
ნის პირად შეაჯულ მინდორში ძველი  
დაზიანებული სასახლე იდგა. ამბობდ-  
ნენ, თითქოს ეს სასახლე თამარის აშე-  
ნებული ყოფილიყო, მაგრამ მას შემ-  
დეგ, რაც სოფელი გვერთში თურქებმა  
მოაოხრეს, ამ სასახლეში აღარავის უც-  
ხოვროა. სახორავი ალაგ-ალაგ ჩაიჭრა  
და გარშემო. რაც კი რამ ნაგებობა იყო,  
მთლად გავერანოა. ეს სასახლე, შიმ-  
დეგში, სოლომონმა რაჰის ერისთავს  
მიუბოძა პირველად შერიგების დროს  
და საყუთარს ხარჯით შეკეთებაც აღუ-  
თქვა. ერისთავი მაშინ ამ მიდამოებს  
სულაც არ მიკარებია და ისევ რაჰაში  
გაიქცა. მერე შერაიშიძეებს მიუბოძა  
მეფემ. მაგრამ ისინიც გაეცალნენ და  
აიხაზოთისაკენ მოუსყეს. ახლა თავის  
შვილს უწყალობდა და მასაც შეპირდა  
გახაზოხლზე ამ სასახლეს სრულიად  
განეახლებდ, მანამდე კი იქვე ძელურ  
სახლში დაბინავდი შენის მსახურებით  
და ფარეშებითო. ჩხერის ციხეში დაბ-  
რუნების ნება კი აღარ მისცა და მთელ  
იმ მამულაზო მიცემული სიკელი გაუ-  
ქმბა. ბატონიშვილი იძულებული იყო  
ბედს შერიგებოდა, და, თავისი ახალი

ცოლით, სიტყვის შეუბრუნებლად გა-  
დააოგდა.

შვილის დაბრუნებამ სოლომონს  
ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი  
მაიხც არ ააღებინა, მან საგაზგებო და-  
ვალეები გაგზავნა ქართლით თავისი  
სიძე ელიზბარ ერისთავი, რომელსაც  
საიდუმლოდ უნდა დაევეო მთელი ის  
მხარე, მოენახლებინა ერეკლეს მოწი-  
ნააღმდეგე თავადები, შეთქმულების  
ქსელი დაეხლართა და წინასწარ ისე  
მოემზადებინა ნიადაგი, რომ ალექსან-  
დრე ბაქრაიძის ჩამოსვლასთან ერთად  
ისინიც ამბობებულ იყვნენ.

სოლომონის განზრახვას ხელს უწყ-  
ობდა ისიც, რომ ერეკლეს საქმეები  
ძალზე ცუდად მიდიოდა. გაზავხულის  
პიოს ქათალ-კახეთა მეფეს გახდგო-  
მილ განჯის ხანის წინააღმდეგ მოუხ-  
და გლამქერება. ამ საქმეში მას ეხმა-  
რებოდა ყარაბაღის პატრონი იბრეიმ-  
ხანი, რომელთანაც მტკიცე მეგობრუ-  
ლი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებუ-  
ლი. მართალია ერეკლემ ხელახლა და-  
იპყრო განჯა, მის გამგებელა მაჰმად-  
ხანს თვალთვი დათხარა და ეს სახანო  
კვლავ თავის მოხარეე გახადა, მაგრამ  
ახლა მას ერეენის ხანი განუდგა და  
იძულებული იყო მის წინააღმდეგ სა-  
ლაშქრო სამზადისს შედგომოდა.

ელიზბარ ერისთავმა თავსუფლად  
დაიარა ქართლი, მოინახულა უქმდაყო-  
ფილო თავადები და მოუწოდა მათ ამ-  
მედრებულოყენენ ერეკლეს წინააღმ-  
დეგ. უმრავლესობა ერთსა და იმავეს  
იძურებდა: ოღონდ ალაქსანდრე ბა-  
ქრაიძე მობრძანდეს და მთელი ქართ-  
ლი ფეხზე დადგებო. ელიზბარი წინ-  
დაუხედავად ბერაია ალაქსანორი ბა-  
ქრაიძის ჩამოსვლას, ამბობდა, რომ თი-  
თქოს ყენის მისთვის უთვალავი ყარი  
ეზოძებნოს, გარდა ამისა ჩერჩეზთ  
ბატონს ქულზე კაცი მოეხმოს მის და-  
სახმარებლად, ხოლო იმერეთის მეფე  
ზომ დიდ ჯარს აგროვებდა თურქე.  
იყო იცის იქნებ ამ ბაქრაიძის ბრალი  
იყო, რომ ერეკლეს მოწინააღმდეგე  
თავადებს ფრთები შეესხათ და სათა-  
ნადო თადარიგს შეუდგენენ. ელიზბარი  
აღფრთოვანებული დაბრუნდა ქუთაისს  
და თან ჩამოიყვანა რამდენიმე ქარ-  
თლელი მეგობარი, რომელთაც სოლო-  
მონს დაუდასტურეს რომ მზად იყვნენ  
ამხედრებულ იყვნენ ერეკლეს წინააღმ-  
დეგ.

ამგვარად სოლომონის განზრახვას თითქო არაფერი ელოებოდა წინ და იმერთა მეფე ახლა მოუთმებლად ელოდებოდა ბეაიყის დაბრუნებას სპარსეთიდან. მას მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა, ზურგი არ ჰქონდა მაგარი. გურიელი, მართალია, დამორჩილებული ჰყავდა, მაგრამ მას შეეძლო ყოველ წუთს ელატანა. დადიანი ხომ თავის ნებაზე მთავრობდა და იმერთა მეფის უფლებას სრულიადაც არ სცნობდა. შერვაშიძეებიც ასევე განზე გამდგარიყვნენ და მსტოვართა ცნობების თანხმად თითონ ემზადებოდნენ სალაშქროდ. ვარდა ამისა აოლოაინს ვაგებულნი ჰქონდა ისიც, რომ ერეკლეს მკვიდრო კავშირი გაება როგორც დადიანთან და გურიელთან, აგრეთვე შერვაშიძეებთან და საფიქრებელი იყო, რომ კიდევაც აქეზებდა მათ საქართვების დროს ამხედრებულებიყვნენ იმერთა მეფის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში სოლომონისთვის ჯარის შეკრება და ალექსანდრე ბაქარის-ძის დასახმარებლად ქართლში გადასვლა არც ისე ადვილი საქმე იყო. ვარდა ამისა სოლომონის ძმა არჩილი თბილისიდან ფეხს არ იცვლიდა, ის თავის სიმამრის ერეკლეს უადრესა ერთგული იყო. როგორც ეტყობოდა, საიდანაც, თავისი ძმის ყოველ განზრახვას დაწვრილებით გებულვობდა და ზედღებუ უგზავნიდა საყვადურებით აღსავსე წერილებს.

ამ წერილებმა სოლომონა ისე გააცეცხლა, რომ ჰაპუნა წერეთელს უბრძანა, რაც არ უნდა დაგიჯდეს, აღმომიჩინე, არჩილს ვინ უთვლის სასახლის საიდუმლოებებს, რომ სანიმუშოდ დავსაჯო.

— ეს რა ლეთის რისხვია ჩემს თავს, — ცხარობდა სოლომონი, — ცხვირი ვერ დავაცემინე ისე, თბილისში რომ არ გაიგონ. ვილაც მყავს მოჩინილი და კბილის ქიასავით მოსვენებას არ მაძლევს. ამ გულში ხომ არ მიზის ვინმე, რაც ვავიფიქრე, ყველაფერს რომ ერეკლეს უთვლის.

სოლომონის აზრით შუა ზაფხული-სათვის ბესიკი უკვე უნდა ჩამოსულიყო სპარსეთიდან და ამისათვის შესაგებებლად ხალხიც კი ვაგზავნა დიგორში. არჩილს კი შეუთავალა ქუთაისს წამოსულიყო და თავისი ძმის ბაგრატიის ქორწილს დასწრებოდა. ბაგრატი ვიცი იყო და კომში ჰყავდათ დამწყვედეუ-

ლი. ბერი წულუკიძემ ურჩია მეფეს, მოდი ბატონიშვილს ცოლი შევერთოთ, იქნება დავკვიანდეთ. საცოლუც თითონ მოუნახა ოცდაათი წლის გაუთხოვარი ნიუარაძის ქალი, რომელიც ოღონდ ვათხოვილიყო და არათუ გიყვარებოდა, არამედ ეშმაქსაც კი ვაყვებოდა ცოლად. პატარა ქორწილი მართლაც გადაიხადეს და საქორწილო სუფრაზე თითონ პატარაძალი აკავებდა ბაგრატს, რომელიც ხან უაზროდ აცეცებდა ხელებს, რომ ლანგრებიდან თავისთვის ნაჭრები დაეთარია, ხან კი ქალებს უპაქუნებდა თვალებს და სიუღლებს რომავდა.

არჩილი ამ ქორწილს არ დასწრებია. მან კვლავ მოსწერა მართი ძმას და ემუქრებოდა, თუ ერეკლეს წინააღმდეგ ცუდ განზრახვებზე ხელი არ ავილია, შეეს საბრძანებელში ფეხსაც აღარ შემოვდგამო. თან ისიც აცნობა, რომ სპარსეთის ვეჯილი და მბრძანებელი ტერიმხან-ხანდი ამა წლის თებერვალს გადრავიყვალა და ტყუილად ფიქრობ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ირან-დან ჯორჯილებული ჩამოვიდა. ირანში მისთვის ახლა არავის სცალიაო.

ამ ამბავმა სოლომონი ძალზე ჩააფიქრა.

უდავო იყო, რომ სპარსეთის მხრიდან ქართლის ტახტის მამიებელს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა. რუსეთი, პირიქით, სდევნიდა. რადგან ეკატერინეს არ დავიწყებოდა ალექსანდრეს მეგობრობა პეტრე მესამესთან. ამის გულისთვის განდევნა კიდევაც რუსეთიდან და ჩამოართვა ყოველივე ღირსება. ერთადერთი ისევე ყუბის პატრონი ფათალიხანი თუ დავხმარებოდა. ისიც საეჭო იყო, რადგან ფათალიხანს თავისი დარდი აწუხებდა და თანაც ის იმ ხანებში რუსეთთან ურთიერთობას ამყარებდა. საეჭო იყო, რომ ის რუსეთიდან განდევნილ ალექსანდრე ბატონიშვილს დახმარებოდა.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა, როდესაც მიღეს ბესიკის შიკრიკი ეახლა და მოახსენა, ალექსანდრე ბაქარისძე უოულტებილზე გაომოიდა და ახლა საწალიკებზე ან შქმირზე გადმოვლით მალე საჩხერეში ჩამოვარდა.

სოლომონმა იხილა, რომ ქართლის ბატონიშვილს შორიდან შეგებებოდა, ჰაპუნა წერეთელი იახლა და ოდიის ამალთ ვაემგზავრა საჩხერისაკენ.

კვირკობისთვის იწერებოდა. ქუთაისიდან შეფემ გვეუთმე გაიარა და თავისი ვაჟიშვილი მოინახულა. სანამ შეფე შვილთან საუბრობდა, სადუნამ დაიძარტოვნელა თავისი ყოფილი ბატონი, განზე გაიყვანა და ჩურჩულთ უთხრა:

— მიშველე, ბატონო, შენი ჭირიმი, მიხსენო,

— რა იყო, ბიჭო, რა მოგვიცადა?

— ვინ არის ეს ღვთისპირისაგან გადავარდნილი.

— ვინ, ბიჭო? — გოცდა პაპუნა.

— ვინ და ბატონიშვილი, შენი ჭირიმი. ეს რა მხეცი და ნადირი ყოფილა. სისხლა ჯერ აი სვამს ივენაას თავრამ მალე დაღვეს ალბათ. შეიკლა ყოველი კაცი ხელში. ციხეში ჩაქმალისავე მერჩია. ეს... ეს ვინ არი, თქვენი ჭირიმი.

— გამაგებინე ბიჭო, რა მოგვიცადათ.

— რა ვიცი, გენაცვალე. რა ბუზარა შეუჯდა მაგ უგამჩუოს. აქამდე არ იყო აისთახა ხასიათის, პირიქით მაგაზე ამბობდნენ, მაგისთანა ღვთისნიერი აღმამინიშვილი არ გვინახავსო. ახლა, დედა! სუყველაფერზე ისე მოდის გული, ზღვრახის ფერი დაედება ხოლმე. თუ რაჟე მოხვდა ხელში, არაფრით არ დაგზოვავს. გუშინ მოახლე გოგო სულ დანით დაერა საცოდავი, ეგერ ფდია ბუჩქებში, როდის მოკვდება, არ ვიცი. მე, შენი ჭირიმი — გაიხსნა გული პირი სადუნამ, — ავას ხელდაე, ბატონო? გაგარვარებულნი რაცინა დამადვა ზედ, უნდა დაგდალოვო. ხახუტას ბიჭს ყურება დააჭრა. ჩვენი საშველო აღარ არის. თუ ასე იქნა სულ, მაგას ვლაცა მოწამლავს...

— სსუტ! — გადაუბრიალა თვალები პაპუნამ სადუნას, ხელი წაავლო და ტყისაკენ წაათრია — წამოდი აქ, არავინ გაგვიგონოს რამე. მოწამლავსო რითი უნდა მოწამლონ, რას სულელობ.

— მაგას რა უნდა, შენი ჭირიმი. ერთ ბებერა სოკოს ჩაუგდებს ვინმე საქთელში და გაითვდა, ერთ წუთში გაქიშავს ფეხს. მიშველე, შენი ჭირიმი. მიხსენი, წამიყვანე აქედან.

პაპუნა ერთ ხანს დაფიქრებული იდგა და სადუნას ხეწუნა-ვედრება სრულიად არ ესმოდა, ბოლოს თავი აიღო და ხმადაბლა ჰკითხა:

— თუ იცი, მაგ ხომ არ აგზაინის წერილებს თბილისში. ხომ არ დაგინა-

ხავს, რომ ან ვინმესთვის გაეტანებოდა, ან შენთვის ხომ არ უთქვამს.

— არა, შენი ჭირიმი. არ დამინახავს. ეს არა, სხვა ვინმე იქნება. უფიქრიც! — დაიკრა მუხლზე ხელი სადუნამ, — ვიცი! კუწუწა აბაშიძე დაძვრებოდა ხოლმე არილ ბატონიშვილის მეუღლესთან. ერთხელ ჩამაცივდა, გაძივდა და გამიგე, რა საქმეზე მიდის ბესიცი სპარსეთშიო. ფულსაც შეშპირდა, ოღონდ გამიგეო. მერე გაეყოლე თვალი, მაგ რას გამომაპარებდა, გევიხედე და მეღიასავით შეძვრა ელუნესთან...

— მართალს ამბობ, ბიჭო, მაგას? — ბრაზიანი თვალებით დახედა ზემოდან პაპუნამ ფარეშს. — იცოდე, რაც გადაგხდა, ის სიზმარი იქნება იმასთან, რაც დღე დაგადგება, თუ ტყუილს შეუბნები.

— მე ვიყო შეჩვენებული, მაღალმა ღმერთმა გამიბოს მიწა და შიგ ჩამიტანოს, თუ ტყუილს ვამბობდე. შენი მუხლების ჭირიმი. მიხსენი, მიმსახურე რაევარც ვინდა, თუ ვინდა წისქვილის ქვა მამბრუნებო, ოღონდ წამიყვანე შენთან, მომაშორე ამ უღვთოს...

— მოიცა. შენ საჭირო ხარ. ტყუილად კი არ გაგამწესე ბატონიშვილთან. როცა დრო იქნება, წაგყვან: თუ ნამეტანი გაგვირდეს... პაპუნამ მიმოიხედა, მერე სადუნას მათრახის ტარი წაუთათუნა და ანიშნა მოწყვირო, — წამოდი აქ, რალაცა უნდა ვითხრა...

სადუნამ დაგეშოლი მეძებარით გარძნო, რომ სახლთუხუცესს რალაც დიდი და საიდუმლო დავალება უნდა მიეცა მისთვის და ისეთი ხალისით გაჰყვა, რომ მის ტანის მოძრაობას მარტო ეუღილა აქლდა რომ ეჭიცივნებინა.

სახჩერეში ცხენოსანთა ტყეა აღარ იყო. დილიდან საღამომდე ამ პატარა დაბის გრძოლ ჭოჩაზე წალმა-ოლომა დაათქარუნებდნენ ცხენებს ქეშიკები, ჩუბნები, იასაულები, ფარეშები და შიკრიკები.

კვირიკობისთვის პაპანება სიცხე იდგა და ცხენებით დაჯეგულ ქუჩაზე მტერის ბული ტრიალებდა. ტიტლიანა და მუკელდასიებული ებრაელი ბიჭები ნელგამყვარილი დასიუვდნენ ცხენოსნებს და მისძახოდნენ:

— მეფის კაცო, შეშეწიე, მეფის კაცო, შეშეწიე.

მაგრამ მათ ხეყნას და ქიყყინს არავინ ყურს არ უგდებდა. ყველანი საქმინანი სახით გარბი-გამორბოდნენ იქითაქეთ, თითქოს ყოველ მათგანს, რაღაც დიდი რამ ჰქონდა დავალებული. ზოგი დასაკლავ საქონელს ერეკებოდა, ზოგს ბატონის ცხენი მიჰყავდა დასაჭერათ. ზოგი მკუნაგრეებთან მიდიოდა მოსართავის შესაკეთებლად და თითქმის ყოველი მათგანი ასეთი წვრილმხები საქმით იყო გართული. მაგრამ მათ გამალებულ ფუსფუსში ერთგვარი თავისებურება გამოკრთოდა. ახველას უნდოდა დანახვებინა სხვათათვის, აგრე ნუ მიყურობთ, მეც მონაწილე ვარ იმ დიდი საქმის, რაც ახლა საჩხერეში ხდება, თუცა წარმოდგენაც კი არ ჰქონია იმაზე, რა ხდებოდა ამ საჩხერეში. ეს კი გაიგეს, რომ მეფე ქართლის ბატონიშვილს შეეგებოა, მაგრამ არც ფარეშებმა და არც მცხოვრებლებმა არ იცოდნენ, ვინ იყო იგი, ან რისთვის ჩამოსულიყო ამ პატარა დაბაში. მთავარი ის იყო, რომ ეს ქართლის ბატონიშვილი სპარსეთიდან ჩამოსულიყო, ტანზე გასაოცარი ოქროსქსოვილი ხალათი ჩაეკვა თავზე სპარსული ყაიდის ხვეული და შეგრეხილი აბრეშუმის ქუდი დაეხურა, შუბლზე ალმასის თვლებიანი ჯილა დაემარებინა და ამ მორთულობით თვალს ქრიდა ყველას. საჩხერელები შორიდან უყარკიტებდნენ წერეთლის თვალუწვდენ ეზოს, სადაც ფართოდ გაშლილი კაკლების ჩრდილში ქვის ფიქალებზე ჯგუფ-ჯგუფად ჩამომსხდარიყვნენ იმერეთის დიდებულები და ქართლიდან ლტოლვილი თავადები. ალექსანდრე ბეჰარისძე და სოლომონი დიდი კაკლის ძირში, ნოხადაფენილ ქვის მერხზე ისხდნენ.

სოლომონი დიდის ზემოთ შეეგება ალექსანდრე ბეჰარისძეს და განსაკუთრებით რომ გაეზვიადებინა ამ შეხვედრის მნიშვნელობა. ყოელას შესახებ დავად. როგორც უმცროსი, აერ მხარზე ეამბოროა და შემდეგ მკერდზე. მერე წამოუძღვა და თავის სახლთოხუცის პაპუნა წერითლის სასახლეში მიიწვია, აქ ბატონიშვილს შემოსილი სამღვდლოება შეაგება და კარის ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს.

სოლომონი ცოტა არ იყოს შეაფიქრა იმან, რომ ბატონიშვილი სპარსეთიდან

უჯაროდ ჩამოვიდა. ბესიკაც ასე დაავალა, რომ ალექსანდრემ რაღაც არ უადა დაუჯდეს. თუხდაც ერთი ხუტასი კაცი მაისც გამოსთხვეფს სპარსეთის ყენსო. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართლის მებატონენი, როგორც კი დაინახავდნენ, ბატონიშვილს უცხო ჯარი ახლავო, ადვილად მიემხრობოდნენ მას. ეს კარგად ესმოდა ალექსანდრესაც და ვინ იცის იქნება კიდევაც მოეყვანა საკმაო რაოდენობის ლაშქარი, მაგრამ ქერიმხანის გარდაცვალებამ მთლად ჩაუფუშა ჯარის მიღების იმედი. იძულებული იყო ხელცარიელი წამოსულიყო სპარსეთიდან. შირაქში მივლდაკარგულს ეგონა ფათალიხანთან მაინც გაახერხებდა რამეს და ჯარს იშოვნიდა. მაგრამ ყუბის პატრონი თითონ დაეძებდა დამხმარე ლაშქარს ყარაბაღის ხანის იბრეიშის წინააღმდეგ და ალექსანდრეს მარტო კეთილი სურვილები უწყალობა. ქართლის ტახტის მამიებელ ბატონიშვილს კიდევ შეეძლო ერთი გამოსავალი გამოენახა. დაექირავებინა ლეკის ჯარი. მაგრამ ჯიბეში სოლომონის გამოგზავნილი ორიოდე გრომის გარდა თუილი არ გააჩნდა და კიდევაც რომ ჰქონოდა, ეს ჯარი უწყვე თითონ ერეკლეს დაექირავებინა ერეკნის ხანის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. ერთადერთი იმედი ისევ სოლომონზე უნდა დაემყარებინა. ამიტომ ალექსანდრე გულის ცემით მოელოდა იმ გადამწყვეტ საუბარს, როდესაც მისთვის ყოველივე უნდა გამოეყვეულიყო.

სოლომონი საქმიან საუბარს არ ამქარებდა. მას სურდა აერ ბესიკი გამოეკითხა და შემდეგ როდესაც ყოველივეს გაიგებდა, საქმეს აწონ-დაწონხდა, მოლაპარაკებოდა ბატონიშვილს, თუ როგორ ემუქრებოდა ერეკნის წინააღმდეგ. ამიტომ საპატრო სტუმართან ეზოში მცირე ხანს ისაუბრა, ზრდილობიანად მოიკითხა, თუ როგორ იმგზავრა, ქერიმხანის გარდაცვალების ამბავს შეიცხადა და სპარსეთის განმგებელი დიდი ქებით შოიხსენია, მერე მასპინძელს უბრძანა ნამგზავრი სტუმრისათვის მოელოთ, თითონ კი ბესიკი გაიხმო და მასთან ცალკე ოთახში ჩაიკეტა.

სახლთოხუცისმა ალექსანდრე ბეჰარისძე იმ ოთახში მიიწვია. სადაც ერთხელ ბესიკი მოუხდა ღამისთევა. ახლაც ფარეშებმა იმავე წესით მოუარეს ბა-



ტონიშვილს, ტანი დაბანინებს, სუფთა საცვლები მოართვებს და ამრეშუძის ლაგინზე მოუსვენებს. სანამ ფარეშები თავის საქმეს აკეთებდნენ, პაპუნა იქვე ტრიალებდა და ბატონიშვილს საუბრით არათბდა. ვისაიდან, წესის მიხედვით პაპუნა ვალდებული იყო თითონ მოქსახურებოდა ბატონიშვილს, ამიტომ პირისაფერისად საკუთარი ხელით აწვდიდა ხან საპონს, ხან პირსახოცს, ხან საცვლებს და მხოლოდ მაშინ გავიდა ოთახიდან, როდესაც მგზავრებით დაღლილმა და ამაზახით მოთვითილმა ბატონიშვილმა თვალები მილულა.

ეზოში პაპუნას დიდებულები შემოესიენ და ჩურჩულით ეკითხებოდნენ, თუ რაზე ესაუბრა ალექსანდრე ბაქარისძეს, ან რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ქართლის ტახტის მამიებელმა ბატონიშვილმა. ყველაზე მეტად ბერი წულუკიე ცდილობდა გაეგო რაჟი, რადგან ის არც მეფემ და ისწრო ბესიკთან საუბრის დროს და ვერც პაპუნას გაყვა თავის დროზე, რადგან ეგონა, სოლომონს დამიძახებდა.

ქართული თავადები ერთად შეჯგუფდუიყვნენ და მზიარულად მასლაათობდნენ. განსაკუთრებით აფრენილი იყო ელიზბარ ერისთავი, რომელმაც ალექსანდრე ბაქარისძეს შეხვედრას დროს არათუ მხრები და ხელები, არამედ მუხლებიც კი დაუყოვნა და სიხარულით აქვითინდა. არანაკლებ მზიარულეზბდა ალექსანდრე ამილახვარი, რომელიც მოხლოყში შეუერთდა ბატონიშვილს და, ახლა, მომავალი გამარჯვებით დაიმიედებული, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

სულ სხვა სიხარულს განიცდიდა ანა. ის მოუთმენლად მოელოდა ბესიკის დაბრუნებას არა მარტო იმისათვის, რომ მასთან ტრფიალი წყუროდა, არამედ იმიტომ, რომ მასაც გაღვიძებოდა ტახტზე ასეღის სურვილი და ამ ორომტრიალში ახლა ბესიკისაგან უნდოდა ბერი რამ გაეგო. პირისპირ საუბარში პაპუნა წერეთელი პირდაპირ ეუზნებოდა ანას, ოღონდ არ გამაზხილო და კაცი არ ეიყო, თუ შენი ქმარი — ეს ჩემი ცლოისძმა — ტახტზე არ ავიყვინო. პაპუნას, ცხადია, მოსვენებას არ აძლევდა ბერი წულუკიძის ასეთი დაზლოება მეფესთან. მართალია გარეგნულად დღად მოსიყვარული ძმასაიით იხოტებდა გულში წულუკიძეს, მაგრამ ბრახით გულზე სკდებოდა, როდესაც

ხედავდა, თუ როგორ ატარებდა თავის ქეუხე გულუბრყვილო მეფეს ეს კარისკაცი. იმასაც კი ძილწია, რომ ტახტის შემკვიდრე ბატონიშვილი ალექსანდრე სიძედ გაიხადა და ამგვარად, სოლომონის სიკვდილის შემდეგ მთლად ჩაიგდებდა ხელში სახელმწიფო ძალაუფლებას.

საიდან და როგორ ფიქრობდა პაპუნა წერეთელი განებორციელებინა თავის განზრახვა და დაეით გიორგასძე ტახტზე აეყვანა, ამაზე ანას წარმოდგეხაც კი არა ჰქონდა, მაგრამ ეჭვი არ იყო, რომ ეს ძლიერი ნებისყოფის დიდებული ტყუილუბრალოდ არ დამოყრებია მის ოჯახს. ანასაც განსაკუთრებული ყურადღებით ეყარობოდა, შემოდგომა-ზამთრობით მუდამ თავის სასახლეში იწვევდა და სახუქრებით ყელაყლე აესებდა.

მეორე დიდებულთაგანი, რომელაც ანას ასევე ამიედებდა იმერეთის ტახტზე ავიყვანო, მინი ბიძა — სოლომონ მეფის სიძე — ელიზბარ ერისთავი იყო. მართალია მას ახლა ანასათვის არ ეცალა და საკუთარი საქმეებით იყო გართული, მაგრამ თავისი დისწულისთვის ზრუნვა მაინც არ ავიწყდებოდა.

— როგორ მოგიწონა მომავალი მეფე ქართლისა შენი ბიძის შვილი? — კვითხა ელიზბარმა ანას, როდესაც ეს უკანასკნელი მასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. — არა ჰგავს იმ ვეშაპს ერეკლუს. ახლა ვეცქერდი და არ ვიცი მელანდებოდა თუ ნამდვალი იყო, მაგრამ ამკარად ვხედავდი რომ წინანდინავით ნათელი ადგა თავზე.

— ერთი ეს მიბრძანე, ბიძაჩემო, მაპატიე კი ასეთი სულელური კითხვა, როგორ უნდა გაუმკლავდეს ბატონიშვილი ერეკლეს, ჯარი სულ არა ჰყოლია.

— ეგ სულაც ნუ გადარდებთ, თქვენნი ბრწყინვალეზბავ, — უპასუხა ელიზბარის მაგივრად ალექსანდრე ამილახვარმა.

ანას ალექსანდრესაყენ არც გაუხედია. მას ეზინოდა ცხვირმოჭრილ ალექსანდრესათვის შეეხედნა.

— ერეკლე ერევენს ყოფილა სალაქროდ წასული. — განაგრო ალექსანდრემ ერევენის ხანი აგრე ადვილად არ დახედდება და სამეფრო-სასიციოცხო ბრძოლას გაუმართავს. განაის ხანილით ის თვალზბ არ დათხრევიენებს ერეკლეს. ამაზე ხელსაყრელი დრო ჩვენ არასოდეს არ გვექნება. გადავალთ თუ

არა ქართლში, ქართლის თავადები ჩვენ მოგვემხრობა თითო თავადმა ასი კაციც რომ მოიყვანოს, სულ უკანასკიელი, ათიათასი კაცი უნდა მოგვიგრაოდეს. აქვე ჩვენი დიდებული სოლომონიც მოგვემეღებდა და თბილისს ჩვენ უბოძოლველად ავიღებთ.

— თბილისის მცველად ერეკლეს გიორგი უფლისწული დაეტოვებია, — წაიფრუტუნა ელიზბარძა. — პა, პა, პა, რა მებრძოლია. წუშპეში ჩაწოლილი ღორისათვის ვის გიკრავთ წიხლი, გულმოსული რომ წაიქევირებს და მერე ღრუჩუხ-ღრუჩუნით და ხვნეშით ადგება ზეზე. აგრე მოიქცევა, ალბათ, ის ვაებატონი, როდესაც თავზე დავადგებით. რა საცქერი იქნება. ოჰ, ერთი როდის მელირასოს თბილისში შესვლა. წუთებსაც კი თითებზე ვითვლი.

— მაშ თქვენ მალე აპირებთ წასვლას? — ჰკითხა ანამ ელიზბარძა.

— ხვალვე, ჩემო დისწულო. დაყოვნება რა საქირთა.

ანამ უნებურად ამოიოხრა. ისევ უნდა განშორებოდა ბესიკს, რომელიც ალბათ შეთქმულებს თან გაჰყვებოდა ქართლში. ერთხანს ისევ იჯდა ბიძამისის გვერდით და თითქოს დღის გულმოდგინებით უსმენდა მათ საუბარს, ნამდვილად კი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მერე ადგა მამაკაცებთან ბოდიში მოიხადა და სასახლისაკენ გაემართა. თავისი მული მოძებნა და განუცხადა სალამოს ნადიმს ვერ დავესწრები სასწრაფოდ წირქვალში უნდა წავიდყო. დიასახლისი კინაღამ გაგვიღო, სად მიდიხარ, მე შენი იმედი მაქვს, ამდენ სტუმრებს მოვლა უნდა და შენ თუ არ მომეხმარე მე როგორ ვუხელმძღვანელებო. ანამ დაამშვიდა, ნუ გეშინია, ხვალ დილით თუ კარგად ვიქნები, დავბრუნდები და ახლა შეუძლოდა ვარ, თავის ტკივილი მაწუხებს და ამდენი აურზაურის გაძლება არ შემიძლიათ. წირქვალშიც განა შორს არის, ცხენით ორი საათის სავალიც არ იქნება და მალე მოვალო. მერე ქმარი მოძებნა, დაარიგა წყითლი ღვინო არ დალიო, თუ გინდა, რომ

არ დაგზრახონო და ბოლოს თავისი მახუბრი ოოსთო გაიხმო განზე, იქითაქეთ მიმოიხედა და მერე ჩურჩულით ეუბოხრა:

— მე ახლა მივდივარ.

— ვხვდები.

— ნაგულში რომ სანადირო ქოხი მიღვას, იქ მოიყვან.

— ვის, ბატონო?

ანამ გამგმირავი თვალებით შეხედა როსთოს. მან კი დამნაშავესავეთ გააბედა განზე და ოდნავ გასაგონად წაიღუდუნა:

— არა, მე ქე ვიცი ვინც, მაგრამ ნაინც უნდა მითხრა.

— შენ საერთოდ ბევრი ლაპარაკი იცი. არავინ შეგამჩნიოს. მთვარიანი ღამეა, ჩქარა ივლით. ახნაურობას რისთვის გპირდები, მაგრამ დანაპირი რითი შეგისრულო თუ ტახტს ვერ დავუფლვი.

— მიმსახურე, დედოფალო.

— ან იქნება, გგონია, შენი გიყი ძიძვილის ტახტზე ათრევა აგრე ადვილი საქმეა. იაე წამოიყვანე თვალი არავინ მოვლანდოთ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, აქედან სხვა გზით წამოდიო. შორიდან მოუარეთ. ღამით დასაძინებლად ხალხს იქით აქეთ წაიყვან-წამოიყვანენ და იმ მისვლა-მოსვლაში ვერავენ ვერ გაიგებს თქვენ სად მიდიხართ. ეგონებათ დააძინებლად მიგყავს ვინმესთან.

— კი, ბატონო, ეგ ადვილი საქმეა. ეგ არი, მეფემ თუ გამოუშვა. ახლაც მასთან არის ჩაკეტილი და, კაცმა არ იცის, რაზე აქვს ლაპარაკი.

— გამოუშვებს. წადი ახლა.

როსთომ თავი დაუკრა და წასვლა დააპირა მაგრამ მაინც შედგა და ანას კითხა:

— გულის უჯგრობისათვის, მაინც უნდა გკითხო, ბესიკზე მიბრძანებთ ხომ? არ შემეშალოს.

ანას გაეცინა.

— ჰო! წადი ახლა, მიხედე ჩემს ქმარს, სისულელე არაფერი ჩაიდინოს, თორემ თავი მოგვეჭრება.

(გაგრძელება იქნება).

## დიდი სიხვედრე



ვარლამ მხეიძის ოჯახში დიდი და პატარა, ნათესაელები და მეზობლები ერთნაირი მონდომებით და სიყვარულით იღებდნენ მონაწილეობას ვარლამის ერთადერთი ვაჟის ამირანის ქორწილის მომზადებაში.

ამირანი თავის სახელსწრის იყო ჩაკეტილი და გარეთ არ გამოდიოდა, თითქოს მას არ ენებოდა ის, რაც მის ოჯახში ხდებოდა, თითქოს მისთვის არ მზადდებოდა ქორწილი.

ამირანი ქართველი მეტალურგის ქანდაკებას ძერწავდა. ეს მისი პირველი, დიდი და სერიოზული ნაწარმოები იყო. მას პირველს უნდა შეექმნა ქართველი ფოლადისმსხმელის სახე. ამ საპატიო ამოცანას დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით მოკიდა ხელი. ესკიზებზე მთელი წელიწადი მუშაობდა, რამდენიმე თვე გაატარა ზესტაფონის ფერმარგანეცის ქარხანაში. იყო დონბასსა და ურალში. უკანასკნელი დღეები თავადულად მუშაობს, რომ ქორწილის დღისათვის მოასწროს ქანდაკების დამთავრება.

ყველა ახლობელმა იცოდა ეს და მას არავინ აწუხებდა, არავინ შედიოდა მის სამუშაო ოთახში. მხოლოდ საქმელს შეუტანდნენ, ჰკითხავდნენ, ხომ არაფერი გინდაო, დაუგვიდნენ ოთახს და გაუსწორებდნენ ლოგინს (საწოლიც აქ გადმოიტანა უკანასკნელ დღეებში ამირანმა).

ამ დღითაც ამირანი თავის ოთახში მუშაობდა. ღია ფანჯრიდან შემოდის და ეზოსა და აივანზე მოფუსფუსე მეზობელ-ნათესაელების ლაპარაკი, გოჭების ჰყვირილი, ვარიების კრიახი, ჭურჭლის ხმაური, დანების ლესვის ხმა. მაგრამ ამირანი ისე იყო გატაცებული მუშაობით, რომ არაფერი ესმოდა. ჩქარობდა: ხელ შემოაღებს საქორწილოდ მორთული მზია ამ ოთახის კარებს... და აი თვალწინ უდგას ამირანს ღიმილით და

აღღებებით ანთებული მისი სახე, მისი სიცოცხლით და ენერჯით სავსე თვალები. ისინი ალტაცებით შერეოდნენ ქანდაკებაზე. ამირანი დარწმუნებულია, რომ უსათუოდ მოეწონება მზიას იგი. რამდენი ღამე თეთრად გაუთენებია მუშაობაში, რამდენი ესკიზი დაუწუნა მზიამ.

— არა, არ შეიძლება არ მოეწონოს ეს მზიას, — ფიქრობდა ამირანი და არ იცოდა, რა უფრო ახარებდა მას, ის, რომ მზია ხვალედან მისი მეუღლე ხდებოდა, თუ ის, რომ მზიას მისი ქანდაკება მოეწონებოდა.

ამ ფიქრებით იყო გართული, რომ ამ დროს მისი ოთახის კარზე ხმამაღალი და აჩქარებული კაკუნი გაისმა.

— ვინ არის? — გაკვირვებით მობრუნდა ამირანი კარებისაკენ. ის თავის ოთახში ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მოსამსახურე ქალის მეტს არავის უშვებდა და ვინ უნდა მოსულიყო ახლა მასთან?

— მე ვარ, შვილო.

— დედა! — ამირანი კართან მივიდა და სწრაფად გააღო.

გაფითრებული და ჩქარი სიარულისაგან გულაჩქროლებული დედა იდგა მის წინ.

— შვილო, ამირან, — წაიჩურჩულა ტუჩების ოდნავი მოძრაობით ელისაბედმა. მეტი ვერაფერი თქვა.

მეზობელი ოთახიდან რეპროდუქტორის ხმა მოესმა ამირანს.

— ომი?

— ომი, შვილო.

ამირანმა ახლა იგრძნო, რა სიწყნარე იდგა მთელ სახლში, ეზოში, ქუჩაში. თითქოს მთელმა ქალაქმა შესწყვიტაო მოძრაობა, ხმაური, და მარტო რეპროდუქტორის ხმა ისმოდა ქვეყნად.

და ამ სიწყნარეში დერეფანში ჯერ ყრუდ და შემდეგ თანდათან უფრო მკა-

ფიოდ გაისმა აჩქარებული ნაბიჯების ხმა.

ცრემლით გავესო ელისაბედს თვალები. იცნო მზიას ფეხის ხმა. აი, გამოჩნდა ისიც. ამირანი რომ დაინახა, თანდათან შეანელა ნაბიჯი, მივიდა და შორიანხლო შედგა ამირანისა და ელისაბედის წინ.

„ახლა მთელი ჩვენი ხალხი ისე მკიდროდ დარაზმული და ერთიანი უნდა იყოს, როგორც არასოდეს არ ყოფილა. თითოეულმა ჩვენი თავანმა თავის-თავს და სხვებს უნდა მოსთხოვოს დისციპლინა, ორგანიზებულობა, ნამდვილი საბჭოთა პარტიოტების შესაფერი თავგანწირვა...“

ისმოდა რეპროდუქტორიდან დიქტორის ხმა. მთელი ჩვენი ქვეყანა ისმენდა ამ სიტყვებს.

მზია გრძნობდა, როგორ ევსებოდა თვალები ცრემლით. თავდახრილი იდგა და ცდილობდა არ დაეხახა ამირანს და ელისაბედს მისი სახე. შეწყდა დიქტორის ხმა. მზიამ თავი ასწია.

— ამირანი! — შესძახა მან და ველარ შეიკავა ცრემლები.



მეორე დღეს ფრონტზე გასამგზავრებლად გამოწყობილი ამირანი თავის სახელოსნოში ღია ფანჯარასთან მზიას წინ იჯდა.

მზიას ახალი კაბა ეცვა და ისეთი მომხიბლავი იყო, რომ ამირანი თვალს ეერ აშორებდა. რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი მზიასათვის და არ იცოდა, რა ეთქვა. აქამდე ისინი მხოლოდ ქანდაკებაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ აი, დადგა ამირანის გამგზავრების დრო და ორივეს თითქოს აღარაფერი დარჩათ სათქმელი.

— ამირანი! — გაუსწორა თვალები მზიამ ამირანს. — არ შესდგა ჩვენი ქორწილი, მაგრამ... ადრე დაბრუნდები თუ გვიან, მე დღეიდან შენი მუღლუვარ და დავცილი... — ცრემლები მოაღვა თვალებზე. — დავცილი, ამირანი! — განიმეორა ჩურჩულით და თავი დახარა.

— მზია! მე სხვა სიტყვებს არც ველოდი შენგან. მე ვიცო, მარტო მე არ მაცილებენ ასეთი სიტყვებით და ამიტომ წარმოუდგენელია ჩვენი დამარც-

ხება. მე გამარჯვებული დავბრუნდები! — წამოდგა, ჩანთა ზურგზე მოიკიდა. მერე ქანდაკებისაკენ მობრუნდა. — ეერ დაემათავრე ჩემი ლიტონისმსხველი. რატომღაც ახლა ისე შეჩვენება, რომ რაღაც აკლია მას. დავბრუნდები და შეიძლება ხელახლა დავიწყო მისი ძეგლი.

გარედან ფრონტზე მიმავალთა სიძღერის ხმა შემოიჭრა.

— ამირანი! — გაისმა ქუჩიდან დახილი.

— ნახვამდის, მზია.

— ნახვამდის, ამირანი.

ორივემ ერთდროულად გაიწია ერთმანეთისკენ. მოეხვივნენ ერთმანეთს და უსიტყვოდ განშორდნენ.



ბინდდებოდა.

ვეაკუირებულთა ქარავანი განუწყვეტილად მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ. ისმოდა ბავშვების ტირილი, ქალებისა და მამაკაცების ხმათაღალი ლაპარაკი, ძაღლების ყეფა და ურმების კრიალი.

აი, უკანასკნელმა ფორანმაც ჩაიარა, უზარმაზარმა უკრაინულმა ფორანმა. ფორანში მალალქიანი თეთრი ხარები ება.

— ტოპე, ტოპე! — აჩქარებდა ხარებს სახენამტირალივი შუანის ღედაკაცი. ქარი უფრიალებდა ჰალარა თმებს, გამოხუნებულ და ამომწვარ კრულ თავსაფარს.

ურმები სავსე იყო ქალებით, ბავშვებით და საოჯახო ნივთებით. მოდიოდნენ ფეხით, მოეზებოდნენ საქონელს.

წვიმდა.

პოლკი სწრაფად მიიწედა იქით, საიდანაც ვეაკუირებულები მოდიოდნენ.

დაბლა დაშვებული შავი ღრუბლები პირქუშად დასცქეროდა უკრაინის თვალგაუწყვეტელ ტრამალებს. ბორცვებით ამართულიყო გზის ორივე მხარეზე პურის ზვინები.

— აი, დედასა, რა პური იღუპება! — ჩაილაპარაკა ამირანის გვერდით მიმავალმა ვანო მათეშვილმა.

ამირანს ხმა არ გაუცია. იგი თავიდან ფეხებამდე სველი იყო. თავჩალუნული და კრიკაშეკრული მიბიჯებდა ატალახებულ გზაზე.

— კარგი, ამირან, რა მოხდა ისეთი, — სცადა ვანომ მეგობრის დაშვილება.

— არაფერი, — გაიცინა მუდამ მზიარულმა და უდარდელმა პირტიტველმა ბელორუსმა მიხას მინსკიმ. მას გატალხიანებული მაზარის ტოტები ქაპარში ჩაეკეცა და, პოლკში ყველაზე დაბალი ჯარისკაცი, ისე ენერგიულად მიაღიჯებდა ტალახში, რომ ყველას უსწრებდა. — მართლაც რა მოხდა ასეთი, — განაგრძო ისევე მიხას მინსკიმ: — სულმა წაგძლია, მოთმინება არ გეყო და ესროლუ მტერს, ყვავივით გადმოაგდე ცხენიდან ობერ-ლეიტენანტი. რაც იმ მშვერავის ჩანთაში აღმოჩნდა, რატომ ათ ლეიტენანტად არ ღირს.

— ჰო, მაგრამ ცოცხალი რომ ჩაგვეგდო ხელში... — დაიწყო ათმეთაურმა ივანე ლიტოვჩენკომ, მაგრამ მინსკიმ სიტყვა გააწყვეტინა.

— ამხანაგო ათმეთაურო, პირველი ტყვე ობერ-ლეიტენანტი და ისიც მშვერავი ისეთი საბუთებით. მარტო ის რუკა რად ღირს, ჩანთაში რომ აღმოაჩნდა.

სოფელში ბინდისას შევიდნენ. ამირანი, ათმეთაური, მინსკი და მათეშვილი თვისი ათეულის სხვა მებრძოლებთან ერთად იქვე სოფლის მოედანთან მდგარ ქოხს მიადგნენ.

— მობრძანდით, — გაულო კარი მასპინძელმა, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, შვილებო. მე მიკოლა ბონდარენკო მქვია. ეს კი ჩემი ქალიშვილია, მარინა, ჩვენს სკოლაში ასწავლის.

ოცდასამი წლის ქალიშვილი ღიმილით შესცქეროდა მებრძოლებს. ლამაზად შეკერილი შალის კაბა ეცვა მას და თავზე წითელი თავსაფარი ეხურა.

— მარინა, ბიჭებს ეშვივებათ. — უთხრა მამამ ქალიშვილს. — ცხელი კერძი მოამზადე, შვილო.

— ახლავე, მამა. — დაფაცურდა მარინა, სამზარეულოში გავიდა, მალე იქიდან ნავთქურის შიშინი მოისმა.

სანამ მარინა ცხელ კერძს მოამზადებდა, მოხუცმა საკუქნაოდან არყით სავსე ბოთლი და ღორის ქონის ნაჭერი გამოიტანა. მებრძოლებმა ზოგმა კონსერვი გახსნა, ზოგმა ძეხვი დასჭრა.

როცა მარინამ წწინანი კერძი შემოიტანა და მებრძოლებს ჯამით ჩამო-

ურიგა, ოთახის კარი გაიღო და დარბაზში ბრგე ტანის, გრძელწვერიანი მოხუცი შემოვიდა.

— გამარჯობათ! — წარმოსთქვა შემოსულმა.

— ო, ნიკიფორ პეტროვიჩ, — მიეგება მიკოლა სტუმარს, — კეთილი იყოს შენი მობრძანება! მარინა, სკამი მობრძანდი ნიკიფორ პეტროვიჩს!

— ნუ შესწუხდებით, მე აქაც კარგად მოვთავსდები. — თქვა მოხუცმა და მებრძოლების გვერდით ჩამოჯდა.

— არაყს ხომ დაღევ? — გაუწოდა მიკოლამ არყით სავსე ჭიქა.

— შევსეამ, მიკოლა, — ჩამობრძანდა ჭიქა მოხუცმა. გადაჰკრა. ცარიელი ჭიქა გადაწოდა და დასძინა: — ხედავ, რა ხდება? რაც ბინდდება, მით უფრო მკაფიოდ მოსჩანს ცეცხლის ალი. დენიევი იწვის, პასეკა იწვის, კრასნოდერენია ალშია გახვეული. ზარბაზნების გრიალიც გვიახლოვდება.

— მტერი დაუნდობელი და ვერაგი აღმოჩნდა. — წარმოსთქვა ყრულ მიკოლამ.

— ყველა მტერი დაუნდობელია და ვერაგი! — მიუგო ნიკიფორემ. — მაგრამ რაც უფრო შხამიანია მტერი, მით უფრო მოკლეა მისი დღე.

— ეჰ, ვინ იცის, ნიკიფორ პეტროვიჩ, რა მოგველის. — ამოიხვნეშა მიკოლამ.

— არის ადამიანი, რომელმაც იცის, მიკოლა! — მიუგო ნიკიფორემ მიკოლას და მებრძოლებს გადახედა. — ასე არაა, ყმაწვილებო?

— ასეა, მეგობარო! — უთხრა ლიტოვჩენკომ. ისეთი რწმენა ისმოდა მის ხმაში, რომ ნიკიფორეს სიხარულით სახე გაუნათდა.

— იმ ერთმა იცის, მიკოლა... და ამიტომ ყველამ ვიცით: მე, იმან, ამან, — გაიშვირა ხელი მებრძოლებისაკენ. — მთელმა ხალხმა! — წამოდგა, ქუდი დაიხურა. — წავედი. ეგრე, შეილებო. რწმენა ნახეარბი გამარჯვებაა. მშვიდობით განახეთ.

— ვინ არის ეგ მოხუცი? — ჰკითხა მასპინძელს ვანომ, როცა ნიკიფორე გავიდა.

— მთელი სოფლის საყვარელი კაცია. — მიუგო მიკოლამ და შემდეგ მებრძოლებს მიმართა: — შიირთვით, ყმაწვილებო!

ამირანმა აღრე მოათავა ვახშამი. უნდოდა წერილი მიეწერა სახლში. საწერკალამი თხოვა მარიანს.

— თქვენ რატომ დარჩით სოფელში? — ჰკითხა მარიანს, როცა მან საწერკალამი მოუტანა ამირანს.

— მამასთან დავრჩი. აქ ვარ საჭირო.

— არ იცით, რა ხიფათი მოგვლით აქ?

— ვიცი.— ისე უთხრა მარიანამ, რომ ამირანი დარწმუნდა ამ ქალიშვილს ვერაფერითაღი ხიფათი ვერ შეაშინებდა. მზია მოაგონდა. მოაგონდა მისი სიტყვები: დავამთავრებ თუ არა ინსტიტუტს, არ დავაყოფებ, ფრონტზე წამოვალო. აი, მარიანა მასწავლებელია და აქ დარჩა. აქ უფრო მეტს გააკეთებს ჩვენი სამშობლოსათვის. მზია ექიმი. მარიანა და მზია ერთნაირად საჭიროა ახლა ქვეყნისათვის. მათ ვერაფერი შეაჩერებთ, ვერც შიში, ვერც გაჭირვება...



ამირანის წერილმა ვერ მიუსწრო დედას. შვილზე დარდი თან ჩაყვა საფლავში. მზია ამირანის სახლში გადავიდა. მან სამედიცინო ინსტიტუტი ორი თვის წინათ დაამთავრა და მაშინვე სამხედრო კომისარიატში განცხადება შეიტანა, რომ ფრონტზე გაეგზავნათ. გაწვევის მოლოდინში სახლში ჩაკეტული, ამირანზე ფიქრით ატარებდა დღეებს. ღამეები არ ეძინა. რაც ამირანი სამხედრო სკოლიდან ფრონტზე გაემგზავრა, მისგან წერილი არ მიუღია.

სანამ ელისაბედი ცოცხალი იყო, ერთმანეთის ნუგეში უმშვიდებდათ გულს. ახლა მზია მარტო დარჩა, სულ მარტო. ამირანის მამა ვარლამი დილით რომ გაიღა, შუალამედე არ ბრუნდება სამუშაოდან. როგორ მიგაგეს ვარლამის ფეხის ხმა ამირანის ფეხის ხმას. რამდენჯერ ჰკონებია მზიას, აი, გაიღება კარი და ამირანი შემოვაო.

მზია ამირანის სამუშაო ოთახში ცხოვრობდა. აქ ყოველი ნივთი ამირანის იყო, მისი ხელმოწევი. ყველაფერი ამირანს აგონებდა. კედელზე გაკრულ ისკიზობში, თაროსა და ოთახის კუთხეში დადგმულ ქანდაკებებში ხომ მზიასაც ედო წილი. მზია იგონებდა მათი ერთად მუშაობის დღეებს, საუბრებს.

ერთ საღამოს, როცა მზია ამირანის ტახტზე წამოწოლილი იყო და მრგონებით იყო გართული, კარზე დაკუნთებულ მზია წამოდგა, კარზე დაკუნთებულ მზიაში ჰკიკოცა ხვედელიძე იდგა, ამირანის სკოლის ამხანაგი. მზია არ ელოდა მას, არ ესაიამოვნა მისი ნახვა.

— მობრძანდით! — უთხრა ნაძალადევი თავსიანობით და თვითონვე იგრძნო, რა ცივი იყო მისი ხმა.

ჰკიკოცს ვითომ არ უგრძენიათ ეს გულცივობა, — ისე შემოვიდა, თითქოს თავისი მოსვლით სიხარული შემოეტანოს სახლში.

— როგორ ხარ, მზია, გენაცვალესულ მიგატოვებ ამირანის მეგობრებმა. — ქუდი და ხელთათმანები მაგიდაზე დააწყო, ჰრელი, მსხვილად შესკვნილი ყელსახვევი შეისწორა და თავმომწონით შეხედა მზიას. — ცუდი ფერი გადევს, ჰკირიმე, დარდობ ალბათ.

— გასახარებელი რა მაქვს, — უგულოდ უპასუხა მზიამ და ტახტზე ჩამოჯდა. ჰკიკოცისთვის არ შეუთავაზებია, დაჯექით; იქნებ მალე წავიდესო, გაიფიქრა.

— დარდი სუსტი ადამიანის სენია, ჩემო კეთილო. დარდს მზიარულებით უნდა შეებრძოლო. აი, მე. ომია, ათასი ადამიანის სისხლი იღვრება, ათასი სახლი ინგრევა, იწვის ყანები და ქარხნები, მაგრამ დარდს არ ვიკარებ გულთან. განა დარდით უშველი რამეს?

— არც მზიარულებით უშველი, ჰკიკოც, თუ შველა გინდა...

— თუ შველა გინდა, აქ არ უნდა ვიყო, ეს გინდა თქვა, არა? — შეაწყვეტინა ჰკიკოც და ჰრელი ყელსახვევი კვლავ გაისწორა, ჰიჯაკის ღილი შეიკრა. — მაგრამ ყველა ხომ ფრონტზე არ წავაო. ზურგის საქმეს ვინ გააკეთებს, გეთაყვა.

— ჰო, მაგრამ ყველამ რომ ასე ილაპარაკოს — ზურგის საქმეს ვინ გააკეთებსო, ფრონტზე ვინა წავიდეს?

— საქმე იმაშია, ჩემო მზია... — რომ ყველა ასე არ ლაპარაკობს. — დამცინავი ღიმილით ჩაილაპარაკა მზიამ.

— ალბათ ასეა. არ გედავებ, ყველა ასე არ ლაპარაკობს. ზოგი თვითონ თხოულობს, გინდა თუ არა ფრონტზე გამიშვით, გმირობა და ვეკაცობა მხოლოდ იქ შეიძლება გამოვიჩინო. მე არ ვეკუთვნი ასეთ ადამიანთა ჯგუფს. რა ექნა, ჩემო კარგო, ჩემი ბრალი რო-

და, რომ ასეთი არ გამაჩინა ბუნებამ.—  
 ჰიკიკო სწრაფად და სულმოუთქმელად  
 ლაპარაკობდა, ეშინოდა არ შეეჩერებოდა  
 მზიას. — შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ,  
 მზია. არ იცნობ ცხოვრებას. გული  
 მიკვდება, რომ გიყურებ, რას დაემსგავსე,  
 როგორ გახდი, როგორ იტანჯები,  
 ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. მიბრძანე  
 და შენთვის ცეცხლში გადავვარდები.  
 რას არ გავაჩენ, რას არ გავაქეთებ. ხომ  
 იცი, მზიარულება და დროსტარება ჩემი  
 მოგონია. ერთ კვირაში გაქრება შენს  
 სახეზე ეგ ფერი, შენს თვალებში ეს  
 ნალექი. მზიარულება აკეთილშობი-  
 ლებს, აცოცლებს, ბევრ რამეს ავიწყ-  
 ყებს აღამიანს.

— რას ავიწყებს, ჰიკიკო? რა გინდა  
 რომ დამავიწყო?

— მზია, თავს განაცვალებ, ოღონდ...

— ჰიკიკო, მე აღრეც მინდოდა მე-  
 თქვა შენთვის...

— ვიცი, ვიცი, მზია, რაც უნდა გე-  
 თქვა. მე არ მინდა ამის გაგონება. მზია,  
 დამიჯერე, მე შენთვის სასწაულს მო-  
 ვახდენ.

— ჩემთვის სასწაულს? არ არის ეს  
 საკირო ჩემთვის, ჰიკიკო. სამშობლო  
 მოითხოვს სასწაულს ჩვენგან. აი რაზე  
 უნდა ფიქრობდე ახლა. აი, რით შეი-  
 ძლება ხალხის სიყვარული დაიმსახურო.

— მე ხალხის სიყვარულს არ ვთხო-  
 ვლობ, მზია. შენ კარგად იცი, რამდენი  
 ხანია, მიყვარხარ. მზია, ვინ იცის —  
 როდის დაბრუნდება ამირანი, ან დაბ-  
 რუნდება კი?..

— მზია აღმფრთვებული შესცქეროდა  
 ჰიკიკოს. ამ კაცის ყოველი სიტყვა, ყო-  
 ველი მოძრაობა მუდამ ყალბი და ხე-  
 ლოვნური იყო. მას ყველაფერი წინას-  
 წარ გამოანაგარიშებული და განსაზღვ-  
 რული ჰქონდა, თუ როგორ, როდის და  
 რაწაირად აეწია ხელი, რაწაირად და-  
 მუდარიყო. სად უნდა გაეღიმა, სად  
 უნდა მოეწიხა.

— გაჩუმდი, ჰიკიკო! — შესძახა მოთ-  
 მინებადაკარგულმა მზიამ და მკაცრად  
 შეხიდა. იმდენად აღილებული იყო,  
 რომ იარანო მერს ედარაფერს იტყო-  
 და. ჰიკიკოს ამირანის მკაობრად მოჰ-  
 ქონოთ თარი და მზია ვერასოდეს ვერ  
 წარმოიდგენოთ, თუ ასე თარიგებოთ  
 იგი. თარი ასწია და ზიზღით შეხვდა მის  
 გაფითრებულ სახეს. იცოთა. რომ ეს  
 სიფითრებუ ყალბი იყო. კართან მივიდა  
 და ფართოდ გააოო. — გადი! — აღელ-  
 ვებული ხმით უთხრა მზიამ.

— მზია! — ჰიკიკომ ვედრებით შე-  
 ხედა ქალს. მაგრამ მისი მკაცრად შე-  
 კრული სახის დანახვაზე შეკრთა. წელ-  
 მოწყვეტილივით ჩაუარა წახ და გავიდა.  
 მზიამ ისე სწრაფად შეხიზნა, თითქოს  
 ეშინოდა, ისევ არ შემობრუნ-  
 დესო. ტახტთან მივიდა, ჩამოჯდა და  
 ატირდა.



ქარის ზუზუნით არ ამინებდა ამირანს.  
 გარეთ ზამთარი მძვინვარებდა. ფა-  
 მისტთა ურდოები სულ უფრო და უფ-  
 როს წინ მოიწვედნენ. ჰირილობებით და-  
 სუსტებულ იყო ამირანი. იმ ღიაეს,  
 როდესაც ის მარინას სახლში წერილს  
 წერას შეუდგა, სოფელს მოულოდნე-  
 ლად მტრის ტანკებმა ალყა შემოარ-  
 ტყეს. სოფელში სულ რამდენიმე სახლი  
 გადარჩა. ზოგი ტანკებმა გადათოლო,  
 ზოგი ცეცხლმა გადასწვა. გადათხრილი  
 იყო ქუჩები, ცეცხლისაგან გარუჯული  
 ხეები ჩონჩხებით იდგა.

ამირანმა და მისმა ქვეგანაყოფმა პირ-  
 ველმა სცადა ალყის გარღვევა. მათ  
 ორი ტანკი ააფეთქეს. უთანასწორო  
 ბრძოლას მარტო ვანო მათეშვილი და  
 მინსკი გადაურჩა. მძიმედ დაჭრილი ამი-  
 რანი დილით იპოვეს მარინამ და მასმა  
 ამხანაგმა ნატაშამ. იგი აფეთქებულ  
 ტანკთან უკარბოლად ეგდო ტალახში.  
 მარინას სახლი დანგრეული იყო და  
 ამირანი მუშობლის ქონში გადაიყვანეს  
 მარინამ და ნატაშამ, სარდაფში დააწ-  
 ვინეს.

მიკოლა და ნიციფორე განცვიფრებით  
 შეჰყურებდნენ ქალიშვილებს. გარეთ  
 ჯერ კიდევ ისმოდა სროლის ხმა, ტან-  
 კების ხრქილი და მოტოციკლეტების  
 და ავტომობილების მოტორების გულ-  
 შეშარავი გუგუნით. ფამისტთა ჯარის-  
 კაცები ცოფიანებით დაძრწოდნენ  
 ქუჩებში. ყოველ წუთს შეეძლოთ ჩა-  
 მოსულღიყინე სარდაფში, ენახათ დაჰ-  
 რილი ამირანი და მთელი ოჯახი ამო-  
 ეწყვიტათ.

— რას ფიქრობ, გოგო, ამ ბიჭს არ  
 უჩანს სიცოცხლის ნიშანწყალი, რის-  
 თვის მიჩქევ ოჯახს?..

— ექნებ გადაარჩეს, მამი. ეს ის  
 ქართველია...

— ვხედავ, რომ ის ქართველია, გუ-  
 შინ რომ მიკოლასთან პურს ჰამდა,  
 მაგრამ იგი მაინც მოკვდება, თუ ექიმნი  
 ვერ ვიშოვეთ.

— ვიშოვით ექიმს, ბიძია ნიკიფორი! — წამოიძახა მარინამ და სახე გაუბრწყინდა.



მეორე თვეა ამირანი ამ სარდაფში წევს და მთელი ოჯახი ისე უვლის, როგორც შვილს. უკვე იმდენად კარგად გრძნობს თავს, რომ ოთახში ბავლე შეუძლია. ხანდახან შეუღლებია მარინა მხარში და ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე მიიყვანს. რამდენი რამ გადაიტანა მან ამირანისათვის, რამდენი ღამე გაათენა თეთრად მის საწოლთან. ამირანის მორჩენას ხომ არავინ ელოდა, ეჭიქნა ხომ პირველ შეხედვისთანავე ჩაიქნია ხელი. მხოლოდ მარინა არ კარგავდა იმედს, არ დაანება იგი სიყვდილს.

ამირანი მალე უნდა გავიდეს ამ ოჯახიდან. იმ ავანაჟმა პიჩკოვსკიმ ყოველდღიურად ისე მოუხშირა აქ სიარულს, რომ რაღაც კარგს არ უმზადებს კეთილ ხალხს. როგორ სძულს, როგორ ეზიზღება მარინას ეს კაცი. მან იცის ეს და მაინც სიყვარულს ეფიცება.

დღეს არც მარინა შემოსულა ამირანთან და არც ნატაშა. რა მოხდა ნეტავ? არც ზევით ისმის ხმაური. სახლში არავინ არის. დღეს ხომ ნიკიფორე პეტრეს-ძე პოლიციის უფროსთან იყო დაბარებული. ტყუილად კი არ შეშინდა მარინა. პიჩკოვსკი მგონი მიმხვდარია, რომ ნიკიფორე პეტრეს-ძეს კავშირი აქვს პარტიზანებთან. ნუთუ გასცა მან ნიკიფორე? როგორ სჯეროდათ გერმანელებს ნიკიფორესი. ასეთი ერთგული მამასახლისი არც ერთ სოფელში არა გუყავსო. ის კი არ იციან, რამდენი ფაშისტი გამოასალმა სიკოცხლეს ამ „ერთგულმა“ მამასახლისმა, რამდენი ეშელონი ააფეთქეს პარტიზანებმა ნიკიფორეს დახმარებით.

ამ ფიქრებში იყო ამირანი, რომ სარდაფის კარი ყროდ გაჭრილდა. ამირანი რევოლვერს მისწვდა.

— შე ვარ, მარინა, — გაისმა სიბნელეში მარინას ხმა.

— რა ამბავია, მარინა? — წამოჯდა ლოგინზე ამირანი. იგი ჩაქმული იწვა. მარინას ექიმი ახლდა თან. ახოვანი ტანის მოხუცი პირდაპირ საწოლისაკენ გაემართა.

— სიარული შეგიძლიათ, ყმაწვილო? — დიახს.. ნიკიფორე პეტრეს-ძე სად არის, მარინა?

— ვილაკამ გაგვცა! — ნატაშა დააბატიმრეს. ნიკიფორე პეტრეს-ძე პოლიციის უფროსთანაა. მთელი დღე გრძელდება მისი დაკითხვა. საბრალო მოხუცი.

— იჩქარეთ, ყმაწვილებო. — მეაწყვეტიანა მარინას ექიმი.

— ახლავე, ბიძია პეტრე. მარინამ მაზარა ჩააცვა ამირანს. ქუდიც თავისი ხელით დაახურა.

— თოვს, ქარბუქია. ასეთ ამინდში ძალიან გავიჭირდება.

— ჩემი დარდი ნუ გაქვთ, მარინა. შორიდან მოტოციკლების მოტორის ხმა მოისმია.

— წავიდეთ, — გაუძღვა ექიმი ამირანს და მარინას. სამივენი სწრაფად გავიდნენ სარდაფიდან. სოფელი ჩაბნელებული იყო. ქარბუქი მძვინვარებდა. გაიარეს ბალი, გადაჭრეს სოფლის გზა და ის იყო ხევის ჩაყვინენ, რომ ზემოდან ძახალი გაისმა.

— ეი, ვინ მოდის? მარინა, ექიმი და ამირანი თოვლში გაწვენენ.

— წისქვილთან ვართ. უკანასკნელი გუშაგი აქა ყავთ გერმანელებს, — წასჩურჩულა მარინამ ამირანს.

ისინი თვალმოშორებლად შეჰყურებდნენ ბორცვის თავზე მდგარ გუშაგს. იგი ერთხანს სმენაღქცეული იდგა, მერე შეტრიალდა და ხელი ნაბიჯით გაყვა ზეგანს.

— წავიდეთ, — დაბალი ხმით უთხრა მარინამ ამირანს.

სულ ორასი ნაბიჯი უნდა გაველოთ ხოხვით, მაგრამ ამირანისათვის ეს დიდი მანძილი იყო. დაჭრილი ფეხი არ ემორჩილებოდა. მკერდი ტკიოდა, მაგრამ ერთი წამით არ შეჩერებულა. ცდილობდა არ შეეშინათ მარინას და ექიმს.

სამშვიდობოზე გავიდნენ. მარინა წამოღვა. ცოტახანს დააყურადა, ხმადაბლა დაუსტვინა. იმავე წამს თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, სამი ლანდი ერთდროულად აიშარათა ბუჩქნარში.

— ჩვენა ვართ, მამა. — უთხრა მარინამ ავტომატომარჯვებულ მიკოლას.

— მარხილი! — გასძახა მიკოლამ ბუჩქნარში შეფარებულ მემარხილეს.



შეცხენებშემბული მარხილი ელკის სისწრაფით გამოიჭრა ბუჩქებიდან და მოსხლებით შედგა მიკოლას წინ.

— აბა, ჩასხედით! — მოკიდა ხელი ამირანს მიკოლამ.

ამირანი მარხილში ჩასვეს. ჩასხდნენ ექიმიც, მარინა და მიკოლაც. მარხილი დაიძრა.

ორი საათის შემდეგ მარხილი პატარა მინდორზე, დაბალ ხის შენობასთან შეჩერდა.

სადგომში კვარი ენთო, ფიჭვისა და ოფლის სუნი იდგა. კედლების გასწვრივ ორსართულიანი საწოლები იყო გამართული. ზოგზე პარტიზანები იწვნენ და ეძინათ, ეტყობოდათ მათ დღეს დიდი ოპერაცია ჩატარებიათ. ზოგნი გრძელ მაგიდას შემოსხდომოდნენ და კონსერვის ცარიელი ყუთებით ჩაის სვამდნენ. დაღლილ-დაქანტულები იყვნენ, მაგრამ მაინც ხმაელა ლაპარაკობდნენ ჩატარებული ბრძოლის შესახებ. იქვე მაგიდასთან ეყარა ნადავლი: ავტომატები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, რევოლვერები, ხელყუმბარები და სხვა მრავალი იარაღი.

მარინას დანახვაზე პარტიზანების სახეზე ღმილი ათამაშდა, მხიარული შეძახილებით მიესალმენ მას და ადგილი დაუთმეს.

— ეს არის შენი ქართველი, მარინა? — უთხრა შუახნის, გრძელწვერებიანმა მეთაურმა აკიმა და ამირანს მიუბრუნდა. — იცოდეთ, ავადყოფებს არ ვლებულობთ, — უთხრა ღმილით.

— მე კარგად ვგრძნობ თავს, ამხანაგო პეტრენკო.

— ოჰო, გვარიც ცოდნია ჩემი. მაშ ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, ამხანაგო მხეიძე!

— დიახ, ორი თვეა ვიცნობთ ერთმანეთს.

პეტრენკომ ღმილით გადახედა მარინას და მოწონების ნიშნად თვალი ჩაუქრა.

— ჩვენ გადაწყვეტიტთ ჯერჯერობით აქ დაგტოვოთ. შემდეგ ვნახოთ, — დაჯდა, ჩაი გადააწოდა მარინას. — ნიკიფორეს ხეალ ჩამოახრჩობენ დღის ორ საათზე. იცის ბებერმა მგელმა ეს ამბავი. — უთხრა ფარული ღმილით. მარინას შიშისაგან სახე მოექცა.

— აბა, რა გეგონა, — გაიცინა პეტრენკომ, — თავზე ხელს გადაუსვამდნენ?

ამ დროს კარი გაიღო და ორი პარტიზანის თანხლებით პიჩკოვსკი შემოვიდა. მას ნაბადი ეხურა და სახეზე ყაბალახი ჰქონდა ჩამოსლილი. მარინამ და ამირანმა იგი მხოლოდ მშინ სცნეს, როცა მან ყაბალახი მოიძრო.

— პიჩკოვსკი — აღმოხდა მარინას გაოცებით.

პიჩკოვსკი ისე იყო აღელვებული, რომ არ დაუნახავს მარინა, არ გაუგონია მისი წამოძახილი. ნაბადი კუთხეში მიაგდო და მაგიდას მიუჯდა.

— ჩაი, — თქვა ყრულ. არავეისთვის შეუხედავს, გათოშილი ხელები სახეზე აიფარა და ერთხანს გაუნძრევლად იჯდა.

ყველანი უხმოდ შეჰყურებდნენ მას. იგი იჯდა გამართული, მხარბეჭიანი და ბრგე.

სახტად დარჩენილი მარინა ხან პეტრენკოს შეიკეროდა და ხან პიჩკოვსკის. პიჩკოვსკის, რომელიც გამცემად, მოლატედ, ყველაზე საზიზღარ და უბოროტეს ადამიანად მიანდა. ეს კაცი ახლა აქ ისე იჯდა, როგორც პარტიზანთა რაზმის განთქმული მებრძოლი და ყველა მორიდებით შეჰყურებდა მას. პიჩკოვსკიმ ჩაი მოხერობა.

— მტერმა ეჭვი აიღო, — თქვა ჩახლეჩილი ხმით პიჩკოვსკიმ და კვლავ მოსვა ჩაი. მერე განზე გადადგა ჯამი. — ნიკიფორ პეტროვიჩის დასჯა მოხდება არა ორ საათზე, არამედ დილით. — წამოდგა. დინჯი ნაბიჯით გაემართა საწოლისაკენ, პირველ თავისუფალ ლოგინზე მიწვა და უმალ ჩაეძინა.



სოფლის შუა, დიდ მოედანზე საბრძოლველად იყო ამართული. ჯერ გათენებული არ იყო. ფაშისტები სოფლის ყოველი კუთხიდან მოერეკებოდნენ ხალხს.

გერმანელთა წესრიგის დამცველ რაზმში პარტიზანების დავალებით პიჩკოვსკი მოკალათდა.

— ეი, არამზადებო, წინ წამოიწიეთ. — შედგა იგი ხალხის ერთი ჯგუფის წინ. — უკეთ შეხედეთ სეირს, კარგად დაიხსომეთ, რა მოელის მოლაღატეს.

ხელში მათრახი ეჭირა, თვალები  
რისხვით უელავდა.

— უუ, გველო!

— ჯამუშო!

ესმოდა პიჩოვსკის ხალხის ბოლოთ  
ამონახეთქი სიტყვები და დანასავით  
ხედებოდა გულზე.

— მოყავთ!

— შეხედეთ!

— ნიკიფორ პეტროვიჩი!

— საბრალო ნატაშა!

გაისმა ხალხში ჩურჩული.

ხელშეკრული ნიკიფორე პეტრეს-ძე  
და ნატაშა საბარგო მანქანაზე იდგნენ.  
მანქანა ნელა მოდიოდა. მანქანას ავტო-  
მატომობარგებელი ათი გერმანელი  
ჯარისკაცი მოყვებოდა.

— უკან!

— გზა, ძაღლებო!

— გზა!

იძახდნენ ფაშისტთა რაზმის ჯარის-  
კაცები და კონდახს უქნევდნენ ქალსა  
და კაცს.

სახრჩობელას გვერდით პოლიციელები  
იდგნენ.

პიჩოვსკიმ მაჯის საათს დახედა.  
იგი დელავდა, სახე გაფითრებული  
ჰქონდა.

გაისმა მსუბუქი მანქანის საყვარის  
გამბული წივილი და უმაღლე ხალხში  
რუხი ფერის პატარა სამხედრო მანქა-  
ნა შემოიჭრა. ჩია ტანის, ქურჭმოსხმუ-  
ლი პოლიციის უფროსი სწრაფად გად-  
მოხტა მანქანიდან. სახრჩობელას წინ  
შედგა, მათრახის ტარს მარცხენა ხელის  
გულზე ატყაპუნებდა და მოკუტრული  
თვალებით შეჰყურებდა ნიკიფორე პე-  
ტრეს-ძეს და ნატაშას.

თმებჩამოშლილი და ტანისამოსშე-  
მოხეული ნატაშა თავაწყოლი იდგა, ამა-  
ყი და პირდაპირი. იგი ქანდაკებას ჰგავ-  
და. ნიაფი უფრიალებდა ოქროსფერ  
თმებს.

ერთხანს ძაღლივით შესცქეროდა პო-  
ლიციის უფროსი ნატაშას, მერე უცებ  
შემოტრიალდა, მათრახის ტარი ჩექმის  
ყელზე შემოიკრა და წერილი გამყიფიანი  
ხმით შესძახა:

— დავიწყით!

პიჩოვსკი შეკრთა. ელექტრონის დე-  
ნივით გაირბინა ამ შემზარავმა სიტყვამ  
მის სხეულში და თავი ასწია.

იმავე წუთში მის პირდაპირ ხალხის  
წრე გაირღვა და აკიმი დაუდგა წინ;

გაირღვა სხვაგანაც ხალხის წრე. გამო-  
ნდა მიკოლა, ამირანი, მარინა.

ამას უცდიდა პიჩოვსკი, მან რაადე-  
ნიმე ნაბიჯი ვადასდგა და პიჩოვსკი  
კი პოლიციის უფროსს გაუჩინა მანქანა  
და, რეგულვერი იძრო და გულში  
რამდენიმე ტყვია ჩააქედა.

ამას მოჰყვა ავტომატების განუწყვე-  
ტელი სროლის ხმა.

ხალხი მიხვდა.

— პარტიზანები! — შესძახა ვილა-  
ცამ ალტაცებით.

პარტიზანებს ხალხი წამოეშველა, აი-  
რია მოედანი, ისმოდა სროლის ხმა,  
კენესა, შეძახილები.

ამირანი პირველი აიჭრა მანქანაზე.  
ჯერ ნატაშას შეუხსნა ხელები, შემდეგ  
ნიკიფორეს.

სოფლის ყოველ ქუჩაზე, ყოველ შე-  
სახევეში სროლის ხმა ისმოდა. კაცებ-  
დნენ ტყვიამფრქვევები, გაისმა ძლიე-  
რი აფეთქების ხმა. ავარდა ცეცხლი და  
კვამლი:

ამირანმა და მარინამ ნიკიფორე და  
ნატაშა პოლიციის უფროსის მანქანაში  
ჩასდეს. საქვს პიჩოვსკი მიუჯდა. პარ-  
ტიზანები კი საბარგო მანქანაში ჩასდ-  
ნენ და ტყეს მიაშურეს.



მზია ჰოსპიტალში მუშაობდა. ამირა-  
ნისაგან წერილი კვლავ არ მოდიოდა.  
გახდა. დარდმა. დღე და ღამე შრომამ  
თავისი დალი დაასვა.

ერთხელ მზია ჰოსპიტლის უფროსთან  
შევიდა.

— გთხოვთ აღმიძრათ შუამდგომლო-  
ბა ფრონტზე გამგზავნონ.

— რატომ, რაშია საქმე? — განცვი-  
ფრდა უფროსი.

— გთხოვთ. მე იქ უფრო საჭირო  
ვარ. მინდა მეტი გავაყვითო. ნუ დამცი-  
ნებთ, მე იქ ვნახავ იმ ადამიანებს, რომ-  
ლებიც ჩვენამდე ვერ აღწევენ. მე მიწ-  
და ვიმუშაო ძელმიწურებში, ცეცხლის  
ხაზზე. აქ ყველა ექიმს შეუძლია იმუ-  
შაოს, — მეტი ვერაფერი თქვა, უფ-  
როსს განცხადება დაუდო მაგიდაზე და  
ოთახიდან გავიდა.



მთელი ველი მოფენილი იყო დამსხვრეული მანქანებით, ქვეშეხებით, ტანკებით და დაჭრილებით. ჭურვების გრი-ალში ქვეშეხების გუგუნის და ტყვიამფრქვევების კაკანი ძლივს ისმოდა.

მტერს ახალ-ახალი ძალები გამოჰყავდა, მაგრამ ჩვენი ნაწილები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ.

ცეცხლში იყო გახვეული თვალწვდენი ველი.

წელში მოხრილი მეომრები თოფით ხელში გადაარბოდნენ, შეჩერდებოდნენ, გაწვებოდნენ, ისროდნენ. მერე ისევ წამოცვივდებოდნენ და გარბოდნენ. ერთი მათგანი შემოტრიალდა, ნახევარი წრე გააკეთა, როგორც ბადროსმტყორცნელმა, ისროლა ხელყუმბარა. ყუმბარა მისგან ქარგა მოშორებით დაეცა, აამტერა ქვიშხარი, ცეცხლი მარაოსავით გაიშალა.

ნაღმი სულ ახლოს დაეცა და მზიას თვალეში შეაყარა მიწა. მზია გაწვა მიწაზე, ხელი მოისვა სახეზე, მარჯვენა წარბიდან სისხლი წასკდა. თბილი, მწიბავი წინწკლები ცრემლებივით ჩამოეკიდა წამწამებზე.

„ჯერ კიდევ ადრეა. ჯერ კიდევ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი!“ — ჩურჩულებდა მოქანცული ხმით მზია. ჭურვის ნამსხვრევები და ტყვიები წიოდა მის გარშემო. მარცხნივ მებრძოლს ზურგზე წამოკიდებული დაჭრილი მოჰყავდა, მოფორთხავდა იგი, დაჭრილი ხშირად უეარდებოდა ზურგიდან. ეტყობოდა დიდი მანძილი ჰქონდა გამოვლილი.

— აი, შეეღა ვის სჭირია!  
მზია ხზოვით გაემართა მისკენ.

პარტიზანთა რაზმები მტერს ზურგში მძლავრ შენაერთებად იქცნენ. შურისმგებელთა რისხვა მტერს ქარიშხლად ატყდებოდა თავზე და საბჭოთა ჯარებს დიდ დახმარებას უწევდა.

პარტიზანთა შენაერთი, რომელშიაც ამირანი იმყოფებოდა, მტერს ვისლის გადაღმაც ვაპყუა. გერმანიის საზღვრებს მიმდგარნი საბჭოთა არმიის ნაწილებს უნდა შეერთებოდნენ. ამიტომ ფრონტის მთავარ მტაბში ამირანი დიდი დავალებით გაისტუმრეს.

სანიტრებს საკაცებით გამოჰყავდათ ბერლინის ქუჩებიდან დაპრილებულ და რკინის ლობებმონგრეულ ეზოში, შენობის წინ, ხეების ქვეშ აწვენდნენ. შემდეგ სარდაფებში ჩამოჰყავდათ. იქ საოპერაციო და შესახვევი პუნქტი იყო მოთავსებული.

ოპერაციებისა და შეხვევის შემდეგ დაჭრილები ისევ ამოჰყავდათ საკაცებით, მანქანაზე ათავსებდნენ და აღმოსავლეთისაკენ ისტუმრებდნენ.

ეზოში შეუნელებელი ფუსფუსი სუფედა.

— ივან კირილიჩ, ივან კირილიჩ! — ჩასძახა სარდაფში კართან შემდგარმა სანიტარმა. მას და მემანქანეს საკაცე ეკირათ ხელში. საკაცეზე გრძნობადაკარგული დაჭრილი ესვენა.

— მიმიღა და დაჭრილი, ივან კირილიჩ, სისხლის დენა ვერ შეეუჩერეთ. სარდაფიდან სწრაფად ამოვიდა ორი სანიტარი, ერთი მამაკაცი და ერთი ქალი. დაჭრილი სარდაფში ჩაიყვანეს.

საოპერაციო მაგიდაზე ექიმები გამალებით მუშაობდნენ.

— მარლა!  
— ბამბა!  
— ძაფი!  
— ნემსი!

ისმულა ექიმების მოკლე და მკაფიო ბრძანებები.

სარდაფში რამდენიმე საოპერაციო მაგიდა იდგა. სანამ ექიმი ერთ ოპერაციას მოათავებდა, სხვები დაჭრილს ამზალბდნენ საოპერაციოდ.

დათლილი, უშველი და გაფითრებულ ი მზია, რამდენიმე დღეა ფეხზე დგას და საოპერაციო მაგიდას არ მოშორებია.

— შემოიყვანეთ შემდეგი! — მიმართა მან სანიტრებს და მაგიდას დაეყრდნო.

მის გვერდით მაგიდაზე, დაბალი ტანის, ხნიერი ექიმი დიდხანს სინჯავდა ახლად შემოყვანილ მებრძოლის კრილობას.

— გათავებულა, არაფერი ეშველებ! — ჩურჩულებდა იგი და მაინც სინჯავდა, სახე მოლულული ჰქონდა და წარამარა შეტბლზე მკლავს ისვამდა.

მზიამ უნებლიეთ მიიხედა მისკენ. დაინახა დაჭრილის სახე, მისი ოდნავ

კეზიანი ცხვირი. დაკრილს პირისახე სისხლით ჰქონდა შესვრილი, მაგრამ მაინც იცნო მზიამ.

— ამირანი! — შეჰკვივლა მან.

•  
•

პოსპიტლის ოთახში, სუფთა საწოლზე წევს ამირანი. ღია ფახჯრიდან ოქროსფერ კონებად იჭრება დილის მზის სხივები.

მზისკენ ზურგშექცეული მზია საეარძელში ზის და ხელში ამირანის მჯა უჭირავს.

მზია ამირანის მაჯისცემას კი არ სინჯავს. არა, წუხანდელს აქეთ ნორმალურად სცემს ამირანის მჯა. საყვარელი ადამიანის ხელი უჭირავს ხელში—სიკვდილისათვის გამოტაცებული ამირანის სიცოცხლე.

ამირანმა თავი მოაბრუნა და დაწმენილი, მშვიდი თვალებით შეაჩერდა მზიას.

— მზია, აღარ მოვეცდები, არა?

— სიკვდილს შენთან რა უნდა, ამირანი

— შენ შემინარჩუნე სიცოცხლე მზია.

— არა, ამირან.. შენმა საქმემ.

— ჩემმა საქმემ. — გაიმეორა ამირანმა.

— შენმა დიდმა საქმემ, ამირან.

წამით ორივე გაჩუმდნენ. და მერე ამირანმა წყნარი ხმით დაარღვია სიტყვა:

— მე ისეთი არაფერი გამიკეთებია, მზია: რაც სხვამ, მეც ის. — გაჩუმდა დაილალა. ისევ მიაბრუნა თავი და დასუქა თვალები.

მშვიდად სუხთქავდა.

„რაც სხვამ, მეც ისო... აი, ასეთი დიდი სიცოცხლით ცხოვრობდა ქველა და ამიტომ გავიმარჯვეთ. ძნელია ასეთი სიცოცხლის დამარცხება!“—ფიქრობდა მზია და ბედნიერებით გაბადრული დასცქეროდა საყვარელი ადამიანის ფერმკრთალ და ნაოზარ სახეს.

## ლაკარგული სამოსხა

ნაწყვეტი მიორაი წიგნიდან

★

დამთავრდა სულთა საეჭვო და შეზენელი კრება,  
და ახლა მთავარს, სწორუპოვარს, შესციმციმებდნენ;  
იაკევი, — როცა ჩრდილოეთის ქარს სძინავს მშვიდად,  
ბნელი ღრუბელი გამოზრდება მთების მწვერვალებს,  
მიიწევს მალა, გადაეკერის მცინარე ზეცას  
და თალხით მოსილ დედამიწას ქუშად, მრისხანედ  
დაემუქრება თოვლითა და დიდი ნიაღვრით;  
მაგრამ უეცრად საღამოეამს მზე მხიარული  
გამოსათხოვრად აღერსიან სხივს სტყორცნის მიწას,  
გამოცოცხლდება, გაიღვიძებს მთელი მიდამო,  
ფრინველთ გალობა განახლება წინანდებურად,  
ნახირი ბლავის სიხარულით გაღაღებული  
და მხიარული ჟრიაშული მოიცავს ველებს.

პოი შერცხვენა ადამიანს! ბოროტ სულებსაც  
ერთმანეთს შორის თანხმობა აქვთ გაუტეხელი,  
გონიერთაგან მხოლოდ კაცთა არ აქვთ თანხმობა,  
თუმცა ციური შეწყალების იმედს მოსავეთ.  
მშვიდობისაყენ მოუწოდებს მალალი ღმერთი —  
ისინი მტრობას და სიძულვილს ამჯობინებენ,  
თითქოს არ ჰყავდეთ მათ სხვა მტრები — ქვესკნელის  
მკიდრნი,

რომელნიც დღელამ ოცნებობენ მათ მოსპობაზე, —  
და იმის ნაცვლად, რომ შეთანხმდნენ და შეკავშირდნენ,  
იბრძვიან მარად, წყეულ ომებს გააჩაღებენ,  
ქლუტენ ერთმანეთს და უდაბნოდ აქცევენ მიწას.

ამასობაში ღეთის და კაცის მტერი — სატანა,  
მალალი მიზნით და ფიქრებით გამხნევებული,  
სწრაფად მიფრინავს ჯოჯოხეთის კარებისაკენ,  
ხანდახან მარცხნით გადიხრება, ხანაც ხელმარჯვნით,  
ხან დაეშვება — შეეხება ფრთით ღრმა უფსკრულებს,  
ხან აფრინდება და ცეცხლოვან ცას მიადგება.  
ისევე მოსჩანს მოფარფატე სული შორიდან,  
როგორც ღრუბლებით დაბურული ხომალდი ზღვაში.  
ჰა, ჯოჯოხეთის საშინელი მოჯნაც გამოჩნდა,  
ამაღლებული გაღაფანით. შიშის მომგვრელით,  
სამეცად ნაჭედ სამი კარით გამაგრებული.  
მიუვალა ეს კარები, წრედ გარეშემო  
ციცხლი ედება, მაგრამ კარებს არა სწავს ცეცხლი.  
ქიშკართან იჯდა, აქეთ-იქით, ორი ურჩხული:  
ერთი მათგანი მშვიდნიერ ქალს ჰგავდა წელზევით,  
ხოლო წელქვევით ება დიდი კუდი გველისა,  
დაქერცილი და მაკვდინებელ ნესტარიანი.



შემოხვეოდნენ ქოფაკები ჯოჯოხეთისა და ცერბერივით განუწყვეტლივ ყეფდნენ და ყეფდნენ, შემპრწყნებლად რეკდა მათი ყეფა-ღრიალი. ხან თავია ნებით, ხანაც კიდევ შემინებულნი შეუძვრებოდნენ მას საშოში, იმალებოდნენ და განაგრძობდნენ ყეფასა და საზარელ ყმუილს. მეორე არსი, — თუკი ძალგვიძს არსი ვუწოდოთ, ისეთ რაიმეს, რასაც არ აქვს გამოკვეთილი არცა სხელი, არც სახსარი, არცერთი ნაკეტი, და მხოლოდ ჩრდილს ჰგავს უსახურსა და უსხეულოს, — იდგა თავისთვის, ღამესავეთ ჩაშავებული, მძვინვარე, როგორც აღგზნებული ათი ფურია, ჯოჯოხეთივით მრისხანე და ძრწოლვისმომგვრელი, იდგა და ზუფანს გამალებით ატრიალებდა, თავის მაგიერ თითქოს შეფის გვირგვინი ეღდა. მიუახლოვდა მას სატანა. ურჩხულიც მყისვე ზეწამოიჭრა, მიამურა სწრაფი ნაბიჯით, — ძიგრიალებდა და ჯოჯოხეთს აზანზარებდა. მაგრამ უშიშარ უშმაქს აბა რა შეაშინებს, განაკვირდა მხოლოდ, რა იხილა: ცოცხალ არსთაგან იმას მთლილი ღმერთის გარდა ვერცინ შეაკრთობს, და იმის გარდა სხვა არაფრად არ მიაჩნია. ახლაც მან ზიზლით გადახედა და ასე უთხრა: „ხეტა ვინა ხარ, სით მოსულხარ, უმგვანო არსო, ან როგორ ბედავ, — თუმც კქუში და საშინელი ხარ, — რომ ამ საზარი და მახინჯი სხელით ახლა, წინააღმდეგე და შემოიკრა გზა ზეცისაკენ?! ჩამოდექ, ახლა გამოსცადე შენი სიბრძივე! მაშინ ისწავლი, რომ ქვესკნელის ბილწნამიერმა ველარ გაბედო შებრძოლება ზეციურ არსთან!“ მაშინ ურჩხულმა განრისხებით ეს უპასუხა: „ნუთუ ეს შენ ხარ, მოღალატე არქანგელოზო, ვინაც პირველად დაარღვიე მშეიდობა ცაში, გასტეხე ფიცი იმა დრომდე გაუტეხელი, ანგელოზთაგან მესამედი გადაიბირე და თავგასული მხედრობითა მიუხტი უფალს, რისთვისაც შენცა, ის მხედრებიც ქვეჩამოგრევეს, რომ მარადიულ წამებაში გალიოთ დღენი? ახლა მოსულხარ ბინადარი ჯოჯოხეთისა და თავი მოგაქვს. თითქოს იყო ციორი არსი! იმასაც ბედავ, ზიზლით ომში გამომიწვიო, აქ ჩემს საკუთარ სამეფოში... დიან გამწარდი! ეს, მე ვარ — შენი მბრძანებელი, შენი ხელმწიფე! გასწი, გაბრუნდი, სასჯელს ვერსად ვერ გაეშცავეი, მორიშველიე ფრთებიც, რათა ჩქარა გამშორდი, თორემ მათრახით აგაჭრელებ, ან ამ ზუფანით ისე ვაწამებ, რომ მსგავსი რამ არ განგცადოს“.

თქვა ეს ურჩხულმა საზარელმა, და ამ მუქარით იგი ათქცვად საშიში და საზარი გახდა. აქეთ სატანა — გულგამწყვრალი, განრისხებული, იდგა უშიშრად, ცეცხლს აფრქვევდა. როგორც კომეტის ერთმანეთს თავში უმიზნებენ გამგმირავ ზუფანს, და უნდათ, — ერთი დარტყმით მოსპონ მათ ერთმანეთი.



უბღვერენ ურთერთს, როგორც ორი შავი ღრუბელი, ცის ყუბარებით დატვირთული, კასპიის თავზე დგება პირისპირ, ვიდრე ქარი არ მისცემს ნიშანს, არ დაუბერავს და ერთმანეთს არ შეაჯახებს. ისე უბღვერდა ორი მძლავრი მეტოქე ერთურთს, რომ ჩათახებულა ჯოჯოხეთის საბრძანებელი. იქ მოხდებოდა უდიდესი საშინელება, ეს შეტაკება შეარყევდა ჯოჯოხეთს სულმთლად, მაგრამ უეცრად კარისმცველი, გველის ხატება, ვისაც ხელთ ეპყრა გასაღები, საბედისწერო, ზეწამოიჭრა და ღრიალით მუაში ჩადგა: „მესდექი, მამაე, ერთადერთი ძე გინდა მოკლა? ანუ შენ, ძეო, რა სიგიჟემ მოგიცვა ასე, რომ სასიკვდილო ზუფანს ახლა მამას უღერებ?! თუ იცი მაინც ვის გულისთვის? ცის მეუფისთვის, რომელიც მშვიდად განისვენებს და შენ დაგცინის. იმან გიბრძანა შეასრულო სასჯელი მძიმე, სასჯელი, რასაც ის ეძახის მართლმსაჯულებას, მაგრამ ნამდვილად ეს იმისი რისხვაა მხოლოდ. დადგება დღე და თქვენ ორივეს ეს რისხვა მოგსპობთ“.

თქვა ეს და მყისვე ჯოჯოხეთის ჰირიც დამშვიდდა, ზოლო სატანა მიუბრუნდა გველის მსგავს ურჩხულს; „მე ისეთგვარად გამაშეშა შენმა კივილმა, და ისე უცხოდ მომეჩვენა სიტყვები შენი, რომ მარდი ხელი მომიდუნდა, თორემ აქამდე განზრახვას ჩემსას გაჩვენებდი ნამდვილი საქმით. მარქვი, ვინა ხარ, ორსახებზე, გაორებულო, აქ, ჯოჯოხეთის ველზე ახლა პირველად გხედავ. მამის სახელი რად შემარქვი, ან ამ საშიხელ მოჩვენებაზე რატომ ამბობ, ძეაო შენი? ვერა გცნობილობ, არც მინახავს მე არასოდეს თქვენზე უფროე საზარელი სანახაობა“. ასე მიუგო მას ქვესკნელის მეკარემ მაშინ: „მამ დამიეიწყე? და მახინჯიც კი გეჩვენები? აკი ოდესღაც მთელი ზეცის მშვენება ვიყავ, როს შეკრებილი გყავდა ცაში სერაფიმები და თავხედურსა შეთქმულებას უწყობდი უფალს. გახსოვს, საზარმა ტკივილებმა მოგიცვეს უცებ, თვალთ დაგიბნელდა, გონებასაც ლობრი ვადიკრა, მერე თავიდან ცეცხლის ალმა იფეთქა მძლავრად, ფართოდ გადიხსია ცალი მხარე და ამოვევარდი თვალად და ტანად მომხიბლავი, ღვთიური არსი, შენივე მსგავსი, მთელი ზეცის ნათლისმომფენი. მხედრობა ცისა განცვიფრებამ მოიცვა მაშინ, დათრთხნეს და მყისვე უკოიქცნენ. თავდაპირველად მიწოდეს „ცოდვა“, მიმიჩნიეს ბოროტ არსებად, მაგრამ თანდათან შემეჩვიენ, ჩემი მშვენებით ყველაზე უფრო საშინელი მტერიც შევიტყებ. მქნ, მითუმეტეს, ჩემს სახეში რა განიცადე ხატება შენი, საკეთარი, — მყის შემოყვარე; სხვების მალულად ნეტარება ვიგემეთ ერთად, და ჩამესახა ზე სამოში მზარდი სიმძიმე. ამასობაში, გამძვინვარდა ზეცაში ომი, სასუფეველი გადაიქცა ბრძოლის არენად,



მტერს, ყოვლადმღიერს, გამარჯვება ზედა სასახელო, ჩვეის მხედრობას კი — დამარცხება, განადგურება, ქვეჩამოგვეყარეს, დაგვირეკეს სასუფეველიდან და ამ უთსკრულში მოგვიცეს ბინა მეცა და სხეუბსაც. შემომჩინეს ხელში მაშინ ეს გასაღები, ზიბრძანეს, მუდამ დაკეტილი გქონდესო კარი, რათა არაიხი არ გაბედოს გარეთ გაპარვა. ვიჯექ მოწყენით, მაგრამ დიდხანს აღარ დამცალდა: მუცელში თეხი ჩანასახი სულ იზრდებოდა, უცერად რალაც უჩვეულოდ მომწყდა საშოში, მშობიარობის საშინელი ტყვილი ვიგრძენ, და როგორც იყო ეს საზარი და უბუხებო, არსი, შეხვახვე ჩასახული, წყეული ძალით გამობტა გარეთ, დამაგლიჯა მთლად შიგნეული, გულისწამლები ტყვილებით სულ დამანგრია, და წელს ქვემოთ შემეცვალა სხეული ასე. ჩემი მტერი კი, ჩემს მიერვე დაბადებული, არხედა ხელში ამა ზუფანს, საბედისწეროს, და სპობდა ყოველს, რასაც იმით შეეხებოდა. მე ვავეცალე და შევძახე: ჰოი, „სიკვდილი!“ უცებ შეტოვდა ჯოჯოხეთი ამ დამახილზე, პირი დაალო ყველა მღვიმემ, ამოიხზრეს, და ყველამ ერთად დაიგრგვინა: ჰოი „სიკვდილი!“ მე ვაიქეცი, — დამეღევა, მაგრამ შეეატყვე, რისხვაზე უფრო იგი ვნებით იყო გზნებული, მომწვდა შალიად, ხელში მიგდო დამფრთხალი დედა, მომეტყლამუნა, საზარელად გადაამეხვია და ესე ბილწი მყეფარები გამაჩინინა, რომლებიც ყფენ, როგორც ზედავ, შეუსვენებლივ, დაწანწალებენ, განუწყვეტლივ ისახებიან, და, ჩემდა ჰირად, განუწყვეტლივ იბადებიან. მოისურებენ — შეძვრებიან მყისიე საშოში, ყფენ, ყმუიან, გაცოფებით ღეჭენ შიგნეულს, რადგანაც ძხოლოდ ჩემი საშო ათ ასაზრდოებს, მოისურებენ — ისევ გარეთ გამობტებიან დამრწიან ირგვლივ, მომიცავენ საზარი შიშით, რათა შევა და მოსვენება ვეროდეს ვპოვო. მუღაშქამს ვუჭერეტ მე ამ სიკვდილს, — ჩემს ძესა და მტერს, რომელიც, აგერ, ჩემს პირდაპირ წამოყუნტულა; მომიაეის ზოლზე გაცოფებით ამ ბილწ ქოფაიებს, ჩამყლაპავს კიდევ თავის მშობელს, გაუმადლარი, რადგანაც ვერსად ვერა პპოვებს იგი სხვა ნადავლს, მაგრამ იცის, რომ ღეთის განგებით თან გადამყევა: ყელს მწარე ლეკმად დაჟიდგები. — შხამად და გესლად. შინ კი, ო. შამავ, გაგათრთხილებ, უნდა გაშორდე, ამ მკაცდინებელ ზუფანს ჩქარა ჩამოეცალო; ნუ დაენდობი, ფუჭი რის იმის იმედი, რომ ცაში ნაწრთობ საჭურველით ხარ აღჭურვილი და ყველასაგან უენები და მიუკარები: ზენაარს გარდა, მას ვერავინ გაუმკლავდება“.

დადუმდა იგი, და ცბიერი სულიც დამშვიდდა, ხმა დაირბილა და აღერსით მიმართა იმას:

„ასულო ჩემო, რაკი მამად მიმიღე ახლა და მშვენიერი ჩემი ვაჟიც რაკი გამაცან, —





ნაყოფი ცაში მიღებული ტკბილნეტარების, ოდესღაც ტკბილის, სანუკვარის, მაგრამ ამჟამად, იმ არსახულ და მოულოდნელ მარცხის შედეგად, მოსაგონადაც კი შეარის და სვედის მომგვრელი, — იცოდა, მე მტრად არ მოესულვარ, მე მივისწრაფი რომ შენც, ამასაც, სხვასაც უკელას, ზეციურ სულებს, ციდან, სამართლის დაცვის გამო ჩამორეკილებს, თავისუფლება მოგიბოვოთ, დაგჩხნათ ყველა ამ წამებისგან. ამ შემაზრზენ ბნელეთისაგან. მათ წარმოგზავნენ მარტოდმარტო, მათ დამავალეს, რომ გადავლახო უძირო და ფართო უფსკრული, გადავიარო სივრცეები ვეებერთელა, ვნახო სამყარო, თვით ზეცასთან ახლომდებარე, ახლადშექმნილი, მრგვალი, ვრცელი და სანეტარო, რომლის შესახებ წინათაც კი ბევრი გესმენია, და რაც, ბევრის თქმით, უნდა იყოს უკვე შექმნილი. ამბობენ, ომერთმა ის ქვეყანა დაასახლაო განებივრებულ არსებებით, ახლადშექმნილით, — რომლებიც ცაში ჩვენს ძველს ადგილას დაიპყვიდრებენ; თუმცე მოშორებით მიუჩინა ბინა იმ არსთა, რომ შეტისმეტი გამრავლებით, ძალთა მძლავრობით, ცას არ მოეღოს კვლავ ახალი აჯანყებები. ახლა ვისწრაფი, რომ შევიცნო: მართლაც ასეა, თუ ესეც ერთი საიდუმლო ფანდია უფლოს. როგორც გავიგებ, მე მაშინვე დაგიბრუნდებით, წაგიყვანთ ორთავ — შენ და სიკვდილს, — იმ ნეტარ მხარეს. იქნებით შვიბით, უხილავად იფრენო სივრცეში, ტკბილსურნელება ჰაერისა სიამეს მოგფენთ, საყვებს უზომოდ მოიბოვებთ, განუსაზღვრელად, და ყველაფერი იქ იქნება თქვენი საკბილო“.

იგი გაჩუმდა. გაიხარა ორივემ დიდად, ბილწი სიკვდილი დაიჭყანა შესაზარელად და ომილიისგან დაიბრია, როცა გაიგო, რომ მწარე შიმშილის მოთოკავდა და განძლებოდა; საესე მუცელის წარმოდგენით ტკებოდა უკვე. მისმა ბოროტმა დედამ ასე მიმართა მამას: „გახებების ძალით, ზეცის ძალა მუუფის ნებით, მე ჩამაბარეს გასაღები ჯოჯოხეთისა, და ამიკრძალეს ადამატის კარები გაეხსნა. მაგრამ რას ვაქნევ მის ბრძანებას, ვისაც მე ვძულვარ, ვინც ჩამომავდო უძირო და ძაბნელ ჯუღრლმულში, ცაში ხაშობი, ზეცის მკვიდრი აქ მიმაჯაჭვა, და შემაზრზენი სამსახური ვინც დამაკისრა, რათა ვეწამო და ვიტანჯო დაუსრულებლად, სულ შიმში ვიყო. ეს ყმულილი გულს მიწერილებდეს, და მიჯიჯინდენ შეიგნეულა ჩემიო ნაშობნი! მამავ, გამჩენო და სიციოცხლის მომნიჭებლო, თუ კი შინ არა, ვილას ღნდა რაეუმორჩილო?! თუ კი შენ არა, ვილას უნდა მიეჭყვე კვალდაკვალ?! შენა მპირობი სინათლის და შვიბის ძიყიანას, სადაც განტყრომით ყოფნა მელის, ომერთების გვირდით, ვით ძვირფას ასულს და საყიარელს შეკფერის შესნას უნდა ვიმეფო შენს მხარდამხარ სამარადეამოდ“.



თქვა და მაშინვე გასაღები, საბედისწერო, — ჩვენთვის ვაის და მწუხარების მომნიჭებელი, მოიხსნა წელზე; მყია გაცურდა გველუოი კედლით და ჭიშკრისაკენ გაემართა, აწვია ფარდა, რასაც სტიგიის ყველა მკვიდრიც კი ვერ დასძრავდა; მერე შოარგო გასაღები, გადააბრუნა და ურღულები, რკინისა და ქვისგან ნაქედი, მყის ჩამოცვივდა; უცარი შეზანზარებით გადახსნა კარი ჯოჯოხეთის, მეხის გრიალმა შეაზანზარა უფსკრულები ერებოსისა.

გახსნა კარები, მაგრამ დახშვა მას აღარ ძალეძს, და ისე ფართოდ გადაშლილი დარჩა ჭიშკარი, რომ მთელს მხედრობას, გაშლილ დროშის ქვეშ დარაზმულებს, აძხვდრებულებს ცხენებზედა, ეტლებში თხილთა, შეედროთ გასვლა, დას-დასებად ჩამწკრივებულებს. და კარებიდან, ვით ბრძმედიდან, აფარდა მალლა კვამლის ბოლქვი და მეწამული აღი ცეცხლისა. სატანისა და ურჩხულების წინაშე უცებ გადაიშალა საიდუმლო ძველი უფსკრულის, ბნელი, უსაზღვრო ოკეანე, ისე გამლელი, რომ სივრცე, ზღვარი, სიღრმე, სიგრძე, სიგანე, ზომა, დრო და მანძილი არ გააჩნდა, იკარგებოდა. ბოლოს გაშალა აფრის მსგავსი ძლიერი ფრთები, მოსწყდა მიწას და აღმაფრებით შეჰყვა შავს კვამლსა. მოახტა ღრუბელს გაბედულად, წინ გაემართა; მაგრამ უმტყუხა ღრუბლის ტახტმა, გამოეცალა, და მყის სივრცეში დაეკიდა მთავარი მტერი. ამათ იყო ყოველი ცდა, ფრთების ტლამუნი, — დაეშვა თავქვე, ჩაიარა კარგ: მანძილი და აქამოდღეც იქნებოდა თავდაღმა მსრბოლი, რომ, სავალალოდ, ქვესცნელიდან მომქროლსა ღრუბელს, გამძიხვარებულს ცეცხლითა და მწველი გოგირდით, არ აეტყორცხა მთელის ძალით იმავე მანძილზე. მაგრამ ეს ცეცხლი ვაანელა თითქოს ჭაობმა, არ იყო არც ზღვა და არც შშრალი ხმელეთი იყო, შესდგა ფეხი და ძლივსძლივობით მიიკვლევს გზასა, ხან ფრენით მიდის, ხანაც ფეხით ეყრდნობა სავალს: გამოიყენა ნიჩბებიცა და იალქანიც. და ისე. როგორც უდაბნოში გრიფონი ერთხელ გორაკებისა და ჭაობის გასწვრივ მისდევდა არიშასპიებს, რომელთაც მას ოქრო მოჰპარეს, — მიდის სატანაც, გზას მიაპობს გრიფონის მსგავსად.

მაგრამ ჰა, შორით აღმობრწყინდა წმინდა სინათლე, ცის კედლებს მოწყდა და წილში ბნელი ღამისა შუქმომფინარე განთიადმა სტყორცხა სხივები. ბუხების ვრცელი სამფლობელო იწყება აქა, აქ კარგავს ძალას და აქედან გარბის ჭაოსი, როგორაც მტერი ნაგეში და დამარცხებული, აქვე ნელდება მისი მტრული აურზაურიც. სატანას უცვე დიდი ჯაფა აქ აღარ აღვას, — შევებით მიჰყვება წყნარს დინებას, ხალვათად ცურავს, და ჭარიშხალით დაღუწილი ხომალდის მსგავსად ნავსადგურისკენ ეშურება გალაღებულნი,

თუმც იალქნები და ანძები არ შერჩენია.  
 გაღუშლა ფართოდ ფრთები იმ დიდ სივრცეში,  
 შორიდანვე სჭვრეტს ზეცის ხათელს, ვრცელ სამფლობელოს,  
 სჭვრეტს აფალის კოშკა, საფირონის მაღალ ქონგურებს;  
 ოდესღაც მისი სამფლობელო აქ იყო სწორედ!  
 და იქვე აზღოს, ოქროს ჯაჭვით გადმოკიდული,  
 სულ უძცივრესი. სულ პაჭარა ვარსკვლავის ხელა,  
 სჩანს ეს ჩვეყანა, გვერდზე მთვარით დამშვენებული.  
 შურისძიებით, ბოროტებით გულგავესებულმა,  
 იმ წყვეულ საათს იმ წყვეულმა იქით გასწია.

თარგმანი ინგლისურიდან  
 ვახტანგ შალნიძისა.

# ბიბლიოგრაფია



მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიაჩვენებს ცხოველურ და მრავალ-  
ფერობას

В. Перцов, „Маяковский“.

ვ. მიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ვ. პერცოვის „მიაკოვსკი“ უმკველად მნიშვნელოვანი ცდაა საბჭოთა ეპოქის ყველაზე გამოჩენილი პოეტის ელადიმერ მიაკოვსკის შემოქმედების პირველ პერიოდის შესწავლაში „მიაკოვსკი“ მხოლოდ პირველი ნაკვეთია ვ. პერცოვის მიერ სამ წამყვალად განზრახული დიდი გამოკვლევისა. პირველი ტომი, რომელიც ჩვენი რეცენზიის საგანს შეადგენს, იკვლევს ვ. მიაკოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე.

ვ. პერცოვის გამოკვლევა 463 გვერდს შეიცავს და 11 თავისგან შედგება: შესავალი, მადლი, გიმნაზია ქუთაისში, 1905 წელი ქუთაისში და მიაკოვსკი, „ამხანაგი კონსტანტინე“, გასულ ბელოვებში, მუშობლები და თანამუშაურები, პირველი ტრავმა და მოგზაურობანი რუსეთში, მღვდლად გრძობათა საკლში, მიაკოვსკი — კაპიტალიზმის კრიტიკოსი, ოცნებანი მშვიდობაზე და სოციალიზმზე, „ჩემი რევოლუცია“, წიგნს დაბრუნება აქვს წყაროები და დამატებანი, რომელნიც თავისთავად მუტად საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს.

ვ. მიაკოვსკის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, საბჭოთა ეპოქის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი პოეტის შემოქმედება ქვეყნის აღტაცებასა და უღრმეს სიყვარულს იწვევს.

ვ. მიაკოვსკი განსაკვირვებელი მუსიკალურა ჩვენი დროის ადამიანის გრძობათა სამყაროსი. ვ. მიაკოვსკის პოეზია კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ადამიანის ბასრი იარაღია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებში, სამოქალაქო ომის დროს, ალდაგენათს პერიოდში, პირველი სტალინური ხელწოდების დროს, დიდ სამამულო ომში და დღეს — კომუნისტების მშენებლობის დიდ ეპოქაში გაიშინა ვ. მიაკოვსკის მძლავრი პოეზიის ხმა.

ვ. მიაკოვსკის შემოქმედების შესწავლა მრავალი მკვლევარის დამატულ, შემოქმედებით შრომას მოითხოვს.

ვ. პერცოვის დამსახურება იმაშია, რომ მან დროულ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კვლევის ამ მეტად რთულ სფეროში.

მრავალ ლიტერატურულ კრიტიკოსს ვ. მიაკოვსკი წარმოდგენილი ჰყავს რუსეთის დიდი ლიტერატურული ტრადიციებიდან მოწყვეტილად, სხვა სამყაროდან ჩამოვარდნილ მძლავრ მეტეორად, რომელმაც გაივლია რუსეთის პოეზიის ცაზე და რომელიც თითქმის არ უკავშირდება პუშკინის, ლუბიმოვსკის, ნერასოვის და პოეზიის სხვა ბუნებრივთა ნაშობებს.

ვ. მიაკოვსკი წარმოდგენილი ჰყავს, როგორც საკვირველი ფენომენი, პოეტური სიტყვის საკუთარი მეტრიკით, თავისი უჩვეულო რიტმით და რითმით, როგორც დამრღვევი ჩვეულებრივი კლასიკური ლექსთაწყობისა. ვ. მიაკოვსკი იმ რეს ბუნებრივად გამოჰყავს, რომელიც წერილობრივთაში ანარქიზმმა წარმოშვა, რომლისათვის თითქმის უცხო იყო რუსეთის მართლაც შესანიშნავი პოეზიის გენერალური ხაზი პემინიზმისა, დემოკრატიულობისა, შიორე მხრივ, ისეთ მკვლევარებს, როგორც მავალითად, ტრეველია, მიაკოვსკი დაბადების დღიდან წარმოუდგენიათ როგორც ორტოდოქსი რევოლუციური პოეტი. ამგვარი კრიტიკისებმა ცდილობენ, ყოველგვარი სოფიზმებით დაგვარწმონონ, რომ ფუტურისმი და მიაკოვსკი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე პოლუსებია, რომ მიაკოვსკი არასოდეს არ ყოფილა არც ფურტურისტი, არც მემარცხენეობის მომხრე პოეტი.

ვ. პერცოვმა თავის გამოკვლევით ნათელი გახადა, რომ არც ერთი ეს დებულება სიმართლეს არ შეეფერება. ვ. პერცოვს ვ. მიაკოვსკი წარმოდგენილი ჰყავს, როგორც რუსეთის პოეტური გენიის ტრადიციათა კალაპოტში მოქცეული, პუშკინის და ნერასოვის პოეზიის ღირსეული განმგრძობი. პუშკინი და მიაკოვსკი რუსეთის პოეზიის მოწინააღმდეგე პოლუსები კი არ არიან, არამედ ერთ მაგისტრალურ ხაზზე მდგომი ორი დიდი პოეტი. ვ. პერცოვს ამ დებულების დასამტყობებლად მრავალი ურყევი და დამაჯერებელი საბუთი მოყავს.

ვ. შაიკოვსკის პოეზია განხილულია, როგორც წაყოფი იმ ეპოქისა, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია სამყარო, გადაშალა ახალი დიდი ფურცელი კომუნისმისა კაცობრიობის ისტორიაში.

ვ. პერტოვის გამოკვლევა წარმოგვიდგენს სუბათის ოქტომბრის რევოლუციამდელი რუსეთისა; დეკადანსებ გაბრწინების იმ ქაობისა, რომელშიაც ჩაფლული იყო დევრადირებული ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ვ. პერტოვი გვახატავს რევოლუციამდელ ეპოქას ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა ღრმა შესწავლის საფუძველზე.

ვ. პერტოვი დამაჯერებლად და ღრმად იყვლევს ბოლშევიზმის როლს ვ. შაიკოვსკის როგორც პოეტის ფორმირების საქმეში. ბოლშევიკებმა არაღვალურმა მუშაობამ რევოლუციურად გამოაწერა ვ. შაიკოვსკი, ერთხელ და სამუდამოდ შეეყვარა მას მუშათა კლასი, დაუკავშირა ის ლენინისა და სტალინის იდეებს. ვ. პერტოვი დაკვირვებულად სცავლობს ვ. შაიკოვსკის და ფურტურისმის დამოკიდებულებას, არ უარყოფს შაიკოვსკის ფურტურისმს, იყვლევს თუ როგორ და რატომ დასძლია შაიკოვსკიმ ფურტურისმი, რატომ არ შეეძლო არ დაეძლია ვ. შაიკოვსკის ფურტურისმი. საინტერესოა და მრავალი ახლის შემცველია წიგნის ის ფურტულები, რომელნიც მიძღვნილია ვ. შაიკოვსკის და მ. გორკის ურთიერთობისადმი.

ჩვენ განსაუბრებით გვინდა მკითხველის უფრადლება შევაჩუროთ წიგნის იმ ნაწილზე, რომელიც ვ. შაიკოვსკის საქართველოში ყოფნას იკვლევს. ცნობილია, რომ ვ. შაიკოვსკი ბაღდადში დაიბადა. ვ. შაიკოვსკი მრავალჯერს აღნიშნავდა, რომ წარმოშობით ის ქართველია. ვ. პერტოვი დაწვრილებით იყვლევს ქუთაისის მდომარეობას ვ. შაიკოვსკის ბავშვობისა და ყრმობის დროს. ბავშვი შაიკოვსკი იზრდებოდა ბაღდადში, ის დაავაზიერებოდა ქართულ სამყაროსთან, შეიგრიბებოდა საქართველოს ბუნებას, მის სიტუტრფეს, სილამაზეს, ამიტომ თქვა შემ-

დეში შაიკოვსკიმ, რომ მან უნდა გადაეხადოს ეალი ბაღდადის ცას. ყრმა შაიკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაშია. ვ. პერტოვი საქმის ცოდნით აგვიწერს იმ დროინდელ ქუთაისს, 1905 წლის რევოლუციის ხანას დასავლეთ საქართველოში.

ვ. შაიკოვსკის ბავშვობა მიმდინარეობდა ქუთაისში, სადაც ი. ბ. სტალინი და მისი თანამებრძოლები მოღვაწეობდნენ. ეს ვითარება კარგად აქვს გაგებელი და აღწერილი ვ. პერტოვს. ვ. შაიკოვსკის ბავშვობა ორგანულად უკავშირდება საქართველოს იმ დროინდელ მჭკეფარე ცხოვრებას, როდენიც ჩვენი ქვეყნის მოწინავე ძალები, მისი საუკეთესო რევოლუციური ნაწილის მეთაურად ახალგაზრდა ი. ბ. სტალინი იყო, ასეთ ვითარებაში „დაფსუს კლამი“ უნდა იყოს ვ. პერტოვის გამოთქმა „პროვინციალურ ქუთაისის“ შესახებ. რაღა პროვინცია ის ქალაქი, სადაც დედს და გადმოიღულს რევოლუციური ცხოვრება, სადაც მუშაობს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

გამოკვლევის მე-24 გვერდზე ვ. პერტოვს მოყავს ციტატი ვაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკი-დან“ № 464, 1901 წ. სადაც ნათქვამია, რ იმ ძველ კოშკში, მდინარე ხანისწყალზე ცხოვრობს მეტყვევ შაიკოვსკი (ვ. შაიკოვსკის მამა ვ. შ.) და ამ მდინარეს ხანისწყალი იმიტომ ჰქვია, რომ აღზათ ამ კოშკში ვიღაც ხანი ცხოვრობდაო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვ. პერტოვი იზიარებს ხანისწყლის ამ უწიგნურ ეტიმოლოგიას. ცნობილია, რომ ხანისწყალი იმიტომ ჰქვია მდინარეს, რომელიც ბაღდადში, (ახლანდელ შაიკოვსკში) ჩამოიხს, რომ მას სათავე სოფელ ხანთან აქვს. ამ შემთხვევაში ქართულ სიტყვა-ზმარებაში სრულიად უცხო სიტყვა ხანი არაფერ შუაშია. ვ. პერტოვს ეს დეტალი უნდა აღენიშნა, რადგან ისეთ კარგ გამოკვლევაში, როგორაც სარეცენზიო ნაშრომი, ასეთი პატარა ლაპსულები უხებრებულად გამოიყურებიან.

8. შაიკოვსკიანი

8. შ. გომოლი — „ტარას გულბა“.

თარგმანი ივანე და ანა ახალშენიშვილებისა.



ა. ს. პუშკინის ვარდა. რუსული მხატვრული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე ისეთი საგრძნობი გავლენა არც ერთ მწერალს არა ჰქონია, როგორც ე. ვ. გოგოლს. ამ დიდი მწერლის უპირველესი დამსახურება ის არის, რომ მან კიდევ უფრო წინ წაწია პუშკინის

შემდგვ რეალისტრი მიმართულება მწერლობაში. ფართო მასშტაბით დანერგა ხალხურობა შემოქმედებითს პრაქტიკაში. მხატვრული სიტყვა ამოქმედა სინამდვილის ყოველმხრივ ასაწერად და გადმოსაცემად. თუ რა საგრძნობი და დიდი ძალისა იყო გოგოლის გავლენა რუ-

სული ლიტერატურის წინსვლასა და განვითარებაზე, ამის შესახებ მშვენიერად აქვს ნათქვამი თ. შ. დოსტოევსკის: „ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო“, — ამბობს იგი.

როცა პირველად გამოქვეყნდა გოგოლის „მეცდარი სულეზი“, ყველამ ერთხმად აღიარა მისი ავტორის კოლოსალურა ნიჭი. ამ ნაწარმოებით მოხბულულმა გერცენმა განაცხადა — გოგოლის პოეზიამ „შეარყია მთელი რუსეთით“; ხოლო ბელისკი აღტაცებით ამბობდა: „გოგოლი უდიდესი ტალანტი, გენიალური პოეტი და პირველი მწერალი თანამედროვე რუსეთისაო“.

სრულიადაც არ არის საკვირველი, რომ გოგოლის „მეცდარმა სულეზმა“ იმათათვე ასეთი მალალი შეფასება მიიღო. ამ ნაწარმოების ფართო რეზონანსი უშთაერესად გამოწვეულია იმით, რომ მასში იშვიათი მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული რეფორმაციული რღსეთის სინამდვილე, გაბატონებული წოდების სულიერი სამყარო, ცხოვრების დაქინებვა და ინტერესთა დაწერლობანება. ეს არის ფართო მხატვრული ტილო, რომელზეც გენიალურა მწერლის ხელით ასახულია ნამდვილი ცხოვრება მთელი თავისი სიღრმით და მოვლენების უტყუარი დაბასათებით.

მაგრამ მკითხე რიდი იყო იმ ადამიანთა რიგები, რომლებიც გოგოლის „ტარას ბუღას“ უფრო მალა აყენებდნენ „მეცდარ სულეზზე“. მაგალითად ნ. ს. ლესკოვის აზრით, „ტარას ბუღას“ თავისი მხატვრული და შემეცნებითი მნიშვნელობით უფრო ღირსშესანიშნავი მოვლენაა, ვიდრე „მეცდარი სულეზი“. ეს აზრი სრულიადაც არ არის საფუძველს მოკლებული, ვინაიდან რუსი ხალხის სულიერ სიდიადეს ნ. ვ. გოგოლი ჩიხიკოვებში, მანიაკოვებში, სობაკევიჩებში, კორობიჩებში, ნოზდრიოვებსა და პლიუსკინებში რიდი ზედადა. მის მტკიცედ სწამდა რუსი ხალხის დიდი შესაძლებლობანი, აღტაცებული იყო მისი დევგმირული სულისკვეთებით და სწორედ ეს იდეალი გამოხატა მწერალმა თავის შესანიშნავ ნაწარმოებში — „ტარას ბუღასში“. გოგოლის შემოქმედების ოცნებას წარმოადგენდა წარმტაცი ადამიანის შექმნა, ადამიანისა რომელიც იქნებოდა რუსი ხალხის მდიდარი სულიერი მხარეების ჰემოზირტი გამომხატველი.

თავისი თანამედროვეობით უკმაყოფილო მწერალი სასწრაფოა აღიარებდა არაოღდეს არ მისულა, იგი გულისტკივლით მიმართავდა თავის საშობლობს: „რუსეთო! რუსეთო!.. ნუთუ აქ, ნუთუ შენს წიაღში არ უნდა წარმოიშვას უსაზღვრო აზრი, როცა შენ თვითონ დაუსრულებლად ვრცელი ხარ? ნუთუ აქ არ უნდა გაჩნდეს დევგმირი?..“ აი, სწორედ ამ დევგმირის პრა-

ტიკის, მის ღირსეულ წინამარს მწერალი ზედადა ტარას ბუღასში, ზაპოროველ შამაც ადამიანებში, რომლებიც სიცოცხლეს სწრაფდნენ სამშობლოს თავისუფლებას, კეთილდღეობასა და ღირსებას; ამ იდეალს იგი ზედადა ტარას ბუღასათვ უნავარო, თავდადებულ პატრიოტებში, რომლებიც სამშობლოს მტრებთან გმირულ ბრძოლაში ზედადნენ სიცოცხლის ერთადერთ დანიშნულებას და უწმინდეს მიზანს, იმინი, ეს სახალხო გმირები, უშიშრად აღიოდნენ მოგზიზივე კოცონზე, ოლინდ კი თავიანთი ქვეყანა ბედნიერი და თავისუფალი ყოფილიყო. ამ გმირულ თავდაწირვაში ზედადა გოგოლი ადამიანის მალა დანიშნულებას და არა ლაკონიკ-ტაკიკინების, ჩიხიკოვების, ზღუბტკოვების, გოროდნიჩების სულიერ სილატაკეში, უბადრუტობასა და ყალბადანდობაში.

„ტარას ბუღასში“ ავტორმა ისტორიული ამბავი ასწერა და მასში ჩაქსოვდა დიდი შემოქმედებითი გზნება. ბელისკი ამბობს, რომ გოგოლის „ტარას ბუღას“ არის „საუცხოო ეპოპეა, დამწერილი გაბედული და ფართო ფუნჯით, ეს არის ბავშვურ ასაკში მყოფი ხალხის გმირული ცხოვრების მკვეთრი ნარკვევა, ეს არის პოპიროსის შესავალიანი ვეებერთელა სურათი იქრო ჩარჩოებში“.

ამ ნაწარმოებში გოგოლმა შესანიშნავი ოსტატობით შეავრთა ისტორიულ სინამდვილეში მოხდარი ამბები გამოგონილ მოვლენებთან, ტრაგიკული მომენტება — ჰემოზირთ აღსავსე, ხალხიან ეპიზოდებთან, ჰემანიზში — ადამიანთა უღმრთელობასა და დღეწოდლობასთან. შემადამწუნებელი ტრაგიზმით არის გამსჭვალული სცენა ტარასის მფერ საკეთარი შეილის მოკლისა სამშობლოსადმი ლალატის გამო, ოსტაპის წამება ლიახების მფერ ვარშავეში, ტარას ბუღასს დაწვა კოცონზე და სხვ. უღრესად დამახასიათებელი შტრიხებით აქვს ავტორს გადმოცემული ზაპოროველთა ყოველღირთი ცხოვრება, მათი თავზე ზელაღებული საქციელი, მებრძოლური განწყობილება, ყოფითი დეტალები.

ამიტომ ითვლება „ტარას ბუღას“ ნ. ვ. გოგოლის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. რა თქმა უნდა, ძლიერ საჭირო და მისასაღებელი საქმე გააკეთა საბლიტკამმა, რომ ქართულ მეთხველს მიამოთა რუსული კლასიკური პროზის ეს თეალსაჩინო ძეგლი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილ მთარგმნელებს ყარვად გადმოჭობარეულ შტაკავლ ადოლიტას ერთად მოყოლობდა ზოგი დამუშევაებელი თარგმანის ზიმუშები.

არა ერთგზის იყო მიითთებული ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ ორგანოებში მხატვრული თარგმანისადმი განსაკუთრებული ხე-

ჩიოვლობით მიდგომის აუცილებლობა. სპეციალური დადგენილებებია ამ საკითხზე გამოტანილი როგორც სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების, ისე საქართველოს მწერალთა კავშირის კონფერენციებსა და პლენუმებზე. ეს სადირექტივო დოკუმენტები გვაეალებენ ეივით მკაცრი მომთხოვნი მხატვრული თარგმანისადმი, არ გამოკვეთდეს ისეთი თარგმანი, რომელიც თავისი ხარისხით ადევნატური არ არის ორიგინალთან. განსაკუთრებით ფრთხილი მოპყრობა სჭირდება კლასიკური მწერლობის ნიმუშთა ტექსტს. ეს სიტყვულ კიდევ უფრო რთულდება მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ უაღრესად ნაციონალურ მწერალს, როგორც არის ნ. ვ. გოგოლი.

„ტარას ბუღბას“ ქართული თარგმანი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტში აქა-იქ უზღვედნით ზოგიერთ შეუსაბამობას, მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილს:

მთარგმნელებს რუსული ტექსტი — „то отступая и оглядываясь, то вновь наступая... ასე გაუკეთებიათ: „ხან შედგებოდნენ და ერთმანეთს ზომავდნენ, ხან კი ისევ დაუშენდნენ ხოლმე ერთმანეთს“ (გვ. 4). მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა არსებითი განსხვავებაა ორიგინალსა და თარგმანს შორის.

რუსულ სიტყვებს — „отпустил“ და „внест“ გადმოსაცემად მთარგმნელები ხმარობენ „ჩამოგორვეს“ „Что это за веревка висит? А ты, бейбас, что стоишь и руки спустил?“ ქართულად: „ეს რაღა თოვი ჩამოგორვეს? შენ, დოყლაპია, შენ რაღას დეებარ და ხელები ნალოსავით ჩამოგორვეია?“.

რუსულად: „У них были только длинные чубы, за которые мог выдрать их всякий казак, носивший оружие“;

ქართულად ასეა თარგმნილი: „ქონდათ მხოლოდ გრძელი, ერთ ადგილას კეფაზე წამოზრდილი თმები, რომლის მოჭიჭავც უოველ იარაღს მატარებელ კაზაკს შეეძლო“ (გვ. 6).

რუსულად: „наполненных псарями и ловчими...“

ქართულად: „დავკვილი ბაზიერებითა და ძაღლთა მწრათვენლებით იყო ზოლმე საესე“ (გვ. 7). სიტყვა „დავკვილი“ რუსულ ტექსტში სრულიად არ არის; ამასთან — რას ნიშნავს „დავკვილი ბაზიერი?“

რუსულად: „...вместо враждующих и торгующихся городами мелких князей, возникли грозные селения, курени и околицы, связанные общей опасностью...“

ქართულად: „...ნაცვლად ერთმანეთის მტრობით ვატაცებელი და ქალაქებით მოვაპრე წერილი თავადებისა, გაშენდნენ მრისხანე დაბებები, კურენები და ოკოლიცები, რომლებსაც აერთიანებდა საერთო საშიშროება და სიძულელი არაქრისტიანი მტაცებლებისა“ (გვ. 7). სიტყვები „селения, курени и околицы“ სქოლიოში განმარტებულია როგორც „ზაპოროველთა ჯარის ნაწილები“. ჯერ ერთი „селение“ „დაბა“ არ არის, შეგვიდგე — „კურენი“ და „околицы“ იდიოზმები როდი არიან, რომ ისინი ქართულშიც უცვლელად გადმოვიტანოთ. ზაპოროველში, მაგალითად, „Курень“ სალაშქრო კარვად იგულისხმებოდა და „куреной атаман“ ერთი კარვის მეთაური მხედარი იყო. ამ თვალსაზრისით უნდა განემარტათ მთარგმნელებს სქოლიოში ეს გამოთქმა.

რუსული „в степи“ და „степных птиц“ გადმოკვეთილია „მინდვრად“ და „მინდვრის ფრინველს“.

„...или же выходили на озера, реки и протоки, отведенные по жребью каждому куреню, закидать неводы и сети, и тащить богатые топи на продовольствие всего своего куреня“;

ასეა გადმოკვეთილი: „ან კიდევ წაიდიოდნენ ტბებსა და მდინარეებში და მის ტოტებში თევზის საჭერად — ყველა კურენი თავის წილობაში, რომ მთელი თავისი კურენისათვის საზღრო მოეპოვებინათ“ (გვ. 26).

„ტარას ბუღბას“ ქართულ თარგმანში შეტყუებით სიტყვებს, რომლებიც უთარგმნელად არის დატოვებული, მაგალითად, „ჩენი“, „სტარშინა“, „კოშევი“, „პანოვე“, „ხოლოკები“, „ბუნჩულები“ და სხვა.

საჭირო იქნება „ტარას ბუღბას“ შემდგომი გამოკვებისას მხედველობაში მიღებულ იქნეს აღნიშნული შეცდომები, რომლებიც ადვილი შესასწორებელია და ქართულ მკითხველს მიეწოდოს დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოების სრულყოფილი თარგმანი.

ბ. თაყაიძე.



საქართველო — „დონ კიხოტი“, ტ. I

ს ა ბ ლ ი ტ გ ა მ ი. 1951 წ.



ძნელად თუ ღირსებია მსოფლიო ლიტერატურაში რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებს ისეთი პოპულარობა და საყოველთაო აღიარება, როგორც წილად ზედა უდიდესი ჰუმანისტი შერლოკის სერვანტესის „დონ კიხოტს“. ეს გარემოება შეპირობებულია პირველყოფლისა იმით, რომ ამ შესანიშნავი ეპოპეის ავტორმა შესანიშნავი ოსტატობით, იშვიათი მხატვრული სიღრმითა და ტაქტიით აღწერა თავისი დრო, უპირველესად რთული ეპოქა, რომელიც ხასიათდება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით: შეირყა ფეოდალური ურთიერთობა, გაბატონდა რენესანსის პრინციპები, ინერგებოდა ჰუმანისტური იდეები, შეიქმნენ ახალი სოციალური ფენები და პროგრესული კულტურული იდეალები. ამ დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური მოვლენების პირველი სერვანტესის „დონ კიხოტი“.

დიდი რუსი მთარგმნე ბესარიონ ბელინსკი სერვანტესის „დონ კიხოტს“ უწოდებს „ირონიის დემონს... საშინელ ნაწარმოებს“ ამ თვალსაზრისით, რომ მან „საშინელი ლახვარი ჩასვა შესაბუთებებს“. სერვანტესის რომანის გმირები დონ კიხოტი და სანჩო პანსა „ცოცხალი, ნამდვილი პიროვნებებია; მაგრამ, ღმერთო ჩემო! რაოდენი იუმორია, ხალისიანიც, სეფლიანიც, მშვიდიც, ვესლიანიც ამ პიროვნებათა გამოხატვაში!“ (ბელინსკი).

დონ კიხოტი დაავადებულია აკვიტებული იდეითა სურს იყოს რაინდი, რომელიც ებრძვის უსამართლობას, აღამიანთა ჩავერას, ტანჯვა-წამებას; მოტრფიალეთა მალაღობას, თავისუფლების, უმწიკველი პატიოსნების, კაცური ღირსებების; იგი ოცნებობს ამ სანჯვარ დღეზე, როცა უსამართლობითა და ვერაკობით აღსავსე ცხოვრებას შესცვლის ღალი და ბედნიერი ცხოვრება, როცა წყრილმანობითა და ცოდვებით დამძიმებულ, უმადურ და დაკნინებულ საარსებო პირობებს, რომლებიც დღემდე წახე დამკვიდრებულან, შესცვლიან კვი ილზობილება, ჰუმანიზმი, რაინდული სულგრძობობა და სპეტაკი ზნეობრივი ურთიერთობა.

ამ მიზნების განხორციელებისათვის დონ კიხოტი მიდის აბჯარასმული, საპურველტვირთველ სანჩო პანსას თანხლებით, საგვარო საქმეების ჩასადენად, ბორბტების აღმოსაფხვრელად, აღამიანთა ბედნიერების შემფარხებულ

ძალთა გასანადგურებლად. იგი ებრძვის ქარის წისქვილებს, ღვინით სავსე რუმებებს, ცხვრის ფარებს, ვაჭრებსა და ქილიცებს, რომელთა სახით მას ელანდებთან დევგმირები, შავნები ძალები, მეფის ლაშქარი და სხვა ტირანები ამქვეყნიური სიცივის ვზაზე.

ამ ერთი შტრიხი დონ კიხოტის ბუნების დასახასიათებლად: მრავალჯის სახიფათო თავგადასავლის და მწვევე ფათურაკთა განცდის შემდეგ დონ კიხოტსა და სანჩო პანსას შუა მინდორში შემოადამდათ. ამ უცნებო დამეში შორს ვზაზე მომავალი მრავალი ანთებელი მაშხალა დაინახეს, აღმოჩნდა, რომ ქალაქ ზეინდან ვილე აზნაურის ცხვირის მიასვენებდნენ დასაკრძალად.

— შერე ეინ მოკლა იგი? — კითხა დონ კიხოტმა.

— ლეითსგან მოვლენილმა სახალმა, — მიუგო ბაკალავრმა.

— მაშ თუ ვერა, ღმერთს გავუთავისუფლებივარ, რომ მაგის სიკვდილი ვისმე გადავახდელივო, — თქვა დონ კიხოტმა. — რაი ლეითს მარკვენას მოუკლავს, ისლა მრჩება — დაედუმდე, როგორც ამას მაშინ ჩავიდინდი, ეგეთი უბედურება რომ მე დამმართოდა. ხოლო, უნდა მოვასწენოთ, თქვენი კურთხევაც, რომ მე ვახლავართ მოგზაური რაინდი, დონ კიხოტი ლამაზელი, რომელმაც აღიქმა დადევ, კეთილს ვეშახურო, სიმართლე აღუადირო და ზოროტი დაეთრენო, რასაც დაუცხრომლად დაექმებ მთელ ქვეყანაზე მოგზაურობით“.

„ამ რეინის საუცუნეში უჩენავის ნებით ქვეყანაზე იმიტომ დავიბადე, რომ ოქროს საუკუნე აღუადვირო“, — ამბობს დონ კიხოტი და ამით მშვენივრად გამოხატავს თავის მისწრაფებას. იგი ცდილობს სიკოცხლის უნარი შთაბეროს უკვე გარდასულს და ისტორიულ წარსულად ქვეულ მოვლენებს. იგი ცდილობს ამოძრავოს ის, რამაც უკვე დიდხანია დაკარგა მოქმედების უნარი და წარსულის მტკვრით ირის დაფარული. მოჩვენებად ქვეული წარსულის ლანდები დონ კიხოტს სურს სინამდვილედ აქციოს ქარის წისქვილებთან და ღვინის რუმებებთან შერკინებით. შეუძლებელია წარმოქმდენით უფრო ძლიერ გამახვილებული და უფრო შერ სიმალღეზე აუვანილი შემოქმედებითი სატირა. განუზომელია სერვანტესისეული სა-



ტრის მნიშვნელობა და როლი როგორც მხატვრული ოსტატობის, ისე მისი იდეურ-სოციალური თვალსაზრისით. იგი ასწავლის ყველა დროისა და ფენის ადამიანს, რომ დონკიხოტობა ყველაფერი, რასაც არ გააჩნია მომავლის პერსპექტივა, რამაც დაჰქარგა ფეხქვეშ ნიადაგი, რაც ვერ ეგდება კაობარობის სანდკარ იდეალებს, პროგრესს, განვითარებას, წინსვლას, რაც მოწყვეტილია სინამდვილეს და მეცნიერულ საფუძველს. სერვანტესის გენიალური ქმნილება „დონ კიხოტი“ ყველა ქვეყნისა და ყველა ჯერის ბნელეთის მოციქულებმა ნიშანში ამოიღეს. თვით სერვანტესის სამშობლო ესპანეთში, რომელიც ფაშისტ ფრანკოს უღელქვეშ გმინავს, ხელისუფალნი დღემდე და ანადგურებენ მსოფლიო ლიტერატურის სიამაყეს „დონ კიხოს“. მაშინ, როცა საბჭოთა ქვეყანაში უდიდესი სოციალური და პატრიუსტული არის მოსილი მსოფლიო კლასიკოსთა სახელი და ნაწარმოებნი, კაბიტალისტურ სამყაროში ხელი ხელ საგოგამებელ მარგალიტებად ასაღებენ კალმის განგსტრათა, დეტექტივების, მკვლელობასა და ძარცვის აპოლოგებს, ხოლო სერვანტესს, შექსპირს, შილერს, გოეთეს „მავნე აზრების“ მკადაგებლებად თელიან და კრძალავენ მათ კიბვებს. ასეთი კაბიტალიზმის წიაღში წარმოშობილ თანამედროვე კაცობიების, მეოცე საუკუნის ინკვიზიტორთა ლოგია და იდეურ-მორალური აუღელდება.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ხშირად მიმართავენ ხოლმე სერვანტესის რომანის გმირს დონ კიხოს, როცა სურთ დაამტკიცონ რომელიმე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის უნიკალობა, უსაფუძვლობა, როცა სურთ დაამტკიცონ რომელიმე პოლიტიკური მოღვენის სიბრძნე, გონებაშეზღუდულობა, სისაყილო და განუხორციელებელი აზრებით ვატაკობა, ბაქიობა, ტრაბაი და კრიტიკული აზროვნების უქონლობა, მოვლენებში საღად გარკვევის უუნარობა.

ამხანაგი სტალინი თავის გენიალურ შრომაში „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ ამბობს: „ყველა ზედმადმენის რამდენიმე წლის განმავლობაში მოსპობა და ახალი ზედმადმენით მისი შეცვლა შეიძლება და საჭირო არის, რომ ვასაქანი მიეცეს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას, მაგრამ როგორ შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში მოსპო არსებული ენა და მის ნაცვლად შექმნა ახალი ენა, ისე რომ ანარქია არ შეიტანოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოებას დაშლის საფრთხე არ შექმნა? დონ კიხოტების მეტს ვის შეუძლია დაისახოს ასეთი ამოცანა?“

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად მოიძებნება ისეთი

მხატვრული სახე, რომელიც თავისი ბუნებით დონ კიხოტის პარადოქსალურ ბუნებას შეედრებოდეს. იგი შეარდესად საინტერესო გმირია მრავალმხრივი, მაგრამ პირველ რიგში გამოცემით მისი ხასიათის გაორება: რეცხვით დაწმენილი ფიგურის ავადმყოფური ოცნებების ტყვეა, იგი შემოიღობდა გენგენებთან; მაგრამ საკმარისია მცირე დროით თავი დააღწიოს მან თავის უნიკალური ვატაკობის და დონ კიხოტი წარმოსდგება თქვენს წინაშე როგორც სასწავლო ნორმალური ადამიანი, რომელიც ზოგჯერ ბრძნულ აზრებსაც კი წარმოთქვამს. საღ არის ამ საიდუმლოს ვასაღები, როგორ მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ ერთის შეხედვით უცნაურ შემთხვევაში? საქმე ის არის, რომ სანამ დონ კიხოტი შეპყრობილია ფეხი ოცნებებით, მამლავისწერი რაინდული სულისკვეთებით, არც ერთი მისი ქცევა, სიტყვა და ენობი ნორმალური არ არის. იგი ვასტყობა სინამდვილეს, სწორი ორიენტაციის უნარი დაუკარგავს, ქიშკრებს დაუხმავთ მისი გონება და სივთემდე მიუყვანათ. მაგრამ თუ შესძლო ავადმყოფური ბურანიდან გამოსვლა და სინამდვილეს პირდაპირ შეხედა თვალბში, დონ კიხოტი უკვე აღარ არის „მწუხარე სახის რაინდი“; იგი ზვეულმხრივი იღალგა, დატაკი აზნადი, რომელიც ცხოვრებას თავის უღმობელ კლანქებში მოუძწყვედვია და სულის ამოთქმის საშეაღებას არ აძლევს. თვით ეს ცხოვრება კი რას წარმოადგენს? ეს არის ეპოქა, როცა ფეოდალური ურთიერთობა დაიშალა და იგი ადგილს უთმობს ბურჟუაზიულ წყობილობას. იქრა შემოიჭრა ადამიანთა ურთიერთი და მან ზრუნვისიანად შესცვლა სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და უღლებრივი ნორმები. გარუღდა ყველაფერი. ძნელი გახდა მოვლენებში გარკვევა და აი ამ დროს იზადება კონფლიქტი გუდალმეორე აზნაურ ალინსო კიხანოსა და ცხოვრებას შორის. ამ კონფლიქტის საფუძველზე ამოქმედდა თავისი შენადარებელი სატრული ტალახტი სერვანტესმა. გენიოსმა შემოქმედმა სატრის მახვილით განგმირა რენესანსის მოწინავე იდეების ყველა მტერი და ორგული, ყველანი, ვისაც ასურდა გარდასულ დროთა დაბრუნება და სჯეროდა კიდევ, რომ ეს შესაძლებელი იყო. რომანის გმირი დონ კიხოტი ცხოვრების სინამდვილესთან შეჯახებაში სისაყილო და თან საზარალოა, ვინაიდან მის არც მის უბრალო ქვეშაობიტება — არაყის ძალუქს ისტორიის ჩარხის უუღმა შეტრიალებუ; ვერავითარი რაინდული ძალა ვერ შესძლებს ცხოვრების წინსვლისა და განვითარების შეფერხებას; ვერაყინ და ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს მის აიღგენას და გაყოცხლება; რამაყ

უკვე მოსკომა თავისი დრო, უკვე შეარღულა თავისი ისტორიული მისია. იმაშია სერვანტისის უკუდავი ნაწარმოების „დონ კიხოტის“ ფასდაუდებელი მნიშვნელობა და შემეცნებითი სიღრმე. ამით არის ძვირფასი და საყვარელი უკუდავ დროის მოწინავე ადამიანისათვის ს. კაცობრიო კულტურის მშვენივრ და სიამოვნებ „დონ კიხოტი“. ამას ზედ ერთვის სერვანტისის მსოფლმხედველობის სიცხადე, მისი ჯადოება და მიუკისპოვებელი ვადმოცემა, აზრის სიხალე და პირდაპირობა — აი სერვანტისის უკუდავი ქმნილების ნიშანდობლივი თვისება.

სერვანტისის „დონ კიხოტის“ თარგმანს საერთოდ უღრესად საპატიო, ამასთან მეტად ძნელი და პასუხსაგები საქმეა. ცნობილია, რომ ბევრმა პირველხარისხოვანმა ლიტერატორმა კი მარცხი განიცადა „დონ კიხოტის“ თარგმნის საქმეში. მხოლოდ თითებზე შეიძლება ჩამოთვალოს „დონ კიხოტის“ ამ მთარგმნელთა რიცხვი, რომელთაც შესძლეს სერვანტისის ამ შესანიშნავი რომანის თავიანთ ენაზე წარმატებით გადატანა. მათ შორის უდიდოდ უნდა აღინიშნოს „დონ კიხოტის“ ქართულად მთარგმნელი ნიკო ავალიშვილი. ქართული მკვლევარი ამ თარგმანის მიხედვით ღრმად წვდომა მსოფლიო მხატვრული სიტყვის ღირსებატის მიველდე სერვანტის სავედრას წერის უბაღლო მახერას, მისი ბრწყინვალე ნაწარმოების დედამისს, მის განუმეორებელ უბრალოებას, მოქნილ და დაბეჭდილ სტილს, იდეის სიხადეს.

ნიკო ავალიშვილის მიერ ქართულად თარგმნილი „დონ კიხოტი“, რომელიც ამას წინაა გამოცემა საბლიტკამში, ა. ავალიშვილმა პირველად დაბეჭდა ერთნალ „მნათობში“ (1869—1871 წ.). 1906 წელს კი ალ. სარაჯიშვილმა აღნიშნული ტექსტი შეადარა ვიარდოს ფრანგულ თარგმანს და „ცნობის ფურცლის“ პრეგმაიდ დაბეჭდა „წიგნების გამომცემელმა ქართულთა ამხანაგობამ“. საბლიტკამის გამოცემა დაბეჭდილია ამ უკანასკნელი გამოცემის მიხედვით, რომელიც თვითონ ა. ავალიშვილს 1928 წელს საფუძვლიანად შეუსწორებია და უკანასკნელი რუსული თარგმანები ათვის შეუღარებია. მაგრამ წიგნის რედაქტორს ნიკოლოზ ავალიშვილს თარგმანი ელად შეუღარებია დ. კრევესკისა და ა. მინროვის მიერ, „დონ კიხოტის“ რუსულ თარგმანთან (1932 წლის, 1935 და 1949 წლების გამოცემანი). რა თქმა უნდა, ასეთი ველმოდიგინე მუშაობის შედეგად თარგმანი საგრძობლად არის დაბეჭდილი: შესწორებულია მთელი რიგი პასაჟები, აღდგენილია წინაა გამოტოვებული წინადადებები, გასწორებულია ზოგიერთი შეუსაბამო გამოთქმანი, თარგმანის ნაწილობრივ მოყოლებული ენა და ზოგიერთი სიტყვის მართლწერა შესწორებულია ქართული სალიტერატურო ენის აზღადდადგენილი ნორმების მიხედვით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, კიდევ კიხობის პირველ წიგნში მაინც არის ცერხეწილუ ზოგიერთი, უმთავრესად წერილმანი ხასიალის შეუსაბამობა და ლაფსუსი. ასე, მაგალითად, პირდაპირ დისონანსად გაისმის ამ თარგმანის შესანიშნავი ტექსტის ფონზე ასეთი გუშართავი ფრაზა: „მერე საბარლო ორივემ ერთად ჯორზე შესევს“ (166 გვ.). წიგნში ვხედვით არასწორად ხმარებულ სიტყვებას და გამოთქმებს; მაგალითად: „ავაზაეთა საბუღარი“ (X გვ.), „დომპერობელი“ (XI გვ.), „ჩინონიევი“ (XI), „დომპერობები“ (XIII), „გვიმლორდენი“ (XIV), „ცხერების ფარები“ (XV), „ჩემ ჩოლმეილ წიგნში“ (4), „სავმარო საქმენი აღარ გემკვეთნომეთქი“ (5), „ამოდენა ხანი“ (5), „მჭერმეტყველება“ (5), „იმყოფებოდა მათი დაქარლო ამხანაგები“ (32), „ადებოლოვებინა“ (74), „ჩვენს ფათერაკების მაქებარნი“ (162), „გასამტვარებლად ჯერის დეხი ჰრა“ (164), „პორტუგალი“ (176), „დენამშოულემა ჩაიღანი“ (204), „ადამიანურ ღირსების დამამკრობელი“ (206), „ერთი თხის ფარა დანიახეს“ (221), „სახელმწიფოს ფლობელობაში შევალ“ (382), „ოთხი ლამაზი შეხედულებების კაცი ჩამოტა“ (388), „მოიბეღა“ (469), „ალექსა დიდვა“ (481), „ზოგი ფათერაკიდან ვიდევ საბნით ვეფერენივარ ჰერში“ (551), „შაგებდინი“ (583) — ბეღდშაგის“ ნაცვლად.

324-ე გვერდზე დოროთეა ამბობს: „ზღვით ისე ვიარე, რომ პირქარი არა ყოფილა და ტაროსიკ ხელს არ მიწყობდა, და მაინც ამ მოკლე ხანში ეძოვე რაინდი დონ კიხოტი აღამანჩელი“. აქ პირქარი კი არა, ზურგქარი უნდა იყოს, ზენაიდან წყალებ სწრაფ მგზავრობას ხელს უნარქარი წყობს.

რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ მიმოთხილულ ლაფსუსთა დიდი ნაწილი კორექტორული ხასიალისა უნდა იყოს, მაგრამ, მიტხედვად ამისა, მაინც ერთგვარ გააღუნას ახდენს წიგნის ხარისხზე. ვფიქრობთ, ეს შენიშვნები წიგნის შემდგომი გამოცემისას მიღებული იქნება მიღდევლობაში.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის რედაქტორს უდიდესი საყვარულია და პასუხისმგებლობით შეუღდენია წინასიტყვაობა, რომელშიც ბევრი სინტერესო ცნობაა მოყვანილი სერვანტისის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. წიგნს დართული აქვს რედაქტორის შენიშვნები, რომლებიც ამომწურავ განმარტებებს იძლევიან რომანის გაურკვეველი იდეებებისა და ცნებების გამო.

განსაკუთრებით საპირობა ითქვას „დონ კი-

ზოტი" ვალექსილი სტრიქონების ქართული თარგმანის მალაღი ხარისხის შესახებ. პოეტ დავით გაჩეჩილაძეს ისტატურად უთარგმნია ეს ადგილები.

საერთოდ „ღონ კიბობის“ სრული ტექსტის ქართულად გამოცემა მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოში  
ბ. ლიპაძე

ლ. გორგილაძე — „მარქსიზმის ინტორიისათვის საპარტიველოში“

სახელგამა, 1951 წ.



ლ. გორგილაძის წიგნი — „მარქსიზმის ისტორიისათვის საპარტიველოში“, ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „წარმოადგენს ზოგიერთი საკითხის განხილვის უდას მარქსიზმის და მკვიდრების ისტორიიდან“ საჭარტიველოში მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დამლევს“. ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან. პირველ თავში ავტორი განიხილავს საჭარტიველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ ვითარებას. ავტორი მკაფიოდ გვიხატავს საჭარტიველოში ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის შემოჭრა-განვითარების სურათს. ნაშრომის ამ თავში ფაქტობრივი მასალების მოშველიებით ავტორი კარგად აშუქებს მე-19 საუკუნის საჭარტიველოს გეოგრაფიულ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, რამაც განსაზღვრა ქართული აზროვნების შემდგომი აღმავლობა და მის მიმართულებაა სხვადასხვაობა.

მეორე თავში ვეცნობით ქართული ინტელიგენციის თვალსაზირო წარმომადგენელთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ხეყო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სხვათა შეხედულებებს საზოგადოების განვითარების ისტორიაზე. ავტორი წერს: „თერგდალეულთა ჯგუფი შემდგარია ისეთი პირებისაგან, როგორც იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ. ისინი იყვნენ ფილოსოფიაში — მატერიალისტები, ლიტერატურაში — რეალისტები, პოლიტიკაში — დემოკრატები“ (გვ. 18). ამის შემდეგ ავტორი ჩერდება თითოეული მათგანის მსოფლმხედველობაზე. იგი ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს, როგორც ქართულ საზოგადოებრივი აზროვნების უდიდეს წარმომადგენელს, რომელმაც სხვა თერგდალეულებთან ერთად საჭარტიველოში დანერგა რუს რევოლუციონერ დემოკრატთა სპარძილი იდეები. „აკაკი ყაზბაში“ და „გლახის ნაამბობის“ ავტორი დაუნდობლად ესხმოდა თავს ბატონყმობის ინსტიტუტს, როგორც ცხოვრების დამშურებელს, დრომოქმულ სოციალურ მოვლენას.

ილია ჭავჭავაძემ თავისი ბელეტრისტული და პუბლიცისტური ნაწერებით სასტიკად გაილაშქრა ე. წ. „მამათა“ თაობის კონსერვატორული შეხედულებების წინააღმდეგ. ორი თაობის ეს უიდილო, ამავე დროს, ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობის, ორი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ჭიდილი იყო, ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულმა „საჭარტიველოს მოამბემ“ დიდი ისტორიული — ლიტერატურული როლი შეასრულა. ცნობილი საზოგადო მოღვაწე გ. თუმანიშვილი წერს: „ჭავჭავაძის ეფრენადან მე პირველად გავიგე ბელისკისა, დობროლუბოვის, პრედონისა და ბასტიას არსებობის შესახებ“. ილია ჭავჭავაძეს, როგორც თავისი დროის დიდ მოაზროვნეს, კარგად ესმოდა, რომ მოძრაობა განვითარების აუცილებელი პირობაა. ისტორიის შემქმნელი და მიმობრავებელი ძალად ილიას ხალხი მიიანდა, რითაც იგი მკვეთრად დაუპირისპირდა რეაქციულ თეორიას „პასიურ ბრბოსა“ და „აქტიური გმირების“ შესახებ. ილიამ კრიტიკის ქარცეცხლში გააატრა „შესამე დასის“ უმრავლესობის შეხედულებები. მან წინასწარ განსჭირიტა ის სამართლიანი მსჯელო, რომელიც შემდგომ ისტორიამ გამოლტანა ნოე ეორდანიას და მის თანამოღვირებს. მიუხედავად ზემოთქმულისა, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის გეოლოგია წაიქადა მარცხნიდან მარჯვნივ, რაზედაც უფრადღებას ამაზეილებს ავტორი. ამას ადასტურებს ილიას იდეალისტური პოზიცია ზოგიერთ სოციოლოგიურ საკითხში. მაგ., ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა წოდებათა შეოიგების იდეას, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხავდა რევოლუციის აუცილებლობას. გარდა ამისა, ილიას შესაძლებლად მიიანდა ყველა საზოგადოებისათვის და შემთხვევისათვის გამოსადეგი მორალური ნორმების დადგენა, რაც ბუნებრივია, რადიკალურად უწინააღმდეგება მარქსიზმის თეორიას. ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ საბოლოოდ ვერ შესძლო „მარქსის ფილოსოფიურ მატერიალიზმის სიმალღმედ ამაღლებულიყო, მით უმეტეს.

მან ვერ შესძლო ისტორიის მატერიალისტურ გაგებადღე ასულიყო". (გვ. 37).

ამავე თავში ვახსილულია, აგრეთვე, ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ-ლიტერატურული და ფილოსოფიურ-სოციოლოგიური შეხედულებები. ავტორი ასე ახასიათებს მას: „მთავლი, დიდი ქუთის პატრონი, ენციკლოპედისტურად გახსწავლული ადაშიანი, შეუდარებელი პოლე-მისტი და ბრწყინვალე პუბლიცისტი, მწიქთარე, დაუდგომელი ტემპერამენტის მქონე, დიდი პრაქტიკული მუშაი. — აი, როგორი იყო ნ. ნიკოლაძე". (გვ. 42). სიკო ნიკოლაძეს კა-პიტალიზმი ფეოდალიზმთან შედარებით პროგ-რესულ მოვლესად მიიჩნდა და აქედან გამოზ-დინარე იგი აღიარებდა „ბურჟუაზიის ხელ-მძღვანელ როლს საქართველოს საზოგადოებრი-ვი ცხოვრების განვითარებაში" (გვ. 45).

ავტორი შემდეგ გადადის ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის ისტორიულ როლის ვარკვევაზე. იგი იძლევა ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა დაწერილით ვარჩევას. ნ. ნიკოლაძე იყო ი-შვეესკის თხზულებათა 1868 წლის გამოცემის რედაქტორი იყო. მან ჩერნიშევსკის გულწრფე-ლი და უანგარო სიყვარული სიკვდილამდე შეინარჩუნა. ნ. ნიკოლაძემ ვაილაშვილა ჯგაბაღ-არის წინააღმდეგ, რომელმაც მოიხდომა იგი პისარევის მიმდევრად გამოცეხადებია. ზოლო რაც შეეხება გერცენს, ნიკოლაძის მიერ ჩერნი-შვეესკის თხზულებებისათვის დაწერილ წინა-სიტყვაობის შესახებ, გერცენი თვით წერს თგარევის (1868 წლის 15 მაისი), რომ „запртавши грузинские когти, Николадзе в предисловии к Чернышевскому зацепил нас и совершенно с той точки зрения, с которой Писарев в „Базарове" (видно я не ошибся). Тебе бог попрыскала очи такой водой, что ты розы видишь, шипов не можешь видеть... Они о нас не упоминают и бьют намеками, от которых отпереться легко, а нападать на которые трудно". (იხ. А. И. Герцен. „Полное собрание сочинений и писем", том 20, გვ. 275, 1923 წ.).

წიგნის ავტორი ნიკოლაძის ფილოსოფიურ შეხედულებათა განხილვის დროს ხაზს უსვამს ნიკოლაძის შეხედულებებში მარქსისტული ფი-ლოსოფიის ცალკეული ნიშნების არსებობას. წამოსწევს რა ამ ელემენტებს წინა პლანზე, ლ. გორგილაძე გვიჩვენებს, რომ ნ. ნიკოლაძის მოძღვრება, ეს იყო ბუნებრივი ვაგრძელება და განვითარება „თერგდალეულითა" შეხედულებე-ბის. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ნ. ნიკოლაძე იყო გემშიარტი მარქსისტი. იგი იყო მარქსამდელი მატერია-ლისტის მიმდევარი. მისი ფილოსოფიური შე-ხედულებები მერტილად მერტაზიზიურია ხა-

სითათისა, ბოლომდე ვერ იცავს თანმიმდევრო-ბას, ზშირად ეარდება იდეალიზმში და ეროზ-ხეთში ურვეს მატერიალისმსა და იდეალიზმს.

ლ. გორგილაძე კარგად ახასიათებს ხალხის-ნურ მოძრაობას საქართველოში უეტარი გვიჩ-ვეებს იმ თავისებურებას, რომლითაც ქარ-თული ხალხისობა რუსული ნაროდნიობისა-გან განსხვავდებოდა. ეს თავისებურება მდგო-მარებოდა იმაში, რომ „ჩვენში ხალხისობა რუ-სეთის საროდნიობასთან შედარებით ნაკლებ რევოლუციურია" (გვ. 73).

წიგნში ვახსენებულა მთავიოლის, ჯგაბაღ-არის, გრ. ვასლის, ლ. მრეღამეილის, ბოსლე-ველის, სიხასიძელის და სხვათა სხელები. აღნიშნულმა საზოგადო მოღვაწეებმა დიდი რო-ლი შეასრულეს საქართველოში მარქსისტული აზროვნების დამკვიდრების საქმეში.

როგორც ცნობილია, „მესამე დასი" იყო პირ-ველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ავტორი ამხსავს ჯ. ბერძის ნაშ-რობის „ამიერკავკასიის ბოლშევიური ორგა-ნიზაციების ისტორიის საკითხისათვის" ბრწყინ-ვალე მომარჯუებით შეაფიოდ აწუქებს „მესამე დასის" უმრავლესობისა და უმცირესობის შო-რის არსებულ წინააღმდეგობებს. კარგადაა ნაჩ-ვენები ნოე ეორდანიასა და სხვა ლეგალურ „მარქსისტებს" ანტიმარქსისტული პოზიცია. ან. ეორდანია და მისი ჯგუფი წარმოადგენდა იმ თორტუნისტულ, რევოლუციური მარქსიზმი-სადმი მტრულად გახწობილ მიმდინარეობას, რომელმაც საერთაშორისო მუშეთა ძობრაობაში პირველმა დაიწყო ბრძოლა რევოლუციური მარქსიზმის წინააღმდეგ მარქსიზმის შგნი-თვე; ქართველმა თორტუნისტებმა დაასწრეს მარქსიზმის რევიზიის, დამახინჯებისა და ვულ-გარიზაციის საქმეში, როგორც რუსეთს, ისე დასავლეთ-ევროპის თორტუნისტებს" (გვ. 35).

განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის ის ნაწი-ლი, სადაც ლასარაკია იმ უდიდეს როლზე, რო-მელიც ა. სტალინმა, ლ. კეცხოველმა და ა. წულუკიძემ შეასრულეს მარქსიზმის გაშეა-ლებლებისაგან რევოლუციური მარქსიზმის დაცვის საქმეში. ვაზეთ „ბრძოლის" გამოცე-მაში ამხანაგმა სტალინმა ზელო შეუწყო „ისრისი" იღვების გავრცელებას საქართველოში. წიგნ-ში დახასიათებულია უდიდესი მნიშვნელობა სტალინის ისტორიული შრომების, — „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაკონალური სა-კითხი" და „ანარქიზმი და სოციალიზმი". ამ შრომებმა ნიღამ ახადეს მარქსიზმის დროშა-ს აღთგარებულ ნაკონალ-შოიისიტებს და, სა-ერთოდ, მარქსიზმის თეორიის ყველა ეტრის გაშეალებლებს. ლ. გორგილაძე აღნიშნავს, აგრეთვე, ალ. წულუკიძის თეორიულ ნაშრო-მებს, კერძოდ „ოცნება და სინამდვილეს", სა-

დაც მოეყვებოდა ქართველი ფედერალისტების მხაფრე კონტრა. წულუქიძის ხაზრობები ფას-დაღებულ საუნჯეს წასაოადგენს მარქსისტულ აზროვნების განხილარების ისტორიაში.

რამდენიმე შენიშვნა „სრომაში“ აღბრული ზოგერთი საკითხის გამო. ლ. კორგილაძე 77 გვერდზე წერს: „ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ქართულ პრესაში მარქსიზმის შესახებ ისაუბრა, ხ. ნიკოლაძე იყო. მან 1876 წელს „ტიფლისკო ენსტიკში“ ბაკუნინის გარდაცვალების გამო მოათავსა საინტერესო სტატია, რომელშიც... მოთხრობილია იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველ ინტერნაციონალში მარქსსა და ბაკუნინს შორის“. უნდა აღინიშნოს, რომ მარქსის სახელი ქართულ პრესაში პირველად გვხვდება 1871 წელს გაზეთ „დროებაში“ 15 აპრილს, № 15-ში. დასახელებულ ნომერში „უცხოეთის მიმოხილვის“ განყოფილებაში, ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ ახლახანდელი პარიზის რევოლუციის პლანები ლონდონში დაუწყიათ მარქსს, ასისს, ბენტონისა და დარმოტს“. იმავე 1871 წლის № 41 „დროებაში“ ვკითხულობთ აკომიტეტის თავი ხეშევი კარლ მარქსია, რომელმაც კრებას საზოგადოების ანგარიში წაუკითხა“. უფრო მეტიც, მარქსს ჩვენი მოწინავე საზოგადოება ჯერ კიდევ 1870 წელს ახსენებს, მაგრამ სტატია, სადაც მარქსი იყო ნახსენები ცენზურამ აკრძალა. პრით. პატა გუგუშვილი ერთ-ერთ თავის შრომაში წერს: „1926 წელს, როდესაც საქ. ცენტრპრეში შევედევქი ჩემის ინიციატივით თავმოყრილი კავკასიის საცენზურო კომიტეტის საარქივო ფონდის შესწავლას, პირველად წვააწყდი გაზ. „დროებისათვის“ ცენზურის მიერ 1870-იან წლებში აკრძალულ „საქენზურო ამონახებულების“ გზავას, სადაც აკომიტეტილია ციტატები კ. მარქსის ნაწერებიდან. ერთერთ ვრცელ ფელეტონში, რომელიც დ. შიქელაძის (შეველის) კალამს ეკუთვნის, ვრცელი ციტატის სახით მოყვანილი იყო კ. მარქსის „პოლიტ. ეკონომიის კრიტიკისათვის“ ცნობილი წინასიტყვაობის დიდი ნაწილი“ (იხ. „მნათობი“, 1943 წ. № 9—10, გვ. 188).

ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როდის იქნა ნახსენები მეცნიერული სოციალიზმის მეორე ფუძემდებლის ენგელსის სახელი ქართულ პრესაში. 1886 წელს ექრნა „თეატრში“ № 17 დაბეჭდა ზაქარია მკვირანძის რევიზია „პობლიკრაფიული შენიშვნა კ. მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომზე“. ამ რევიზიაში, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვან არაფერს შეიცავს, ნახსენებია პირველად ფრედრიხ ენგელსის სახელი: „გარდაიკვალა კარლ მარქსი და მისი ხიველიის შემ-

დეგ გაისმა იმ ცნობის ხმა, რომ კარლ მარქსის თავის მეორე ტომი გათავებული დარჩენილი, ყველა ეს შრომა, გარჩევა, გადაწერა და გამოცემა იყისრა ვაიანხილმე...“ (მეცნიერებულმა იმ. ენგელსმა. ენგელსის „ქართულ მარქსის ძველი მეგობარია და მასთანვე დიდამ მყოფენ პოლიტიკური ეკონომიის სწავლის და სხვადასხვა მეცნიერებისა“. რაც შეეხება „კაპიტალის“ პირველ ტომს, უნდა ითქვას რომ 1878 წელს, გ. თუმანიშვილმა გამოსცა „ილმე-სანი“, წიგნი 1-ლი, სადაც დაბეჭდილია შემდეგხელისავე სტატია, რომელშიაც მოტანილია ციტატა კარლ მარქსის კაპიტალის 1-ლი ტომიდან.

ლ. გორგილაძე წიგნის 42 გვერდზე ეხება რა ხ. ნიკოლაძის მოღვაწეობას, არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ხ. ნიკოლაძე პირდაპირ იცნობდა ლაფარვს და განსაკუთრებით კი მარქსს. კარლ მარქსმა ხ. ნიკოლაძეს წინადადება მისცა: „შიელოთ თავის თავზე ინტერნაციონალის წარმომადგენლის შივადება ამიერკავკასიაში. ამ წინადადებაზე, ხ. ნიკოლაძეს რაღაცა მიხეზოთ უარი უთქვამს“ (იხ. სიმონ ხუნდაძე, „ცხოვრები კარლ მარქსის შესახებ ქართული ლიტერატურაში“ ექრნალი „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“ 1935 წელი № 1—2, გვ. 109, 112; მისივე „სოციალისმის ისტორია საქართველოში“, ტ. I, გვ. 115—116).

ნაშრომში ძალიან ცოტაა ნათქვამი ესტატე ბოსლევლის მსოფლმხედველობის შესახებ. ესტატე ბოსლეველმა ქართულ სინამდვილეში პირველმა დაიწყო ბრძოლა „შემთხვევითობასა“ და სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ. ბოსლეველმა მისთვის დამახასიათებელი ცხარე პოლემიკური ტონის გალაშქრა წინააღმდეგ ექრნალი „იმედისა“, რომელშიც სტეფანე ჭრცლაშვილმა განაერთარა „შემთხვევითობის“ თეორია. ბოსლეველმა „შემთხვევითობას“ დაუპირისპირა ობიექტური კანონების არსებობა ბუნებასა და საზოგადოებაში. იგი წერს: „აღამიანი მანამ ვერ გამოვიდოდა ბუნების მონერის მორჩილებიდან და ათასგვარია ცრუმორწმუნეობიდან, სანამ ბუნების კანონები არ შეისწავლა, სანამ იგი არ დარწმუნდა, რომ ყოველ მოვლენას ფიზიკურს ბუნებაში თავისი კანონი აქვს... ამ კანონების საშუალებით შეუჩიერება იყვლევს და ცნობილობს საზოგადოებრივის ორგანიზმის ცხოვრებასაც“... (იხ. „სრომა“ 1982 წ. № 27, 14/7). ბოსლეველი კვლევობების დროს თბოულობს ისტორიული მეთოდის გამოყენებას. მიათვილის ერთ-ერთ შეკვლამდ იგი სთვლიდა იმას, რომ „ბატონი მიათვილი თავისი მსოფლმხედველობაში არ ხელმძღვანელობს ისტორიულის მეთოდით, რომე-

ლი უფრო ნაკლებად სცდება თავის დასკვნებში. („სირომა“ 1883 წ. № 1,5 იანვარი). ისტორიული მეთოდის მომარჯვებაც უდროოდ დაღუაღუ პუბლიცისტს მარკსიზმიდან აქვს ნასესხები. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ვფიქრობთ, რომ ადგილებზე იყო ბოსლეველის მსოფლმხედველობის დაყვანილობით გარჩევა.

წიგნში მე-112 გვერდზე ვკითხულობთ: „ნიწიშვილის შემოქმედებაში ბუღეტრისტს, მხატვარ-შემოქმედს სკარობის და იმორჩილებს პუბლიცისტი“. ეს დასკვნა ავტორს გამოაქვს იქიდან, რომ თითქოს „ნიწიშვილის ტალასტს პუბლიცისტური საფუძველი აქვს“, რადგან ეგნატე ნიწიშვილი ერთ-ერთ პირად წერილში წერს „ჩემი მოთხოვნების დაბეჭდვისას, მე არასოდეს არ ანჯარებულვარ, სტატიების დაბეჭდვა კი ყოველთვის შეჩქარება. ყოველთვისა ბავშვითი მიძვერს გული, მინამ ჩემს სტატიას დაბეჭდვის დავინახავდე. როცა მოთხოვნას ვყერ, სრულებით დამშვიდებული ვარ. სტატიის წერის დროს კი — ჩემი გული ღელავს. თითქოს ვილაყას პირადად ვებრაძოდ, ვეჩხუბებოდ... ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი (სტატიები) უფრო საყურადღებოა ჩემთვის“. მაგრამ განა ამ ციტატიდან გამოიზინარეობს ზემოთმოტანილი დასკვნა? წერილში მხოლოდ და მხოლოდ ნათქვამია იმ უდიდესი მიღწევების შესახებ, რასაც ყოველი ეურნალისტი და პუბლიცისტი განიცდის, როდესაც იგი ეხება ყოველდღიურ საქმიანობაში. აქი თვით ნიწიშვილიც ამბობს, რომ „სტატიების წერის დროს, ჩემი გული ღელავს, თითქოს ვილაყას პირადად ვებრაძოდ, ვეჩხუბებოდ“. არ შეიძლება ნიწიშვილის სიტყვებით:

„როცა მოთხოვნას ვყერ სრულიად დამშვიდებული ვარ? პირდაპით მნიშვნელობით იქვს გავტეული. განა ნიწიშვილის კაცია მუწეაის ბედი არ აღეულებდა, ან ვოწეა? უიწიშვილის ოჯახში დატრიალებული შემწარაწეა... სსურაის ხატვისას, ნიწიშვილი დამშვიდებული იყო“.

ზემოთხატევაში რა თქმა უნდა არ ხიწნავს, რომ ნიწიშვილს როგორც პუბლიცისტს, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში გარკვეული ადგილი არ ეჭირავს. ნიწიშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარჩევის დროს, ავტორი უფრადლებს გარეშე ტოვებს ხიწიშვილის მეტად საყურადღებო ერთ პირად წერილს, სადაც ვკითხილობთ: „ბევრი ვეკითხე ამ ზაფხულს და კარგათაც შეეისწავლე ის კითხვები, რომლებიც ჩვენ ასე გავლევებს. ამიერიდან ჩვენი ერთადერთი გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი და მასწავლებელია მარტვი და ეხველსი. და კიდევ იმათი ჯერ კიდევ ახალგაზრდა რუსი მოწაფე გიორგი პლუზანოვი. მეშთა კლასის აი ვის ყოფილა ქვეყნიერებისა და ცხოვრების ჩარბის მატრიალებელი. მუშათა მოძრაობა იმ, ამ ჩარბის ბრუნვა ერთი თუ ჩვენშიც დატრიალდა ეს ჩარბი, თუ ჩვენშიც გაჩაღდა მუშათა მოძრაობა, მაშინ ჩვენი ცხოვრებაც გადატრიალდება“ (ეს წერილი დაბეჭდილია სიმონ ზუნდაძის წიგნში „სოციალისმის ისტორია საქართველოში“, ტ. 2, გვ. 257).

ლ. გორგილაძის წიგნი „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ მნიშვნელოვანი შენაძენი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის დარგში.

მის. ძაწთარია

## მიხაილ ალავიძე — „ლიჩხუზური ზეპირსიტყვიერება“.

„საბჭოთა მწერალი“, 1951 წ.



ქართული ზეპირსიტყვიერების ამოუწყვეთი საუნჯე მრავალ თვალმარგალიტს შეიცავს. მსოფლიოს უმესანისწავეს ფოლკლორულ ძეგლებს თამამად უსწორებენ მხარს ქართული სიტყვიერების ისეთი შედეგები, როგორცაა „ვეფხისტა და მოყმის ამბავი“, „თაფლარავნელა კიანჯი“, „ამირაისი“ და სხვ. ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეყრებას ჩვენში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ცნობილია, თუ რა დიდი გულმოდგინებით კრებდნენ და აქვეყნებდნენ ხალხის სიბრძნის დიდი ილია, აკაკი, მ. უმიკაშვილი, ი. გოგებაშვილი, თ. რაზვიკაშვილი და სხვები.

მაგრამ ქართული ფოლკლორის შეკრება-გამოკვლევისა და დამუშავების საქმე მკვიდრ ნიჟდაზე დაღვა მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში, როცა სოციალური ემსხვედრების შემეგობით შეიკარაბა აუარებელი ახალი მასალა, გამოქვეყნდა მრავალი კრებული, დაიწრა სპეციალური გამოკვლევები და სხვ. საკმარისია აღინიწნოს, რომ უკანასკნელ ხანებში სულ მოკლე დროის განმავლობაში გამოიცა „ხალხური პოეზიის კრებული“, „რწველი ქართული ხალხური ზღაპრები“, „ხალხური სიტყვიერების“ I ტომი, „ფშა-ჩვესურული პოეზია“, „ქართული ზღაპრები“ და სხვანი.

ამავე სერიას მიეკუთვნება მიმდინარე წელს „საბჭოთა შერლის“ მიერ გამოცემული „ლენჩუმური ზეპირსიტყვაობა“. კრებული შედგენილია მიხეილ ალავიძის მიერ, როგორც შემდგენელი თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, „ლენჩუმური მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედება დღემდის თითქმის უცნობი იყო. ქართულ პრესაში, საშემეფრო და სალიტერატურო გამოცემებში იშვიათად შევხვდებით ლენჩუმურ ფოლკლორულ მასალას“.

სარეცენზიო წიგნში მხოლოდ პროზაული ტექსტებია მოთავსებული, ხოლო ლენჩუმური პოეზიის კრებულის გამოცემა შემკრებელს ცალკე ჰქონია განზრახული. ორივე ეს წიგნი ერთად შეავსებს ქართულ ფოლკლორისტიკაში დღემდე არსებულ ხარვეზს და დაახლოებით სრულ წარმოდგენას მისცემს მკითხველს ცაგერის რაიონის მშრომელთა ხალხურ სიტყვიერებაზე.

როგორც აღნიშნეთ, ამაყად გამოიკა მხოლოდ პროზაული ნაწარმოებები—თქმულებები, ზღაპრები, არაკები და გამოცანები. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ეთნოგრაფიული ნარკვევი, რომელიც მრავალ საყრდენდებო მასალას შეიცავს საქართველოს ამ კუთხის მცხოვრებთა უფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულების, საჩუქროვებრივ რიტუალო და სხვათა შესახებ. აქ შეტანილია და განმარტებულია 800-ზე მეტი სიტყვა, ლინგვისტურად ძალიან საინტერესო. როგორც სამართლიანად შენიშნავს ნარკვევის ავტორი, ბევრი სიტყვა ზანური და სვანური წარმოშობისაა.

წიგნში შეტანილი ზღაპრების უმრავლესობა ქართულში კარგად ცნობილი ზღაპრების ვარიანტებს წარმოადგენს. უფრო საინტერესოა ლეგენდები, რომლებიც ისტორიულ წარსულის სხვადასხვა ამბავს უკავშირდებიან. მათში განსაკუთრებით მკვეთრადაა ასახული ბატონყმური ეპოქა.

წიგნში მოთავსებული პროზაული ტექსტები შემკრებელს ენობრივად დამუშავებია და შეუსწორებია. ხალხური ნაწარმოების ამგვარად გამოშვეყნება ტრადიციულად დამკვიდრებულია და პრიციპულად სწორია, ოღონდ აქ უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, რომ არ „შელამაზდეს“ ხალხური ნაწარმოები და ამით არ დაეკარგოს ნამდვილი ხალხურობა. ვველა შესაძლო შემთხვევაში შოქშელის ნაამბობი დაცული უნდა იყოს, უნდა დარჩეს ლექსიკაფრაზეოლოგია, წინადადების წყობა, სტილი; შემდგენელის შესწორებები არ უნდა სცილდე-

ბოდეს უხეში ენობრივი შეცდომებისა და დიალექტური ფორმების გასწორების ფარგლებს. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ წიგნში თხზულებების ხალხური კალთხობის შენარჩუნებულ იქნეს და ლექსებიც დაცულია. დიალექტური სიტყვები განმარტებულია წიგნის ბოლოს მოთავსებულ ლექსიკონში. წიგნს დართული აქვს აგრეთვე შენიშვნები ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ღირსებებთან ერთად წიგნს ახასიათებს ზოგიერთი მეორეხარისხოვანი ხაყი. მაგალითად, ლექსიკონში არ არის განმარტებული ვველა სიტყვა, რომელთა განმარტება საჭირო იყო. ასეთებია, მაგალითად: კინცხის აქვები (გვ. 21), მუქასარი (გვ. 23), ქილაბორი (გვ. 25), კასალი ქვა (გვ. 38), ნობი (გვ. 40), ზორჯოყო (გვ. 46) და სხვ.

ასწილ-განმარტებული არ არის აგრეთვე ეთნოგრაფიულ ნარკვევში მოხსენებული ზოგიერთი ტერმინიც, მაგალითად: ოსირო, წბერი, ქილაქი და სხვ.

„ლენჩუმური ზეპირსიტყვაობაში“ მოთავსებული ზოგიერთი ლეგენდა იგებულება ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელის ხალხურ ეტიმოლოგიაზე. ასე, მაგალითად: ლეკარჩა თითქმის ვიღაც ლეკის — არჩას სახელს აღნიშნავს (ლეკარჩა), ლაუნდარა — სვანურად დარას დაუნებულს ნიშნავს და სხვ. რა თქმა უნდა, ამგვარი ეტიმოლოგიები მოკლებულაა მეცნიერულ საფუძველს და უმეტეს შემთხვევაში მცდარია. ამიტომ, ზვენი აზრით, არ იყო საჭირო ამ ეტიმოლოგიების შეტანა ლექსიკონში. ეს ქმნის შთაბეჭდილებას, თითქმის ლექსიკონის ავტორი იზიარებს ხალხურ ეტიმოლოგიას. მაგალითად, ლექსიკონში ვკითხულობთ: „ლაუნდარა სვანური გამოთქმაა და დარას დაუნებულს ნიშნავს“. ხოლო სინამდვილეში ამგვარი გამოთქმა სვანურში არ არსებობს. აქვე უნდა შევიხსნათ, რომ მ. ალაიძეს შეცდომით მოჰყავს ხატარეშობის (ხვაშობის) შესაბამის სვანური რელიგიური დღესასწაულის სახელწოდებაც — უსტაბალიერობა (გვ. 129). სვანეთში ამ დღესასწაულს უწოდებდნენ ფუსტალიტაბლიელს. (ნიშნავს ბატონის ტაბლას, ე. ი. ბატონის დღობას). თვითონ ხატარეშობაც სვანური წარმოშობის სიტყვა უნდა იყოს (ხატარეშ — „ხატების“, ე. ი. „ხატობა“).

საერთოდ, სარეცენზიო წიგნი შეიცავს მდიდარ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალას და მისი გამოშვეყნება მისასალმებელია.

**ზურაბ ზუმბურიძე**



## ზოგიერთი შენიშვნა ქართული ლაშქრობის შესახებ

ბროფ. ჩ. ლოუკოტკას წიგნის რუსულ ენაზე გამოცემის გამო

ხუთი წლის წინათ ქ. პრაღაში გამოვიდა ცნობილი ჩემი პროფესორის ჩ. ლოუკოტკას წიგნი „ლაშქრობის განვითარება“, რომელიც ნ. ნ. სოკოლოვის თარგმანითა და პროფ. პ. ს. კუზნეცოვის რედაქციითა და წინასიტყვაობით გასულ წელს გამოსცა მოსკოვში უცხოური ლიტერატურის გამომცემლობამ.

დასაბუთებულ წიგნში პროფ. ჩ. ლოუკოტკა ავტორის ლაშქრობის განვითარების პროცესს სხვადასხვა ხალხში, დაწეული უძველესი საფეხურიდან მის დღევანდელ ფორმებამდე. ამასთან, ავტორი გვიჩვენებს ურთიერთდამოკიდებულებას ლაშქრობის განსხვავებულ სისტემებს შორის და იძლევა ამ სისტემების განვითარების საერთო ნიშნებს. წიგნში საკმაოდ ვრცლად გათვალისწინებულია მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები. საინსტრუქციოდ მასში დიდი როლდენობით მოცემულია ცხრილები და სურათები. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ისტორიისა და კულტურის ისტორიის შესწავლელთათვის წიგნი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, აგრძოდ კი სათანადო დახმარებას გაუწევს ფილოლოგიას ფაქტობრივ სტრუქტურასაც.

შენებრივია, რომ დასაბუთებული შრომა, რომელშიც განხილულია უამრავი სახის ლაშქრობა, ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზობისა და შეუდომებისაგან. ამიტომ სწორია წინასიტყვაობის ავტორი როდესაც აღნიშნავს, რომ „При чтении книги следует иметь в виду, что не все соображения, высказываемые автором, могут быть целиком приняты читателем; некоторые из них требуют к себе определенного критического отношения“ (ვ. 6). და მართლაც, ავტორის ზოგიერთი მცდარი დებულება კრიტიკულად არის განხილული პროფ. პ. კუზნეცოვის წინასიტყვაობაში, სახელდობრ, წინასიტყვაობის ავტორი აღნიშნავს:

„В особенности неполно, а местами и ошибочно, освещен вопрос о развитии различных систем письма на территории России и затем СССР. Поэтому в некоторых случаях нам пришлось опустить отдельные места из книги проф Лоукотки и дать в списках некоторые поправки и небольшие дополнения“ (ვ. 11).

სამწუხაროდ, ეს არ ითქმის ქართული ლაშქრობის მიმოხილვის შესახებ. არ ჩანს, რომ ამ ადგილს შეხებოდეს რედაქტორის კალამი. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნი დაზღვეული იქნებოდა იმ ხარვეზებისაგან, რომელთაც ქვემოთ აღნიშნავთ.

ავტორს ნათელი წარმოდგენა არ აქვს ქართულ ხალხსა და მის ისტორიაზე, ამით არის აკნობილი, რომ იგი უხვშე შეედგოს უშეუბნებ, როდესაც მგერელებსა და სხვებს არ თვლის ქართველებად და ქართველების მონათესაეებად აცხადებს. წიგნში (ყოველ შემთხვევაში სათარგმნში) სწორად არ არის გადმოცემული ქართულთა მეფის სახელი. ქართველებს ჰყავდათ მეფე ფარნაოზი და არა სარტკენსიო წიგნის მიხედვით დასახელებული „Пазнавац“. ეს სახელი „საქართველოს ისტორიაში“ რუსულად თარგმნილია „Фарнаваз“-ად, რაც უნდა გათვალისწინებული იქნას წიგნის მთარგმნელსა და რედაქტორს.

სინამდვილეს არის მოკლებული და გაუგებრობაზე ავებული ავტორის მოსაზრება, თითქოს „ძველი ქართული ლიტერატურა მეტად ხესტად არის შესწავლილი და მრავალი ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც იმაზეა კავასიის (!) ანტიკვებში, აქამდე გამოუყენებელი არ არის“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული ლიტერატურა საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ქართველმა ხალხმა თავის ისტორიულ ძეგლებს თავი მოუყარა სახელმწიფო არქივებსა და ლაშქრობებში და ეს სიძველეთსაცავენი გადააქცია საპენსიონარ-კვლევითი საქმიანობის ბაზად. ამ დაწესებულებებში დიდი მუშაობა წარმოებს სისტემატურად ლაშქრობის შედგენისათვის; ამ ლაშქრობით საქართველოს არქივებსა და მუზეუმების ხელნაწერთა ფონდები ხელმისაწვდომია ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობისათვის. უფრო მეტიც, სისტემატურად იბეჭდება და ქვეყნდება ცალკე წიგნებად თუ სხვადასხვა სახის ქრესტომთიებში ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები. რიგი წლების განმავლობაში ქართველმა საბჭოთა მეცნიერებმა თავისი ჯიჟინის უმოიფრისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს არაერთ-



თი ნაშრომი მიუძღვნეს. შექმნილია კაპიტალური შრომები, რომლებშიაც გაშვებულია ძველი ქართული ლიტერატურის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების დღიდან იქ არსებობს სპეციალური კათედრა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა. ძველი ქართული ლიტერატურა პალეოგრაფია წარმოადგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში.

გამომდინარეობს რა იქიდან, რომ ძველი ქართული ლიტერატურა შესწავლილია ძალზე სუსტად. პროფ. ლოუკოტკა აცხადებს, რომ ძველი ქართული ანბანის შესახებ გარკვეული დასკვნის გამოიტანა აქ ჩვენ არ შეგვიძლია, უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ლოუკოტკა ქართული პალეოგრაფიის შესახებ არ იცნობს მეცნიერულ ლიტერატურას, რასაც ესოდენ საიწუხარო კვალი დაუმჩნევია მის კარგ შრომაზე, თორემ მისთვის ცნობილი იქნებოდა ქართულ დაწერილობასთან დაკავშირებული მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები.

ქართული პალეოგრაფიის საკითხები უკვე მე-19 საუკ. მუშავდებოდა, მაგრამ ქართული დაწერილობის ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დათმო ადგილი. ამ საგნის დანერგვა აკად. ფ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა — „ქართული დაწერილობა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (მირჯ. გამოც. 1926 წ.). რომელშიაც განსვენებულმა აკადემიოსმა დიდი ხანი „გარკვეული დასკვნა“ გამოიტანა ქართული ანბანის შესახებ.

აქლა ვნახოთ, თუ როგორ იხილავს ავტორი ქართულ დაწერილობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელის დაუდევრობის გამო, რუსულ ენაზე არასწორი ფორმით არის ნაბმარი ქართული დაწერილობის სახეების აღნიშვნელი ტერმინები „ხუცური“ და „მხედრული“. ამთ ნაცვლად, მთარგმნელი რატომღაც ხმარობს „хуцური“ და „мхедрули“ (გვ. 157, აგრ. ტაბ. № 24 და № 27). საეპარისი იყო მთარგმნელს ან რედაქტორს ჩაეხედა რუსულ ენაზე გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“, რათა სწორი ფორმით გადმოეცათ დასაბუღებული ტერმინები.

თავისი შრომის 157-ე გვერდზე პროფ. ლოუკოტკა წერს: გადმოცემით ქართველებს მესრობა, მა. შეუქმნა ანბანი, თუმცა წერილობითი ძეგლები (თბილისის ხელნაწერი) ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ მერს საუკუნიდან ჩვ. წელთაღრიცხვით. „გადმოცემაში“ პროფ. ლოუკოტკას 12. «მნათობი», № 11.

მხედველობაში აქვს ზოგიერთი ძველი სომეხი ისტორიკოსის უკვე საკმაოდ მოძველებული მოსახრება, რომლის მიხედვითაც: სქესურთ: ქართული და აღბანური ანბანები გამოიყვანა მე-5 საუკუნის ერთმა სომეხმა მოღვაწემ მესროპმა (ზოგი მას მამათაც უწოდებს). ჯერ ერთი, თუ გადმოცემებს დავეყრდნობით, რით არის დასაწერი ქართული ისტორიკოსის ლეონტი მროველის გადმოცემა, რომ: ქართველებს ანბანი ფარაოზ მეფემ შეუქმნა? ვეების უცნობაა პროფესორისათვის ეს უკანასკნელი გადმოცემა-ქართული ანბანის შექმნის შესახებ? არა, იგი იცნობს მას. იმავე გვერდზე პროფ. ლოუკოტკა წერს: ქართველები (იგულისხმეთ ლეონტი მროველი, — გ. მ.) ამტკიცებენ, რომ ხუცური ანბანი სარგებლობდა მათი პირველი მეფე ფარაოზი (ლოუკოტკათი მანხანგის: — გ. მ.) დაახლოებით 300 წ. ჩვენს ერამდეო. მამ რატომ აყუთუნებს პრიორიტეტს პროფ. ლოუკოტკა პირველ გადმოცემას?

საკვირველია, რომ დღევანდელ პირობებში შეგვევარი გადმოცემებს ემყარებოდეს. ქართული ანბანის წარმოშობის პირობების გადაწყვეტის ერთადერთი სწორ და მეცნიერულ საშუალებას პალეოგრაფია გვაძლევს. ეს არის ასოთა მუდგენილობის, მათი განვითარების, მათი საანბნო რიგისა (რასაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ავტორი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) და სხვა ერთა დაწერილობასთან მათი დამოკიდებულების შედარებით — კრიტიკული შესწავლის გზა. სწორედ ამ გზით იქნა დადგენილ ქართველ საბჭოთა მეცნიერთა მიერ, რომ ქართული ანბანის ასო-ნიშნები გენეტიკურ კავშირში იმყოფება აქლა აღმოსავლეთის უძველეს ფონეტიკურ ანბანებთან. შემდეგ, შეგვევარი რატომღაც უგულვებელყოფს ქართულ ეპიგრაფიულ მასალას, გვიჩნ როდესაც მსგავსი ხასიათის შრომების არც ერთი ავტორი არ გამოიკვამეს ამა თუ იმ დაწერილობის შესწავლისას ეპიგრაფიკულ მასალას (სხვა იქნევა ავტორი თვითონაც სხვა შემთხვევებში, საილუსტრაციოდ მოაქვს რა საფლავის ჭეოსა თუ სხვა სახის ეპიგრაფიკული მასალები). ისეთი მეცნიერული ხასიათის შრომისათვის კი როგორღაც არის პროფ. ლოუკოტკას წიგნი. საჭირო იყო მრგლოვანი დაწერილობის გერენობით უძველესი პერიოდის ეპიგრაფიკული მასალაც, ენიიდან ამ პერიოდის ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა შორის უძველეს თარიღთან წერად ცნობილია ბოლნისის სიონის სააღმწინებლო წარწერა, რომელიც თარიღდება 493 წლით; მეორე, ბოლნისისავე წარწერა 5 საუკუნისა და მესამე, მცხეთის ჯვრის წარწერა, რომ-

ქმედგენედი შეუძლებელია ერთი და იგივე პიროვნება იყოს. გარდა ამისა, ამ რბი ანბანის შემადგენელი რომ ერთი და იგივე პიროვნება ყოფილიყო, ისეთა წესრიგი ანბანში ერთნაირი უნდა ყოფილიყო.


პროფ. ლოტკოტკა რომ ასეთი მეცნიერული მეთოდით მიდგომოდა საკითხს, მაშინ მას არ დასჭირდებოდა დაურდნობა იმ „გადმოცემაზე“, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართული ანბანი მესრობ (მაშთოცის) მიერ არის შემოღებული.

წიგნის 155-ე გვერდზე მოთავეებულია სხვადასხვა სახის დაწერილობის ნიმუშები. აქვე

მოცემულია ნუსხურითა და მხედრულით დაწერილი წინადადებანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინიც შეცდომებისაგან არ არიან დაზღვეული.

დასასრულ, ვფიქრობთ, შევძლებოდა წიგნი, რომ მასში დაბეჭდილი ყოფილიყო ქართული ხელნაწერის ერთი ფოტოპირი მაინც, როგორც ამას ავტორი სხვა შემთხვევებში აკეთებს. სამწუხაროა ისიც, რომ ავტორი არ იცნობს ქართველი პროფესორების აკ. შანიჭისა და ილ. აბულაძის მიერ აღმოჩენილ აღბანურ ანბანსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**ზიზი შიკაძე**





ალექსანდრე მუთათელი — პირისპირ, რომანი. გავრძელება . . . . . 32

ირაკლი აბაშიძე — სიმღერა შუის დროს, ლექსები . . . . . 32

ქონსტანტინე ბაშსახურაძე — ვახის ყვავილობა, რომანი . . . . . 43

ნაზიმ ჰიმმატი — ტიხიდან გამოსვლის შემდეგ, ლექსები. თარგმანი ვასილ ლაფტაშვილისა . . . . . 62

ბრიგოლ ჩიქოვანი — ასი მზე, მოთხრობა . . . . . 68

ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები . . . . . 95

სოლომონ ტავაძე — ფოლადი, რომანი, დასასრული . . . . . 97

საშუსო მოქალაქეობა — ორი ლექსი . . . . . 127

აბაკი ბელიაშვილი — ოქროს ჩარბაზი, რომანი. გავრძელება . . . . . 129

ნოე ქაჯუშაძე — დიდი სივრცე, მოთხრობა . . . . . 147

ჯონ მილტონი — დაკარგული სამოთხე, ნაწყვეტი მეორე წიგნიდან, თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ქედიძისა . . . . . 157

მ. მავაპარიანი — მნაშენელოვანი გამოკვლევა შაიკოვსკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ბიბლიოგრაფია . . . . . 164

ბ. თავაძე — ნ. გ. გოგოლი „ტარას ბუბა“, ბიბლიოგრაფია . . . . . 165

პ. დიდუბულიძე — სერგენტის „დონ კიხოტი“ ტ. I. ბიბლიოგრაფია . . . . . 168

მიხ. ქავთარიანი — ლ. გორგილაძე „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“. ბიბლიოგრაფია . . . . . 171

ზურაბ მუხამბერიძე — მიხეილ ალავეძე „ლენინური ზეპირსიტყვაობა“. ბიბლიოგრაფია . . . . . 174

გივი მიტაძე — ზოგიერთი შენიშვნა ქართული დაწერილობის შესახებ. ბიბლიოგრაფია . . . . . 176

ახალი წიგნები . . . . . გარჯანის მე-3 გვ.

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (მასუბისმგებელი მდიანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, ქონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ძიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სარგი შილაია.

ბელმოწერილია დასაბუქდად 15/XII-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11¼ ფ. ში 06665. შეც. № 691. ტირაჟი 5.500.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: შარჯანიშვილის ქ. № 5 ტელეფ. № 3-23-42.